თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა
და სამართლის ინსტიტუტი

გიორგი თოდრია

კრიმინოლოგიური შემეცნების პრობლემები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2020

UDC (უაკ) 130.122:343.9
თ-676

წიგნი „კრიმინოლოგიური შემეცნების პრობლემები" გამოცემულია თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ 1973 წლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო ოჯახის ერთგული წევრის, ღვაწლმოსილი მეცნიერ თანამშრომლისა და პედაგოგის, პროფესორ გიორგი თოდრიას დაბადებიდან 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

The book "The Problems of Criminological Cognition" was published by Tinatin Tsereteli Institute of State and Law to commemorate the 70th anniversary of Professor Giorgi Todria, the celebrated pedagogue and scientist of the same institute since 1973.

Книга "Проблемы криминологического познания" была издана Институтом государства и права им. Тинатин Церетели по случаю 70-летия со дня рождения заслуженного ученого и педагога, профессора Георгия Тодрия, служителя науки в Институте с 1973 года.

რედაქტორი: **გოჩა ფერაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, სამართლის ისტორიისა და თეორიის განყოფილების ხელძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

© თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი
© გამომცემლობა „მერიდიანი", 2020

ISBN 978-9941-25-733-9

நான்தான் அவனை

முதல் தடவையல்ல

கடைசியும்

Tinatin Tsereteli Institute of State and Law

Giorgi Todria

PROBLEMS OF CRIMINOLOGICAL COGNITION

To the memory

of my wife

Gaia Todria

„Meridiani" Publishers
Tbilisi 2020

Институт государства и права им. Тинатин Церетели

Георгий Тодрия

«ПРОБЛЕМЫ КРИМИНОЛОГИЧЕСКОГО ПОЗНАНИЯ»

Посвящается памяти

жены Гая Тодрия

издательство „Меридиани“

Тбилиси, 2020

ვიცოდე ალბათ

გოჩა ფერაძე

50 წელი მეცნიერების სამსახურში

(პროფესორ გიორგი თოდრიას 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით)

ისტორიის დიდი მესაიდუმლე, პროფესორი ლეოპოლდ ფონ რანკე, რომელმაც წარსულის ურთულეს კითხვებზე პასუხის გასაცემად თითქმის მთელი საუკუნე წიგნსაცავებსა თუ კერძო არქივებში დავანებული პირველწყაროების კვლევაში გაატარა, თვლიდა, რომ მსოფლიო კულტურა ორი უდიდესი ფაქტორის, ევროპისა და აზიის ცივილიზაციების ერთმანეთთან შეხლის, შეჯახების შედეგია. დიდწილად, სწორედ აღნიშნულით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენმა წინაპრებმა, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში კულტურათა „ტექტონური ჭიდილის" არეალში მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა სხვებზე ადრე გაიცნეს, აითვისეს ყოველივე საუკეთესო მეზობელი ცივილიზაციებისგან. თუმცა, როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა, ისინი „პროვინციელ ბეყვირათებისდარად" სხვათა ნაცოხნით როდი იკვებებოდნენ. ერის საუკეთესო შვილები „არ ჯერდებოდნენ რა უცხო კულტურათა რეცეპტიულ აღქმას, სხვებზედაც ახდენდნენ ზეგავლენას. ბიზანტიელთა მოწაფენიც ვყოფილვართ და მათი მასწავლებლებიც გავმხდარვართ".

სწორედ ამ რანგის შემოქმედებითი პროცესის კონკრეტულ გამოვლინებად, კულტურულ მიღწევათა გაზიარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გაგრძელებად გვესახება პროფესორ გიორგი თოდრიას დიდებული ნაშრომის, „კრიმინოლოგიური შემეცნების პრობლემების" გამოცემა. შემთხვევითი არაა, რომ ამ სქელტანიან მონოგრფიაზე მუშაობის დასრულება ავტორის 70 წლის იუბილეს დაემთხვა[1]. მიგვაჩნია რომ, ეს უპირველეს ყოვლისა იმ უდიდესი პასუხისმგებლობის, მეცნიერული კეთილსინდისიერების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, რომელიც დამახასიათებელია ბატონი გიორგის შემოქმედებისთვის და რომლის დეფიციტიც ასე თვალშისაცემი გახდა თანამედროვე მეცნიერებაში.

გასული საუკუნის ქართული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პრაქტიკოსი იურისტის, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინის-

1 პროფესორი გიორგი თოდრია დაიბადა 1949 წლის 12 ნოემბერს ქ. თბილისში.

ტრის მოადგილის, პოლკოვნიკ გიორგი კონსტანტინეს ძე თოდრიას ვაჟს, თავადაც მამის მოსახელეს, იოლი გზით სიარული არასდროს უცდია. საკუთარი არჩევანი მან ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დროს გააკეთა და პარტიული ფუნქციონერის მშვიდ, მატერიალურად უზრუნველყოფილ ცხოვრებას, მეცნიერების მწვერვალებისკენ სავალი, რამდენადაც შეუცნობელი, იმდენადვე საინტერესო ბილიკებით სიარული არჩია.

ამ განზრახვით მოვიდა იგი 1973 წელს, თავის „მეორე ოჯახში“, ჩვენთვის ყველასთვის ასე ძვირფას თინათინ წერეთლის სახლმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში და უკვე ნახევარი საუკუნე სრულდება, საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი არასდროს შეჰპარვია. პირიქით. ხალასი ნიჭის, ენერგიისა და გამორჩეული შრომისმოყვარეობის წყალობით, ახალგაზრდა მკვლევარმა მალევე მიიქცია უფროსი კოლეგების ყურადღება. მეცნიერების გასაოცარ, თვალისმომჭრელად მდიდარ სამყაროში მოძღვრებიც შესაშური არგუნა ბედმა: ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველოს ისტორიაში იურისტებიდან პირველი და დღემდე ერთადერთი აკადემიკოსი ქალბატონი, თინათინ წერეთელი და საკანდიდატო დისერტაციის უშუალო ხელმძღვანელი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, მოგვიანებით ჯერ საბჭოთა კავშირის, მისი დაშლის შემდეგ კი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე კუდრიავცევი. მიგვაჩნია რომ, პირად თვისებებთან ერთად ამ უმაღლესი რანგის პროფესიონალებთან თანამშრომლობამ, დიდი გავლენა იქონია ბატონი გიორგის ფართო მასშტაბისა და ბრწყინვალე ერუდიციის კრიმინოლოგად ჩამოყალიბებაში.

მრავლისმნახველი მეცნიერისთვის დღემდე უცხოა სენსაციას, პოპულარობას გამოდევნების მავნე სენი. თანამშრომლობის უკანდარჩენილი ათწლეულების გათვალისწინებით თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ ბატონი გიორგი, უპირველეს ყოვლისა, ღრმად მოაზროვნე ანალიტიკოსია, საკუთარ დასკვნებში ყოველთვის ფრთხილი და ზომიერი. მის ყველა ნაშრომში, მიუხედავად იმისა იქნება ეს მოქმედი სამართლის კომენტარი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სამეცნიერო თუ საგაზეთო პუბლიკაცია, ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის: ნიჭი, გამოცდილება და საკვლევად შერჩეული თემის ერთობლიობაში აღქმის გასაოცარი უნარი. ის ყოვ-

ელთვის იმდენად კარგად, სიღრმისეულად იცნობს პრობლემას, რომელზეც მუშაობს, ფლობს „ფერებს“, რომლის მეშვეობითაც საკუთარი სათქმელი მკითხველამდე უნდა მოიტანოს, რომ ნაშრომში „ჩაქსოვილი“ რთული, მაგრამ აუცილებელი კრიმინოლოგიური ცნებები, ტერმინები, ვეღარ ახერხებენ ტექსტის დამძიმებას. აზრი ნათელია, დასკვნები ლოგიკური, დასაბუთებული და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნაშრომი საინტერესოდ იკითხება. მასში გაკეთებული დასკვნები კი, ავტორის ხედვის გასაოცრად ფართო არეალის გათვალისწინებით, საინტერესოა არა მარტო კრიმინოლოგების, ან სისხლის სამართლის სპეციალისტებისთვის, არამედ ნებისმიერი დარგის იურისტისთვის და ზოგადად განათლებული ადამიანისთვის.

ბატონი გიორგის შემოქმედებისთვის თანმდევი საუკეთესო მახასიათებლების დაცვითაა შესრულებული წინამდებარე ნაშრომიც. გვინდა აღვნიშნოთ, რომ წიგნში განხილულ რამოდენიმე საკითხს, როგორებიცაა: კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენათა ევოლუციის ძირითადი ეტაპები (2010); ისტორიზმის პრობლემა კრიმინოლოგიურ აზროვნებაში (2012); დანაშაულობის ნეგაციის თეორია: ფიქრები კრიმინოლოგიაში „მივიწყებული ყოფიერების“ პრობლემის დაძლევის გზებზე (2015); სამყაროს ტრანსცედენტური გააზრების პირველი მცდელობები და მათი როლი დანაშაულობის გაგებაში (2019); ქართული იურიდიული საზოგადოება უკვე იცნობს. მათ მკითხველი კრებულის, „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის მეშვეობით გაეცნო, რომელსაც სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი უკვე ათი წელია გამოსცემს.

ამჯერად კი, შესაძლებლობა გვეძლევა კრიმინოლოგიური შემეცნების გზაზე არსებული პრობლემების ავტორისეულ ხედვას უფრო ვრცლად გავეცნოთ. მათ შორის თავად დანაშაულობის ნეგაციის კრიმინოლოგიური თეორიის შექმნის განმაპირობებელ მიზეზებს, ახალი თეორიის არსს და მის უპირატესობას დანაშაულობის შემსწავლელ სხვა, დღემდე ცნობილ თეორიებთან მიმართებაში. საკითხის უკეთ წარმოსაჩენად ავტორი გვთავაზობს, როგორც ისტორიული, ისე თემატური თვალსაზრისით კრიმინოლოგიური შემეცნების ვრცელ, უაღრესად საინტერესო მიმოხილვას, კვლევის პროცესში გამოვლენილი პრობლემების ღრმა, ფილოსოფიურ ანალიზს და ახალი, მის მიერ შექმნილი ნეგაციის თეორიის მეშვეობით გამოსავლის პოვნის საკუთარ, ორიგინალურ გზას.

ცხადია, წიგნის „კრიმინოლოგიური შემეცნების პრობლემების“ სიღრმისეული ანალიზი არ წარმოადგენს ამჯერად ჩვენს მიზანს. დარწმუნებული ვართ, ამას გაცილებით უკეთ თავად კრიმინოლოგები და რაც მთავარია, შემოქმედის ყველაზე პირუთვნელი მსაჯული, დრო, გააკეთებს. ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას და ერთ-ერთი, ბატონი გიორგის დანაშაულობის თემატიკით დაინტერესების მიზეზია. როგორც წინასიტყვაობაში ავტორი თავად მიუთითებს, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სამეცნიერო ლიტერატურის, დანაშაულობის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი თეორიების 30 წლიანი კვლევის, ანალიზის შედეგად დარწმუნდა, რომ საქართველოშიც და უცხოეთშიც, პრობლემის მიმართ მკაცრი, აკადემიური მიდგომის ნაცვლად, წინააღმდეგობებით აღსავსე ემპირიზმია გაბატონებული. დანაშაულობა ყველგან არასრულყოფილადაა გაგებული, მის მიმართ მხოლოდ სახელმწიფოს, ხელისუფლების დამოკიდებულების ჭრილში. ანუ იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ავლენს საკუთარ თავს, როგორც იტყვიან „დევს“ ცხოვრების ზედაპირზე. ეს მაშინ, როდესაც დანაშაულობაზე მოქმედი კიდევ ერთი და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი – სოციალური კანონები, განსჯის, სათანადო შეფასების გარეშეა დატოვებული.

სწორედ მათ უგულებელყოფას უკავშირებს ქართველი მეცნიერი იმ ფაქტს, რომ დღემდე არ არსებობს ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი კითხვებზე: რაში მდგომარეობს დანაშაულობის არსი, როგორ ყალიბდება მისი ბუნება მისდამი სახელმწიფოს დამოკიდებულების გარეშე, რამდენად შესაძლებელია და დადებით შემთხვევაში, როგორ უნდა მოხდეს დანაშაულობის კლების, მატების გამომწვევი მიზეზების წინასწარ განსაზღვრა და სხვა. ბატონ გიორგის მიაჩნია, რომ დასახელებულ კითხვებზე სწორ პასუხს ვერც მომავალში მივიღებთ, თუ მსჯელობისას საზოგადოებაზე მოქმედ სოციალურ კანონებს სამართლებრივი კანონების თანაბარი ყურადღება არ დაეთმობათ. ეს არის ამოსავალი მის მიერ შექმნილ დანაშაულობის ნეგაციის თეორიაში და მისი მეშვეობით ცდილობს ქართველი მეცნიერი ობიექტური სურათის დადგენას. სურათის, რომელშიც არსებულისგან განსხვავებით, არასწორი ეკონომიკური, სამართლებრივი პოლიტიკის გატარებით ინდივიდის „კანონთან გაუცხოების“, „დამნაშავედ გარდასახვის“ პროცესის უშუალო მონაწილე, სახელმწიფო, ვეღარ შეძლებს საკუთარი თავი

„უმანკო ბატკნად“, დანაშაულობის გენეზისის სუბიექტის ნაცვლად, მის ობიექტად წარმოაჩინოს. როგორც ბატონი გიორგი ბრძანებს, დაარწმუნოს საზოგადოება, თითქოსდა დანაშაულობა მისგან დამოუკიდებლად, სადღაც, განყენებულ სივრცეში წარმოქმნილი „ქარბორბალა იყოს“.

რასაკვირველია, ბატონი გიორგის წიგნიდან კიდევ არაერთ საინტერესო საკითხზე შეიძლებოდა ყურადღების გამახვილება, ისევე როგორც საქებარი სიტყვები არ გვენანება მთლიანად მის შემოქმედებასა და პიროვნებაზე, მაგრამ არ გვინდა სიტყვა გაგვაგრძლდეს. დასკვნის სახით მხოლოდ ერთს, უმთავრესს აღვნიშნავთ, რასაც პირობითად პროფესორ გიორგი თოდრიას შემოქმედების საიდუმლო შეიძლება ეწოდოს და ეს საიდუმლო ადამიანის კეთილი საწყისის მიმართ ურყევი რწმენაა.

სწორედ ის აძლევს ქართველ მეცნიერს შესაძლებლობას ნებისმიერ საკითხზე მსჯელობისას გასცდეს ვიწრო სამართლებრივ ჩარჩოებს, ირწმუნოს თავად და მკითხველიც დაარწმუნოს, რომ ადამიანს არ შეუძლია დანაშაულის ჩადენა, თუკი მის მიმართ არ იქნება ჩადენილი დანაშაული; ადამიანს არ შეუძლია სახელმწიფოს მიმართ გაუცხოება, თუკი თვითონ სახელმწიფო არ გადადგამს ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯს.

სწორედ ამიტომაა, რომ ბატონი გიორგისთვის, როგორც იტყვიან პირველადი, უმთავრესია არა „წოდებული“ – ჩვენ შემთხვევაში სახელმწიფო, არამედ „მწოდებელი“ – ადამიანი. სწორედ ამ გადმოსახედიდან უნდა დავინახოთ, შევაფასოთ დანაშაულობის ნეგაციის თეორია და თუ ამ ხედვას ადამიანის კეთილი საწყისის მიმართ რწმენასაც დაუმატებთ, პასუხი კითხვაზე ვინ გაიმარჯვებს ბოროტისა და კეთილის ჭიდილში, რთული გამოსაცნობი აღარ იქნება. რაოდენ ხანგრძლივი, რთულიც არ უნდა იყოს საზოგადოების გზა ამ გამარჯვებისკენ, როგორც მოკვდავთა შორის ყველაზე დიდი ქართველი ბრძანებდა: კეთილი აუცილებლად სძლევს ბოროტს.

პროფესორ გიორგი თოდრიას მიერ მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი ახალი წიგნიც, ჩვენ მიერ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ შოთა რუსთაველის ამ გენიალური ხედვის ბრწყინვალე სამართლებრივ დადასტურებად აღიქმება.

GOCHA PHERADZE

50 Years in the Service of Science

(Dedicated to the 70-year anniversary of professor Giorgi Todria)

The great confidant of history, professor Leopold von Ranke – who, so as to respond to the most complex questions of the past, spent almost a century researching the primary sources kept in the libraries and private collections – believed that the world culture is the result of the collision between two major, European and Asian civilizations. Largely, this must be the reason why our ancestors – who for centuries dwelled this very area of the "cultural clash" – managed to assimilate the best of all the neighbouring civilizations. Though, as the great Konstantine Gamsakhurdia used to say, they were far from "provincially grazing the grass of others." The best children of the nation "did not content themselves with copying the ready-made recipes of the foreign cultures and were also influencing others. We were both students of Byzantium and its teachers."

We consider publication of the magnificent work of Professor Giorgi Todria, Problems of Criminological Cognition to be the precise manifestation of the creative process of this very level, the continuation of the centuries old tradition of sharing cultural achievements. It is not accidental that the completion of this thick monograph coincided with the author's 70's anniversary. We take this to be yet another clear evidence of the huge responsibility, scientific integrity that is a distinctive characteristic of Mr. Todria's work and which is so critically lacking in the modern science at large.

The son of Colonel Giorgi Todria – the past century's well-known practicing lawyer, the assistant of the minister of Internal Affairs, has never tried to tread an easy path. He made his choice while still a student of Law at Tbilisi State University and instead of the peaceful, materially secure life of the Party bureaucrat, he chose the way of science – the way as unforeseeable as it is fascinating.

It was with this intention that in 1973 he entered his "second family," in our beloved Tinatin Tsereteli Institute of State and Law, and for almost half a century since then he has not once doubted the rightness of his choice. Quite on the contrary, thanks to his lively talent, energy and outstanding hardworking qualities, the young scholar soon drew attention of his older colleagues.

What's more, in the amazingly rich world of science he was graced with special teachers: the head of the institute, the first and to this date the only female academician of Law in the history of Georgia, Tinatin Tsereteli, and the direct chief of his doctoral dissertation, the director of State and Law Institute, later the vice president of the Soviet (then Russian) Academy of Sciences, academician Vladimir Kudryavtsev. We believe that in addition to his own qualities, collaboration with these first-rate professionals was a huge influence on the development of Giorgi Todua as a criminologist of wide range and outstanding erudition.

For this experienced scientist, the vice of sensationalism and aspiration towards popularity has remained alien to this day. Based on the decades of working with him, I will allow myself to declare that Mr. Giorgi Todria is primarily a profoundly thinking analyst, ever cautious and temperate in his conclusions. In all his works, be it a commentary on law in force, a monograph, a manual, a scientific or periodical publication, one finds a harmonious combination of talent, experience and an amazing capacity of integral grasp of research subject. He is always so knowledgeable in the problem he is working on, has an amazing "palette" with which to bring across his message to the reader, that the text is never weighted by the difficult but necessary terms and concepts of criminology. The thought is pristine, conclusions logical, well founded and the work also provides an interesting reading experience. As for the drawn conclusions, considering the author's extremely wide range of vision, they are interesting not only for specialists in criminology, but for all the students of law as well as the general educated audience.

The present work is carried out with all the qualities that characterize Giorgi Todria's work in general. We wish to point out that Georgian juridical society is already acquainted with several points discussed in the book, such as: the basic stages of evolution in understanding the subject of criminology (2010); the problem of historicism in criminological thinking (2012); the theory of negating culpability: thoughts on the ways of overcoming the problems of "forgotten being" in criminology (2015); the first attempts in transcendental understanding of the world and their role in comprehending culpability (2019). Reader could find these in many volumes of "The Esseys on the Histori of Law and Political Thought" that the Institute of State and Law has been publishing for ten years now.

This time we are given the possibility of understanding the author's views of the problems of criminological cognition on a wider scale. Among

them, the reasons for creation of the criminological theory of negation of culpability, the essence of new theory and its advantages over all the already existing theories of studying culpability. For better demonstrating the problem, the author offers us a wide-ranging and extremely interesting overview of criminological cognition from the historical as well as thematic point of view; a profound philosophical analysis of problems shown in the process of research and his own new, original way of finding solution using the negation theory.

Naturally, we are not aiming at a profound analysis of the book, Problems of Criminological Cognition. We are certain that the criminologists themselves – as well as the most unbiased of all the judges, time – will do a better work with it. It shall suffice for our needs to point out several matters, among them is the reason of Giorgi Todria's interest in the subject of culpability. As the author himself indicates in the introduction, this happened when after the thirty years of research on the voluminous theories concerning culpability, he got convinced that, in Georgia as well as abroad, instead of a strict academic approach towards the problem, the field is dominated by the contradictory empiricist approach. Everywhere, culpability is understood imperfectly, only in the light of the State's, government's perspective. Therefore, only in the shape in which it manifests itself, the way it is found on the surface of life. And all of this while another and no less important factor influencing culpability – that of the social laws, is left without the appropriate critical assessment.

It is this very neglect that the Georgian scientist relates to the fact that to this day there is no unified, scientifically justified answer to the following questions: what constitutes the essence of culpability? How is its nature formed without the State's relation to it? To what degree is it possible and in positive case how can the decrease or increase in culpability be predetermined etc. Mr. Giorgi Todria believes that no answers can be found to the questions in the future unless we pay the same attention to the social laws affecting society as we pay to the judicial laws. This is the central point in his theory of culpability negation and based on it the Georgian scientist is trying to establish an objective picture. The picture in which, as opposed to the actual one, the State which, by wrongful economical and legal politics, is directly involved in the individual's "alienation from law" and "transformation into a criminal," will no longer be able to present itself as an "innocent lamb" and to present the individual not as a subject but an object of the genesis of

culpability. In the author's words, to convince the society that culpability is a "hurricane" formed in some isolated space, independently of the State itself.

Naturally, we could direct our attention towards many other important points in Giorgi Todria's book, as well as praise his work and his personality in general, but we would like to be brief. As a conclusion, we shall add one more, single most important thing – that which we could call the secret of Giorgi Todria's work: the unconditional belief in the essential kindness of human being. It is exactly this that allows the Georgian scientist to go beyond the narrow confines of law, to convince himself and the reader that human being is unable to commit crime unless crime is committed against him; human being cannot be alienated from the State unless the State takes the first step in this direction.

It is for this reason that for Mr. Giorgi Todria primary is not the State, the product of human creativity, but the human being itself- the creator. It is from this vantage point that culpability negation theory should be viewed and if we add belief in human kindness to this, it will not be hard to respond to the question of who wins in the struggle between good and evil. No matter how long and hard the road that society should take toward this victory, we should bear in mind the saying of the greatest among the mortal Georgians: good will always conquer evil. Professor Giorgi Todria's new book represents for us exactly this: a brilliant juridical justification of this vision of poetic genius – Shota Rustaveli.

ГОЧА ПЕРАДЗЕ

50 лет на службе науке

(В связи с 70-летием профессора Георгия Тодрия)

Великий знаток тайн истории, профессор Леопольд фон Ранке, который провел почти столетие, исследуя первоисточники в книжных хранилищах или в частных архивах, чтобы ответить на самые насущные вопросы прошлого, полагал, что мировая культура была результатом столкновения европейкой и азиатской цивилизаций. Во многом отмеченным можно объяснить то обстоятельство, что наши предки, которым веками пришлось жить в «тектоническом противоборстве» культур, раньше других ознакомились и освоили все самое лучшее из всех соседних цивилизаций. Однако, как замечал великий классик грузинской литературы Константин Гамсахурдиа, они вряд ли питались пережеванным на чужбине. Лучшие сыны нации «не ограничивались рецептивным восприятием чужой культуры, а сами пытались на нее воздействовать. Мы были учениками византийцев, но также стали и их учителями».

Публикация замечательной работы профессора Георгий Тодрия «Проблемы криминологического познания» служит конкретным проявлением творческого процесса этого ранга, продолжением многовековой традиции обмена культурными достижениями. Не случайно, что завершение этой толстой монографии совпало с 70-летием автора. Мы полагаем, что это, прежде всего, еще одно четкое подтверждение большой ответственности, научной порядочности, характерных для творчества уважаемого Георгия, дефицит которых стал столь очевидным в современной науке.

Сын известного практика-юриста, хорошо известного грузинскому обществу прошлого века, заместителя министра внутренних дел республики полковника Георгия Константиновича Тодрия, он никогда не искал легких путей в науке. Свой выбор он сделал еще во время учебы на юридическом факультете Тбилисского государственного университета и вместо спокойной и обеспеченной жизни партийного функционера выбрал тропу к непознанным и в той же мере интересным высотам науки.

С этими помыслами в 1973 году он пришел в свою «вторую

семью», для всех нас дорогой Институт государства и права им. Тинтин Церетели, и вот уже почти полвека никогда не сомневался в правильности своего решения. Благодаря своему таланту, энергии и трудолюбию молодой исследователь вскоре привлек внимание своих старших коллег.

В удивительном, ярко богатом мире науки ему была уготовлена завидная судьба, так как посчастливилось работать с главой Института Тинатин Васильевной Церетели, с первой и единственной женщиной среди академиков юристов, а также с непосредственным руководителем кандидатской диссертации, директором Института государства и права АН СССР, вице-президентом АН СССР, а после распада СССР вице-президентом АН России, академиком Владимиром Николаевичем Кудрявцевым. Полагаю, что наряду с личными чертами сотрудничество с профессионалами столь высокого ранга оказало большое влияние на его становление в качестве широко масштабного и высоко эрудированного криминолога.

Для много видавшего ученого до сих пор чужда болезнь сенсационности и популярности. С учетом пройденных десятилетий сотрудничества позволю себе заявить, что Георгий Тодрия прежде всего, глубокий аналитик, всегда осторожный и умеренный в своих выводах. Во всех его работах, будь то комментарий к действующему законодательству, монография, учебник, научное или газетное издание, гармонично сочетаются талант, опыт и удивительная способность восприятия избранной исследовательской темы. Он всегда настолько хорошо знаком с исследуемой проблемой, обладает «цветами», с помощью которых пытается донести до читателя собственную мысль, что в работе «сплетенные» сложные, но криминологически важные понятия, термины никогда не отяжеляют текст. Мысль ясна, выводы логичны, аргументированы и, что немаловажно, интересно читаются. В работе выводы, полученные с учетом удивительно широкого кругозора автора, представляют интерес не только для криминологов, криминалистов, но и для практиков всех дисциплин и в целом образованных людей.

Предлагаемая работа выполнена в соответствии с лучшими особенностями деятельности Г. Тодрия. Надо отметить, что некоторые вопросы, рассмотренные автором в книге, такие как «Основные этапы эволюции в криминологии» (2010); «Проблема историзма в

криминологическом мышлении» (2012); «Теория негации преступности: размышления о путях преодоления проблемы «забвения бытия» (2015); «Первые попытки трансцендентального понимания мира и их роль в пониманин преступности» (2019), уже известны грузинскому научному сообществу из многотомного сборника «Очерки истории права и политической мысли», который издается Институтом государства и права в течение десяти лет.

На этот раз у нас будет возможность больше узнать об авторском взгляде на проблемы криминологического познания, включая причины, обусловившие создание теории негации преступности, суть новой теории и ее превосходство над другими известными теориями преступности. Чтобы лучше представить вопросы, автор предлагает обширный, чрезвычайно интересный обзор криминологических знаний как в историческом, так и в тематическом плане, с глубоким философским анализом проблем исследования и собственным оригинальным способом поиска решения с помощью своей новой теории негации преступности.

Конечно, углубленный анализ книги «Проблемы криминологического познания» на этот раз не является нашей целью. Мы уверены, что сами криминологи сделают это намного лучше, а главное, это сделает время - самый непредвзятый судья творца. Мы остановимся только на нескольких вопросах, которые являются одной из причин интереса Г.Тодрия к преступности. Как указывает автор в предисловии, после 30 лет исследований многочисленных теорий преступности, предлагаемых в научной литературе, он убедился в том, что эмпиризм, а не строгий академический подход к проблеме, превалирует как в Грузии, так и за рубежом. Преступность большинством понимается ограниченно только в пределах отношения к ней государства и власти, то есть в той форме, в которой она выявляет себя на поверхности жизни. И это тогда, когда на преступность оказывают влияние такие существенные факторы как социальные законы, которые обычно оставлены без надлежащей научной оценки.

Именно их игнорирование грузинский ученый связывает с тем фактом, что до сих не существует единый, научно обоснованный ответ на вопрос: в чем сущность преступности, как формируется ее природа вне зависимости от отношения к ней государства, насколько возможно заранее установить причины снижения или роста преступности

и др. Г.Тодрия полагает, что на поставленные вопросы не будет дан ответ, если должным образом не будет обращено внимание на социальные законы. Это есть отправная точка зрения в созданной теории негации преступности, с помощью которой грузинский ученый пытается создать объективную картину. В отличие от существующей картины проведением неправильной экономической и политической политики государство как непосредственный участник процесса «отчуждения индивида по отношению к закону», «превращения индивида в преступника» уже не может предстать в виде «невинного ягненка», в виде объекта генезиса преступности вместо его роли как субъекта. Как Г. Тодрия утверждает, государство убеждает общество будто преступность возникает вне него в качестве «вихря» где-то в отвлеченном пространстве.

Конечно, исходя из книги Г. Тодрия можно было бы заострить внимание не на одном интересном вопросе, также не ограничиться хвалебными словами в отношении его творчества в целом и личности, однако не хочу, чтобы слово продлилось бы. В заключение отметим лишь одно, самое важное, что условно можно назвать секретом деятельности профессора Георгия Тодрия, и этот секрет заключается в его непоколебимой вере в доброе начало человека. Это то, что дает грузинскому ученому возможность выйти за узкие правовые рамки при обсуждении любых вопросов, уверовать себя и убедить читателя, что человек не может совершить преступление, если по отношению к нему не совершено преступление; человек не может отчужденно относится к государству, если само государство не сделает первый шаг в этом направлении.

Вот почему для господина Георгия первоочередной задачей является не государство, как плод человеческого творения, а сам его творец - человек. Именно с этой точки зрения следует увидеть, оценить теорию негации преступности, и если к этому видению добавить веру в добрые начала человека, ответ на вопрос о том, кто победит в борьбе зла и добра, не составит труда. Независимо от того, как долго, сколько бы ни длился путь общества к этой победе, как повелел величайший грузин среди смертных Шота Руставели: добро обязательно победит зло. Новая книга, представленная профессором Георгием Тодрия на суд читателей, является прежде всего ярким подтверждением этого гениального видения поэта – Шота Руставели.

შინაარსი

რედაქტორისგან 7
შინაარსი 20
წინასიტყვაობა 27

I ნაწილი
კრიმინოლოგიური თეორიის გააზრების პრობლემა
1.1. კრიმინოლოგიური თეორიის წინააღმდეგობები ტოტალიტარული მმართველობის პირობებში
1.1.1. წინარე შენიშვნები 38
1.1.2. დოგმა პირველი – თითქოსდა საზოგადოებრივ საშიშროებას სწორედ დანაშაულობანი წარმოქმნიან. 41
1.1.3. დოგმა მეორე – თითქოსდა დანაშაულობათა რიცხვი ანუ სახელმწიფოსადმი რეგისტრირებული ნეგატიური დამოკიდებულების რაოდენობა იმავდროულად წარმოადგენს გაუცხოების პროცესის სიდიდის მაჩვენებელს, რომელიც დანაშაულებში გამოიხატება. 42
1.1.4. დოგმა მესამე – თითქოსდა გამოთვლის ამოსავალ წერტილად უნდა წარმოდგეს განზოგადებული ფორმით აღებულ კონკრეტულ დანაშაულობათა ეგრეთ წოდებული მიზეზები და პირობები. 44
1.1.5. პრობლემის გადაწყვეტის გზა. 45
1.2. დანაშაულობის ასახვის სახელმწიფოებრივი ფორმები
1.2.1. წინარე შენიშვნები 52
1.2.1.1. დანაშაულობის ასახვის სახელმწიფოებრივი ფორმების ანალიზის ადგილი კრიმინოლოგიის თეორიაში 55
1.2.2. დანაშაულობის ასახვის პრიმალური ფორმა 57
1.2.3. დანაშაულობის ასახვის დუალისტური ფორმა 60
1.2.4. დანაშაულობის ასახვის სოციალური (რეფორმისტული) ფორმა 64
1.3. კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენათა ევოლუციის ძირითადი ეტაპები
1.3.1. წინარე შენიშვნები 69
1.3.2. კრიმინოლოგიური აზროვნება კაპიტალიზმამდელი ეპოქების სოციალური წყობის პირობებში 74
1.3.3. კრიმინოლოგიური აზროვნება კაპიტალიზმის

განვითარების საფეხურზე 88
1.3.3.1. ქართული კრიმინოლოგიის მდგომარეობა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისას (1960–2000 წწ.).....98
1.3.4. კრიმინოლოგიური აზროვნება კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში.....136
1.3.5. კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენათა ფეტიშირება, როგორც ისტორიული შედეგი.....144
1.4. ისტორიული აზროვნების პრობლემა კრიმინოლოგიაში
1.4.1. წინარე შენიშვნები 147
1.4.2. ისტორიზმის პრობლემა, რომლის გადაწყვეტის წინაშეც აღმოჩნდა თანამედროვე კრიმინოლოგიური აზროვნება 149
1.4.3. ისტორიული აზროვნების პარადოქსის გადაწყვეტის ძირითადი ამოცანა კრიმინოლოგიაში 150
1.4.4. ანტიისტორიზმის ძირითადი ამოცანის გადაწყვეტის მეთოდოლოგია. 150
1.4.5. წინასწარი შენიშვნა კრიმინოლოგიური თეორიების განსხვავების თაობაზე.....154
1.4.6. სოციალური წესრიგის ძიება, როგორც დანაშაულობის მონოკაუზალური ახსნის პრობლემა 158
1.4.7. დანაშაულობა, როგორც „სოციალურად წარმოშობილი ცოდვის“ შედეგი (რ. მერტონი).....160
1.4.8. დანაშაულობის კულტუროლოგიური ინტერპრეტაცია – ეს მხოლოდ „სამუშაოს ხილული ნაწილია“ (ჯ. ჰომანსი) 162
1.4.9. დანაშაულობის ლატენტური ფუნქციების ძიებაში (რ. მერტონი) 164
1.4.10. „უტყვი იდიოტის“ აზროვნების გადალახვა კრიმინოლოგიაში (გ. გარფინკელი) 165
1.4.11. დანაშაულობაში ასახულია ყველაზე ზედაპირული სოციალური ურთიერთობები. ესაა კაპიტალიზმის ლოგიკა (ტ. იანგი). 170
1.4.12. „სასჯელი არ ქმნის დანაშაულს, მაგრამ მხოლოდ მისი მეშვეობით ხდება დანაშაულის გარეგნული აღმოჩენა, ამიტომ ჩვენ თუ გვინდა მივიდეთ დანაშაულობის გაგებამდე, უნდა მოვწყდეთ მას“ (ე. დიურგკეიმი). 174

1.4.13. ბალანსის დარღვევის პრობლემა სპეციალიზაციასა და დანაშაულობის ცვლილების კვლევის სისრულეს შორის. 175

II ნაწილი
კრიმინოლოგიის კრიმინომეტრიული ნაწილი
2.1. დანაშაულობის გააზრების პრობლემა კრიმინოლოგიაში
2.1.1. კიმინოლოგიაში „ცნების" აგების საკითხისათვის. 177
2.1.2. დანაშაულობის ცნებისადმი მეცნიერებაში არსებული მიდგომები 181
2.1.3. ლეგალისტური და ანტილეგალისტური მიდგომების კრიტიკისათვის 188
2.1.4. ზოგიერთი მოსაზრება დანაშაულობის ცნების აგების შესახებ. 196
2.2. კრიმინოლოგიში დიალექტიკური აზროვნების ელემენტების დანერგვის პრობლემა.
2.2.1. ზოგადი შენიშვნები 201
2.2.2. დანაშაულობის არსობრიობის ემპირიულ-ნომინალისტური ხედვა 203
2.2.3. სამართლის ნორმის, როგორც განზოგადების ფორმის როლი დანაშაულობის არსობრიობის ემპირიულ-ნომინალისტური ხედვის პროცესში. 207
2.2.4. სუბიექტივიზმი და ემპირიზმი როგორც დანაშაულის არსობრიობის ემპირიულ-ნომინალისტური ხედვის ერთადერთი შედეგი 210
2.2.5. დასკვნა 215

III ნაწილი
დანაშაულობის ნეგაციის თეორიის პრობლემატიკა
3.1. დანაშაულობის ნეგაციის თეორიის წანამძღვრები
3.1.1. წინარე შენიშვნები 219
3.1.2. ფილოსოფიური მიდგომა 220
3.1.3. ისტორიული მიდგომა 223
3.1.4. კრიმინომეტრიული მიდგომა 231
3.2. ანალიტიკური მიდგომა დანაშაულობის გამოხატულების ფორმისადმი 236

IV ნაწილი
სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრების პირველი მცდელობები და მათი როლი დანაშაულობის გაგებაში
4.1. სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრება ძველი ბერძნების ფილოსოფიაში და მისი როლი დანაშაულობის გაგებაში
4.1.1. შესავლის მაგიერ 242
4.1.2. „იდეა ყოველივესთვის“: სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრების მცდელობა პლატონის ფილოსოფიაში.....245
4.1.2.1. წინასწარი შენიშვნები: როგორ ესმით პლატონი. 245
4. 1.2.2. „იდეა ყოველივესთვის“ პლატონის მიხედვით 251
4.1.3. „ერთიანი არის საზომი ყველა საგნისა“: ზოგადის გენეტიკური განსაზღვრის მცდელობა არისტოტელეს ფილოსოფიაში. 255
4.2. დანაშაულობის ტრანსცენდენტური გააზრება ახალი აღთქმის მიხედვით
4.2.1. შესავალი ნაწილი 261
4.2.2. რას წარმოადგენს ღმერთის რწმენის პროცესი? 264
4.2.3. დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენა.....270
4.2.4. დამნაშავის ცოდვიანობა 272
4.3. დანაშაულთა ერთიანობის ჰეგელისეული ძიება: სისხლის სამართლებრივი პოლიტიკისა და მისი ფორმების საიდუმლოს ამოხსნის გასაღები
4. 3.1. წინასწარი შენიშვნები: როგორ ესმით ჰეგელი.....275
4. 3.1.1. საკითხის დასმა.....275
4.3.1.2. სამართლის აქსიოლოგიური განმარტება, როგორც სამართლის არსობრიობაზე უარის თქმის ხერხი. 279
4.3.1.3. ზოგადი იდეების ლოგიკური ფორმა 285
4.3.1.4. შემეცნების საგნის მოცემულობა 291
4.3.1.5. მოვლენათა კავშირი, რომელიც დგინდება ე.წ. ტრანსცედენტალური დედუქციის სახით. 295
4.3.1.6. დანაშაული, როგორც უმართლობის ფორმა 302
4.3.2. ჰეგელისეული „ნამდვილი კავშირი დანაშაულსა და მის მოსპობას შორის“.....306
4.4. დამკვირვებლის სოციალური მდგომარეობა და მისი აზროვნების თავისებურება.....313
4.5. დასკვნა 318
4.6. განმარტებები 319

V ნაწილი
სამართლის გააზრების ბუნებით-სამართლებრივი და ფილოსოფიურ-სამართლებრივი მცდელობები: მიდგომები დანაშაულობის სამართლებრივი ფორმისადმი.
5.1. ბუნებით-სამართლებრივი ახსნა.
5.1.1. წინარე შენიშვნები 336
5.1.1.1. კრიტიკა იმ ტრადიციისა, რომელიც ბუნებრივ სამართალს განიხილავს როგორც რაღაც ტრანსცენდენტურს.....339
5.1.1.2. რატომ იმოწმებდნენ სხვადასხვა დროის მოაზროვნეები ღმერთს ან აბსტრაქტულ გონებას?.....343
5.1.1.3. ჭეშმარიტების ობიექტური კრიტერიუმის პრობლემა ბუნებითი სამართლის თეორიაში.....348
5.1.2. დასკვნა.....351
5.2. ფილოსოფიურ-სამართლებრივი ახსნა
5.2.1. წინარე შენიშვნები 353
5.2.2. ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზროვნების რომელი მოდელია მისაღები? 354
5.2.2.1. სამართლის ფილოსოფიის სისტემის თავისებურებები. 359

VI ნაწილი
სამართლებრივი კატეგორიების კვლევა იმ ფორმებში, რომლებშიც ისინი გამოვლინდებიან სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულობასთან მიმართებაში.
6.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის ცალკეული პრობლემები (2004-2006 წწ.)
6.1.1. სისხლის სამართლის სამართლებრივი პოლიტიკის ტენდენციები საქართველოში 363
6.1.1.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის არსის შეფასება 363
6.1.1.2. სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპების თავისებურება.....365
6.1.1.3. სამოსამართლეო სამართლის პრობლემატიკა 377
6.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა
6.2.1. დანაშაულის მოძღვრების ლოგიკური პრობლემები ...385

6.2.2. გაიცხვის (ბრალის) მოძღვრების ლოგიკური პრობლემა.....393
6.3. მართლმსაჯულების იდეოლოგია და პოლიტიკა
6.3.1. სადამსჯელო პოლიტიკის ინტენსიფიკაციის ტენდენცია.....400
6.3.2. უმკაცრესი სანქციების მოდელების ფორმირება და დანერგვა საქართველოს სისხლის სამართალში. 401
6.3.3. ბრალის პრინციპის ჩანაცვლება ე.წ. აქტუარული მართლმსაჯულების პრინციპებით. 402
6.3.4. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განვითარება სოციალური დასაბუთების გარეშე 404
6.3.5. პატიმართა რაოდენობის დეტერმინაციის პრობლემისათვის.....406
6.4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა კრიმინოლოგიის თვალსაზრისით
6.4.1. კატეგორია „დანაშაული“, როგორც სახელმწიფოს რეაქციის ნაწილი.....409
6.4.2 დანაშაულის არსი საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით და სახელმწიფოს თვალსაზრისით სხვადასხვა სიდიდეებია. 412
6.4.3. დასაბუთება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის ინსტიტუტში დანაშაული არ ჩანს, როგორც გაუცხოების მოხსნის ხერხი 417
6. 5. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
6.5.1. ზოგადი შენიშვნები.....420
6.5.2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტი.....422
6.5.3. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის არსი. 434
6.6. კორუფციის არსის დადგენის საკითხვისათვის
6.6.1. კორუფციის ცნებისადმი მიდგომა 443
6.6.1.1. საკითხის დასმა.....443
6.6.1.2. კორუფციის წარმოშობა 446
6.6.1.3. ქრთამის გამოყოფა მოგებისაგან. ქრთამის განაკვეთი 449

6.6.1.4. ქრთამი და მოგება 450
6.6.2. კორუფციის თავისებურებანი კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვებისას.....453
6.6.3. ანტიკორუფციულ პროგრამებში კორუფციული მიწოდების არსის საკითხისათვის. 463
6.6.4. „სასჯელის", როგორც ანტიკორუფციული ზომის ირაციონალობა. 475

პროფესორ გიორგი თოდრიას ნაშრომთა ბიბლიოგრაფია.....496

წინასიტყვაობა

უპირველეს ყოვლისა ნაშრომის ჩანაფიქრს მინდა შევეხო. ნებისმიერი აზრის განვითარებაში, როგორც ცნობილია, ყოველთვის დგება მომენტი, როცა მას უწევს საკუთარი თავის გააზრება და ეს მომენტი დადგა მაშინ, როცა აშშ-ში გასული საუკუნის 90-იან წლებში დანაშაულობის ზრდა შეჩერდა და დაიწყო მისი თანდათანობითი კლება, მიაღწია რა საბოლოოდ ორმოცი წლის წინანდელ დონეს.[2] დანაშაულობათა შემცირებამ აშშ-ში დაასამარა უკანასკნელი იმედი იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელი იქნებოდა დანაშაულობის პრობლემის გადაჭრა არსებული თეორიების საფუძველზე. საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა ასევე დანაშაულის ნეოკლასიკური ინტერპრეტაციაც. გ. ბეკერმა, ს. კამერონმა, გ.ტალლოკმა და სხვა ნეოკლასიკოსებმა სცადეს მოცემული საკითხი დანაშაულის შეკავების ისეთი ფაქტორების მოძიების გზით გადაეწყვიტათ, როგორიცაა – სასჯელის სიმძიმე, დაპატიმრების ალბათობა თუ პოლიციელთა რიცხვის გაზრდა. მაგრამ ამ კითხვაზე ისინი არ სცემდნენ ერთმნიშვნელოვან პასუხს. ემპირიული გამოკვლევები საპირისპირო დასკვნებს იძლეოდნენ. ზემოაღნიშნულ ცვლილებათაგან ყოველი მათგანი ზოგ შემთხვევებში ამართლებდა, ზოგ შემთხვევებში კი არ იძლეოდა სასურველ შედეგს. პასუხის მიღება ასეთ, ეგრეთ წოდებულ, ეკზოგენურ ფაქტორებში (უმუშევრობა, შემოსავლების უთანასწორობა, უპირატესობის მინიჭება და მისთ.) ვერ ხერხდებოდა. დანაშაულობათა მერყეობის ფონზე შერჩეული ეკონომიკური ფაქტორები სრულიად საპირისპირო მიმართულებით იცვლებოდა. ამიტომ იქ, სადაც მოსალოდნელი იყო დანაშაულობათა დონის ზრდა, ფიქსირდებოდა მისი კლება და ა.შ. ცხადი ხდებოდა, რომ კრიმინოლოგიაში „ახალი ეკონომიკა მოითხოვს ახალ, არაორთოდოქსულ, ინოვაციურ შეხედულებას საგნებზე, გამოსვლას საყოველთაოდ მიღებული მსჯელობებისა და გავრცელებული შეხედულებების ვიწრო ჩარჩოებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ თითქოსდა შეურყეველ «ევანგელურ», ჭეშმარიტებებად მოჩანდნენ".[3] ამავე დროს კრიმინოლოგებს ჯერ-ჯერობით არ ძალუძთ ამ პრობ-

2 United States Crime Rates 1960–2011: http://www.disastercenter. com/ crime/ uscrime. htm.

3 С. Левитт и С. Дабнер (2011),Фрикономика.Изд–во Манн, Иванов и Фербер, с. 12

ლემის გადაწყვეტა თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ ყოველთვის ერთმანეთში ერევათ დანაშაულობის გენეზისთან დაკავშირებული ფაქტორები და ის ფაქტორები, რომლებიც დანაშაულობათა გამოვლენის საზოგადოებრივ ფორმაზე ახდენენ ზეგავლენას. ყველა თეორია დანაშაულს იმ სახით ხედავს, როგორშიც ის სამართალთან მიმართებაში ვლინდება, ანუ დანაშაულისადმი სახელმწიფოს მიმართების ფორმაში, რაც დანაშაულის არსობრიობის დადგენისას არის ყველა კრიმინოლოგიური და სოციოლოგიური თეორიების ძალზე უხეში შეცდომა.

მთლიანობაში, უნდა ითქვას, რომ დანაშაულობის გაგების პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ სსრკ-ის რესპუბლიკების კრიმინოლოგებიც, რომლებიც იკვლევდნენ დანაშაულობას კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების სტადიაზე. დანაშაულობის გაგების საბჭოთა კრიმინოლოგიაში გაბატონებული მოდელი პრეტენზიას აცხადებდა საზოგადოებისა და კრიმინოლოგიური აზროვნების „დიალექტიკურ" ინტერპრეტაციაზე. ფაქტიურად კი კრიმინოლოგები ცდილობდნენ ერთ კონცეპტუალურ სქემაში შეეხამებინათ ორი შეუთავსებელი მიდგომა: დანაშაულის გენეზისის იურიდიული პრაქტიკიდან ნასესხები ნორმატივისტული გაგება და დიალექტიკური გაგება. აზრის მოცემული „წინააღმდეგობების" დაძლევა ხდებოდა ზოგადი აბსტრაქციებისა და ფაქტების ემპირიული აღწერის სიმბიოზით, მათი თვითნებური კლასიფიკაციით, სტატისტიკომანიით და მისთ.

აღნიშნული მიდგომა დანაშაულობის გაგებას აქცევდა პასიური აღწერის მეთოდად, რომლის მიხედვითაც საზოგადოების მშვიდობა და დანაშაულობა ენტროპიული მოდელის სახით არსებობდნენ. კრიმინოლოგებს არ შეეძლოთ დაეძლიათ კრიმინოლოგიური აზროვნების პრობლემები, რათგან ფილოსოფიური მომზადება მათ მიიღეს იმ ცოდნისგან, რომელიც სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკასთან იყო მისადაგებული. იურიდიული პრაქტიკის ზეგავლენით შეკოწიწებული ფილოსოფიური კლონი ყოველთვის განწირული იყო.

ბევრი ქვეყნის განვითარების კაპიტალისტურ გზაზე გადასვლის დაწყებით სიტუაცია არ შეცვლილა, არამედ უფრო გამწვავდა. საზღვარგარეთული გამოკვლევები, დანაშაულის ფორმებისა და სახეობების, მათთვის ტიპიური ბანალური ემპირიული აღწერით, მხოლოდ იმით აღემატებოდნენ არსებულ საბჭოთა გამოკვლევებს, რომ მათში აღწერილი იყო საბჭოთა მეცნიერთათვის უცნობი მასალა. ტრანსნაციონალური, კორპორატიული, ორგანიზებული და

სხვა სახის დანაშაულის აღწერა ინფორმაციულად „სიახლეს" წარმოადგენდა, მაგრამ მხოლოდ ინფორმაციულად. იმავდროულად ინტერესს კრიმინოლოგიური აზროვნების სხვა მდგომარეობაც წარმოადგენდა: სოციოლოგიური ემპირიზმი ნორმატივიზმთან არათუ წინააღმდეგობაში მოდიოდა, არამედ მასთან ბრწყინვალე შეგუებასაც ახორციელებდა. ამრიგად, თავად მსოფლიო კრიმინოლოგიურ აზროვნებაში არაფერი შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლმხედველობითი პოტენციალი კაცობრიობის პროგრესს თვისობრივად უნდა გაეუმჯობესებინა.

კრიმინოლოგია დღემდე ვერ ფლობს ისეთ სტაბილურ კატეგორიალურ აპარატს, რომელიც არამხოლოდ ლოგიკურად, არამედ ისტორიულადაც ადეკვატურად ახსნიდა დანაშაულობას კაპიტალისტურ სისტემაში. ჯერ კიდევ არ არის დაძლეული კრიმინოლოგიური გაგების ძირითადი ხარვეზები – არ გადაწყვეტილა დანაშაულის საზომის პრობლემა, ანუ არაა შემუშავებული მისი ძირითადი კრიმინომეტრიული ნაწილი. იძულებულები ვართ ვაღიაროთ, რომ თანამედროვე კრიმინოლოგია ვერა და ვერ გამოვიდა ბავშვობის ასაკიდან და მთელი რიგი შეცდომებით არჩეული მეთოდოლოგიური პრინციპების გამო მას არ ძალუძს ნამდვილ მეცნიერად იქცეს. უარყოფით როლს ამ მხრივ ორი ფაქტორი ასრულებს.

ერთი მათგანი პრაქტიკას განეკუთვნება. ამ მიმართულებით უნდა ვაღიაროთ, რომ მნიშვნელოვან გავლენას კრიმინოლოგიურ ძიებაზე ახდენს საუწყებო პრაქტიკა, რომელიც პირველი არეგისტრირებს დანაშაულს, ახდენს მისი სახეობების კლასიფიცირებას, აფიქსირებს პირველად მასალას, აუცილებელს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და საგამოძიებო-სასამართლო განხილვისათვის. მოქმედებათა და აზროვნების მოცემული სახეობა ინდუქციური აღწერისა და ახსნა-განმარტების ფარგლებს ვერ სცილდება. სამართლებრივი ნორმა ქმნის საზოგადოების შესახებ წარმოდგენას ისეთი აბსტრაქტული ფორმით, როგორი დამოკიდებულებაც მას რეალური სამყაროს მიმართ გააჩნია. კრიმინოლოგების დასკვნები ამასთან დაკავშირებით საუწყებო რეკომენდაციებისა და ობივატელური მსჯელობების ნაზავის ხასიათს ატარებენ.

მეორე უარყოფითი ფაქტორი მომდინარეობს სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სხვა დისციპლინების ემპირიზმისაგან, რომლებსაც კრიმინოლოგია დანაშაულობის მიზეზთა აღსაწერად იყენებს. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისტორიზმის უგულვებე-

ლყოფის დომინირება.

კრიმინოლოგიური გაგების პრობლემა – ეს უპირველ ყოვლისა მსოფლმხედველობრივი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაც სტაბილური ლოგიკურ-ისტორიული კატეგორიალური აპარატით კრიმინოლოგიურ თეორიასთან მიახლოების საშუალებას მოგვცემს. ამიტომ, შევუდგებით რა თავად კრიმინოლოგიური გაგების გააზრებას, ამით შევეცდებით დავადგინოთ ის საშუალება, რომლის დახმარებითაც ცდილობენ დანაშაულობის წიაღში შეღწევას. ხატოვნად რომ ვთქვათ, ვცდილობთ გავიგოთ თავად კრიმინოლოგიური გაგება.

წინამდებარე ნაშრომში ვცდილობ კრიმინოლოგიაში დაგროვილი მეთოდოლოგიური გადაცდომების გაანალიზებას, რომლებიც კრიმინოლოგიურ აზროვნებაში წინააღმდეგობებითაა გამოწვეული. წამოყენებულ დებულებათაგან მხოლოდ ზოგიერთი იქნა განვითარებული სხვადასხვა წლებში ჩემს მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში. მაგრამ რაკი გვსურს ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევა წამოწყებული ძიების ძირითად დებულებებზე, ისინი კვლავ გადმოიცემიან გარკვეული სარედაქციო ცვლილებებითა და დამატებებით. მთლიანობაში კი მასალა იმ პრობლემებს ეხება, რომელთა გადაწყვეტაც, ავტორის აზრით, დღესდღეობით ძალზედ მნიშვნელოვანია.

წინასწარ ჯერ მასალის განლაგების კრიტერიუმს შევეხები. გამოვდივარ იმ დებულებიდან, რომ დანაშაულობის არსებობა წარმოქმნილია უშუალოდ დანაშაულობის გენეზისით და მისდამი სამართლებრივი ურთიერთობის პროცესით. თუმცა ისინი ზედაპირზე როგორც დამოუკიდებელ მოვლენებად ისე წარმოსდგებიან, რომელთაც არ გააჩნიათ ერთმანეთთან შინაგანი კავშირი. დანაშაულობასთან ბრძოლის ყოველდღიური პრაქტიკა და სასამართლო-საგამოძიებო გამოცდილება ობივატელს არწმუნებს აზროვნების ორი დამოუკიდებელი – კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლებრივი მოდელების არსებობაში. სინამდვილეში სისხლის სამართლებრივი აზროვნება კრიმინოლოგიური აზროვნების ნაწილს წარმოადგენს, რადგან სისხლის სამართალი, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გამოვლინების ფორმა, დანაშაულობის გენეზისის აქტიური მონაწილის სახით არსებობს. ასეთია ისტორიის მკაცრი ლოგიკა, რომლის გვერდის ავლა მეტად რთულია.

იმთავითვე სისხლის სამართალი სარკასტულია. იგი არამხოლოდ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს დანაშაულის გენე-

ზისისათვის, არამედ იმავდროულად ფეტიშირებულ ფორმადაც წარმოდგება, რომელშიც ვირტუალურად ვლინდება დანაშაულობის საზოგადოებრივი ხასიათი. ამრიგად, კრიმინოლოგიური ხასიათის ყველა მინი-თეორიისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის პრობლემატიკა გამომაქვს სამართლებრივი ურთიერთობის, როგორც დანაშაულის გამოვლენის, სფეროში.[4] იურისტები, როგორც წესი, მსჯელობდნენ სისხლის სამართლებრივი დოგმატიკის ყველა წვრილმან დეტალზე და იმავდროულად ვერ იაზრებდნენ იმას, რომ სისხლის სამართალი, როგორც სახელმწიფოს „ნების" გამოვლენის ხერხი, ამავე დროს არის დანაშაულობის გენეზისის მომენტი. და ამ საიდუმლოს დანაშაულობა ხსნის. სწორედ დანაშაულობა გვაიძულებს სისხლის სამართლებრივი აზროვნების განსჯითი სამყაროს კატეგორიებიდან დავეშვათ გონის სამყაროში, რომლისკენაც კრიმინოლოგია უნდა მიისწრაფვოდეს.

ამგვარად, სისხლისსამართლებრივი აზროვნების წინააღმდეგობანი – ეს მხოლოდ დანაშაულობის ფეტიშერებული აღქმის ეტაპია იმ სახით, როგორითაც იგი შეიმეცნება. შესაბამისად, სამართლებრივი მასალის დედუქციის კარდინალურად სხვაგვარი აგება კრიმინოლოგიაში ნათელს მრავალ საჭირბოროტო პრობლემას მოჰფენს. აღმოჩნდება, რომ სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის, კრიმინალიზაციისა თუ დეკრიმინალიზაციის დევიანტური აქტების, მათი პენალიზაციისა და მისთ. პრობლემები კრიმინოლოგიის პრობლემებს წარმოადგენენ. აქ სრულიად უადგილოა ადამიანის ბუნებრივი უფლებების, ჰუმანიზმისა და სხვა იდეები, რომლებსაც სამართლის ლიბერალური მიმართულების მომხრეები იცავენ. იღებს რა ტრანსნაციონალურ ხასიათს, დანაშაულობა სასტიკად ამიწებს „სამართლებრივი ჭეშმარიტების" ფსევდო-მაძიებლებს. ამ თვისებით დანაშაულობა არ ცნობს სამართლებრივ საზღვრებს და რატომღაც

4 სხვათა შორის, სოციოლოგიური მიმართულების თანამედროვე კრიმინოლოგიაში უკვე ხვდებიან, რომ სამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულობის გენეზისის არსებით კომპონენტს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ლ. სიგელი, ბოსტონის ჩრდილო-აღმოსავლეთის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროფესორი, შემდეგნაირად განსაზღვრავს კრიმინოლოგიას: კრიმინოლოგია არის ცოდნათა ერთობლიობა, რომელიც დანაშაულს განიხილავს როგორც სოციალურ მოვლენას; იგი მოიცავს კანონთა მიღების, კანონთა დარღვევის პროცესებს და რეაქციებს კანონთა დარღვევაზე (L. Siegel (2007), *Criminology: Theories, Patterns, and Typologies*, Tenth Edition, Publisher: Wadsworth, p. 4).

ყოველთვის განეზიდება მათ, ხოლო გახშირებული ეკონომიკური კრიზისები გვიჩვენებენ, რომ კეკლუცობა სამართალთან, როგორც რაღაც დამოუკიდებელ, რომელსაც ვითომცდა არაფერი საერთო არა აქვს დანაშაულობასთან, წარმოადგენს არსებული კრიმინოლოგიური გაგების შეცდომას. პრევენციული პროგრამების გამუდმებული რღვევა – ეს არის საფასური, გაღებული ფუნდამენტური საკითხების იგნორირებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულობის გენეზისის სინამდვილესთან.

რამდენიმე სიტყვით შევეხები ნაშრომის სტრუქტურას. მის პირველ ნაწილში გააანალიზებულია თავად კრიმინოლოგიური აზრის წინაალმდეგობები, რომლებიც მისი არსებობის ობიექტური პირობების გამო წარმოიშვნენ. შემაფერხებელ ფაქტორად წარმოჩინდა დანაშაულობათა საზომის პრობლემა, რასაც კრიმინოლოგიური აზრი ტოტალური წყობის პირობებში დაუპირისპირდა. ამ ისტორიულ ეპოქაში კრიმინალიზირებადი აქტის ინდივიდუალური თვისებები ყველაზე სრულად იჩენენ თავს სისხლის სამართალში და წარმოქმნიან ამოსავალ ბაზას კრიმინოლოგიაში დანაშაულებრივი ქცევის მქანიზმის განსაზღვრის მიზნით. მაგრამ მთლიანად კრიმინოლოგიური აზროვნებისათვის მოცემული გამაერთიანებელი დასაბამი რჩება გამოცანად.

ტოტალური მართველობა განზე მოისვრის დანაშაულობათა გენეტიკური ერთიანობის პრობლემას, რამეთუ ისინი განიხილებიან იმ დამახინჯებული ფორმით, როგორითაც დანაშაულობა სამართლებრივ ურთიერთობაში ანუ სახელმწიფოსთან მიმართებაში ვლინდება. ასე, რომ დანაშაულობის რეალური გაზომვის მცდელობა კვლავაც ვერ გვირგვინდება წარმატებით, ღიად უტოვებს რა მეცნიერებას კითხვას: რატომ არ ძალუძს იურიდიულ პრაქტიკას დაადგინოს გენეტიკური საერთო, ზოგადი, რომელიც ყოველთვის პულსირებს სხვადასხვა დანაშაულობებში და, მაშასადამე, რეალურია, ანუ მოცემულია დანაშაულობებამდე? როგორ გაიზომოს მათი ერთიანობა, რისგან დავიწყოთ დანაშაულობათა ერთიანობის ფორმირების პროცესის გაზომვა?

წარმოების აზიური საფეხურის (რუსეთის სინამდვილეში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების არქაული ფორმა წარმოების ე.წ. „სოციალისტურ ფორმად" წოდებული) გადასვლა კაპიტალისტურზე ახშირებს და უფრო ინტენსიურს ხდის დანაშაულობის გაზომვის სისტემის აგების კრიმინოლოგიურ ძიებებს. თუკი სამარ-

თლებრივ ურთიერთობაში დანაშაულობა აისახება სწორედ როგორც გაუცხოების ხერხი, მაშინ კაცობრიობის პროგრესის კვალობაზე იგი ნაწილობრივ ასახვას გაუცხოების მოხსნით დაიწყებს. თუ რა სახით იქნება დანახული დანაშაულობა და როგორ იქნება გადატანილი აქცენტი დანაშაულობის ამ ნიშანთვისებებზე, – დამოკიდებულია საკუთრების განვითარების ისტორიულ საფეხურზე და შესაბამისად, სოციალური გაუცხოების პროცესებში სახელმწიფოს როლსა და ადგილზე. სახელმწიფოს მიმართება გაუცხოების პროცესებისადმი განსაზღვრულ ფორმებში იკვეთება. მაშასადამე, სანამ კრიმინოლოგია არ გაიაზრებს დანაშაულობის სახელმწიფოებრივი ასახვის ფორმებს, ანუ სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებას, მანამდე იგი ვერ შეეხება დანაშაულობის გაზომვის პრობლემას. აი, თუ რატომაა მოცემული ჩვენს ნაშრომში დანაშაულობის სახელმწიფოებრივი ასახვის ფორმების მიმოხილვა. ვსახავთ რა მოცემულ მიდგომას, არ ვივიწყებთ იმ ფაქტს, რომ დანაშაულობის, მისი მიზეზების და დანაშაულობის ე.წ. წინასწარი აღკვეთის ხელახალი წარმოდგენა კრიმინოლოგიაში აზროვნების მოარულ ფორმებად იქცევა. რეალობის მსგავსი ხელახალი წარმოდგენა შემეცნების მთელს გზაზე ხდება და კრიმინოლოგიური პრობლემის დიალექტიკური განხილვის მცდელობებისას ყოველგვარი თანამიმდევრულობა იწვევს იმას, რომ დიალექტიკის ჩანაცვლებას იწყებს ემპირიზმი.

ნაშრომის მეორე ნაწილში გამოკვლეულია კრიმინოლოგიის კრიმინომეტრიული პრობლემატიკა.[5] მისი გადაჭრის გზაზე წინაღობად იურისტთა შორის გაბატონებული დანაშაულობის ემპირიულ-ნომინალისტური ხედვა დგას, რომელიც საზოგადოებისა და დანაშაულობის განვითარების კანონზომიერების ურთიერთდაკავშირებას აბუნდოვნებს. დანაშაულობის განსაზღვრის დროს იურიდიული მიდგომა ძირითადად დანაშაულობის დეტერმინაციის დაცალკევებული აღწერისკენ იხრება. ძირითადად ახსნის პროცესში პლურალიზმი დომინირებს და არა მონიზმი. ამასთან, დანაშაულობის ანალიზისას დიალექტიკის კანონების გამოყენება არამხოლოდ შეზღუდულია კრიმინოლოგიაში, არამედ გაუგებარი სახით დამახინჯებულია კიდეც. ამიტომ მნიშვნელოვანია გავიგოთ აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომების ურთიერთდაშორების სათავეების პრობლემა, რამეთუ მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მნიშვნელოვანი

5 კრიმინოლოგიაში „კრიმინომეტრიად" აცხადებენ მის იმ სფეროს, რომელშიც შეიმუშავებენ დანაშაულობის საზომის საკითხებს.

იმის ცოდნა, თუ რომელი კრიმინოლოგიური „თეორიით" გახდება შეუძლებელი კრიმინომეტრიის გადაწყვეტა.

ემპირიულ-ნომინალისტურ მიდგომას დანაშაულობის არსობრიობის კონკრეტულ-ისტორიული ხედვა უპირისპირდება. მაგრამ მოიცილა რა თავიდან ტოტალური მმართველების ბორკილები, აზრმა „გადაღვრილ წყალს ბავშვიც გადააყოლა." კლასობრივი ბრძოლის შესახებ სადისკუსიო დებულებების კვალობაზე, მეცნიერთა მიერ უარყოფილ იქნა ისტორიის ლოგიკის გამოყენების შესახებ კაცობრიობის ფილოსოფიური აზრის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა. დასავლელი კრიმინოლოგების გასაკვირად, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ჩამოყალიბდა დანაშაულობის მრავალფაქტორული განმარტება როგორც დასავლელი და საბჭოთა კრიმინოლოგების საერთო პოზიცია. ამგვარად, თანამედროვე კრიმინოლოგიაში ისტორიულ მეთოდზე უარის თქმამ თავის აპოგეას მიაღწია. ამავე დროს, მეცნიერებმა ვერ შეამჩნიეს, რომ ამავე მეთოდში დანაშაულობის არაისტორიული ხედვის საფუძველი კაპიტალის დაგროვების იგივე კანონს წარმოადგენს, რომელიც დანაშაულობას ასაზრდოებს და თავის თავთან ობივატელისათვის ფეტიშირებულად და დამახინჯებულად მიწოდებულ ფორმებში კაპიტალისტური ურთიერთობების კრიმინოგენურ როლს აკავშირებს. ამიტომ უარის თქმა ისტორიულ მეთოდზე და მისი დასკვნების დაყვანა „კონფლიქტის" რიგითი თეორიის დონემდე საკითხის ობიექტურად განპირობებულ იგნორირებას მოასწავებს: რა კავშირი არსებობს კაპიტალის დაგროვებასა და დანაშაულობის მრავალფაქტორულ განმარტებას შორის?

ნაშრომის მესამე ნაწილი ახალი კრიმინოლოგიური თეორიის — დანაშაულობის ნეგაციის თეორიის პრობლემატიკას ეძღვნება. მოცემული თეორიის აგების წანამძღვრების თავისებურებებს მკითხველი დაწვრილებით წინამდებარე ნაშრომში გაეცნობა. შევეხები მოცემული ნაშრომის იდეოლოგიურ ასპექტს, რომელიც მეცნიერებაში პროვინციალიზმისადმი კრიტიკული მიმართებითაა განპირობებული. ეს ფენომენი ტიპიურია იმ მკვლევართათვის, რომლებიც ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრებას საზღვარგარეთ შემუშავებული სხვადასხვა თეორიების გადაწერით ცდილობენ. ქართულ უნივერსიტეტებში შემოთავაზებული კრიმინოლოგიის კურსები დანაშაულობაზე სწორედ იმ ტიპის დამკვირვებლების პოზიციას ასახავენ, რომელთაც, როგორც მ. ჰაიდეგერი წერდა, არ ძალუძთ „გააცნობი-

ერონ თავიანთი ყოფიერება, შეგნებული ჰქონდეთ პასუხისმგებლობა მისთვის". მათ არამხოლოდ არ შეუძლიათ თავიანთ ქვეყანაში რომ ყოფიერების პრობლემას ჩასწვდნენ, არამედ, რაც მთავარია, მათი მოქმედებები მოუფიქრებელი და ბუნდოვანი რჩება. კრიმინოლოგიურ კურსებში დანაშაულობის სამყარო არამხოლოდ გაუგებარი და რთულად ასახსნელია, არამედ, რაც მთავარია, ფენომენოლოგიურიცაა. მკაცრი აკადემიური მიდგომის ნაცვლად ყველგან მჭვრეტელის თვალსაზრისი ბატონობს. სტუდენტებს სახელმძღვანელოებსა და ლექციებზე თავს საზღვარგარეთული ექსპერიმენტების იდეალებს ახვევენ, რომელთა კრიტიკული გააზრებაც მათ არ ძალუძთ. ისღა გვრჩება, რომ ქართველ კრიმინოლოგებს პოეტის სიტყვები შევახსენოთ: „ნუ გაცვლი სალსა კლდეებსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...".

ნაშრომის მეოთხე ნაწილში განხილულია სამართლებრივი ურთიერთობების გააზრების პრობლემები – ფორმების, რომლებიც ზეგავლენას დანშაულობის არსობრიობის ხედვაზე ახდენენ. სამართალმიმართების გააზრების პირველი მცდელობა მოცემულია პლატონის, არისტოტელესა და ჰეგელის ადრეულ შრომებში, რომლებიც ტრანსცენდენტურობის ანალიზით მეცნიერების ჭეშმარიტ გზაზე დაყენებას ცდილობენ.

განსაკუთრებული ადგილი რელიგიის საკითხებს უკავია. ახალი აღთქმა პირველი გაკვეთილია, რომელიც კაცობრიობამ ცუდად დაისწავლა. კრიმინოლოგიური მსოფლმხედველობის დიდი ნაწილი ტოტალური მართველობის პირობებში ანუ არაეკონომიკური იძულებისას ვითარდებოდა. დანაშაულობათა გამრუდებული განხილვის ფესვები თანამედროვე კრიმინოლოგიაში სწორედ ამ პერიოდშია გადგმული. მოცემულ ისტორიულ პირობებში დანაშაულებრივ თვისებათა მონიშვნისას პოზიტიური სამართლის თვალსაზრისი არამხოლოდ ერთადერთი აღმოჩნდება, არამედ დანაშაულობაზე მთელ მსოფლგაგებას დაედება საფუძვლად. გამოსვლა ამგვარი გაგების წინააღმდეგ შორეულ საუკუნეებში კრიმინოლოგიას არ შეეძლო, რამეთუ იგი არ არსებობდა, ხოლო დანაშაულობის გაგების გამონათებები მთლიანად სასჯელის შესახებ იმ სწავლებებში ითქვიფებოდა, ჯერ კიდევ ძალებს რომ იკრებდნენ. საუკუნეების განმავლობაში შენებადი ვირტუალური სამყარო, სადაც სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის თანაბრობის ნიშანი ისმებოდა, საფუძვლად ედებოდა დანაშაულობის გაგებას. ღიად რჩებოდა საკითხი იმის შესახებ თუ რა მიმართულებით უნდა გამოვლენილიყო კანონდარღვევა

არა ისე, როგორც მას სახელმწიფო ხედავდა, არამედ რასაც იგი სინამდვილეში წარმოადგენდა? არის თუ არა შესაძლებელი „შავბნელი ადამიანების მოქმედებებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება დანაშაულობის გასაგებად საკმარისი აღმოჩნდეს“? და საერთოდ, როგორც დანაშაულობის გამოვლინების ფორმასთან, როგორ სამართლებრივ ურთიეთობასთან გვაქვს საქმე? სახელმწიფოებრივი თვალსაზრისისთვის დამახასიათებელია ფეტიში, რომლისაგანაც არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ მაშინ როგორ ავიცილოთ იგი თავიდან? პრობლემატიკის აღმოცენების მთლიანი აღქმის პირველი მცდელობა დანაშაულობის შესახებ ახალ აღთქმისეულ წარმოდგენებში ფიქსირდება.

დანაშაულობა, როგორც გაუცხოების დაძლევის ხერხი მანამდე აღმოცენდება ვიდრე მის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება, როგორც გაუცხოების საშუალება, ისე ჩამოყალიბდება. სამართლებრივი ურთიერთობა ისეთ განსაკუთრებულ მოძრაობას წარმოადგენს, სადაც არ ჩანს, რომ დანაშაულობები წარმოიშვება როგორც გაუცხოების დაძლევის საშუალება და ჩანს მხოლოდ ის, რომ ისინი ისეთ საშუალებებს წარმოადგენენ, რომლებიც თავად იწვევენ საზოგადოებაში გაუცხოებას. დანაშაულობასთან ხდება ურთულესი მეტამორფოზა: იგი არ უკავშირდება კონკრეტული საზოგადოების სოციალურ კანონებს, არამედ მიემართება დანაშაულთა კონკრეტული ფორმების ლოკალური მიზეზებისკენ. სახელმწიფო მოხელე, ობივატელი, ჟურნალისტი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები „ჯგროდ“ სოლიდარულნი არიან დანაშაულობის ხედვაში იმ სახით, რა სახითაც იგი სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოსდგება. აღმოცენდება ისეთი განსაკუთრებული კრიმინოლოგიური აზროვნება, რომელიც სამარათლებრივი ურთიერთობის მიერ თავსმოხვეული ილუზიის ხელმწიფების ქვეშ აღმოჩნდება. ისტორიულად სამართლებრივი ურთიერთობის დამამახინჯებელი როლის აბსოლუტიზაციის კრიტიკის პირველ მცდელობას რელიგიური კრიტიკა წარმოადგენდა. კრიტიკის შემდგომი ფორმა ბუნებით-სამართლებრივი სწავლება იყო. დაბოლოს, უკანასკნელ ფორმას ფილოსოფიურ-სამართლებრივი კრიტიკა წარმოადგენს. ყველა ეს საკითხი განხილულია ნაშრომის მეხუთე ნაწილში, სადაც კრიმინოლოგიაში აზროვნების იურიდიული მცდელობისაგან თავის დასაღწევად ბუნებით-სამართლებრივი და ფილოსოფიურ-სამართლებრივი მცდელობებია გაანალიზებული.

ნაშრომის მეექვსე ნაწილში გამოკვლეულია დანაშაულობის

ფეტიშიზაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. კერძოდ, ხორციელდება სამართლებრივი კატეგორიების კვლევა იმ ფორმებში, რომლებსაც ისინი დანაშაულობაზე სახელმწიფოს რეაქციის ზედაპირზე იღებენ. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო კრიმინოლოგიაში არსებული პრობლემა არ დგას, რამეთუ მთელი კრიმინოლოგია ფეტიშირებული კატეგორიებით ხელმძღვანელობს. სამწუხაროდ, მხოლოდ კორუფციის მასალაზე დაყრდნობით ხდება ფეტიშის პრობლემის გააანალიზება. მაგრამ ეს ანალიზიც კი საკმარისია იმისათვის, რომ კატეგორიების ის ვირტუალური სამყარო იქნას გაგებული, რომლითაც კრიმინოლოგების ობივატელური დასკვნები საზრდოობენ. სამართლებრივი კატეგორიები ხომ, კრიმინოლოგიის თვალსაზრისით, ირაციონალურ კატეგორიებს წარმოადგენენ. ამიტომ მათ ცუდ მდგომარეობაში აგდებს ფაქტების არა აღწერა, არამედ ფაქტების ახსნა. შეუძლებელია არ აღინიშნოს, ის რომ კრიმინოლოგიური მეცნიერება ნამდვილად არ იმყოფება იმ საფეხურზე, რომ ახსნა-განმარტებები გასცეს, – ჯერ-ჯერობით იგი თავადაც საკითხის მხოლოდ გაცნობიერებითაა დაკავებული.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით მინდა პლატონის სიტყვები გავიმეორო: „მე არაფერი არ ვიცი და არაფერს არ ვასწავლი, მე მხოლოდ ვეჭვობ". წინამდებარე კრებულში თავმოყრილი წერილები დანაშაულობის ნეგაციის თეორიისთვის ძირითადად მოსამზადებელ ხასიათს ატარებენ, რომელზეც ოცდაათი წელია ვმუშაობ. ზოგიერთ მათგანში მოცემულია საკითხის წამოჭრის კონტურები, სხვებში კი იმ პრობლემების კერძო ასპექტებია შემუშავებული, რომლებსაც კრიმინოლოგიური აზროვნება აწყდება. ყველას ერთად კი დანაშაულობის ნეგაციის თეორიამდე მივყავართ. თეორიამდე რომლის შემუშავებითაც უნდა დასრულდეს კრიმინოლოგიის საფუძვლების ავტორისეული ხედვის ჩამოყალიბება.

I ნაწილი

კრიმინოლოგიური თეორიის გააზრების პრობლემა

1.1. კრიმინოლოგიური თეორიის წინააღმდეგობები ტოტალიტარული მმართველობის პირობებში[6]

1.1.1. წინარე შენიშვნები

როგორც ცნობილია, მმართველობის ადმინისტრაციულ-ბრძანებლურ ფორმებზე უარის თქმის კვალობაზე საზოგადოებაში ბუნებრივად გამწვავდა მოთხოვნილება დროულად – ჩანასახშივე გამკლავებოდნენ ნებისმიერ ნეგატიურ მოვლენებს. ზვავივით მოზღვავებულმა დანაშაულებმა მოახდინეს მათზე რეაგირების ახალი პრევენტიული საშუალებების მოძიების სტიმულირება მისი გენეზისის ადრეულ სტადიებზე, დანაშაულის ე.წ. „სამშენებლო მასალის“ დაგროვების სტადიაზე. მიმდინარე ცვლილებები, არსებითად, ნიშნავდა, კრიმინოლოგიური აზროვნების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრების ათვლის წერტილის შეცვლას. ამავე დროს ძირითადი საკვანძო მიმართულებები არ განხილულა და დღემდე ისინი ჩრდილშია მოქცეული.

პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია ფილოსოფიურ დონეზე გავიაზროთ დანაშაულობის ბუნება. საქმე ეხება დანაშაულობათა ბუნების წინააღმდეგობათა გახსნას, ანუ იმ ნიშანთვისებათა წინააღმდეგობას, რომლებიც დამახასიათებელია დანაშაულობისათვის, როგორც ნებელობითი აქტებისათვის და როგორც მათი ისტირიულად აღმოცენებადი გამაერთიანებელი საწყისის მატარებელთათვის. კრიმინალური აქტის ინდივიდუალური თვისებები ყველაზე სრულად გახსნილია სისხლის სამართალში და ისინი წარმოქმნიან ჯერ-ჯერობით ამოსავალ ბაზას კრიმინოლოგიაში დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის განსაზღვრისათვის. მაგრამ მეცნიერებისათვის ეს გამაერთიანებელი საწყისი გამოცანად რჩება. მეტიც, მათი გენეტიკური ერთიანობის პრობლემა საერთოდ არ დგას იმის გამო, რომ დანაშაულობა განხილულია დანაშაულობისადმი სახელმწი-

---

6 აღნიშნული თემატიკა განხილულია ნაშრომში: Г.Тодрия (1989), Проблемы перестройки криминологического мышления, «Мацне», № 1, с. 102 – 111

ფოს დამოკიდებულებით, დამახინჯებული ფორმით. ასეთ ფორმად იურისტების აზროვნებაში წარმოსდგება დანაშაულთა საშიშროება იმ ურთიერთობებისთვის, რომლებსაც სახელმწიფო იცავს. ის საკითხი, თუ რა როლს ასრულებს სახელმწიფო საზოგადოების კრიმინალიზაციაში, ამ ვირტუალური სამყაროში არ დგას. ამრიგად, გენეტიკური უზოგადესის ნაცვლად, აქ იკვეთება ფორმალური საერთო, ზოგადი როგორც „საზოგადოებრივი საშიშროების" კატეგორია. ამგვარად, „დანაშაულობის საზოგადოებრივი საშიშროების" კატეგორიის პრიზმაში, ანუ იმ კატეგორიისა, რომელიც ასახავს არა დანაშაულობის გენეზისს, არამედ სახელმწიფოს მიმართებას დანაშაულობისადმი, კრიმინოლოგი დანაშაულზე ხედვას იწყებს კრიმინალისტის თვალით. სწორედ ამ გზაზე წარმოიშვება არსებული კრიმინოლოგიური აზროვნების წინააღმდეგობრიობის მთელი გორგალი.

ტოტალიტარულ სახელმწიფოში დანაშაულობა აღიქმება როგორც შემთხვევითი მოვლენების კონგლომერატი. განსაკუთრებით ცხადად ეს ჩანს დანაშაულთა „საზოგადოებრივი საშიშროების" კატეგორიაში. როგორც პოზიტივისტური კრიმინოლოგიის მომხრეები აღნიშნავდნენ, იურიდიული პრაქტიკის თვალსაზრისით, „საზოგადოებრივი საშიშროების პრინციპის არსი მდგომარეობს... იმის აღნიშვნაში, რომ აუცილებელია თითოეულ ჯერზე განხილულ იქნას და გადაწყდეს მთელი წრე საკითხებისა, დაკავშირებული ქმედებათა კონკრეტული სახეობის სპეციფიკური საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებასთან...". ამიტომაც მიღებულია, რომ შეუძლებელია „წინდაწინ დადგენილ... და დასახულ იქნას მისი არსებობის ოპერაციონალური კრიტერიუმები".[7] ამრიგად, თავიდანვე უარყოფილია დანაშაულთა ერთიანობა, რადგან ინდუქცირად გაგებულ ზოგადს არ გააჩნია რეალური ერთიანობა. ასეთი თვალსაზრისი მცდარია. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ავსტრალიელი კრიმინოლოგები იან ტეილორი (კარლტონის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი), პოლ უოლტონი (სიდნეის ხელოვნებათა კოლეჯის ვიზუალური კომუნიკაციების მასწავლებელი) და ჯოკ იანგი (მიდლსექსის უნივერსიტეტის სოციოლოგი), „მნიშვნელოვანია თავიდანვე მივხვდეთ, რომ უმარტივეს დონეზე პოზიტივისტი... იცავს თავისი სამყაროს რეალობას",[8] ანუ სახელმწიფოს სამყაროს. ამგვარად, იმთა-

7 Основания уголовно–правового запрета». М., 1982, с. 217

8 I.Taylor, P. Walton, J.Young (1973), The new criminology: for a social theory of

ვითვე უარყოფილია დანაშაულობთა ერთიანობა, რამეთუ კონკრეტული სახეობრივი ინდივიდუალურობა მსგავსი სახეობების თანად წარმოქმნის ინდუქტიურ საერთოს, ზოგადს, რომელშიც არ არის და არც შეიძლება იყოს მათი დაფარული ერთიანობა.[9]

კრიმინოლოგია ვერ შესძლებს ამ სიძნელეთა დაძლევას, თუკი არ უპასუხებს კითხვებზე: რატომ არ ძალუძს იურიდიულ პრაქტიკას დაადგინოს გენეტიკური საერთო, ზოგადი, რომელიც ყოველთვის პულსირებს სხვადასხვა დანაშაულობებში და, მაშასადამე, რეალურია, ანუ მოცემულია დანაშაულობებამდე? როგორ განიზომოს მათი ერთიანობა, რისგან უნდა დაიწყოს დანაშაულობათა ერთიანობის ფორმირების პროცესი?

დასაწყისისთვის კრიმინოლოგიური მეცნიერება ორიენტირებული უნდა იყოს დანაშაულობის გაგების პარადოქსების ანალიზზე, რომლებიც იურიდიულ პრაქტიკაში წარმოიშვება. საკითხის

---

deviance, London and New York, p. 32

9 კაპიტალიზმის სამეურნეო ურთიერთობათა გართულება ცვლის გაბატონებული სისტემის ნორმატიული წესდებულებების სიმკაცრეს. საერთო, ზოგადი დეფინიციური იმპერატივების თანად ცხოვრებაში შემოდიან კაზუისტური ნორმები. ასე, თაღლითობის საერთო შედგენილობა ივსება ამ ქმედების შემადგენილობათა სიმრავლით და მისთ. და ეს პროცესი გრძელდება. საკითხის გადაწყვეტა გადააქვთ მაგალითების განმარტებებისა და სასამართლო კომენტარების სფეროში. რატომ? რა მოვლენასთან გვაქვს ჩვენ საქმე? ცხოვრება თავად უკუაგდებს ნომინალიზმს, სამართლის პრეტენზიებს ე.წ. ფორმალურ საერთოზე, ზოგადზე, რომელიც ვითომცდა შეიცავს ყველაზე არსებითს. როგორ შევაკავოთ სამართლის „ერთიანი სისტემურობის“ რღვევა? კაპიტალიზმი სულ უფრო ხშირად აკავშირებს სამართლებრივ რეგლამენტაციას კერძო შემთხვევებთან. და რაც უფრო მეტად იქმს ამას, მით უფრო სწრაფად უჩინარდება ეს საერთო, ზოგადი კერძო შემთხვევების ქვიშაში. სახეზეა აშკარა წინააღმდეგობა: ცხოვრების გართულება მოითხოვს რეგლამენტაციის სტანდარტების ერთგვაროვნობას და იმავდროულად უარყოფს ასეთი ერთგვაროვნობის აუცილებლობას. სისხლის სამართალი ნაწილებად იფლითება საბაზრო ეკონომიკის კანონებით. უკვე ეს მტკივნეული ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ დანაშაულობის არსი არ აღმოცენდება სამართალმიმართებაში. პირიქით, სისხლის სამართალი იძულებულია მიესადაგოს დანაშაულობის ბუნებას. იძენს რა ტრანსეროვნულობის ნიშანთვისებებს, დანაშაულობა იძულებულს ხდის ერთურთს შეურიონ სისხლის სამართლის ანგლო-ამერიკული და რომანულ-გერმანული სისტემები. აღმოცენდება ახალი სისტემა – სისხლის სამართლის დიფუზური სისტემა, რომელიც სისხლის სამართლის რომანულ-გერმანული სისტემის მოსაჩვენებელი სიმკაცრის ნაცვლად იწყებს თვისობრივად სხვა მსოფლიო წესრიგის ასახვას, რომელიც ერების ცხოვრებაში მყარდება.

ასეთ დასმას გვავალდებულებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ისტორიული გამოცდილება, რომელიც ადასტურებს, რომ რაც უფრო მწვავეა ეკონომიკური სიტუაცია, მით უფრო მაღალია პირდაპირი ადმინისტრაციული მეთოდების როლი, და რაც უფრო სტაბილურია მდგომარეობა, – მით უფრო მაღალია საბაზრო მეთოდებისა და არაპირდაპირი რეგულატორების როლი, ისეთებისა, როგორიცაა გადასახადები, კრედიტი, ფასები და სხვ. სწორედ ეკონომიკური სფეროს დასუსტების შედეგად ხდება სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური პროცესების რეგულატორის, როლის აბსოლუტიზირება და საზოგადოება ფეტიშირებულად „გადაიტანება" სახელმწიფოში, ანუ თანასწორობის ნიშანი იდება სახელმწიფოსა და მთელ საზოგადოებას შორის, სახელმწიფოსა და მის აპარატს შორის. ამიტომაც ხდება დანაშაულობის ხედვის დოგმატიზირება იმ სახით, როგორითაც იგი აისახება იურიდიული პრაქტიკის, როგორც სახელმწიფოებრივი მმართველობის პრაქტიკის ნაირსახეობის, პრიზმაში. შესაბამისად, წარმოდგენები დანაშაულზე და მის მიზეზებზე კრიმინოლოგების მიერ წარმოჩინდება როგორც აზროვნების მოარული ფორმები, რომლებიც ამახინჯებენ საგანთა რეალურ მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულად უნდა შევჩერდეთ იმ დოგმებზე, რომელთა ღრმა გააზრება დაგვეხმარება უარი ვთქვათ მათზე.

1.1.2. დოგმა პირველი – თითქოსდა საზოგადოებრივ საშიშროებას სწორედ დანაშაულობანი წარმოქმნიან.

ზედაპირულად შემეცნებადი დანაშაულობათა სამყარო არაორაზროვნად ამტკიცებს ამ ილუზიის მართლზომიერებას: ზიანი, რაც დანაშაულებს მოსდევს, მათ ეკუთვნის. ჩვეულებრივი ცნობიერებისათვის ხომ, რომელიც იურიდიულ პრაქტიკაშია ჩართული, სწორედ დანაშაულობენი წარმოსდგებიან ათვლის ერთადერთ წერტილად. მაგრამ აქ ადგილი აქვს სუბიექტისა და ობიექტის აღრევას. ცხოვრების პირობების გაუარესება, რომლის პროცესში ასევე მონაწილეობს ნებისმიერი ტიპის სახელმწიფო, ანუ მოსახლეობის ნაწილის გაუცხოება საზოგადოებისაგან, გარდაიქმნება დანაშაულობად, რაც მხოლოდ სამართალებრივ ურთიერთობაში ჩანს როგორც სახელმწიფოს საფუძვლებისათვის ზიანის მომტანი მოვლენა. ამ დროს, როგორც სოციალური ურთიერთობების მომენტი, როგორც გაუცხოების შედეგი, დანაშაულობა არა ჩანს. ეს ნიშნავს, რომ დანაშაული, როგორც გაუცხოების მოხსნის რეალური პროცესი,

ჩანს დამახინჯებულად, კერძოდ, როგორც გაუცხოების გამომწვევი პროცესი. ასე, გასული საუკუნის 30-იან წლებში, სსრკ-ში, შიმშილბამდე მიყვანილ ადამიანებს ხვრეტდნენ კოლმეურნეობის ბეღელიდან მარცვლეულის იძულებითი ქურდობისათვის. დანაშაული, როგორც გაუცხოების მოხსნის საშუალება, ტოტალური სახელმწიფოს მიერ აღიქმებოდა როგორც გაუცხოების წარმომშობი მოვლენა, როგორც გაუცხოების საშუალება. სამყაროს ასეთი ხედვა საუკუნეების განმავლობაში იდგამდა ფესვებს ცნობიერებაში და როგორც რუდიმენტი განაგრძობს არსებობას თანამედროვე კაპიტალისტური სისტემის კრიმინოლოგიაში. განსაკუთრებით ცოცხლდება იგი ეკონომიკური კრიზისების პერიოდში.

1.1.3. დოგმა მეორე – თითქოსდა დანაშაულობათა რიცხვი ანუ სახელმწიფოსადმი რეგისტრირებული ნეგატიური დამოკიდებულების რაოდენობა იმავდროულად წარმოადგენს გაუცხოების პროცესის სიდიდის მაჩვენებელს, რომელიც დანაშაულებში გამოიხატება.

ასეთი გაიგივების შედეგად დანაშაულთა მაღალი პროცენტული მაჩვენებლები დანაშაულობის სტრუქტურაში ხშირად (თუმცა არა ყოველთვის) მიიღება როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის მიმართულების ერთგვარი კრიტერიუმი. მაგრამ ამ დროს მხედველობიდან ეპარებათ ის, რომ დანაშაულთა ერთი სახეობის რაოდენობრივი განსხვავება სხვათაგან დანაშაულობის სტრუქტურაში არის რაოდენობრივი განსხვავება რაღაც საერთოსი, ზოგადისა, იმ სუბსტანციისა, რომელიც განსხვავებდა მასში.

დანაშაულთა რიცხვი შეიძლება იყოს გაუცხოების, პირობების გაუარესებისა და სხვა ნეგატიური პროცესების სიდიდის მაჩვენებელი, ანუ ცხოვრების პირობების გაუარესებისადმი მოსახლეობის მიმართების მაჩვენებელი. მაგრამ აქედან არ უნდა გამომდინარეობდეს უკუდებულება, რომ დანაშაულთა რიცხვი უცილობლად უნდა იყოს გაუცხოების სიდიდის მაჩვენებელი. მეტიც, მსგავსი თანხვედრა არ არსებობს რეალობაში და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან გაუცხოების სიდიდე არ არის დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა იგი დანაშაულობთა მეტი თუ ნაკლები რიცხვით. ასეთი არათანხვედრა არაერთგზის იწვევს კადრების შეცვლის, სტრუქტურების რეფორმების სხვადასხვა ტრაგიკომიკურ სიტუაციებს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში, ასევე პოლიტიკურ ბატალიებს ხელისუფლების კულუარებში, გრანტების მაძიებელთა

მოჩვენებით აქტიურობას და სხვ.

აიგივებენ რა დანაშაულთა რაოდენობას გაუცხოების სიდიდესთან ე.წ. „საზოგადოებრივი საშიშროების“ ზრდის რუბრიკის ქვეშ, სახელმწიფო ორგანოები ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდებიან ხოლმე, როცა საკითხი: რა მოძრაობს, რა მოქმედებს დანაშაულობაში, – მიუწვდომელი რჩება დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკისათვის. იგი გადაფარულია ირაციონალური საკითხით: თუ როგორ განირჩევიან დანაშაულობანი მათი „სხეულებრივი ნივთიერების“ მიხედვით. შედეგად დანაშაულობის რეალური სურათი დამახინჯებულია. დანაშაულთა რაოდენობრივი ზრდა განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების პრევენტიული აქტიურობის ზრდას. მაგრამ ეს აქტიურობაც ასევე იწვევს დანაშაულობათა რიცხვის, არსებითად კი – მათი გახსნადობის გაზრდას. იქმნება ჩაკეტილი წრე: ორივე ეს ფაქტორი თანაზიარად განსაზღვრავს ერთმანეთს, მაგრამ ისინი ვერ ცვლიან დანაშაულობის ბუნებას. დანაშაულის იმანენტური შინაარსი გროვდება, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქტიურობის ზრდა ყოველთვის თან სდევს დანაშაულთა რაოდენობრივ აფეთქებას, და ამასთან არ ცვლის მათში შეფარულ ძირითად ბუნებას. აღნიშნულის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტის ილუსტრაცია.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს კრიმინოლოგები გამოჰყოფდნენ ოციანი წლების დანაშაულობას, ომისშემდგომ დანაშაულობას, სამოციანი წლების დანაშაულობას და ა.შ., აღწერდნენ რა მათ თვისობრივ განსხვავებებს, „ისტორიული“ ხასიათის თავისებურებებს. ამასთან ვერ ამჩნევდნენ, რომ დანაშაულობის ეს ფორმები არაფრით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რადგან ასახავდნენ ქვეყნის ეკონომიკის ექსტენსიური მდგომარეობის რღვევის ხანგრძლივ პერიოდს. დანაშაულთა განსხვავება ობიექტურად წარიშლებოდა, რადგან ყველა ისინი წარმოსდგებოდნენ გაუცხოების ერთი და იმავე ისტორიული პროცესის უსახო მატარებლებად. თუნდაც ამ ფაქტის რეტროსპექტიულ ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულთა ერთიანი არსობრიობა დგება მათს ჩადენამდე, მაგრამ გამოვლინდება მათში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაშაულობათა არსობრიობა დგინდება იმ ფორმის გარეშე, რომელიც წარმოდგენილია მათი განსხვავების სახით.

1.1.4. დოგმა მესამე – თითქოსდა გამოთვლის ამოსავალ წერტილად უნდა წარმოდგეს განზოგადებული ფორმით ალებულ კონკრეტულ დანაშაულობათა ეგრეთ წოდებული მიზეზები და პირობები.

ეს პოზიცია თავისი ფესვებით ტოტალური მმართველობის ტიპიურ პირობებს უკავშირდება, როცა საზოგადოებრივი ცვლილებები განიხილებოდა როგორც საქმეთა მდგომარეობა სახელმწიფო მმართველობაში, რა დროსაც სახელმწიფო აპარატი ეგუება იმ აზრს, რომ უწესრიგობანი მის გარეთ არსებობენ, მაგრამ ისინი არ არიან და არც შეიძლება არსებობდნენ, – ყოველ შემთხვევაში დიდნი მაინც, – თავად მის მუშაობაში. ამგვარად, ნებისმიერი ნეგატიური ცვლილება საზოგადოებაში ამ მოჩვენებითი სტაბილურობის ფონზე აღიქმება როგორც ლოკალური ფაქტი, რომელსაც არა აქვს არსობრივი მიმართება თავად სახელმწიფოებრივი მმართველობის ფუნქციონირებასთან.

საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში არსებული კრიმინოლოგიის კურსი დღემდე წარმოადგენს მმართველობის ადმინისტრაციულ-ბრძანებითი ტიპის პირობების გამოძახილს, რომლებშიც იგი ჩაისახა. ახალი დროის ფაქტოლოგიური მასალით შელამაზებული ეს კურსი აგრძელებს არსებობას როგორც ცალკეული ნაკლოვანებების კონცეფცია, რომლებიც მასში იწოდება დანაშაულთა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებად და პირობებად. მართალია სოციალური წინააღმდეგობების აღიარება ხდება კაუზალურ განმარტებებში, მაგრამ როცა ამბობს, რომ საერთო, ზოგადი სოციალური მიზეზები დანაშაულობებში ვლინდება მათი მიზეზებითა და პირობებით, ანუ რეალობის იმ მონაკვეთებით, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის მიერ შემწყნარებლურად აღიქმება როგორც ცალკეული ნაკლოვანებები მის მუშაობაში ანდა შემთხვევითი ინდივიდის ცხოვრებაში, მაშინ კრიმინოლოგია კვლავაც უყურებს საზოგადოებაში დანაშაულს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური პოზიციებიდან. ამგვარად, ერთსა და იმავე პლატფორმაზე იჩქმალება დანაშაულობის სიღრმისეული კავშირი საზოგადოების მოძრაობასთან.

ამავე დროს, ეს დოგმაც უარყოფილია გლობალური ისტორიული პერიოდის ფაქტებით ნებისმიერ ქვეყანაში.[10] რა ზომით-

10 თანამედროვე კრიმინოლოგიაში უმაღლესი ალგებრა ჯერ-ჯერობით არის ის ფაქტი, რომელსაც წარმოშობს კაპიტალის დაგროვების პროცესი. მოგების საეთო ნორმის შემცირებისას ქვეყანაში ფართოვდება უმუშევრობის, გაღატაკების,

აც კონკრეტული დანაშაული თავის მსგავსთა რიგში გამოავლენს ეგრეთ წოდებულ ტიპიურ ნიშანთვისებებს, იმ ზომითვე იგი კარგავს მათ. სხვადასხვა დანაშაულობებს უთანაბრებენ სხვა დანაშაულებს როგორც განსაზღვრული ისტორიული დროის მატარებლებს, და ამით აცლიან მათ არამხოლოდ შემთხვევით, არამედ მათ ტიპიურ ნიშანთვისებებს. სწორედ ამ გზით ამოდის ზედაპირზე საზოგადოების ძირითადი პირობების დისფუნქცია.

1.1.5. პრობლემის გადაწყვეტის გზა.

დანაშაულობის იმანენტური შინაარსის გახსნას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ კრიმინომეტრიული პრობლემატიკის გადაწყეტისათვის, რომელიც დანაშაულობის გაზომვას ეხება. აკი მხოლოდ დანაშაულობის ობიექტური საზომის არსებობისას არის შესაძლებელი გამუდმებით ხდებოდეს იმანენტურის, დაკვირვება იმაზე, რაც უცვალებლად შეიძლება არსებობდეს მომავალში. ამგვარად, დანაშაულობის გაგების სწორედ ეს ასპექტი უნდა გახდეს წამყვანი ახალი კრიმინოლოგიის შექმნის გზაზე.

კრიმინოლოგიური აზროვნების სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია მისი ორიენტაცია სოციალური პრაქტიკის იმ ასპექტებზე, სადაც შესაძლებელია კრიმინოლოგიური დასკვნების ჭეშმარიტობის კრიტერიუმთა გამოვლენა. ამასთან დაკავშირებით, არსები-

---

კორპორაციული ომებისა და მისთ. საბაზრო ეკონომიკის მოვლენები, რომლებიც შესაბამისად ასტიმულირებენ დანაშაულობას. ამ მოვლენების სურათი მოჩანს როგორც დანაშაულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი სხვადასხვა ფორმებისა და სახეობების მოზაიკა. მოჩანს რაიმე კანონზომიერი კავშირის არარსებობა, თუმცა იგი მაინც შეიგრძნობა. ამასთანავე, როგორც ფაქტორი, რომელიც შეაკავებს მოგების საერთო ნორმის შემცირებას, დანაშაულობა უკვე გაუსახურებულია, რადგან წარმოსდგება როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის ეკონომიის არსებითი ფაქტორი. დიურგკეიმის სიტყვები – „ნორმალურია დანაშაულობის თვით არსებობა იმ პირობით, რომ იგი აღწევს, მაგრამ არ გადაამეტებს განსაზღვრული ტიპის საზოგადოებისათვის დამახასიათებელ დონეს „(Норма и патология – Социология преступности. М.1966, с. 39–40) – სინამდვილეში, უნდა მივაკუთვნოთ დანაშაულობის როგორც მოვლენის როლს, რომელიც შეაკავებს მოგების საერთო ნორმის შემცირებას (უფრო დაწვრილებით ე. დიურგკეიმის დანაშაულობის სოციოლოგიური თეორიის მომოხილვა იხილეთ წიგნში.: Roger Hopkins (2009), An Introduction to Criminological Theory (Third Edition), Published by Willan Publishing, pp. 110–140). ეს თემა არ არის დამუშავებული კრიმინოლოგიაში, რადგან მას ძირს უთხრის ემპირიული ახსნა-განმარტების მასში გაბატონებულ მეთოდი.

თია დანაშაულებრივი რეაგირების, როგორც გაუცხოების მოხსნის, ფორმების განხილვა.

ჩვეულებრივ, კარდინალური გარდატეხა საზოგადოების ისტორიაში ააქტიურებს ნეგატიური მოვლენების შეფასების კრიტერიუმებს, რომელთა შორისაც ერთნი გამოხატავენ დანაშაულობას როგორც გამოვლენის ფორმას, სხვანი კი – როგორც მის არსობრიობას. პრესამ, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა შეიძლება პირდაპირ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები გამოთქვან. ხოლო თუკი მეცნიერული კონცეფცია სამართალდამცავი ორგანოების დიდმოხელეთა ობივატელურ შეხედულებებს იმეორებს, მაშინ თავად ფსევდომეცნიერულ აზროვნებაში ნოყიერ ნიადაგს ეკლექტიზმი პოულობს. ასეთ პირობებში არც თუ ადვილია ობიექტური თვალსაზრისის გამოყოფა, თუკი დანაშაულობა არ განიხილება როგორც გაუცხოების მოხსნის ფორმა, როგორც მოსახლეობის სხვადასხვა ფენების პროტესტი მათი მდგომარეობის მოახლოებული გაუარესების წინააღმდეგ.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ არსებით მომენტად კრიმინოლოგიური აზროვნების განვითარებაში უნდა იქცეს დამოკიდებულების შეცვლა კრიმინოლოგიური მეცნიერებისადმი. ტოტალური სახელმწიფოებრიობის ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, როცა ინდივიდის დაპირისპირება საზოგადოებისადმი აისახებოდა სახელმწიფოს ინტერესის პრიზმაში, წარმოიშვებოდა ილუზია, თითქოსდა სწორედ სისხლის სამართლებრივ წარმოდგენათაგან ყალიბდებოდა კრიმინოლიგიური წარმოდგენები, ანუ თითქოსდა სახელმწიფოსაგან აღმოცენდება საზოგადოება. სამყაროს ესოდენ დამახინჯებული ხედვა არის იურიდიული იდეალიზმის შედეგი, რომელიც იურისტების ცნობიერებაშია ჩანერგილი. შედეგად ეს მისტიფიკაცია განსაზღვრავს იურისტების მიმართებას კრიმინოლოგიისადმი როგორც მეორეხარისხოვანი მეცნიერებისადმი სისხლის სამართლის შემდეგ. ეს ტენდენცია თვალნათლივ ვლინდება კრიმინოლოგიური მეცნიერების სწავლებისას, სტუდენტების მომზადებისას და სხვ. ვიმეორებ, აბსურდული წარმოდგენა საზოგადოების წარმოშობის შესახებ სახელმწიფოსაგან, ხოლო კრიმინოლოგიისა – სამართლებრივი მეცნიერებისაგან აღმოცენდა დანაშაულობის გააზრებაზე ტოტალური რეჟიმის მრავალსაუკუნოვანი ზეგავლენის პერიოდში და ჯერ-ჯერობით აგრძელებს დაუბრკოლებლად არსებობას მსოფლიო კრიმინოლოგიაში ზედაპირზე მდებარე ლოკალ-

ური „დეტერმინანტების“ – ტრანსნაციონალური, ორგანიზებული და მისთ. დანაშაულობათა გამოკვეთის სახით. მეტიც, ეს მიდგომა არამხოლოდ აგრძელებს არსებობას კრიმინოლოგიის სწავლების სისტემაში საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, არამედ იგი „დემოკრატიულად“ ტრანსფორმირდა კიდეც საზღვარგარეთელი მკვლევრების გამოკვლევებით. მათ მიერ განვითარებადი ლიბერალური სოციოლოგიური ემპირიზმი კიდევ უფრო ინტენსიურად ასტიმულირებს დანაშაულობის ლოკალური მიზეზების ისეთი აღწერის ტენდენციას, რომლისაგანაც მეტად ძნელია და შეუძლებელიც ხიდის გადება კაპიტალისტური სისტემის განვითარების ძირითადი კანონებისაკენ.

ამ დროს კრიმინოლოგია მოწოდებულია გამოიკვლიოს საზოგადოების ჩრდილოვანი მხარე, და არა მისი რომელიმე ნაწილი: სამართალი, სახელმწიფო და მისთ. ნეგატიური პროცესები ხომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ნასვრეტში აღწევენ. ამგვარად, მსოფლგაგებაში კრიმინოლოგიური აზროვნება წინ უსწრებს იურიდიულს, რამეთუ იკვლევს საზოგადოების მთელს ბუნებას, მაგრამ, ხატოვნად თუ ვიტყვით, მოცემულს მინუსის ნიშნით. კრიმინოლოგია გამოიკვლევს ყველა სოციალური ფაქტორის ინტეგრატიულ ეფექტს, გამოვლენადს სამართლებრივი მატერიით, მაგრამ მოცემულს მის უწინარეს. მაშასადამე, აბსტრაგირების დონით კრიმინოლოგიური აზროვნება წინ უსწრებს არამხოლოდ სისხლის სამართლებრივ აზროვნებას, არამედ სამართლებრივი მოვლენების საერთო, ზოგად სურათსაც, რომელიც სახელმწიფოსა და სამართლის თეორიად იწოდება.

ტოტალური რეჟიმების მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრიმინოლოგების ცნობიერებაში დაამკვიდრა დამახინჯებული წარმოდგენა, რომ კრიმინოლოგია სისხლის სამართლისაგან ამოიზარდა. პირიქით, კაცობრიობის განვითარების მხოლოდ თანდათანობითი განვითარება გვიჩვენებს, რომ სისხლის სამართალი ყოველთვის უნდა ვითარდებოდეს კრიმინოლოგიდან, ზუსტად ისევე, როგორც სახელმწიფო, მისი ნორმები უნდა აღმოცენდებოდნენ სოციალური პროცესებიდან. ამიტომ კანონზომიერი არ არის, როცა იურიდიულ ფაკულტეტებზე სისხლის სამართლის სწავლების კურსი მოცულობით აღემატება კრიმინოლოგიის კურსს. მოკლედ, ცოდნა სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებისაგან მომდინარე ფენომენის, შესახებ, ამ ჩვენს დამახინჯებულ სა-

მყაროში, უფრო მაღლა დგას, ვიდრე ცოდნა საზოგადოების შესახებ. ახალი დემოკრატების მანტიებით მოსილი რიგი მეცნიერებისა სინამდვილეში კვლავაც იმავე საბჭოთა პროფესურად რჩება. აღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებაა კრიმინოლოგიის უხვად გამოცემადი კურსები, რომლებსაც ეგზომ დახვეწილად ახვევენ თავს სტუდენტებს როგორც ახალ „კრიმინოლოგიურ მხედველობას".

ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ისეთი უნივერსიტეტი, რომელიც ხელიდან გაუშვებდა შესაძლებლობას ყოველ ჯერზე ემტკიცებინა თავისი ერთგულება დემოკრატიის პრინციპებისადმი. მაგრამ საკმარისია ცალი თვალით შევხედოთ კრიმინოლოგიის სწავლების დროს, რომ მაშინვე გამოვლინდება იმ აზროვნების კვალი, რომელიც ტოტალური მმართველობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაშია გამოჭედილი. ჩვეულებრივ ეს საგანი იურიდიულ ფაკულტეტებზე ისწავლება, რაც უკვე მოწმობს დანაშაულთან ბრძოლის პრობლემებზე ტოტალიტარული მმართველობის თვალსაზრისის შენარჩუნებას. მართალია, საქართველოს ზოგიერთ სასწავლო დაწესებულებაში კრიმინოლოგია ამოღებულია ბაკალავრიატის კურსიდან და შეტანილია მაგისტრატურაში როგორც არჩევითი საგანი, რომლის ამორჩევაც სტუდენტს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ეს „სვლა" ვერ ასწორებს მდგომარეობას. აცხადებენ რა კრიმინოლოგიას იურიდიულ დისციპლინად, ამით არღვევენ კრიმინოლოგიის შესწავლის წანამძღვრების დიხოტამიას. ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ეკონომიკური მეცნიერების, მათემატიკისა და მისთ. ნაცვლად, კრიმინოლოგიის შესწავლის წანამძღვრად ცხადდება სისხლის სამართალი, ანუ იმთავითვე უარყოფილია სოციოლოგიური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც დანაშაული ასევე არის გაუცხოების მოხსნის საშუალება. მის ადგილს იკავებს ჯალათის თვალსაზრისი, რომელიც ნებისმიერ დანაშაულში გაუცხოების საშუალებას ხედავს, მარტივად თუ ვიტყვით – მის ბრალეულობას.

ცხადია, რომ სტუდენტს სულ თავიდანვე არ შეუძლია საფუძვლიანი ცოდნა მიიღოს დანაშაულობის შესახებ. საზოგადაოების ვერგაგება, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საბჭოთა მოხელის აზროვნების წესის რესტავრაციის შედეგი, არის საზოგადოების სნეულებებისადმი ამ დამახინჯებული მიდგომის მეორე მხარე, რამეთუ იმთავითვე ახლადგამომცხვარი პროკურორების, მოსამართლეებისა და საპროფესორო მანტიებით მოსილი სხვა მოხელეების აზროვნებაში ამოსავალ წერტილად წარმოსდგება არა საზოგადოება,

არამედ მისი ნაწილი – სახელმწიფო. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი მომზადების შედეგები რეალურად საცნაური ხდება ხოლმე დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის არცოდნაში. რადგან აკი შეუძლებელია ცალმხრივი იურიდიული ცოდნით იმსჯელო მთელის – საზოგადოების შესახებ. ჭეშმარიტი კრიმინოლოგისათვის სამართალი და დანაშაული – გაუცხოების ერთი და იმავე პროცესის რგოლებია. და პირიქით, იურიდიულ ფაკულტეტზე გამოწვრთნილ-დაგეშილი კრიმინოლოგისათვის, დანაშაული და სამართალი – სხვადასხვა სიდიდეებია, ამასთან სამართლებრივი თვალსაზრისი ამოსავალ წერტილად ცხადდება დანაშაულის გაგებისას. კრიმინოლოგის ეს დამახინჯებული აზროვნება მეტად სარგებლიანია ყველა ჯურის ხელისუფალთათვის, რადგან იგი წარმოშობს მორჩილებას, სიმფრთხალეს, მინდობას, ლოგიკური აზროვნების სისუსტეს და სხვ. შედეგად მარჯვედ მოქმედებს დანაშაულობის განვითარებაში სახელმწიფოს როლის არაკრიტიკული აღქმის ხაფანგი.

სერიოზული, საფუძვლიანი კრიმინოლოგიური მომზადების არარსებობა, სიმართლის არცოდნა დანაშაულის ფესვების შესახებ ძვირად უჯდება საზოგადოებას. აღმოჩნდებიან ხოლმე რა მოუმზადებლები საზოგადოებაში მიმდინარე ნეგატიური პროცესების გააზრებისათვის, სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები შემოიფარგლებიან მრავალრიცხოვანი დირექტივებისა და ინსტრუქციების ბიუროკრატიული შესრულებით. კრიმინოლოგიური უწიგნურობა ხშირად ინვევს უპრინციპობის გამოვლინებებს, რადგან დანაშაულობის „წაკითხვის“ არცოდნა გადმოიღვრება ხოლმე უძლურებად დიაგნოზის დასმაში საზოგადოების სნეულებებისათვის. ცხადია, რომ დადგა დრო გააზრებულ იქნას თავად კრიმინოლოგიური აზროვნება, შეიქმნას ახლებური ხედვის კრიმინოლოგია.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ტოტალური რეჟიმის პირობებში დანაშაულობის წინასწარი აღკვეთის პრაქტიკა ძირითადად ატარებს ეგრეთ წოდებულ ცალკეულ დანაშაულთა მიზეზებთან ბრძოლის ხასიათს. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფალთა აქტივიზაციის საბაბად ყოველ ჯერზე წარმოსდგება დანაშაულობათა მორიგი აფეთქება. მაგრამ, ყოველგვარი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ასეთი მიდგომა არ მთავრდება დადებითი შედეგით, რადგან ერთი სახის დანაშაულობათა შემცირებას მოჰყვება ხოლმე სხვა სახის დანაშაულობათა მატება. მეტიც, დანაშაულობის ხასიათის განვითარება სულ უფრო სახიფათო ხასიათს იძენს. ნათქვამის

დასადასტურებლად მე კვლავ რეტროსპექტულად მივმართავ საბჭოთა სინამდვილის ანალიზს, რადგან ვცდილობ წარმოვაჩინო იმ მიდგომის მთელი წინააღმდეგობრიობა, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის, ანუ დანაშაულობის გამოვლინების იქით ვერ ხედავს დანაშაულობის არსობრიობას.

უნდა გვახსოვდეს, რომ დანაშაულობის ფეტიშირებული ასახვის პრობლემა განსაკუთრებული თვალსაჩინოებით ილუსტრირდება ტოტალური სახელმწიფოს მასალით. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 60-იან წლებზე მოდის მმართველობის წესრიგის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების გაძლიერებული კრიმინალიზაცია, აგრეთვე დანაშაულობათა მატება სამეურნეო სფეროში. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა 1965 წლის ეკონომიური რეფორმა მთავრდება საწარმოთათვის ისედაც შეზღუდული უფლებების კიდევ უფრო მეტი შემცირებით. და პირიქით, 70-იანი წლების ბოლოს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 15.02.1977 წლის ბრძანებულებით, იწყება დეკრიმინალიზაციის „ერა", რომელიც არც თუ დიდხანს გაგრძელდა. უკვე 80-იანი წლების ბოლოს სსრკ სახალხო დეპუტატების მეორე ყრილობა კვლავ ახდენს საზოგადოების ორიენტირებას კრიმინალიზაციის გაძლიერებაზე ორგანიზებულ დანაშაულობებთან ბრძოლის საკითხთა განხილვისას. ყველა ამ შემთხვევაში დანაშაულობის პრობლემის გადაწყვეტაში ტოტალურმა სახელმწიფომ ვერა და ვერ შესძლო მიეღწია რაიმე რეალური შედეგისათვის, რადგან დანაშაულის გაგება აგებული ჰქონდა სამართლებრივ ურთიერთობაზე, ანუ ნეგატიური პროცესებისა და სამართლის (სახელმწიფოს) ურთიერთმიმათების მაჩვენებლებზე. სხვა სიტყვეით რომ ვთქვათ, ტოტალური სახელმწიფო დანაშაულობის ნიშანთვისებების, როგორც გაუცხოების პროცესების გამოვლინების ფორმის, კონსტატაციის იქით ვერ მიდიოდა, და არც შეეძლო წასულიყო.

მაგრამ რატომ იყო, რომ ნეგატიური პროცესების განვითარებას სახელმწიფო უყურებდა სამართლებრივ დადგინებათა პრიზმის ქვეშ? აკი დიდი ხანია ცნობილია, რომ დანაშაულობათა ცალკეული სახეობების გახსნის ზრდაზე გამოკიდება არაფერს არ იძლევა! პასუხი თავად ტოტალური სახელმწიფოს სტრუქტურაში ძევს, რომელშიც საზოგადოებრივი ცვლილებები განიხილება სახელმწიფო მმართველობაში საქმეთა მდგომარეობის პრიზმის ქვეშ. ფაქტიურად, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თანასწორობის ნიშანი იყო დადებული სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. ამიტომ ნებისმიერი ნეგა-

ტიური ცვლილება საზოგადოებაში, როგორი გავრცელებულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, აღიქმებოდა როგორც შემთხვევითი გადახრა, როგორც ერთგვარი გამონაკლისი წესიდან.

სახელმწიფო აპარატის ხედვით, ცხოვრების ნორმები უსათუოდ ნაკარნახევი უნდა იყოს სახელმწიფო დადგინებებით, უნდა ყალიბდებოდეს მათ მიერ. ათვლის ასეთი წერტილი საფუძველს იძლევა დანაშაულობანი აღქმულ იქნას როგორც რაიმე საფუძველს, ერთიან არსობრიობას მოკლებული მოვლენები. დანაშაულობათა სამყარო დანახულია იმ მოვლენათა რაოდენობრივი ცვალებადობის გზით, რომელსაც თავისი კონკრეტული მიზეზები აქვთ, და არა – ზოგადი, საერთო. მოკლედ, ყველაფერი, რაც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, ცხადდება შემთხვევითობად, რომელსაც არა აქვს რაიმე საერთო საფუძველი. აქედან მომდინარეობს კიდევ უფრო მეტი გაძლიერება ილუზიისა: ის, რაც ყველა დანაშაულის საფუძველს შეადგენს, – არსებითად არ არსებობს, რამდენადაც ტარდება მხოლოდ რაოდენობრივი აღრიცხვა, რომელსაც ყოველივე დაჰყავს ცალკეულ დანაშაულობათა კონკრეტული მიზეზების სტატისტიკამდე. ტოტალიტარული სახელმწიფოს თავად ბუნებაა აგებული იმგვარად, რომ კეტავს წვდომას დანაშაულობათა ერთიანი საფუძვლის შემეცნებისთვის.

იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად მოვახდინოთ ზემოქმედება დანაშაულობაზე საზოგადოებაში, აუცილებელია თავი დავაღწიოთ დანაშაულთა ცალკეული სახეობების წინააღმდეგ ბრძოლის ტყვეობას და მთელი ძალისხმევა მივმართოთ ყველა დანაშაულის ერთიანი საფუძვლის გამოვლენისაკენ. სწორედ ამ მიმართულებითაა საჭირო შეიქმნას კრიმინოლოგიური კონცეფცია. ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს ასეთი კონცეფციის ასაგებად წარმოადგენს მსოფლმხედველობის პრინციპი.

როცა მოცემული პრინციპის მოთხოვნებს ვეხებით, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ კრიმინოლოგიური ცოდნის დემოკრატიზაციის მნიშვნელოვნობას. ამასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი მოქმედებების სისხლის სამართლებრივი შეფასება, რომელიც წარმოსდგება როგორც საზოგადოებაში ნეგატიური პროცესის განვითარების მაჩვენებელი, არის ასევე ამ პროცესებისა და სამართლის ურთიერთმოქმედების მაჩვენებელი. როგორც ავღნიშნეთ, დანაშაულთა განსაზღვრული სახეობების ზრდაში ასახულია როგორც ნეგატიური პროცესების განვითარება,

ასევე სახელმწიფოს მიმართებაც მათდამი. თუმცა აქედან არ გამომდინარეობს, რომ ნეგატიური პროცესებისა და სამართლის (სამართალ–მიმართების) ურთიერთდამოკიდებულება აუცილებლად უნდა იყოს ნეგატიური პროცესის განვითარების მაჩვენებელი. როგორც ცნობილია, ტოტალიტარული სახელმწიფო ხან აძლიერებდა რეპრესიულ ღონისძიებებს, ხანაც ანელებდა მათ, მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური პროცესები გამუდმებით იზრდებოდა და ვითარდებოდა ერთი მიმართულებით. რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან?

კონცეფცია არ უნდა აგებდეს თავის პროგნოზს გამომდინარე სახელმწიფოს დამოკიდებულებიდან ნეგატიური პროცესებისადმი, რადგან ამ მაჩვენებელზე ზეგავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორის სახელმწიფო მმართველობის შეცდომებიც.[11] სოციალური პროცესებისადმი სამართლის მიმართების მაჩვენებელი წარმოადგენს რეალური ურთიერთობების გარეგან ფორმას, რომლებიც ნარმოდგენილია დამახინჯებული სახით, ზოგჯერ საქმის არსობრიობას რომ ეწინააღმდეგებიან. აქ რეალობა ყოველთვის თავდაყირაა დაყენებული. და ამაში ადვილად დავრწმუნდებით, როცა ნებისმიერ ეკლექტურად აღწერილ მასალას გავაანალიზებთ.

1. 2. დანაშაულობის ასახვის სახელმწიფოებრივი ფორმები [12]

1.2.1. წინარე შენიშვნები

სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანაშაულობა ასახულია სწორედ როგორც გაუცხოების გამომწვევი

---

11 . უნდა შევახსენოთ მკითხველს, რომ მოგების საერთო ნორმის კანონი კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ფაქტორების თეორიის ფეტიშირებულ თვალსაზრისს, რამეთუ ზედაპირზე აკავშირებს დანაშაულთა ცვალებადობას განცალკევებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან. სწორედ ამ კანონის ძალით, დასჯისა და სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკური კვლევების სხვადასხვა თეორიები აწყდებიან გადაულახავ თეორიულ სიძნელეებს. მოცემულ საკითხზე მეცნიერული ძიებების პრობლემები აღწერილია კილის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ალესსანდრო დე გეორგის ცნობილ წიგნში „სასჯელის პოლიტიკური ეკონომიის ხელახალი გააზრება" (См.: A. Giorgi (2006), Re–Thinking the Political Economy of Punishment: Perspectives on Post–ordism and Penal Politics, Publisher: Routledge)

12 აღნიშნული თემატიკა განხილულია ნაშრომში: გ.თოდრია (2006). რეცეფციის პრობლემა კრიმინოლოგიაში, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი", №2(6), თბ. გვ. 62-34.

საშუალება. კაცობრიობის პროგრესის კვალობაზე იგი ნაწილობრივ იწყებს ასახვას როგორც ასევე გაუცხოების მოხსნა. თუ როგორ იქნება დანახული დანაშაულობა, როგორ გადაიტანება აქცენტი დანაშაულობის ამ ნიშანთვისებებზე, დამოკიდებულია სახელმწიფოს როლსა და ადგილზე სოციალური გაუცხოების პროცესებში. მაგრამ საზღვარგარეთის ორგანიზაციების ინტენსიურ რეკომენდაციათა წინააღმდეგობრიობამ და შეუსაბამობამ თვალნათლივ დამარწმუნა, რომ ისინი, როგორც ყოველთვის, იმყოფებიან პრაგმატიზმის გავლენის ქვეშ, რომელიც კვლავაც იმავე შეცდომებს იმეორებს – ლოკალური „მიზეზების" დაკავშირებას დანაშაულობათა ცალკეულ სახეებთან. და როგორც შედეგი: განვითარებად ქვეყანაში დანერგვადი „უახლესი" მეთოდები ყოველთვის სცდებიან მიზანს. უცხოელი მრჩევლების მხრიდან მორიგი საყვედურების შემდგომ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მასზედ, რომ მას არ ძალუძს თანამიმდევრულად გაატაროს ცხოვრებაში დანაშაულობასთან ბრძოლის „ნაჩუქარი" პროგრამები, ტრიალდება ახალი წრე რეკომენდაციების დანერგვისა ქვეყნის ცხოვრებაში, რომელთაც იგივე ხვედრი მოელის.

ამ წარუმატებლობათა პრობლემა მდგომარეობს იმ ფუნდამენტური ფაქტის გაუცნობიერებლობაში, რომ დანაშაულობანი გაუცხოების პროცესების პროდუქტია. მაგრამ ისინი არ გამოვლინდებიან „სუფთა" სახით. ინდივიდი არამხოლოდ გამოხატავს თავის პროტესტს მის თავს გადამხდარი გაუცხოების პროცესების წინააღმდეგ, არამედ იმავდროულად წარმოსდგება სახელმწიფოს დადგენილებათა დამრღვევად. დანაშაული მსოფლიოს მოევლინება როგორც გაუცხოების პროცესების შედეგი და როგორც განსაკუთრებული ურთიერთობის – სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტი. მაშასადამე, დანაშაულობა წარმოსდგება არამხოლოდ გაუცხოების სიდიდედ, არამედ იმ სიდიდედაც, რომელიც სწორედ სამართლებრივ ურთიერთობაში აისახება. სახელმწიფოსთან მიმართებაში გაუცხოება იღებს გამოხატულების განსაკუთრებულ ფორმას. გაუცხოების ფაქტორებთან ერთად მოქმედებას იწყებენ სახელმწიფო წესრიგის ფაქტორებიც, რომლებიც ძნელად მისაწვდომად აქცევენ დანაშაულობათა სამყაროს. აი, სწორედ ამიტომ არ შეიძლება დანაშაულობის ბუნების განხილვა სახელმწიფოებრივი იძულების გარეშე.[13] ამასთან

13 სხვათა შორის, კრიმინოლოგია გვერდს უვლის ამ თემას და დანაშაულობისა და მისი მიზეზების „დადგენის" შემდეგ პირდაპირ გადახტება დანაშაულობის ე.წ. წინასწარი აღკვეთის კონცეფციაზე.

ეს განხილვა უნდა ატარებდეს ისტორიულ ხასიათს, რამეთუ დანაშაულობის ბუნების წვდომა, მისი შეცნობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თავისუფლდება საზოგადოება ისტორიულად ტოტალური სახელმწიფოსაგან და როგორ შეუძლია გათავისუფლდეს.

თანამედროვე სამყარო ხასიათდება როგორც გლობალური ეკონომიკის მოძრაობის პროცესი, რომელიც მთელს ერებსა და სახელმწიფოებს ერთ ფუნქციონირებად მექანიზმში ათავსებს. ნებისმიერი სოციალური მოვლენა საბოლოოდ იძენს საერთაშორისო ხასიათის თვისებებსაც. გამონაკლისს არ წარმოადგენს დანაშაულობაც. ძარცვათა, მკვლელობათა, ქურდობათა და სხვა დანაშაულთა წარმოშობა ვეღარ ამოიწურება ლოკალური სოციალური დეტერმინანტების წრით. დანაშაულობა იძენს ახალ ფორმებს, რომლებიც სულ უფრო ხშირად ატარებენ ტრანსნაციონალურ ხასიათს. თანამედროვე დანაშაულობას ძალუძს განვითარდეს სეპარატისტული რეჟიმების სახით და შეაჩეროს ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიაზე (როგორც აფხაზეთში და სამაჩაბლოში) სახელმწიფოს იურისდიქცია. უფრო მეტიც, ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებას შეუძლია ხელში ჩაიგდოს მთელი ქვეყნის სათავეები და სისასტიკით გაუსწორდეს თავისი ქვეყნის მოსახლეობას (მაგალითად, ერაყში) ან დაიწყოს დამპყრობლური პოლიტიკა მეზობელი ქვეყნების მიმართ (როგორც ეს ტიპიურია საქართველოს მიმართ განხორციელებული რუსეთის პოლიტიკისათვის).

ამრიგად, ეჭვს არ იწვევს, რომ ცივილიზაციის ევოლუციის მოცემულ ისტორიულ ეტაპზე მთელს მსოფლიოში ვლინდება არამარტო ლეგალური ქცევის ზოგადსაკაცობრიო ნორმა, არამედ მისი ანტიპოდიც. ასეთ პირობებში მსოფლიოში სულ უფრო მყარად მკვიდრება მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად ვერცერთი ქვეყნის პრევენტული პოლიტიკა საბოლოოდ ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ იგი მსოფლიოს სოციუმისაგან გარიყულად იმოქმედებს.

ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნებში კრიმინოლოგიური პროგრამების მოდელირებისას, სულ უფრო მწვავედ აღიქმება თანამედროვე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისა ან ქვეყნის ისტორიული წარსულის გამოცდილების რეცეფციის პრობლემა.

მრავალი ქვეყნის დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნორმების რეცეპციის პრაქტიკაში არ არსებობს ერთგვაროვნება. უფრო მეტიც, კრიმინოლოგთა უმრავლესობას უხდება იმ ფაქტის კონსტანტირება, რომ უცხოური გა-

მოცდილების დანერგვისას თავს იჩენს საპირისპირო უარყოფითი შედეგი. საერთაშორისო ორგანიზაციები, სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები კრიმინოლოგიური პროგრამების არაეფექტურ ინტეგრაციას რეცეფციის საშუალებების ძიების მეთოდოლოგიური ან ორგანიზაციული ნარუმატებლობით ხსნის. სინამდვილეში ე.წ. წარუმატებლობაში თავს იჩენენ სილმრისეული ობიექტური მოვლენები. მხედველობაში გვაქვს დანაშაულობის ასახვის სახელმწიფოებრივი ფორმის ისტორიული ტიპების ბუნება, რომელიც კრიმინოლოგიური რეცეფციისათვის ადგენს რეალურ ზღვარს.

დანაშაულობის ასახვის სახელმწიფოებრივი ფორმის ისტორიული ტიპების ცოდნა საშუალებას გვაძევს გავარკვიოთ კრიმინოლოგიის არსებითი საკითხი: სახელმწიფოს რა შემთხვევებში შესწევს უნარი მოახდინოს დანაშაულთან ბრძოლის პროგრამის შერჩევა არქაული პერიოდის არსენალიდან და პროგრესული მეთოდების რეცეფცია საბოლოოდ რა შემთხვევაში არ გვაძლევს სასურველ ეფექტს? ამ საკითხების გარკვევა უნდა ეფუძნებოდეს დანაშაულობის ასახვის სახელმწიფოებრივი ფორმების ანალიზს.

ისტორიულად გამოიყოფა დანაშაულობის სახელმწიფოებრივი ასახვის სამი ფორმა. საწყის განუვითარებელ ფორმას მიეკუთვნება დანაშაულობის ასახვის ავტორიტარული ფორმა, რომელიც დამახასიათებელია საბჭოთა კავშირისათვის, ჩინეთისათვის, ირანისთვის, ერაყისათვის და აზიაური ტიპის განვითარების სხვა ქვეყნებისათვის.

შემდეგ მოდის დანაშაულობის ასახვის კაპიტალიზმისაკენ გარდამავალი ფორმა, რომელიც კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების სტადიაზე იმყოფება.

დაბოლოს, შედარებით მაღალ ფორმად გვევლინება დანაშაულის ამსახველი ლიბერალური ან რეფორმატული ფორმა, რომელიც ტიპიურია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. ამ ფორმების ევოლუციის ხანგრძლივი ისტორიული პროცესი გვიჩვენებს, რეცეფციის თუ რა გზით გადაიტანება მოდელების ძიება კონრეტული ინდივიდიდან, როგორც დანაშაულის „მიზეზიდან", საზოგადებაზე. ისტორიული ევოლუცია ასევე გვიჩვენებს, თუ როგორ ჩამოეცლება მისტიფიკაციის საბურველი სახელმწოფოს, როგორც დანაშაულობის ობიექტს და გამოჩნდება მისი რეალური მონაწილეობა დანაშაულობის განვითარებაში. სამართლებრივ ურთიერთობაში სოციალური სამყარო წარმოდგენილია ვირტუა-

ლურად: ნებესმიერ დანაშაულს სახელმწიფო განიხილავს როგორც ხელყოფას იმ საზოგადოებაზე, რომელსაც იგი იცავს. ამიტომ დანაშაულთან მიმართებაში სახელმწიფო განიხილავს საკუთარ თავს როგორც ხელყოფის ობიექს, ხოლო დამნაშავეს, როგორ ხელყოფის ავტორს („სუბიექტს"). სინამდვილეში სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების მონაწილე არის სახელმწიფოც, ხოლო ამ წინააღმდეგობათა ობიექტი, დაზარალებული – თავად დამნაშავე.

1.2.1.1. დანაშაულობის ასახვის სახელმწიფოებრივი ფორმების ანალიზის ადგილი კრიმინოლოგიის თეორიაში.

დანაშაულობა როგორც გაუცხოების მოხსნის საშუალება აღმოცენდება მანამდე, სანამ ყალიბდება სახელმწიფოს მიმართება მისადმი როგორც გაუცხოების საშუალებისადმი. სამართლებრივი ურთიერთობა არის განსაკუთრებული მოძრაობა, რომელშიც ნიშანთვისება „გაუცხოების მოხსნა" იცვლება ნიშანთვისებად „გაუცხოების საშუალება". დანაშაულობასთან დაკავშირებით ხდება ურთულესი მეტამორფოზა: იგი არ არის დაკავშირებული კონკრეტული საზოგადოების სოციალურ კანონებთან, არამედ უკავშირდება დანაშაულობის კონკრეტული ფორმების ლოკალურ მიზეზებს. სახელმწიფო მოხელე, ობივატელი, ჟურნალისტი, საზოგადიოებრივი ორგანიზაციები ჯგროდ სოლიდარიზირებულნი არიან დანაშაულობის ხედვაში იმ სახით, რა სახითაც იგი სამართალმიმართებაში წარმოსდგება. წარმოიშვება განსაკუთრებული აზროვნება – კრიმინოგენური, რომელიც სამართალმიმართების მხრიდან თავსმოხვეული ილუზიის ხელმწიფობის ქვეშ ექცევა.

როგორც წინასიტყვაობაში აღვნიშნე, ისტორიულად სამართლებრივი ურთიერთობის აბსოლუტიზირების კრიტიკის პირველი მცდელობა იყო რელიგიური კრიტიკა. უძველესი დროიდან პარალელურად ვითარდებიან ბუნებით-სამართლებრივი წარმოდგენები, რომლებიც თანამედროვეთა მიერ გარდაქცეულად განიხილება და ზღურბლიდანვე განიგდება. შედეგად ვითარდება მცდარი შეხედულება ბუნებითი სამართლის ადრეულ თეორიებზე, რომელთაც უარყოფითი შედეგები მოაქვთ საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკის გააზრებისათვის და რომელნიც გარდაქცეულ ზემოქმედებას ახდენენ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულობის ახალი ფორმების ახსნა-განმარტებებზე. და ბოლოს, უფრო გვიანდელ ხანებში ჩნდება „სამართლის ფილოსოფია", რომელიც ასევე კრი-

ტიკულადაა განწყობილი პოზიტიური სამართლის მიმართ. კრიმინოლოგიისათვის ეს კრიტიკა მით უფრო საინტერესოა, რომ იგი ასტიმულირებს საკითხის დაყენებას სამართლის ფორმების შესახებ, უფრო ზუსტად კი დანაშაულობის სახელმწიფოებრივი ასახვის ფორმების შესახებ.

1.2.2. დანაშაულობის ასახვის პრიმალური ფორმა

როგორც ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, ისტორიულად დანაშაულის სახელმწიფოებრივი ასახვის პირველ ფორმად ავტორიტარული ფორმა გვევლინება. იგი ფიქსირდება, ჰეგელის სიტყვებით თუ ვიტყვით „ტოტალურობის ველური თარეშის" პერიოდში, როდესაც სოციალური წინააღმდეგობების პროცესი ვლინდება სამართალურთიერთობის იმ ფორმაში, სადაც სახელმწიფოებრივი იძულება ატარებს არაეკონომიკურ ხასიათს: სახელმწიფოებრივი დიქტატი გვევლინება მითვისების არსებით საშუალებად. ამ ეტაპზე სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ასე ვთქვათ, ტოლობის ნიშანი დაისმის. „ნორმისგან" ნებისმიერი გადახრა მიიჩნევა ცალკეული ინდივიდის თვითნებობად. დანაშაულის მიზეზი მხოლოდ მასში ბუდობს. არსებობს მხოლოდ ინდივიდი და სახელმწიფო, ხოლო საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე ფაქტობრივად არ არსებობს. მშვიდობა და წესრიგი ხომ მასში მეფობენ და მხოლოდ ცალკეული პირები გამოხატავენ ანტისახელმწიფოებრივ თვითნებობას. ამიტომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში დამახინჯებულად წარმოდგენილია ფუნდამენტური ფაქტი: სამართლებრივი ურთიერთობა არაა წარმოდგენილი როგორც სოციალური მოვლენების გამომხატველი ფორმა. ტოტალიტარული რეჯიმის დროს ათვლის წერტილია მარტო ეს ფორმა. ამიტომ, დანაშაულობის ასახვაზე დანაშაულობის დეტერმინანტებთან შედარებით უფრო ინტენსიურად მოქმედებენ ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ ახასიათებენ მარტო სამართლებრივ ურთიერთობას: უსაფუძვლო რეპრესია, ხელოვნური ლატენტურობა, პოლიტიკურად მომგებიანი დეკრიმინალიზაცია და ა.შ.

საბჭოთა კავშირის დანაშაულობის დინამიკის ხანგრძლივი პერიოდის ანალიზის შედეგად რუსი კრიმინოლოგი ვ. ლუნეევი მივიდა კრიმინოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვან დასკვნამდე: ტოტალურ სახელმწიფოში გაუცხოების ზრდა უნდა გამოიხატებოდეს დანაშაულის ზრდაში, მაგრამ ვლინდება დანაშაულის დაბალი მაჩვენებლითა და გამოვლენილ პირთა მზარდი რაოდენობით (არა მხოლოდ

განსასჯელები, არამედ მცირე ეჭვის საფუძველზე საზოგადოებისგან „მოკვეთისთვის" განკუთვნილთა ჩათვლით).[14]

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როცა დანაშაულობის სტატისტიკით აპელირებენ, ამავე დროს მხედველობიდან რჩებათ, რომ სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის ან შემცირების ნამდვილი სიდიდე არასაკმარისად ნათლად და სრულად აისახება დანაშაულთა რიცხობრივ გამოხატულებაში.[15] როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანაშაულთა რიცხვი შეიძლება იყოს სოციალურ წინააღმდეგობათა, ცხოვრების პირობების გაუარესების და სხვა ნეგატიური პროცესების სიდიდის მაჩვენებელი, ე.ი. მოსახლეობის დამოკიდებულების მაჩვენებელი საკუთარი მდგომარეობის გამაუარესებელ მოვლენათა მიმართ. მაგრამ აქედან არ უნდა გამომდინარეობდეს საპირისპირო დებულება, რომ დანაშაულთა რიცხვი აუცილებლად უნდა იყოს სოციალურ წინააღმდეგობათა სიდიდის მაჩვენებელი, როგორც ეს დანაშაულთა სტატისტიკიდან ჩანს. უფრო მეტიც, მსგავსი დამთხვევა რეალობაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რამეთუ, საბოლოო ჯამში, სოციალურ წინააღმდეგობათა სიდიდე არაა დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა იგი დანაშაულთა დიდ ან მცირე რაოდენობაში. თუმცა დანაშაულთა სტატისტიკა ამ ფაქტს მიახლოებით ასახავს.

შესაბამის სახეს იღებს რეცეფციის მექანიზმიც: დანაშაულობის ბრძოლის მეთოდებს იღებენ მხოლოდ იმ საშუალებათა არსენალიდან, რომლებმაც უნდა დაარწმუნონ ინდივიდი იმაში, რომ მის შინაგან სამყაროს არა აქვს მნიშვნელობა, მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ გარეგნულს, რომელსაც შეუძლია ინდივიდზე განახორციელოს ზეგავლენა და ძალაუფლება. სახელმწიფოები მითითებულ ისტორიულ პირობებში რეცეპციის ორ მოდელს მიმართავენ: ა) შორეული ისტორიული დროის არქაულ მეთოდებს და ბ) სხვა ქვეყნის მეთოდებს, მაგრამ ერთტიპური ავტორიტარული რეჟიმით. საზოგადოებაში მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმის განხორციელება გამორიცხულია, რადგან ამ გზით უარყოფილი იქნებოდა ინდივიდი, როგორც დანაშაულის ავტორი და ამავე დროს ავტორიტარული სახელმწიფოც, როგორც მისი გაუცხოების მონაწილე.

არქაული პერიოდის მეთოდების რეცეფციას ჩვენ საუდის არა-

14 В.В.Лунеев (1977), Преступность XX века. Мировой криминологический анализ, М., «Норма», с.77; с. 138; с. 418

15 იხ. იქვე

ბეთში ვხვდებით, სადაც ქურდს ხელს აჭრიან. ანალოგიურ მეთოდებს ერაყში იყენებდნენ, სადაც ჰუსეინის რეჟიმის მოწინააღმდეგეებს აგდებდნენ გოგირდის მჟავით სავსე ბასეინში, ავღანეთში, სადაც მოღალატე ცოლებს ქვებით ქოლავდნენ და ა.შ.

ზემოაღნიშნულ მეთოდებთან ერთად, ასევე არსებობს ისტორიულად ერთიდაიგივე ტიპის ტოტალური წყობის ქვეყნების გამოცდილებისადმი მიმართვა. მოცემული ტენდენცია განსაკუთრებით ტიპიურია ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოთათვის, რომლებიც ერთმანეთისგან იღებდნენ დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდებს ცალკეული პარტიული ორგანოების მიერ შექმნილი კამპანიების სახით. იმავე მდგომარეობას ჩინეთშიც ვხვდებით, რომელმაც 60-იან წლებში 30-იანი წლების საბჭოთა რეალობიდან ცოლის მიერ ქმარზე დასმენის მეთოდი გადმოიღო, როგორც კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური საშუალება, „კამპანია" დანაშაულთან ბრძოლაში და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად დანაშაულის ასახვის ამ ფორმისთვის დამახასიათებელი იყო „დამნაშავის პიროვნების" კატეგორიის წარმოშობა, მასზე კრიმინოლოგიური აზროვნების შეჩერება.[16] დამნაშავის განსაკუთრებულობისადმი ინტერესის გამოხატვა იყო მეტად მაცდური, რადგან მისი შინაგანი სამყაროს შემეცნების დაფარვის ქვეშ იმალებოდა ბიუროკრატიის აშკარა მიზანსწრაფვა გადაებრალებინათ ყველაფერი ინდივიდზე და შეენიღბათ სახელმწიფოს კრიმინოგენული როლი. აქამდე სხვადასხვა ქვეყნების კრიმინოლოგთა ნაწილი იმყოფება ფსიქოლოგიური თეორიის ილუზიის ტყვეობაში, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით ავტორიტარულმა რეჟიმმა დაგვიტოვა. ამ მიმართულებით განხორციელებულ რეცეფციას კრიმინოლოგია საბოლოოდ შეყავს ჩიხში ისეთი უსუსური რეკომენდაციებით, როგორიცაა სპეციალურ ცენტრში მოძალადის ფსიქოლოგიური დამშვიდება, კორუფციის მიზეზების ახსნა კონკრეტული პირების მოტივაციით, საუბრები მსჯავრდებულებთან და ა.შ.

16 საბჭოთა კრიმინოლოგიის ისტორიაში დამნაშავის პიროვნების შეცნობის გამოცოცხლება აღიქმებოდა როგორც აზრის გათავისუფლება, სტალინიზმის ბორკილებიდან გამოსვლა. სინამდვილეში აზროვნების ასეთი მსვლელობა იყო ხრიკი, რამეთუ გახრწნის სტადიაში ტოტალიტარული რეჟიმი მიმართავდა უკანასკნელ მცდელობას საზოგადოებრივი შეხედულების ჩამოსაშორებლად საზოგადოებრივი წყობის დეგრადირების რეალური სურათისაგან.

1.2.3. დანაშაულობის ასახვის დუალისტური ფორმა

დანაშაულობის ასახვის შემდეგი ფორმა ფიქსირდება განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების სტადიაზე. მოცემული ისტორიული ეტაპისათვის დამახასიათებელია არაეკონომიკური იძულების, როგორც მითვისების წესის ნგრევა. ამ ისტორიულ პირობებში დანაშაულობის ასახვა იწყებს დუალისტური ხასიათის მიღებას. ერთის მხრივ, მდუმარედ ხდება საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა, როგორც დანაშაულობათა საფუძვლის დაშვება, რადგანაც არაეკონომიკური იძულება კარგავს დომინირებულ მდგომარეობას და უკვე ეკონომიკურს ემორჩილება. მაგრამ მითვისების ეკონომიკური წესების განუვითარებლობასთან დაკავშირებით საზოგადებრივი წინააღმდეგობები მოიაზრება როგორც სახელმწიფოს მხოლოდ უარყოფითი თვისება, ე. ი. როგორც სახელმწიფო მართვის, მისი კანონების ცალკეულ ნაკლოვანებათა ერთობლიობა. სოციალური სამყარო სახელმწიფოსათვის ჯერჯერობით გარე და გაუგებარ მოვლენად რჩება, რომლის გადარჩენაც შეიძლება არა საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლით, არამედ მხოლოდ საზოგადოებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების შეცვლით. ამრიგად, საზოგადოება სახელმწიფოსთან მიმართებაში, როგორც ჰეგელი იტყოდა, მოიაზრება როგორც „ცარიელი არსი".

ამ პერიოდში ადამიანებზე კონტროლი სუსტდება, თუმცა დანაშაული ინტენსიურად იზრდება. ვ.ვ. ლუნეევი ხაზს უსვამს საკმაოდ საინტერესო ფაქტს.[17] ჯერ ერთი, იმასთან დაკავშირებით, რომ არაეკონომიკური იძულება აღარ დომინირებს და ექვემდებარება ეკონომიკურს, შესაბამისად სახელმწიფოს რეპრესიული დამოკიდებულება სოციალურ წინააღმდეგობებთან მიმართებაში გაორებულია: პოლიციელთა რიცხი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ჯერ ისევ დომონირებს, ხოლო სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულთა რიცხვი კი იკლებს. მეორეც, სოციალური წინააღმდეგობების პროცესთა ზრდა დანაშაულობის ზრდის სახით პოულობს გამოვლენის ადეკვატურ ფორმას. საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბება ხომ ფაქტობრივად საზოგადოების გათავისუფლებას ნიშნავს და დანაშაულთა რიცხვი გარეგანი ძალის ზეწოლის გარეშე შეიძლება სოციაულ წინააღმდეგობათა შედარებით ობიექტური მაჩვენებელი იყოს.

---

17 В.В.Лунеев (1977), Преступность XX века. Мировой криминологический анализ, М., «Норма», с.77; с. 78

ზუსტად მოცემულ სტადიაზე დანაშაულობის გამოსახვის დუალისტური ფორმა გვევლინება ფეტიშირებული სახით, კერძოდ, ეჩვენებათ, რომ სამართლებრივი წესრიგისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელი აუცილებლად სოციალურ წინააღმდეგობათა მაჩვენებელი უნდა იყოს. საერთოდ, რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი, როგორც სოციალურ წინააღმდეგობათა მაჩვენებელი, იმავდროულად სამართლებრივი წესრიგის გარკვეული დამოკიდებულების მაჩვენებელია. მაგრამ განსახილველ ისტორიულ პირობებში საზოგადოების განვითარება საპირისპირო დასკვნის გაკეთებას უწყობს ხელს. ბიურიკრატიული აპარატი ვერ ითვალისწინებს, რომ დანაშაულობის ასახვაზე სოციალურ წინააღმდეგობათა გარდა ინტენსიურ მოქმედებას იწყებენ სახელმწიფო მართვის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ დანაშაულთა რიცხვზე, როგორც საზოგადოებაში მომხდარი უბედურების მაჩვენებელზე.[18] გავიხსენოთ, რომ მსგავსმა ობიექტურად განპირობებულმა თვალთახედვამ XVIII საუკუნეში თავისი განსახიერება ჰპოვა იმ მოაზროვნეთა კონცეფციებში, რომლებიც მეცნიერებაში ცნობილნი არიან, როგორც სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენლები. მოცემული კონცეფციების მიხედვით, საზოგადოებრივი წყობა ჯერჯერობით იდენტიფიცირდება ცენტრალიზებულ დესპოტურ სახელმწიფოსთან და მისი გარდაქმნა მოიაზრება მხოლოდ, როგორც თვით სახელმწიფოს ცვლილება.

გაორებულ საზოგადოებაში ეს კანონზომიერება არ შეიძლება იყოს ზუსტად გაცნობიერებული. სახელმწიფო ჯერ ვერ აკონტროლებს საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობებს, რომლებიც იმყოფებიან ემბრიონალურ მდგომარეობაში. ამიტომ დანაშაულის ასახვის მოცემული ფორმის პირობებში ბუნებრივად ამახვილებენ ყურადღებას იმ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ დანაშაულობისადმი სამართლებრივი წესრიგის დამოკიდებულებას და არა იმ ფაქტორებზე, რომლებიც სინამდვილეში დანაშაულთა რიცხვს წარმოაჩენენ, როგორც სოციალურ წინააღმდეგობათა სიმრავლის სახით. დანაშაულობის ასახვა ჯერჯერობით სამართალურთიერთობის მუხრუჭში არის ჩაჭერილი. ამიტომ თუ კრიმინოლოგიური რეცეფცია ეხება მხოლოდ სახელმწიფოებრივი მართვის ცვალებადობას, ანუ

18 რა თქმა უნდა, ეს კანონზომიერება ასე თუ ისე თავს იჩენს კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ განსახილველ ისტორიულ ეტაპზე იგი ყველაზე სრულად იწყებს გამოვლენას

თუ არ გამოდის სამართალურთიერთობის ფარგლებიდან, მაშინ ე.წ. სოციალური რეფორმა მოცემული გაგების ჩარჩოებში მისაღებია. ბუნებრივია, ის რომ იმ შედეგებთან მიმართებაში, რომლებიც მიღებული ზომების გამო საზოგადოებაში ფეხს იკიდებენ, სახელმწიფო ორგანოები ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებენ.

სამწუხაროდ, საერთაშორისო ორაგნიზაციები და ექსპერტები ვერ ამჩნევენ განვითარების ამ მომენტს. ისინი იმყოფებიან მუდმივ გაუგებრობაში იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისადმი გაწეული მატერიალურად და ორგანიზაციულად განხორციელებული დახმარება, გაუგებარი მიზეზების გამო ხდება არა შემცირების, არამედ სიღარიბის, კორუფციისა და სხვა ნეგატიური პროცესების ზრდის პირობა. მრავალრიცხოვან რეკომენდაციებში უგულებელყოფილია კრიმინოლოგიური რეცეფციის მოძღვრების უმნიშვნელოვანესი დებულება, რომლის თანახმად მკაცრი ზომების ინტეგრაცია ან მათი „ლიბერალიზაცია" დაშვებულია იმ შემთხვევებში, თუ იგი შეესაბამება სახელმწიფოს როლს, როგორც დასუსტებული არაეკონომიკური იძულების (მოცემულ ეტაპზე) საშუალებას. თუ სახელმწიფოს ეს მისია ნარჩუნდება, მაშინ კრიმინოლოგიური პროგრამის რეცეფცია „შესაძლებელია."

აღნიშნული რეცეფციის ტენდენცია თავს იჩენს მრავალი ფაქტის სახით. საქართველოში ჯერ კიდევ 1995 წელს წესრიგის დამყარების მიზნით საგადასახადო სისტემაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზეწოლის ქვეშ მიღებულ იქნა კანონი, რომლის მეშვეობით გადასახადებმა იმატა 250-დან 1000%-მდე. საბოლოოდ კონიაკის, შამპანიურის, სპირტისა და ლუდის წარმოება შეწყდა. საწარმოები იძულებულნი გახდნენ მიემართად არალეგალური ბიზნესისათვის, რომელიც კორუფციის მეშვეობით იკვებებოდა. ანალოგიური გარდაქმნა აქციონირების იდეამაც განიცადა, რომელიც გადმოღებულ იქნა დასავლეთიდან სოფელში სიღარიბის შემცირების, სამუშაო ადგილების გაზრდის, სოფლის მოსახლეობას შორის კრიმინოგენური მდგომარეობის შემცირების მიზნით და ა.შ. დაბალ ფასებში საშუალებების შეძენის, ელიტის ხელში საკონტროლო პაკეტების გადასვლის, აქციონერული საზოგადოების მართვის მიღმა კოლექტივის დატოვების და სხვა მრავალ ფაქტებში ვლინდება სახელმწიფოს მიერ არაეკონომიკური იძულების მეთოდებით საზღვარგარეთული გამოცდილების ე.წ. მორგების ტენდენცია. ამრიგად ამ პერიოდში აქციონირება აღმოჩნდა სოფელში არა როგორც კაპიტალისტური

ურთიერთობის განვითარების შედეგი, არამედ წარმოიშვა არაეკონომიკური გზით – პოლიტიკური გადაწყვეტილების გზით. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის სხვადასხვა დარგებში, სოფლის მეურნეობის ჩათვლით, აქციონერული საზოგადოებების მიერ პრივატიზირებული საწარმოების რიცხვმა 80.08% შეადგენდა, მაშინ შედეგი გასაგები გახდება. ეგრეთ წოდებული აქციონირება, რომელიც თავს მოახვიეს მოსახლეობას კაპიტალის კონცენტრაციის მოჩვენების სახით, სინამდვილეში არის კრიმინალურად მოპოვებული ფულის ლეგალიზაციის, წარმოებათა საშუალებების საყოველთაო გაყიდვისა და კანონით დაშვებული სხვა გზებით გამდიდრების პრობლემის გადაწყვეტის პროცესი ანუ „უფრო ცივილიზებული“ გზით სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ქვეყნის გაღარიბების პოლიტიკა.

ნეგატიური პროცესებისადმი მოჩვენებითი რეფორმების ტენდენცია ვლინდება აგრეთვე ორგანიზაციულ ზომებშიც, რომლებიც ხორციელდებიან დანაშაულობისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების არსებითი ცვლილებების გარეშე.[19] კერძოდ, საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა სრულდება ძირითადად სახელმწიფო ანტიკორუფციული სამსახურისა და სხვა კონტროლირებადი ორგანოების შექმნით, კორუმპირებულ პირთა შერჩევითი დაკავებით ა.შ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მოცემული ტენდენცია ისტორიულ ხასიათს ატარებს და შესაბამისად არსებობს იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ევოლუციის ანალოგიურ ეტაპზე იმყოფებიან. გამონაკლისს არც რუსეთი წარმოადგენს. 1988 წელს ამ ქვეყანაში მიიღეს „მუნიციპალური სამსახურის საფუძვლების შესახებ“ ფედერალური კანონი. აღნიშნულ კანონს უნდა გაემეორებინა მოხელეთა ქცევის საერთაშორისო კოდექსის დებულებები. თუმცა ეს კოდექსი „მოხერხებულად“ იქნა რეცეფცირებული. მოხელეს უნდა ეჩვენებინა მასზე რეგისტრირებული შემოსავალი, თუმცა როგორც ცნობილია, უკანონო გზით მიღებულ შემოსავლებს კორუფციონერები, როგორც წესი, იფორმებდნენ არა საკუთარ სახელზე, არამედ მათ ახლობლებზე, რაც კანონის მიღმა რჩებოდა.

---

19 ჯონ გელბრეიტის მიერ აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც მოწყდა ეკონომიკური ბაზრის მოთხოვნას, წარმოადგენს ლეღვის ფოთოლს, რომლითაც ხელისუფლება საკუთარ თავს იფარავს; ამ შემთხვევაში იდევნება კანონის დარღვევის ფორმა და არა მისი არსი (Гэлбрейт Д. (2004), Новое индустриальное общество, Изд–во «АСТ», М, СПб, с. 271–272).

უსასრულოდ შეიძლება ფაქტების ჩამოთვლა, რაც მასალის ილუსტრაციას გაზრდის, მაგრამ არ შეცვლის ჩვენ მიერ ზემოთ გაკეთებულ დასკვნას. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია გავაგრძელოთ დანაშაულობის ასახვის ლოგიკის ახსნა.

1.2.4. დანაშაულობის ასახვის სოციალური (რეფორმისტული) ფორმა

დანაშაულის ასახვის უფრო მეტად განვითარებადი ფორმა არის დანაშაულობის ასახვის სოციალური (რეფორმისტული) ფორმა. ისტორიის ამ ეტაპზე, ჩვენ გვაქვს საქმე განვითარებული კაპიტალისტური სისტემის საზოგადოებასთან, სადაც ყველა სახის ურთიერთობა ეკონომიკური იძულებითაა გაუშუალოებული. საზოგადოება მოქცეულია სასაქონლო ბრუნვის სამყაროში. სახელმწიფო გამოდის არა მხოლოდ როგორც ძალაუფლების მატარებელი, არამედ როგორც საბაზრო ურთიერთობის მონაწილეც. აქ საზოგადოება პირველად გამოდის როგორც დამოუკიდებელი მოვლენა, რომელშიც მოჩანს დანაშაულობის სუბსტანცია. თუმცა მისი ხედვა თავისებურია.

სახელმწიფოს ეკონიმუკური საფუძველი – თავის პროცესებში ფეტიშირებულად ამტკიცებს, რომ საზოგადოების გამდიდრება და მოგების ზრდა ხორციელდება სტიქიურად და არ არის მიბმული კაპიტალის დაგროვების კანონთან, არამედ დამოკიდებულია სხვადასხვა სახის მოვლენებზე: ბაზრის მდგომარეობაზე, ბიზნესმენის ოსტატობაზე, მოსამსახურე პერსონალის სიმარჯვეზე, მომუშავეთა პროფესიონალიზმზე და ა.შ.

ამგვარად, სახელმწიფოს წინაშე საზოგადოება წარმოდგენილია, როგორც განსხვავებული მოვლენების მოზაიკა, რომლებსაც გააჩნიათ მათი კონკრეტული მიზეზები. ასეთ ევოლუციურ გზაზე დანაშაულის მიზეზი არა ინდივიდში, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებულ ცალკეულ სოციალურ პროცესებში უნდა იქნას დანახული. ყოველი სოციალური მოვლენა განიხილება როგორც თანასწორუფლებიანი, ასე ვთქვათ ერთ თაროზე განლაგებული. ცხოვრების ყოველი გამოვლინება შეიძლება იყოს სხვა სახის გამოვლინების უარყოფა, არაფერი არ ილახება, არამედ თანაარსებობს. ამ ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩართულ ინდივიდს ექმნება შთაბეჭდილება იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულობა არაა დაკავშირებული კაპიტალისტურ სისტემასთან კაპიტალის დაგროვების რაღაც მექანიზმებით, უბრალოდ ადგილი აქვს ათასგზის განმეორებად დანა-

შაულთა ცალკეულ ფაქტებს. და მხოლოდ ეს „შემთხვევითი კავშირი“ წარმოადგენს ერთადერთ საყრდენს დანაშაულობის „არსებობისა“ და მისი წარმომავლობის დასამტკიცებლად. ეს არის საზოგადოების უძლურება, სადაც ჰეგელის თქმით „სინათლე შეიძლება სიბნელესთან, ბოროტებასთან ბრძოლის მდგომარეობაში არსებობდეს, რომელიც მან უნდა დაამარცხოს, მაგრამ მხოლოდ უნდა, რადგან ეს მას არ ძალუძს.“

განვითარების მოცემულ ეტაპზე დანაშაულთან ბრძოლა მეტად სოციალიზირებულ ხასიათს ატარებს. ამიტომ ამავე პერიოდში რეგისტრირებული დანაშაულის ზრდისას, მცირდება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულთა რიცხვი, ხოლო მისგან გათავისუფლებულთა რიცხვი კი მატულობს. აღრიცხულ დანაშაულთა შორის, ამგვარად, მცირდება გამოვლენილ სამართალდამრღვევთა წილი. განსაკუთრებით იზრდება კორუპცია, მაგრამ მცირდება ნასამართლობის მაჩვენებელი და ა.შ. [20]

ამგვარად, რაც უფრო მეტად გამოდის სახელნიფო ეკონომიკური იძულების მომენტად, მით უფრო სუსტდება მისი რეპრესიული დამოკიდებულება სოციალური წინააღმდეგობებისადმი და მით უფრო ობიექტურად ხდება სოციალური უძლურების ასახვა. შეინიშნება თვით საზოგადოებაში პასუხის ძიების ტენდენცია. თუმცა მისი მოზაიკური აღქმა შესაბამისად თავს იჩენს კრიმინოლოგიური მოდელების ინტეგრაციის დროსაც. ამ პირობებში დანაშაულთან ბრძოლის პროგრამების დაკავშირება საზოგადოების ლოკალურ სფეროებთან ტიპიური მოდელია.

მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ კერნესის კომისიის დასკვნები. კომისიამ 1967 წელს ა.შ.შ.-ში გამოიმუშავა სოციალური პოლიტიკის სფეროში რეკომენდაციები, რომლებიც სიღარიბის სოციალური პირობების ლიკვიდაციას ისახავდნენ მიზნად. მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამებში გათვალისწინებული იყო აგრეთვე შემწეობის სისტემის გაუმჯობესების ზომებიც. კომოსიის რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფოს უნდა აეღო თავის თავზე დახმარების გაწევის ძირითადი ტვირთი, ხელფასთან ერთად დამატებითი გადასახადის გადახდა და ა.შ. ამერიკელი კრიმინოლოგის ე. შურის აზრით, კერნესის კომისიის რეკომენდაციები კიდევ ერთი არგუმენტია ა.შ.შ.-ის ქალაქის მოსახლეობის არსებობის

20 В.В.Лунеев (1977), Преступность XX века. Мировой криминологический анализ, М.., «Норма», с.77; с. 143, 265

პირობების მასიური და შეზღუდული შეცვლის სასარგებლოდ. მოცემული შეფასება ძალზედ გულუბრყვილოა და არ ითვალისწინებს საზოგადოებაში სამომხმარებლო მოთხოვნის მექანიზმს.[21] სახელმწიფოს მიერ დაწესებული პენსია ან დახმარება შეიძლება გაცემულ იქნას მარტო იმ გადასახადებიდან, რომელსაც იხდის მოსახლეობა. თავის მხრივ ეს დაფინანსების წყარო მარტო მოსახლეობის მყიდველობით უნარიანობის შემცირების გზით მიიღება. ამიტომ სოციალურ საჭიროებებზე სახელმწიფოს ხარჯებს არ შეუძლია გაზარდოს სამომხმარებლო მოთხოვნის საერთო მოცულობა. შესაბამისად, სიღარიბის დონის შეუცვლელად, მოცემული სოციალური პროგრამა არ უკავშირდება იმ ძირითად კანონზომიერებებს, რომლებიც საბოლოოდ დანაშაულობას სიღარიბესთან აკავშირებენ.

იგივე ბედი ეწიათ სხვა პროგრამასაც. აშშ-ს პრეზიდენტ ბ.კლინტონის ადმინისტრაციის დროს საზოგადოების გაჯანსაღების ფედერალურმა პროგრამამ შეიმუშავა საზოგადოებაში ძალადობის გადალახვის ზომები. ძირითადად იგი „დიფერენციალური კავშირის“ კრიმინოლოგიური თეორიის საფუძველზე იქნა აგებული და ამიტომ ჩამოყალიბდა სწავლების, ახალგაზრდების შრომით მოღვაწეობასთან დაკავშირების, ბავშვთა დასვენების, ადგილობრივი თემის, ძალადობის შეწყვეტის მხარდაჭერის და ა.შ. პროგრამის სახით. პირველი დანახვით მოცემული პროგრამა იყო მიმზიდველი. მაგრამ იგი რეალურად ვერ მოახდენდა ქვეყანაში ძალადობის განვითარებაზე ზეგავლენას, რადგან პროგრამა იყო გათვლილი მხოლოდ არაფორმალურ ჯგუფებზე ზეგავლენის მოხდენით. როგორც გაეროს მე-9 კონგრესზე აღინიშნა, მსგავსი ღონისძიებები არ ითვალისწინებენ იმას, რომ ძალადობას ადგილი აქვს არა ჯგუფურ, არამედ საზოგადოების დონეზე და ძალზედ გავრცელებულია მსოფლიოში სეპარატიზმისა და მასიური ტერორიზმის და სხვა მოვლენების სახით, რომლებსაც ადგილი აქვთ ბოლო დროს.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ კლინტონის პროგრამა ძალადობრივ დანაშაულთან ბრძოლას აკავშირებდა მარტო გარკვეულ ფაქტორებთან. თანაც აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციები იმ მასალებზე დაყრდნობით იწერებოდნენ, რომლებიც ზედაპირზედვე იდო. საბაზრო ურთიერთობათა სიღრმისეულ პროცესებს, დაპირისპირებას კაპიტალის დაგროვების სფეროში, უმუშევრობასა და ა.შ. პროგრამა არ ეხებოდა. ესე იგი ძალადობრივ დანაშაულობას არ უკავშირებდა

21 Э.Шур (1977), Наше преступное общество, М., «Прогресс», с. 216

იმ პროცესებს, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცად კითხვაზე: ეკონომიკის რომელი კანონები აპირისპირებენ ერთმანეთს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს და აძლევენ თუ არა გასაქანს ძალადობრივი სუბკულტურის გავრცელებას?

ერთ პოლუსზე კაპირტალის დაგროვება ბიზნესის სამყაროში ურთიერთობებს არეგულირებდა და ბაზრის განაწილებისათვის მუდმივი ბრძოლა იწვევდა მოხელეთა, ბიზნესმენთა, გამოჩენილ მოღვაწეთა და ა.შ. მკვლელობებს. რამდენადაც მძაფრდებოდა კონფლიქტი საბაზრო ურთიერთობებში, იმდენად მეორე პოლუსზე იზრდებოდა უმუშევართა, გაჭირვებულთა, დროებით მომუშავეთა რიცხვი, ე.ი. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა ცხოვრების დონე არასტაბილური იყო. მკვლელობა ან სხეულის დაზიანების მიყენება ჩხუბის დროს მთვრალ მდგომარეობაში, ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის ჩადენა და ა.შ. იყო არა მათ მიერ ჩადენილი ძალადობა (კანონის თვალსაზრისით), არამედ კაპიტალის დაგროვების განხორციელების ლოგიკის შედეგი. ამ კუთხით ძალადობას კლინტონის პროგრამა არ ითვალისწინებდა. უფრო მეტიც, საკითხის ასეთი დასმა წარმოუდგენელი და სქოლასტიკური იყო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით რადიკალური მიმართულების თეორიებმა ეს საკითხი წინ წამოწიეს.[22]

ამ მიმართულებით საინტერესოა მოსახლეობის დაკრედიტების იაპონური პროგრამა რომლის ფარგლებში მოსახლეობას გაეცემოდა კრედიტი მაღალი პროცენტით. რეფორმატორებს მიაჩნდათ, რომ ამ გზით შემცირდებოდა სიღარიბე და სამართალდამრღვევები გაჭირვებულთა შორის და ა.შ. სინამდვილეში აღნიშნულმა მეთოდებმა არამხოლოდ კრედიტორთა თვითმკვლელობათა და ბანკების ძარცვები გამოიწვია, არამედ საზოგადოება არსებითად საგონებელშიც კი ჩააგდო. არ იქნა გათვალისწინებული, რომ კრედიტირების სისტემას არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სოციალური მდგომარეობის შეცვლაზე, რადგან მისი გაუმჯობესების ან გაუარესების მიზეზი სხვა სიბრტყეში მდგომარეობს, უფრო ზუსტად კი კაპიტალის დაგროვების მექანიზმის სფეროში, რომელშიც კრედიტი მხოლოდ განაწილების ანუ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს.

უნდა აიღნიშნოს, რომ დანაშაულობის ასახვის განხილულ ფორ-

22 მაგალითის სახით შეიძლება დავასხელებთ თანამედროვე კრიმინოლოგიის ცნობილი ნაშრომი: A. Giorgi (2006), Re–Thinking the Political Economy of Punishment: Perspectives on Post– ordism and Penal Politics, Publisher: Routledge

მათა შორის არ არსებობს მკაცრად გავლებული ზღვარი. საქმე იმაშია, რომ კრიმინოლოგიური პროგრამის რეცეფციაში რეგრესიც შეინიშნება. 1) კერძოდ, შერეული (დუალისტური) ფორმის დროს ჩვენ ვაკვირდებით ადრეული ავტორიტარული რეჟიმისაკენ უკან სვლას, ხოლო 2) განვითარებული (რეფორმისტული) ფორმის ბატონობის დროს კი ადგილი აქვს შერეული ფორმისაკენ მიმართვის ტენდენციას. დანაშაულობის ასახვის შერეული ფორმის ბატონობის პერიოდში რეგრესის კვალს ჩვენ მექსიკაში ვხვდებით.

ამ სახელმწიფოში 80-იანი წლების ბოლოს გახშირდა თვითგასამართლებისთვის დამახასიათებელ სასჯელთა დანიშვნის, მსხვერპლთშეწირვის კერპთაყვანისმცემლური ტრადიციების, ცოცხლად დაწვის და ა.შ. შემთხვევები. არა ნაკლებ რთულია მდგომარეობა დანაშაულობის სახელმწიფოებრივ ასახვასთან დაკავშირებით შედარებით განვითარებულ ქვეყნებში. 90-იანი წლების შუაში ბოლივიურ ნარკომაფიასთან ბრძოლაში გამოყენებულ იქნა ა.შ.შ-ის ჯარი, რომლებმაც გაანადგურეს კოკაინის ნარგავები და ამით მოსახლეობას არსებობის ერთადერთი წყარო მოუსპეს. გლეხებისთვის გაწეული კომპენსაცია მხოლოდ ცოტა ხნის განმავლობაში თუ იქნებოდა საკმარისი და მოსახლეობა ისევ აღმოჩნდა კოკაინის წარმოების აღდგენის აუცილებლობის წინაშე.

80-იან წლებში ა.შ.შ.-ს პრეზიდენტმა რეიგანმა შეწყვიტა სოციალური პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი და სამართალდამცავი ორგანოების ყურადღება მთლიანად მასობრივი დაპატიმრებებისკენ მიმართა. ზომების გამკაცრებამ მხოლოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში შეაჩერა დანაშაულობის ზრდა. მომდევნო წლებში დანაშაულთა რიცხვმა იმატა.

სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა იაპონიაც. სოციალური რეაბილიტაციის შედარებით პროგრესული მეთოდის დანერგვის მისწრაფებას, ადგილობრივი ხელისუფლების ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა, რომელიც გასული საუკუნეებისთვის დამახასიათებელ მკაცრ ზომებს უჭერდა მხარს.

განხორციელებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა კრიმინოლოგიური მოდელების ინტეგრირების საზღვრები მოცემულ საზოგადოებაში ყალიბდებიან საზოგადოების ისტორიული საფეხურითა და მისი შესაფერისი სახელმწიფოებრიობით. კრიმინოლოგიური რეცეფციის ეფექტურობა და მიზანმიმართულება დამოკიდებულია დანაშაულობის სახელმწიფოებრივ ასახვაზე, რომელიც კა-

ცობრიობის პროგრესის შესაბამისად თავისუფლდება ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ასახვის ფორმისაგან, მისტიფიცირებული როლისგან. ამგვარად, დანაშაულის სახელმწიფოებრივი ასახვის გარკვეული ფორმის განსაკუთრებულობათა გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ვიცოდეთ იმ ქვეყნის კრიმინოლოგიური მოდელის ნაკლი, საიდანაც ის იქნა გადმოღებული.

1.3. კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენათა ევოლუციის ძირითადი ეტაპები[23]

1.3.1. წინარე შენიშვნები

ტერმინი „კრიმინოლოგია" პირდაპირი აზრით აღნიშნავს მოძღვრებას დანაშაულის შესახებ (ლათინური სიტყვიდან – crime – „დანაშაული" და ბერძნული სიტყვიდან – logos – „მოძღვრება, სწავლება"). ამავე დროს მოცემული ტერმინის აზრი უფრო ფართოდ განიმარტება, და ამჟამად კრიმინოლოგიად იწოდება სოციალური მეცნიერება, რომელიც გამოიკვლევს დანაშაულობას, მისი ფორმების აღმოცენების, არსებობისა და ცვალებადობის კანონზომიერებებს, მის დეტერმინანტებს, დანაშაულობის კონტროლის სისტემას.

თავდაპირველად შევეხებით ამ ტერმინის ისტორიას. როგორც ცნობილია, სამეცნიერო ხმარებაში ტერმინი „კრიმინოლოგია" შემოიტანა ფრანგმა ანთროპოლოგმა პოლ ტოპინარმა. პირველი წიგნი ამ სახელწოდებით დაწერა იტალიელმა იურისტმა რ. გაროფალომ. მის მიერ შემოტანილი ტერმინი აღნიშნავდა მოძღვრებას „დანაშაულის", როგორც კანონის დარღვევის, შესახებ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ტერმინის წარმოშობა რამდენადმე სხვაგვარია. როგორც აღნიშნავენ, პირველი ცნობილი გამოყენება სიტყვისა „დანაშაული" განეკუთვნება საშუალო საუკუნეებს, დაახლოებით 1250 წელს. საფრანგეთში ტერმინი «crimen» ინგლისიდან იქნა შეტანილი, სადაც მე-12 – მე-13 საუკუნეებში იგი აღნიშნავდა „დანაშაულს". ამ ტერმინის აზრის მოდიფიკაცია ასახავდა მე-13 საუკუნის რელიგიურ მსოფლხედვას, რომლის თანახმადაც დანაშაული განიხილებოდა როგორც „ცოდვა". მე-14 საუკუნის ბოლოსთვის ეს ტერმინი იღებს

23 აღნიშნული თემატიკა განხილულია ნაშრომში: გ.თოდრია (2010), კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენათა ევოლუციის ძირითადი ეტაპები – სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თბ., „მერიადიანი", გვ .327–36

კანონით დასჯადი აქტის მნიშვნელობას. ამგვარად, პოლ ტოპინარმა და რ. გაროფალომ ტერმინში „დანაშაული" ასახეს სწორედ ევროპული ლინგვისტური ტრადიცია. მაგრამ ტერმინის წარმოშობა რამდენადმე სხვაგვარია და იგი უფრო ასახავს არა ნორმატიულ, არამედ სწორედ სოციოლოგიურ ტრადიციას. თავდაპირველად უძველესი ლათინური სიტყვა «crimen» აღნიშნავდა „უბედურების ყიჟინას".[24] რაბინი ერნესტ კლაინი, კანადელი ლინგვისტი, თავის „ინგლისური ენის ყოვლისმომცველ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში" გამოთქვამს ვარაუდს, რომ სინამდვილეში «crimen» მომდინარეობს ფრაზიდან „უბედურების ყიჟინა" (cry of distress).[25] თუმცა ეტიმოლოგიურად სიტყვა „დანაშაული" წარმოიშვა ძველფრანგული სიტყვიდან «crimne», რომელიც თავის მხრივ დასაბამს იღებს ლათინური «Crimen»-იდან (აღნიშნავს „ბრალდებას") და ლათინური ძირიდან «Cerno» (რომელიც აღნიშნავს „მე გადავწყვეტ", „მე განვსჯი").

შეიძლება ეს განმარტება სადაოა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ საუკუნეთა შემდეგ, მე-19 საუკუნის მოაზროვნეები იწყებენ დანაშაულის განხილვას როგორც რეაგირებას ცხოვრების პირობების გაუარესებაზე. ხოლო მე-20 საუკუნეში დანაშაულის სოციოლოგია დაიწყებს დანაშაულის გააზრებას როგორც საპასუხო რეაქციას მაკროსოციალურ პროცესებზე. ამით კრიმინოლოგია უკვე აღნიშნავს მოძღვრებას განსაკუთრებული „უბედურების ყიჟინის" შესახებ, – არსებობის პირობების გაუარესებაზე რეაგირების განსაკუთრებული ფორმის შესახებ, ამ ფორმის არსებობის სოციალური კანონზომიერებების შესახებ და მასზე რეაგირების საშუალებების შესახებ.

ტერმინ „დანაშაულისათვის" ნორმატიული აზრის მინიჭება წარმოადგენს კაპიტალისტურამდელი ფორმაციების არსებობისა და განვითარების შედეგს. სახელმწიფოთა აღმოცენებისა და შენაცვლების სწორედ ამ ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში საზოგადოება განიხილებოდა როგორც ქაოსი, სადაც წესრიგი მხოლოდ სახელმწიფოს შეაქვს. „უბედურების ყიჟინა" ყოველთვის განიხილებოდა

24 . Bakaoukas, The conceptualisation of „Crime" in Classical Greek Antiquity rom the ancient Greek „crime" (krima) as an intellectual error to the christian „crime" (crimen) as a moral sin: https://web.archive.org/web/20110928085421/http://www.erces.com/journal/articles/archives/volume2/v02/v02.htm

25 (קרא צעק) – «criminal» enlargement of (= to shout, cry): E. Klein (1987), A Comprehensive Etymological Dictionary of the Hebrew Language for Readers of English, The Hebrew University of Jerusalem, გვ. 596

როგორც სწორედ სახელმწიფოს ხელყოფა, რამეთუ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ყოველთვის ისმებოდა ეგრეთ წოდებული თანაბრობის ნიშანი. ცივილიზაციის განვითარების სწორედ ამ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას უნდა უმადლოდეს თავის დამკვიდრებას დანაშაულის იურიდიული გაგება, როგორც ერთადერთი ზუსტი და სწორი. ტერმინ „კრიმინოლოგიის“ იურიდიული გაგების სიცოცხლისუნარიანობის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „უბედურების ყიჟინა“ წარმოჩინდება მხოლოდ დანაშაულობისადმი სახელმწიფოს მიმართებაში. სწორედ კანონდარღვევის ფორმაში იჩენს თავს მისი არსობრიობა – „უბედურების ყიჟინა“. ამით „დანაშაული“ არსებობას იწყებს როგორც კანონის დარღვევა (ფორმა) და როგორც „უბედურების ყიჟინა“ (არსობრიობა). აუცილებელია საზოგადოების კულტურის განვითარების განსაკუთრებული დონე, რათა დაძლეულ იქნეს ფორმისა და არსობრიობის გაიგივება „კრიმინოლოგიის“ გაგებაში. ეკონომიურად განუვითარებელ საზოგადოებებში, განსაკუთრებით კაპიტალის დაგროვების თავდაპირველ სტადიაში მყოფებში, ეს ილუზია ჯერ-ჯერობით ვერ დაიძლევა. კრიმინოლოგია განიხილება როგორც სისხლის სამართლის დარგის სფერო და ისწავლება იურიდიულ ფაკულტეტებზე. ხოლო განვითარებულ ქვეყნებში „კრიმინოლოგია“ ამ უძველესი აზრით შენარჩუნებულია მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების წყალობით, რომელიც იმდენად აშორებს წარმოებას საბოლოო პროდუქტის რეალიზაციისაგან, რომ მიუწვდომელად აქცევს სილრმისეული სოციალური პრობლემების გაგებას. ხოლო რადგანაც სახელმწიფო იქცევა კაპიტალის დაგროვების საშუალებად, ამიტომ კვლავ ცოცხლდება კაპიტალისტურამდელი ფორმაციების ილუზია, რომ სწორედ სახელმწიფოს ეკუთვნის საყრდენი წერტილი დანაშაულობის გაგებაში.

ამგვარად, ფუნდამენტური კრიმინოლოგიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთისაგან განაცალკევოს დანაშაულის ორი ნიშანთვისება – „იყოს კანონდარღვევა“ და „იყოს უბედურების ყიჟინა“. ამ პრობლემის გადაწყვეტით კრიმინოლოგია კვლავ შეიძენს თავისი თავდაპირველი მნიშვნელობის აზრს, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციებისათვის.

კრიმინოლოგიის საგნის სრული გააზრებისათვის აუცილებელია განხილულ იქნას საგნის განსაზღვრის ფორმა, ხოლო შემდეგ დახასიათდეს კრიმინოლოგიის საგნის ელემენტები.

საგნის განსაზღვრის ფორმის განხილვისას აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ორი საკითხი: ა) როგორი სქემით უნდა აიგოს კრიმინოლოგიის საგანი? და ბ) რით განსხვავდება კრიმინოლოგიის საგანი კრიმინოლოგიის ობიექტისაგან?

განვიხილოთ პირველი საკითხი. როგორც კრიმინოლოგიის საგნის განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, საგნის ელემენტებად იკვეთება სამი კომპონენტი: 1) დანაშაულობა; 2) დანაშაულობის დეტერმინანტები; 3) დანაშაულობაზე კონტროლის სისტემა.

ძირითადად ისინი რამდენადმე სქემატურად ასახავენ დანაშაულობის დეტერმინაციისა და მისი შემეცნების მეთოდოლოგიური გზების მთელს სირთულეს. ეს ნიშნავს, რომ ელემენტების მოცემული სქემა დასრულებული სახით აღწერს აზრის თანდათანობით გადასვლებს მიზეზობრივი ახსნა-განმარტებების ერთი დონეებიდან ახსნა-განმარტებათა უფრო მაღალ დონეებზე.

კრიმინოლოგია, როგორც ნებისმიერი მეცნიერება, იწყებს ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მიზეზთა აღწერით. შემდეგ ამ ემპირიულ მასივში გამოიკვეთება მხოლოდ ისეთი მიზეზები, რომელთაც საერთო მნიშვნელობა აქვთ ყველა დანაშაულისათვის. ამ მიმართულებით სტატისტიკურად განზოგადდება მონაცემები პიროვნების ზნეობრივი ჩამოყალიბების, კონკრეტული ვითარების თავისებურებების, ასაკობრივი და სამართალდამრღვევთა პიროვნების სხვა ნიშან-თვისებების და მსგავს პრობლემებთან დაკავშირებით.

ეს განზოგადოებული დონე კრიმინოლოგიაში სხვადასხვაგვარად იწოდება. ამერიკის კრიმინოლოგიაში მხედველობაში აქვთ „წინამავალი გარემოებები ან დანაშაულებრივი ქცევის პირობები".[26] რუსეთის კრიმინოლოგიაში კი იყენებენ სხვა ტერმინს – „ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი."[27] მაგრამ სახელწოდების მიუხედავად აბსტრაქციის ეს დონე შუალედური ეტაპია კრიმინოლოგიის საგნამდე აღმასვლაში, რადგანაც დანაშაულებრივი ქცევის ახსნა წარმოშობით, ცუდი ოჯახით, დაბალი კულტურული დონით, აგრესიულობით და სხვა კონკრეტული ფაქტორებით აქ არ არის.

---

26 Т.Селлин (1966), Социологический подход к изучению причин преступности, Социология преступности, М., «Прогресс», с. 28.

27 Ю. М. Антонян, П. С. Дагель, О. Л. Дубовик и др. (1981), Механизм преступного поведения (1981), (Отв. ред. В. Н Кудрявцев), М., «Наука»

და ბოლოს აუცილებელია დანაშაულობის, მისი დეტერმინანტების კვლევის უფრო მაღალი დონე საზოგადოების საერთო ისტორიულ და სოციალურ პროცესებთან დაკაშირებით: ეკონომიკის განვითარების, სულიერი კულტურის ზრდისა და მსგავსი საკითხების გათვალისწინებით.

ერთობლიობაში, ეს მრავალმხრივი მიდგომა დანაშაულობის პრობლემაში აყალიბებს კიდეც კრიმინოლოგიის საგანს. აქედან გასაგებია, რომ ობიექტური და სუბიექტური გარემოებები (დამნაშავის პიროვნების ჩათვლითაც), რომლებიც წინ უსწრებენ დანაშაულებრივ საქციელს, არ შეიძლება დაყენებულ იქნან ერთ სიბრტყეზე დანაშაულობის, დანაშაულის დეტერმინანტებისა და დანაშაულობაზე კონტროლის სისტემის გვერდით, რადგან ეს უკანასკნელნი ასახავენ მაღალი რიგის საზოგადოებრივ პროცესებს.[28]

კრიმინოლოგიის საგნის განსაზღვრაში ობიექტური და სუბიექტური გარემოებების არარსებობა (დამნაშავის პიროვნების ჩათვლით), რომლებიც წინ უსწრებენ დანაშაულებრივ ქცევას, ასევე მასში ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის არარსებობა არ ნიშნავს მათს იგნორირებას. მეტიც, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება, კრიმინოლოგია სწავლობს სოციალური მოვლენებისა და პროცესების ფართო წრეს, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულნი არიან დანაშაულობასთან და მისი აღმოცენების ბუნებასთან. მაგრამ ისინი არ არიან აღნიშნულნი კრიმინოლოგიის საგანში. და ეს არ არის შემთხვევითი.

საგნის განსაზღვრა უნდა ასახავდეს კრიმინოლოგიის მეცნიერების ხასიათს. სწორედ მისი თეორიული მიმართულება და პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა იყოს ამოსავალი მომენტი მისი არსობრიობისა და შინაარსის გასაგებად. ამიტომ კრიმინოლოგიის მეცნიერების დაყვანა მისი საგნის სხვადასხვაგვარი ელემენტების ჩამოთვლამდე, მეთოდოლოგიური განზოგადების ძირითადი მიზნის გაუთვალისწინებლად, ბუნდოვანს ხდის კრიმინოლოგიის საგანს.

განვიხილოთ მეორე საკითხი. კრიმინოლოგიის საბოლოო მიზანია – დაუკავშიროს დანაშაულობის განვითარების კანონზომიერებები საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ კანონებს. ამ გზაზე დადგენილ უნდა იქნას დანაშაულობის ტიპიური ფორმები, არსე-

---

28 В.Н.Кудрявцев (1968), Причинность в криминологии.М. «Юрид лит–ра», с. 71–72; Эта схема более подробно рассмотрена: В. Н. Кудрявцев (1976), Причины правонарушений, М., «Наука»

ბითი მიზეზობრივი კავშირები საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებთან და მოაზრებულ იქნას დანაშაულობაზე კონტროლის სისტემის მოდელი. ამ ძირითადი მიზნის მისაღწევად მკვლევარი ანალიზის ობიექტად ირჩევს ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროებს. კვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს თავად კრიმინოლოგიური აზრიც, მისი მეთოდები და საშუალებები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კრიმინოლოგიის საგანი და კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტი უნდა განხილულ იქნენ როგორც თანასწორნი. სამწუხაროდ, გარდა ზემოთ დასახელებული ელემენტებისა, ზოგიერთი ავტორი კრიმინოლოგიის საგანს მიაკუთვნებს კრიმინოლოგიური მეცნიერების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებებს, მის ადგილსა და როლს საზოგადოების ცხოვრებაში; აგრეთვე კონკრეტული კრიმინოლოგიური კვლევების ორგანიზებას; კრიმინოლოგიურ პროგნოზირებას და დანაშაულთან ბრძოლის დაგეგმვას; დანაშაულობის შედეგების ლიკვიდაციას; დანაშაულთან ბრძოლის პროცესების მართვას, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც დანაშაულობაზე ახდენენ ზეგავლენას, ეგრეთ წოდებული უკუმგდები (დევიანტური) ქცევის სახეობებს და სხვადასხვა „ფონურ" მოვლენებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი დანაშაულობასთან: ლოთობას, ნარკომანიას, პროსტიტუციას, ბავშვთა უმეთვალყურეობას და მისთ.

ასეთი მიდგომა უკიდურესად მცდარია, რადგან იგი უგულვებელყოფს მეცნიერების ძირითად მიზანს და იმას იწვევს, რომ კრიმინოლოგიის საგანი სულაც არ არის განსაზღვრული ერთმნიშვნელოვნად. საგნის მეტისმეტად გაფართოება განაპირობებს კვლევის საგნის საზღვრების გადაშლას, ხოლო მისი შევიწროება – ძიების შესაძლებლობათა გაღარიბებას.

1.3.2. კრიმინოლოგიური აზროვნება კაპიტალიზმამდელი ეპოქების სოციალური წყობის პირობებში

კრიმინოლოგიის საგანი ყოველთვის არ ყოფილა ისეთი, რა სახითაც დღეისათვის არსებობს. მეცნიერების განვითარების კვალობაზე იგი ზუსტდებოდა, განიხილებოდა ხან ვიწრო, ხან უფრო ფართო ასპექტში. აღნიშნული საგნის ახლანდელი შემადგენელი ელემენტებიდან ყველამ თავიდანვე როდი დაიკავა მასში თავისი ადგილი.

კაპიტალიზმამდელი ეპოქების სოციალური წყობის პერიოდში დანაშაულობა არ გაიაზრებოდა, როგორც კანონზომიერი მოვლენა.

საზოგადოებრივი წყობილება იდენტიფიცირდებოდა ცენტრალიზებულ დესპოტურ სახელმწიფოსთან. ითვლებოდა, რომ მხოლოდ ასეთ სახელმწიფოში შეიძლებოდა გამეფებულიყო მშვიდობა და წესრიგი, ამ „ნორმიდან“ მცირე გადახვევაც კი ცალკეული ინდივიდის თვითნებობად მიიჩნეოდა. ითვლებოდა, რომ სახელმწიფოს გარეშე არ არსებობდა არავითარი კანონზომიერება და ყველაფერი მხოლოდ შემთხვევათა კონგლომერატს წარმოადგენდა. ამ პირობებში დანაშაულებათა მიზეზები მოიძიებოდა არა საზოგადოებაში, არამედ მხოლოდ ინდივიდუმში, მის თვითნებობაში.[29] ასე რომ, მოცემულ ისტორიულ საფეხურზე კაცობრიობას არ შეეძლო შეემუშავებინა დანაშაულობის ცნება, რასაც ბევრად უწყობდა ხელს სახელმწიფო დიქტატი, როგორც მითვისების არსებითი ხერხი.[30]

დანაშაულობაზე წარმოდგენათა ეს პირველადი ფორმა მთლიანად სამართალურთიერთობით იყო განპირობებული და ამით ხელი ეწყობოდა კრიმინოლოგიური მსოფლმხედველობის განუვითარებულობას. ამასთან, სწორედ მისი შესწავლა იძლეოდა დანაშაულობის დეტერმინაციაში სახელმწიფოს როლის გაგების გასაღებს, რასაც კრიმინოლოგიის საგნის ელემენტების შესახებ წარმოდგენების ურთულესი მეტამორფოზების გააზრება უნდა მოჰყოლოდა.

ლაპარაკია იმაზე, რომ ყველა ეპოქაში დანაშაულობა წარმოგვიდგება, როგორც წარმოქმნილ სოციალურ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის მცდელობა (როგორც გაუცხოების მოხსნის საშუალება), თუმცა აისახებოდა მხოლოდ, როგორც სისხლის სამართლის კანონის დარღვევა, ე.ი. როგორც ის ხერხი, რომელიც თვითონ იწვევს გაუცხოებას. დანაშაული არსებობს, როგორც ინდივიდუ-

29 ტოტალიტარულ სახელმწიფოში სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდა პირდაპირ პროპორციულად არ გამოიხატება დანაშაულობის ზრდაში, არამედ აისახება „რეგისტრირებულ“ დანაშაულთა შემცირებულ და გამოვლენილ პირთა მზარდ რაოდენობაში (არა მარტო მსჯავრდადებულთა, არამედ უმცირესი ეჭვის საფუძველზე საზოგადოებისაგან „მოსაკვეთად“ განკუთვნილ პირთა ჩათვლით (იხ.: В.В.Лунеев (1977), Преступность XX века. Мировой криминологический анализ, М. «Норма», с.77; с. 138; с.418.)

30 ინგლისელი ფილოსოფოსი ა. კოლინზი წერდა, რომ „მოთხრობები ეშმაკის ძალის შესახებ ეფუძნებოდა ერთთა სიცრუეს და მეორეთა გულუბრყვილობას“ და რომ „ჯადოქართა დასჯა სინამდვილეში იყო მკვლელობა“, რადგან ემყარებოდა იმ ძალაუფლებას, რომლის წყალობითაც უამრავი სიციცხლე და უდანაშაულო ადამიანის რეპუტაცია ნადგურდებოდა. (იხ.: А. Коллинз (1967), Философское исследование человеческой свободы. Английские материалисты XVIII века, т.2. М., с. 92.).

მის მიერ საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობათა გადალახვის საშუალება, მაგრამ სამართალურთიერთობაში პირდაპირ საპირისპირო ფორმით – საზოგადოებასთან დაპირისპირების ხერხად, საზოგადოებაში გაბატონებული სისხლის სამართლის კანონების დარღვევად გვევლინება. ამიტომ ის ერთდროულად წარმოადგენს განსაკუთრებული სამართალურთიერთობის ელემენტს – სისხლის სამართლის მოთხოვნათა დარღვევას.

ამრიგად, დანაშაულობის მსოფლიო ისტორიაში საზოგადოებრივ ფაქტორებთან ერთად, ინდივიდუმებზე სახელმწიფო იძულების ფაქტორებიც ზემოქმედებდნენ, მაგრამ ტოტალური რეჟიმების პირობებში დანაშაულობა ცალმხრივად წარმოჩინდებოდა – როგორც მხოლოდ საზოგადოებასთან დაპირისპირების ხერხი, როგორც სისხლის სამართლის კანონების დარღვევა, როგორც ნეგატიური მოვლენა და ა.შ.

სახელმწიფო იძულების ტოტალური განვითარება არ იძლევა დანაშაულობაში ინდივიდუმის წინაშე წარმოშობილი სოციალური წინააღმდეგობების დაძლევის უხეში მცდელობის დანახვის საშუალებას. დანაშაულობის ხედვის ეს დონე ასახავს სახელმწიფო იძულების ისეთ მდგომარეობას, რომელიც გამორიცხავს მის განვითარებას სოციალური კონტროლის დონემდე. მოცემულ ისტორიულ ეტაპზე „დანაშაულობის“ კონსტრუქციას არ შეუძლია გახდეს კრიმინოლოგიის საგნის ელემენტი, რადგანაც არ არსებობს მეორე უმნიშვნელოვანესი ელემენტი – „სოციალური კონტროლი“. სახელმწიფო იძულება ხომ ისტორიულად დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლითაა შეზღუდული და ჯერჯერობით არაა განვითარებული სოციალური კონტროლის დონემდე.

კრიმინოლოგიის საგნის ჩამოყალიბების მეორე გარდამავალი ეტაპი ფიქსირდება იმ ქვეყნების ისტორიაში, რომლებიც იმყოფებიან კაპიტალის თავდაპირველადი დაგროვების სტადიაზე. მოცემული ისტორიული ეტაპისათვის დამახასიათებელია არაეკონომიკური იძულების, როგორც მითვისების წესის ნგრევა. მოცემული ისტორიული პერიოდის კრიმინოლოგიური წარმოდგენები გვიჩვენებენ, თუ როგორ გავლენას ახდენს დანაშაულობის დეტერმინაციაში გარკვევის შესაძლებლობაზე იძულების არაეკონომიკური მეთოდებისაგან საზოგადოების თანდათანობით გათავისუფლება.[31]

31 ამ მიმართულებით აღნიშნული საკითხი ჩვენ განვიხილეთ სტატიაში: Г.Тодрия (2004), „Проблемы рецепции моделирования криминологических

საბაზრო ურთიერთობათა განვითარებამ XIII საუკუნის დასასრულს ბევრ ევროპულ ქვეყანაში ძირი გამოუთხარა ფეოდალური დამოკიდებულების საფუძვლებს და მეურნეობის თავისუფალი გაძღოლის შესაძლებლობა შექმნა. იწყება გადასვლა შუა საუკუნეების წოდებრივ-მონარქიული წყობილებიდან ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის ახალ ფორმებზე. კაპიტალისტურ საბაზრო ურთიერთობათა ჩასახვა მოითხოვს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და მოქალაქის ავტონომიურობას, ხალხის ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების უმკაცრეს ტოტალიტარულ რეგლამენტაციაზე უარის თქმას.

მოცემულ ისტორიულ პირობებში დანაშაულობის ასახვა იწყებს დუალისტური ხასიათის მიღებას. ერთი მხრივ, მდუმარედ ხდება საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა, როგორც დანაშაულობათა საფუძვლის დაშვება, რადგანაც არაეკონომიკური იძულება კარგავს დომინირებულ მდგომარეობას და უკვე ეკონომიკურს ემორჩილება. მაგრამ მითვისების ეკონომიკური წესების განუვითარებლობასთან დაკავშირებით საზოგადებრივი წინააღმდეგობები მოიაზრება როგორც სახელმწიფოს მხოლოდ უარყოფითი თვისება, ე. ი. როგორც სახელმწიფო მართვის, მისი კანონების ცალკეულ ნაკლოვანებათა ერთობლიობა.[32] სოციალური სამყარო სახელმწიფოსათვის ჯერჯერობით გარე და გაუგებარ მოვლენად რჩება, რომლის გადარჩენაც შეიძლება არა საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლით, არამედ მხოლოდ საზოგადოებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების შეცვლით. ამრიგად, საზოგადოება სახელმწიფოსთან მიმართებაში, როგორც ჰეგელი იტყოდა, მოიაზრება როგორც „ცარიელი არსი".

მსგავსმა ობიექტურად განპირობებულმა თვალთახედვამ თავისი განსახიერება ჰპოვა იმ მოაზროვნეთა კონცეფციებში, რომლებიც მეცნიერებაში ცნობილნი არიან, როგორც სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენლები. მოცემული კონცეფციების მიხედვით, საზოგადოებრივი წყობა ჯერჯერობით იდენტიფიცირდება ცენტრალიზებულ დესპოტურ სახელმწიფოსთან და

программ борьбы с преступностью," Сб: Уголовное право и преступность, D A A D. Бохум, с.107–114.

32 ეს კანონზომიერება ტიპობრივია არამარტო XVII – XVIII საუკუნეების ევროპის სახელმწიფოებისათვის, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვისაც, რომლებიც XX საუკუნის ბოლოს ასევე აღმოჩნდნენ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პირობებში.

მისი გარდაქმნა მოიაზრება მხოლოდ, როგორც თვით სახელმწიფოს, მისი კანონისა და სასჯელის მიზნის ცვლილება. ყოფილი ფეოდალების თვითნებობას ცვლიდა თვითნებობა და ძალადობა მიწის დატაცების, წვრილი ხელოსნური მეურნეობის ნგრევისას და ა. შ. მოკლედ, ერთი უკანონობის ადგილს იკავებდა სხვა ისტორიულად ახალი უკანონობა. სამართლებრივი ფორმა იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ იგი არ იძლეოდა დანაშაულებრივი ქმედების, როგორც მასობრივი მოვლენის, რეალური საზღვრების დადგენის საშუალებას, რადგანაც თვითნებურად ხდებოდა მისი ჩანაცვლება რეპრესიებითა და განუკითხაობით. შემთხვევითი არაა, რომ მოაზროვნეთა მოთხოვნები მიმართული იყო სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის კანონის დამრღვევთა შორის დამყარებული სამართალურთიერთობის ბუნდოვანების წინააღმდეგ.

ამ პირობებში სისხლის სამართლის ე. წ. კლასიკური სკოლის მომხრეების მიერ ხდება რუსოს, ვოლტერის, დიდროსა და მონტესკიეს ჰუმანიზმის იდეების გაღრმავება-განვითარება. განმანათლებელთა იდეები მიმართული იყო ერეტიკოსების მიმართ დაუნდობელი წამებისა და მათი განადგურების, დამნაშავეებისადმი სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ. 1764 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ“ ბეკარია მიუთითებდა: „დასჯის მიზანი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ დამნაშავეს არ მიეცეს საშუალება, კვლავ მიაყენოს საზოგადოებას ზიანი და სხვებსაც ხელი ააღებინოს ასეთივე ქმედებაზე“; „რაც უფრო ადრე მოჰყვება დანაშაულს სასჯელი, მით უფრო სამართლიანი და სასარგებლოა იგი“.[33] იგივე სულისკვეთებით ავითარებდა იდეებს ჯონ ჰოვარდი თავის 1777 წელს გამოცემულ ნაშრომში „ციხეების მდგომარეობა ინგლისსა და უელსში“.[34]

XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში პოპულარობა შეიძინა კანტის კონცეფციამ სუბიექტური შერაცხადობის შესახებ. აქაც განვითარებულია ანალოგიური თეზისი: „სასჯელი დამნაშავეს იმიტომ უნდა დაედოს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული; ადამიანს ხომ არასოდეს უნდა მოეპყრო როგორც მხოლოდ სხვა

33 Ч.Беккариа (1939), О преступлениях и наказаниях, М, с. 281

34 Э. А. Казалет (1892),О значении Джона Говарда в истории тюремной реформы. М.; Г. Слиозберг (1891), Джон Говард. Его жизнь и общественно–филантропическая деятельность. Биографический очерк (ЖЗЛ). СПб.

პიროვნების მიზნის მიღწევის საშუალებას...".[35]

კანონების არასრულყოფილებაზე ამახვილებს ყურადღებას ბენტამიც. მონტესკიესა და ბაკარიას კვალდაკვალ იგი თავის ნაშრომში „პანოპტიკუმი" ავითარებს თემას სასჯელის თანაზომიერების აუცილებლობის შესახებ.[36] სასჯელის თანაზომიერების პრობლემას მიუძღვნა სისხლის სამართლის თავისი სახელმძღვანელო ფოირბახმა.[37] შემდგომში კლასიკური სკოლის იდეები განავითარეს კ. გროლმანმა, ქ. შტელცერმა კ.რედერმა და სხვ.[38]

კლასიკური სკოლის პრინციპების სულისკვეთებით ჰეგელი ვარაუდობდა, რომ სასჯელის ცნება[39] და საზომი უნდა განისაზღვროს თვით ინდივიდუმის ქმედებიდან გამომდინარე. ამასთან ერთად, დიდმა ფილოსოფოსმა გამოთქვა აზრი, რომელმაც ბევრად გაუსწრო წინ თანამედროვე კრიმინოლოგიას. მას მიაჩნდა. რომ: „ქურდობა, ძარცვა, აგრეთვე სასჯელი ფულადი ჯარიმის ან ციხეში პატიმრობის სახით და ა. შ., ერთი შეხედვით, სრულებით არ შეედრება ერთმანეთს, მაგრამ თავანთი ღირებულების, მათი იმ უზოგადესი თვისების მიუხედავად, რომ ისინი დარღვევები არიან, ისინი შედარებადია."[40]

მრავალი ათწლეულის შემდეგ ცხადი გახდება, რომ სხვადასხვა დანაშაულებანი მართლაც უტოლდებიან ერთმანეთს, როგორც კაპიტალის დაგროვების კანონის მატარებლები. ამით ქურდობაში, მკვლელობაში, ქრთამის მიცემაში და ა.შ. ხდება არამარტო მათი შემთხვევითი, არამედ საკუთარი ტიპობრივი ნიშნების დაკარგვა. ამ გზით სოციალური კანონები წარმოშობენ ორგანიზებული დანაშაულობის სხვადასხვა ფორმებს, შლიან ზღვარს მართლზომიერებასა და არამართლზომიერებას შორის. სახელმწიფოები ერთვებიან ბრძოლაში საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ და ამავე დროს თვითონვე მონაწილეობენ სახელმწიფო ტერორში იარაღის გაყიდ-

---

35 И.Кант (1996). Метафизика нравов – Сочинения в 8 томах, М., т. 6., с. 366–367

36 И. Бентам (1907), Тактика законодательных собраний. СПб.; აგრეთვე იხ. И. Бентам (1998), Введение в основания нравственности и законодательства,. М. აგრეთვე იხ. И. Бентам (1867), Избранные сочинения, т. 1, СПб

37 П.А.Фейрбах (1810), Уголовное право, СПб, с. 14.

38 დაწვრილებით ანალიზი იხ.: С. Будзинский (1870), Начала уголовного права, Варшава, с. 353–381.

39 ჰეგელის კონცეფციის თანახმად ცნება ნიშნავს მოვლენის არსს.

40 Гегель (1990),Философия права, М, с.150.

ვით, საეჭვო სამთავრობო რეჟიმების მხარდაჭერით, სეპარატიზმის დანერგვით, რითაც გზას უხსნიან მსოფლიო ნარკობიზნესს და ა.შ.

XX საუკუნის სოციოლოგიური თეორიების კრიტიკით ჰეგელის იდეას მიუბრუნდნენ რადიკალურად განწყობილი კრიმინოლოგები, განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემების განხილვისას. დანაშაულობის ფორმების რთული კრიმინოლოგიური კლასიფიკაციები XX საუკუნის დასასრულს ნათლად აჩვენებენ ამ იდეის სისწორეს.[41]

სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის როლი კრიმინოლოგიის განვითარებაში მდგომარეობს იმაში, რომ მან დაინახა სამართალურთიერთობის მნიშვნელობა დანაშაულებრივი ქცევის საზღვრების გარკვევისას, მაგრამ მხოლოდ დაინახა. დანაშაულობასთან ბრძოლის კატეგორია მხოლოდ ყალიბდებოდა და მას, როგორც კრიმინოლოგიის საგნის ელემენტს, ჯერ კიდევ უნდა გაევლო დიდი გზა დანაშაულობის სოციალური კონტროლის სახით ჩამოყალიბებამდე. ორი საუკუნის შემდეგ ასეთი გადასვლა ობიექტურად გამოჩნდა. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების ჩასახვის გარიჟრაჟზე კრიმინოლოგიის საგნის ძირითადი ელემენტი – „დანაშაულობის სოციალური კონტროლი" ჯერ კიდევ ძნელად სცილდებოდა „დანაშაულობასთან ბრძოლის" ჩარჩოებს. ეს ელემენტი მოცემული იყო მხოლოდ პერსპექტივაში.

ამასთან ერთად, საინტერესო მეტამორფოზებს განიცდის ისეთი კონსტრუქტი, როგორიცაა „დანაშაულობა".

როგორც ცნობილია, აღნიშნულ ისტორიულ პირობებში სახელმწიფოს უკვე აღარ ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ახალი საზოგადოების გათავისუფლებულ ძალებს, რომლებიც ყალიბდება ფეოდალური დამოკიდებულების ყოველგვარი ბორკილისაგან თავისუფალი ადამიანებისგან. თითოეულს ბედისაგან მიცემული აქვს შესაძლებლობა თავისი მოხერხებულობისა და უნარის კვალობაზე მონახოს საკუთარი არჩევანი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნებისმიერი ქცევა, მათ შორის დანაშაულებრივიც, არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზმის წევრის ფუნქციას და შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული ინდივიდუმის ახირებით. ამიტომ XVIII საუკუნეში დანაშაულთა მთელი მასა ჯერჯერობით, როგორც

41 აღნიშნული დებულება ჩვენ განვავითარეთ ნაშრომში: Г.Тодрия (1989), «Проблемы перестройки криминологического мышления», журнал «Мацне», № 1, с. 102 – 111

ცალკეული ინდივიდის აქტთა კონგლომერატი ისე აღიქმება.

როგორც კანონზომიერება, დანაშაულთა მასა აღქმული იქნება მოგვიანებით, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე მეოთხედში. სწორედ ამ პერიოდში ქალაქებისა და ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ინდუსტრიალიზაციის შედეგად, პოლარიზაცია ღარიბებსა და მდიდრებს შორის, პაუპერიზაცია, დანაშაულობისა და ალკოჰოლიზმის გახშირება, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ბრძოლის საერთო გაძლიერება და ა. შ. სტიმულს აძლევს საყოველთაო ინტერესს საზოგადოებრივი პრობლემებისადმი. სოციალური სინამდვილის არსებული „ბნელი" მხარეების კვლევას შეუდგებიან ჯ. კეი–შატლუორტი – ინგლისში, ა. ვაგნერი – გერმანიაში, ა. ტიურგო, ჟ. ალამბერი, ჟ. კონდორსე, პ. ლაპლასი საფრანგეთში და სხვები.[42] ა. ჰარი და ა. კეტლე გამოიყენებენ სტატისტიკურ მეთოდებს და ბოლოს და ბოლოს იწყება დანაშაულობის როგორც მასობრივი კანონზომიერების მეცნიერული ფიქსირება.[43]

ამრიგად, თავისუფალი კონკურენციის საზოგადოების განვითარებით, მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგს „დანაშაულობის" კონსტრუქცია ყალიბდება, როგორც მომავალი კრიმინოლოგიის საგნის ელემენტი. მაგრამ XVIII საუკუნის ბოლოს ეს ელემენტი ჯერ კიდევ არ არსებობდა.

შესაბამისი ცვლილებები დამახასიათებელი იყო „დანაშაულობის დეტერმინაციის" კონსტრუქციისათვის. მის ჩამოყალიბებაზე თავის კვალს ტოვებდნენ სიმდიდრის დაგროვების ძალადობრივი მეთოდები, რის შედეგადაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოება ივსებოდა ჩაგრულებითა და უმუშევრებით, ყოველგვარი ფეოდალური დამოკიდებულებისაგან თავისუფალი ინდივიდებით. მოცემულ ისტორიულ პირობებში სახელმწიფო ჯერ კიდევ არ იყო წარმოდგენილი საბაზრო ურთიერთობებით, რომლებიც ამ დროს მხოლოდ ემბრიონულ ხასიათს ატარებდნენ.[44] ამიტომ საზოგადოება

---

42 . Phillipson, D. Silverman (1973), New Directions in Sociological Theory, Publisher: IT Press

43 R. Akers (1997), Criminological Theories. Introduction and Evaluation. Roxburi Publishing Company. Los Angeles, Kalifornia, p. 35–57.

44 ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა 1801–1810 წწ., რომელიც ნათელს ჰფენს მაშინდელი საზოგადოების „სოციალურ სნეულებათა" პრობლემისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების არამდგრადობას. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საფრანგეთში, ისევე როგორც ინგლისში, ფართო გავრცელება ჰპოვა სოციალ-

სახელმწიფოს დაქსაქსულ პირთა მილიონობით აქტისაგან შემდგარ ქაოსად წარმოუდგებოდა. ამის შედეგად სოციალური განზომილების რეალურ ერთეულად გამოდიოდა ინდივიდი, რამეთუ საზოგადოება იდენტიფიცირდებოდა ინდივიდებთან, რომელთაც არავითარი საერთო სოციალური კანონი არ აკავშირებდათ.[45] საზოგადოებაში დანაშაულთა მიზეზების ძიების ტენდენციაც კონკრეტულ ინდივიდთა კვლევის ფარგლებში ისახებოდა.

მოგვიანებით ეს გაორებული თვალსაზრისი შეაფასა ჰეგელმა. როგორც ის მიუთითებდა, მაშინდელი საზოგადოება შედგებოდა კერძო პირებისაგან და მათი მიზანი კერძო ინტერესი გახლდათ. მაგრამ ეს მიზნები გაშუალებული იყო სახელმწიფო მოწყობით, რაც ყველაფრის საფუძველს (ჰეგელის ტერმინოლოგიის მიხედვით „სუბსტანციურ უზოგადესობას") წარმოადგენდა. ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ საზოგადოების ასეთი მოწყობისას ინდივიდი განიხილებოდა ან სახელმწიფოს მოთხოვნათა გარეთ, ან მხოლოდ სახელმწიფოს სისხლის სამართლის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით. დანაშაულებათა მიზეზების ძიების პირველი ტიპი, დამნაშავე ადამიანის კონცეფციების შესაბამისად, სწორედ ინდივიდებში ფიქსირდებოდა, ხოლო მიდგომის მეორე ტიპი სისხლის სამართლის ე. წ. კლასიკური მიმართულების კონცეფციებით განიმარტებოდა.

დამნაშავე ადამიანის კონცეფციები ფრიად მრავალფეროვანია. საფრანგეთში – ი. გალის (1825 წ.) და მისი მიმდევრების; გერმანიაში – ი. კასპერის (1854 წ.), ა. ლალემანის (1862 წ.); ინგლისში – ფ. ვინსლოუს და მეცხრამეტე საუკუნის შუახანების სხვა მკვლევართა ნაშრომებში გამოკვლეულია ფიზიოლოგიური პრობლემატიკა

ურ-ჰიგიენურმა მიმართულებამ, რომლის მიზანი მოსახლეობის ცხოვრების პირობების შესწავლა იყო.

45 მთელი XIX საუკუნის განმავლობაში განმანათლებელთა ეპოქის ფილოსოფიურ ტრადიციას, რომლის თანახმადაც ისტორიული პროცესის სუბიექტად აღიარებული იყო ცალკეული პიროვნება, ცვლის წარმოდგენა ხალხზე, როგორც ისტორიულ ინდივიდზე, რომელიც წარმოშობს ენას, ზნეობას, სამართალს. ინდივიდუალურთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება მასობრივ სოციალურ მოლენებს. ცალკეული პიროვნება განიხილება, როგორც «კოლექტიური ინდივიდის» ნაწილაკი, როგორც მისი თვისებების მატარებელი. ცალკეულ ქვეყნის ისტორია შეისწავლება, როგორც სახალხო ცხოვრების ისტორა. ეს პრინციპი მკაფიოდაა გ. სპენსერის, ო. კონტის, კ. მარქსის და სხვათა ისტორიის ფილისოფიურ გამოკვლევებში (იხ.: Историческая психология. Учебное пособие. Санкт–Петербургский государственный университет http://edc.pu.ru/library/catalog/bobrova.rtf)

ინდივიდის პენიტენციალური რესოციალიზაციის კუთხით.[46] 1871 წელს ლომბროზო აქვეყნებს ნაშრომს „დამნაშავე ადამიანი", სადაც გამოკვლეულია დამნაშავის ანტროპოლოგიური ანომალიები.[47]

ეს მიმართულება გაგრძელდა რ. გაროფალოს ნაშრომებში. პენიტენციალური საკითხებისაგან განსხვავებით, მას სასჯელის დადგენის პრობლემა აინტერესებდა. 1880 წელს მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „სასჯელის პოზიტიური კრიტერიუმი", ხოლო 1884 წელს – მონოგრაფია სახელწოდებით „კრიმინოლოგია". ინდივიდისადმი მეცნიერის ინტერესი ძირითადად განპირობებული იყო სასჯელის დანიშვნის ეფექტური გზების ძიებით.[48]

იგივე სულისკვეთებით XIX საუკუნის დამდეგს ჟ. ესკიროლის[49], ი.რეის, რ. დაგდეილის მიერ დაწყებული გონებრივი არასრულფასოვნების კვლევა 1905 წელს ფრანგმა მეცნიერებმა ა. ბინემ და ტ. სიმონმა და გერმანელმა ფსიქოლოგმა ვ. შტერნმა გააგრძელეს. გონებრივი ჩამორჩენილობის ტესტირება შემდგომში გაფართოვდა ოჯახურ ურთიერთობათა მონოგრაფიულ კვლევაში, რომელიც დაიწყო 1908 წელს და დასრულდა 1920 წელს ნაშრომის – „ადამიანის უნარი და გონებრივი განვითარების დონეები" გამოცემით.[50]

სასჯელის გამოყენების თემა კვლავ გამოჩნდა ე. წ. კონსტიტუციური მიდრეკილების კონცეფციებში. თავიანთ ნაშრომებში – „დამნაშავეთა ენდოკრინული სისტემის შესახებ" (1924 წ.), „ახალი კრიმინოლოგია" (ე. სმიტთან თანაავტორობით) მ. შლაპმა და ე.ჰუტონმა („ამერიკელი დამნაშავე", 1939 წ.) ჩამოაყალიბეს იდეა, რომლის თანახმადაც „დანაშაულობის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკურად, ფსიქიკურად და მორალურად შეუგუებელი ინდივიდების აღმოფხვრის ან მათი სრული გამოყოფის და ჯანმრთელ („ასეპტიკურ") გარემოში მოთავსების გზით." პრაქტიკულად ამ იდეის რეალიზაციას სტიმული მისცა ედვარდ პოდოლ-

46 იხ.: С.М. Иншаков(1977), Зарубежная криминология, М., с.48–49.

47 Ч. Ломброзо (2004), Преступление. Новейшие успехи науки о преступнике. Анархисты (Сост. и предисл. В.С. Овчинского), М., ИНФРА–М.

48 მიმართულების თავისებურება, რომელსაც ემხრობოდა გაროფალო იხ.: П.А. Кабанов (2006), Криминальная политическая антропология как частная политико–криминологическая теория. Нижнекамск.

49 ჟ. ესკიროლის გამოკვლევის შესახებ იხ: Ю.В.Каннабих (1928), История психиатрии. Л. «Государственное медицинское издательство».

50 არასრულწლოვანთა გონებრივი არასრულფასოვნების კვლევის შესახებ იხ: В. Фокс (1980), Введение в криминологию, М., «Прогресс», с.69–71

სკის ნაშრომმა „დანაშაულებრივი ქცევის ქიმიური საფუძველი“, რომელიც 1955 წელს გამოიცა. ამის შემდეგ, ამერიკის ციხეებში შემოიღეს განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების ნეიტრალიზაციის პრაქტიკა ქიმიური პრეპარატების გამოყენებით.[51]

შელ და ელეონორა გლიუკების გამოკვლევა „დანაშაულებრივი კარიერები რეტროსპექტივაში“, რომელიც 1943 წელს გამოქვეყნდა, მოითხოვდა 6-დან 15 წლამდე ასაკის პოტენციური დამნაშავეების გამოვლენას სპეციალურად შედგენილი ტესტების საფუძველზე და მათ იზოლაციას სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ სახლებში. საზოგადოებრიობამ დროულად უარყო ეს პროგრამა, რადგანაც იგი ფაქტობრივად ფეოდალური ინკვიზიციის აღდგენას გულისხმობდა.[52]

XX საუკუნეში ფროიდმა საფუძველი ჩაუყარა ფსიქოანალიტიკურ კონცეფციას. შემდგომში თავისი ძირითადი დებულებები მან განავითარა „სიზმრების ახსნაში“ (1900 წ.), „ტოტემი და ტაბუში“ (1913წ.), ლექციებში – „ფსიქოანალიზის შესავალი“ (1915–1917 წწ.), „სიამოვნების პრინციპის იქითა მხარეში“ (1920 წ.), ნაშრომში – „მე და ის“ (1923 წ.), „ფსიქოანალიზის ნარკვევში“ (1938). მისი თეორიის თანახმად, კონფლიქტები მატერიალიზებულია არაცნობიერის სფეროში და იმის გამო, რომ „ეგო“-ს არ ძალუძს მათი შეკავება, ისინი გამოხატულებას ჰპოვებენ დანაშაულში.[53] ამ თეორიის სადავოობის მიუხედავად, ისინი ემსახურებოდნენ სასამართლო მედიცინისა და არა კრიმინოლოგიის ამოცანებს. სასამართლო ექსპერტები ფსიქოგენური მეთოდების საშუალებით ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ დამნაშავის ინსტიქტებსა და ზრახვებში, მიეღწიათ მისი პიროვნების ქვეცნობიერ სიღრმისეულ ფენებამდე.[54]

ფსიქოპათებისათვის სასჯელის დანიშვნის პრობლემამ გარკვეულწილად ბიძგი მისცა ე. წ. გენეტიკური კრიმინოლოგიის კონცეფციის ჩამოყალიბებას. ფსიქიატრების ი. ლანგეს (გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დაწყებული) და ფ. შტუპფლის (გა-

---

51 В. Фокс (1980), Введение в криминологию,М., «Прогресс», с.72;

52 აღნიშნულ გამოკვლევაში განვითარებული იდეა (Sh. Glueck & E. Criminal (1943),Careers in retrospect. N.Y.), გამოყენებული იყო დიფერენციალური კავშირის თეორიაში იხ.: Ш.Глюк (1966), Теория и факт в криминологии. Критика теории дифференциальной связи, сб.: Социология преступности. М. «Прогресс». 1966, с. 106–113. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ნ. რაფტერმა (N. Rafter (1998), Creating Born Criminals.)

53 З.Фрейд (2001), «Я» и «Оно». М. АСТ.Фолио.

54 Г.Шнайдер (1994), Криминология,М., «Универс», с.72

სული საუკუნის ოცდაათიანი წლები), მეცნიერების – რ. დაგდეილის, გ.გოდარდის და სხვათა გამოკვლევებში აღწერილია სერიულ მკვლელებსა და სექსოპათებში სპეციალური ქრომოსომების გამოყოფის ცდები. დამნაშავეთა „მოკვეთის" პოლიტიკის მეცნიერული დასაბუთების საფრთხეს წერტილი დაუსვეს გ. კაიზერმა და სხვებმა, რომლებმაც ანალოგიური გენური სტრუქტურა კანონმორჩილებშიც აღმოაჩინეს.[55]

XX საუკუნის შუახანებიდან ვითარდება ე. წ. „კლინიკური მიდგომა". თავის მონოგრაფიაში „სოციალური დაცვის პრინციპები" ფ. გრამატიკამ გადმოსცა ამ მიდგომის ძირითადი დებულებები, რომელთა თანახმად სისხლის სამართლის პოლიტიკა, სოციალური დაცვის საფუძველზე, უფრო მეტად დანაშაულის ინდივიდუალურ პროფილაქტიკაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. ავტორი ძირითადად ასახავდა პენიტენციალური შინაარსის ამოცანას – საზოგადოების დაცვას დამნაშავეებისაგან მათი ხელახლა აღზრდისა და სოციალიზაციის გზით. პრაქტიკის ანალოგიური ამოცანების შესაბამისად, ბ. ტულიომ გამოსცა წიგნი „კლინიკური კრიმინოლოგიის პრინციპები და სასამართლო ფსიქიატრია", რომელშიც შეიმუშავა სულით ავადმყოფთა კრიმინალური მიდრეკილებების კორექციის ზომები. ეს ტრადიცია გააგრძელა ჟ. პინატელმა, რომელმაც შემოგვთავაზა კლინიკური დიაგნოზის, პროგნოზისა და ხელახალი აღზრდის მეთოდები. შემდგომში ციხეებში დაინერგა ელექტროშოკის, ქირურგიული ჩარევის, სამკურნალწამლო ნეიტრალიზაციის და სხვა მეთოდები.[56]

ინდივიდებში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების მიზეზების დადგენას ნეოკლასიციზმიც ცდილობდა. ამ მიმართულების მომხრეები გამოთქვამდნენ რამდენადმე სოციალურ-რეფორმატორული ხასიათის მოსაზრებებს. მაგალითად, წიგნში „საზოგადოების დაცვა და სისხლის სამართლის გარდაქმნა" (ბრუსელი, 1910 წ.) ა. პრინსი აღნიშნავდა, რომ გასაკვირი არაა, როცა ადამიანები, რომელთაც, არ აქვთ არც ოჯახი, არც ტრადიციები, არც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არც მუდმივი საქმიანობა, არც კავშირები მმართველ კლასთან, ავლენენ ეგოისტურ მიდრეკილებებს და ცნო-

55 აღნიშნულ გამოკვლევათა კრიტიკა იხ.: Г. Кайзер (1979), Криминология, (перев. с немецкого), М.

56 Ж.Пинатель (1978), Методология сравнительной криминологии, Проблемы сравнительного правоведения, М., с.141.

ბენ მხოლოდ ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მათი მატერიალური მოთხოვნილებების უშუალო დაკმაყოფილებას.[57]

მაგრამ, თუ პერსონალისტური კონცეფციები დანაშაულობის დეტერმინაციას განიხილავდნენ სიმდიდრის დაგროვებაში სახელმწიფო (არაეკონომიკური) იძულების როლისაგან დამოუკიდებლად, ნეოკლასიკოსები ამას პირიქით – არაეკონომიკური იძულების კუთხით უდგებოდნენ. ორივე შემთხვევაში „მიზეზი" თავად ინდივიდში ივარაუდებოდა. მაგრამ კრიმინოლოგიური კონსტრუქციები არსებითად ურთიერთგანსხვავდებოდა. ნეოკლასიკოსებმა გააფართოვეს დანაშაულის განმარტების საზღვრები. ისინი საშიშ ქმედებად აღიარებდნენ არამარტო ქურდობას, ძარცვას, მკვლელობას, არამედ მანანწალობასაც, რაც ინდივიდს დანაშაულის გზისკენ უბიძგებდა. დანაშაულობის დეტერმინაციის ნაცვლად, წარმოიშვა „საშიში მოვლენის" დეტერმინაციის კონსტრუქტი, რომლის ნიშნებიც ფრიად ბუნდოვან ხასიათს ატარებდა. პრინსი წერდა, რომ: „საერთო წესის მიხედვით, სოციალური საშიშროება დანაშაულობის შედეგია, მაგრამ მისი განჭვრეტა დანაშაულის ჩადენამდე და მისგან დამოუკიდებლად შეიძლება."[58]

სინამდვილეში დანაშაულობის დეტერმინაციის რეალური სურათი იმაში მდგომარეობდა, რომ სამდიდრის ძალადობრივი დაგროვება იმავდროულად განვითარებად მანუფაქტურებში „მოყიალე უსაქმურებისგან" ნებისმიერ პირობებში მუშაობას მოითხოვდა. სისხლის სამართლის პოლიტიკა იძულებით მუშაობას მკაცრი სასჯელის და სისხლისსამართლებრივი დევნის გზით უზრუნველყოფდა. სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე აღნიშნავდა პრინსი, რომ „საშიშია არა უსაქმურობისა და მათხოვრობის ფაქტები თავისთავად, არამედ მუდმივი მიდრეკილება სიზარმაცისა და უსაქმურობისკენ". ამრიგად, უსიტყვოდ ამართლებდნენ რა იმ ფაქტს, რომ მანანწალობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სიმდიდრის ძალადობრივი დაგროვების „შედეგი" (სისხლის სამართლებრივი დევნის სახით), ნეოკლასიკოსები ვერ ასაბუთებდნენ იმას, თუ რატომ უნდა გამხდარიყო მანანწალობა სისხლის სამართლებრივი დევნის საბაბი („მიზეზი"). ეს იყო ჩიხი კრიმინოლოგიის საგნის ფორმირების გზაზე, ვინაიდან კონტექსტიდან იყო ამოვარდნილი კრიმინოლოგიის ძირითადი ელემენტი –"დანაშაულობა".

---

57 А.Принс (1898), Преступность и репрессия, М., с. 5–9

58 А.Принс (1898), Преступность и репрессия,М., с. 66.

ა. პრინსისაგან განსხვავებით, ფ. ლისტი იფარგლებოდა სისხლის სამართლის კანონის სრულყოფის და ინდივიდზე პენიტენციალური ზემოქმედების ამოცანების პრობლემატიკით. იგი კრიმინოლოგიას ამ ასპექტში მოიაზრებდა. მისი აზრით, მკვლევარები დანაშაულობის მიზეზს ფეტიშირებულად ხედავდნენ სოციალურ გარემოში. სინამდვილეში კი იგი ფესვს იღებდა ინდივიდების ურთიერთმოქმედებაში, სადაც ისინი ერთმანეთს ბაძავენ.[59]

გ. ტარდი მიზეზობრივ დეტერმინაციას ზღუდავდა მხოლოდ საზოგადოებაში ქაოსით, ინდივიდების ურთიერთქმედებით, სადაც არაეკონომიკური იძულების ხერხები არავითარ როლს არ თამაშობდნენ. ამიტომ მის პოზიციაში იკვეთებოდა სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისი, რომელიც საზოგადოებას განიხილავდა, როგორც ქაოსს.[60]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის დამდეგის კრიმინოლოგია წარმოდგენილი იყო შემდეგი მახასიათებელი ელემენტებით:

ა) დანაშაულებები ჯერჯერობით არ აისახებოდა, როგორც მასობრივი კანონზომიერება, ისინი ობივატელურად აღიქმებოდა;

ბ) დანაშაულთა დეტერმინაცია იფარგლებოდა ინდივიდის თვისებებით, რომლებიც განაპირობებდნენ დანაშაულებრივ ქცევას; ამ კუთხით დეტერმინაცია მოიაზრებოდა მარტო, როგორც დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთქმედება. სოციალური კანონებისაგან დანაშაულობის ცვალებადობის დამოკიდებულების შესახებ აზრი ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული; გამონაკლისს წარმოადგენდა კ.მარქსისა და ფ. ენფელსის გამოკვლევები, რომლებსაც ჩვენ შევეხებით რადიკალური კრიმინოლოგიის განხილვისას.

გ) დანაშაულობის სოციალური კონტროლის იდეა ობიექტურად არ არსებობდა, მის ადგილს იკავებდა „დანაშაულობებთან ბრძოლის" კონსტრუქტი სასამართლოს,[61] გამოძიების, ჟანდარმერიის, კრიმინალებთან ინდივიდუალური კონტაქტების გზით და ა. შ.

---

59 Ф. Лист (2004), Задачи уголовной политики. Преступление как социально-патологическое явление (Сост. и предисл. В.С. Овчинского), М., ИНФРА-М

60 Г. Тард (2004), Преступник и преступление. Сравнительная преступность. Преступления толпы (Сост. и предисл. В.С. Овчинского), М., ИНФРА-М.

61 „დანაშაულობებთან ბრძოლის" კონსტრუქტი ახასიათებს მარტო ტოტალურ მმართველობას. თანამედროვე ცივილიზაციის მიერ ის უარყოფილია „დანაშაულობის შეკავების" კონსტუქტის სახით.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდში მიზეზის ძიების ორიენტაცია წარმოშობის მომენტიდან აგრძელებდა თავის არსებობას, მაგრამ განსხვავებული იყო ამ კონსტრუქციის ისტორიული პირობები.

1.3.3. კრიმინოლოგიური აზროვნება კაპიტალიზმის განვითარების საფეხურზე

კრიმინოლოგიურ მსოფლმხედველობაში ინდივიდისა და ინდივიდუალიზმის ინსტიტუტების აღორძინება XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებასა და სამრეწველო რევოლუციას უკავშირდება. კაცობრიობის მთელი ისტორია ამ პერსპექტივაში წარმოდგება, როგორც მოძრაობა ინკვიზიციის სიბნელიდან ცოდნის სინათლისაკენ, ინდივიდის ტყვეობიდან – თავისუფლებისაკენ. ცალკეული ადამიანი აღიარებულ იქნა, როგორც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორი, და არა იმიტომ, რომ ის შვილი ან მამაა, გლეხია ან მმართველი, კლანის ან გილდიის წევრია. ამ აზრის დამკვიდრებას მოსდევდა შეგნება იმისა, რომ თითოეული ადამიანი განუმეორებელია და მას უფლება აქვს თავისუფლად განავითაროს თავისი განუმეორებლობა. მსგავსი იდეები XIX საუკუნის შუა ხანებისთვის, როგორც ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, ჩამოყალიბდა და საზოგადოებრივ მოწყობასა და საზოგადოებრივ განვითარებაზე ევროპელების წარმოდგენათა ტრანსფორმაცია მოახდინა. ამჯერად ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ცალკეული ინდივიდი, აბსტრაქტული „ადამიანი" მისი წარმოშობის, რასობრივი კუთვნილების, სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად და დაიწყო საზოგადოებრივი მოწყობის ახალი წესის დამკვიდრება, რომლის ქვაკუთხედი პიროვნების თავისუფლება გახდა.[62] ანტიფეოდალურმა რეაქციამ ძიების სფეროდ ფეოდალური შეზღუდვებისაგან ეს-ესაა გათავისუფლებული ინდივიდების საზოგადოება აქცია. მოცემულ ისტორიულ პირობებში ეს მიდგომა საზოგადოების ახალი წყობის მოთხოვნილებების შესაბამისად შენარჩუნდა.

პროგრესის კვალობაზე დანაშაულებრივი ქცევის „წინამორბედი გარემოებებისადმი" (ტ. სელინი) ინტერესი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პირობებში არ სუსტდება. ამ მიმართულებით მოქმედებენ პენიტენციალური პრაქტიკის მოთხოვნილებები და

62 Ю.П Зарецкий (2005), История европейского индивида: От Мишле и Буркхардта до Фуко и Гринблатта, М., ГУ ВШЭ, с.4–5.

სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა და არა საზოგადოების ძველი მოწყობისაგან გათავისუფლების ფაქტორები. ათვლის ამ ორ საპირისპირო წერტილთა იგნორირებას მივყავართ კრიმინოლოგიის საგნის სპეციფიკის გაურკვევლობამდე. უფრო მეტიც – პენიტენციალური მეცნიერების, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის ამოცანათა აღრევამდე. სხვათაშორის, კრიმინოლოგიის საგნის ფორმირების სერიოზული ისტორიული კვლევების არარსებობა ახლაც ბადებს იმ გაურკვევლობას, რომელიც დაკავშირებულია მეცნიერების საგნის ელემენტის სახით „დამნაშავის პიროვნების" განსაზღვრასთან.

სწორედ კაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე ისმებოდა ტოლობის ნიშანი საზოგადოებასა და კონკრეტულ პიროვნებას შორის. ვარაუდობდნენ, რომ ინდივიდის შესწავლით იკვლევდნენ საზოგადოებას. დამნაშავის პიროვნება შეიძლება გამხდარიყო კრიმინოლოგიის საგნის ელემენტი იმ საზოგადოების საბაზრო ურთიერთობების განუვითარებლობის გამო, სადაც ხდებოდა კრიმინოლოგიის ჩასახვა. პროგრესის კვალობაზე ყურადღების ცენტრი მართლაც გადაიტანებოდა სოციალურ წინააღმდეგობებზე, მაგრამ პენიტენციალური მეცნიერებისა და სისხლის სამართლის პრაქტიკულ ამოცანებიდან გამომდინარე დამნაშავის პიროვნებისადმი ინტერესი არ ქრებოდა. თვით კრიმინოლოგიის განვითარების ისტორია გამოყოფს კრიმინოლოგიის საგნიდან დამნაშავის პიროვნების კატეგორიას. წამოყენებული დებულების პირდაპირ დადასტურებას ანთროპოლოგიური, გონებრივი ჩამორჩენილობის და სხვა კონცეფციათა მოკლე ისტორიული ექსკურსი წარმოადგენს.

მსგავსი გამოკვლევების ნაკლოვანება მეოცე საუკუნის 50-იან წლებში თავის ნაშრომში „სოციოლოგიური წარმოსახვა" სოციალური პრობლემებისადმი კრიტიკული მიდგომის ერთ-ერთმა მიმდევარმა ჩარლზ მილსმა აღწერა. „პირადი სიძნელეები, – წერდა იგი, – განისაზღვრება ინდივიდის ხასიათით და სხვებთან მისი უშუალო ურთიერთობით; ისინი ეხება მის „მე"-ს და საზოგადოების ცხოვრების იმ შეზღუდულ სფეროებს, რომლებსაც იგი პირადად იცნობს. შესაბამისად, ამ სიძნელეთა გააზრება და გადალახვა არ გამოდის ინდივიდის, როგორც კონკრეტული ბიოგრაფიის მატარებლის, აგრეთვე მისი ცხოველქმედების უშუალო სფეროს, ე. ი. იმ სოციალური გარემოცვის ფარგლებიდან, რომლებიც განისაზღვრება მისი პირადი გამოცდილებით და გარკვეულწილად მისაწვდომია მასზე გააზრებული ზემოქმედებისთვის საზოგადოებრივი პრობლემები ჩვეულებრივ

ეხება იმ ურთიერთობებს, რომლებიც სცილდება ინდივიდის უშუალო გარემოცვის და მისი შინაგანი ცხოვრების ფარგლებს... საზოგადოებრივ პრობლემებს ეწოდება საზოგადოებრივი იმიტომ, რომ მათი წარმოშობისას საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ფასეულებები, რომლებიც აღიარებულია საზოგადოების სხვადასხვა ფენების მიერ. ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რას წარმოდგენს სინამდვილეში ეს ფასეულობები და სახელდობრ რა ემუქრება მათ. საზოგადოებრივი პრობლემები ძნელად ექვემდებარებიან განსაზღვრას უბრალო ადამიანების უშუალო ყოველდღიური გარემოცვის ტერმინების მიხედვით. სინამდვილეში საზოგადოებრივი პრობლემები ხშირადაა დაკავშირებული ... „წინააღმდეგობებთან" ან „ანტაგონიზმებთან"... პრობლემა რომ სწორად ჩამოვაყალიბოთ და განვსაზღვროთ მისი შესაძლებელი გადაწყვეტის დონე, მხედველობაში უნდა მივიღოთ საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები და არა მხოლოდ ცალკე აღებული ინდივიდების პირადი სიტუაციები და განსაკუთრებით ხასიათის თავისებურებები".[63]

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა დანაშაულობის ასახვის უფრო პროგრესული სოციალური ანუ რეფორმისტული ფორმა. ისტორიული განვითარების მოცემულ ეტაპზე საქმე გვაქვს განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის საზოგადოებასთან, სადაც ყველა ურთიერთობა უშუალოდ განპირობებულია ეკონომიკური იძულებით. ეკონომიკური ბრუნვის გავლენა ყოვლისშემძლეა. თავად სახელმწიფო გამოდის საბაზრო ურთიერთობების მონაწილედ და მხოლოდ ამის წყალობით – სახელისუფლო ძალის როლში. ეს არის XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი, როცა რიგ ქვეყნებში სამრეწველო გადატრიალება სრულდება.

კრიმინოლოგიის საგნის შესამჩნევი ევოლუციის ისტორიული პირობების არსი მდგომარეობს იმაში, რომ უმეტეს ევროპულ სახელმწიფოებში დაიწყო შრომის ნაყოფიერების ზრდა, რასაც განაპირობებდა ახალი ტექნიკის ფართო დანერგვა, მუშების კვალიფიკაციის ამაღლება და მომუშავეთა უნარის გამოყენების ხერხების გაძლიერება. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა გზით წარმოშობილი მონოპოლიები მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ და მათ დაიწყეს გადამწყვეტი როლის თამაში კაპიტალისტურ მეურნეობაში. ისინი აკონტროლებდნენ ეკონომიკის გარკვეული დარგების უმეტეს ნაწილს. ყალიბდებოდა კავშირები

63 Ч.Р. Миллс (1998), Социологическое воображение, М., с.17–18.

მონოპოლიებს შორის. ამასთან, მიმდინარეობდა მძაფრი კონკურენცია, როგორც ერთმანეთში, ასევე მათ შიგნით მოგების განაწილებისას. ამის შედეგად უმსხვილესი კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლიებზე და ფინანსურ ოლიგარქიებზე ამა თუ იმ ზომით დამოკიდებული აღმოჩნდნენ თოთქმის ყველა დანარჩენი ნაკლებად ძლიერი ქვეყნები. ბანკები, რომლებმაც მოახდინეს უამრავი წვრილი მეანაბრის სახსრების კონცენტრაცია, უზარმაზარი რაოდენობის კაპიტალს იღებდნენ, რომელსაც განათავსებდნენ ხან უცხო ქვეყნების სამთავრობო და კომუნალურ სესხებში, ხან საზღვარგარეთის სახაზინო საწარმოებსა და რკინიგზებში. პოლიტიკური გავლენა დასაკუთრებული ქონდათ არა იმდენად მრეწველებს, რამდენადაც ბანკებსა და ბირჟებს. ეკონომიკის ძირითადი პოზიციები – ბანკები, სამრეწველო გაერთიანებები, ტრანსპორტი, კავშირები კოლონიებთან, ვაჭრობა და ა.შ. ხელში ეჭირათ ფინანსისტთა მძლავრ ჯგუფებს, ხოლო რიგ ქვეყნებში – ფინანსისტებსა და მრეწველებს. იზრდებოდა მისახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია. XX საუკუნის პირველ წლებში საფრანგეთში მუშაობდა მოსახლეობის 0,4%, მაშინ როცა 99,6% უმუშევარი იყო. ამასთან ერთად, იწყებოდა განვითარებული საბაზრო ურთიერთობების პროცესები – ციკლური კრიზისები.[64] განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინეს მუშათა პროფესიულმა კავშირებმა, ე.წ. სინდიკატებმა, რომლებიც მრავალრიცხოვანი გაფიცვებით იქცევდნენ ყურადღებას, რაც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

ამრიგად, წარმოიშობა საბაზრო ურთოერთობათა ახალი ისტორიული პირობები, ყალიბდება ახალი ტიპის საზოგადოება. შესაბამისად ისახება კრიმინოლოგიის საგნის ელემენტების განვითარების ახალი გზაც.

XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან მსოფლმხედველობა, რომელიც ახდენდა საზოგადოებისა და ინდივიდის იდენტიფიცირებას, წარსულს ჩაბარდა. პერიოდულმა ეკონომიკურმა კრიზისებმა 1825, 1836, 1847, 1857 წწ. დაარღვიეს წარმოდგენები, რომელთა თანახმადაც ადამიანთა ახირებათა გარეთ თვით საზოგადოებაში არ არსებობენ სოციალური კანონები. ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ მოქმედებენ უხილავი სოციალური კანონები, რომლებიც მართავენ დანაშაულობის კანონზომიერებას.

64 . Phillipson, D. Silverman (1973), New Directions in Sociological Theory, Publisher: IT Press

ნაშრომში „სოციალური სისტემა“ ა. კეტლემ გააჟღერა, რომ სამყაროში, სადაც ბევრნი ჯიუტად ხედავენ მოუწესრიგებელ ქაოსს, ფუნქციონირებენ ყოვლისშემძლე და უცვლელი კანონები. მისი დასკვნით, საზოგადოება თავის წიაღში ატარებს ყველა მოსახდენი დანაშაულის ჩანასახს, ვინაიდან თავად შეიცავს მათი განვითარების ხელშემწყობ პირობებს; იგი, ასე ვთქვათ, ამზადებს დანაშაულს, ხოლო დამნაშავე მხოლოდ იარაღია.[65] მაშასადამე, ყოველგვარი სოციალური მდგომარეობა გულისხმობს დამნაშავეთა გარკვეულ რიცხვსა და გარკვეულ წესრიგს, რომლებიც წარმოადგენენ მისი ორგანიზაციის აუცილებელ შედეგს. ეს დაკვირვება, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება პესიმისტურად გვეჩვენოს, პირიქით – ძალიან მანუგეშებელია, თუ მას ყურადღებით გავისიგრძეგანებთ, აღნიშნავს კეტლე; იგი მიუთითებს ადამიანების სრულყოფის შესაძლებლობაზე, ჩვევების, დაწესებულებებისა და განათლების მდგომარეობის, გარემოს და საერთოდ ყველაფერი იმის გაუმჯობესებით, რაც გავლენას ახდენს მათ ყოფიერებაზე.[66]

განსახილველ ისტორიულ პერიოდში კრიმინოლოგიის საგნის ელემენტი „დანაშაულის დეტერმინაცია“ დასაწყისში ეკლექტიკურად ყალიბდება. წიგნში „სისხლის სამართლის სოციოლოგია“ ე.ფერი მადეტერმინებლად აღიარებს ანთროპოლოგიურ, ფიზიკურ და სოციალურ ფაქტორებს.[67] ამასთან, ძირითად ფაქტორებად მიიჩნევს სოციალურს.[68] მეორე მხრივ, ფერის აზრით, სოციალური ფაქტორები, როლებზეც ძირითადადაა დამოკიდებული დანაშაულობის ზრდა და კლება, კანონმდებლის ნებით ადვილად შეიძლება შევცვალოთ და შევასწოროთ.[69] მიუხედავად ამ წინააღმდეგობრივი დებულებისა, ე. ფერი ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ „დანაშაულთა წარმოშობა, ზრდა, შემცირება და აღმოფხვრა დამოკიდებულია სულ სხვა მიზეზებზე და არა კოდექსებში გათვალისწინებულ სასჯელზე, რომელსაც მოსამართლე იყენებს“, ანუ სახელმწიფოს აქტივობაზე.[70]

ამრიგად, „დანაშაულობის დეტერმინაციის“ კონსტრუქტის

65 А.Кетле (1889), Социальная система и законы, ею управляющие, СПб.

66 А.Кетле (1913), Социальная физика или опыт исследования о развитии человеческих способностей, Киев, т.1, т.2

67 Э. Ферри (2005), Уголовная социология (Сост. и предисловие Овчинский В.С.), М, Инфра – М, с 211

68 იხ. იქვე გვ. .336

69 იხ. იქვე გვ. 336

70 იხ. იქვე გვ. 201–202

განუვითარებლობა დანაშაულობაზე წარმოდგენის გაფართოების საშუალებას არ იძლევა. კრიმინოლოგიური აზრი ჯერ კიდევ მზად არ იყო ეპასუხა კითხვაზე: რა ფაქტორები განსაზღვრავენ დანაშაულთა რიცხვს, როგორც სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის სიდიდეს და რა ფაქტორებს შეუძლიათ, შეცვალონ ეს რიცხვი სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის ცვლილების გარეშე. ფერის აზრით, კანონმდებელს შეუძლია, გავლენა მოახდინოს დეტერმინაციის გარეგნულ მხარეზე, ანუ „გაზარდოს დანაშაულობის ციფრი". ამასთან, დანაშაულობის დეტერმინაციის არსი სულ სხვა სოციალური კანონების მიხედვით იცვლება და თვით იმორჩილებს კანონმდებლის ნებას. იმ დროისათვის არსებობდა მხოლოდ ბუნდოვანი ვარაუდი, რომ „დანაშაულთა წარმოშობა, ზრდა, კლება და გაქრობა დამოკიდებულია სხვა მიზეზებზე და არა კოდექსებში შეტანილ სასჯელთა ნუსხაზე, რომლებსაც მოსამართლეები იყენებენ", ანუ სახელმწიფოს სამართლებრივ აქტიურობაზე. ამრიგად, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების საზოგადოებისათვის ადრე უცნობი საბაზრო ეკონომიკის ახალ წინააღმდეგობათა განვითარება რეალურ სტიმულს აძლევს „დანაშაულობის" კონსტრუქტის, როგორც კრიმინოლოგიის ელემენტის, გაჩენას.

დანაშაულებათა მასობრივი კანონზომიერება ახლა მოიაზრება, როგორც სოციალური კანონების ფუნქცია. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კანონების გაგება კრიმინოლოგებს შორის იმ წლებში არ არსებობდა. თვით აზრი რაღაც სოციალური კანონების არსებობის შესახებ ჯერ კიდევ ინტუიციურ ხასიათს ატარებდა. და მაინც, ამ აღმოჩენით „დანაშაულთა მასობრივი კანონზომიერების" კონსტრუქტი იწყებს კრიმინოლოგიის საგნის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ჩამოყალიბებას.

მოგვიანებით, XX საუკუნის შუახანებიდან სტიგმის თეორია კვლავ დაუბრუნდა „დანაშაულობის" კონსტრუქტს. ფ.ტანენბაუმმა, ე.ლემერტმა, გ.ბეკერმა, დ.იანგმა, ე.სატერლენდმა, გ.ზიმელმა და სხვებმა ყურადღება მიაპყრეს სადამსჯელო ზომების შერჩევით ტენდენციას. სტიგმის თეორიის მომხრეთა კვლევების შედეგად სავსებით ნათელი გახდა, რომ დანაშაულობის ცვლილების მაჩვენებლებზე გავლენის მოხდენა შეუძლია არამარტო რეალურ სოციალურ წინააღმდეგობებს, არამედ თვით სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასაც. მაგრამ დამოკიდებულია თუ არა ეს შერჩევითობა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების თვითნებობაზე, თუ მას საფუძვლად

მაინც უდევს რაღაც დაფარული სოციალური კანონი? რა კავშირი არსებობს დანაშაულობის სიდიდის რეალურად განმსაზღვრელ ფაქტორებსა და სამართალგამოყენების ფაქტორებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ ყველანაირად მოახდინონ გავლენა ამავე სიდიდეზე სოციალურ წინააღდეგობათა ცვლილების გარეშე? – ეს ის საკითხებია, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება ექნებათ დანაშაულობის სამართლებრივი პარამეტრების განსაზღვრასთან. ე. სატერლენდი შენიშნავს, რომ დანაშაულობის სამართლებრივი პარამეტრები გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში დგინდება არა თვითნებურად, არამედ ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედებით.[71] ტ.იანგი კი უფრო შორს წავა, როცა სადამსჯელო ზომების შერჩევითი მიმართულების საფუძვლად წარმოების კაპიტალისტურ წესს დაასახელებს. „მთლიანად ახალი დანაშაულებების, ახალი კანონების, მართლმსაჯულების ახალი სისტემის, ფორმების ახალი დაცვის და კონტროლის ტაქტიკის ახალი სახეობების წარმოშობა სპეციფიურია წარმოების კაპიტალისტური წესისათვის. წარმოების წესი განსაზღვრავს დანაშაულთა მნიშნელოვან რაოდენობასა და სახეობებს – ეს ყველაზე ყოვლისმომცველი მსჯელობაა დანაშაულის მარქსისტულ თეორიაში“ – აღნიშნავს ტ. იანგი.[72]

განსაკუთრებული ცვლილებები მოხდა კრიმინოლოგიის საგნის ისეთ ელემენტში რიგორიცაა „დანაშაულობის დეტერმინაცია“, რამეთუ წარმოდგენები კრიმინოლოგიის საგანზე ყალიბდებოდა საზოგადოებაში, სადაც კაპიტალისტური საბაზრო ურთიერთობები უკვე ფეხზე იდგა. სხვადასხვა მიმართულების თეორიებს შორის პრიორიტეტული მდგომარეობა ეკავა სოციოლოგიურ თეორიებს, რომლებიც ადრეული თეორიებისაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლებოდა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთქმედებით. სოციოლოგიური კვლევების ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მათი ჩატარებისას ცდილობდნენ დეტერმინანტები საზოგადოების გლობალურ პროცესებში მოეძიათ („სოციალური სიტუაციები და ტიპობრივი რეაქციები“ – ჯ. მიდი).

---

71 T.R.Yong (1988), Theory and method for Criminology In the 21-st Century, Archives of the Trannsforming Sociology Series of the Red eather Institute for Advanced studies in sociology, № 126; Э.Сатерленд (1966), Являются ли преступления людей в белых воротничках преступлениями?, Социология преступности. М., с. 45–49

72 იხ. იქვე

ცალკე გამოიყოფა იმ კონცეფციების ჯგუფი, რომლებიც დეტერმინანტის სახით საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ მდგომარეობას აღიარებდნენ.

პირველი ასეთი ცდა გაკეთდა რეგიონალური სოციუმის კვლევის ფარგლებში. 20-იან წლებში ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლებმა ე. ბიორჯესმა, კ. შოუმ, გ. მაკკეიმ, რ. პარკმა, ფ. ტრეშერმა და სხვებმა გამოიკვლიეს არაპრესტიჟული და არასასურველი რაიონების მოსახლეობა. ამ რაიონებიდან მოსახლეობას განვითარებადი მრეწველობა და ვაჭრობა ერეკებოდა. უშუალო კრიმინოგენულ ფაქტორად ღირებულებითი ორიენტაციების შეუთავსებლობა ცხადდებოდა. თუმცა დანაშაულობის კოეფიციენტები მათ გამოკვლევებში კონფლიქტის მონაწილე მხარეების ეკონომიკურ მაჩვენებლებს უკავშირდებოდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების უფრო გლობალური პროცესების კვლევას მოითხოვდა. ამიტომ უნებურად ჩნდებოდა მიზეზების ძიების მოთხოვნილება რეგიონალური სოციუმის გარეთ – თავად საზოგადოებაში.[73] ამ კუთხით სოციოლოგიურ კონცეფციებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ე.დიურკგეიმის სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა სოციოლოგიამ.

ჰ. სპენსერის იდეების გავლენით ე. დიურკგეიმი ცდილობს, საბოლოოდ დაუპირისპირდეს ინდივიდუალიზმის კონცეფციებს. იგი საზოგადოებას განიხილავს, როგორც ორგანულ მთელს, სადაც თითოეული ინსტიტუტი გარკვეულ ფუნქციურ როლს თამაშობს. საფუძველთა საფუძვლად ის აღიარებს შრომის დანაწილებას, რომლის დონეზეც მორალური ხასიათის სოლიდარობაა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ თანამედროვე საზოგადოებას, სადაც გაბატონებულია ორგანული სოლიდარობა, განცალკევებისა და ანომალიის საფრთხე ემუქრება. დიურკგეიმის თეორიის მიხედვით, სწორედ განცალკევებისა და ანომალიის შედეგად წარმოქმნილი სოციალური დეზორგანიზაცია ხდება დანაშაულობის წყარო.

კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენების ევოლუციის გასაგებად სოციალური დეზორგანიზაციის თეორიის ანალიზს დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება. ლაპარაკია დილემაზე,

---

73 К. Шоу, Д. Генри, Г. Маккей (1966),Теоретические выводы из экологического изучения Чикаго, Социология преступности, М., «Прогресс», с. 288–298.; იქვე: Б. Ландер, Социологический анализ Балтиморы, с. 250–264; იქვე: К. Шоу Техника изучения отдельных дел. Значение собственного жизнеописания подростка–делинквента, с. 114–127.

რომლის წინაშეც დეტერმინაციის დასაბუთებისას აღმოჩნდნენ არა-ამარტო ე. დიურკგეიმი, არამედ სხვა სოციოლოგიური კონცეფციების მომხრეებიც.

ერთი მხრივ, ე. დიურკგეიმის აზრით, სოციალური ფაქტები გავლენას ახდენენ ინდივიდუალურ ქცევაზე არა უშუალოდ, არამედ მათი ინტერიორიზაციის გარკვეული მექანიზმების მეშვეობით, გარეგნული დეტერმინაცია ხორციელდება არა პირდაპირ, არამედ ინდივიდების ღირებულებითი ორიენტაციის საშუალებით. მოცემულმა თეორიულ-მეთოდოლოგიურმა მიზანდასახულობამ შემდგომში ასახვა პოვა მ. ვებერის სოციოლოგიაში, რომლის თანახმად ჭეშმარიტად რეალურია მხოლოდ ინდივიდუალური. ამრიგად, ცხოვრებაში სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომის თანდათანობით გატარებას მივყავართ ინდივიდების მორალური ღირებულებების განმაზოგადებელი კვლევის აუცილებლობამდე. ამიტომ წამოყენებული ძირითადი დებულების ნაცვლად ე. დიურკგეიმი უბრუნდება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთქმედების ადრინდელ კონცეფციას.

მეორე მხრივ, სოციალური დეზორგანიზაციის (ანომიის) დასაბუთებისას ე. დიურკგეიმი უნებლიედ ძირითადი დებულების უარყოფას იწყებს. მას მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ კრიმინოგენული მიზეზები საბოლოოდ ინდუსტრიული ტექნიკის მდგომარეობამდე დაიყვანება და რომ ეკონომიკური ფაქტორი პროგრესის მამოძრავებელი ძალაა და არა ღირებულებითი ორიენტაციების, როგორც მის მიერ იყო აღნიშნული.[74] მისი აზრით, საზოგადოებრივი დეზორიენტაცია ყველაზე უკეთესად იკვეთება ეკონომიკური კრიზისის დროს. „სამრეწველო სამყაროში კრიზისი და ანომიის მდგომარეობა არამარტო მუდმივი, არამედ, შეიძლება ითქვას, ნორმალური მოვლენებია".[75] ამ პერიოდში საზოგადოება დროებით კარგავს უნარს საჭირო ზემოქმედება მოახდინოს ადამიანზე.[76] დეზორგანიზაცია, ანუ ანომიის საერთო მდგომარეობა ღრმავდება იმ ფაქტით, რომ ვნებები ყველაზე ნაკლებად არიან განწყობილნი, დაემორჩილონ დისციპლინას სწორედ იმ მომენტში, როცა ეს განსაკუთრებით საჭიროა. ამ დროს ადამიანების რწმენა ირღვევა, ტრადიციები კარგავენ თავი-

74 Э. Дюркгейм (1900), Общественное разделение труда. Метод социологии, М., Наука, с. 547

75 Э. Дюркгейм (1912), Самоубийство (социологический этюд), С–Пб., с. 341

76 იხ. იქვე გვ. 336

ანთ ძალაუფლებას.[77]

მერტონის „ანომიის" კონცეფციის მიხედვით, საზოგადოებაში გაბატონებულია „ფულადი დანაგროვი, როგორც წარმატების სიმბოლო", მაგრამ სოციალური სტრუქტურა ზოგიერთ ჯგუფს და ინდივიდს საშუალებას უხშობს მონაწილეობა მიიღოს „კონკურენციაში მატერიალური წარმატების მისაღწევად". ამიტომ დანაშაულობა „ნორმალური" რეაქციაა სიტუაციაზე, რომლის დროსაც ათვისებულია განსაზღვრული კულტურული აქცენტი ფულადი წარმატების მისაღწევად, მაგრამ ძალიან მცირეა საყოველთაოდ აღიარებულ და დაკანონებულ საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა ასეთი წარმატებისთვის".[78]

გამოკვლევაში „კულტურათა კონფლიქტი" (1933 წ.) ტ. სელინი ფუძემდებლური დეტერმინანტის სახით გამოყოფს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების კულტურათა კონფლიქტს.[79] სატერლენდის იდეის თანახმად, სწორედ სოციალურ დეზორგანიზაციას მივყავართ კულტურების კონფლიქტისკენ, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა (დიფერეცირებულ) სოციალურ კავშირებს წარმოშობს.[80] ჯგუფებში, სადაც დომინირებენ კრიმინოგენული კავშირები, ინდივიდი დანაშაულებრივ ქცევას სწავლობს. ამ თეორიის საფუძველზე ა. კოზენმა 1955 წელს სუბკულტურების კონცეფცია შეიმუშავა.[81]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, XIX საუკუნის შუახანების კრიმინოლოგიის საგნის ელემენტები შემდეგნაირად წარმოგვიდგებიან:

ა) დანაშაულობა აისახება, როგორც მასობრივი კანოზომიერება, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგობრივ პროცესებს გამოხატავს;

ბ) დანაშაულობის დეტერმინაცია არ შემოიფარგლება ინდივიდისა და მისი გარემოს ანალიზით, არამედ ეფუძნება ჯგუფთაშორის

---

77 Э. Дюркгейм (1900), Общественное разделение труда. Метод социологии, М., Наука, с. 330

78 Р.Мертон (1996), Социальная структура и аномия, Социология преступности, М.,с. 299–311

79 Т.Селлин (1996), Конфликт норм поведения, Социология преступности, М.,с.282–288

80 Э.Сатерленд (1966), Являются ли преступления людей в белых воротничках преступлениями?, Социология преступности. М., 1966. С. 45–49

81 А.Коэн (1966), Содержание деликвентной субкультуры, Социология преступности, М., с. 314–321

ურთიერთობათა გლობალური მდგომარეობების („სოციალური დეზორგანიზაციის", „ანომიის", „სტიგმატიზაციის", „დიფერენციალური ასოცოაციის" და ა. შ.) გამოყოფას. მაგრამ, რადიკალურად განწყობილი კრიმინოლოგების შეფასებით, ეს ხედვა კონსერვატიულია, რადგანაც გამორიცხავს დომინირებულ სოციალურ ფაქტორს და მას კრიტიკულად არ განიხილავს;

გ) „დანაშაულობასთან ბრძოლის" კონსტრუქტთან ერთად არსებობას იწყებს დანაშაულობის „სოციალური კონტროლის" იდეა, მაგრამ იგი წინააღმდეგობრივად ყალიბდება: თითოეული მინი-თეორია ახდენს ამა თუ იმ ფაქტორის აბსოლუტად მიჩნევას, ამიტომ უფრო ღრმა სოციალური და ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნა ეპიზოდურად სოციალურ ურთიერთობათა ხან ერთ, ხან მეორე ტიპის ცვლილებას უკავშირდება.

1.3.3.1. ქართული კრიმინოლოგიის მდგომარეობა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისას (1960–2000 წწ.)[82]

საქართველოს ისტორიაში წარმოდგენა დანაშაულობის შესახებ უძველესი დროიდან არსებობს, თუმცა გამოყენებითი ემპირიული გამოკვლევების შესაძლებლობის მომცემი თეორიის ფორმით ეს წარმოდგენები მხოლოდ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში განვითარდა. მართალია, ჯერ კიდევ 20-იან წლებში ზოგიერთი ენთუზიასტი ცდილობდა დანაშაულობის მიზეზების, როგორც უფრო რთული და ნაკლებად დამუშავებული პრობლემის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. მაგრამ ისინი შემოიფარგლებოდნენ პრობლემისადმი ბიოსოციალური მიდგომით და არ შეეძლოთ ჩანვდომოდნენ სოციალურ წინააღმდეგობათა საიდუმლოს. გარდა ამისა მათ არ შეეძლოთ აეხსნათ დანაშაულობის ბუნება, რომელიც ქვეყანაში რუსული სოციალიზმის ხელშეწყობით მწიფდებოდა.

საბჭოთა საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგია თითქმის 60-იან წლებამდე ბორკავდა კრიმინოლოგიურ აზროვნებას. აღიკვეთებოდა კრიმინოლოგიური პრობლემატიკის კვლევის ელემენტარული მცდელობა, რადგანაც ითვლებოდა, რომ სოციალიზმის განვითარებასთან ერთად გაქრებოდა დანაშაულობაც, როგორც კაპიტალიზმის ბოროტი გადმონაშთი. მაგრამ მზარდი სოციალური

82 აღნიშნული თემა განხილულია ნაშრომში: გ. თოდრია (2003), კრიმინოლოგიის განვითარება და ჩამოყალიბება საქართველოში, კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა, კრებული გამოცემული აშშ-ს საელჩოს მიერ. 2003

წინააღმდეგობები არღვევდნენ საბჭოური იდეოლოგიის „მონოლითს“. წარმოების ინტენსიური განვითარება იწვევდა მოსახლეობის იმ ნაწილის უპირატეს ზრდას, რომელიც მუშაობდა ისეთ დარგებში, სადაც არ ხდებოდა უშუალოდ მოხმარების საგნების წარმოება. მოსახლეობის სოფლიდან გადინება ხელს უწყობდა ქალაქში მოხმარების საგნებზე მოთხოვნილების ზრდას. ქალაქები იქცნენ სოდომად და გომორად, სადაც დუღდა დანაშაულობა. მასთან ბრძოლა უიმედო იყო. დანაშაულობა იზრდებოდა და არსებული რეალობა დაჟინებით მოითხოვდა კრიმინოლოგიური პრობლემატიკის საფუძვლიან დამუშავებას.

60-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში დანაშაულობის მიზეზების შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისთიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის შექმნის შემდეგ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც, გამოცოცხლდა და განვითარების საკმაო ტემპი აიღო კრიმინოლოგიურმა გამოკვლევებმა. ინსტიტუტის თანამშრომელთა მცდელობით დანაშაულობისა და მისი მიზეზების შედარების საფუძველზე შემუშავდა დანაშაულობის თავიდან აცილების ერთიანი საბჭოური კონცეფცია. კრიმინოლოგიის ახლად შექმნილი თეორია გარკვეულ სტაბილურობას ქმნიდა გამოყენებითი გამოკვლევების ჩატარებისთვის. თუმცა იდეოლოგიური ორიენტაციის გამო იგი მთელ რიგ პრობლემებს ვერ წყვეტდა. ობიექტური რეალობის წნეხის ქვეშ მოქცეული მკვლევარები იძულებულნი იყვნენ ელიარებიათ, რომ არსებობენ კრიმინოგენური ფაქტორები, რომლებიც კაპიტალიზმს კი არ გადმოყვნენ, არამედ სწორედ სოციალიზმის პირმშოს წარმოადგენდნენ. თუმცა სოციალიზმის კრიმინოლოგიური განკითხვის შიშით მიღებული დასკვნები პარტიული ბიუროკრატებისათვის მისაღები სახით იცვლებოდა. მოგვიანებით ასეთი მიდგომა ბურუსმა მოიცვა. 70-იანი წლების გამოკვლევებში დანაშაულობის მიზეზად აღიარეს იმ ფაქტორების ურთიერთქმედება, რომლებიც მონაცვლეობით შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ხან სუბიექტური, ხან ობიექტური. ასეთი გახლდათ ოფიციალური თვალსაზრისი. თუმცა კულუარულ საუბრებში მეცნიერებს დიდი ხანია აფიქრებდათ კითხვა: თუკი დანაშაულობა კანონზომიერად იცვლება, ეგუება რა ნებისმიერ ზემოქმედებას მასზე, მაშასადამე შეზღუდულია თვითონ სოციალისტური წყობის სოციალური შესაძლებლობები? და მაინც ამ ბუნდოვანი შიშის მიუხედავად ქვეყანაში 60-იან წლებში დაწყებული კრიმინოლოგი-

ური გამოკვლევები ტოტალიტარული რეჟიმის ობობასებურ ქსელში საკმაოდ მნიშვნელოვან მეცნიერულ გარღვევას წარმოადგენდა.

სწორედ აღნიშნულ პერიოდში ახდენენ ქართველი კრიმინოლოგები დანაშაულის კრიმინოლოგიური შეცნობის პირველ მცდელობას. თუმცა ამ მიმართულებით გამოკვლევების დაგეგმვა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. თეორიული გამოკვლევები.[83] ეპიზოდურად თანაარსებობენ გამოყენებით გამოკვლევებთან.[84]

კრიმინოლოგიური კვლევა შესამჩნევად გამოცოცხლდა 70-იან წლებში. უფრო ინტენსიურად მუშავდებოდა კრიმინალური ფსიქოლოგიის საკითხები. აღნიშნული ინტერესი შემთხვევითი არ ყოფილა, იგი განპირობებული იყო სამი საგულისხმო მიზეზით:

1) კრიმინოლოგია ვითარდებოდა იურისტთა წრეში, სადაც გაუცხოების პროცესები აღიქმებოდა ისე, როგორც ისინი მოცემული არიან სამართლებრივ ურთიერთობაში. დანაშაულის ნამდვილი კაუზალური არსის სახით იურისტს ესახებოდა კანონის ნორმით გათვალისწინებული მასში დამნაშავე პირის ქმედება. იურისტისათვის დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირი იგივე იყო, რაც პირის გამაუცხოებელ საზოგადოებასთან დაპირისპირებული პირი. სამართლებრივ ურთიერთობაში დანაშაულის არსის ნამდვილ განმსაზღვრელად იურისტებს ევლინებოდა არა მრავალი ათასის მისწრაფება დაძლიონ სოციალური გაუცხოება, არამედ სახელმწიფოს რეაქცია ასეთი დაძლევის მცდელობაზე. ამრიგად, იურისტებისათვის ათვლის წერტილი იყო დამნაშავის პიროვნება;

2) დამნაშავის პიროვნების თემატიკა მჭიდრო კავშირში იყო ფსიქოლოგიურ კონცეფციასთან. ამ მიმართულებით კრიმინოლოგების ცნობიერებაზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიური თეორია;

3) საბჭოური წყობა ეგუებოდა ისეთ კრიმინოლოგიურ კონცეფციას, სადაც დანაშაულობის დეტერმინაციის მთელი ტვირთი გადატანილი იყო დამნაშავის პიროვნებაზე. ასეთი მიდგომით წყდებო-

83 ა. გაბიანი (1964), დანაშაულობის შესწავლის მეთოდიკის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი", თბ., №5; ა. გამიანი (1969), დანაშაულობის მიზეზების შესახებ, თბ.

84 ზ. წულაია (1963), არასრულწლოვანთა დანაშაულობა და მასთან ბრძოლა, „საბჭოთა საქართველო", თბ.; ა. შუშანაშვილი (1968), ხულიგნობა და მასთან ბრძოლა, თბ.; ზ. წულაია (1968), სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამო.ენებით, „საბჭოთა სამართალი", №6, თბ.

და ორი პოლიტიკური ამოცანა: ტოტალური რეჟიმის პირობებში მოჩვენებითი დემოკრატიის დანერგვის იდეოლოგირი ამოცანა და მარტო იმ პრობლემატიკის გადაწყვეტის ძიების აუცილებლობა, რომელიც არსებითად არ ეხებოდა სახელმწიფოს როლს დანაშაულობის გენეზისში.

მითითებულმა სამეცნიერო ტრადიციებმა მთლიანობაში სტიმულირება მისცა კრიმინოლოგიური თემატიკის მიმართულებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნამუშევრები რომლებიც მიეძღვნა დამნაშავეთა ეთიკურ თვითშეფასებას,[85] დანაშაულებრივ ქცევაში ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების ადგილსა და მნიშვნელობას,[86] დანაშაულებრივი ქცევის მოთხოვნილებას და განწყობას.[87]

ქართველ მეცნიერთა შორის შემდეგი ყველაზე გავრცელებული მიმდინარეობა იყო დანაშაულის აღკვეთის საქმეში სამართლებრივი აღზრდის როლის გამოკვლევა. მოცემულმა თემატიკამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა თ. შავგულიძის შრომებში, რომლებშიც ავტორი მიუთითებდა პიროვნების თვითკონტროლსა და სოციალურ კონტროლს შორის ურთიერთკავშირზე. დამუშავებული კონცეფციის საფუძველზე ავტორი ჯგუფურ აზრს განსაზღვრავდა როგორც დანაშაულებრივი ქცევის მიზეზს.[88]

70-იან წლებში მეცნიერები იწყებენ დანაშაულობის ცალკეული ფორმების და სახეების გამოკვლევას. ამ მიმართულებით კრიმინოლოგებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებასთან ბრთოლა. ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგანაც რუსეთში ვითარდებოდა საინვესტიციო სფეროს დარგები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იძლეოდნენ არც სასიცოცხლო და არც წარმოების საშუალებებს. ამასთანავე სოფლის მეურნეობა, რომელიც საქართ-

85 ს. პაჭკორია (1975), დამნაშავეთა ეთიკური თვითშეფასების საკითხისათვის, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ.

86 ს. პაჭკორია (1975), დანაშაულებრივ ქცევაში ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების ადგილი და მნიშვნელობა, „მაცნე", №3, თბ.

87 Т. Г. Шавгулидзе (1970), Психологическая структура поведения и уголовная ответственность, «Прововедение», №4; Т. Г. Шавгулидзе (1975), Потребность и установка преступного поведения, сб.: Проблемы формирования социологических потребностей, Тб.

88 Т. Г. Шавгулидзе (1979), Место правосознания в психологической сруктуре поведения, сб.: Новая конституция и актуальные вопросы борьбы с преступностью, „Мецниереба"

ველოში ძირითადად იყო გავრცელებული, მთლიანად დამოკიდებული გახლდათ რუსეთის ბაზარზე და მის შესაძლებლობებზე. ამიტომ როგორც ყოფილ სსრკ-ში, ასევე საქართველოში მუდმივად იგრძნობოდა სასიცოცხლო საშუალებების დეფიციტი. ამგვარად იქმნებოდა ნაყოფიერი ნიადაგი სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის. ამიტომ კანონზომიერი იყო, რომ ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ქართველი კრიმინოლოგების ინტერესის საგანი გახდა.[89]

საქართველოს კრიმინოლოგების ინტერესების ორბიტაში მოექცა ჯგუფური დანაშაულობის პრობლემატიკაც. ამ თემატიკის აქტუალობა განპირობებული იყო ორი მიზეზით: პირველ ყოვლისა ქართველი კრიმინალისტების მიერ (თ.წერეთელი ო. გამყრელიძე) ინტესიურად მუშავდებოდა თანამონაწილეობის სისხლისსამართლებრივი პრობლემა, რომელიც საფუძვლად ედებოდა თანამონაწილეთა გაზრდილ პასუხისმგებლობას. მეორე მხრივ, მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლოების მიერ ჯგუფური დანაშაულისათვის დანაშაულში მონაწილეობისათვის დანიშნული სასჯელი უფრო მცირე აღმოჩნდებოდა ხოლმე ვიდრე სასჯელი ასეთივე და მსგავს გარემოებებში ჩადენილი დანაშაულისთვის, თუ მას ერთი პიროვნება ჩაიდენდა. თეორიისა და პრაქტიკის შეუსაბამობა ითხოვდა საკითხის დროულ გადაწყვეტას. გამოსავალს შეადგენდა შექმნილი პრობლემის კრიმინოლოგიური გამოკვლევა რომელმაც ნ. უგრეხელიძის ნაშრომში ჰპოვა ასახვა.[90]

კრიმინოლოგიურ ნაშრომთა შორის გამოიყოფა ვიქტიმოლოგიური ხასიათის თემატიკა.[91] მისი დროულობა არ ყოფილა შემთხვევითი თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ პერიოდისათვის მრავალ ქვეყანაში იქმნებოდა ვიქტიმოლოგიური საზოგადოებები. 1979 წელს კი საერთაშორისო კონგრესზე დაფუძნდა ვიქტომოლოგების საერთაშორისო საზოგადოება, რომელმაც კრიმინოლოგიაში ვიქტიმოლოგიური მიმართულების სტიმულირება მოახდინა.

კრიმინოლოგიის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა ალკოჰოლიზმის პრობლემა საქართველოში. რუსეთის მაჩვენე-

89 ზ. წულაია (1978), სოციალისტური ქონების გატაცება და მასთან ბრძოლა, „საბჭოთა საქართველო", თბ.; ალ. ჟქენტი (1979), დანაშაულის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები ვაჭრობაში, თბ.

90 Н.Г.Угрехелидзе (1975), Криминологическая характеристика соучастия в преступники, Тб.

91 გ. ნიშნიანიძე (1978), ვიქტიმოლოგია – კრიმინოლოგიის ახალი დარგი, „საბჭოთა სამართალი", № 3

ბლების ფონზე ალკოჰოლიზმი საქართველოში დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. მაგრამ მსჯავრდებულთა შორის მისი სტრუქტურული მაჩვენებლები (მისი გავრცელება სოფელში მუდმივად მცხოვრებ მამაკაცებსა და მშობლებდაკარგულ ახალგაზრდებს შორის) კრიმინოლოგების სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ პროფესორ ა. გაბიანის ხელმთღვანელობით დაიწყო ალკოჰოლიზმის პრობლემების მუდმივი შესწავლა.[92] შემდგომში ეს თემა ავტორმა გააფართოვა ასოციალური ქცევის სხვა ფორმების ნარკომანიის და სხვათა ანალიზით.

70-იან წლებში ვითარდება ოჯახური კრიზისის მოვლენები. ყოფილ საბჭოთა კავშირში, საქართველოს ჩათვლით, კერძო საკუთრების ჩამორთმევამ ოჯახს გამდიდრების შესაძლებლობა მოუსპო. საბჭოთა ოჯახმა დაკარგა მწარმოებელი ერთეულის ფუნქცია და შედეგად – სახელმწიფო-ეკონომიური პოლიტიკისაგან დამოუკიდებლობაც. იზრდებოდა კეთილდღეობას მოკლებული ოჯახების რიცხვი, რაც ხელს უწყობდა არასრულწლოვანთა დანაშაულობას. ოფიციალური იდეოლოგია ამ ფაქტს არ ამჩნევდა, თუმცა კრიმინოლოგები ოჯახების ტრაგედიას უკვე აფიქსირებდნენ როგორც სსრკ-ს დაშლის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშანს. აი რატომ ცდილობდნენ ქართველი კრიმინოლოგები მოეხდინათ მოზარდთა დანაშაულობის ინტენსიური ანალიზი.[93] სოციოლოგიური კვლევის პარალელურად ტარდებოდა პრობლემის ფსიქოლოგიური გამოკვლევაც, რომელიც ეფუძნებოდა დ. უზნათის თეორიას. ნაშრომში „არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ქცევის ფსიქოლოგიური ფაქტორები" ფ.გობეჩია იკვლევდა დანაშაულებრივი ქცევის განწყობის თავისებურებას.[94]

---

92 ა. გამიანი (1979), სიმთვრალისა და ალკოჰოლიზმის კომპლექსური გამოკვლევის ძირითადი შედეგების შესახებ, კრ.: Новая Конституция и актуальные вопросы борьбы с преступностью, Тб., «Мецниереба».

93 მ. ლეკვეიშვილი (1973), აღმოვფხვრათ დანაშაულობა არასრულწლოვანთა შორის, თბ; ზ. წულაია (1974), მოზარდთა დანაშაულობა და მასთან ბრძოლა, თბ.; ა. გაბიანი (1975). არასრულწლოვანთა დანაშაულობა, ნაწ. 1, „საბჭოთა საქართველო", თბ.; Т.Г.Шавгулидзе (1979), Шире использовать научный подход в борьбе с преступностью среди несовершеннолетних, в сб.: За образцовый общественный порядок в столице Грузии, Тб.,"Сабчота Сакартвело" и др.

94 Ф.В. Губечия (1979), Психологические факторы поведения несовершеннолетних

80-იან წლებში სოციალური მდგომარეობა რთულდებოდა, რადგან ეკონომიკური პოლიტიკისათვის კვლავ ტიპიური იყო სწრაფვა ეკონომიკური დაგროვების მაღალი ტემპების ზრდისკენ. წარმოების ზრდის ტემპი ფერხდებოდა, რის შედეგად მოსახლეობა ნებისმიერი საშუალებით ცდილობდა აემაღლებინა ცხოვრების დონე და დაეძლია გაუცხოება. აღნიშნული პროცესების შედეგად თავი იჩინა მექეთამეობის ზრდის ტენდენციამ. განვითარდნენ ისეთი ფონური მოვლებები როგორიცაა ნარკომანია და პროსტიტუცია.

პირველად სწორედ ა. გაბიანი შეეცადა მიეპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება ნარკომანიის ფენომენისკენ, რასაც საზოგადოება ირონიით შეხვდა. იმ დროის საზოგადოებრივ აზრს არ შეეძლო იმის დაშვება, რომ მეღვინეობის ისტორიული ტრადიციების მქონე ქვეყანაში შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ბოროტების აღმოცენება. არადა ა. გაბიანთან ერთად ქართველი კრიმინოლოგები მრავალრიცხოვან გამოკვლევებში ასაბუთებდნენ ნარკომანიასთან ბრთოლის აქტუალობას.[95]

მითითებულ პერიოდში ფართოვდებოდა მოზარდთა დანაშაულობის კვლევის სპექტრი, რაც რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა. დანაშაულებრივი ქცევის დევიანტური სტადიის გამოკვლევები წარმოდგენილი იყო სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევებით. ფსიქოლოგიური თემატიკა ვითარდებოდა გ. მაღრაძის,[96] თ. ანდღულაძის, ნ. იმედაძის, გ. ცინცაძის ნაშრომებში.[97] სოციალურ მიდგომას იყენებდნენ ა. გაბიანი, ა. დულკინი, მ.შონია და სხვა კრიმინოლოგები.[98]

ანალოგიურად დაიყო არასრულწლოვანთა დანაშაულობის

правонарушителей, Тб. „Мецниереба"

95 А.А.Габиани (1977), Наркотизм, Тб., „Сабчота Сакартвело"; გ. ბეგიაშვილი, ა.გაბიანი, მ.ნანეიშვილი (1983), ნარკომანია, თბ., „საბჭოთა საქართველო"; ა.გაბიანი, გ.ლეჟავა, მ.ნანეიშვილი (1981), ნარკომანია და მასთან ბრძოლის სამედიცინო და სოციალურ-სამართლებრივი საკითხები, „საბჭოთა სამართალი", №1.

96 გ. მაღრაძე (1980), არასრულწლოვან დამნაშავეთა ფიქსირებული განწყობის ტიპის თავისებურებანი, „მაცნე", №3 და სხვ.

97 იხ. კრებული „არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური საკითხები", თბ., „მეცნიერება", 1983 წ.

98 А. Дулькин, М.Шония (1986), Анализ факторов формирования личности «трудных» подростков с применением диагностико – прогностического метода – сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений., Тб., «Сабчота Сакартвело», №3

გამოკვლევებიც. მკვლევარები, რომლებიც შეისწავლიდნენ ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტს, ყურადღებას ამახვილებდნენ ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე.[99] სოციოლოგიური მიდგომის მომხრეები კი იკვლევდნენ მიკროგარემოს კრიმინოგენურ ზემოქმედებას და რეგიონულ პრობლემატიკას. კრიმინოლოგები ასევე ყურადღებას აქცევდნენ მიკროგარემოს ანალიზის აქტუალობას.[100] რაც შეეხება რეგიონული პრობლემატიკის სფეროში გამოკვლევებს ისინი მრავალრიცხოვანი იყო და ხორციელდებოდა ავტონომიის,[101] დედაქალაქის,[102] ცალკეული რეგიონის[103] და რაიონის[104] დონეზე.

დაგროვილი მასალის საფუძველზე მეცნიერებმა მოამზადეს განმაზოგადებელი ნაშრომები, რომლებიც აჯამებდნენ არასრულწლოვანთა დანაშაულობის შესწავლის ოცწლიან გამოცდილებას.[105]

---

99 თ.შავგულიძე (1981), საზოგადოებრივი, მართლშეგნება, მოსწავლე ახალგაზრდობა. თბ.

100 მ.მეინადსკაია, მ.შონია სოციალური გარემო და მოზარდთა სამართალდარქვევები (1983), „საბჭოთა სამართალი" , № 2; А.А.Габиани, М.Дидебулидзе, О.Мыльникова, М.Шония (1981), О результатах конкретно–социологического исследования условий формирования личности подростков–правонарушителей (по материалам г.Тбилиси), в сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений, Тб., изд–во ТГУ, вып 1 и др.;

101 ლ.გაბაშვილი (1984), არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან ბრძოლა აფხაზეთში, თბ.; И.В.Годзиашвили (1980), Некоторые результаты изучения преступности несовершеннолетних в Абхазской АССР, Известия АН ГССР, №33.; И.В.Годзиашвили (1983), Криминологические проблемы преступности несовершеннолетних и борьбы с ней в условиях автономной республики (по материалам Абхазской АСС), Автореферат дис.канд.юрид.наук, Тб. и т.п.

102 ა.გაბიანი, ნ.მეგრელიშვილი, მ.შონია (1981), მოზარდთა მიერ ჩადენილი სამართალდარქვევათა კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევათა ზოგიერთი შედეგები (ქ.თბილისის მასალების მიხედვით), „საბჭოთა სამართალი", № 1; Г.Г.Тодрия (1987),Характер изменений преступности несовершеннолетних в г.Тбилиси, сб.: СССР–США: криминологические и уголовно–правовые проблемы борьбы с городской преступностью, М.

103 И.В.Годзиашвили Региональные проблемы и преступность несовершеннолетних. Известия АН ГССР, 1981 г. №2

104 З.Д. Двалишвили (1984), Некоторые аспекты организации борьбы с преступностью несовершеннолетних в масштабе района, Материалы научно–практической конференции, Тб. და სხვ.

105 Ю.И. Ткешелашвили (1984), Преступность несовершеннолетних в Грузинской ССР и вопросы ее профилактики, Тб.; არასრულწლოვანთა დანაშაულობის წინააქმდეგ ბრძოლის დაგეგმვა და ორგანიზაცია (განზოგადოებები და რეკომენდაციები 1980–1984 წლები). თბ. 1984 წ.

აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ალკოჰოლიზმის კვლევის ინტენსიობის ზრდა. ამასთან ამ მოვლენის შესწავლა მრავალასპექტური ხასიათით გამოირჩეოდა. ამ მიმართულებით კრიმინოლოგები იკვლევდნენ ალკოჰოლიზმის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს,[106] ალკოჰოლიზმის შედეგად დამდგარ ზიანს,[107] ეკონომიკურ საკითხებს,[108] გეოგრაფიას,[109] მოვლენის ბიო-სამედიცინო თემატიკას.[110]

აღნიშნული პერიოდის კრიმინოლოგიაში ნოვაციას წარმოადგენდა დანაშაულობის გეოგრაფიის შესწავლა. გამოკვლევის საბაბად იქცა ის ფაქტი, რომ საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის გაზრდილ ნაწილს შეადგენდა სოფლიდან გადმოსახლებული პირები, რაც აძლიერებდა კულტურათა კონფლიქტს და შესაბამისად დანაშაულობის ზრდას ხელს უწყობდა.[111]

მკვლევარები არ იფარგლებოდნენ ქალაქსა და სოფელს შორის

---

106 А.Габиани (1980), Изучение социально–экономической проблемы пьянства и алкоголизма, „Социалистическая законность", №1

107 А.Габиани, Г.Лежава, В.Сванидзе (1979), Основные итоги определения экономического ущерба от пьянства и алкоголизма (по материалам ГССР), в сб.: Некоторые результаты социально–экономического исследования пьянства и алкоголизма, Тб., ТГУ

108 А.Габиани, В.Гургенидзе, В.Сванидзе (1979), Некоторые вопросы производства и реализации спиртных напитков в Грузинской ССР, в сб.: Некоторые результаты социально–экономического исследования пьянства и алкоголизма, Тб., ТГУ; А.Габиани, В.Гургенидзе, В.Сванидзе (1979), Расчет чистого дохода от производства и реализации спиртных напитков в Грузинской ССР, в сб: Некоторые результаты социально–экономического исследования пьянства и алкоголизма, Тб., ТГУ

109 А.А. Габуния, В. Гургешидзе, Б. Сванидзе (1979), О динамике, структуре и географии алкоголизма в Грузинской ССР, в сб.: Некоторые результаты социально–экономического исследования пьянства и алкоголизма,Тб., ТГУ

110 ა.გაბიანი, ა.ზურაბიშვილი, გ.ლეჟავა, მ.ნანეიშვილი (1982), ნარკომანია და მასთან ბრძოლის სამედიცინო და სოციალურ-სამართლებრივი საკითხები, თბ.,"საბჭოთა საქართველო", № 1.

111 М. Дидебулидзе (1984), Некоторые результаты сравнительного анализа преступности в городах и сельской местности. сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений, Тб., №2.; А. Габиани, Р. Гагечиладзе, М. Дидебулидзе (1981), Об основных принципах пространственного анализа преступности, Актуальные вопросы предупреждения правонарушений,Тб., №1.; А. А. Габиани, Р.Г. Гагечиладзе, М.И. Дидебулидзе (1985), Преступность в городах и сельской местности, Тб., „Сабчота Сакартвело"

წინააღმდეგობის ანალიზით. მათ გააკეთეს შორს მიმავალი დასკვნა. კერძოდ, აღმოჩნდა რომ საქართველოში დანაშაულობის ზოგადი ტენდენციები ქვეყნის ისტორიული პროვინციების ჩარჩოებში თავსდება.[112] დასკვნა იმის შესახებ, რომ დანაშაულობასთან ბრძოლა უნდა მიმდინარეობოდეს პროვინციის ისტორიული და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით პარალელურად დასტურდებოდა საქართველოს პროვინციის ნაციონალური შემოსავლის ეკონომიკური ანალიზით.[113] მაშასადამე უკვე 80-იან წლებში ტოტალიტარული მმართველობის პირობებში ყალიბდებოდა დანაშაულობასთან ბრძოლის გეოგრაფიული პრობლემატიკა.

თუმცა მომავალში დანაშაულობის წინააღმდეგ ბრთოლის იდეა ხალხის კულტურულ და ისტორიულ თავისებურებათა გათვალისწინების ფარგლებში უკუგდებულ იქნა შემდეგი მიზეზების გამო: 1) პოლიტიკოსთა უმრავლესობა შეეცადა საბჭოთა წყობილების მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შენარჩუნებას; 2) იურისტთა ერთ ჯგუფში გავრცელება ჰპოვა საქართველოში ფედერალიზმის დანერგვის აკვიატებულმა იდეამ საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც არანაირად არ უთავსდებოდა საქართველოს ისტორიას.

80-იან წლებში ფართოდ ვითარდება სახელმწიფო საკუთრების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების კვლევა, რასაც ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირში დაწყებული რესპუბლიკათა დარგების დისპროპორციის პროცესი. როგორც ცნობილია, საქართველოს მსუბუქ მრეწველობას ნედლეული შემოჰქონდა კავშირის სხვა რესპულიკებიდან, ძირითადად რუსეთიდან, სადაც წამყვანი დარგობრივი საწარმოების დანახარჯები დიდი იყო. შესაბამისად იზრდებოდა მატერიალური დანახარჯების ღირებულება წარმოების პროცესის ისეთ ჩამკეტ რგოლებში, როგორიცაა მსუბუქი მრეწველობა. მათი შემცირებისათვის საქართველოს საწარმოები იძულებულები იყვნენ მიემართათ ყველანაირი ხრიკებისათვის დაგროვების აღრიცხვის, ნედლეულისა და პროდუქციის რეალიზაციის სფეროებში. იქმნებოდა უკონტროლობის სიტუაცია, რაც ხელს უწყობდა ნედლეულის

112 ა. ა.გაბიანი, რ.გ.გაჩეჩილაძე (1982), Некоторые вопросы географии преступности., Изд–во ТГУ

113 ვ. მელქაძე (1978), საქ. სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის რეგიონალური სტრუქტურა, თბ.საბჭოთა საქართველო, № 9

და პროდუქციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას. ამ კრიმინოგენური მოვლენის ახსნის მიზნით პროფესორმა ზ. წულაიამ განახორციელა მონოგრაფიული კვლევა.[114] ავტორის მიერ შეკრებილმა ემპირიულმა მასალამ მომავალში ჩრდილოვანი ეკონომიკის ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად იზრდებოდა მექრთამეობაც. ამ დანაშაულის ბუნების შესწავლისას ქართველმა კრიმინოლოგებმა თავის გამოკვლევებში[115] გამოყვეს ორი ტენდენცია:

პირველი, მექრთამეობა ღებულობდა მასიურ ხასიათს. მკვლევართა მონაცემებით მსჯავრდებულთა 70 % სისტემატურად იღებდა ქრთამს. საბჭოთა ბიუროკრატია ამით საზოგადოებრივ ცხოვრებას ბოჭავდა და ადამიანებს არ აძლევდა კანონიერი არჩევანის შესაძლებლობას.

მეორე, მსჯავრდებულთა 80% პირველად აძლევდა ქრთამს, რაც გამოკვლევებიოს მიხედვით მიუთითებდა საზოგადოების შემგუებლურ დამოკიდებულებაზე კანონისათვის გვერდის ავლის გზით წარმატების მიღწევისადმი.

ცხოვრების მოუწყობლობამ გააძლიერა მოსახლეობის ზოგიერთი ფენის მიგრაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით კრიმინოლოგებმა დაიწყეს ამ პროცესის გამოვლინებების კვლევა უმუშევრობის ფორმის სახით.[116] ასევე იკვლევდნენ მიგრაციას მსხვილ ქალაქებში, სადაც მიგრანტები ამორალურ ცხოვრებას იწყებდნენ.[117]

---

114 ზ. წულაია (1983), დამნაშავეობასთან ბრძოლა საფეიქრო მრეწველობაში, თბ., „საბჭოთა საქართველო"; ზ. წულაია (1989), სოციალისტური ქონების დატაცებებთან ბრძოლის კრიმინოლოგიური საფუძვლები მსუბუქ მრეწველობაში, თბ., „საბჭოთა საქართველო"

115 ზ. წულაი ა. გაბიანი, ა.კავსაძე, ა.თოდუა (1980), მექრთამეობის კონკრეტულ–კრიმინოლოგიური გამოკვლევის პირველი შედეგების შესახებ, „საბჭოთა სამართალი", № 5; А.Габиани, А.Кавсадзе, А.Тодуа (1981), Некоторые результаты конкретно – криминологического исследования взяточничества, сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений, Тб., ТГУ, вып.1; ა. თოდუა (1983), ქრთამის აღებისათვის მსჯავრდებულთა კრიმინოლოგიური დახასიათება, „საბჭოთა სამართალი", 1983, № 2.

116 А.А. Габиани., А.И. Гачечиладзе (1982), Некоторые вопросы географии преступности, Тбилиси.

117 მ. გულედანი (1979), პროსტიტუცია როგორც სოციალური მოვლენა ექსპლუატატორულ საზოგადოებაში,"საბჭოთა სამართალი", № 5; Н. Цховребадзе (1984), Социалогические проблемы распространения венерических заболеваний среди женщин, Сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений,

ისეთი ფაქტორების წინააღმდეგობრივმა გადახლართვამ, როგორიცაა ოჯახის ცხოვრების დონის დაცემა და საზოგადოებაში ქალის გაურკვეველი მატერიალური მდგომარეობა, 80-იან წლებში ბიძგი მისცა ქალთა დანაშაულობას. მკვლევარებმა დაადგინეს რომ ქალთა დანაშაულობა უმეტესად გამოიხატებოდა სპეკულაციაში, მყიდველთა მოტყუებასა და შინ დამზადებული სპირტიანი სასმელებით ვაჭრობაში ანუ ე.წ. სამეურნეო დანაშაულებში.[118]

აღნიშნულ გამოკვლევებთან ერთად კრიმინოლოგები ახორციელებდნენ ფსიქოლოგიური ხასიათის კვლევებს. წინა წლებისაგან განსხვავებით ეს კვლევები უფრო ღრმა ხასიათის იყო. ამჯერად ყურადღება გამახვილდა ჩადენილი დანაშაულიასადმი დამნაშავის დამოკიდებულებაზე.[119] ამავე მიმართულებით შეისწავლებოდა ასოციალური ქცევის განწყობა[120] და აგრეთვე მოტივაციის ფაქტორები დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმში.[121]

გამოყენებით გამოკვლევებთან ერთად ხორციელდებოდა თეორიული ძიებაც. იმ წლებში გაბატონებული იყო კაუზალური კონცეფცია რომელიც დანაშაულობის მიზეზებს ხსნიდა ე.წ. წარსულის გადმონაშთებით. აღნიშნული კონცეფცია იხრებოდა სუბიექტივიზმისკენ, რადგანაც აუხსნელი რჩებოდა სოციალური სახის წინააღმდეგობები. ყველა ახსნა დაიყვანება ცნობიერებაში დეფექტების არსებობამდე. ამასობაში ტოტალიტარული რეჟიმი წინააღმდეგობა-

---

Тб., «Сабчота Сакартвело», №2.; А.Габиани (1986), О некоторых результатах конкретно–социологического исследования женщин, ведущих аморальный образ жизни, Актуальные вопросы предупреждения правонарушений, Тб., „Сабчота Сакартвело", вып. 3 და ა.შ..

118 Б. Квирикашвили (1980), Социально–демографическая характеристика женской преступности, Сб. статей ТГУ; А.А.Габиани (1986), Преступность среди женщин, Тб., «Сабчота Сакартвело»; Д.Н. Дарахвелидзе (1981), Общественное мнение женщин о преступности, Тб., и др.

119 ს. პაჭკორია (1982), სუბიექტის საკუთარ დანაშაულთან დამოკიდებულების ტიპოლოგია და მისი მნიშვნელობა დანაშაულობასთან ბრძოლაში, „საბჭოთა სამართალი", № 4; ს. პაჭკორია (1975), დანაშაულებრივ მოქმედებაში ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების ადგილი და მნიშვნელობა, „მაცნე"; С.Г. Пачкория (1983), Типы отношения субъекта к собственному преступлению и их криминологическая характеристика. Тб. авт, канд.диссер. და სხვ.

120 Г.Ш.Андгуладзе (1980), Формирование установки асоциального поведения у несовершеннолетних правонарушителей, Автореф. канд. диссерт., Тб.

121 Т.Г.Шавгулидзе (1981), Специфика механизма аффективного преступного поведения, Механизм преступного поведения, М., «Наука»

ში მოდიოდა მის მიერვე შექმნილ კონცეფციასთან, რასაც კრიმინოლოგებმა თავის დროზე მიაქციეს ყურადღება.[122]

ქართველი კრიმინოლოგების მიერ შეგროვებულ იქნა უამრავი ემპირიული მასალა. აღწერილობითი თვალსაზრისით იგი უნიკალური იყო. თუმცა ცალკეულ დანაშაულთა ახსნის დაქსაქსულობა არ იძლეოდა საშუალებას გამოვლენილიყო საბჭოთა სახელმწიფოს როლი დანაშაულობის განვითარებაში. როგორც ისტორიამ გვიჩვენა ახსნის შეზღუდვას ხელს უწყობდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება, რომელიც სახელმწიფო საკუთრების ჩარჩოებში ხორციელდებოდა. საუბარია კაპიტალის ე.წ. აზიური წესით დაგროვების ხასიათზე, რომელიც თემური ურთიერთობების განვითარების გამო ჩაისახა სწორედ რუსეთში, როგორც რუსული სოციალიზმი. ევროპული ქვეყნების განვითარებისაგან განსხვავებით საბჭოთა წყობილება, როგორც კაპიტალიზმის ჩამოყალიბების არქაული ნაირსახეობა, დანაშაულობის ისეთ ხედვას განსაზღვრავდა, რომელშიც არ ჩანდა სახელმწიფოს კრიმინოგენული როლი. ამ მდგომარეობის ახსნის მიზნით გ. თოდრიამ განახორციელა საბჭოთა კრიმინოლოგიის საფუძვლების ფილოსოფიური ანალიზი. მთელ რიგ შრომებში იგი მიუთითებდა იმაზე, რომ სახელმწიფო აპარატის აზრით ცხოვრების ნორმები აუცილებლად სახელმწიფო დადგენილებებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი და ფორმირებული. ათვლის ასეთი წერტილი, როგორც ამას ავტორი მიუთითებდა, საფუძველს იძლეოდა დანაშაულობები აესახა როგორც მოვლენა, რომელიც მოკლებული იყო რაიმე ერთიან საფუძველს. დანაშაულებათა სამყარო აღიქმებოდა როგორც მოვლენების მხოლოდ რაოდენობრივი რყევა, რომელთაც აქვთ თავიანთი კონკრეტული და არა საერთო მიზეზები. ყველაფერი რაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო ინტერესებს ცხადდებოდა შემთხვევითად და საფუძველს მოკლებულად. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა იმის ილუზიას, რომ ის, რაც წარმოადგენდა ყველა დანაშაულის საფუძველს, თითქოსდა არ არსებობდა, ყველაფერი დაიყვანებოდა ცალკეული დანაშაულის კონკრეტული მიზეზების სტატისტიკამდე. კრიმინოლოგიის ფილოსოფიური კრიტიკის შედეგი იყო დასკვნა იმის შესახებ, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო თავისი მოწყობის პრინციპით წინ ეღობებოდა იმის შეცნობას, რომ

122 Д.Г. Мумладзе (1990), Эволюция концепции причинности в советской криминологии, Автореф. канд. диссерт., Тб.

დანაშაულობას ერთიანი საფუძველი გააჩნდა.[123]

90-იან წლებში კრიმინოლოგიურ კვლევათა მიმართულება და ხასიათი კარდინალურად შეიცვალა. ეს იყო საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი ანუ კაპიტალის დაგროვების აზიური წესის ტრანსფორმაციის პერიოდი უფრო თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისათვის ტიპიურ წესად, როდესაც წამყვანი ხდებოდა არა სახელმწიფო, არამედ კერთო საკუთრება. შესაბამისად, დანაშაულობამ საქართველოში მიიღო ყველა ის ფორმა, რომელიც ნაწილობრივ ასახავდა ძველი წყობის თვითგადარჩენის მცდელობას, ნაწილობრივ კი კაპიტალიზმის მთელ ევოლუციას მსოფლიოში. ასეთ არეულ პერიოდში საქრთველოში თავი იჩინა დანაშაულობის იმ ფორმებმა, რაც ტიპიური იყო მსოფლიოს ქვეყნებისათვის კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების დროს.

90-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველ კრიმინოლოგებს უხდებათ უმუშევართა დანაშაულობის, ორგანიზებული დანაშაულობის, კორუფციის და სხვა ახალი კრიმინალური ფორმების საკმაოდ რთული სურათის შეცნობა. ევროპის ქვეყნების კრიმინოლოგიისაგან განსხვავებით ქართველი კრიმინოლოგები პირველად განიხილავენ აგრესიულ სეპარატიზმს როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულობის ნაირსახეობას. როგორც აღნიშნავდა პროფ. მ. ბაძაღუა, ჯგუფური დანაშაულობის განვითარებულ ფორმას წარმოადგენს აგრესიული სეპარატიზმი. მისი აზრით, ამ მოვლენის კვლევის გარეშე ძნელია ჯგუფური დანაშაულობის სრული სურათის მიღება.[124]

საბჭოთა კავშირის დაშლა პირველ რიგში აისახა ეკონომიკური დანაშაულობის ახალი ფორმების განვითარების სახით. ქართველი კრიმინოლოგების კვლევის ობიექტად იქცა ისეთი მოვლენები, როგორიცაა რუსული ბაზების სამხედრო საწყობებიდან ტექნიკის და იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას, სეპარატისტული და სხვა კრიმინალური დაჯგუფებების პრობლემების გადასაწყვეტად ფერადი ლითონების და სხვა რესურსების უკანონო ექსპორტი, უკანონო გზით მიღებული ფულის ლეგალიზაცია, გადასახადები-

123 იხ. დაწვრ.: Г. Тодрия (1987), К критике «Диалектики криминогенной ситуации», «Мацне», №4; Г. Тодрия (1989), Проблемы перестройки криминологического мышления, «Мацне», 1989, №1.; გ. თოდრია (1992), სახელმწიფო როგორც გაუცხოების მომენტი და დანაშაულობა, „სამართალი", № 5.

124 მ. ბაძაღუა (2000), ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის ძირითადი ფაზები, ალმანახი (სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები), № 13.

სათვის თავის არიდება, არაკანონიერი პრივატიზაცია, დანაშაული საკრედიტო-საფინანსო სფეროში, თაღლითობა, მოპარული მანქანებით ვაჭრობა, სპირტიანი სასმელების იატაკქვეშა დამზადება და ა.შ. დ. წულაიას ზ. წულაიას ბ. კვირიკაშვილის ი. გოძიაშვილის და სხვა მეცნიერების შრომებში შემოთავაზებული იყო ეკონომიკური დანაშაულობის მიზეზების კლასიფიკაციის და მათი აღწერის პირველი მცდელობა.[125]

ეკონომიკური და ანგარებით ჩადენილი სხვა დანაშაულთა კვლევისას კრიმინოლოგიაში დაგროვდა დიდძალი ფაქტოლოგიური მასალა, რომელიც მეცნიერთა რეკომენდაციებს ასაბუთებდა. თუმცა ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად განსხვავდებოდნენ სახელმწიფო ორგანოების რეკომენდაციებისგან, რომლებშიც ისახებოდა ლოკალური პრევენციული ღონისთიებები. ამგვარად ქართველი კრიმინოლოგებისათვის კვლავ რჩებოდა სამეცნიერო პრობლემად დანაშაულობის განვითარებაში ეკონომიკური პროცესების მთელი სურათის კრიმინოლოგიური ახსნა. ცხოვრება დაბეჯითებით უჩვენებდა, რომ ეკონომიკური დანაშაულობის ისევე როგორც საერთოდ დანაშაულობის განვითარების სათავეები უნდა ეძებნათ ეკონომიკურ წინააღმდეგობებში.

მაგრამ საკითხის ნებისმიერი დასმა ეკონომიკური ურთიერთობების წამყვანი როლის შესახებ ზოგიერთმა მეცნიერმა მარქსისტულად აღიქვა და უკუგდებულ იქნა. სამწუხაროდ ემპირიული ილუზიების ქვეშ მოქცეული ქართველი კრიმინოლოგია უცხოელი კრიმინოლოგების კვალდაკვალ დანაშაულობის მიზეზს ტრადიციულად ფაქტორების სიმრავლეში ხედავდა ანუ იმ მოვლენებში, რომლებიც განსაზღვრავდნენ დანაშაულობის გამოვლენის ფორმას და არა მის რეალურ ბუნებას. დანაშაულობის ასეთი ხედვა ამუხრუჭებდა ლატენტობის დამოუკიდებელ შესწავლას, რომლის პრობლემატურობა განსაკუთრებით ეკონომიკური დანაშაულის ანალიზის დროს შეიგრძნობოდა.

ქართულ კრიმინოლოგიაში გაბატონებული ემპირიზმი აიგივებ-

125 ზ. წულაია (1994), დატაცებასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური საფუძვლები მსუბუქ მრეწველობაში, სადოქტ.დის. ავტორეფ., თბ.; დ.წულაია (1998), ეკონომიკურ დანაშაულობათა კრიმინოლოგიური დახასიათების ზოგიერთი ასპექტი, „სამართალი", №5–6; ი.გოძიაშვილი (1998), ეკონომიკური დანაშაულის შესწავლის და თავიდან აცილების საკითხისათვის, „ცხოვრება და სამართალი", №2; ი. გოძიაშვილი (2001), კრიმინოლოგია თბ.; დ.წულაია (2001), ეკონომიკურ სფეროში დანაშაულობის ცნების საკითხისათვის, „სამართალი", № 11.

და დანაშაულობას როგორც ეკონომიკურ წინააღმდეგობებში აღმოცენებული გაუცხოების პროცესების არსობრივ მახასიათებელს და დანაშაულობას როგორც ამ პროცესების გამოვლენის ფორმას. ემპირიზმის ზეგავლენის გამო მოპოვებული მასალა აღიწერებოდა ისე, როგორც ის მოცემული იყო ცხოვრების ზედაპირზე: ფიქსირდებოდა დანაშაულთა სახეების კავშირი სხვადასხვა როგორც თანასწორუფლებიან წყაროებთან. ასეთი თვალთახედვის შედეგად მეტად ბუნდოვნად იყო აღქმული კაპიტალის თაბდაპირველი დაგროვების პროცესისა და დანაშაულობის კავშირის თავისებურება. უფრო მეტი დაბნეული სახელმწიფო აპარატი კრიმინოლოგიაში ემპირიზმის გაბატონებით განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული, რადგან დანაშაულობასთან ბრძოლის საეჭვო პროგრამებში თავს არიდებდა რადიკალური რეფორმების თემატიკას.

კერძო ფინანსურ-ეკონომიკური კავშირების ზრდის პირობებში ეკონომიკურ ბრუნვაში ჩნდება ფული, რომელიც მიღებულია ნარკოტიკებით ვაჭრობიდან, გადასახადებისთვის თავის არიდებიდან, კორუფციის შედეგად. ჩნდება ფულის გათეთრების პრობლემა, რომელიც საშუალებას აძლევს არაკონტროლირებად ჯგუფებს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა მოიკრიფონ. ამ მიმართულებით ბ.კვირიკაშვილი და სხვა კრიმინოლოგები სპეციალური გამოკვლევებს იწყებენ.[126]

90-იან წლები ჯერჯერობით მოიცავს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პერიოდს, როდესაც მმართველობა ზოგჯერ სიტუაციურ ხასიათს ატარებს. საკითხების უმრავლესობა წყდება ცალკეულ მოხელეთა შეხედულებით, ხოლო სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება სპონტანურად. იქმნება პირობები საკუთარი ნება-სურვილით მოქმედებისა და თვითნებობისათვის სამსახურეობრივი მდგომარეობის ანგარებით გამოყენებისთვის. ქვეყანაში ვითარდება კორუფცია, რაც კრიმინოლოგების მიერ კვლევის საგნად ცხადდება.

კორუფციული დანაშაულობის გამოკვლევები ჯგუფდება ორი მიმართულების გარშემო. მეცნიერები, რომლებიც იკვლევენ სახელმწიფო სამართლებრივ პრობლემატიკას, ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირების თავისე-

126 მ. კვირიკაშვილი (1997), დამნაშავეობასთან ბრძოლის ზოგიერთი პრობლემა, პარლ. მრჩეველთა დამოუკ. საბჭოს უწყებანი, თბ., №1.

ბურებების შესწავლაზე[127] და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დადგენაზე.[128] კორუფციული დანაშაულობის სოციალური პრობლემატიკის შესწავლის დროს კი აანალიზებენ საზოგადოების როლს კორუფციასთან ბრთოლის საქმეში[129] და კორუფციისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ხასიათს.[130] აღნიშნული ძიებები მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკური დანაშაულობის გამოკვლევებს.

კორუფციის განვითარებაში სახელმწიფოს როლის შესწავლისას ქართველი კრიმინოლოგები აღნიშნავენ, რომ კორუფციული დანაშაულობის მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოზე. ფაქტიური მასალის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს დასკვნა, რომ კორუფცია არის სახელმწიფოს განუყრელი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა კორუფციის დონის არსებითად განმსაზღვრელი სამი გლობალური ფაქტორი: 1) მართვის საკონტროლო და სამართალდამცავ სტრუქტურებში ჩინოვნიკების გადამეტებული რაოდენობა, 2) კანონებში და ინსტრუქციებში ხელოვნურად დანერგილი აკრძალვები, რომლებიც ართულებენ ამა თუ იმ პროცედურაში მონაწილეობას, 3) კორუფციის აღმკვეთი აუცილებელი კანონების არარსებობა.

შესაბამისად იგეგმება პრევენციული ხასიათის მიმართულებები, რომელთაც მიეკუთვნება: მმართველობითი გადაწყვეტილებების სრულყოფა ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ორგანოთა სისტემის საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა, თანამდებობის პირთა ფუნქციების მკაფიო განსაზღვრა, თანამდებობის პირებზე კონტროლის მექანიზმის შემუშავება, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა, ანტიკორუფციული

127 ა. კვაშილავა, ლ.კვაშილავა (1997), კორუფციასთან ბრძოლის პრობლემები, „სამართალი", №3–4; გ.ღლონტი (1997), საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის პრობლემების ზოგიერთი ასპექტი, პარლ. მრჩეველთა დამოუკ.საბჭოს უწყებანი, თბ., №1.

128 გ. პაპუაშვილი (1997), ანტიკორუფციული კანონმდებლობის განვითარება საქართველოში, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები, თბ.

129 გ. თოდრია, მ.ბაძაღუა (1999), ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობა საზოგადოების განვითარების აუცილებლობა, „სამართალი", № 1.

130 ი. გოძიაშვილი (2000), თანამდებობრივი დანაშაულობის ფორმირებისა და თავიდან აცილების აქტუალური საკითხები, ალმანახი, № 13.

კანონების დარღვევისათვის პარლამენტის მიერ კანონების მიღებისას კონტროლის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გამორიცხავს დაინტერესებულ პირთა მიერ კორუფციულ საქმიანობაში მათ გამოყენებას.[131]

კანონმდებლობის ანალიზმა კორუფციასთან ბრთოლის თვალთახედვით მთელ რიგ შრომებში კვლავ დასვა კონფისკაციის ანონიმურ ზარებზე რეაგირების ადმინისტრაციული და ფინანსური სანქციების გამკაცრების, თანამონაწილეობის ცნების გაფართოების და სხვა საკითხები. ამასთან ერთად გაჩნდა პრინციპული მოთხოვნები გამოძიების მეთოდიკის, დანაშაულობის კვალიფიკაციის (სუბსუმციის) და სხვა საკითხების მიმართ. მთლიანობაში სერიოზულად დადგა კორუფციასთან ბრთოლის მარეგულირებელი ყველა კანონის შესაბამისობაში მოყვანის პრობლემა.[132]

საქართველოში კორუფციის ანალიზმა მთელი რიგი მეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე რომ ამ მოვლენასთან ბრთოლა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ძალებით არარეალურია. ამიტომ ბრძოლის ერთადერთი სუბიექტი საზოგადოება უნდა იყოს. სწორედ მოსახლეობის ყველა ფენის კორუფციასთან ბრთოლაში მონაწილეობაა საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი გარანტია. აქედან გამომდინარე შემოტანილი იქნა ახალი ცნება ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობა.[133]

დაბოლოს კორუფციასთან ბრძოლის პრობლემატიკის გამოკვლევათა შორის გამიყოფა შრომები, რომლებშიც გაანალიზებულია კორუფციისადმი დამოკიდებულების ტიპიური წინააღმდეგობები.[134]

აღნიშნულ პერიოდში კორუფციის კრიმინოლოგიური კვლევა განვითარების სტადიაში იყო, რაც განპირორებული იყო იმით, რომ

---

131 გ. ღლონტი (1997), საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის პრობლემების ზოგიერთი ასპექტი, პარლ. მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ., №1; ა. კახნიაშვილი (1999), კორუფციასთან ბრძოლის ზოგიერთი ეტაპი, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები, თბ.

132 გ. პაპუაშვილი (1999), ანტიკორუფციული კანონმდებლობის განვითარება საქართველოში, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები, თბ.

133 გ. თოდრია (1999), მ.ბაძაღუა ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობა საზოგადოების განვითარების აუცილებლობაა, „სამართალი", №1.

134 ი. გოძიაშვილი (2000), თანამედებობრივ დანაშაულობის ფორმირებისა და თავიდან აცილების აქტუალური საკითხები, ალმანახი, №13.

მრავალი საკითხი ახლებურად იყო დასმული. ამის გარდა, კრიმინოლოგიურ გამოკვლევებში კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების საკითხი ჯერჯერობით პრობლემური იყო. უფრო მეტიც, კორუფციის მაღალი ლატენტობის გამო ძნელად გროვდება ემპირიული მასალა. კრიმინოლოგთა წრეში სულ უფრო და უფრო ხშირად მკვიდრდებოდა აზრი, რომ მეცნიერებაში გაბატონებული ემპირიზმი უძლურია ახსნას კორუფციის ზრდის ტენდენცია. გასაგები ხდებოდა, რომ კორუფციის ახსნის გასაღები სხვა სიბრტყეშია საძიებელი.

60–70-იან წლებში ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემა იფარგლებოდა ადგილობრივი ბაზრის თავისებურებისა და მომხმარებლების ქცევის ანალიზით. მაგრამ 90-იან წლებში კვლავ თავი იჩინა ნარკომანიის კვლევამ, თუმცა მისი შინაარსი კარდინალურად შეიცვალა.[135] სსრკ-ის დაშლის შემდეგ ქვეყნის საზღვრების დაუცველობამ და საბაჟო კონტროლის სუსტმა ფუნქციონირებამ საქართველოში საერთაშორისო ნარკობიზნესის თარეშს ხელი შეუ-

135 დ. კაჭკაჭიშვილი (1998), ნარკომანიის წინააქმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზა, „სამართალი", №3–4; დ. კაჭკაჭიშვილი (1998), ნარკობიზნესის წინააქმდეგ ბრძოლის სამართლებრივი პრინციპები, „პოლიტიკა", №7–9; გ. თოდრია (1999), საქართველოზე ნარკობიზნესის ზეგავლენის შედეგიანობის პრობლემისათვის, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები, თბ. ი. ლომსაძე (1999), ნარკომანია – ეროვნული უბედურების წყარო, „სამართალი", №1; ი.ლომსაძე (2000), ნარკობიზნესის ცნებისა და სტრუქტურის შესახებ,"სამართალი", № 6–7; დ.კაჭკაჭიშვილი (2000), ნარკოტიკულ საშუალებებსა და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე კონტროლის დანესების, დარეგულირების და ორგანიზაციის სამართლებრივი საკითხები, „ნარკომანია ადამიანთა სულის სატკივარი". თბ.; დ. კაჭკაჭიშვილი (2001), ნარკოტიზმის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის ისტორიული წყაროები, „ინტელექტი", №1; დ. კაჭკაჭიშვილი (2001), ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააქმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები, „ინტელექტი", №1; დ.კაჭკაჭიშვილი (2001), სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ნარკოტიკული საშუალებების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ, „სამართალი", №4; ი.ლომსაძე (2001), ნარკობიზნესის გავრცელების სოციალურ-კრიმინოლოგიური ასპექტები, „სამართალი",№5; ჯანაშია (2001), ნარკოტიკებზე მსოფლიო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება, „სამართალი", №4; ზ.ბეროზაშვილი (2001), ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააქმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული კონვენციების აღსრულების ინსტიტუციონალური მექანიზმები, „სამართალი",№12; ი.ლომსაძე (2001), ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა (ნარკოტიკულ დანაშაულთა) გახსნისა და გამოძიების მეთოდიკის პრობლემები, საკანდ. დის. ავტ., თბ.

წყო. ამაზე მიუთითებდა თუნდაც ის ფაქტი რომ ნარკოტიკულ საშუალებათა კონტრაბანდის ზრდის ტემპმა 70-იან წლებთან შედარებით 35%-ს მიაღწია, მაშინ როცა არაკანონიერ ნივთიერებათა ნათესების ზრდამ – 9% შეადგინა. ამასთან პრობლემების სიმწვავეზე მიუთითებდა შემდეგი კანონზომიერებებიც: დანაშაულობის სტრუქტურაში ნარკოტიკების გავლენის ქვეშ მყოფთა მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულობა წინ უსწრებდა მძიმე დანაშაულობის ზრდას; ძალადობით ჩადენილ დანაშაულში ჭარბობდა ნარკოტიკული დანაშაული; ნარკოტიკების მოხმარება ვითარდებოდა ყველა ისტორიულ პროვინციაში; ნარკოტიკულ საშუალებათა 2/3-ს ხმარობდნენ 16-დან 30-წლამდე ასაკის პირები.[136]

მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით კრიმინოლოგებმა წამოიწყეს საქართველოს კანონის ნარკოტიკული საშუალებების ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შესახებ, ინსტრუქციების კონტროლირებადი მიწოდების შესახებ და საკონტროლო შესყიდვის შესახებ რეკომენდაციის შემუშავება. ამავდროულად გამოკვლევების თემატიკა გაფართოვდა ისეთი საკითხების კვლევით როგორიცაა: ნარკომანიასთან ბრთოლის საერთაშორისო საფუძვლების ძირითადი პრინციპების განმარტება; ნარკომანიასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემების გარკვევა; ნარკოდანაშაულობის კოდიფიცირება სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში; ნარკოტიკებთან ბრძოლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტა; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი დაცვის სრულყოფა[137] და ა.შ.

ნარკომანიის გარდა კრიმინოლოგები იკვლევდნენ ასევეე ალკოჰოლიზმის პრობლემასაც, რადგან გაიზარდა სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი.[138]

საბანკო თაღლითობამ, ფულის გათეთრების ქსელის გაფართოებამ, ძალადობის გამოყენებამ რეკეტისა და დაშინების მიზნით,

136 გ.თოდრია (1999), საქართველოზე ნარკობიზნესის ზეგავლენის შედეგიანობის პრობლემისათვის, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები. თბ.

137 ი.ლომსაძე (2001), ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა (ნარკოტიკულ დანაშაულთა) გახსნისა და გამოძიების მეთოდიკის პროგრამები, საკანდ.დის.ავტ., თბ.

138 ნ.თოდუა (1997), სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხები. თბ.

პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობამ, ტერორმა, მკვლელობის შეკვეთამ, პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების ლობირებამ, კონტრაბანდაში და ნარკობიზნესში მონაწილეობამ და სხვა ფაქტებმა წინა პლანზე ნამოწიეს ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემა, რომლის ანალიზიც ქართველმა მეცნიერებმა წამოიწყეს თეორიული, ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების სოციალურ-ისტორიული და ორგანიზებულ ჯგუფთა ცალკეული სახის საქმიანობის ანალიზის მიმართულებებით.

შეეხო რა ორგანიზებული დანაშაულობის ახსნისა და შესწავლის თეორიას ნ. ბაძაღუამ განიხილა შედარებითი კრიმინოლოგიური პრობლემატიკა. ორგანიზებული კრიმინალური საქმიანობის საზღვარგარეთ დაფარული კავშირები ხომ შესაბამისად მრავალი ქვეყნისაგან (საქართველოს ჩათვლით) მოითხოვდნენ ერთიან შედარებით მიდგომას როგორც ორგანიზებული დანაშაულობის გაგების საკითხისადმი, ასევე რეკომენდაციების გამომუშავების პრაქტიკისადმიც. ფრანგი მეცნიერის ჟ. პინატელის და რუსი მეცნიერის ვ. კუდრიავცევის კვალდაკვალ ავტორი კვლავ ეხება ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში ე.წ. კრიმინოლოგიური კანონმდებლობის შექმნის თემას.[139]

ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების სოციალურ-ისტორიული სტადიების შესწავლისას იწყება ამ მოვლენის განვითარების კვლევა, რომელმაც მეცნიერთა აზრით უნდა გაითვალისწინოს: ა) ორგანიზებული ჯგუფების ეკონომიკური ფუნქციების[140] და ბ) ორგანიზებულ დანაშაულობასთან მოსახლეობის დამოკიდებულება.[141]

ორგანიზებული დანაშაულობის ცალკეული სახეობის ანალიზის დროს ყურადღება ეთმობა ისეთ სახეობებს როგორიცაა: ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა, ტრეფიქინგი, კონტრაბანდა, რეკეტი, აზარტული თამაშები და უკანონო ეკონომიკური საქმიანობის სხვა-

---

139 მ.ბაძაღუა (1999), ორგანიზებული დანაშაულობის შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის ზოგიერთი საკითხი , „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“, თბ.

140 გ.ღლონტი (1999), ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი საქართველოში, „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“, თბ.

141 ი.გოძიაშვილი (1999), საზოგადოებრივი აზრი კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“, თბ.

დასხვა გამოვლინებები.[142]

ორგანიზებული დანაშაულობის თემა თავს იჩენს აგრეთვე ჯგუფური დანაშაულობის გამოკვლევებში. თუმცა 70-იანი წლების გამოკვლევებისაგან განსხვავებით ჯგუფური დანაშაულის პრობლემა ხარისხობრივად სხვაგვარად განიხილება. იგი ანალიზდება როგორც ტრანსნაციონალური და სხვა რთული დაჯგუფებების ხანგრძლივი ევოლუციის უჯრედი. სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი საშუალებას აძლევს მ. ბაძაღუას გამოყოს ევოლუციის სამი ფაზა: შემთხვევითი ფორმები, დუალისტური ფორმები და განვითარებული ფორმები. შემთხვევით ფორმას მიეკუთვნებიან სიტუაციურად შექმნილი ჯგუფები, რომლებიც იდენენ ანგარებით და ძალადობით დანაშაულს. დუალისტურ ფორმებს მიეკუთვნებიან ფორმები, რომლებიც ასე ვთქვათ იმყოფებიან ორგანიზებული დანაშაულობისკენ გარდამავალ სტადიაზე. ამასთან ეს ფორმები იყოფა იმის მიხედვით არის თუ არა მათ საქმიანობაში ხელისუფლების ხელყოფის მომენტი. ამ მიმართულებით გამოიყოფა ჯგუფები, რომლებიც დაკავებულნი არიან ძარცვით, მკვლელობით. მაგრამ არ ხელყოფენ სახელისუფლებო სტრუქტურებს და დაჯგუფებები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელყოფენ ხელისუფლებას, რაც ტიპიურია ტერორისტული ჯგუფებისათვის. ანალოგიურად კლასიფიცირდება ანგარებითი მიმართულების მქონე ჯგუფები, რომლებიც სჩადიან ეკონომიკურ დანაშაულობას ხელისუფლების ხელყოფის გარეშე და მისი ხელყოფით, მაგალითად, კორუფციის გზით.

წარმოდგენილ გამოკვლევაში ევოლუციის მესამე ფაზა ორი ნაირსახეობით წარმოგვიდგება. ერთი მათგანი მოიცავს საერთო კრიმინალური მიმართულების რთულ წარმონაქმნებს, მაგალითად ნარკობიზნესით დაკავებულ დაჯგუფებებს. მეორე ნაირსახეობა კი აგრესიული სეპარატიზმია. უნდა აღინიშნოს რომ ქართველი კრიმინოლოგები მთლიანობაში ერთი აზრისანი არიან იმის თაობაზე, რომ სეპარატიზმი[143] არის ორგანიზებული დანაშაულობის ფორმა, რო-

142 გ.ღლონტი (1999), ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი საქართველოში, „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები", თბ.; ი.გოძიაშვილი (1997), ორგანიზებული დანაშაულის ცნება, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ., № 2; გ.თოდრია (1997), დანაშაულის ორგანიზებული ფორმირების ზოგიერთი საკითხი, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ., № 3.

143 Г.Гловти (1998), Организованная преступность как из основных источников

მელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს.[144]

ქართულ კრიმინოლოგიაში დამოუკიდებელ მიმართულებად გამოიყოფა ძალადობის ანალიზი. 90-იანი წლების ბოლოს მეცნიერები გადადიან ამ სახის დანაშაულობის მონოგრაფიულ განზოგადოებაზე. ამასთან, მოცემულ გამოკვლევაში ტრადიციულად შემუშავებული თემებისაგან განსხვავებით ძალადობის პრობლემა განიხილება კულტუროლოგიურ ასპექტში. კერძოდ, მყარდება კავშირი ძალადობთი დანაშაულობის დონის დაქვეითებასა და საზოგადობაში აგრესიულობის არ არსებობას შორის.

ამასთან მეცნიერებაში პირველად გამოიყენება ძალადობის განვითარების დონის გაზომვის მეთოდი ძალადობითი დანაშაულისა და ძალადობის რეალიზაციის ხელშემწყობი დანაშაულის (ნარკოტიზმთან, იარაღის უკანონო ტარებასთან) შედარების გზით. ძალადობითი დანაშაულობის სტრუქტურის ფონზე ნარკოტიზმის და იარაღის უკანონო ტარების მაჩვენებლები განიხილება როგორც ძალადობის აკუმულაციის საშიში ტენდენცია. გამოკვლევებში დგინდება, რომ ძალადობითი დანაშაულობა ძირითადად იწყებს გავრცელებას უმუშავართა (განსაკუთრებით ყოფილ მუშათა, საშუალო განათლების მქონე პირთა და ა.შ.) შორის, რაც ტიპიურია კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდისათვის. და ბოლოს, ნაშრომში სპეციალურ კრიმინოლოგიურ ღონისთიებებთან ერთად გამოიყოფა ზომები, რომლებიც მიმართულია ძალადობითი დანაშაულობის განვითარების დევიანტური სტადიის, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა დანაშაულობის წინააღმდეგ.

მითითებულ პერიოდში კვლავ აღმოცენდა ისტორიული პროვინციების ჩარჩოებში ჯგუფური და ძალადობითი დანაშაულობის

насильственной преступности и этнических конфликтов, Тб.; რ. დეკანოზოვი (1997), ეთნიკური წმენდა – დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააქმდეგ, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ.,№1.

144 გ.თოდრია (1997), დანაშაულის ორგანიზებული ფორმირების ზოგიერთი საკითხი, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ.; ქ.ჭელიძე (1999), ტერორიზმის მოტივების ფსიქოლოგიური ასპექტები, „ალმანახი", №12; თ.ხიდაშელი (1998), შეიარაქებული კონფლიქტები და იძულებით გადაადგილებული პირები,"ალმანახი", №4; ზ.ბურდული (1998), ლტოლვილები და შეიარაღებული კონფლიქტები,"ალმანახი", №4; მ.მესხი (1998),პრობლემები ლტოლვილ და დევნილ ქალებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, „ალმანახი", № 4.

შესწავლის მოთხოვნილება.[145] განხორციელებულ გამოკვლევებში დამახასიათებელია პროვინციების შედარება დანაშაულობის სახეობათა მიხედვით. თუმცა არსებული გამოკვლევებისაგან განსხვავებით ი.შენგელია პირველად იწყებს დანაშაულობის ანალიზს იმერეთის ცალკე აღებულ ისტორიულ პროვინციაში. [146]

მთელი რიგი მიზეზების გამო ამ ტიპის გამოკვლევა არ ყოფილა შემთხვევითი. სხვა პროვინციებთან შედარებით იმერეთში ლტოლვილების მიგრაციით გამოწვეულმა მოსახლეობის მჭიდრო დასახლებამ, სოფლის მეურნეობის წარმოების შემცირებამ და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემამ განსაკუთრებული კრიმინოგენური ფონი შექმნეს. ამასთანავე იმერეთში აშკარად იგრძნობოდა კონფლიქტი პროვინციის მოსახლეობის ძირითადი მასის ისტორიულად არსებულ კულტურასა და ახალი დროის მიერ მოტანილ ფასეულობებს შორის. გარდა ამისა სხვა პროვინციებისაგან განსხვავებით სწორედ იმერეთში ჩაისახა საშუალო ინდუსტრიული ქალაქის დანაშაულობების პრობლემა, სადაც მოსახლეობის უმუშევართა დიდი ხვედრითი წილი ინდუსტრიულ სფეროში წინათ დასაქმებულებზე მოდიოდა. დაბოლოს, როგორც უმსხვილესი სატრანსპორტო არტერია იმერეთი ორგანიზებული დანაშაულობის პოტენციური ობიექტი ხდებოდა.

ქართველი კრიმინოლოგები 90-იანი წლების მიწურულსაც განაგრძობენ არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევას. მათ შრომებში სპეციალურად განიხილება ისტორიულად ადრე არარსებული კრიმინოგენური კანონზომიერებანი, რომლებიც გამოწვეულია უმუშევრობით, ოჯახის კრიზისით, ცხოვრების დონის დაცემით და ა.შ.[147] ამავდროულად იწყება დ. უზნაძის განწყობის თეორიის

---

145 მ. ბაძაღუა (1998), ჯგუფური დანაშაულობა. თბ.; გ.ჯანაშია. ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება. თბ. 2001 წ.

146 ი.შენგელია (2000), სამხარეო დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება, ქუთაისი

147 ი.გოძიაშვილი (1997), არასრულწლოვანთა დანაშაულობის ფორმირების მექანიზმისა და მასზე საკანონმდებლო კონტროლის დანესების შესახებ, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, №1; ი.გოძიაშვილი (1997), არასრულწლოვანთა დანაშაულობა როგორც კრიმინოლოგიური პრობლემა, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, №3; ა.გაბიანი, ლ.ქვინეფაძე (1998), არამართლზომიერი ქცევა «ქუჩის» მოზარდებში, „ალმანახი", №4; ი.გოძიაშვილი (1998), კრიმინოლოგია., თბ.; ვ.ქარუმიძე, ე.დარგალი (1998), არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლშეგნება, თბ.

საფუთველზე არასრულწლოვან დამნაშავეთა მოთხოვნილებების და მოტივაციის ფსიქოლოგიური ანალიზი.[148]

სოციალურ და ფსიქოლოგიურ მიდგომასთან ერთად ამ წლებში კრიმინოლოგიური და პენიტენციალური მიდგომის მიჯნაზე არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემისადმი ახალი დამოკიდებულება ჩნდება. გ. ყვარელაშვილის გამოკვლევებში მეცნიერული ანალიზის საგანია პრობლემური სიტუაცია, რომელიც წარმოიშობა მსჯავრდებულ არასრულწლოვანზე პენიტენციალურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ავტორის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად, სასამართლო პრაქტიკა ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიკაციასთან და სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებულ პიროვნების თავისებურებებს, რაც ფორმალური და მშრალია. ინდივიდის ფსიქოლოგიური სამყარო გამოუცნობი ხდება. ამის შედეგად ერთსა და იმავე დაწესებულებაში ხვდებიან ე.წ. შემთხვევითი და ბოროტი დამნაშავეები – გამოუსწორებელი ასოციალური განწყობით. ამ უკანასკნელთა მხრიდან უარყოფითი გავლენის გამო პიროვნების გამოსწორების ნაცვლად საზოგადოებას უკან უბრუნდება გამოუსწორებელი დამნაშავე. ერთმანეთთან დაუკავშირებელი სასამართლო და პენიტენციალური საქმიანობის რეფორმების გზით პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა არ იძლევა სასურველ შედეგს. სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მდგომარეობა უცვლელი რჩება.

საზღვარგარეთის გამოცდილების საფუძველზე გ. ყვარელაშვილის გამოკვლევებში დამუშავდა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის მოდელი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ განაჩენის გამოტანის დროს არასრულწლოვანი მსჯავრდებული იგზავნება კლასიფიკაციის ცენტრში, სადაც ექვსი თვის განმავლობაში ხდება მისი პიროვნების დიაგნოსტირება. მიღებული შედეგის მიხედვით პიროვნების დახასიათება იგზავნება სასამართლოში, რომელიც თავის მხრივ იღებს გადაწყვეტილებას სასჯელმისჯილის გადასაგზავნად დაწესებულების დახურულ, ნახევრად დახურულ ან ღია ბლოკებში ე.ი. არასრულწლოვანი პიროვნების ძირითადი შეფასება ხდება არა მხოლოდ სასამართლოს ფორმალურ-იურიდიული, არამედ პენიტენციალური დაწესებულების დასკვნების საფუთველზეც. ავტორის აზრით, წამოწყებული მოდელი ფართო გასაქანს იძლევა

148 მ.კვირიკაშვილი, თ. ანდღულაძე (2000), საქართველოში დანაშაულობის პროფილაქტიკისა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევის კრიმინოლოგიურ–ფსიქოლოგიური ასპექტები, „ალმანახი", №13.

მსჯავრდებული არასრულწლოვანი პიროვნების გამოკვლევისათვის.[149]

კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებით მეცნიერთა მიერ განიხილება სასჯელის მიზნის რესოციალიზაციის სისხლის-სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები.[150]

აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება დანაშაულობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის დაწყებაც, რომლის ტრადიციას ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჩაუყარა საფუძველი პროფესორმა თ. შავგულიძემ. მაგრამ წინა წლებისაგან განსხვავებით სამეცნიერო კვლევებში განიხილებოდა საზოგადებრივი აზრი იმ კრიმინალური მოვლენების შესახებ, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია საქართველოში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესებთან. ამ მიმართულებით განიხილებოდა საზოგადოებრივი აზრი ჯგუფური დანაშაულობის,[151] კორუფციის,[152] ორგანიზებული დანაშაულობის,[153] ძალადობითი დანაშაულობის,[154] ისტორიული პროვინციის დანაშაულობის,[155] პენიტენციალური საქმიანობის[156] და სასჯელის ზომების შესახებ. [157] ეჭვგარეშეა, რომ 90-იანი წლების დასასრულიდან მოხდა ქართული კრიმინოლოგიის ახალი მიმართულების ფორმირება,

149 გ.ყვარელაშვილი (1996), არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები, თბ.

150 პ.დაუთაშვილი (2000), სასჯელის მიზნის რესოციალიზაციის სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები,"სამართალი", № 6–7.

151 მ.ბაძაღუა (1998), საზოგადოებრივი აზრი ჯგუფური დანაშაულობის შესახებ, „სამართალი", №5–6.

152 ვ.მაღლაფერიძე (1999), საზოგადოებრივი აზრი და კორუფცია, „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები", თბ.

153 ი.გოძიაშვილი, პ.დაუთაშვილი (1997), საზოგადოებრივი აზრი ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, №2; ი.გოძიაშვილი (1999), საზოგადოებრივი აზრი კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები", თბ.

154 გ. ჯანაშია (2001), ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბ.

155 ი. შენგელია (2000), სამხარეო დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება, ქუთაისი,

156 გ. ყვარელაშვილი (1996), არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები, თბ.

157 ი. გოძიაშვილი (1997), საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის შესახებ, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, №1.

რომელსაც შეიძლება კრიმინალური ოპინიონიკა (ლათ. – შეხედულება) ეწოდოს.

ქართულ კრიმინოლოგიაში დამოუკიდებელი მიმართულების სახით გამოიყოფა სოციალური პათოლოგიისადმი მიძღვნილი თემატიკა, რომელიც ეხება შეურაცხადთა სოციალურ ქცევას და თვითმკვლელობას.

მ. მამნიაშვილის აზრით პრობლემურ სიტუაციას ქმნის იუსტიციის სისტემაში არსებული ხარვეზები. როგორც გამოკვლევაში აღნიშნულია, იძულებითი ღონისძიებების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სასამართლოები ხშირად არ ადგენენ შეურაცხადის კანონიერ წარმომადგენელს, არ განსაზღვრავენ იმ ორგანიზაციების და პირების უფლება-მოვალეობებს, რომელთაც კონტროლი უნდა განახორციელონ შეურაცხადი პირის მიმართ. სასამართლოები არაიშვიათად ამბობენ უარს სამედიცინო იძთულებითი ღონისთიებების გაუქმებასა და შეცვლაზე, რისი მოტივებიც კანონმდებლობისათვის არაა ცნობილი. სერიოზული ხარვეზებია კანონმდებლობასა თუ საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაშიც. ეს და სხვა გარემოებები ერთობლიობაში ხელს უწყობენ უკონტროლობას შეურაცხადის ქცევაზე. მდგომარეობა მწვავდება იმის გამო, რომ მას კვლავ შეუძლია ჩაიდინოს „დანაშაული" კონფლიქტურ სიტუაციაში. პრობლემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოში მატულობს „დანაშაულის" ჩამდენ შეურაცხადთა რიცხვი. მიუხედავად აღნიშნულისა ავტორის ხედვით მოვლენის მიმართ იზრდება მოსახლეობის ინერტული დამოკიდებულება.[158]

იშვიათ გამოკვლევათა რიცხვს მიეკუთვნება თვითმკვლელობათა გამოკვლევა. 1927 წელს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით

158 მ. მამნიაშვილი (1987), შეურაცხად პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოს მიერ მათზე სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებათა შეფარდების კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობა და პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ, ქ. თბილისის პროკურატურის კრებული. 1987 წ., № 20; მ. მამნიაშვილი (1988), საპროკურორო ზედამხედველობა სულიერად დაავადებულ და შეურაცხად პირთა საქმის გამოძიებისას, „საბჭოთა სამართალი", № 5; მ. მამნიაშვილი (1991), შეურაცხად პირთა სამართალწარმოების თავისებურებანი და კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები, „მაცნე"; მ. მამნიაშვილი (1994), შეურაცხადის მიერ ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უმართლობის „კრიმინოლოგიური" (სოციოლოგიური) თავისებურებანი, საკანდ.დის.ავტორეფერატი, თბ.

გამოცემული იყო მხოლოდ რ. ფიცხელაურის ნამუშევარი.[159] სამოცწლიანი ვაკუუმი განსაზღვრულ წილად შეავსო ზ. ტაბლიაშვილის და მ. მამნიაშვილის გამოკვლევამ, სადაც განიხილებოდა უიმედობის სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. როგოც აღნიშნულია, თვითმკვლელობის ყველაზე დიდი პროცენტი საშუალოდ 15–29 წლის ასაკის პირებზე მოდის. მამაკაცებს შორის ყველაზე ხშირად მას 15–34 წლის ასაკში ვხვდებით, ხოლო ქალებს შორის – 20–24 წლის ასაკში. ნაშრომში ხაზგასმულია თვითმკვლელობის ზრდის ტენდენცია და გამოთქმულია მოსაზრება, განპირობებულია იმითაც, რომ აღნიშნული პრობლემა შემდგომი გამოკვლევების ყველაზე მნიშვნელოვან საგნად იქცევა.[160]

საზოგადოების ისტორიულმა გადასვლამ რეპრესიული პოლიტიკიდან ადრეული პროფილაქტიკის ღონისძიებათა გაფართოებისაკენ დღის წესრიგში დააყენა კანონის დამრღვევი ადამიანის შინაგანი სამყაროს ღრმად შესწავლის საკითხი. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური ბუნების გაგების აუცილებლობაზე ლოგიკურ რეაქციას წარმოადგენდა ფსიქოლოგის დ. კიკნაძის მიერ წამოწყებული მოტივაციის გამოკვლევები. მისი აზრით დანაშაულებრივი ქმედების თავიდან აცილება შესაძლებელია მოტივაციის კანონზომიერი გამოყენების საფუძველზე, რაც ნებისმიერი მოქმედების საიდუმლოების გასაღებს წარმოადგენს. სწორედ მოტივაციის შედეგად ხდება რწმენის ფორმირება მოტივის სახით. მოტივაცია როგორც შინაგანი მოქმედება იწყება მოთხოვნილებების შეცნობით და სრულდება დინამიური ფაქტორების სისტემის ფუნქციონალური ფორმირებით: მოთხოვნილებით ინტერესით მიზნით რწმენა-მოტივით და განწყობით. აქედან გამომდინარე დ. კიკნაძე ასკვნის, რომ მხოლოდ რწმენის შეცვლის გზითაა შესაძლებელი ზემოქმედების მოხდენა ნებისმიერი ქცევის, მათ შორის დანაშაულის ჩადენისათვის მზადყოფნაზე.[161]

90-იანი წლების დასასრულისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი აქვეყნებს შრომების კრებულს, რომელიც განაზოგადებს არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემებს უკანასკნელი 30

159 რ. ფიცხელაური (1927), თვითმკვლელობა და მასთან ბრძოლა, თბ.
160 ზ. ტაბლიაშვილი, მ.მამნიაშვილი დევიაცია (2000), თვითმკვლელობა, თბ.
161 დ. კიკნაძე (2000), დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის, „ალმანახი", № 13.

წლის განმავლობაში. თემატიკა ძირითადად ატარებს ფსიქოლოგიურ–პედაგოგიურ ხასიათს. დიდი ადგილი აქვს დათმობილი არასრულწლოვანთა და მოზარდთა დევიანტურ ქცევას.[162]

ემპირიულ გამოკვლევებთან ერთად მეცნიერები იწყებენ თეორიული ხასიათის კვლევას. ამასთან თემების ერთი ჯგუფი თავს იყრის პრობლემატიკის გამოყენებითი თეორიის, მეორე კი – მასალის ფილოსოფიურ-კრიტიკული გააზრების გარშემო.

გამოყენებითი თეორიის გამოკვლევების ჩარჩოებში მუშავდება ისეთი თემები როგორიცაა კრიმინოლოგიური პროგნოზირება,[163] კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდიკა[164] და ა.შ. ამავე წლებში გამოდის პირველი ქართული სახელმთღვანელო კრიმინოლოგიაში. რ. ჭოლოშვილი სასწავლო მასალას გადმოგვცემს რამდენადმე არატრადიციული ფორმით, რომელიც გარკვეულად განსხვავდება კრიმინოლოგიის კურსის მიღებული სტრუქტურისაგან. მაგრამ მიუხედავად მასალის მოკლედ გადმოცემისა სახელმძღვანელო, როგორც გამოცემის პირველი მცდელობა, საზოგადოების ყურადღებას იპყრობს.[165]

1998 წელს ი. გოძიაშვილმა გამოსცა კრიმინოლოგიის სახელმძრვანელო, სადაც განხილულია საბჭოური და პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოს დანაშაულობის განვითარების თავისებურება. ავტორი განიხილავს მსოფლიო კრიმინოლოგიაში არსებულ სხვადასხვა მიდგომებს და ცდილობს მის გააზრებას საქართველოს მასალებზე დაყრდნობით. დანაშაულობის საერთო პრობლემების გარდა მონოგრაფიაში თანამედროვე დანაშაულობის ფორმებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.[166]

30 წლის განმავლობაში ქართველმა კრიმინოლოგებმა დააგროვეს დიდძალი ემპირიული მასალა და შესაძლებლობისამებრ აღწერეს იგი. მარტო ამ „ოქროს ფონდის“ საშუალებით შეიძლებოდა აღგვედგინა ტოტალიტარული სახელმწიფოებრიობის დაშლის ისტორია. და მაინც განხორციელებულ გამოკვლევებში ვერ მოხერხდა

162 ვ. ქარუმიძე, ე.დარგალი (1998), არასრულწლოვანი დამნაშავეობა და მართლმსაჯულება, თბ.

163 ნ. უგრეხელიძე (2000), კრიმინოლოგიური პროგნოზირების ზოგიერთი საკითხი, „ალმანახი“, № 13.

164 დ. წულაია (1998), კრიმინოლოგიაში გამოყენებული კვლევის მეთოდების შესახებ, „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტის „შრომები“, ტ.2.

165 რ. ჭოლოშვილი (1995), კრიმინოლოგია, თბ.

166 ი. გოძიაშვილი (1998), კრიმინოლოგია. თბ.

ემპირიზმის დაძლევა. უფრო მეტიც, 90-იანი წლებიდან მოყოლებული ფუნდამენტური ძიების დამკვიდრების იმედი თანდათან გაქრა.

კაპიტალიზმისაკენ გარდამავალმა პერიოდმა გზა გაუხსნა მსოფლიოს საბაზრო ურთიერთობებში ქვეყნის ჩართვას და შესაბამისად სათანადო უცხოური კულტურის ქართულ ცნობიერებაში ვიწრო პრაგმატულ ღირებულებათა შემოდენას. როგორც შედეგი ამ ობიექტურმა პროცესებმა მეცნიერებაში ემპირიზმი გააბატონა. კრიმინოლოგიური მსჯელობის მეთოდი ძირითადად ემპირიული მასალის აღწერით შემოიფარგლებოდა. აღნიშნული შემეცნებითი ტენდენციის დამკვიდრებას გარკვეულად ხელს უწყობდნენ გრანტის გამცემი საზრვარგარეთის სხვადასხვა საზოგადოებები, რომლებიც საქართველოში მათ ქვეყნებში მიღებულ ემპირიულ თემატიკას გვთავაზობდნენ.

დანაშაულობის სხვადასხვა ფორმების ცალ-ცალკე აღწერა ერთი შეხედვით მომგებიანი იყო. მაგრამ მათი სიღრმისებული ფესვის დადგენა სცილდებოდა პრაგმატიზმის შესაძლებლობებს. ქართული კრიმინოლოგია ტრადიციული საბჭოური ემპირიზმიდან თავის დაღწევის შემდეგ კვლავ ემპირიზმის კლანჭებში აღმოჩნდა.

აღნიშნულ ვითარებაში კრიმინოლოგიური აზროვნება გაორდა. სულ უფრო ხშირად დგებოდა საკითხი იმის შესახებ, რომ თუ არსებობს დანაშაულობა როგორც ობიექტური მოვლენა მაშინ აუცილებელია მისი სხვადასხვა ფორმებისა (ტრანსნაციონალური, ორგანიზებული, ძალადობითი და სხვ.) და სახეების (ქურდობა, ყაჩაღობა და სხვ.) გამაერთიანებელი სუბსტანციის შეცნობა. მეორე მხრივ თუ კაცობრიობის მსჯელობა ვერ სწვდება დანაშაულობის ერთიან ბუნებას, მაშინ არ უნდა არსებობდეს დანაშაულობა როგორც ობიექტური კატეგორია, ვინაიდან კრიმინოლოგიური მსჯელობა ფორმაციების ცვალებადობის მიუხედავად სწვდება დანაშაულობის მხოლოდ ცალკეული ფორმების და სახეების თვისებებს და არა მათ გამაერთიანებელ ფესვს. კრიმინოლოგიური აზროვნება წინააღმდეგობაში ექცევა, რადგან ემპირიზმიდან გამომდინარე დანაშაულობა, როგორც შინაგანი ერთიანი კანონზომიერების მატარებელი მოვლენა, გამოკვლევებში არ ჩანს.

ამრიგად მე-20 საუკუნის მიწურულს ქართულ კრიმინოლოგიაში (მსოფლიო კრიმინოლოგიის მსგავსად) მწიფდებოდა მეთოდოლოგიური საყრდენის ძიების მოთხოვნა. ძიება დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რადგან ფილოსოფიის ანტიემპირიული ტრადიცია

გაბატონებული გამოყენებითი სოციოლოგიის მიერ იდევნებოდა, ხოლო დანაშაულობის კვლევისას იურიდიულ ფაქულტეტზე ნასწავლი კრიმინოლოგის წინაშე ემპირიული ფაქტების გამაერთიანებელი ობიექტური კანონზომირების დადგენის ამოცანა არ არსებობდა. არ არსებობდა თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მსგავსი ამოცანის გადაწყვეტა არ პასუხობდა ნორმატიული მსჯელობის იდეალს, რომლის მიხედვითაც დანაშაულის კვალიფიკაციის შედეგად მოვლენათა არსი უნდა აღქმულიყო მხოლოდ როგორც ნორმაში ასახული აბსტრაქტული და ზოგადი.

ნორმატივიზმი, როგორც უნიკალური მეთოდი იურიდიული პრაქტიკისათვის, კრიმინოლოგიურ მსჯელობაში სავალალო შედეგების მომტანი ხდებოდა, რადგან ვერ უპირისპიდებოდა კრიმინოლოგიაში გაბატონებულ ემპირიზმს. პირიქით ის ხელს უწყობდა დანაშაულობის აღწერას, როგორც ემპირიულ ფაქტთა გროვის და ამკვიდრებდა მოვლენათა არსის გაგებას როგორც აბსტრაქტულს. საბოლოოდ ამას მკვლევარი მიჰყავდა სუბიექტივიზმამდე, რასაც შედეგად დანაშაულობის ფორმების განმარტებათა მრავალფეროვნება სდევდა. ამიტომ ტრანსნაციონალურ დანაშაულობაზე, ნარკობიზნესზე, კორუფციაზე თუ სხვა კრიმინალურ ფორმებზე არამც თუ ერთიანი წარმოდგენა არ არსებობს დღემდე არამედ არაა ერთიანი საყრდენი მათი სუბსტანციის ახსნაშიც. აქედან მომდინარეობს უამრავი, ფსევდომეცნიერული და „ობივატელური“ დასკვნებით შეკაზმული, წინააღმდეგობებით აღსავსე დანაშაულობასთან ბრძოლის პროგრამაც.

ემპირიზმიდან თავის დაღწევის მიზნით კრიმინოლოგიაში კვლავ იწყება მეთოდოლოგიური საკითხების განხილვა. ამ მიმართულებით გ. თოდრიას აზრით საჭიროა კაცობრიობის ყველა მნიშვნელოვანი მონაპოვარის, მათ შორის რელიგიური აზროვნების ღრმა ნვდომა. ავტორი ცდილობს გაერკვეს დანაშაულობაზე არსებულ რელიგიურ მსოფლმხედველობაში. კვლევის საგნად შემთხვევით არაა აღებული ქრისტიანული რელიგია. ავტორის აზრით, ზოგიერთი რელიგიისაგან განსხვავებით ქრისტიანულ რელიგიში ღმერთის შვილი არც სახელმწიფოს მსახურია და არც რაიმე ურთიერთობაშია მასთან, ქრისტე იმ წრის სახელით გამოდის, რომელიც სახელმწიფოს გარეთ დგას.

გ. თოდრიას მიერ წარმოდგენილი ნაშრომის შესაბამისად, დანაშაულობაზე ქსრისტიანული წარმოდგენის ჩამოყალიბება არ არის დამახინჯებული იმ ფორმებით, რაც ტიპიურია პოზიტიური სამარ-

თლისა და სახელმწიფოსთვის, სადაც დანაშაულობის ხედვა ფეტიშირებულ სახეს იღებს. ავტორის აზრით, მსჯელობის ასეთი მიმართულებით წარმართვა კრიმინოლოგიაში ბოლოს უღებს იურიდიული აზროვნების პრეტენზიას დანაშაულობის გაგებაზე.

დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენა ესაა მცდელობა აღმოაჩინოს დანაშაულის არსი ანუ თავისი ბრალეულობის ნამდვილი საზომი და არა ის, რასაც სისხლის სამართლის კანონი განსაზღვრავს. დამნაშავის ცოდვიანობა არის იმ დამნაშავის თვისება, რომელიც არ აღმოჩნდა ღმერთთან. დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენა ნიშნავს დამნაშავის არა ემპირიული თვისებების გააზრებას, არამედ იმის წვდომას, რაც სუბსტანციური თვისებისაა. დამნაშავის ცოდვიანობა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა დამნაშავის მოაზრებას ყველა იმ თვისებით, რომლითაც იგი აღჭურვილია ემპირიულად, მათ შორის კანონითაც. არსებულ იურიდიულ ცოდნაში კი სამყარო აღიქმება მთელი მისი ცოდვიანობით – ემპირიულად, სუბსტანციის – ღმერთის გარეშე. პარადოქსულია, მაგრამ ახალი აღთქმის წარმოდგენები ადამიანების უძველესი წარმოდგენებია, რომლებიც არსის კატეგორიებით საზრდოობენ. ამიტომ თეოლოგიური ხედვა უფრო რეალურია, ხოლო იურიდიული – ვიწრო პრაქტიკული, არარეალური. თუმცა რიგითი ადამიანების შეგნებაში თეოლოგიური სამყარო საიქიოდ აისახება ხოლო სახელმწიფოსა და სამართლისა – სააქაოდ. ასწლეულების განმავლობაში ამგვარი ყირამალა ხედვის ავტორი იყო და ჯერაც არის სახელმწიფო, რომლის მსახურთათვის საზოგადოება სახელმწიფოებრივი განწესებების გარეშე არის ჰადესის სამეფო. ადამიანები ჯერაც ამ იდეის ტყვეობაში არიან, რადგან ვერ ხედავენ რომ ღვთიური სუბსტანციის სამეფო არ არის იმ სამყაროდან, რომელსაც ვხედავთ სახელმწიფო პრაქტიკაში.[167]

კრიმინოლოგიური დაწესებულებები საქართველოში.

კრიმინოლოგიის განვითარება საქართველოში განუყრელად იყო დაკავშირებული ქვეყანაში მთელი რიგი ისეთი დაწესებულებების ჩამოყალიბებასთან, რომლებიც ხელს უწყობდნენ კრიმინოლოგთა კადრების მომზადებასა და გამოყენებითი (სამთებრო) კვლევების ორგანიზებას. 90-იანი წლების მიწურულს ქვეყანაში სამი ტიპის დაწესებულება ფუნქციონირებდა:

ა) სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების დაწესებულებები:

167 გ. თოდრია (2002), დანაშაულობა ახალი აღთქმის მიხედვით: „სამი ჯვრის მოძღვრება", ალმანახი (ქართული სამართლის ისტორიის საკითხები), №14

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიისა და კრიმინალური ფსიქოლოგიის განყოფილება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული დანაშაულის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია;

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მიმართულების დაწესებულებები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა, ანალოგიური კათედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბათუმისა და სოხუმის ფილიალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა;

გ) სამეცნიერო-კონსულტაციური მიმართულების დაწესებულებები: საქართველოს კრიმინოლოგთა ასოცაცია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი, დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი.[168]

კრიმინოლოგიურ კვლევათა განვითარება 60-იან წლების დასაწყისში განუყრელად იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აწ გარდაცვლილი წევრ-კორესპონდენტის პროფესორ თ.წერეთლის სახელთან. სწორედ მისი ინიციატივით ჩატარდა პირველი კრიმინოლოგიური კვლევები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის სექტორში, რომელიც მის მიერ იყო შექმნილი და რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა. იმ დროისათვის კრიმინოლოგიის დამოუკიდებელი განყოფილება ჯერ კიდევ არ არსებობდა ისევე როგორც შესატყვისი კადრები. ამიტომ მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ ჩატარებული კვლევები უმეტესწილად იმ ასპირანტურის თემატიკას ასახავდა, რომელსაც ამთავრებდნენ მომავალი მეცნიერები ძირითადად მოსკოვის დაწესებულებებში – საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის

168 დაწესებულებათა ისტორიის შესახებ საბჭოთა პერიოდში იხ.: ა. გაბიანი (1986), თანამედროვე კრიმინოლოგიის განვითარების შესახებ საბჭოთა საქართველოში, კრებული: თანამედროვე სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის პროცესის განვითარების აქტუალური საკითხები, თბ., გვ. 150–156

ინსტიტუტსა და საბჭოთა კავშირის პროკურატურასთან არსებულ დანაშაულის მიზეზთა კვლევისა და პროგნოზირების ცენტრში.

სამართლის სექტორში კრიმინოლოგიური კადრების მომზადებამ შემდგომში 1978 წელს საფუძველი ჩაუყარა კრიმინოლოგიის დამოუკიდებელი განყოფილების დაარსებას, მოგვიანებით კი კრიმინალური ფსიქოლოგიის განყოფილების ჩამოყალიბებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად დაარსებულ სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში. ამ ორგანიზაციულ სიახლეებს კრიმინოლოგიური მეცნიერება უნდა უმადლოდეს პროფესორ თ.შავგულიძეს. სწორედ მისი ხელმძღვანელობით რეგულარულად წარმოებდა საზოგადოებრივი აზრისა და სამართლებრივი ცნობიერების კვლევა. კრიმინალური ფსიქოლოგიის პრობლემათა საკვლევად ინსტიტუტში მოწვეულ იქნა მოტივაციის ცნობილი მკვლევარი დ.კიკნაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა აღნიშნულ სექტორს. იმავე წლებში პროფესორ თ. შავგულიძის აქტიური მხარდაჭერით ჩამოყალიბდა კრიმინოლოგთა ასოციაცია, სადაც კრიმინოლოგების გარდა გაერთიანდნენ ცნობილი იურისტები და პრაქტიკოსები.

70-იანი წლების დასაწყისში (1974 წელს) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა დანაშაულის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც 1981 წელს გადაეცა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს. აღნიშნული დაწესებულება უნიკალური იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ვინაიდან დანაშაულის გეოგრაფიის, კრიმინალური მიგრაციისა და სხვა გლობალურ სოციოლოგიურ პრობლემებს იხილავდა. პროფესორ ა.გაბიანის ხელმძღვანელობით ლაბორატორიამ განახორციელა დანაშაულის სოციოლოგიის გამოკვლევათა მთელი სერია. სწორედ ამ ლაბორატორიაში იქნა შემუშავებული ყველა ის გამოყენებითი თემა, რომელიც იმდროინდელ დანაშაულობებს შეეხებოდა. იმ პირობებში არსებული მასალის ტექნიკური დამუშავების ჩარჩოებში ლაბორატორიამ პირველად განახორციელა მასობრივი სტატისტიკური დაკვირვებები.

70-იანი წლების კრიმინოლოგიის განვითარებას ხელი შეუწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრამ, რომელსაც ხელმთღვანელობდა ცნობილი მეცნიერი პროფესორი გ. ტყეშელიაძე. კათედრის მცდელობით იურიდიულ ფაკულტეტზე იკითხებოდა

კრიმინოლოგიის კურსი და ტარდებოდა პრაქტიკული მეცადინეობები. სწორედ აქ ზ. წულაიას მიერ იქნა მომზადებული პირველი სადოქტორო დისერტაცია კრიმინოლოგიაში. ამგვარად სამეცნიერო კადრების მომზადებისადმი ხელშეწყობით კათედრამ უდიდესი დახმარება გაუწია სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს, რომელიც მეცნიერ-კრიმინოლოგებით შეივსო. კრიმინოლოგიის განვითარებამ ზოგადად ხელი შეუწყო სისხლის სამართლის დისერტაციათა მიმართ წაყენებულ მოთხოვნათა იმ საკითხების გაფართოებას, რომლებშიც გარკვეულწილად გაანალიზებული უნდა ყოფილიყო პრობლემის კრიმინოლოგიური ასპექტები.

კრიმინოლოგიის სწავლების სიღრმე და მასშტაბები, აგრეთვე კვლევის ჩატარება დიდად არის დამოკიდებული კადრების მეცნიერულ მომზადებაზე, რომლის საბოლოო საექსპერტო შეფასებას იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭო იძლევა. მკაცრი და ობიექტური მოთხოვნების საფუძველზე საბჭომ დანაშაულის თანამედროვე სახეობების და ფორმების შემსწავლელ მრავალ კრიმინოლოგს მიანიჭა სამეცნიერო ხარისხი. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტის გ. ინწკირველის უდიდესი როლი საბჭოს მიერ მომავალი კრიმინოლოგების ნაშრომების მიმართ მაღალი მოთხოვნების შენარჩუნებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის პროფ. რ. შენგელიას ხელშეწყობით ფაკულტეტზე ფუნქციონირება დაიწყო ევროპული კერძო სამართლის გერმანულენოვანმა მაგისტრატურამ. დაგეგმილი იყო გაფართოება და ახალი პროფილების დანერგვა.

ქვეყანაში კრიმინოლოგიური სწავლების ერთობლიობის შენარჩუნებაში დიდი იყო იურიდიული ფაკულტეტის მეთოდოლოგიურ საბჭოს წვლილი, რომელსაც პროფესორი მ. ლეკვეიშვილი ხელმძღვანელობდა. კომერციულ ინსტიტუტთა ჩამოყალიბების პირობებში იქმნება კრიმინოლოგიის სწავლებაში დაქსაქსულობის არსებობის საშიშროება. სასწავლო პროგრამის გეგმაზომიერად იურიდიული ფაკულტეტის მეთოდოლოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამით წარმართვა უნდა იქცეს ქვეყანაში კრიმინოლოგიის სწავლების ერთგვარ მოდელად, ვინაიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და სწავლების მეთოდების ორგანიზების საქმეში ფლაგმანად გვევლინება.

აღნიშნულ პერიოდში კრიმინოლოგიის სრული კურსით სწავლება წარმოებს აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტზეც. კრიმინოლოგიური განათლების მნიშვნელობა განსაკუთრებული იყო ფილიალის პედაგოგთა და სტუდენტთათვის, რადგან აფხაზეთიდან 1989 წლის 14 აპრილს ქართველი ხალხის დევნის ერთ-ერთი საბაბი იყო აგრესიული სეპარატიზმი როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულის ყველაზე საშიში ფორმის გამოვლენა.

თბილისში დევნილ უნივერსიტეტად გადმოსვლით შენარჩუნებულ იქნა საუნივერსიტეტო განათლების იდეა. სწორედ ამ გზით შეიქმნა ნორმალური პირობები გენოციდისაგან გადარჩენილი ახალგაზრდობის განათლებისთვის. ფილიალი წარმოადგენდა პედაგოგთა კოლექტივის მაკონსოლიდირებელ ძალას, რომელიც ქვეყნის რეგიონის ცნობილი მეცნიერების გარდა აერთიანებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მაღალკვალიფიცირებულ კადრებსაც. კრიმინოლოგიის სწავლებაში ფილიალს დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილება.

საუნივერსიტეტო განათლების განმტკიცებას ხელს უწყობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საუნივერსიტეტო განათლების განვითარებამ საფუძველი შეუქმნა როგორც კრიმინოლოგიის სწავლებას იურიდიული ფაკულტეტზე, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტიდან მაღალკვალიფიცირებული კადრების მიზიდვასა და საკუთარი კადრების აღზრდას.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა გარდა სახელმწიფო უნივერსიტეტებისა ხორციელდება აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე. 60-იან წლებში, როდესაც აკადემია ჯერ კიდევ სპეციალური სკოლა იყო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კადრების მოსამზადებლად მოიწვია ცნობილი მეცნიერები არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მთელი საბჭოთა კავშირიდან. სკოლაში დანაშაულის აღკვეთაზე ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი რუსი პროფესორები: ა. სახაროვი გ. მინკოვსკი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები. მომდევნო წლებში საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილი მუშაკის აკადემიის რექტორის გ. ქარქაშაძის და პრორექტორის პროფესორ გ. ლობჟანიძის აქტიური მონაწილეობითა და ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სამეცნიერო მუშაობის განვითარება. კრიმინოლოგიის დარგში სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა მომზადება ხორციელდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში. აკადემია ინარჩუნებდა სამეცნიერო კონტაქტებს საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანასთან. კრიმინოლოგიის კურსი ისწავლებოდა აგრეთვე აკადემიის ბათუმის ფაკულტეტზე და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

სამეცნიერო-კონსულტაციური მიმართულების დაწესებულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტს, რომელიც 1966 წელს დაარსდა.

ინსტიტუტის რექტორის პროფ. მ. დარჩიას აქტიური ხელშეწყობით ქვეყანაში დაისახა სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, რომელიც უნდა განხორციელებულიყო არასრულწლოვანთა დანაშაულისა და მათი დევიანტური ქცევის აღკვეთის მიზნით. მეცნიერების პრაქტიკოსებისა და საზოგადოებრიობის რეგულარული შეხვედრებისა და კონფერენციების გარდა ინსტიტუტში განიხილებოდა მოზარდ თაობასთან დაკავშირებული რთული საკითხები. სწავლულ იურისტთა და პრაქტიკოსთა გარდა კრიმინოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობისათვის ინსტიტუტში იწვევდნენ სხვა დარგების ცნობილ მეცნიერებს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ს. ჯაფარიძეს, პროფესორ დ.გეგეშიძეს და ა.შ. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტის საგანმანათლებლო მოღვაწეობა, მისი მჭიდრო კავშირი საზოგადოებრიობასთან ინსტიტუტს მოსახლეობის კრიმინოლოგიური განათლების ნამდვილ ცენტრად ხდიდა.

ანალოგიური ფუნქციები აკისრია თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტსაც. მისი რექტორის პროფ. ზ. ფორაქიშვილის ხელშეწყობით ინსტიტუტში შეიმუშავდა დანაშაულის ადრეული პროფილაქტიკის იდეა მოზარდ-დამნაშავეთა სოციალური რეაბილიტაციის ორგანიზაციის შექმნის ჩარჩოებში.

1988 წელს საქართველოს პარლამენტის საკონსულტაციო საბჭოს ბაზაზე შეიქმნა საზოგადოებრივი გაერთიანება „სამარ-

თლებრივი რეფორმების ინსტიტუტი“, რომელსაც ხელმთღვანელობდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ღლონტი. კრიმინოლოგიური თემატიკა მუშავდება უმთავრესად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიური განყოფილების თანამშრომლების მიერ. ჟურნალ „სამართლებრივ რეფორმებში“ ავტორები ამუშავებდნენ სხვადასხვა პრობლემატიკას, რომლებიც შეეხებოდა ორგანიზებულ და ტრანსნაციონალურ დანაშაულს. აღნიშნული დაწესებულება თანამშრომლობდა აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის აზია–აფრიკის სამართლებრივ განყოფილებასთან. ლიტერატურის გაცვლის შედეგად ინსტიტუტს გააჩნდა უახლესი კრიმინოლოგიური ბიბლიოთეკა მსოფლიოს მრავალ ენაზე.

2002 წელს მეცნიერთა ჯგუფმა (მ. ბაძაძუა გ. ღლონტი გ. თოდრია და სხვ.) მ. ბაძაღუას ხელმთღვანელობით საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი“ შექმნა. სხვადასხვა კრიმინოლოგიურ საკითხებს შორის ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრობლემებს. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული ნაშრომები ასახავდნენ კრიმინოლოგიური მეცნიერების თანამედროვე დონეს. ცენტრს დაგეგმილი ქონდა ცალკეული დანაშაულობის აღკვეთის მეთოდოლოგიური მასალების დამუშავებაც.

2003 წლის იანვარში შეიქმნა აშშ ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულობისა და კორუფციის შესწავლის ცენტრის თბილისის ოფისი. ცენტრის დირექტორი ვაშინგტონში იყო პროფესორი ლუიზ შელი. თბილისის ოფისს ხელმთღვანელობდნენ პროფესორები: ქ. როსტიაშვილი, გ. ღლონტი და ო. გოგიაშვილი. ორგანიზაციის მიზნის მიხედვით ქვეყნის ჩართვა საერთაშორისო ორგანიზაციების ქსელში მომავალში საფუძველს შეუქმნის უფრო მსხვილი კრიმინოლოგიური დაწესებულებების ჩამოყალიბებას. საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა საშუალებას იძლევდა ამიერკავკასიურ რესპუბლიკათა ე.წ. აბრეშუმის გზის ქვეყნების კრიმინოლოგიური ცენტრების შექმნისათვის. ამასთან ერთად იქმნებოდა პერსპექტივა შავი ზღვის ქვეყნების კრიმინოლოგიური ორგანიზაციის შექმნისთვისაც ერთობლივი შედარებითი კრიმინოლოგიური გამოკვლევების ჩატარების მიზნით. გზა ეხსნებოდათ ნიჭიერ სტუდენტებს მიიღონ კრიმინოლოგიური განათლება ევროპისა და ამერიკის წამყვან ცენტრებში.

1.3.4. კრიმინოლოგიური აზროვნება კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული ერთმანეთის მიყოლებით ვითარდება ეკონომიკური კრიზისები. ისინი ძირს უთხრიან რეფორმების სახელმწიფო რეგულირების იდეას, ვინაიდან კრიზისის ახალი ციკლი კონფლიქტების ახალი მიზეზების წარმოშობის გამო უარყოფს ადრინდელ და მოითხოვს ახალ ცვლილებებს. კაპიტალის კონცენტრაციამ, რომელიც თან ახლავს ორგანიზებულ დანაშაულობას, ომებს ნედლეულის ხელში ჩასაგდებად, ტერორისტული ორგანიზაციების მიმართ რიგ სახელმწიფოთა პოლიტიკას, კორუფციასთან მასობრივ შეზრდას და სხვა ნეგატიურ პროცესებს, სტიმული მისცა საწინააღმდეგო დასკვნების გაჩენას კრიმინოლოგიის საგნის ირგვლივ. გაჩნდა მოთხოვნილება, გაეაზრებინათ კაპიტალიზმი, როგორც კრიმინოგენული მოვლენა (criminogenic).[169] ამის შედეგად, XX საუკუნის 60–70-იანი წლებიდან ვითარდება „დანაშაულებრივი კაპიტალისტური საზოგადოების" კონცეფცია (გ. ბლოხი, დ. გეისი, დ. კონგერი, ვ. მილერი და რ. კუინი), რომლის თანახმადაც დანაშაულობა არსებული სოციალური წესრიგის და კულტურული ორგანიზაციის გარდუვალი პასუხია, ხოლო დანაშაულობის გარკვეული სახეობები, მათი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობებით მოცემული სოციალური სტრუქტურის ფარგლებში (დაცულია რადიკალური კრიმინოლოგიის ტერმინოლოგია).

ისეთი კრიმინოლოგიური თეორიის შექმნის მოთხოვნილება, რომელიც მოიცავს საზოგადოების გლობალურ კონფლიქტებს, რეალიზდება ახალი ემპირიული მასალის გააზრებისა და ადრეული სოციოლოგიური თეორიების გადახედვის საფუძველზე. კრიტიკის საგანი ხდება დანაშაულობის მიზეზთა ხედვა ცალკეულ სოციალურ პროცესებში, რომლებიც თითქოს პარალელურად მიმდინარეობენ. იგრძნობა დაუკმაყოფილებლობა იმით, რომ თითოეული თეორია თითქოს მეორის უარყოფას წარმოადგენს: კრიმინოლოგიურ აზროვნებაში არცერთი პრობლემა არ დაიძლევა და იგი მხოლოდ თანაარსებობს სხვასთან ერთად. ამის შედეგად წარმოიშვა რადიკალურად განწყობილი თეორიები. ისინი უკუაგდებდნენ ადრინდელ მცდ-

169 იხ.: G. Barak, S. Henry, and D. ilovanovic (1997), «Constitutive Criminology» in B. acLean and D. ilovanovic eds. Thinking Critically About Crime. Vancouver: Collective Press, pp. 93–99.

ელობებს, რომლებიც იკვლევდნენ დანაშაულობის დეტერმინაციას „სოციალური დეზორგანიზაციის", „ანომიის", „სტიგმატიზაციის", „დიფერენციალური ასოციაციის" და ჯგუფთაშორის ურთიერთობათა სხვა მოდელების საფუძველზე.

რადიკალური კრიმინოლოგიის გამოჩენით იწყება დანაშაულობის დეტერმინაციის შესახებ წარმოდგენათა ფორმირების ახალი ეტაპი. უპირველეს ყოვლისა, იგი დაკავშირებულია კრიმინოლოგიის საგნის ისეთი ელემენტის ჩამოყალიბებასთან, როგორიცაა „სოციალური კონტროლი". განხორციელებული რეფორმების არაეფექტურობა უკავშირდება მათი მეთოდოლოგიური დასაბუთების ნაკლოვანებებს, რომელთა გააზრებას ლოგიკურად მივყავართ დანაშაულობის დეტერმინაციის კონცეფციის გადახედვამდე. ამ მიმართულებით კრიტიკა ეჭქვეშ სწორედ ფუნქციონალურ მიდგომას აყენებს. კრიმინოლოგიური აზრის ეს მდგომარეობა შეაფასა რ.დარენდორფმა, რომლის აზრითაც დანაშაულობის მიზეზთა ფუნქციონალური განხილვა ტ. პარსონსის თეორიის ფარგლებში ქმნის ილუზიას საზოგადოების, როგორც მოწესრიგებული სოციალური სისტემის შესახებ. სინამდვილეში საჭიროა განვიხილოთ საზოგადოება, რომელიც ხასიათდება კონფლიქტებით და ამით გავაბათილოთ ფუნქციონალიზმის ილუზია.[170]

რადიკალური ანუ კრიტიკული კრიმინოლოგია მოიცავს სხვადასხვა მიდგომებს, რომლებიც თავისთი შინაარსით არა მარტო არ ემთხვევიან, არამედ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. რ. აკერსის აზრით, მათი შინაარსის დასაბუთება ძნელი შესაფასებელია.[171] კრიმინოლოგიის ზოგიერთი ამერიკული თეორია, როგორც ტ. იანგს მიაჩნია, სანამდვილეში არა თეორია, არამედ უფრო სოციალური ერთიერთქმედების ფილოსოფიაა.[172]

რიგ თეორიებში ყველა საზოგადოებრივი ნეგატიური პროცესის კვლევის მოთხოვნილება აწყდება დანაშაულობის ძირითადი დეტერმინანტების დადგენის შეუძლებლობას. შედეგად თეორიათა მთელ ამ სიჭრელეში გამოიყოფა ფენომენოლოგიური ორიენტაციის

170 Р. Дарендорф (2002), Тропы из утопии: Работы по теории и истории социологии, М., с. 343 – 344

171 R. Akers (1997), Criminological Theories. Introduction and Evaluation. Roxburi Publishing Company. Los Angeles, Kalifornia., p. 175–176

172 T.R.Young (1998), Theory and method for Criminology In the 21-st Century, Archives of the Trannsforming Sociology Series of the Red eather Institute for Advanced studies in sociology, № 126

კონცეფციები. ამგვარ ტიპიურ ფენომენოლოგიურ მიდგომას ავითარებს გერმანელი კრიმინოლოგი ფ. ზაკი. მისი კონცეფციის თანახმად, საზოგადოება შედგება გარკვეული დისკურსებისაგან, ე. ი. ენის გამოყენების გარკვეული სფეროებისგან, რომელთა ერთიანობა ბევრი ადამიანისათვის საერთო მიზანდასახულობითაა განპირობებული. დროთა განმავლობაში დისკურსები ცვლილებას განიცდიან კულტურიდან კულტურამდე. სწორედ ასეთ რაკურსში უნდა განვიხილოთ დანაშაულობის დეტერმინაცია.[173] პ. ფილმერი, მ. ფილიპსი, დ. სილვერმანი, დ. უოლში ვარაუდობენ, რომ დანაშაულობის ობიექტური მიზეზების ძიება გამორიცხულია, ისინი შეიძლება შეისწავლონ, როგორც ჩვეულებრივი სოციალური ნიშნები, რომლებიც გამოიყენება საზოგადოების წევრების მიერ მოქმედებათა და პირთა რაღაც გვარის აღსანიშნავად.[174] გ. ბეკერი მასალის აღწერის ნაცვლად გვთავაზობს დანაშაულობის დეტერმინაციის მათემატიკურ მოდელირებას. მისი კონცეფციის თანახმად, დამნაშავეები არიან არა ფსიქოპათური ტიპები ან სოციალური ჩაგვრის მსხვერპლნი, არამედ რაციონალური აგენტები, რომლებიც არსებულ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებზე რეაგირებენ. მისი აზრით, დანაშაულებრივი პროფესიის არჩევანი უნდა გავიგოთ, როგორც ნორმალური საინვესტიციო გადაწყვეტილება რისკისა და გაურკვევლობის პირობებში. აქედან მომდინარეობს, რომ დანაშაულობის დონე დამოკიდებული უნდა იყოს მისი თანმდევი სარგებლიანობისა და ხარჯიანობის (როგორც ფულად, ისე არაფულად გამოხატულებაში) თანაფარდობაზე. იგი განისაზღვრება სხვაობის მიხედვით ლეგალური და არალეგალური საქმიანობისაგან მიღებულ შემოსავლებს შორის, დაპატიმრებისა და სასჯელის ალბათობით, სასჯელის სიმძიმით და ა. შ.[175] ივარაუდება, რომ დამნაშავეები თვითონ წყვეტენ, თუ როგორ გაანაწილონ ოპტიმალურად თავიანთი კეთილდღეობა დანაშაულსა და კანონიერ

---

173 S. Sack (1968), Neue Perspektiven in der Kriminologie, Kriminalsoziologie. Wisbaden, 1968, p. 431–476; Я. Гилинский (2004), Девиантология: социология преступности, наркотизма, проституции, самоубийств и других «отклонений», СПб.: Издательство «Юридический центр Пресс», с. 106

174 M. Phillipson , D. Silverman (1973), New Directions in Sociological Theory, Publisher: IT Press

175 Г.Беккер (1974), Преступление и наказание: Экономический подход. М (G. Becker (1968), Crime and Punishment: An Economic Approach, „Journal of Political Economy", vol. 76, No. 2)

შემოსავალს შორის.[176] ამრიგად, საბოლო ანგარიშით, ეკონომიკური ანალიზი იცვლება დამოკიდებულების „ინდივიდი – გარემო" აღწერით, სადაც დეტერმინანტის როლში გამოდის ინდივიდის ჩველებრივი მოთხოვნილებები, შეცდომები, გადაცდომები და ა. შ.

ფენომენოლოგიური მიმართულების მომხრეები ისტორიული განმარტების ნაცვლად ირჩევენ მოვლენათა აღწერის მეთოდს. ამასთან, ამ მეთოდის მომხრეები თავს იკავებენ რაიმე მსჯელობისგან, როცა ლაპარაკია ობიექტურ რეალობაზე და იგი სცილდება „სუფთა" (ე.ი. სუბიექტური) გამოცდილების ჩარჩოებს. დომინირებული ხდება არა რეალობის თვალსაზრისი, არამედ დამკვირვებლისა. განმარტების მეთოდს სცვლის კლასიფიკაცია. ამის შედეგად წარმოიშობა წინააღმდეგობა სილოგიზმის წანამძღვრებსა და დასკვნებში,[177] აქედან კი – მიზეზთა ძიებაზე უარის თქმის ტენდენცია.[178]

სამშვიდობო კრიმინოლოგიას მთელი ყურადღების ცენტრი გადააქვს მშვიდობის დამყარებაზე პოლიციას, მცხვერპლსა და საზოგადოებას შორის. ამ კონცეფციის მომხრეები ძირითად საშუალებას ხედავენ შუამავლობაში, კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში, მოლაპარაკებებში და ა. შ.[179] კრიმინოლოგიაში ამ თეორიას ფანტაზიის თეორია უწოდეს. რ. აკერსის აზრით, ეს თეორია რელიგიურია, სავსეა ბაპტიზმის ელემენტებით.[180] მაგრამ კრიმინოლოგების

176 S. Cameron (1988), The Economics of Crime Deterrence: A Survey of Theory and Evidence, KYKLOS,Vol. 41, asc. 2, ბ. 301 – 323.

177 ტიპიური მაგალითი შეიძლება იყოს ს. აკერმანის გამოკლევა. სხვადასხვა ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლის აღწერისას იგი აღნიშნავს: „სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება კორუფციის უარყოფითი ზემოქმედება ნარმოების ეკონომიკურ ზრდასა და ტემპზე" (С. Аккерман (2003), Коррупция и государство.Причины, следствия, реформы, М., «Логос», с. 4). ეს წანამძღვარი ეწინააღმდეგება დასკვნას: „არის „ადამიანის საქმიანობის" ერთი უნივერსალური და მთავარი მოტივატორი, რომელსაც „კრიტიკოსები სიხარბეს უწოდებენ, ეკონომისტები კი – სარგებლიანობის მაქსიმიზაციას" (იხ. იქვე, გვ. 2).

178 აღნიშნული პოზიცია გამოთქვა ტ.სელინმა ჯერ კიდევ 30-იან წლეებში იხ.: Социологический подход к изучению причин преступности, Социология преступности. М., 1966, с. 27

179 Pepinsky H., Quinney R. (Eds.) (1991), Criminology as Peacemaking. Bloomington, Indiana University Press

180 R. Akers (1997), Criminological Theories. Introduction and Evaluation. Roxburi Publishing Company. Los Angeles, Kalifornia, p. 182–185;

არცთუ მცირე ნაწილი მხარს უჭერს სამშვიდობო კრიმინოლოგიის მომხრეთა ჰუმანურ ორიენტაციას.[181]

რამდენადმე შუალედური მდგომარეობა უჭირავს კონსტიტუციურ კრიმინოლოგიას, როგორც პოსტმოდერნიზმის ნაორსახეობას. გ.ბარაკის, ც. ჰენრის და დ. მილოვანოვიჩის აზრით, დანაშაული სოციალურად კონსტრუირებული კატეგორიაა, რომლის საფუძველი უთანასწორო ურთიერთობებში უნდა ვეძიოთ. ამასთან, მარქსისტული გაგებისაგან განსხვავებით, ისინი გამოყოფენ უთანასწორობის სხვადასხვა სახეობას (როგორც ერთმანეთის გვერდით განლაგებულებს): ეკონომიკურს (კლასი, საკუთრება), პოლიტიკურს (ძალაუფლება, კორუფცია), მორალურ-ეთიკურს; უთანასწორებას ადამიანის უფლებებში, სოციალურ სტატუსში, პრესტიჟში, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში (უსაფრთხოება, კეთილდღეობა), თვითრეალიზაციაში, ბიოლოგიურ მთლიანობაში და ა. შ.[182]

"მემარცხენე რელიზმის" მომხრეები, როგორც რ. აკერსი აღნიშნავს, ავითარებენ ძველი რადიკალიზმის იდეებს. მაგრამ უფრო რბილად აკრიტიკებენ კაპიტალისტურ საზოგადოებას.[183] სოციალური კონტროლი მათ ესმით, როგორც ხალხზე ზრუნვა, ზარალის ანაზღაურება, სერვის–მომსახურება, უფლებათა დაცვა, თავისუფლების აღკვეთის ვადების შემცირება და ა. შ. რეფორმების ძირითად მეთოდს წარმოადგენს სოციალისტური ჩარევა ჭეშმარიტად დემოკრატიული ორგანოების შექმნის, დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების მოქმედების შემცირების გზით. თუმცა ცნება „სოციალისტური ჩარევა", როგორც აღნიშნავენ, ფრიად ბუნდოვანი და არაერთმნიშვნელოვანია.[184]

რადიკალურად განწყობილი კრიმინოლოგები ძირითადად

---

181 J. Thomas, J. Capps, J. Carr, T. Evans, W. Lewin–Gladney, D. Jacobson, C. aier, S. oran, and S. Thompson (2000), Critiquing the Critics of Peacemaking Criminology: Some Rather Ambivalent Reflections on the Theory of „Being Nice", Northern Illinois University, DeKalb, IL 60115 (USA)

182 G. Barak, S. Henry, and D. ilovanovic (1997), „Constitutive Criminology" in B. acLean and D. ilovanovic eds. Thinking Critically About Crime. Vancouver: Collective Press, pp. 93–99.; S. Henry and D. ilovanovic (1996), Constitutive Criminology: Beyond Postmodernizm. London: Sage, p.116

183 R. Akers (1997), Criminological Theories. Introduction and Evaluation. Roxburi Publishing Company. Los Angeles, Kalifornia, p. 179–181

184 J. and R. Matthews, eds. (1992), Rethinking Criminology: The Realism Debate, London: Sage Publications, pp. 1–24.

კონფლიქტების სხვადასხვა თეორიების გადახედვას ემხრობიან. კ.მარქსის დებულებების გამოყენების მცდელობებთან ერთად, იწყება ადრინდელი სოციოლოგიური თეორიების გადახედვა. რადიკალისტები ძირითადად ცდილობენ განიხილონ კაპიტალისტური საზოგადოება როგორც დანაშაულებრივი. მაგრამ კაპიტალიზმის, როგორც criminogenic-ის ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, რადიკალისტების ეკონომიკური დასკვნები ძლიერ განსხვავდება ფენომენოლოგიური მიდგომისაგან, რომელიც ცდილობს ახალ ტერმინებში აღწეროს გარკვეული, დანაშაულობის სახეებთან და ფორმებთან დაკავშირებული სფეროები. გამოითქმის კრიტიკა იმ დებულებების მიმართ, რომლებიც ახლოს დგანან ადრინდელ სოციოლოგიურ თეორიებთან. ამასთან, რადიკალისტები ცდილობენ დააკავშირონ დანაშაულობის ცვლილებები კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკასთან. მოცემულ შემთხვევაში მითითებულ პეროიდში რადიკალური კრიმინოლოგიის მომხრეთა რიგ შრომებში ახალ ძალას იძენს კ. მარქსის თეზისი – „ალბათ, არის რაღაც დამპალი ამ სოციალური სისტემის შუაგულში, რომელიც ზრდის თავის სიმდიდრეს, მაგრამ ამასთან სიღატაკეს ვერ ამცირებს, და სადაც დანაშაულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისახლეობის რიცხვი". მაგრამ ამ დებულებას სხვადასხვა ეკონომიკური ინტერპრეტაცია ეძლევა. ე.დიურკეიმის თეორიის მსგავს კონცეფციებში[185] სიყალბედაა ჩათვლილი ის, რომ ეს მიზეზები საბოლოოდ ინდუსტრიული გარემოს მდგომარეობამდე დაიყვანება და ისიც, რომ ეკონომიკური ფაქტორი – პროგრესის მამოძრავებელი ძალაა.[186] ამიტომ, ე. შურის აზრით, ადრინდელი სოციოლოგების მტკიცებები დანაშაულობის აუცილებლობის შესახებ (რამდენადაც ის განუყოფელია საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი პირობებისაგან, მორალისა და სამართლის ნორმალური ევოლუციისგან) არაა საკმარისი „კონკურენციისა და მოგების წყურვილის" კრიმინოგენული როლის ასახსნელად.[187] როგორც ის აღნიშნავს, კაპიტალისტური საზოგადოება – ესაა იმ იდეოლოგიით გაჟღენთილი საზოგადოება, რომელსაც „შურისძიების კაპიტალისტური იდეოლოგია შეიძლება ვუწოდოთ, რაც ინდივიდუალიზმით,

185 Э. Дюркгейм (1912), Самоубийство (социологический этюд). С–Пб., с. 335
186 Э. Дюркгейм (1991), Общественное разделение труда. Метод социологии, М., Наука, с. 547
187 Э. Дюркгейм (1966), Норма и патология, Социология преступности, М., с.42

კონკურენციით და მოგების წყურვილით განსაზღვრულ ღირებულებათა მნიშვნელოვან უპირატესობაში გამოიხატება და დანაშაულის სტიმულს ქმნის..". [188]

როგორც ტ. იანგი ვარაუდობს, კრიმონოლოგიური თეორიების უმრავლესობა ადგენს გარემოებებს, რომლებიც მამაკაცებს, ქალებს და ბავშვებს დანაშაულის ჩადენისაკენ, როგორც რასიზმის, გენდერული და კლასობრივი უთანასწორობის გადალახვის ხერხისკენ, უბიძგებენ. მაგრამ აღნიშნული თეორიები კონსევატიულ ხასიათს ატარებენ, ვინაიდან გამორიცხავენ წარმოების წესს, როგორც მადომინირებელ სოციალურ ფაქტორს და მას კრიტიკულად არ განიხილავენ.[189] უარყოფითად აფასებს რა დანაშაულობის დეტერმინაციის იმ კონცეფციას, რომელიც სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთქმედებით შემოიფარგლება, ტ. იანგი აღნიშნავს: თანამედროვე კრიმინოლოგიის (და პრაქტიკის) მთავარი მარცხი იმაში მდგომარეობს, რომ იგი განსაზღვრავს ინდივიდუალურ ადამიანს როგორც თეორიული ანალიზის ერთეულს. ყველაზე მრავალმხრივი მსჯელობა დანაშაულობის მარქსისტულ თეორიაში, ტ.იანგის აზრით, დასტურდება იმით, რომ დანაშაულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და სახეობა განსაზღვრულია წარმოების წესით. მთლიანად ახალი დანაშაულებანი, ახალი კანონები, მართლმსაჯულების ახალი სისტემები, დანაშაულთა ახალი სახეობების ფორმებისა და კონტროლის ტაქტიკა წარმოიშობა წარმოების კაპიტალისტური წესის სპეციფიკიდან. ეს წესი ერთადერთია, რომელიც ადამიანებს აშორებს წარმოებასა და განაწილებას და იმგვარად არის ორგანიზებული, რომ ადამიანები გამოთიშოს მატერიალურ წარმოებას და იდეოლოგიურ კულტურას ან არსებითი კულტურული რესურსების განაწილების საშუალებებს. ამ პირობებში უნდა ველოდოთ, რომ დანაშაულთა სახეობები გაიზრდება.[190]

რადიკალური თეორიის სხვა წარმომადგენელმა რ. კუინინმა დანაშაულობის დეტერმინაციის არსის ძიება დაიწყო კლასობრივ წინააღმდეგობებში. მისი თქმით, „კრიმინალიზაციის პროცესებს საფუძვლად უდევს, – კლასობრივი კონფლიქტები... დანაშაუ-

188 Э. Шур (1977), Наше преступное общество, М., «Прогресс», с. 257

189 T.R.Yong (1988), Theory and method for Criminology In the 21-st Century, Archives of the Trannsforming Sociology Series of the Red eather Institute for Advanced studies in sociology, № 126

190 იხ. იქვე

ლიბრივად მიიჩნევენ ქმედებებს, რომლებიც წინააღმდეგობაშია ეკონომიკაში გაბატონებული კლასების ინტერესებთან. შეფასდება თუ არა ესა თუ ის ქმედება, როგორც დანაშაულებრივი ან არადანაშაულებრივი, ამას განსაზღვრავს კლასი, რომელსაც ხელში უჭირავს ძალაუფლება და სამართალწარმოებაზე ხელი მიუწვდება.[191]

ე. შურის კვალდაკვალ სოციოლოგმა ე. ტოფლერმა ასევე აღიარა ეკონომიკური ფაქტორი დეტერმინანტის სახით. მაგრამ მან უკუაგდო მარქსისტული თეზისი წარმოების წესის შესახებ და სანაცვლოდ ინდუსტრიალიზაციის კრიმინოგენული როლის კონცეფცია ჩამოაყალიბა. „კაპიტალი დაჩქარებულად ხდება „სუპერსიმბოლური", – წერს ე. ტოფლერი[192], მაგრამ საზოგადოების სნეულებები, დანაშაულობის ჩათვლით ინდუსტრიალიზაციის მხოლოდ ნეგატიური ასპექტით უნდა შეიზღუდოს. „20–30-იან წლებში კომუნისტებმა გამოიყენეს კლიშე „კაპიტალიზმის საერთო კრიზისი". დღეისათვის ნათელია, რომ ისინი ძალიან ვიწროდ ხედავდნენ. ის, რაც ხდება, არა უბრალოდ კაპიტალიზმის კრიზისია, არამედ ყველა ინდუსტრიული საზოგადოებისა, პოლიტიკური ფორმების მიუხედავად. იმავდროულად ჩვენ განვიცდით ახალგაზრდულ რევოლუციას, სექსუალერ რევოლუციას, რასობრივ რევოლუციას, კოლონიალურ რევოლუციას, ეკონომიკურ რევოლუციას და ძალიან დაჩქარებულ და ღრმად მიმდინარე ტექნოლოგიურ რევოლუციას. ამიტომ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ვიმყოფებით ზეინდუსტრიული რევოლუციის ეპიცენტრში".[193] ი. ტეილორის, პ. უოლტონდის და დ.იანგის აზრით, დანაშაულობას საფუძვლად კლასობრივი, სქესობრივი და ეთნიკური უთანასწორობა უდევს.[194]

ამრიგად, XX საუკუნის ბოლოს კრიმინოლოგიის საგნის ელემენტები შემდეგ სახეს იღებენ:

ა) დანაშაულობა ასახულია როგორც მასობრივი კანონზომიერება, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგობრივ პროცესებს გამოხატავს; ეს ფაქტი უდავოა, თუმცა დეფინიციური განსაზღვრებები

191 R. Quinney (1975), The Social Reality of Crime, Perseption in Criminology. L., პ. 381-387

192 Э Тоффлер (2003), Метаморфозы власти. (Пер. с англ.), М., ООО Издательство «АСТ», 2003, с. 99

193 Э. Тоффлер (2002), Шок будущего, (Пер. с англ.), М.: ООО Издательство «АСТ», с. 207

194 I. Taylor, P. Walton, J. Young (1973), The New Criminology: or a Social Theory of Deviance, L: Routledge and Kegan Paul

განსხვავებულია;

ბ) რადიკალურად განწყობილი კრიმინოლოგები კვლავ უბრუნდებიან მარქსისტულ დებულებებს და დეტერმინანტის სახით ავითარებენ კონცეფციას „კაპიტალიზმი როგორც კრიმინოგენული ფაქტორი (criminogenic)". ამავე დროს ჩნდება სხვა გადაწყვეტილებათა ძიების მოთხოვნილება, მაგრამ გაძნელებულია მათი დაკავშირება წარმოების წესის ძირეულ ცვლილებებთან, როგორც ამას ზოგიერთი რადიკალი მოითხოვს. ეს იდეა ფასდება, როგორც უტოპიური, რადგანაც კაცობრიობის პროგრესი კაპიტალისტური საზოგადოების ფარგლებში ჯერჯერობით ისტორიული გზის დასაწყისშია. ამიტომ დანაშაულთა დეტერმინაცია კვლავ ისე მოიაზრება, როგორც ადრეულ სოციოლოგიურ თეორიებში, მაგრამ ახლებურადაა ინტერპრეტირებული;

გ) დანაშაულობის სოციალური კონტროლის განვითარებადი იდეა ცდილობს დაიქვემდებაროს „დანაშაულობასთან ბრძოლა", მაგრამ მისი ჩამოყალიბების პროცესი წინააღმეგობრივია: უფრო ღრმა სოციალური და ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნილება ეპიზოდურად უკავშირდება სოციალურ ურთიერთობათა ხან ერთი, ხან მეორე ტიპის ცვლილებას.

1.3.5. კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენათა ფეტიშირება, როგორც ისტორიული შედეგი

როგორც ვხედავთ, წარმოდგენები კრიმინოლოგიის საგნის შესახებ ფრიად წინააღმდეგობრივად ვითარდება. თეორიების ანალიზზე მომუშავე კრიმინოლოგები ამ განსხვავებათა მიზეზს მეთოდოლოგიურ შეცდომებში ხედავენ. კერძოდ იმაში, რომ მეცნიერები ირჩევენ სხვადასხვა ფილოსოფიურ პოზიციებს და იფარგლებიან საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული სფეროების ანალიზით.[195] მსგავსი შეფასება მართებულია, მაგრამ ნაწილობრივ. მკვლევარების დაყოფა ისეთებად, რომლებიც მიმართავენ კულტურათაშორის ანალიზს და ისეთებად, რომლებიც მოითხოვენ წარმოების წესის გათვალისწინებას, გამოწვეულია თვით კაპიტალისტური საზოგადოების ბუნებით.

კრიმინოლოგიის საგნის ევოლუციის განხილვამ მისი ძირითადი

195 T.R.Yong (1998), Theory and method for Criminology In the 21-st Century, Archives of the Trannsforming Sociology Series of the Red eather Institute for Advanced studies in sociology, № 126

თვისებები გამოავლინა.[196] აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ კონსტიტუტიური კრიმინოლოგიის ამოსავალი არგუმენტის მართებულობა, რომლის თანახმად დანაშაულობა და მისი კონტროლი არ შეიძლება დავაშოროთ საზოგადოების, ამ არათანაბარზომიერად განვითარებადი სტრუქტურისა და კულტურის წარმოშობას.

დანაშაულობის კაპიტალისტური სისტემისადმი დაქვემდებარება ურთულესი პროცესია, რომელსაც ამ მოვლენის მთელი ისტორიის მანძილზე ანალოგი არ გააჩნია. კაპიტალის დაგროვების ეკონომიკური კანონი, როგორც „კაპიტალისტური ეკონომიკის პირველადი ძრავა ანუ გენერატორი[197] მთლიანად ნიღბავს თავის განსაკუთრებულ კავშირს დანაშაულებრივ „ქცევასთან". ამასთან, ეს ურთულესი მექანიზმი შეხებაშია კაპიტალისტური საზოგადოების სამ შრესთან. ამიტომ კრიმინოლოგიური თეორიები ჯგუფდება იმის მიხედვით, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელ შრეს ხედავენ და უკეთებენ აბსოლუტიზირებას ისინი. ამ გაგებით, XIX საუკუნის თეორიები შეიძლება ერთ „თაროზე" აღმოჩნდნენ XX ან გასული საუკუნეების იდეათა გამზიარებელ თეორიებთან ერთად, ან გაჩნდნენ ჩვენს დროში, თუმცა ისინი თანამედროვე თეორიებად, ალბათ, ვერ ჩაითვლებიან. მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთობა, რომელიც მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს, ჯგუფებსა და მათი შემოსავლის წყაროებს მოიცავს, კაპიტალის ჩათვლით, როგორც თანასწორუფლებიან ფაქტორებს, ერთ თაროზე განალაგებს. ამ ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩართულ ინდივიდს ექმნება შთაბეჭდილება, რომ დანაშაულობა არაა დაკავშირებული კაპიტალისტურ სისტემასთან კაპიტალის დაგროვების რაღაც მექანიზმებით, უბრალოდ ადგილი აქვს ათასგზის განმეორებად დანაშაულთა ცალკეულ ფაქტებს. და მხოლოდ ეს „შემთხვევითი კავშირი" წარმოადგენს ერთადერთ საყრდენს დანაშაულობის „არსებობისა" და მისი წარმომავლობის დასამტკიცებლად. ჯგუფთაშორის ურთიერთობათა უმეტეს კვლევებში საზოგადოების სწორედ ეს ჭრილი აღიქმება როგორც კრიმინოლოგიის საგნის შესახებ წარმოდგენათა ჩამოყალიბების სფერო სადაც მიზეზთა ანალიზი არ სცილდება ცალკეულ ჯგუფთა ურთიერთობათა საზღვრებს. ამის ნათელი მაგ-

196 В. Фокс (1980), Введение в криминологию, М., «Прогресс», с.72; R. Akers (1997), Criminological Theories. Introduction and Evaluation. Roxburi Publishing Company. Los Angeles, Kalifornia.

197 К.Р.Макконнелл, С.Л.Брю (2003), Экономикс, М., «ИНФРА–М», с. 215

ალითი კრიმინოლოგიის ჩიკაგოს სკოლაა.

ურთიერთობათა შემდეგი ჭრილი კიდევ უფრო რთულდება კონკურენციით. საბაზრო ურთიერთობათა ჭრელ მოზაიკაში დანაშაულობის კავშირს კაპიტალის დაგროვებასთან კონკურენცია აფასებს, როგორც ურთიერთობათა შემთხვევით და არა კანონზომიერ კონგლომერატს. ამ დონეზე ყველაზე ხშირად წაიბორძიკებენ ხოლმე „თეთრსაყელოიანი დანაშაულობის", კორუფციის და სხვა კვლევები. კონტრაბანდული საქონლის გადაზიდვის მიზნით მებაჟეების მოსყიდვის, ტენდერში გასამარჯვებლად, ძვირადღირებული ობიექტების ფასდაკლებით შესაძენად სამინისტროს მოხელეების მოსყიდვის და სხვა ფაქტებში მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს დანაშაულობის კავშირი კომპანიის მიერ ბაზრიდან მიღებულ მოგებასთან. უფრო მეტი, დანაშაულობის კავშირი კაპატალის დაგროვებასთან შეიძლება ფრიად მკრთალად და არადამაჯერებლად გამოიყურებოდეს იმ კომპანიებისთვისაც, რომლებსაც წარმატების პერიოდში გარკვეული დროით შეუძლიათ არ მიმართონ კრიმინალურ საშუალებებს.

დაბოლოს, დარგთაშორისი კონკურენცია კიდევ უფრო ერთმნიშვნელოვნად აფეტიშებს დანაშაულობას, რის შედეგადაც საზოგადოება, როგორც მსხვერპლი, ყურადღების მიღმა რჩება. მონოპოლური ფასების წარმოქმნა სხვა მონოპოლიებზე ზეწოლის მიზნით, ტრანსნაციონალური ანუ კარტელური გაერთიანებების ჩამოყალიბება, რომლებიც იპყრობენ სუსტად განვითარებული ქვეყნების ბაზრებს, კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესები მეტად და მეტად ართულებენ დანაშაულობის ხედვას, რადგანაც საშუალო და წვრილი ფირმების, ანტიმონოპოლიური სექტორის და თვით მონოპოლიების ყურადღების ცენტრი თვით კომპანიების, უფრო ზუსტად კი – კაპიტალების კონფლიქტზე გადაიტანება. რჩება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოება აღარ არსებობს, კონფლიქტები კი ფრიად ვიწრო ხასიათს ატარებენ და ურთიერთობათა მხოლოდ გარკვეული სფეროთი იფარგლებიან.[198] საზოგადოების სწორედ ეს ჭრილი

198 როგორც დ. შელი აღნიშნავს, „კაპიტალისტური ეკონომიკის სპორადული კრიზისები აპროვოცირებენ დაქირავებული მუშაკების აღშფოთებას. კაპიტალისტები ცდილობენ შეუმჩნევლად აკონტროლონ პოლიტიკური ეკონომია. მაშასადამე, მეტად ესაჭიროებათ მესაკუთრის გავლენის შემნილბავი მექანიზმები, რომლებიც დააკანონებდნენ არსებულ ეკონომოკურ სისტემას, ყველას დარაზმავენ კრიზისთან საბრძოლველად და ჩაახშობდნენ საპროტესტო გამოსვლებს საყოველთაო წესრიგის დასამყარებლად. როგორც წესი, მშრომელები კანონს განიხილავენ როგორც რაღაც წმინდას. მათ არ ძალუძთ გაერკვნენ, თუ რა

უქმნის კრიმინოლოგიურ აზრს ყველაზე დიდ სიძნელეებს. შედეგის სახით წარმოგვიდგება სამშვიდობო კრიმინოლოგიის ანალოგიური კონცეფციები, რომელთაც არ ძალუძთ მოიძიონ დანაშაულობის ცვლილების განმსაზღვრელი საზოგადოების ძირითადი კანონები და რელიგიური და ყოფითი ხასიათის თეზისებს გვთავაზობენ.

ამრიგად, მსოფლიო ლიტერატურაში კრიმინოლოგიის საგანზე არსებული წარმოდგენები ერთმანეთისაგან იმისდამიხედვით განსხვავდება, თუ კაპიტალისტური საზოგადოების რა ჭრილს აღიქვამენ ისინი, როგორც საბაზისოს. დანაშაულობის მიზეზთა ძიებაზე რეაქციას ჯერჯერობით წარმოადგენს დანაშაულებრივი ქვესისტემების კონცეფცია, რომელიც ცალ-ცალკე გამოყოფს ოჯახური კრიმინოლოგიის, პოლიტიკური კრიმინოლოგიის, მასობრივი კომუნიკაციების, ეკონომიკური კრიმინოლოგიის და ა. შ. საგანს. მაგრამ მსგავსი თეორიების პლურალიზმი, როგორც დ. შელი აღნიშნავს, მირაჟია და სხვა არაფერი, თუ არ გავითვალისწინებთ ბაზრის კანონებს, კორპორაციების პოლიტიკას და ა. შ.[199]

დანაშაულობის ურთულესი ფორმების განვითარება თანამედროვე საბაზრო პირობებში ლოგიკურად უბიძგებს აზროვნებას იმ თეორიის ძიებისკენ, რომელიც დანაშაულობას საზოგადოების ძირითად სოციალურ კანონებთან დააკავშირებს. მართალია, რეალურ სინამდვილეში დანაშაულობის დეტერმინაცია მთელი რიგი ფაქტორებითაა გართულებული. მაგრამ, როგორც კრიმინოლოგიის რადიკალური ფრთა მიუთითებს, ამ პროცესმა არ უნდა დააბრკოლოს კაპიტალისტურ სისტემაში დანაშაულობის ახსნის საერთო წანამძღვრების დადგენის აუცილებლობა.

1.4. ისტორიული აზროვნების პრობლემა კრიმინოლოგიაში. [200]

1.4.1. წინარე შენიშვნები

ქართველი კრმინოლოგის გათვითცნობიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლმხედველობის ფუნდამენტალ-

---

ძალები განსაზღვრავენ კანონს, ვის ინტერესებს წარმოადგენს და რა პრობლემების გადასაწყვეტადაა იგი მიმართული" (Криминология (2003), Под ред Дж.Шели,Питер, с. 90)

199 Криминология (2003), Под ред Дж.Шели.Питер, с. 99

200 აღნიშნული თემა ასახულია ნაშრომში: გ.თოდრია (2012), ისტორიზმის პრობლემა კრიმინოლოგიურ აზროვნებაში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, თბ., „მერიდიანი", გვ. 292 – 322

ური საკითხების განხილვა. მით უმეტეს მნიშვნელოვანია ისტორიზმის პრობლემების გააზრება იმ მკვლევართა გარემოში, რომლებსაც არ გააჩნიათ ათვლის მეცნიერული წერტილი და ფაქტობრივად ამოვარდნილნი არიან ისტორიიდან.

თანამედროვე ქართველი კრიმინოლოგი ჯერჯერობით აზროვნებს როგორც ობივატელი. მისი ცნობიერება წინააღმეგობრივია. ნაწილობრივ მას არ ძალუძს თავი დააღწიოს აზროვნების საბჭოურ მოდელს, რომელიც აიგივებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას, სისხლის სამართალს და კრიმინოლოგიას. მისი წარმოდგენით, კრიმინოლოგია სისხლის სამართლიდანაა გამოსული. ტოტალურ სახელმწიფოში, სადაც ჩაისახა საბჭოთა კრიმინოლოგიური თეორია, სამყარო სწორედ ასეა აგებული. ამიტომ ე.წ. კრიმინოლოგიურ გამოკვლევებში კვლავ გაბატონებულია ნებისმიერი საკითხის ე.წ. „კრიმინოლოგიური“ და „სისხლისსამართლებრივი“ ანალიზის სიმბიოზი. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო და საზოგადოება გაიგივებულნი არიან. არც არავინ ფიქრობს საკითხზე: რა პარადოქსულად გამოიყურება დანაშაულობა, თუ მას შევხედავთ სამართლებრივი ურთიერთობების თვალსაზრისით? მოხელეებს სხვანაირად აზროვნება არ შეუძლიათ. სახეზეა აზროვნების პრიმიტივიზმი. მათი „კრიმინოლოგიური“ ნამოღვაწარის მიმართ შეიძლება მომთმენი ვყოფილიყავით თუ არა ერთი საშიშროება: ახალგაზრდებს, ტ. გარფინკელის ხატოვანი გამოთქმით, კვლავ უნერგავენ „უტყვი იდიოტის“ აზრებს.

მეორე მხრივ, თუ ახალგაზრდობა სოციოლოგიურად მოიაზრებს დანაშაულობას, ისიც ობივატელის როლში აღმოჩნდება. მისი არსებობის პირობები ფრიად არეულია. იგი ცხოვრობს იმ პირობებში, როცა საქართველოში გაბატონებულია კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება: ერის კაპიტალისტური საზოგადოება მარტო ჩამოყალიბების სტადიაზეა; ის ვერ ხედავს პერსპექტივას საქართველოს სინამდვილეში და ათვლის წერტილს ეძებს სხვა ერების ისტორიაში. ამიტომ ახალგაზრდა მკვლევარის კრიტიკული დამოკიდებულება სინამდვილისადმი ვლინდება თეორიების მონურ გადმოღებაში განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან. მას აზრადაც არ მოსდის, რომ ამ ქვეყნებში განვითარებული კაპიტალი ამავე დროს მოცემულია განვითარებულ ფეტიშირებულ ფორმებში. სწორედ ეს ფორმები იზიდავს მის გაუნათლებელ გონებას. ამრიგად, ნორჩი ამონაზარდიც გზაგასაყარზე დგას.

ნებისმიერი აზრი აცხადებს სამყაროს მეცნიერული ხედვის პრეტენზიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დადგენილია შემეცნების საგნის ისტორიის ლოგიკა. სწორედ ისტორიის გაგება წარმოადგენს იმ ლაკმუსის ქაღალდს, რომელმაც უნდა დასვას კრიმინოლოგიური აზროვნების დონის დიაგნოზი. აი რატომაა რომ ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ ვცდილობთ ვიმსჯელოდ ისტორიზმის პრობლემაზე, რომლის გადაწყვეტის წინაშეც აღმოჩნდა თანამედროვე კრიმინოლოგიური აზროვნება.

1.4.2. ისტორიზმის პრობლემა, რომლის გადაწყვეტის წინაშეც აღმოჩნდა თანამედროვე კრიმინოლოგიური აზროვნება

ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სოციალური ფორმა თავისი განვითარების შემდეგ ოდესმე უნდა შეიცვალის სრულყოფილი სახით, ისტორიულად დასტურდება, მაგრამ ამავე დროს ისტორიულადვეა უარყოფილი. ბაზრის კანონების მიხედვით, დარგობრივი დისპროპორციების აღდგენის, კაპიტალის მასობრივი განახლების, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის, უმუშევრობის შემცირების და საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური და ეკონომიკური რყევების თანმდევი სხვა მოვლენების პროცესები არწმუნებს კრიმინოლოგს იმაში, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიული საფეხური ჯერჯერობით არ მიუთითებს კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების ამოწურვაზე და საზოგადოების მოცემული ფორმის შეცვლის ისტორიული პერცსპექტივის აუცილებლობაზე. მსგავსი ისტორიული გარდაქმნების ფაქტები მის შეგნებაში ობიექტურად ვერ პოულობენ დადასტურებას და ამიტომ უტოპიად წარმოგვიდგებიან. უფრო მეტიც, ცხადია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში არცერთი ქვეყანა არ ელოდება „ნათელ მომავალ". ამჟამად ხალხები მოქმედებენ მომავალი ისტორიული შედეგისაგან დამოუკიდებლად. ტრანსნაციონალურ დანაშაულობასთან, ტერორიზმთან, ნარკობიზნესთან, ტრეფიკინგთან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის პროცესში წარმოიშობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ქვეყანათა კავშირები. გაეროს საერთაშორისო კონგრესები, რეგიონალური საერთაშორისო ორგაბიზაციების კონფერენციები და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები სკრუპულოზურად აანალიზებენ დანაშაულობის გლობალურ პრობლემატიკას და ცდილობენ საერთო ძალისხმევით ზემოქმედება მოახდინონ დანაშაულობაზე. ამრიგად, მსოფლიო უმოქმედოთ არ ჩერდება.

შესაბამისად, თეზისი, რომ კაპიტალიზმის გაქრობასთან ერთად გაქრება დანაშაულობა, წინააღმდეგომაში მოდის თეზისთან, რომ თანამედროვე საზოგადოებაში დანაშაულობასთან ბრძოლა შესაძლებელია მისი დონის შემცირების ან ზოგიერთი ფორმის მოსპობის გზით. მთელი თანამედროვე კრიმინოლოგია წარმოადგენს აზროვნების მცდელობას, გადალახოს წინააღმდეგობა ამ თეზისებს შორის. ამრიგად, კრიმინოლოგის აზროვნების პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ აღწეროს დანაშაულობის განვითარება კაუზალური კონცეფციის ფარგლებში, რომელმაც უარი უნდა თქვას საზოგადოების განვითარებაზე.

1.4.3. ისტორიული აზროვნების პარადოქსის გადაწყვეტის ძირითადი ამოცანა კრიმინოლოგიაში.

სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების კრიმინოლოგები იძულებული არიან ჩამოაყალიბონ თავიანთი კონცეფციები შემდეგი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით: როგორაა შესაძლებელი დანაშაულობასთან ბრძოლის ცვლილება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, თუ იგი შებოჭილია წარმოების წესის ისტორიულად უცვლელი ბუნებით?

მოცემული ამოცანის გადაწყვეტის ძირითად მიზნად კრიმინოლოგები ირჩევენ სოციალური წესრიგის, როგორც საზოგადოების ბუნებრივი ფორმის აპრიორულ დაშვებას. სამყაროს სწორედ ასეთი ხედვის ფარგლებში ისინი ცდილობენ იმგვარად დაადგინონ დანაშაულობის მიზეზები, რომ პრევენციული ზომების საშუალებით მოხდეს საზოგადოების მოცემულ სტაბილურ მდგომარეობაში დამაგრების პრობლემის გადაწყვეტა. ამრიგად, იწყება ისტორიის ისე გაგება, როგორც ნებისმიერი ცვლილებისა საზოგადოებაში, რომლის არსებობა და დაცვა შესაძლებელია მხოლოდ წონასწორობის მდგომარეობაში. აქედან გამომდინარეობს კრიმინოლოგიის ძირითადი ამოცანა – მოგვცეს საზოგადოების სტაბილიზაციის, ე.ი. წონასწორობის შენარჩუნების რეკომენდაციები.

1.4.4. ანტიისტორიზმის ძირითადი ამოცანის გადაწყვეტის მეთოდოლოგია.

კრიმინოლოგიური კონცეფციებისა და სკოლების განსხვავების მიუხედავად, დანაშაულობის მიზეზთა დადგენისას კრიმინოლოგები იყენებენ ორ მიდგომას:

ნომოტეტიკური მოდგომა, ე. ი. დანაშაულობის საერთო კანონზომიერებათა გამოვლენის ხერხი და
იდიოგრაფული მიდგომა, ე. ი. ადამიანის კრიმინოგენული თავისებურებების ძიება. შესაბამისად ლაგდება დანაშაულობის კაზუალური ახსნის პალიტრა.

ნომოტეტიკური მიდგომა გამოიყენება მონოკაუზალური ახსნის კონცეფციებში. მათ ძირითადად განეკუთვნებიან ე. წ. მაკროკრიმინოლოგიური თეორიები, რომლებიც ეფუძნება სტრუქტურული ფუნქციონალიზმის (გ.სპენსერი, ე.დიურგკეიმი, ბ.მალინოვსკი, ტ.პარსონი, რ.მერტონი), ნეოევოლუციონიზმის (ლ.უაიტი, ჯ.სტიუარტი, მ.ჰარისი, ჯ.ლენსკი), ნეომარქსიზმის (დ.ლუკაჩი, კ.კორში, ა.გრამში, ჰორკჰაიმერი, ტ.ადორნო), სოციოლოგიური სტრუქტურალიზმის (კ.ევისტროსი, ჟ.ლაკანი, მ.ფუკო, რ.ბარტი, ჟ.დერიდა) და კონფლიქტოლოგიის (ლ.კოზერ, პ.დარენდორფი, კ.ბოულდინგი) ფილოსოფიას.

დანაშაულობის მონოკაუზალური ახსნა ორიენტირებულია ისეთი მსხვილმასშტაბიანი სოციალური მოვლენების კრიმინოგენული როლის შესწავლაზე, როგორიცაა ერები, სახელმწიფოები, სოციალური ინსტიტუტები და ორგანიზაციები, კლასები, სოციალური ჯგუფები და სხვ. ინტერესის სფეროს წარმოადგენს ასევე პიროვნებათაშორისი დამოკიდებულება, სოციალური კომუნიკაციები ჯგუფებში, ყოველდღიური რეალობის სფერო და სოციალური ურთიერთმოქმედების სხვა ტიპები. დანაშაულობის ახსნის ეს ტიპი ძირითადად აგებულია მოვლენათა სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ანალიზზე. კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში მას ჯერჯერობით გაბატონებული მდგომარეობა უკავია, თუმცა, რადიკალური კრიმინოლოგიის მომხრეთა მხრიდან ფუნქციონალიზმი სერიოზული კრიტიკის საგანს წარმოადგენს. დასავლელი სოციოლოგების ხატოვანი გამოთქმით, „პარსონის აჩრდილი ცხოვრობს ჩვენს გარემოში“ (Parsons' ghost lives in our midst).[201]

უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულობის მონოკაუზალურ ახსნას იძლეოდა აგრეთვე კ. მარქსი, მაგრამ მისგან განსხვავებით, სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომა უარყოფს სოციალური

201 J. Scanzoni, N. Kingsburi. Structural– unctional Theory – http://family.jrank.org/pages/1645/Structural– unctional–Theory.html

წინააღმდეგობების პრობლემას. ამიტომ თანამედროვე კრიმინოლოგის წინაშე სხვა ამოცანა დგას, სახელდობრ კი – მონისტური ახსნის ემპირიულ-მონოკაუზალური მიდგომის რელსებზე გადაყვანის ამოცანა. სხვაგვარად ისტორიზმზე უარის თქმის ჩარჩოებში წონასწორობის, წესრიგის თეორია არ ჩამოყალიბდება.

დანაშაულობის მონოკაუზალური ახსნის წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს ჩვეულებრივ წარმოადგენს ღრმა კრიზისული მოვლენები, რომლებიც მოიცავს მთელ საზოგადოებას. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყნებში ეს პროცესი სხვადასხვანაირად ხორციელდება. მაგალითად, საფრანგეთში მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედი ხასიათდებოდა მსხვილი კაპიტალის ჩამოყალიბების ტენდენციით, რომელმაც წარმოშვა კონფლიქტები კლერიკალურ-მონარქიულ წრეებსა, რესპუბლიკელებსა და წვრილ წარმოებაში დასაქმებულ მოსახლეობას შორის. ამ პირობებში წარმოიქმნებოდა სოციალური რეფორმატორობის კონცეფციის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელსაც წანამძღვრების სახით უნდა გამოეცხადებინა „კლასობრივი ზავი“ და „საყოველთაო თანხმობა“. ასეთი მიდგომა შესთავაზა ფრანგმა სოციოლოგმა ე. დიურგკეიმმა თავის ნაშრომებში „თვითმკვლელობა“ და „ნორმა და პათოლოგია“.

სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა მიდგომამ განვითარება ჰპოვა ტ.პარსონის, რ. მერტონის და სხვების შრომებში. მაგრამ ტ. პარსონის თეორიის სოციალური წანამძღვრები რამდენადმე განსხვავებული იყო, ვიდრე ე. დიურგკეიმის თეორიაში. 1929–1933 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოითხოვა სახელმწიფოს ჩარევა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. გაძლიერდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის ტენდენცია და მის კვალდაკვალ – საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციის მოთხოვნა.

ამ პირობებში კვლავ ჩნდება სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, მაგრამ უკვე სოციალური წესრიგის პარსონისეული მოდელის სახით. კრიმინოლოგიაში რ. მერტონის ანომიის თეორია წარმოადგენს სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მოდიფიცირერბულ განვითარებას. ანომიის თეორია აგრეთვე მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების მოცემულ სტაბილურ მდგომარეობაში შენარჩუნების პრობლემასთან.

იდიოგრაფიული მიდგომა ჩვეულებრივ ვითარდება მიკრო თეორიებში, რომლებიც შეიმუშავებენ დანაშაულობის მულტიკაუზალურ ახსნას. ამ თეორიების ფილოსოფიური საფუძვლის როლში გამოდი-

ან სოციალური გაცვლის (ჯ. ჰომანსი და პ. ბლაუ), სოციომეტრიის სოციალური ქსელების (ჯ. მორენო და სხვ.), სიმბოლური ინტერაქციონიზმის (ჯ. მიდი, გ. ბლუმერი და სხვ.), ფენომენოლოგიური სოციოლოგიის (ა. გოულდნერი, რ. ფრიდრიხსი, ა. იიუცი, პ. ბერგერი, ტ. ლუკმანი, ნ. ლუმანი) კონცეფციები და ა.შ.

დანაშაულობის მულტიკაუზალურ ახსნას ცდილობენ მიკროკრიმინოლოგიური თეორიები, რომლებიც შეისწავლიან ინდივიდების ქცევას, მათ მოტივებს, მნიშვნელობებს, რაც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთქმედებას, რომელიც თავის მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოების სტაბილურობაზე ან მასში მიმდინარე ცვლილებებზე. მოცემული მიმართულების ყველაზე ცნობილ კრიმინოლოგიურ თეორიებს წარმოადგენს კონცეფციები: ტ. სელინის კულტურათა კონფლიქტის, ე. სატერლენდის მიერ განვითარებული (გ. ტარდის კვალდაკვალ) დიფერენცირებული კავშირის, გ. ბეკერის და ე. ლემერტის ინტერაქციონიზმის, სტიგმატიზაციის (labeling approach), (რომლის შემუშავება დაიწყეს აშშ-ში 30-იანი წლების ბოლოს ფ.ტანენბაუმმა, გ. ბეკერმა, ე. ჰოფმანმა, ფ. ზაკმა და სხვებმა), დანაშაულობის შემამცირებელი ადამიანური ღირებულებების (ფ.ფილზერის) და სხვათა კონცეფციები. გამოკვლევათა ამ ტიპს განეკუთვნება აგრეთვე მრავალრიცხოვანი შრომები ე. წ. სისხლისსამართლებრივი ფენომენოლოგიის დარგში, სადაც გააანალიზებულია კონკრეტული დანაშაული და კრიმინალური სფეროები.

მიკროკრიმინოლოგიური თეორიების გაჩენის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ურთულესი პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების დივერსიფიკაციას, ე. ი. მის დანაწევრებას ურიცხვ დარგებად, განვითარების ისეთი ეკონომიკური პირობების ჩამოყალიბებას, რომლებიც ითვალისწინებენ საშუალო და წვრილ მეწარმეებისადმი დახმარების აღმოჩენას, მინიმალური ხელფასის გაზრდას, სოციალური უზრუნველყოფის გაუჯობესებას, უმუშევართა გადამზადებას და სხვა ღონისძიებებს. მათი დანიშნულებაა მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის ამაღლება და ეკონომიკური ზრდის დამატებითი სტიმულის როლის შესრულება. ეკონომიკურ პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამოქალაქო უფლებათა პრობლემებს, ეროვნულ უმცირესობათა, ქალების, ახალგაზრდობის მდგომარეობას და ა. შ.

ამ პირობებში წინა პლანზე გამოდის სწორედ ინდივიდი, მისი

მდგომარეობა ჯგუფში, ურთიერთობები და ა. შ. მონოკაუზალური თეორიებისგან განსხვავებით, მიკროკაუზალური თეორიები მოძრაობენ ინდივიდიდან საზოგადოებისაკენ. განსაკუთრებულ გავრცელებას პოვებენ სიმბიოზური ხასიათის გამოკვლევები: სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული და ა. შ.

1.4.5. წინასწარი შენიშვნა კრიმინოლოგიური თეორიების განსხვავების თაობაზე.

სოციოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სოციალური პრობლემატიკის კვლევის დროს საზღვარი მიკროსოციოლოგიურ და მაკროსოციოლოგიურ დონეებს შორის პირობითია. ამ საზღვრების პირობითობა, როგორც ამას ვარაუდობს ფინელი სოციოლოგი ე. ასპი, განპირობებულია მხოლოდ მკვლევარის ინტერესით, რომელსაც შეუძლია, ანალიზის მიკროსოციოლოგიური დონიდან გადაადგილდეს უფრო მცირე სოციალური ჯგუფების შესწავლისაკენ.[202]

საკითხის ასეთი შეფასება ზედაპირულია, რადგანაც თეორიული კვლევების დონის სხვაობის პირობითობა სინამდვილეში დაკავშირებულია არა მეცნიერის შესაძლებლობებსა და სურვილებთან აირჩიოს კვლევის ესა თუ ის დარგი, არამედ არაისტორიული აზროვნების პირობებთან.

ჯერჯერობით ობიექტურ პირობებს განეკუთვნება კაპიტალისტური საზოგადიების პროგრესული განვითარება. ამასთან, ეს პროცესი ხორციელდება იმგვარად, რომ მისი განვითარების ძირითადი ეკონომიკური კანონი არ ჩანს და ხილულია მხოლოდ ცალკეული დისფუნქციები, კატაკლიზმები, რომლებსაც საზოგადოება გადალახავს. ამასთან დაკავშირებით, გამოყოფენ რა პრობლემურ საკითხებს – „რატომ უნდა იყოს სოციალიზმი ეფექტური ეკონომიკური სისტემა? და რატომ უნდა იყოს კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემა სიცოცხლის მხოლოდ შეზღუდული ხანგრძლივობით"? – ამერიკელი სოციოლოგები აღნიშნავენ: „განა ომის შემდგომმა პერიოდმა არ დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმი წარმოადგენს განსაკუთრებით მოქნილ და ეფექტურ ეკონომიკურ სისტემას? ... არცერთ სხვა ეკონომიკურ სისტემას არ ძალუძს მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის შეპირისპირებად ტემპებს. ამიტომ, თუ კაპიტალიზმი

202 Э. Аспи (1998), Введение в социологию. СПб., с. 58–61.

დაიღუპება, ეს მოხდება არა მისი ეკონომიკური უსუსურობის გამო. წარმატებას ძირს უთხრიან სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ქმნიან პირობებს, სადაც მას სიცოცხლე არ შეუძლია...".[203] სწორედ ამ განსაკუთრებული განვითარების გამო კრიმინოლოგიური თეორიები იძულებულნი არიან თავიანთ ფორმულებში ერთამანეთს დაუკავშირონ სრულიად სხვადასხვაგვარი კატეგორიები.

ობიექტურ პირობებს ასევე განეკუთვნება საზოგადოების სოციალური სტრუქტურის გართულება, ადამიანთა სრულიად სხვადასხვა ჯგუფების გამოჩენა საკუთარი ინტერესებით. ამ პალიტრაში სოციალური მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომა აღიქმება როგორც დამახინჯებული, ცალმხრივი მიდგომა. რიგი კრიმინოლოგებისა მიიჩნევს, რომ სწორედ კლასობრივი მიდგომა ამახინჯებს ინტერესების მრავალფეროვნების ობიექტურ ხედვას. მათი აზრით, თუ გამოვალთ იმ ვარაუდიდან, რომ მმართველ კლასს აქვს მკაფიოდ გამსაზღვრული ინტერესები, მაშინ ნებისმიერი ისტორიული განვითარება შეიძლება განვმარტოთ, როგორც ამ იდეასთან მისადაგებული.[204]

სუბიექტურ პირობებს უნდა მივაკუთვნოთ თვით თეორიების მისწრაფება, აღადგინონ ანტიისტორიზმი. საქმე ისაა, რომ, თუ დანაშაულობის კანონზომიერებათა გამოვლენის ხერხი შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოების ნებისმიერად შერჩეული ჭრილით (მაგალითად, კულტურული სტანდარტებით, როგორც ეს აქვს თ.პარსონს ან რ. მერტონს), მაშინ ამ შემთხვევაში კრიმინოლოგიის საერთო თეორია, ე. ი. მაკროკრიმინოლოგია (ანუ დანაშაულობის სოციოლოგია) გადაიქცევა მიკროკრიმინოლოგიურ თეორიად. ამის შედეგად დანაშაულობის მონოკაუზალური ახსნა იქცევა ემპირიულ მონოკაუზალურ მიდგომად. ეს ნიშნავს, რომ მიზეზობრივ ფაქტორად კვლავ გვევლინება რაღაც ერთი ნებისმიერად შერჩეული ემპირიული ფაქტი.

ამრიგად, „მაღალი თეორიის" (ჩ. მილსი) აგების მცდელობა აბსტრაქტულ ემპირიზმად იქცევა. ამ საკითხზე ამერიკული სოციოლოგიის რადიკალური მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებელს ჩ.მილსს ხისტი პოზიცია უჭირავს. როგორც ის აღნიშნავს, თანამე-

---

203 J. Berger (1992), The uture of Capitalism– Social Change and odernity. University of California, p. 239– 240

204 Radical Criminology: Theoretical Origins – http://www.sociology.org.uk/devtrc3.pdf

დროვე კაპიტალიზმის ევოლუციის პროცესში ხდება ისეთი სტრუქტურილი ცვლილებები, რომელთა დროსაც, ერთი მხრივ, ადამიანთა მასები კარგავენ ყოველგვარ დამოუკიდებლობას საკუთარი ცხოვრების განსაზღვრისას, ხოლო მეორე მხრივ, მათ ეუფლებათ მეამბოხე განწყობა და გადამეტებული მოთხოვნები. შესაბამისად გამოიხატება ყველა სოციალური მოვლენის ისტორიული განვითარების ძირითადი ხაზი. მეცნიერთა უუნარობის გამო, დაინახონ ამ განვითარების ნამდვილი პრობლემები, რეალობა პრაქტიკულად ქრება მათი ნაშრომების გვერდებიდან. შედეგად ხორციელდება ისეთი დეფინიციების დამუშავება, რომლებიც არანაირად არ აფართოებენ ჩვენს შემეცნებას და ხელს არ უწყობს საკუთარი გამოცდილების უკეთესად გაცნობიერებას.

მეორე ამერიკელი მეცნიერი, სოციოლოგიური პოზიტივიზმის წარმომადგენელი პ. ლაზარცფელდი უფრო შორს მიდის. ის სოციალური პრობლემის არაისტორიულ განხილვაში ხედავს სუბიექტივიზმის გაჩენის ყველა პირობას, რაც ფრიად საშიშია მეცნიერებისათვის. როგორც ის აღნიშნავს, საზოგადოების მეცნიერულ შესწავლას სწორედ ანტიისტორიზმი უშლის ხელს: მეცნიერები აშკარა უპირატესობას ანიჭებენ თანამედროვე და არა ისტორიული საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლას. ეს ანტიისტორიული აქცენტი გამომდინარეობს ეპისტემოლოგიური დანაწესებიდან. მკვლევარი შეეცდება ძირითადად საქმე ჰქონდეს თანამედროვე მოვლენებთან, რომელთა შესახებაც იგი მეტი მონდომებით შეკრებს ისეთ მონაცემებს, როგორც მას ესასჭიროება. მსგავსი ეპისტემოლოგიური გადახრა ეწინააღმდეგება იმ სადაგი პრობლემების დაყენებას, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების მეცნიერული შესწავლის ორიენტირებს.[205]

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ არაისტორიზმი სოციალურ კვლევებში არ წარმოადგენს ამა თუ იმ მეცნიერის შეცდომას. ამ მეთოდს აქვს გარკვეული იდეოლოგიური საფუძველი და ამ მნიშვნელოვან დეტალს ამჩნევს ჩ.მილზი. აი რას წერს იგი: „აბსტრაქტულ-ემპირიული მანერას, მის მეთოდოლოგიურ შეზღუდულობას, შიშველ პრაქტიციზმს, მეცნიერ-მუშაკების ინტელექტის ინსტიტუციონალურად კულტივირებულ და ფორმირებულ სპეციფიკურ

205 პ. ლაზარცფელდის მოსაზრება ციტირებულია წიგნიდან: Ч. Миллс. Социологическое воображение (Пер. с англ. О. А. Оберемко), М., Издательский Дом NOTA BENE.

თვისებებს მეტი დაბეჯითებით მივყავართ იქით, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში აქტუალურობას იძენენ სოციალური პოლიტიკის საკითხები. ბიუროკრატიული სტილი და მისი ინსტიტუციონალური განსახიერება დომინირებულ ტენდენციებთან თანხმობაში არიან".[206]

ამრიგად, ამერიკელი სოციოლოგი არაორაზროვნად შენიშნავს მნიშვნელოვან ფაქტს – არაისტორიზმი მომგებიანია გარკვეული პოლიტიკური ძალებისათვის, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოებაში ძალაუფლება ეკუთვნით. შევეცდებით განვმარტოთ ეს თვალსაზრისი.

მრავალრიცხოვანი ემპირიული კვლევებისათვის უცნობია გარდასახვითი ფორმების პრობლემა და ერთ მწკრივში განლაგდებიან ფაქტები, რომლებიც განეკუთვნება არსს და მოვლენას. მაშასადამე, ძნელია იმის განსაზღვრა, რა როლს თამაშობს ხელისუფლება (მისი მხარდამჭერი მონოპოლიები) დანაშაულობის განვითარებაში. სისხლისსამართლებრივი ფენომენოლოგია მხოლოდ აფიქსირებს კორუფციის, ფულის ლეგალიზაციის ან ქურდობის, მკვლელობების და სხვა ფორმების ცვლილებას და ცდილობს ახსნას ამ კერძო ცვლილებების „მიზეზები". უსისტემობას, მათი პოსტულატების მოუწესრიგებლობას, რეკომენდაციების ბანალურობას მთელი სიმძიმე გადააქვს საზოგადოებაზე, ხოლო სახელისუფლო სტრუქტურების კრიმინოგენული როლი არ ჩანს. ასეთი გამოკვლევები მათთვის ფრიად მისაღებია, რამეთუ კრიმინოლოგიური კვლევების უმეცრება მომგებიანია და ამისათვის გასამრჯელოსაც უხდიან. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ჩ. მილსი, „მათი პრობლემატიკა გარკვეულწილად განუხრელად ყალიბდება იმათი ინტერესების გავლენით, ვინც ამისათვის ფულს იხდის. იგივი ტენდენციები საზოგადოებაში სინამდვილეში გავლენას ახდენენ არა მარტო საზოგადოებრივ სოციალურ მეცნიერებებზე, არამედ აშშ-ს მთელ ინტელექტუალურ ცხოვრებაზეც და თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში თვით გონებაზეც კი."[207]

ამრიგად, ისტორიულ პერსპექტივაზე უარის თქმამ უნდა მიგვიყვანოს რელიატივიზმამდე, როგორც მცდელობამდე გავამართლოთ საგნის მიერ განვითარების შესაძლებლობის დაკარგვა. კრიმინოლო-

206 Ч. Миллс (2001), Социологическое воображение (Пер. с англ. О. А. Оберемко), М., Издательский Дом NOTA BENE, с. 17–140

207 იხ. იქვე

გიური თეორიის აგება კრიმონოლოგის მიერ მოიაზრება სწორედ ამ მიმართულებით. ამრიგად, ჭეშმარიტად კრიმინოლოგიური აზროვნების სფეროდან ჩვენ იძულებულნი ვართ დავბრუნდეთ აუტისტური აზროვნების წიაღში, რომლითაც გამსჭვალულია მთელი თანამედროვე კრიმინოლოგია.[208]

1.4.6. სოციალური წესრიგის ძიება, როგორც დანაშაულობის მონოკაუზალური ახსნის პრობლემა

„სოციალური წესრიგის" ძიების მისია თავის თავზე აიღო ტ. პარსონსის მიერ შემუშავებულმა მაკროსოციოლოგიურმა თეორიამ. ჩვენ არ ვისახავთ მიზნად ხსენებული ავტორის მიერ განხორციელებულ სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომის განხილვას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია საკითხის გარკვევა: როგორ ადგენს სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომა ცვლილების პროცესს, რომელიც, ამერიკელი სოციოლოგის ჩანაფიქრით უნდა განხორციელდეს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე?

სოციალური წესრიგის მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება: საზოგადოება განიხილება როგორც სისტემა, რომელიც შედგება ისეთი ქვესისტემებისაგან, როგორც დაწესებულება, კორპორაციული გაერთიანება და ა. შ. პარსონსის მიხედვით, თვით სოციალური სისტემის ბირთვად გამოდის ნორმატიული ნიმუშების სისტემა – სტრუქტურირებული ნორმატიული წესრიგი, რომლის მეშვეობითაც ხდება ინდივიდების ერთობლივი სასიცოცხლო მოქმედება.[209] ასე მაგალითად, გარიგების განხორციელებისას დაინტერესებული მხარეები აფორმებენ კონტრაქტს, რომელსაც საფუძვლად უდევს ნორმატიული წესები. პარსონსის აზრით, სანქციების შიში წესების დარღვევისათვის არაა საკმარისი იმისათვის, რომ ვაიძულოთ ადამიანები უსიტყვოდ დაიცვან ეს წესები, მთავარია მორალური ვალ-

---

208 ე. ბლეილერის და ჟ. პიაჟეს აზრით, აუტისტური აზროვნება არის ბავშვური აზროვნების ადრეული ფორმა, რომელშიც ბავშვის სურვილი და ფანტაზია აისახება რეალობის პირობებისა და მოთხოვნის გათვალისწინების გარეშე. როგორც ჟ. პიაჯე აღნიშნავს, მოტივაციის პროცესში ბავშვი ურევს ფიზიკურ და მის მიერ მოგონილ მიზეზობრიობას. აზროვნების ამ დონეზე მიზეზობრიობა არაა „ობიექტური", არამედ წარმოადგენს ინტელექტის ნაყოფს (О. Блейлер (1927), Аутистическое мышление. Одесса; Ж. Пиаже (2008), Речь и мышление ребенка, М., Римис.)

209 Т. Парсонс (1966), Понятие общества: компоненты и их взаимоотношения (Перевод Н.Л.Поляковой), THESIS, 1993, вып. 2, с. 499–500

დებულებები. ამიტომ კომერციული გარიგებების მარეგულირებელი წესები უნდა გამომდინარეობდეს საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებებიდან. მაშასადამე, წესრიგი ეკონომიკურ სისტემაში ეფუძნება საერთო თანხმობას კომერციული მორალის თაობაზე. ბიზნესის სფერო, როგორც საზოგადოების საქმიანობის ნებისმიერი სხვა შემადგენელი ნაწილი, პარსონსის მტკიცებით, აუცილებლად წარმოადგენს მორალის სფეროსაც. ამრიგად, პარსონსი აპრიორულად უშვებს, რომ არსებობს ნორმები, რომლებითაც ხდება როლების შესაბამისი ქცევის სტანდარტიზირება და მოწესრიგება, მისი პროგნოზირების უზრუნველყოფა. სწორედ ასეთი გზით იქმნება სოციალური წესრიგის საფუძველი.

ამ მოდელში ყურადღება უნდა მიექცეს კატეგორია „ცვლილების" თეორიული აგებულების შემდეგ თავისებურებას: ნორმატიული წესრიგი თითქოს ზემოდან დაჰყურებს ინდივიდებს. ისინი ერთმანეთისაგან უნდა ელოდნენ ქცევის ისეთ სტანდარტს, რომელიც შეესაბამება რაღაც საერთო ნორმებს. ეს მოდელი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც გარკვეული კრიმინალური დაჯგუფებების, ისე მოსამსახურეთა მიმართ. მაგრამ ამავდროულად ამ ჯგუფების მიმართ სოციალური წესრიგის კონცეფციის გამოყენება შეუძლებელია. ძნელია ვამტკიცოთ, რომ პოლიციელები და დამნაშავეები ქცევის ერთნაირ სტანდარტებს ესწრაფვიან. პირიქით, მშვიდობის „მიღწევა" ხორციელდება სწორედ იმით, რომ ერთი ჯგუფი იწყებს მეორის უარყოფას. მაგრამ „სოციალური წესრიგის" კონცეფცია ამ საკითხს გვერდს უვლის. როგორც სამართლიანად აღნიშნავს გერმანელი მეცნიერი ჰანს აბელსი, ფუნქციონალიზმი მიმართულია არა კულტურის ფასეულობათა სოციალური ინსტიტუტების მოთხოვნებიდან და სოციალური მოქმედებებიდან უშუალო გამოყვანისაკენ, არამედ კავშირების აღმოჩენაზე ლეგიტიმურ საზოგადოებრივ სისტემას, მოთხოვნებსა და სოციალურ მოქმედებათა შორის.[210]

როგორც ცნობილია, ჩარლზ მილსმა ამ „ლოგიკურ სვლას" შემთხვევით როდი უწოდა აბსტრაქტული ემპირიზმი, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში ხდება არა მოვლენის ახსნა, არამედ მისი დედუცირება აბსტრაქტული, არაისტორიული ცნებიდან. იგი წერს: „მე რამდენადმე მაცბუნებს შემდეგი: როგორაა შესაძლებელი, რომ სოციალური წონასწორობის პირობებში, რაც გამყარებულია სოციალიზაციის და

210 Х. Абельс (2002), Проблема социального порядка в социологии Талкотта Парсонса. 2002 – http://www.i-u.ru/biblio/archive/abels-social_order_problem/

სოციალური კონტროლის ყველა მექანიზმით, ვინმე არ აკეთებდეს იმას, „რაც საჭიროა"?

პასუხობს რა ამ კითხვაზე, იგი მიდის დასკვნამდე, რომ ნორმატიული წესრიგის იდეა ფეტიში ხდება. თუ „ღირებულებები" არ ამართლებენ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს და არ აქეზებენ ინდივიდებს შეასრულონ ინსტიტუციონალიზირებული როლები, ისინი არ წარმოადგენენ ინტერესს არც ისტორიული, არც სოციოლოგიური თვალსაზრისით, რაოდენ დიდი არ უნდა იყოს მათი მნიშვნელობა საქმიანობის ინდივიდუალური სფეროებისათვის. რა თქმა უნდა, წესრიგის გამამართლებელ სიმბოლოებს, ხელისუფლების ოფიციალურ ინსტიტუტებსა და კანონმორჩილ მოქალაქეებს შორის ხდება ურთიერთმოქმედება. ასეთი საზოგადოება მოგვაგონებდა გალერას, რომელიც მოძრაობაში მოჰყავთ მონებს, სადაც ნიჩბების აწყობილი მოძრაობა თვით მენიჩბეებს აქცევს უზარმაზარი მანქანის კბილანებად და ზედამხედველის მათრახის საჭიროება შედარებით იშვიათად წარმოიშობა. საზოგადოებაში ყველაფერი სხვანაირად გამოიყურება.[211]

1.4.7. დანაშაულობა, როგორც „სოციალურად წარმოშობილი ცოდვის" შედეგი (რ. მერტონი)

ამრიგად, „სოციალური წესრიგის" მაკროთეორიამ ფრჩხილებს გარეთ გამოიტანა დანაშაულობა. ამ მოდელში, როგორც დ. უოლში აღნიშნავდა, „პირველ რიგში გაუგებარია, როგორ განვმარტოთ სოციალური გადახრის პრობლემა... საერთოდ როგორ ხდება შესაძლებელი ასეთი გადახრა?". პარსონსის მიხედვით, ლაპარაკია ისეთ მდგომარეობაზე, როცა ინდივიდი მოქმედებს იმ ჯგუფის (ქვესისტემის) მითითებების შესაბამისად, რომელსაც ის ეკუთვნის, მაგრამ წინააღმდეგობაშია მოთხოვნებთან, რომელსაც უყენებენ ქცევას მთლიანად სისტემის თვალსაზრისით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სოციალური გადახრის ახსნის პრობლემა გადაუჭრელი რჩება. უბრალოდ იგი გადაიტანება სხვა დონეზე: როგორ უნდა გავიგოთ გადახრა, რომელიც ხდება სუბსისტემის დონეზე? უფრო მეტიც, თუ ასეთ ახსნას მივიღებთ, მაშინ რა ვუყოთ განსაზღვრებას...? სადღა ვეძებოთ ქცევის ნორმალური სტანდარტი, რომელთან მიმართებაშიც უნდა შეფასდეს და გაიზომოს გადახრა? გასაგებია, რომ იმ

211 Ч. Миллс (2001), Социологическое воображение (Пер. с англ. О. А. Оберемко), М., Издательский Дом NOTA BENE, с. 17–140

პოზიციიდან, რომელსაც იზიარებს პარსონსი, საერთოდ შეუძლებელია დამაკმაყოფილებლად ავხსნათ სიციალური გადახრის ფენომენი, რამეთუ ეს პოზიცია ფაქტობრივად ვარაუდობს მის არარსებობას". ამიტომ ფუნქციონალური მიდგომისათვის დარჩა კითხვა: როგორ ერთვება დანაშაულობა სისტემაში და რა ფუნქცია აკისრია მას? მოცემული საკითხის გადაწყვეტა ფუნქციონალისტების მიერ ხორციელდება საზოგადოების მიერ დანაშაულობის ნორმალურ მოვლენად გამოცხადების გზით.

ფუნქციონალისტებიდან განსხვავებით ე. დიურგკეიმმა პირველმა განაცხადა, რომ დანაშაულობა იმიტომაა ნორმალური მოვლენა, რომ მის გარეშე საზოგადოება არ არსებობს. დანაშაული მდგომარეობს ისეთი ქმედების ჩადენაში, რომელიც ზიანს აყენებს ძლიერ კოლექტიურ გრძნობებს. დანაშაულობა მჭიდროდაა დაკავშირებული ნებისმიერი კოლექტივის ცხოვრების პირობებთან.[212]

დიურგკეიმის კვალდაკვალ რ. მერტონსაც მიაჩნია, რომ დანაშაულობას საფუძვლად უდევს წინააღმდეგობა კულტურული ღირებულებების მიღწევის ლეგალურ საშუალებებსა და მათი მიღწევის მიზნებს შორის. სწორედ ეს გარღვევა საშუალებებსა და მიზნებს შორის (რასაც ანომიას უწოდებენ) ცხადდება დანაშაულობის მიზეზად. დანაშაულობა წარმოადგენს ნორმალურ ფუნქციას საზოგადოებაში, რამეთუ ადამიანები იძულებულნი არიან რეაგირება მოახდინონ ცხოვრების არანორმალურ პირობებზე, ნებისმიერ ფასად მიიღონ სიკეთეები.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ მიმართულებით დანაშაულობა განისაზღვრება საზოგადოებრივი განვითარების ფუნქციად, სახელდობრ კი იმ წინააღმდეგობათა ფუნქციად, რასაც ადგილი აქვს სწორედ კულტურის სფეროში. მოტყუება, კორუფცია, ამორალურობა, დანაშაულობა, მოკლედ რომ ვთქვათ, აკრძალულ საშუალებათა მთელი ნაკრები ხდება სულ უფრო მეტად ჩვეულებრივი, როცა მოცემული კულტურით სტიმულირებული მიზნისათვის მინიჭენული მნიშვნელობა არ ემთხვევა საშუალებათა კოორდინირებულ ინსტიტუციონალურ მნიშვნელობას.[213]

მართალია, რაღაც ხარისხით ე. დიურგკეიმი ამ წინააღმდეგობას

212 Э. Дюркгейм (1966), Норма и патология, Социология преступности, М., Издательство «Прогресс», с. 39–44.

213 Р. Мертон (1966), Социальная структура и аномия, Социология преступности, М., Издательство «Прогресс», с. 299.

აკავშირებდა შრომის დანაწილებასთან, მაშინ როცა რ. მერტონი – თვით კულტურასთან, ხოლო თ. სელინი – კულტურათა კონფლიქტთან.[214] მაგრამ ეს განსხვავება არაა არსებითი, რადგანაც ყველა ფუნქციონალისტი დანაშაულობის ძირითად მიზეზად აცხადებს ნინააღმდეგობას კულტურის სფეროში.

ამრიგად, „სოციალური წესრიგის" პარსონისეული მოდელის ნაკლი, როგორც ვარაუდობენ ფუნქციონალიზმის მომხრეები, სოციოლოგიაში გადალახულია. მაგრამ ეს მეთოდოლოგიური გზა გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. დანაშაულობა გამოცხადებულია სწორედ საზოგადოების მიერ შობილ „ცოდვად" და მას ეკისრება გარკვეული ფუნქცია. საკითხის ინტერპრეტაცია ხორციელდება ემისტური მიდგომის ფარგლებში, ე. ი. კულტურულოგიის ცნებითი აპარატის გამოყენების გზით და ეს მიდგომა კვლავ ჰქმნის პრობლემებს.

1.4.8. დანაშაულობის კულტუროლოგიური ინტერპრეტაცია – ეს მხოლოდ „სამუშაოს ხილული ნაწილია" (ჯ. ჰომანსი)

დანაშაულობის ცვლილების ინტერპრეტაციამ ემისტური მიდგომის ფარგლებში იმთავითვე ჩიხში შეიყვანა სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომა. უპირველესად უკმაყოფილებას იწვევდა ის ფაქტი, რომ დანაშაულობის კულტუროლოგიური ინტერპრეტაცია ხორციელდებოდა საკმაოდ გაუგებარი და სუმბურული ტერმინების საშუალებით. ისეთი ტიპიური ცვლადები, როგრიცაა აფექტურობა (აფექტური ნეიტრალურობა), საკუთარ თავზე ორიენტირება (ჯგუფზე ორიენტაცია), უნივერსალიზმი (პარტიკულარიზმი), დანაწესი – მიღწევა, სპეციფიკურობა – დიფუზურობა და სხვ., როგორც აღნიშნავდა ჩ. მილსი, შეიძლება ყოფილიყო გადმოცემული საკმაოდ გასაგები ტერმინების დახმარებით. ამის შედეგად გასაგები გახდებოდა, რომ ადამიანები ირჩევენ ქცევის საერთო სტანდარტებს, კულტურულ ფასეულობებს და ამრიგად მიიღწევა სოციალური წესრიგი.

გაცვლის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი დ. ჰომანსი ამის თაობაზე აღნიშნავდა: „...ის, რაც შექმნეს ფუნქციონალისტებმა, არ იყო თეორია, სოციალური სტრუქტურის აღწერის ახალი ენა, არამედ მრავალთაგან ერთ-ერთი შესაძლო ენა. ნაშრომის ხილული

214 Т. Селлин (1966), Социологический подход к изучению причин преступности, Социология преступности, М., Издательство «Прогресс», с. 27–38

ნაწილი, რომელსაც უწოდებდნენ თეორიულს, წარმოადგენდა იმის დემონსტრაციას თუ სიტყვები სხვა ენებიდან, აგრეთვე სალაპარაკო ენიდან შეიძლება ითარგმნოს მათ ენაზე."[215]

მოცემული შენიშვნები შემთხვევითი როდია, რადგანაც ფუნქცია არ შეიძლება იქნას აღწერილი „საკუთარი" ტერმინების დახმარებით, მისი მნიშვნელობა არგუმენტზე უნდა იყოს მიბმული.

რადიკალური კრიმინოლოგიის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ კულტურა დანაშაულობასთან მიმართებაში არ შეიძლება იყოს არგუმენტი, რადგანაც თვითონ წარმოადგენს უფრო ღრმად ჩამარხული მოვლენის ფუნქციას. ამასთან დაკავშირებით ტ.იანგი ყურადრებას აქცევდა იმას, რომ კულტურული სტანდარტების მიღებასა და დანაშაულობის განვითარებას შორის არ არის ხისტი კაუზალური კავშირი. დანაშაულობის მაღალი დონე შეიმჩნევა ზოგიერთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში, ხოლო დანაშაულობის დაბალი დონე – სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. როგორც მას მიაჩნდა, დანაშაულობა წარმოადგენს მხოლოდ კულტურის ფორმის შექმნის ან ცვლილების ერთ-ერთ ხერხს. თავის მხრივ, კულტურა იცვლება საზოგადოებაში წარმოების წესის შესაბამისად. მაშასადამე, დანაშაულობის არგუმენტად გამოდის არა კულტურა, არამედ სწორედ ეკონომიკა.

სწორედ ასეთ დასკვნამდე მიდის ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ი. ა. შუმპეტერი, რომელიც განსაკუთრებით ცნობილი გახდა თავისი გამოკვლევების წყალობით კაპიტალიზმისა და საქმიანი აქტიურობის თეორიის დარგში. როგორც ის აღნიშნავს, კაცობრიობა თავის არჩევანში თავისუფალი არაა და საქმე არა მარტო იმაშია, რომ მასებს არ გააჩნიათ უნარი რაციონალურად შეადარონ ალტერნატივები და ყოველთვის იჯერებენ ყველაფერს, რასაც მათ ეუბნებიან. ამას უფრო ღრმა მიზეზები აქვს. ეკონომიკური და სოციალური პროცესები ვითარდებიან საკუთარი ინიციატივით და ამის შედეგად წარმოშობილი სიტუაციები აიძულებენ ცალკეულ ადამიანებს და სოციალურ ჯგუფებს დაიცვან ქცევის გარკვეული წესი, სურთ მათ ეს თუ არა. რა თქმა უნდა, აიძულებენ არა მათთვის არჩევნის თავისუფლების წართმევის, არამედ მენტალიტეტის ფორმირების გზით, რომელიც პასუხიმგებელია ამ არჩევანზე, აგრეთვე იმ შესაძლებლობათა ჩამონათვალის შევიწროების გზით,

215 G. Homans (1964), Bringing men back, Amer. J. Sociol.. ol. 29, 1964, № 5, p. 813

რომელთაგანაც ხორციელდება ეს არჩევანი.[216] კორპორაციული დანაშაულობის, თეთრსაყელოიანთა დანაშაულობის და ა. შ. კვლევისას ეს შეხედულება მართლდებოდა.

1.4.9. დანაშაულობის ლატენტური ფუნქციების ძიებაში (რ. მერტონი)

დანაშაულობისადმი მაკროთეორიული მიდგომა თავისთავში მალავდა საკუთარი უარყოფის ჩანასახს. დანაშაულობის ანალიზის ეს დონე აუცილებლად უნდა შეცვლილიყო მიკროთეორიებით. და ეს საიდუმლო გაამჟავნეს თვით ფუნქციონალისტებმა მთელი რიგი შემთხვევების ანალიზისას. მაგალითად, ნარკომანებს და ალკოჰოლისტებს არცთუ შორეულ წარსულამდე შეეძლოთ პრეტენზია ჰქონოდათ სოციალური უზრუნველყოფის ხაზით გამოყოფილ დახმარებაზე იმის საფუძველზე, რომ ისინი მედიცინის თვალსაზრისით არაქმედითუნარიანები იყვნენ. ეს იწვევდა იმ პირებისათვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობას, ვისაც მუშაობა არ შეუძლია (აშკარა ფუნქცია). მიუხედავად ამისა, იღებდნენ რა დახმარებას, დევინანტები კვლავ იძენდნენ ნარკოტიკებს, იდენდნენ დანაშაულს ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში. ეს ფაქტები აიძულებდა სახელმწიფო ორგანოებს უარი ეთქვათ პირთა ამ კონტინგენტისათვის დახმარების აღმოჩენაზე (ლატენტური ფუნქცია). სხვა მაგალითი: არასრულწლოვანთა ძალადობის ზრდაზე რეაგირებას ახდენდნენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, მოქალაქეები და საზოგადოებრივი ლიდერები. ამის შედეგად შეიმუშავებდნენ შესაბამის პრევენციულ პროგრამებს, სადაც აქცენტი კეთდებოდა მშობლების პედაგოგიური ჩვევების ჩამოყალიბებაზე, ბავშვების მიერ იარაღის შეძენის აღკვეთაზე, სკოლებში უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე და ა. შ. (აშკარა ფუნქცია). თუ ისინი არ იყვნენ ეფექტური და პრობლემა არ წყდებოდა, მაშინ მუშავდებოდა ახალი იდეები და პროგრამები (ლატენტური ფუნქცია) და ა. შ.

ამრიგად, ფუნქციონალიზმის არაისტორიზმი აღმოჩნდა ძიების ზღვარის დადგენის, დაფარული ფუნქციების მუდმივი აღმოჩენის პრობლემის წინაშე. „აღმოჩენები დაფარული ფუნქციების დარგში წარმოადგენს სოციოლოგიური ცოდნის მეტ მატებას, ვიდრე აღმოჩენები აშკარა ფუნქციების დარგში", – წერს რ. მერტონი. ჩვენ

216 Й.А.Шумпетер (1995), Капитализм, Социализм и Демократия (пер. с англ. В.С. Автономова), М., Экономика.

ვნახეთ, რომ ფუნქციონალისტები ცდილობენ გადაწყვიტონ სოციალური საკითხები კულტურის ფარგლებში. მათი ეს მიდგომა თითქოს შენარჩუნებული უნდა იქნას. მაგრამ მათ თეორიებში რაღაც სხვა ხდება.

დანაშაულობის მიმართ ემისტური მიდგომის გამოყენებაში გართულებების წარმოშობის შემთხვევაში ფუნქციონალისტები არ მიმართავენ კულტუროლოგიურ პრობლემატიკას, არამედ ეშვებიან უფრო დაბალ დონეზე, სახელდობრ კი ინდივიდის დონეზე. აი რას წერს რ. მერტონი: „რომელიმე საქმიანობის ან რწმენის სწორედ ლატენტური ფუნქციები არ წარმოადგენს ჩვეულებრივი ცნობიერების კუთვნილებას, რადგანაც ეს წარმოადგენს არაწინასწარგანზრახულ და გაუცნობიერებელ სოციალურ და ფსიქოლოგიურ შედეგებს. აღმოჩენები დაფარული ფუნქციების დარგში წარმოადგენენ, მაშასადამე, დიდ გადახრებსაც სოციალური ცხოვრების ცოდნაში, რომელიც ეფუძნება ჯანსაღ აზრს. კვლევას, რომელიც ამჟღავნებს ლატენტურ ფუნქციებს, ძალიან ხშირად მივყავართ პარადოქსულ დასკვნებამდე“ (კურსივი ჩვენია – გ. თ.).[217]

ამრიგად, თუ ემისტური მიდგომის ფარგლებში ვერ ხერხდება „სოციალური წესრიგის“ პრობლემის გადაწყვეტა, ამ შემთხვევაში, როგორც ფუნქციონალისტებს მიაჩნიათ, შემცდარი სწორედ დამკვირვებელია (კონგრესი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა. შ.), რომელმაც არ გაითვალისწინა დანაშაულობასთან ბრძოლის ყველა დეტალი. მაშასადამე, საზოგადოების წინააღმდეგობები ახლა იქცევა წინააღმდეგობებად დამკვირვებლის ცნობიერებაში, რომელიც აღმოჩნდა „გაუცნობიერებელი სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგების“ პირისპირ.

1.4.10. „უტყვი იდიოტის“ აზროვნების გადალახვა კრიმინოლოგიაში (გ. გარფინკელი).

სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა მიდგომამ უარყო იდეა, რომლისთვისაც იგი იყო შექმნილი. უარყოფდა რა ძირითადი ფაქტორის ისტორიულ ინტეგრაციას, მან ამით აქტიური დამკვირვებელი გადააქცია ინდივიდად, რომელიც არ მოქმედებს, არამედ პასიურად აკვირდება რაღაც სტაბილურ ფუნქციონალურ კავშირებს. ამ პოზიციამ ეთნომეთოდოლოგიის დამფუძნებლის ჰაროლდ ჰარფინკელის

217 Р. Мертон (1994), Явные и латентные функции, Американская социологическая мысль: тексты. М,

გაღიზიანება გამოიწვია. მან თავისუფლად გამოიყენა არცთუ სასიამოვნო გამოთქმები და ფუნქციონალისტის თვალსაზრისს უწოდა „უტყვი იდიოტის" (judgemental dope) თვალსაზრისი, რომელიც მხოლოდ აკვირდება და მეტი არაფერი. [218]

უნდა ავღნიშნოთ, რომ დამკვირვებლის ინსტიტუტს დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიზმის პრობლემის გაშუქებისას, რადგან კითხვა: როგორ ვხედავთ განვითარებას? – დაკავშირებულია კითხვასთან: ვინ აკვირდება განვითარებას?[219]

ეკონომიკურ მეცნიერებაში ეს საკითხი პირველად გააშუქა კ.მარქსმა, როდესაც „კაპიტალის" მესამე ტომში ის იხილავდა მოგების ნორმას. მაშინ მან კაპიტალისტის წარმოდგენას დაუპირისპირა საგნების ფაქტობრივი მდგომარეობა და ამ გზით დაადგინა საქონლის ღირებულის და მოგების გაზომვის მეთოდების განსხვავების საკითხი.

დასავლურ სოციოლოგიაში დამკვირვებლის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ნ. ლუმანმა. როგორც მან აღნიშნა, დამკვირვებელი ზევიდან არ აკვირდება რეალობას, ის თავად წარმოადგენს ამ რეალობის სიბიექტს, მის ოპერაციას. ამ შენაშვნას გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რატომ არ გამოდგება იურისტი კრიმინოლოგიური პრობლემატიკის დამკვირვებლად. ის აზროვნებით მოხელეა და ამიტომ ვერ ხედავს განვითარებას და ვერასოდეს ვერ დაინახავს: ადამიანები ჯერაც ამ იდეის ტყვეობაში არიან, რადგან ვერ ხედავენ, რომ სუბსტანციის სამეფო, ღმერთის „სამეფო არა ამქვეყნიურია" (იოანე, 18:36), ანუ არ არის იმ სამყაროდან, რომელსაც ვხედავთ სახელმწიფო პრაქტიკაში. ამაზე მეტყველებს „განვითარების" ხედვის მთელი რიგი საკითხი, რომელიც იურსტს არ ძალუძს გადაწყვიტოს.

მაგალითად, ე.წ. ობიექტური შერაცხვის თეორიის შემუშავებისას იურისტმა დღემდე ვერ დაძლია კანტის აგნოსტიციზმის პრობლემა: მიზეზობრიბა უნდა გავიგოთ, როგორც საბუნებსმეტყველო

218 Г. Гарфинкель (2007), Исследования по этнометодологии (Studies in Ethnomethodology), М., «Питер», с. 22–25

219 დამკვირვებლის პრობლემას ქართულ კრიმინოლოგიაში შეეხო ლ.ბრეგვაძეც, როდესაც განიხილებოდა დიურგკემისა და მერტონის „ანომიის" ვერსიების განსხვავება (ლ. ბრეგვაძე (2008), ანომიის სოციოლოგიური თეორია კრიმინოლოგიაში, კრიმინოლოგია, თბ., გვ. 395–398)

ხერხით აღწერილი მოვლენა, თუ აუცილებელია გავითვალისწინოთ ნორმატიული კომპონენტიც. კაუზალური თეორიების სიმრავლე სისხლის სამართალში მეტყველებს იმაზე, რომ დღემდე არაა გადაწყვეტილი ე.წ. ობიექტური შერაცხვის სამართლებრივი წანამძღვრების პრობლემა.

შესაძლოა ჭეშმარიტების კრიტერიუმი უნდა ვეძებოთ სასამართლო პრაქტიკაში? კანონის „რეალობას" იურისტები ამოწმებენ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მეთოდით. აქ ჩანს ფიხტეს კვალი – ერი არ ცდება. მაგრამ ერიც ცდება, რადგან კონკრეტული ერის სასამართლო პრაქტიკა არის მარტო მისი გამოცდილება, რომელიც შეიძლება ისტორიულად არც იყოს გამართლებული. ამის გარდა, სასამართლო პრაქტიკა თვითონ ითხოვს შემოწმებას, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შეფასებასთან. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაც არ გამოდგება ჭეშმარიტების ეტალონად.

შესაძლოა მართალია ჰეგელი და ობიექტური კრიტერიუმი უნდა ვეძებოთ კაცობრიობაში. მაგრამ აქ წარმოიშობა ნორმის რეცეპციის პრობლემა, რადგან ღიად რჩება საკითხი: რომელი ქვეყნიდან უნდა გადმოვიტანოთ ჩვენს კანონმდებლობაში ნორმა, რომელიც არ არღვევს ჩვენი ერის თვითმყოფადობას (სამართლის რომანულ-გერმანულ ტრადიციას)? და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომის ნაკლოვანებებზე კრიმინოლოგებმა სხვადასხვანაირი რეაგირება მოახდინეს. ერთმა ნაწილმა უარი თქვა დანაშაულობის რაიმე განსაკუთრებული მიზეზის ძიებაზე და მთელი საკითხი დაიყვანა ფაქტორების სუბიექტური კლასიფიკაციის პრობლემამდე. მაგალითად, კონსტიტუტიური კრიმინოლოგიის მომხრეები ს. ჰენრი და დ. მილოვანოვიჩი აღნიშნავდნენ, რომ „დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების ფუჭი ძიება შეწყვეტას მოითხოვს, რადგან იგი უბრალოდ დეტალურად ასახავს ცალკეულ განსხვავებებს, როგორც ცალკეულ რეალობას". კულტურათა კონფლიქტის თეორიის ავტორი ტ. სელინი ანალოგიურ პესიმისტურ მოსაზრებას გამოთქვამდა. ავტორი მიდიოდა დასკვნამდე, რომ დომინირებული ხდება არა რეალობის თვალსაზრისი, არამედ დამკვირვებლისა. განმარტების მეთოდს ცვლის კლასიფიკაცია. ამის შედეგად წარმოიშობა წინააღმდეგობა სილოგიზმის წანამძღვრებსა და დასკვნებში, აქედან კი – მიზეზთა

ძიებაზე უარის თქმის ტენდენცია.[220]

ამავე დროს დანაშაულობის მონისტურ ახსნაზე უარის თქმა არ ნიშნავდა, რომ არსებულმა თეორიებმა მთლიანობაში უარყვეს მონიზმის იდეა. გასაგები იყო, რომ ერთიანი საწყისის გამოყოფის გარეშე შეუძლებელია კაუზალური ახსნის ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა. ხომ უნდა ყოფილიყო გამოყოფილი რომელიმე ფაქტორი, რომელიც ითამაშებდა მიზეზობრივ როლს დანაშაულობასთან მიმართებაში. ამიტომ კრიმინოლოგიური თეორიების წინაშე კვლავ დგას საკითხი: რომელ ფაქტორს დაეკისრება არგუმენტის ძირითადი როლი? რომელი ფაქტორის ფუნქციად უნდა გამოცხადდეს დანაშაულობა?

როგორც აღვნიშნეთ მოცემული საკითხის გადაწყვეტა კრიმინოლოგებმა სცადეს დანაშაულობის თეორიის მიკრიკრიმინოლოგიური თეორიის დონეზე. ძალაში შევიდა დანაშაულობის ემპირიული მონოკაუზალური ახსნა, რომელიც კაუზალური ფაქტორის სახით აღიარებდა: სოციალურ დეზორგანიზაციას დიდი ქალაქის რაიონებში (ჩიკაგოს სკოლა); ანომიას, ე. ი. იმ ღირებულებებისა და ნორმების სისტემის რღვევას, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის გარანტიას იძლევიან (ე. დიურკგეიმი, რ. მერტონი), კრიმინალურ სწავლებას (ე. საზერლენდი); სოციალური კონტროლის ნორმების ფუნქციონირებას (ტ. ხირში და სხვ.); სტიგმატიზაციას (რ. კუინი და სხვ.); კულტურების კონფლიქტს (ტ. სელინი): ნებისმიერი სახის უთანასწორობას საზოგადოებაში (ჯ.იანგი, ტ. იანგი); მდგომარეობის შედარებითი გაუარესებას (რ.კინსის, ჯ. ლის, რ. მატიუსის და სხვების მემარცხენე რეალიზმი); ინდივიდის მისწრაფების შეზღუდვას მოიქცეს სხვაგვარად, ვიდრე ამას მოითხოვს ხელისუფლება (ს. ჰენრის და დ. მილდანოვიჩის კონსტიტუტიური კრიმინოლოგია); ინდივიდების თავისუფლების შემზღუდავი ხელისუფლებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას (პეპინსკის და რ. კუინინის სამშვიდობო კრიმინოლოგია) და ა. შ.

ფაქტობრივად აბსტრაქტული ემპირიზმი შეცვალა ემპირიულმა მონოკაუზალურმა ახსნამ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ემპირიზმმა მხოლოდ შეცვალა „სოციალური წესრიგის" შემეცნების პრეტენზიები. მაგრამ აზროვნების არსი იგივე დარჩა. და ამაზე მიუთითებს

220 აღნიშნული პოზიცია გამოთქვა ტ.სელინმა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში იხ.: Социологический подход к изучению причин преступности, Социология преступности, М., с. 27

თვით აზროვნების ორი ტენდენცია.

ისტორიზმზე უარის თქმას, ერთი მხრივ, მივყავდით ე. წ. სტანდარტული ცვალებადების შერჩევის აღრევამდე. მაგალითად, უმუშევრობა ცხადდებოდა დანაშაულობის მიზეზად, ხოლო დანაშაულობა თავის მხრივ – უმუშევრობის გადალახვის საშუალებად (მოსახლეობის დაქირავების შემთხვევაში კარტელების მიერ, რომლებიც ნარკობიზნესს ეწევიან) და ა. შ. მაგალითად, გაეროს რეგიონთაშორისო ინსტიტუტი (UNICRI) გვთავაზობს „მეცნიერულ" დასკვნას, რომელიც ჩამოყალიბებულია ფუნქციონალიზმის თეორიის მოთხოვნათა დაცვით: დღეს, აღნიშნავს ინსტიტუტი, ჩამორჩენა წარმოშობს დანაშაულობას, ხოლო დანაშაულობა ხელს უწყობს ჩამორჩენას.[221] თუ გაეროს ინსტიტუტი აკეტებს ასეთ დასკვნას, რა უნდა მოვთხოვოთ პატარა ქვეყნის რიგით კრიმინოლოგს? როგორც აღნიშნავენ ამერიკელი კრიმინოლოგები, ასეთი თეორია გამოწვეულია დანაშაულობისადმი საზოგადოებრივი შიშით და კონსერვატიზმით. უფრო კარგად ვერ შეაფასებ ინსტიტუტის ნააზრევს. გაოცებას იწვევს ვაშინგტონის მსოფლიო ბანკის მკვლევარის ს. აკერმანის ნაშრომი,[222] სადაც ის თვითნებურად იყენებს ე. წ. სტანდარტულ ცვლილებას და ღრმა ანალიზის გარეშე ენდობა ზედაპირზე დანახულ ეკონომიკურ მოვლენათა ფუნქციონალურ კავშირებს. გამონაკლისს არ წარმოადგენენ კორუფციის ქართველი მკვლევარი კრიმინოლოგები. ამაზე ჩვენ თავის დროზე გამოვთქვით კრიტიკული მოსაზრება. შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი, რაც არ ცვლის სურათს, რომელიც ბრწყინვალედ აღწერა დ. უოლშმა თავის ნაშრომში: რაც რჩება გაუგებარი სტანდარტული ცვლილების პერსონისეულ განმარტებაში, ესაა მათი საკუთარი წარმომავლობა. [223]

მეორე მხრივ, არცერთ თეორიას არ შეეძლო მოეცვა დანაშაულობის მიზეზების ყოვლისმომცველი ახსნა. ერთი თეორია უარყოფდა მეორეს და ა. შ. აკრიტიკებდნენ რა ემპირიულ მონოკაუზალურ მიდგომას, ჰანს ჰაფერკამპი და ნეილ სმელზერი აღნიშნავენ, რომ „ყოველმხრივი სოციალური ცვლილებები არ შეიძლება ახსნილი

221 UNICRI – United Nations Interregional Crime and Justice Research Institute – http://unicri.it/site_map.php

222 С. Аккерман (2003), Коррупция и государств,.М., «Логос»

223 Д. Уолш (1978), Социология и социальный мир, Новые направления в социологической теории. (перев. с английского Л.Г.Ионина), М.,:«Прогресс», с. 116

იქნას მონოკაუზალური თეორიის ფარგლებში... ასეთი თეორიები ჩვეულებრივ ირღვევიან მოულოდნელი ცვლილების ახსნასთან შეხებაში მოსვლისთანავე ან როდესაც ისინი გამოიყენება პროგნოზისათვის". [224]

არანაკლებ კატეგორიულნი არიან თავიანთ შეფასებებში ასევე რადიკალური კრიმინოლოგები.[225] როგორც ისინი აღნიშნავენ, კრიმინოლოგიის ზოგიერთი ამერიკული თეორია, სინანამდვილეში არა თეორია, არამედ უფრო სოციალური ურთიერთქმედების ფილოსოფიაა. სოციალური კონფლიქტის თეორიის დამაარსებლის რ. დარენდორფის აზრით, დანაშაულობის მიზეზთა ფუნქციონალური განხილვა ტ. პარსონსის თეორიის ფარგლებში ქმნის ილუზიას საზოგადოების, როგორც მოწესრიგებული სოციალური სისტემის შესახებ. სინამდვილეში საჭიროა განვიხილოთ საზოგადოება, რომელიც ხასიათდება კონფლიქტებით და ამით გავაბათილოთ ფუნქციონალიზმის ილუზია.[226]

ამრიგად, ანალიზის მულტიკაუზალურ დონეზე გადასვლამ ღიად დატოვა კითხვა: საზოგადოების რომელი სტრუქტურული წარმონაქმნის ფუნქცია უნდა გამოცხადდეს დანაშაულებრივად?

1.4.11. დანაშაულობაში ასახულია ყველაზე ზედაპირული სოციალური ურთიერთობები. ესაა კაპიტალიზმის ლოგიკა (ტ. იანგი).

კრიმინოლოგიის ანალიტიკოსებს შორის მიღებული იყო, რომ მიკრითეორიები შეისწავლიან კრიმინოლოგიურ მასალას საშუალო დონეზე. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. სინამდვილეში ყველა ეს თეორია გამომდინარეობს ინდივიდიდან, უფრო ზუსტად კი, „საშუალო" ობივატელის თვალსაზრისიდან.

ამიტომ ტ. იანგი აღნიშნავს: „თანამედროვე კრიმინოლოგიის მთავარი მარცხი იმაში მდგომარეობს, რომ იგი განსაზღვრავს ინდივიდუალურ ადამიანს როგორც თეორიული ანალიზის ერთეულს." აი ინსტრუმენტალური რაციონალიზაციის ვებერისეული იდეის მომხრე ჯ. რიტცერი აზროვნების მსგავს ტიპს უწოდებს აზროვნების

224 H. Haferkamp, N. Smelser (1992), Introduction – Social Change and odernity, University of California, p. 2

225 T.R.Yong (1988), Theory and method for Criminology In the 21-st Century , Archives of the Trannsforming Sociology Series of the Red eather Institute for Advanced studies in sociology, № 126

226 Р. Дарендорф (2002), Тропы из утопии: Работы по теории и истории социологии, М., с. 343 – 344

ნაადრევ ფორმას, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში სოციოლოგი გულგრილობის, სულიერი სიღატაკის, დაბინძურების, ცუდი სანიტარიის, პაუპერიზმის, დანაშაულობის და ლოთობის წყაროს ეძებს „თვით ინდივიდების შიგნით". [227]

ამრიგად, თუ სტრუქტურული ფუნქციონალიზმის აბსტრაქტულ ემპირიზმს ლოგიკურად მივყავდით ინდივიდუალური დონის თეორიებამდე, უკანასკნელები, იგივე ემპირიზმის წყალობით, უბიძგებდნენ აზრს საზოგადოებაში დაფარული სიღრმისეული პროცესების გამოვლენისაკენ. ეს მისია თავის თავზე აიღო რადიკალურმა კრიმინოლოგიამ. რა თქმა უნდა, იგი შორს იდგა მარქსისტული შეხედულებისაგან საზოგადოებაზე, რამეთუ ერთმანეთში ურევდა არსებით პროცესებს და გარდასახვით ფორმებს. მაგრამ გარღვევა მაინც იკვეთებოდა.

რადიკალებს ესმოდათ, რომ დანაშაულობის ცვალებადობის ახსნისას კრიმინოლოგიაში ყველაზე ტიპიურს წარმოადგენს არამეცნიერული ახსნის ისეთი ტიპები, რომლებიც დანაშაულობას განიხილავენ, როგორც ნებისმიერი შერჩეული სოციალური ფაქტორის ფუნქციის სახით. ამასთან მათში ეჭვს არ იწვევდა ის, რომ მიკრო თეორიები გამოდიან თეორიული წანამძღვრებიდან, რომლებიც თავიდანვე უარყოფენ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონის არსებობის იდეას.

ამ მიმართულებით რადიკალურად მოაზროვნე კრიმინოლოგებს მიაჩნიათ, რომ დანაშაულობა, სხვა სახის სოციალური პათოლოგია წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების ფუნქციას. მაგალითად, ამ მიმართულების მომხრე ტ. იანგი აღნიშნავს, რომ არსებული თეორიები კონსერვატიულ ხასიათს ატარებენ, ვინაიდან გამორიცხავენ წარმოების წესს, როგორც მადომინირებელ სოციალურ ფაქტორს და მას კრიტიკულად არ განიხილავენ. მას მიაჩნია, რომ ყველაზე მრავალმხრივი მსჯელობა დანაშაულობის მარქსისტულ თეორიაში დასტურდება იმით, რომ დანაშაულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და სახეობა განსაზღვრულია წარმოების წესით. მთლიანად ახალი დანაშაულებანი, ახალი კანონები, მართლმსაჯულების ახალი სისტემები, დანაშაულთა ახალი სახეობების ფორმებისა და კონტროლის ტაქტიკა წარმოიშობა წარმოების კაპიტალისტური წესის სპეციფიკიდან. ეს წესი ერთადერთია, რომელიც ადამიანებს აშორებს წარმოებასა და განაწილებას და იმგვარად არის ორგანი-

227 Дж. Ритцер (2002), Современные социологические теории,СПб, Питер., с. 54

ზებული, რომ ადამიანები გამოთიშოს მატერიალურ წარმოებას და იდეოლოგიურ კულტურას ან არსებითი კულტურული რესურსების განაწილების საშუალებებს. ამ პირობებში უნდა ველოდოთ, რომ დანაშაულთა სახეობები გაიზრდება.[228]

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალური კრიმინოლოგების კონცეფციებში ისტორიის საკითხი მაინც არაა გადაწყვეტილი. საქმე ისაა, რომ ისტორიულად, პირველ რიგში, იცვლება კაპიტალიზმის ძირითადი კანონი – კაპიტალის დაგროვების კანონი. საზოგადოების ყველა დანარჩენი სტრუქტურული ცვლილებები ასე თუ ისე დამოკიდებულია მის ცვლილებებზე. საბოლოო ანგარიშით, თვით დანაშაულობა იმეორებს კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლების ამ გენეზისს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რადიკალური კრიმინოლოგიის სახით ჩვენ საქმე მაინც გვაქვს ლიბერალურ მოდელთან, რომელიც აღიარებს არა კონფლიქტების წყაროს, არამედ კონფლიქტების ფორმებს. ეს მოდელი არ ითვალისწინებს, რომ დანაშაულობის ისტორიული ხედვის საფუძველს წარმოადგენს იგივე კაპიტალის დაგროვების კანონი, რომელიც კვებავს დანაშაულობას და აკავშირებს მას თავისთან ისეთ ფორმებში, რომლებიც ფეტიშირებულად, დამახინჯებულად წარმოუდგენენ ობივატელს კაპიტალისტურ ურთიერთობათა კრიმინოგენულ როლს. ამიტომ მარქსისტულ თეორიაზე უარის თქმა ან მისი დაყვანა „კონფლიქტის" რიგითი თეორიის დონემდე ნიშნავს შემდეგი კითხვის ობიექტურად განპირობებულ იგნორირებას: რა კავშირი არსებობს კაპიტალის დაგროვებასა და დანაშაულობის მრავალფაქტორულ ახსნას შორის?

რადიკალურმა კრიმინოლოგიამ უარყო პარსონისეული სტრუქტურალიზმი და მართებულად ცდილობს გამსაზღვროს დანაშაულობა როგორც კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობრივი განვითარების ფუნქცია. მაგრამ რადიკალები გაჩერდნენ კაპიტალისტური დაგროვების ფეტიშირებულ ფორმებთან დანაშაულობის კავშირის დონეზე. თავიანთ ნაშრომებში ისინი დანაშაულობას უკავშირებენ სავაჭრო მოგებას (ფულის ლეგალიზაციისას), საბანკო პროცენტს (თაღლითური გზების დადგენისას საბანკო ოპერაციებში), ხელფასს (კავშირის დადგენისას უმუშევრობასა და დანაშაულობას შორის), ინდუსტრიალიზაციას (გასხვისების ფორმების დადგენისას), კაპიტალისტის მოგებას (კომერციული დანაშაულობის ახსნისას) და

228 T. R. Young (1988), Theory and method for criminology In the 21st Century, Of the Red eather Journal of «Postmodern Criminology» , Volume I, № 126

სხვა ფეტიშირებულ ფორმებს, სადაც ჭეშმარიტი ისტორიული გენეზისი ისე მახინჯდება, რომ მისი პირდაპირი ცნობა გაძნელებულია. ამრიგად, აღრეული რჩება ხილული და არსებითი დამოკიდებულებები. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან შემოიფარგლონ საკითხის საერთო კონსტატაციით. ასე მაგალითად, სოციოლოგიის ფრანკფურტის სკოლის ცნობილი წარმომადგენელი ი. ხაბერმასი აღნაშნავს, რომ ეკონომიკურ ძალთა შორის კაპიტალის ძალა მის ექსპრესიულობაში განსაზღვრული არაა; ამ ძალით თანაბარი ზომითაა გამსჭვალული როგორც ბაზისი, ისე ზედნაშენი, იგი გამოიხატება როგორც კულტურულ, ისე ეკონომიკურ და სამხედრო ძალადობაში. კაპიტალიზმის პრაქტიკა დაკავშირებულია მწვავე კლასობრივ წინააღმდეგობებთან. მაგრამ იგი წინააღმდეგობას უქმნის ბაზრის მიუკერძოებელ შეფასებას.[229] ამ თეზისს იცავენ ასევე ზოგიერთი რადიკალურად განწყობილი ეკონომისტებიც.[230]

რადიკალური კრიმინოლოგიის მომხრეები გარკვეულწილად ძალაში ტოვებენ მარქსის მიერ შემუშავებულ დებულებებს, მაგრამ რამდენადმე გაზავებული სახით. მაგალითად, კლასობრივი კონფლიქტების ინტერპრეტაცია ხორციელდება კონფლიქტის თეორიის ჭრილში. რ.კუინის აზრით, კრიმინალიზაციის პროცესებს საფუძვლად უდევს კლასობრივი კონფლიქტები. დანაშაულიბრივად მიიჩნევენ ქმედებებს, რომლებიც წინააღმდეგობაშია ეკონომიკაში გაბატონებული კლასების ინტერესებთან. შეფასდება თუ არა ესა თუ ის ქმედება, როგორც დანაშაულებრივი ან არადანაშაულებრივი, ამას განსაზღვრავს კლასი, რომელსაც ხელში უჭირავს ძალაუფლება და სამართალწარმოებაზე ხელი მიუწვდება. როგორც ვხედავთ, კლასის ცნება მის მიერ არის მოდიფიცირებული. კლასი, რ.კუინის აზრით, არის მენეჯმენტი, რომელიც მართავს. ი. ტეილორის, პ. უოლტონდის და ჯ. იანგის აზრით, დანაშაულობას საფუძვლად კლასობრივი, სქესობრივი, ეთნიკური და ა.შ. უთანასწორობა უდევს.[231]

ე. შურის კვალდაკვალ სოციოლოგმა ე. ტოფლერმა ასევე აღიარა ეკონომიკური ფაქტორი დეტერმინანტის სახით. მაგრამ მან უკუაგდო მარქსისტული თეზისი წარმოების წესის შესახებ და სანაცვლოდ ინდუსტრიალიზაციის კრიმინოგენული როლის კონცე-

229 Ю. Хабермас (2008), Расколотый Запад, М.,.«Весь Мир», с. 1–12
230 К.Р.Макконнелл, С.Л.Брю (2003), Экономикс, М., «ИНФРА–М», т. 2, с. 215
231 I. Taylor, P. Walton, J. Young (1973), The New Criminology: or a Social Theory of Deviance. L: Routledge and Kegan Paul

ფცია ჩამოაყალიბა. „კაპიტალი დაჩქარებულად ხდება „სუპერსიმბოლური", – წერს ე. ტოფლერი.[232]

რადიკალური ანუ კრიტიკული კრიმინოლოგია მოიცავს სხვადასხვა მიდგომებს, რომლებიც თავინთი შინაარსით არა მარტო არ ემთხვევიან, არამედ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. რ. აკერსის აზრით, მათი შინაარსის დასაბუთება ძნელი შესაფასებელია.[233] მაგრამ მიუხედავად ამისა, რადიკალური კრიმინოლოგიის გამოჩენით იწყება დანაშაულობის დეტერმინაციის შესახებ წარმოდგენათა ფორმირების ახალი ეტაპი – დანაშაულობის განვითარება კვლავ უკავშირდება კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ და სოციალურ კანონებს, თუმცა დამახინჯებული სახით.

1.4.12. „სასჯელი არ ქმნის დანაშაულს, მაგრამ მხოლოდ მისი მეშვეობით ხდება დანაშაულის გარეგნული აღმოჩენა, ამიტომ ჩვენ თუ გვინდა მივიდეთ დანაშაულობის გაგებამდე, უნდა მოვწყდეთ მას" (ე. დიურგკეიმი).[234]

პატივი უნდა მივაგოთ ე. დიურგკეიმის ამ აზრს, რომელმაც დროს გაუსწრო და წარმოადგინა კრიმინოლოგიისათვის უმნიშვნელოვანესი დებულება. ფაქტობრივად მან დასვა საკითხი სამართლებრივი ურთიერთობის როგორც მაფეტიშირებელი ფორმის განხილვის შესახებ. ჩემს ნაშრომებში მე არაერთგზის ვაქცევდი ყურადღებას ამ საკითხს. ამიტომ მოკლედ აღვწერ გამოთქმულ აზრს იმისათვის, რომ შევახსენო ახალგაზრდა კრიმინოლოგებს ე. დიურგკეიმის სიტყვების მნიშვნელობა.

ადამიანის გაუცხოება საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს. ფილოსოფიურად თუ ვიტყვით, არსი თავიდანვე ერთიანია. მაგრამ ზედაპირზე იგი არ ჩანს. გაუცხოება იღებს საზოგადოებრივ ფორმას, როცა ის გადის სამართლებრივი ურთიერთობის ფილტრს და ამრიგად გადაიქცევა „დანაშაულად". ეს გარდასახვა განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. დანაშაულთა ერთიან არსი გვევლინება სხვადასხვა აქტების სახით, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირე-

232 Э. Тоффлер (2002), Шок будущего (Пер. с англ.), М., «Издательство АСТ», с. 73

233 R. Akers (1997), Criminological Theories. Introduction and Evaluation, Roxburi Publishing Company. Los Angeles, Kalifornia, p. 175–176

234 Э. Дюркгейм (2007), Социология. Ее предмет, метод и назначение, М., Директ–Медиа, с. 13–15

ბული და საკუთარი მიზეზები აქვთ. სამართლებრივ ურთიერთობაში დანაშაულობის საზოგადოებრივი ფორმა წარმოგვიდგება საპირიპირო სახით, სახელდობრ კი მოვლენის სახით, რომელიც ასეთ ფორმას მოკლებულია. სამართლებრივ ურთიერთობაში „დანაშაული", როგორც გაუცხოების მოხსნის ხერხი, წარმოდგენილია დამახინჯებული სახით, როგორც ქმედება, რომელიც თვითონვე იწვევს გაუცხოებას. ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფო, როგორც ინდივიდის გაუცხოების ხერხი, არ ჩანს. აი რატომ წერს ე. დიურგკეიმი, რომ გაუცხოება დანაშაულობაში (სახელდობრ კი სამართლებრივ ურთიერთობაში) აღმოჩნდება გარეგნული სახით. რა პრაქტიკული დასკვნა გამომდინარეობს ამ დებულებიდან? გაუცხოება არ შეიძლება გაიზომოს მხოლოდ დანაშაულთა რაოდენობრივი რყევებით. საჭიროა უფრო მძლავრი საზომი. და ასეთ საზომს წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ლოგიკა, უბრალოდ რომ ვთქვათ, საზოგადოების ისტორია.

1.4.13. ბალანსის დარღვევის პრობლემა სპეციალიზაციასა და დანაშაულობის ცვლილების კვლევის სისრულეს შორის.

სოციოლოგიური თეორიების ფორმირების ტენდენციების ანალიზისას მეცნიერები მიდიან დასკვნამდე, რომ ბოლო დროს გამოკვლევები უფრო შეზღუდული გახდნენ. მეცნიერთა ყურადღება მიპყრობილია სოციალური მოვლენების ცალკეული ასპექტებისაკენ. იგრძნობა გარკვეული დაძაბულობა საერთო თეორიისკენ მისწრაფებასა და იმ სადარგო გამოკვლევებს შორის. პრობლემის სირთულე ზოგიერთ სოციოლოგთა შორის იწვევს პესიმიზმს. სოციალური სტრატიფიკაციის ერთ-ერთი მომხრის ე. მურის აზრით, მეცნიერება უნდა დავიცვათ „მითისაგან ცვლილების განსაკუთრებული თეორიის შესახებ".[235]

ეჭვგარეშეა, რომ დანაშაულობის პრობლემის სირთულე მოითხოვს ცალკეული კრიმინოლოგიური საკითხების სკურპულიოზურ შესწავლას. ამიტომ საჭიროა დანაშაულობის ცალკეული სახეობებისა და ფორმების კვლევა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ახორციელებენ კორუფციის, ნარკობიზნესის, ადამიანთა თავისუფლების აღკვეთის, ძალადობის და სხვათა კვლევას. ასეთია დანაშაულობის რეალობა და მისი მრავალფეროვნების გამოკვლევის გარეშე შეუ-

235 H. Haferkamp and N. Smelser (1992), Introduction – Social Change and odernity, University of California, p. 4–5

ძლებელია პრევენციული ზომების დასახვა. ყველაფერი ეჭვგარეშე და ცხადია.

მაგრამ ისტორიზმზე უარის თქმა ღიად ტოვებს მთელ რიგ საკითხებს, რომლებსაც მსგავსი გამოკვლებები არ წყვეტენ: თუ საზოგადოება იცვლება და ეს ცვლილება აისახება დანაშაულობის სხვადასხვა ფორმებსა და სახეობებში, მაშინ უნდა არსებობდეს საზოგადოების განვითარების რაიმე კანონი, რომელიც გამოვლინდებოდა დანაშაულთა მრავალფეროვან ცვლილებებში? შემდეგ, თუ საზოგადოების განვითარების ასეთი კანონი არ არსებობს, მაშინ როგორ უკავშირდება დანაშაული საზოგადოებრივი ცხოვრების გარკეულ სფეროებს?

ეჭვგარეშეა, რომ დანაშაულობის კავშირი ეკონომიკასთან რამდენადმე სხვაგვარია, ვიდრე დანაშაულობის კავშირი კულტურასთან ან სოციალური ცხოვრების სხვა სფეროსთან. მაგრამ ამ ცალკეულ „კავშირებს“ ხომ ადგილი აქვთ კონკრეტულ საზოგადოებაში და მაშასადამე, უნდა იყოს რაღაც ისეთი, რაც მათ აერთიანებს. თუ თეორია ამ ერთიანი საწყისის შესახებ წარმოადგენს „მითს“, მაშინ ჩვენ რეალობიდან გადავადგილდებით რაღაც პარანორმალურ სამყაროში. „რაღაც“ ფუნქციონირებს დანაშაულობის ფორმათა მრავალფეროვნებაში, მაგრამ ამ „რაღაცას“ ჩვენ ვერ ვხედავთ. მაშასადამე, მკვლევარს რჩება შესაძლებლობა შეცვალოს საზოგადოების განვითარების კანონი საკუთარი თვალსაზრისით, ე ი. რეალობის ნაცვლად ამოსავალი თვალსაზრისის სახით აირჩიოს საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ მის მიერ დანახული მონაკვეთი. ასეთი აზროვნება, როგორც, უკვე აღვნიშნეთ, არის აუტისტიკური აზროვნება, როცა მეცნიერთა სურვილები და ფანტაზია ერთიანდება რეალობის პირობებისა და მოთხოვნების გაუთვალისწინებლად. ამ აზროვნების რეალურ ასახვას წარმოადგენს დანაშაულობის სახეობებისა და ფორმების კლასიფიკაცია, რომელიც ერთმანეთში ურევს დანაშაულობას, როგორც კაპიტალის დაგროვების ფაქტორს და დანაშაულობას, როგორც ამ პროცესის შედეგს. მათ შორის დიდი განსხვავებაა და მისი გადალახვა ისევ შესაძლებელია თანამედროვე საზოგადოების კატეგორიების ისტორიული ანალიზის საფუძველზე, რაც ცალკე კვლევის საგანია.

II ნაწილი
კრიმინოლოგიის კრიმინომეტრიული ნაწილი

2.1. დანაშაულობის გააზრების პრობლემა კრიმინოლოგიაში[236]

2.1.1. კრიმინოლოგიაში „ცნების" აგების საკითხისათვის.

ძველი დროიდან ცნობილია, რომ დანაშაულობის მასობრივი გავრცელების მიღმა იმალება რაღაც ძალა, რომელიც წარმოჩინდება სრულიად სხვადასხვა მოვლენებში. ეს გრძნობად–ჭვრეტადი მოვლენა მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო და არის სავსებით განსხვავებულ მეცნიერულ თეორიათა დაჟინებული ყურადღების საგანი.

კრიმინოლოგიაში არსებობს დანაშაულობის უამრავი განსაზღვრება. მათში ასახულია ავტორთა ფილოსოფიურ შეხედულებათა, სოციოლოგიური სკოლებისა და მიმართულებების, სამართლებრივ და რელიგიურ წარმოდგენათა გავლენა. თითქმის ყველა გამოცემულ მეცნიერულ ნაშრომში ხაზგასმულია დანაშაულობის ისტორიულობისა და სოციალური ბუნების გათვალისწინების პრიორიტეტულობა. მაგრამ, მიუხედავად შემოთავაზებულ მიდგომათა მთელი მრავალფეროვნებისა, კრიმინოლოგებს არ ძალუძთ მოგვცენ დანაშაულობის ცნება. ანალიზი იმ დეფინიციების დონეზე ჩერდება, რომელიც თავის თავში ატარებს თვითნებურობისა და წინააღმდეგობრიობის ელემენტებს. დანაშაულობის ცნება, როგორც კრიმინოლოგიური აზროვნების პრობლემა, ძნელად გადასაწყვეტია და ამის ნებისმიერი მცდელობა, მეთოდოლოგიური ხასიათის მთელ რიგ მიზეზთა გამო, წარუმატებლობისთვისაა განწირული.

უპირველესად თავს იჩენს თვით „ცნების" გაგების ტრადიცია. იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულობის ე.წ. ცნებას გამოიმუშავებენ იურისტები, მისდამი დამოკიდებულება ნომინალისტურ ხასიათს ატარებს. აქ, ნათელია სამართლის ნორმის, როგორც დანაშაულთა არსის განზოგადების ფორმის როლი. სამართლებრივი ნორმა, რო-

236 აღნიშნული თემა ასახულია ნაშრომში: გ.თოდრია (2003), დანაშაულობა, კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში, თბ., კრებული გამოცემულია აშშ-ს საელჩოს მიერ, გვ. 41–54

გორც ცნობილია, ინდუქციურად აღწერს გრძნობად-აღქმად მოვლენათა ნიშნებს, ე. ი. მსგავს ნიშნებს ადგენს, როგორც საერთოს და არა როგორც დიალექტიკურად არსებულ უზოგადესს. ქურდობები, მკვლელობები, მითვისებები და სხვ. უფრო მაღალ დონეზე აბსტრაქტულად განზოგადებული ცნების – „დანაშაულის" სახითაა წარმოდგენილი. იგი ინდუქციურია იმდენად, რამდენადაც არ უშვებს, რომ, მაგალითად, ქურდობა სხვა ცალკეულ დანაშაულთა შორის ერთდროულად უზოგადესიც (გენეტიკურად საერთო) იყოს. შეეცადეთ კონკრეტულად გაიაზროთ დანაშაულის ცნება და მაგალითების მორევში ჩათრევა მოგიწევთ. ფორმალური განზოგადების გენეტიკურ საერთოსთან გაიგივების მიდგომას აქვს თავისი ობიექტური საფუძველი იურისტის პრაქტიკულ საქმიანობაში, სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა ეფუძნება ქმედების (გრძნობისმიერი აქტის) სამართლის (აბსტრაქციის) ნორმისადმი შესაბამისობის მტკიცებულებას. ამასთან, იმდენად რამდენადაც, შინაარსი, რეალობა მოცემულია დანაშაულის მხარეზე, ხოლო ინვარიანტულობა – სამართლის ნორმის მხარეზე, იქმნება აქტის მის არსამდე (აბსტრაქციამდე, ნორმამდე და ა. შ.) აღმასვლის შთაბეჭდილება. მაგრამ ეს მიდგომა შორსაა ცნების მიღებისაგან.[237] ძიებათა შედეგის სახით წარმოგვიდგება დანაშაულობის დეფინიცია, რომელიც მოიცავს ზედაპირზე არსებულ საერთო ნიშნებს, როგორც სოციალურს, ისტორიულს და ა. შ. მაგრამ ეს არ არის მთავარი, ანუ არ არის დანახული დანაშაულობის არსი, რომელიც ყოველთვის კონკრეტულ ისტორიულ ხასიათს ატარებს და ამიტომ ვერ იარსებებს იმ სახით, რა სახითაც ის მოცემულია იურისტის მიერ შემუშავებულ „ცნებაში".

ანალოგიურ დასკვნებამდე მიდიან მეცნიერები იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულობის პრობლემატიკას სოციოლოგები ამუშავებენ, თუმცა მათ სხვა ათვლის წერტილი აქვთ. განიხილავენ რა საზოგადოებას ფუნქციონალური მიდგომის ფარგლებში, ისინი ცდილობენ მოიძიონ დანაშაულობის არსი დანაშაულთა ცვლილებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ სფეროს შორის კავშირებში. ამიტომ დანაშაულობა ამ თეორიებში განიმარტება, როგორც ანომიის, სტიგმატიზაციის, კულტურათა კონფლიქტის, ინდუსტრიალიზაციის და ა. შ. ფორმა. კრიმინოლოგიაში სოციოლოგიური ემპირიზმის გა-

237 Г.Тодрия (1987), «К критике «Диалектики криминогенной ситуации»., журн. «Мацне», Тб., № 4, с. 93– 101

ბატონებას ხელს უწყობენ თანამედროვე საზოგადოების საბაზრო ეკონომიკის პროცესები. კაპიტალი თავისი არსებობით ამტკიცებს, რომ საზოგადოების გამდიდრება, მოგების ზრდა ხდება სტიქიურად, რომ ის არაა მიბმული რომელიმე სოციალურ კანონზე და დამოკიდებულია სრულიად სხვადასხვა მოვლენებზე: ბაზრის მდგომარეობაზე, ბიზნესმენების უნარზე, მომსახურე პერსონალის მოხერხებულობაზე, მუშების პროფესიონალიზმზე და ა.შ.

ამრიგად, როგორც იურიდიული ნომინალიზმი, ასევე სოციოლოგიური ემპირიზმი მკვლევარს საზოგადოებას წარუდგენენ, როგორც სრულიად განსხვავებულ მოვლენათა მოზაიკას, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი კონკრეტული მიზეზები. ამ მიმდგომების შედეგად ცნება, როგორც მოვლენათა არსის დადგენის საშუალება, არ არსებობს. საზოგადოება წარმოდგენილია შემთხვევათა კონგლომერატის სახით, რომელთა აღქმა შესაძლებელია მარტო აბსტრაქტული ზოგადის დადგენის გზით. ყველა შემთხვევაში კრიმინოლოგიურ აზროვნებაში ფეხს იდგამს აბსტრაგირების მოდელი, როგორც განსჯის და არა როგორც გონის ნაყოფი.

არსებული მიდგომები ერთმანეთში ურევენ აზროვნების მოარულ და მეცნიერულ ფორმებს და შედეგად იძლევიან „დანაშაულობის არსის" ირაციონალურ კატეგორიას. ასეთი მიდგომები ვერ ხედავენ იმ უბრალო ფაქტს, რომ დანაშაულის ყველა აქტს, ფილოსოფიურ ენაზე რომ ვთქვათ, „გენეზისის მსგავსების გამო ერთი და იგივე ნიშანი აქვს... იმიტომ, რომ ყველა მათგანს საერთო წინაპარი გააჩნია, ან, უფრო ზუსტად, წარმოადგენს იმ ერთი და იგივე სუბსტანციის მრავალფეროვან მოდიფიკაციათა სახეს, რომელსაც სრულიად მატერიალური (ე. ი. აზრისა და სიტყვისაგან დამოუკიდებელი) ხასიათი აქვს."[238]

მაშასადამე, იმისათვის, რომ დავადგინოთ დანაშაულობის ცნება, აუცილებელია დანაშაულთა გავრცელების კანონზომიერება დავუკავშიროთ საზოგადოების ფუნქციონირების ძირითად სოციალურ კანონებს. ეს კი ნიშნავს, რომ დანაშაულობის ცნებამ შეიძლება იარსებოს მხოლოდ, როგორც ისტორიულმა კატეგორიამ. ამ მიმართულებით დანაშაულობა თანამედროვე საზოგადოებაში უნდა მოიაზრებოდეს, როგორც კაპიტალის დაგროვების კანონთა გამოვლენის ფორმა. ამასთან ერთად, ის უნდა იქნას გაგებული, როგორც ამ კანონების გარდასახვითი ფორმა.

---

238 Э.В.Ильенков (1984), Диалектическая Логика, М., с. 276

მარტო ამ გზით გახდა შესაძლებელი დანაშაულობის ნეგაციის კანონის დადგენა, რაც მიუღწეველი იყო იურიდიული ნომინალიზმისა და სოციოლოგიური ემპირიზმის ფარგლებში. ამ სოციალური კანონის თანახმად სუბსტანციას წარმოადგენს ქურდობაში, მკვლელობაში, ქრთამში და სხვა ნებისმიერ დანაშაულში აკუმულირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დამოკიდებულება არსებობის პირობების შედარებითი გაუარესების და ცხოვრების წესის შესაბამისი ცვლილების მიმართ. როგორც ჩანს, ნეგაცია – ზოგადია, მაგრამ არა აბსტრაქციის სახით, არამედ როგორც რეალობა. მარტო ამ გზით ისახება დანაშაულობის გაზომვის პრობლემის გადაწყვეტის პერსპექტივა. სახელმწიფოსათვის (იურისტისათვის) გაუცხოების მოხსნა იზომება კანონმორჩილებით, კანონდარღვევათა შემცირებით. ამავე დროს კანონმორჩილება სულაც არ ნიშნავს, რომ არსებობის პირობების გაუარესება შესუსტდა. მაშინ, როდესაც საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის გაუცხოების მოხსნა იზომება ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიხედვით, ადამიანთა გაუცხოების, საზოგადოების ინდივიდებთან, როგორც უცხო ძალასთან დაპირისპირების შემცირებით[239]

თუ ჩვენ ვიტყვით, რომ საზოგადოების ადრე არსებული ტიპებისაგან განსხვავებით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში დანაშაულობა კაპიტალის დაგროვების ერთ-ერთი ხერხია, მაშინ ამით დავსახავთ დანაშაულობის ისტორიული ცნების და არა დეფინიციის განსაზღვრის გზას. მხოლოდ ამ მიმართულებით გაკეთებულ ანალიზს შეუძლია მეცნიერება მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულობის არსი არ შეიძლება იყოს მოცემული რაღაც საერთო ნიშნების სახით. პირიქით, დანაშაულობის არსს წარმოადგენს მისი გენეზისი. აი, რატომაა მცდარი დანაშაულობის ე. წ. ცნება „იურიდიული" ანუ „ემპირიულ-სოციოლოგიური" განსაზღვრის კვალობაზე.

დაბოლოს, დანაშაულობის ცნებისადმი ისტორიულ მიდგომაზე უარის თქმას მივყავართ დეფინიციამდე, რომელშიც შესაძლებელია დანაშაულობის არსებითი და შემთხვევითი ნიშნების აღრევა. მაგრამ მათი გაიგივება კატეგორიულად უნდა იქნას უკუგდებული, რადგანაც ამ გზით ძნელია იმ მრავალი ფაქტორის გამოვლენა,

239 გ. თოდრია (2015), დანაშაულობის ნეგაციის თეორია: ფიქრები კრიმინოლოგიაში „მივიწყებული ყოფიერების" პრობლემის დაძლევის გზებზე, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თბ., „მერიდიანი", 3 ტ., გვ. 290–312

როლებიც რეალობას ამახინჯებენ. დანაშაულობის ცნების განსაზღვრის ძირითადი ამოცანაა მისი სტაბილური საზომის მიღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს თავი დავაღწიოთ შემთხვევითი ფაქტორების სუბიექტური კლასიფიკაციის ტყვეობას. შევნიშნავთ, რომ ეს მოთხოვნილება კრიმინოლოგიაში უკვე თვალსაჩინოა. როგორც ამერიკელი კრიმინოლოგები აღნიშნავენ, დანაშაულობის გაზომვის არსებული მეთოდების ყოველმხრივი ანალიზიდან" ცხადი ხდება, რომ არცერთი მეთოდი არ შეიძლება იყოს დანაშაულობის შესახებ ინფორმაციის ერთადერთი სარწმუნო წყარო".[240] ეს შენიშვნა, პირველ რიგში, შეეხება დანაშაულობის თვითნებურ დეფინიციებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ზუსტი საზომის მოცემა. ამავე დროს, მხოლოდ დანაშაულობის ცნების განსაზღვრა შეიძლება ატარებდეს პრაქტიკულად მნიშვნელოვან ოპერაციულ ხასიათს.

2.1.2. დანაშაულობის ცნებისადმი მეცნიერებაში არსებული მიდგომები

გაუცხოება იღებს საზოგადოებრივ ფორმას, როცა ის გადის სამართლებრივი ურთიერთობის ფილტრს და ამრიგად გადაიქცევა „დანაშაულად". ეს გარდასახვა განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. გაუცხოება (ნეგაცია), როგორც დანაშაულთა არსი, იშლება სულ სხვადასხვა დანაშაულებად, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული და საკუთარი მიზეზები აქვთ. როგორც აღვნიშნეთ, სამართლებრივ ურთიერთობაში დანაშაულობის საზოგადოებრივი ფორმა წარმოგვიდგება საპირიაპირო სახით, სახელდობრ კი მოვლენის სახით, რომელიც ასეთ ფორმას მოკლებულია. კერძოდ, სამართლებრივ ურთიერთობაში „დანაშაული", როგორც გაუცხოების მოხსნის ხერხი, წარმოდგენილია დამახინჯებული სახით, როგორც ქმედება, რომელიც თვითონვე იწვევს გაუცხოებას. ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფო, როგორც ინდივიდის გაუცხოების ხერხი, არ ჩანს.[241] სამართლებრივი ფორმა არ ქმნის დანაშაულთა არსს, ის მას მარტო ავლენს. მოსახლეობის გაუცხოება ვლინდება ქმედებათა სამართლებრივი ფორმის სახით. გაუცხოების პროცესისათვის სულ ერთია ქმედებათა რომელ იურიდიულ სხეულ-

240 Криминология (2003), под ред. Дж.Шелли, «ПИТЕР», с.101

241 აღნიშნული თემა ასახულია ნაშრომში: გ.თოდრია (2012), ისტორიზმის პრობლემა კრიმინოლოგიურ აზროვნებაში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, თბ., „მერიდიანი", გვ. 292 – 322

ში წარმოგვიდგება იგი, ქურდობის თუ მკვლელობის, ქრთამის თუ ძარცვის სახით. იურიდიული ფორმის დანიშნულება მდგომარეობს მარტო იმაში, რომ ქმედების დანაშაულად აღიარების მეშვეობით გამოავლინოს გაუცხოება როგორც საზოგადოებრივი მოვლენა.

დანაშაულობის გენეზისის სამართლებრივი ფორმის როლის გაუგებრომამ მეცნიერებაში წარმოშვა ლეგალისტური და ანტილეგალისტური მიმართულებების მწვავე დაპირისპირება. აღნიშნული დავა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა საბჭოურ ლიტერატურაში. ჩვენ სპეციალურად შევეხებით ამ პერიდის წყაროებს შემდეგი მიზეზის გამო. ტოტალური სახელმწიფოს პირობებში, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ასე ვთქვათ, ტოლობის ნიშანი დაისმის. „ნორმისგან" ნებისმიერი გადახრა მიიჩნევა ცალკეული ინდივიდის თვითნებობად. დანაშაულის მიზეზი მხოლოდ მასში ბუდობს. არსებობს მხოლოდ ინდივიდი და სახელმწიფო, ხოლო საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე ფაქტობრივად არ არსებობს. ამიტომ დანაშაულობის აღქმის საყრდენია მარტო დანაშაულობისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება ანუ დანაშაულობის არსის გამოვლენის ფორმა. ეს დამოკიდებულება ცნობილი იყო როგორც დანაშაულობისადმი ლეგალისტური მიდგომა. სოციოლოგებისაგან განსხვავებით ამ პოზიციას განსაკუთრებით ეჭიდებოდნენ იურისტები.

დანაშულობის ლეგალისტური გაგების თავისებურება.

ამ მიმართულების მომხრეთა მოსაზრების თანახმად, „დანაშაულობა სოციალურ-სამართლებრივი მასობრივი მოვლენაა, რომლის საფუძველს შეადგენს დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედებათა და ასეთ ქმედებათა ჩამდენ პირთა ერთობლიობა გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეული დროის განმავლობაში". მსგავსი დეფინიციების არგუმენტაციას საფუძვლად უდევს შემდეგი შეხედულებათა სისტემა.

დელიქტთა მთელი მრავალფეროვნებიდან გამოიყოფა ისეთები, რომლებიც საზოგადოებას ყველაზე მეტად ვნებენ და ამიტომ „საზოგადოებრივად საშიშნი" არიან. აღნიშნული ნიშანი ცხადდება, როგორც ძირითადი კრიტერიუმი ქმედების დანაშაულებრივად ცნობისათვის.[242] ამიტომ დანაშაულობის აბსტრაგირების კრიტერიუმად ლეგალისტური მიმართულების მომხრეები აცხადებენ გარკვეულ

242 Криминология (2006), (под ред. проф. В.Д. Малкова), М., «Юстицинформ» , с. 37–38

მოქმედებათა მნიშვნელოვან ზიანს ან ზიანის დადგომის შესაძლებლობას, რაც აისახება მარტო სისხლის სამართლის კანონით აღწერილ დანაშაულის შემადგენლობაში.

ამრიგად, „დანაშულობის" აბსტრაქციის განსაზღვრისას სწორედ კანონი გამოდის კრიტერიუმის როლში დანაშაულთა სხვა ნეგატიური აქტებისაგან განსასხვავებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც აღნიშნავენ ამ მიმართულების მომხრეები, წარმოიქმნება ბუნდოვანი აბსტრაქცია. მათი რწმენით, „დანაშაულთა, როგორც დანაშაულობის პირველადი ელემენტების სისტემა განაპირობებს მის სისხლისსამართლებრივ ხასიათს ... დანაშაულობის სისხლისსამართლებრივი თვისება ეწინააღმდეგება დანაშაულობის ცნებისა და მოვლენის შეცვლას რაღაც „გადახრილი ქცევით", რომელიც არცთუ იშვიათად გამოიყენება საზღვარგარეთულ კრიმინოლოგიაში. არ არსებობს დანაშაულთა „კერძოდ კრიმინოლოგიური" ცნებები"[243]. ლეგალისტური მიმართულების იურისტების აზრით, დანაშაულის იურიდიული განსაზღვრის იგნორირებით კრიმინოლოგი დანაშაულობის ცნებას უაღრესად ბუნდოვანს ხდის.[244] როგორც აღნიშნავენ, „იურიდიული თვალსაზრისით, ასეთი მიდგომა გამორიცხავს დანაშაულის საკუთარი ცნების შემუშავებას. სისხლის სამართალში მოცემული დანაშაულის ცნება მოიცავს ყველა მის სამართლებრივ ნიშანს, რომლებიც არსებითია კრიმინოლოგიის მეცნიერებისთვისაც...."[245]

ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა ზოგიერთი სოციოლოგიც. როგორც ამერიკელი პ. ტაპენი მიუთითებდა, „დღეს მრავალი კრიმინოლოგი აცხადებს, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის დარღვევის ფაქტი წარმოადგენს ქცევის დანაშაულებრიობის ხელოვნურ მაჩვენებელს, რომ კანონით შემუშავებული კატეგორიები არ შეესაბამება მეცნიერების მოთხოვნებს იმიტომ, რომ ისინი ატარებენ 'შემთხვევით ხასიათს" და „ორგანულად არ წარმოიქმნებიან"... როგორი სასურველიც არ უნდა გვეჩვენებოდეს საზოგადოებრივად საზიანო ქცევის კონცეფცია საერთო წესის ან აბსტრაქტული განსაზღვრების შესამუშავებლად, ის მაინც არ ადგენს, თუ სახელდობრ რა არის საზიანო. იგი სტანდარტს არ იძლევა. ეს კონცეფ-

243 Криминология (1998), (под редакцией Н.Ф.Кузнецовой), М., «Зерцало», с.39
244 В.Н.Кудрявцев и Б.С.Никифоров. Вступительная статья, Социология преступности, М., «Прогресс», с. 7
245 Криминология (2006), (под ред. проф. В.Д. Малкова), М., «Юстицинформ», с. 37–38

ცია არ ასხვავებს ცალკეულ შემთხვევებს, ის უბრალოდ სთავაზობს მკვლევარს გამოიყენოს შეფასებათა მისეული სისტემა. სანამ ანტისოციალური ქცევის ცნება სტრუქტურულად არ იქნება განსახიერებული ნათლად ხილულ კრიტერიუმებში ან ნორმებში, როგორც ამას ახლა აქვს ადგილი სამართლებრივ სისტემაში, იგი გამოუსადეგარია მეცნიერული კვლევის მიზნებისათვის. ემანსიპირებულ კრიმინოლოგს ჩიხში შეჰყავს საკუთარი თავი, როცა წყვეტს, რომ მსჯავრდადებული დამნაშავის შესწავლას აზრი არ აქვს, რადგანაც ეს ხელოვნურად შექმნილი კატეგორიაა".[246]

დანაშულობის ანტილეგალისტური გაგების თავისებურება.

დანაშაულობის ლეგალისტური გაგება კაცობრიობის ისტორიაში წინ უძღოდა საზოგადოების კაპიტალისტურ განვითარებას. მისი განსაზღვრება ეფუძნება ამა თუ იმ ქმედების სისხლის-სამართლებრივ შეფასებას, რომელიც უპირველესად წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან მისდამი დამოკიდებულების შედეგს. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდში ჩნდება დამნაშაულობის იურიდიული მხარის სოციოლოგიური კრიტიკა. მსგავსი შეხედულების ჩამოყალიბებას სტიმულს სოციალური გადახრების კონცეფციებში აძლევდა 20–30-იანი წლების დანაშაულობის ამერიკული სოციოლოგია. მეოცე საუკუნის შუახანებიდან ყალიბდება კრიტიკული კრიმინოლოგიის (სოციოლოგიის) გარკვეული მიმართულება, რომელიც დევიანტოლოგიის სხვადასხვა თეორიებში ავითარებს ანტილეგალისტურ იდეებს. ამის შედეგად ჩნდება დანაშაულობის არატრადიციული აბსტრაქციები.

ასეთი ტიპის აბსტრაგირების მომხრეთა კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს, უპირველესად, დანაშაულობის იურიდიული მხარე. დანაშაულობის იურიდიული მხარის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 30-იანი წლების სოციოლოგები გამოდიოდნენ. ტ. სელინი აღნიშნავდა: „დანაშაულებრივის და შესაბამისად ტერმინ „დამნაშავის" არსის ცვალებადობა კარგად ცნობილი ფაქტია... მაგრამ ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: როგორ უნდა შევუთავსოთ მსგავსი ცვალებადობა იმ საყოველთაო კატეგორიების შემუშავების მცდელობას, რომლებიც საჭიროა ნებისმიერი მეცნიერული კვლევის ჩასატარებლად? კრიმინოლოგიური კვლევის ძირითადი ერთეულების ანუ ელემენტების იურიდიულ განსაზღვრათა უპირობო მიღება არ-

246 П.Таппен (1966), Кто такой преступник?, Социология преступности, М., «Прогресс», с. 62

ღვევს მეცნიერების ძირითად კრიტერიუმს. მეცნიერი თავისუფალი უნდა იყოს თვითონ განსაზღვროს მოვლენა მის მიერვე შერჩეულ მასალაში, რომელიც აღნიშნავს მის იმ თვისებებს, რომლებიც უნივერსალური ხასიათის მატარებლებად ივარაუდებიან. მართლაც, არსებობს იმის ბევრი მაგალითი, თუ კანონში გამოხატული სახელმწიფო პოლიტიკა როგორ ზღუდავდა, ნულოვან ნიშნულამდე დაყავდა ან წინასწარ კარნახობდა მეცნიერული კვლევის შედეგს ამა თუ იმ დარგში..."[247]

შემდგომ წლებში ამ იდეამ სულ უფრო მეტი მომხრე ჰპოვა ამერიკელ სოციოლოგებს შორის. მარკ კოლვინი, რომელიც ემყარებოდა რ. აგნიუს, მ. გორფრედსონის დაძაბულობის თეორიის, ტ.ხირშის თავშეკავების თეორიის და რ. აკერმანის სწავლების თეორიის დასკვნებს, აღნიშნავდა, რომ დანაშაულთა უმრავლესობის მიმართ იძულების სისტემის დინამიკა მოუწისრიგებელ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით მის უმეტეს ქრონიკულ ან ჩვეულებრივ ფორმებში.[248] ანალოგიურად ვარაუდობენ სხვა სოციოლოგებიც. ქცევის ნორმებს, როგორც ისინი აღნიშნავენ, ადგენს ხელისუფლება და არა ხალხი. ამიტომ ღიად რჩება საკითხი: საიდან იცის ხალხმა, რომ მან უნდა იმოქმედოს სწორედ ამ ნორმების შესაბამისად. ეს ნორმები ხომ ყოველთვის არ განსაზღვრავენ ქცევის ზუსტ წესებს. საჭიროა კონცეფცია, რომელიც დაადგენს, თუ რა მიაჩნია მოსახლეობას ყველაზე მისაღებ ქმედების ნორმად.[249] საბოლოოდ მეცნიერები მიდიან იმ რადიკალურ დასკვნამდე, რომ ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის რეაქციას ქცევაზე და არა იმას, რომ იგი აკრძალულია კანონით.[250]

კრიტიკული დამოკიდებულება იურიდიული მხარის მიმართ თავს იჩენს რუსეთშიც – ლეგალისტური ტრადიციების ქვეყანაში. მას მხარს უჭერენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან: დ.შესტაკოვი, ი.გილინსკი, ტ.ხაგუროვი და სხვ.

აგრძელებს რა დანაშაულობის ამერიკული სოციოლოგიის

247 Т.Селлин (1966), Социологический подход к изучению причин преступности, Социология преступности, М., «Прогресс», с. 31–32

248 . Colvin (2000), Crime and Corecion: An Integrated Theory of Chronic Criminality, New York: St. artin's Press, p. 141

249 B. Marshall (2007), Clinard and Robert eier. Sociology of Deviant Behavior , p.3–49

250 P. Conrad (2006), Identifying Hyperactive Children: The edicalization of Deviant Behavior (Ashgate Classics in Sociology), p. 1–9

ტრადიციას, დ. შესტაკოვი თავის კრიტიკას შემდეგი ფაქტების საფუძველზე ასაბუთებს:

1. კანონმდებლის ნება ფიქტიურია: მიიჩნევს რა ქმედებათა ერთ სახეობას დანაშაულად, კანონმდებელი ამავე დროს არ ითვალისწინებს სასჯელს სხვა ქმედებათათვის.[251] დ. შესტაკოვის ზრით, „...თუ კრიმინოლოგიაში დანაშაულად მივიჩნევთ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ნახსენებია კანონში, მაშინ უკვე არსებული ხარვეზის ან სისხლის სამართლის კოდექსიდან ქცევის ამოლების შემთხვევაშიც საზოგადოებისათვის ყველაზე საშიში ქცევა ხედვის არედან ვარდება. ამავე დროს, ცნობილია, რომ საშიში საქმიანობისაგან (მართლსაწინააღმდეგო რეპრესიები, პრივატიზაციის დროს დარღვევები, ბანკების თვითნებობა, რომლებიც უარს ამბობენ კრედიტების დაბრუნებაზე და ა.შ.), რომელიც პირდაპირ არაა აკრძალული, მოსახლეობა განუზომლად მეტად ზარალდება, ვიდრე იმისგან, რაც კანონმდებლობით დანაშაულებრივ ქმედებადაა აღიარებული. და პირიქით, დაუსაბუთებელი ან უსამართლო კანონი ზოგჯერ საზოგადოებას და მის წიაღში განვითარებულ მეცნიერებას თავზე ახვევს დანაშაულად იმის აღიარებას, რაც სინამდვილეში არა იმდენად ან სულაც არაა საზიანო გარემოცვისათვის".[252]

2. „სინამდვილეში კანონმდებელი წარმოშობს დანაშაულებრივ ქცევას და მთელ მის სახეობებს ამა თუ იმ ქმედებათა კრიმინოლოგიურად დაუსაბუთებელი სისხლისსამართლებრივი აკრძალვით. ასე იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში „მშრალი კანონის" მოქმედების დროს, როცა სასჯელის დაწესებამ ალკოჰოლური სასმელების გაყიდვისათვის ბიძგი მისცა დანაშაულებრივი დაჯგუფებების, კერძოდ კი, „კოზა ნოსტრას" ჩამოყალიბების დაჩქარებას. მთელ მსოფლიოში ნარკობიზნესი აღწევს ზესიმდიდრეს მნიშვნელოვანწილად ასევე ნარკოტიკულ ნივთიერებათა გავრცელებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არსებობის წყალობით." 1936–1954 წლებში აბორტის სისხლისსამართლებრივმა აკრძალვამ ხელი შეუწყო დედების მიერ ახალშობილთა მკვლელობათა რიცხვის ზრდას და ა.შ.[253]

აქედან ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ „იურისპრუდენცია-

---

251 Д.А.Шестаков. О понятии преступности, Преступность среди социальных подсистем, Санкт–Петербург, «Юрид. центр Пресс», с. 20

252 იხ. იქვე, გვ. 24

253 იხ. იქვე, გვ. 21

ში წარმოდგენა დანაშაულზე არ შეიძლება იყოს შეზღუდული კანონით მისი გათვალისწინების ნიშნით, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონის ადგილს დაიკავებს განუკითხაობა. ხოლო კრიმინოლოგიაში, რომელიც გამოდის იქიდან, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონები ყოველთვის როდია სამართლიანი, დანაშაულის ქვეშ უნდა გავიგოთ დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს თუ იგი კანონით ასეთად იქნება აღიარებული".[254] „დანაშაულობის იურიდიული მხარე ვლინდება იმაში, რომ კანონი, რაღაც აზრით, წარმოადგენს დანაშაულობის წყაროს, ერთ შემთხვევაში ფიქტიურს, მეორეში – ნამდვილს".[255]

ი. გილინსკის აზრით, „დანაშაულობა კონსტრუირდება ორ სხვადასხვა საფუძველზე. ესენია: რეალური (ონტოლოგიური, ობიექტური) ზიანი და ამის შესახებ მითითება კანონში, რომელიც ყოველთვის კანონმდებლის სუბიექტურ ნებას წარმოადგენს". საზოგადოებრივი საშიშროება, ზიანი – მატერიალურია, რაც ახასიათებს საგანს როგორც ასეთს, ის სუბსტანციური ნიშანია, დანაშაულობის იმანენტური თვისებაა. ეს ნიშანი ობიექტურია, რომელიც არსებობს შეცნობის სუბიექტისაგან – კანონმდებლისაგან დამოუკიდებლად. დანაშაულობის „ეს „ორმაგი ბუნება" – ერთი მხრივ, რეალური ზიანი (harm), მეორე მხრივ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინება (კონვენციალობა) განაპირობებს მისი განსაზღვრის სირთულეს".[256]

როგორც ავტორი აღნიშნავს, ერთი მხრივ, დანაშაულობის „რეალური", „ონტოლოგიური", „ობიექტური" თვისება – ესაა დანაშაულობით გამოწვეული ზიანი; ეს თვისება დამახასიათებელია „საგნისათვის, როგორც ასეთისათვის და იგი არის სუბსტანციური, იმანენტური". „ესაა შემეცნების სუბიექტისაგან (კანონმდებლისაგან) და მანამდე დამოუკიდებლად არსებული ობიექტური ნიშანი". მეორე მხრივ, საქმიანობის ზოგიერთი სახეობა, ავტორის აზრით, ითვლება სოციალურად დასაშვებად, ზოგიერთი კი – დევიანტურად და ხშირად დასჯადად. ისინი წარმოდგენილი არიან სოციალური კონსტრუქ-

254 Д.А.Шестаков (2003), О понятии преступности, Преступность среди социальных подсистем,Санкт–Петербург, «Юрид.центр Пресс», с. 22.

255 იხ. იქვე, გვ. 20

256 Я. Гилинский (2005), Понятие преступности в современной криминологии, Юрид. Журнал Казахстанской юрид. Ассоциации «Предупреждение преступности», № 1, с. 28–31

ციისა და კანონმდებლების შეთანხმების („აქ და ახლა") შედეგის სახით. „რეჟიმი ახდენს დევიანტურობის და დანაშაულობის სხვადასხვა სახეობის კონსტრუირებას, ქმნის „განტევების ვაცებს", რომელთა ანგარიშზე ადვილი ჩამოსანერია საკუთარი სოციალური პოლიტიკის შეცდომები და წარუმატებლობანი". „კანონში ამის შესახებ მითითება... ყოველთვის წარმოადგენს კანონმდებლების სუბიექტური ნების შედეგს". ამიტომ „ფორმალური არასუბსტანციურობა", „ფორმალური ნიშანი – ეს არასუბსტანციური ნიშანია, ის არ მიეკუთვნება სინამდვილის საგანს, არ წარმოადგენს მის იმანენტურ თვისებას"; დანაშაულობა გამოდის, როგორც „ხელისუფლების პირმშო", „წარმოადგენს კანონმდებლის სუბიექტური ნების შედეგს". ი. გილინსკი აზუსტებს: „ნათქვამი არ ნიშნავს, რომ სოციალური კონსტრუირება საერთოდ და, კერძოდ დანაშაულობის, გაუთვალისწინებლადაა მოხდენილი. საზოგადოება ახდენს საკუთარი ელემენტების „კონსტრუირებას" ონტოლოგიური რეალიების საფუძველზე". ასეთ რეალიად ავტორი აღიარებს გარკვეულ ზიანს, ზარალს, რაც ამის გამო „სხვა ადამიანებისაგან, საზოგადოებისაგან ნეგატიურად აღიქმება და ფასდება". მაგრამ ზოგიერთი სახეობა „კრიმინალიზებულია საკმარისი ონტოლოგიური საფუძვლების გარეშე". ავტორს მხედველობაში აქვს ქმედებები, რომლებიც „სხვებისათვის ზიანის მომტანი არ არიან": ნარკოტიკების მოხმარება, ნებაყოფილობითი ჰომოსექსუალიზმი, მეძავეობა, ექიმის მიერ აბირტების გაკეთება და ა. შ.

2.1.3. ლეგალისტური და ანტილეგალისტური მიდგომების კრიტიკისათვის.

ერთმანეთის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებში ამ მიმართულებათა მომხრეები არგუმენტებს ამყარებენ ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ცხოვრებაში გარეგნულად მართლაც გვხვდება. ამიტომ არცერთ არგუმენტს არ ძალუძს ბოლომდე დაამტკიცოს დასაცავი მიმართულების პრიორიტეტულობა. რომ გავერკვეთ იმაში, თუ რა უშლის ხელს დანაშაულობის იურიდიული ფორმის გაგებას, დაწვრილებით განვიხილოთ აღნიშნულ მიმართულებათა არგუმენტები.

დანაშაულობის იურიდიული მხარის გაგების ძირითადი პრობლემა შემდეგში მდგომარეობს. ლეგალისტური მიდგომა ეფუძნება დებულებას, რომ კრიმინალიზდება მხოლოდ ის ქმედებები, რომლებიც გარკვეულ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს მიერ დაცულ ინტერე-

სებს. გარკვეულწილად, როგორც დავინახეთ, ამ პოზიციას მხარს უჭერენ არატრადიციული (ანტილეგალისტური) მიდგომის მომხრეებიც. ეს არგუმენტაცია მხოლოდ პირველი შეხედვით ჩანს მისაღები, რამეთუ იგი არ განიხილავს მთელი დანაშაულობის ზიანს როგორც ერთიან ფენომენს. ეკონომიკური დანაშაულობისათვის განსაზღვრულია ზიანის განსაკუთრებული სახეობა, ძალადობრივისათვის – ზიანის სხვა ტიპი და ა. შ. ამიტომ დანაშაულობის ერთი სახეობის ან ფორმისათვის შემუშავებული რეკომენდაციები ნაკლებად გამოსადეგია სხვა სახეობებისა და ტიპებისათვის. ამ პრობლემის დაძლევას ხელს უშლის იურიდიული პრაქტიკა როგორც ათვლის წერტილი, რომელიც არ ანსხვავებს ზიანს, რომელიც მიეყენება მოსახლეობას (მათ შორის სახელმწიფო რეგულირების საშუალებების მეშვეობითაც) და ზიანს, რომელიც გამონვეულია დანაშაულობით.

სინამდვილეში, დანაშაულობის ონტოლოგიურ თვისებას წარმოადგენს გაუცხოების, ე. ი. ცხოვრებაში წარმოშობილი პირადი, ოჯახური და სხვა სოციალური სიძნელეების მოხსნის თვისება. ადამიანი უნდა იყოს გაუცხოებული, რომ მან მოახდინოს მასზე რეაგირება გაუცხოების მოხსნის ხერხით – დანაშაულით. ამიტომ გაუცხოება ან ზიანი, რომელიც ადგება პიროვნებას (ემუქრება ინდივიდს), იზომება სხვანაირად, ვიდრე გაუცხოების, ე. ი. დანაშაულებიდან მომდინარე ზიანის მოხსნა.

მეცნიერული კრიმინოლოგიური აზროვნება წარმოიქმნება მაშინ, როცა ის იწყებს პასუხის გაცემას კითხვაზე: როგორ გვევლინება „დანაშაული", როგორც გაუცხოების მოხსნის ხერხი? ეს საკითხი სინამდვილეში წყდება ისტორიულად. გამონაკლისს არც კაპიტალისტური საზოგადოება წარმოადგენს.

ამრიგად, დანაშაულობის ლეგალისტური განსაზღვრა ვერ გამოდის იმ სამართლებრივი ურთიერთობების ფორმის ხედვიდან, რომელიც ტიპობრივია დანაშაულობასთან ბრძოლისათვის.[257] ამიტომ საკითხი დანაშაულობის იურიდიული მხარის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ ჰაერშია გამოკიდებული. განმარტების გარეშე რჩება დანაშაულობის „მავნებლობის" ობიექტურობის დასაბ-

257 შემთხვევითი არაა, რომ დანაშაულობის თანამედროვე სოციოლოგია მოითხოვს „დანაშაულთა" ინტეგრალურ განხილვას, როგორც გაუცხოების მოხსნის ხერხისა და როგორც მოვლენისა, რომელიც ვლინდება სამართალურთიერთობაში. (იხ: Gr. Barak (2002), «Integrative Theories», Encyclopedia of Crime & Punishment)

უთების და მისი ათვლის წერტილის პრობლემა.

განვიხილოთ ანტილეგალისტური მიმართულების არგუმენტი, რომელიც წამოაყენეს დანაშაულობის იურიდიული მხარის წინააღმდეგ. ამ მიმართულების მომხრეთა ძირითადი არგუმენტი, როგორც უკვე ითქვა, იმაში მდგომარეობს, რომ კრიმინალიზაციის ორბიტაში არ ხვდება მოვლენები, რომლებიც დანაშაულზე ნაკლებად საშიში არ არიან, ან ხვდებიან ისეთი მოვლენები, რომლებიც არ არიან საშიში ხასიათის. თუმცა, სოციალური კონსტრუირება საერთოდ და კერძოდ დანაშაულობის, თვითნებურად არ ხდება. საზოგადოება ახდენს თავისი ელემენტების „კონსტრუირებას" ონტოლოგიური რეალიების საფუძველზე. და მაინც, იურიდიული ნიშანი არ წარმოადგენს დანაშაულობის იმანენტურ თვისებას; იგი ძლიერ ვარირებს, რაც არაა სპეციფიკური არსებითი ნიშნისათვის. იურიდიული ნიშანი წარმოადგენს კანონმდებლების სუბიექტური ნების შედეგს და ამის გამო არ განეკუთვნება დანაშაულობას. მხოლოდ დანაშაულობის „მავნებლობა" წარმოადგენს სუბსტანციურ, იმანენტურ თვისებას. სწორედ ის არსებობს კანონმდებლებისაგან დამოუკიდებლად და ამიტომ ატარებს ობიექტურ ხასიათს.

დანაშაულობის იურიდიული მხარის უარყოფით ეს მიმართულება სხვა უკიდურესობაში ვარდება. იგი ვერ ხედავს, რომ სამართალი წინასწარ უნდა გახდეს ისტორიულად გაბატონებული მითვისების მომენტი და ამასთან დაკავშირებით, იმ სოციალური სიტუაციის შექმნის საშუალება, რომლიდანაც იწყება მითვისების მოცემული ტიპისათვის „სამშენებლო მასალის" არჩევა. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება სამართლის მიერ ქმედებათა კრიმინალიზება ან დეკრიმინალიზება. გავიხსენოთ მაწანწალობის ისტორიული ფაქტი, რომელიც ფუნქციონალურად იქნა ახსნილი სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლის მიერ. სინამდვილეში რეალური სურათი სხვაგვარად გამოიყურებოდა: კაპიტალისტური საზოგადოების ჩასახვის განთიადზე კაპიტალის დაგროვება შეუძლებელი იყო მოსახლეობის ნაწილისათვის საკუთრების ჩამორთმევის გარეშე, რომელიც შემდეგ მაწანწალობას იწყებდა. მაგრამ დაგროვების იგივე პროცესი მაწანწალობას აცხადებდა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად, რადგანაც მანუფაქტურები მოითხოვდნენ იაფ სამუშაო ძალას და თანაც იძულებითი პირობებით.

ამრიგად, სამართალსა (როგორც საზოგადოებაში გაბატონებულ მითვისების ისტორიული ტიპის მომენტს) და დანაშაულობას შორის

არსებობს რთული გაშუალედებული კავშირი. მხოლოდ მითვისების გაბატონებული ტიპის მომენტად გახდომის შემდეგ იწყებს სახელმწიფო (სამართალი) მრავალფეროვან ქმედებათა შერჩევით კრიმინალიზაციას. აქ აქსიომატურია შემდეგი დებულება: „თუ ... „ფაქტიური დამოკიდებულება" ... არ გამოდის, როგორც სამართლის გამოყენების შედეგი, მაშინ იგი არც სამართლის მიზეზს წარმოადგენს".[258]

ცხოვრების მთელი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის კანონით ქმედებათა აგრძალვის ე. წ. შერჩევა, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის კანონი იყო მითვისების გაბატონებული წესის ელემენტი.[259] მაშასადამე, არა კანონმდებლების თვითნებობა, არამედ მითვისების არსებული ისტორიული ტიპი განსაზღვრავს კანონმდებლების „შეცდომებს" და მათ „შორსმჭვრეტელობას". ამრიგად, მითვისების ეს ტიპი არამარტო იწვევს „დანაშაულობას", არამედ ამავე დროს აფასებს მათ, როგორც ასეთებს. აქედან გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი ფორმა არ არის შემთხვევითი დანაშაულობის ცნების განსაზღვრად. მაშასადამე, საჭიროა დავადგინოთ, რა სოციალური კანონების მიხედვით ხდება დანაშაულობა როგორც შედეგი და შემდეგ ვაჩვენოთ მისი ადგილი სამართალდარღვევაში. სწორედ ამ პუნქტში წარმოიშობა დანაშაულობის ფეტიშირებული აღქმის პრობლემა მის მრავალრიცხოვან დეფინიციებში (რასაც იურისტები ცნებებს უწოდებენ).

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტრარგუმენტი. დანაშაულობისადმი არატრადიციული მიდგომის მომხრეებს ყურადღების მიღმა რჩებათ მისი განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი მომენტი და არ პასუხობენ კითხვაზე: რაში მდგომარეობს იურიდიული განსაზღვრის ჭეშმარიტი როლი, რას იძლევა ის სინამდვილეში?

საკამათოდ არ გავხდით იმ ფაქტს, რომ დანაშაული არის გაუცხოების მოხსნის ინდივიდუალური ხერხი, ინდივიდზე ზემოქმედების სიღატაკის, გარემოცვის, უმეცრების, გაველურების, მორალური დეგრადაციის, უიმედობის და სხვა სახით. ადამიანზე

---

258 Э.В. Ильенков (1960), Диалектика абстрактного и конкрстного в научно–теорстическом мышлении, М., Институт философии АН СССР, с. 100

259 საილუსტრაციოდ გამოდგება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი. (იხ: გ. თოდრია (2007), იურიდიული პირის პასუხისმგებლობა: მცდარი გზა სამართალში და ჭეშმარიტება, თეუსუ-ს საიუბილეო კრებული. თბ.)

თავსდატეხილი ძალა ძნელად ასახსნელია, იგი წარმოიშობა მის ზურგს უკან და მისთვის უცხოა. რამდენადაც იგი აღმოჩნდება დესტრუქციულ მდგომარეობაში, რომელიც მოტივირებს მის მოქმედებას, ამ სიტუციიდან ნებისმიერი გამოსავალი, მიუხედავად კანონის დამოკიდებულებისა, წარმოადგენს გაუცხოების მოხსნის მის პირად აქტს. ინდივიდის დამოკიდებულების გარკვევა საკუთარი ქმედებისადმი არის ფსიქოლოგიური კვლევის საგანი. მაგრამ, როგორც არ უნდა ვატრიალოთ, აქ ვერ აღმოვაჩენთ გაუცხოების მოხსნის აქტის საზოგადოებრივ ხასიათს. ის ინდივიდუალური და განუმეორებელია. აქ მთავრდება ფსიქოლოგიური სკოლების პრეტენზიები, რომლებიც ობივატელისათვის მომგებიან ასპექტში წარმოადგენენ ფეტიშირებულ სამყაროს, როგორც ინდივიდის მოტივაციის რეალობას.

ამავე დროს, საკუთარი საზოგადოებრივი წარმომავლობის გამოსავლენად, გაუცხოების მოხსნის აქტმა უნდა დაძლიოს მეტამორფოზებისა და ურთიერთგამორიცხვების გრძელი გზა. ამ გზაზე პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მისი გაუცხოების ხერხად გადაქცევა, ე. ი. ეს ხერხი უნდა გადაიქცეს სამართლის მიერ სტიგმატიზირებულ ფორმად. ამრიგად, მხოლოდ სამართალი გვაძლევს დანაშაულობის საზოგადოებრივი ხასიათის აღმოჩენის საშუალებას. ეს პროცესი ატარებს ვირტუალურ ხასიათს: საკუთარი საზოგადოებრივი ხასიათის აღმოსაჩენად მრავალათასიანი აქტები სამართალმა უნდა წარმოადგინოს, როგორც პირად ბედთა მიმოფანტული ნამსხვრევები. თუმცა მათ ზურგსუკან დგას საერთო ტრაგედია, როგორც განუყოფელი და მთლიანი ფენომენი. ასეთია პარადოქსი, რამეთუ ადამიანთა ისტორიას არ გააჩნია დანაშაულობის გამოხატვის სხვა ხერხი. მოკლედ, სამართალი, როგორც მითვისების გაბატონებული ტიპის ელემენტი, თავიდანვე მონაწილეობს დანაშაულობის ჩამოყალიბებაში. მაგრამ იმისათვის, რომ არ ჩანდეს მისი რეალერი სოციალური დამოკიდებულება დანაშაულობისადმი, ის ერთდროულად გამოდის არა სუბიექტის, არამედ კრიმინალური ხელყოფის ობიექტის როლში, როგორც მოვლენა, რომლის გარეშე განყენებულ სამყაროში ადგილი აქვს ათასობით შემთხვევით აქტს.

დაბოლოს, განვიხილოთ დანაშაულობის ბოლო ნიშანი – დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილება როგორც საზოგადოების გარკვეული ორგანიზაციის შედეგი.

ამ ნიშნის განმარტებისას მსოფლიოს კრიმინალოგთა უმრავ-

ლესობა ერთსულოვანია იმაში, რომ დანაშაულობა არის ადამიანთა სოციალური ქცევის ფორმა, რომ დანაშაულობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სწორედ საზოგადოებაში და ა. შ. ეს თეზისი უკვე დიდი ხანი ბანალურია. ყველა კრიმინოლოგი და სოციოლოგი დანაშაულობის წარმოშობას უკავშირებს სახელმწიფოს, სამართლის წარმოშობის პერიოდს, ადამიანთა საზოგადოების სოციალურ, ქონებრივ და კლასობრივ ფენებად დაყოფას. ასევე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ დანაშაულობის ისტორიულად ცვალებადი ხასიათი, ისევე როგორც მისი ციფრები, სტრუქტურები და სახეობები – საზოგადოებაში მიმდინარე წინააღმდეგობათა შედეგია.

მაგრამ ეს საკითხი იწყებს ადგილზე ტკეპნას როგორც კი ისმება ძირითადი კითხვა: როგორ უკავშირდება დანაშაულობა მოცემული ისტორიული ტიპის საზოგადოების განვითარებისა და არსებობის ძირითად კანონს? ამ პუნქტში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მსოფლმხედველობა. ერთი მათგანი ასახავს მარქსის თეზისს საზოგადოების ისტორიული განვითარებისა და მისი ეტაპების ცვლის შესახებ. ხოლო მეორე ასახავს თეზისს საზოგადოების უცვლელობის შესახებ. სხვადასხვა კრიმინოგიური თეორიები არსებითად ასახავენ ამ ფილოსოფიური მიმართულებების ბრძოლას.

კ. მარქსის თანახმად, კაპიტალისტური სისტემის ძირითად კანონს წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების კანონი. სწორედ ის არის ყველა სოციალური ცვლილების საზომი, დანაშაულობის ცვლილების ჩათვლით. დანაშაული წარმოგვიდგება მოსახლეობის სწორედ ამ ნაწილის აღშფოთების უხეშ ფორმად, რომელსაც კაპიტალი გამოდევნის საკუთარი „სავანიდან" თავისი დაგროვების ეკონომიკური კანონის მიხედვით. ეს მსოფლმხედველობა გულისხმობს ისტორიულ მიდგომას, რადგანაც ამტკიცებს, რომ კერძო საკუთრების გაქრობის შემდეგ დანაშაულობაც გაქრება. [260]

საპირისპირო პოზიცია უკავია „წონასწორობის" მსოფლმხედველობას. ინდივიდისათვის, რომელიც ჩართულია საბაზრო ურთიერთობათა სამყაროში, ნათელია, რომ განვითარებადი სოციალური ორგანიზმის რევოლუციური დამხობის იდეას არ გააჩნია ობიექტური ნიადაგი, რამეთუ კაპიტალის შემდგომი კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, გასაღების ბაზრის გაფართოება, საბაზრო ურთიერთობათა გლობალიზაცია და კაპიტალისტური სისტემის გან-

260 ამ თეორიისადმი კრიტიკული მიდგომა იხ.: Г.Шнайдер (1994), Криминология, «Прогресс», с.258–261

ვითარების სხვა პოზიტიური პროცესები ობიექტურად უარყოფენ ასეთ შესაძლებლობას. ამგვარ ხედვას ხელს უწყობენ ბაზრის გლობალური კანონები, რომელთა წნეხის ქვეშ ინგრევა სხვადასხვა ტოტალური რეჟიმები, ისეთი დიდი იმპერიის სოციუმის ჩათვლით, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი.

არსებული ურთიერთობებიდან აუცილებლად წარმოიქმნება ნარმოდგენა, რომელიც ეყრდნობა ბაზრის კანონების მიერ დარგობრივი დისპროპორციების აღდგენას, კაპიტალის მასობრივ განახლებას, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, უმუშევრობის შემცირებას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სოციალური და ეკონომიკური რყევების თანმდევ მოვლენებს. ამიტომ ყოველდღიური რეალობა არწმუნებს მას იმაში, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიული საფეხური ჯერჯერობით არ მიუთითებს კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკურ და სოციალურ შესაძლებლობათა ამონურვაზე და საზოგადოების მოცემული ფორმის სხვა ფორმით შეცვლის ისტორიული პერსპექტივის არსებობაზე. მსგავსი ისტორიული გარდაქმნების ფაქტები მის ცნობიერებაში ობიექტურად ვერ ნახულობენ დადასტურებას და ამიტომ უტოპიად წარმოგვიდგებიან.

ამ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, თეორიულ აზროვნებაში მკვიდრდება მსოფლმხედველობრივი პრინციპი, რომლის თანახმად „სოციოლოგიისა და სხვა სოციალურ მეცნიერებათა პროგრესი ...იძლევა იმის საფუძველს, რომ უარვყოთ სოციალური რევოლუციის იდეა, რომელსაც იცავენ მარქსის მიმდევრები და მის მაგივრად შევთავაზოთ საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელი ზოგიერთი სოციალური რეფორმა"[261], ე. ი. „წონასწორობის", „წესრიგის" იდეა.

„წონასწორობის" იდეა მყისვე უსვამს მეცნიერებას აზროვნების ორ, პირდაპირ საპირისპირო კონსტანტის შეთავსების რთულ მეტათეორიულ ამოცანას: სოციალური განვითარების დაბალი ფორმის მაღალი ფორმით შეცვლისა და არსებულ სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურ მდგომარეობაში შენარჩუნების აუცილებლობის თეზისების სახით. პირველი თეზისი ვერ ნახულობს დადასტურებას კაპიტალისტური სისტემის რეალობაში, ის მხოლოდ ივარაუდება რეტროსპექტიულ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით. ხოლო მეორე თეზისი შეესაბამება კაპიტალისტური სისტემის რეალობას, მა-

261 Ch. Ellwood (1910), Sociology and odern Social Problems, Amerikan Book Co, N.Y., p. 368

გრამ კაცობრიობის ისტორიის არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. სწორედ არსებული რეალობის გავლენით სოციოლოგიის (და შესაბამისად კრიმინოლოგიის) თეორეტიკოსების წინაშე დგება ისეთი კონცეპტუალური აპარატის შექმნის აუცილებლობა, რომელიც არამარტო მოახდენს პირველი თეზისის რედუცირებას მეორე თეზისის სისტემაში, არამედ კიდეც მოახდენს მის ისეთი სახით გარდქმნას, რომ დაადასტუროს კაპიტალისტური სისტემის ისტორიული უცვლელობა. ამრიგად, მხოლოდ უცვლელობის ფაქტებზე დაყრდნობით იბადება სოციალური ფორმების ისტორიული ცვლის დადგენის პარადოქსული მოთხოვნილება. ობიექტურად წარმოქმნილი ალოგიკური ამოცანის გადაწყვეტას შეეცადნენ სხვადასხვა ნატურალისტური (კ. პოპერი, ტ. პარსონსი, რ. მაკაივერი და სხვ.), „ეკლექტიკური" (ი. ხაბერმი, კ. აპელი და სხვ.) და დესკრიპტული (ა. შიუცი, პ. უიმჩი და სხვ.) თეორიები. შესაბამისად რადიკალური კრიმინოლოგიის მომხრეთა შორის ხდება განხეთქილება საზოგადოებაში დანაშაულობის ადგილისა და როლის გაგების თაობაზე.

ყველაზე უფრო რადიკალურად განწყობილი მეცნიერები მაინც იცავენ მარქსისტულ თეზისს დანაშაულობის მოგების ეკონომიკურ კანონებზე დამოკიდებულების შესახებ.[262] უფრო ნაკლებად რადიკალური მიმართულება ძალაში ტოვებს ეკონიმიკურ ფაქტორს, მაგრამ რამდენადმე გაზავებული სახით[263] და დანაშაულობას განიხილავს, როგორც კლასობრივი, სოციოლოგიური თეორიები, რომლებიც უკუაგდებენ ეკონომიკურ მსჯელობებს და ყურადღება სოციალურ დეზორგანიზაციაზე და კულტურათა კონფლიქტზე გადააქვთ.[264] დაბოლოს, ვითარდება მიზეზთა ძიების სრული უარყოფა, რადგანაც საზოგადოების უცვლელ წყობაში მათი აღმოჩენა სრულიად შეუძლებელია.[265]

---

262 К.Р.Макконнелл, С.Л.Брю (2003), Экономикс, М., «ИНФРА–М», т. 2, с. 215

263 ალესანდრო დე გირგის აზრით მარქსის მიერ შემუშავებული „ზედნაშენისა" და „ბაზისის" ცნებები ვერ უძლებენ კრიტიკას. თანამედროვე პირობებში წარმოება მოითხოვს კომპიუტერულ, ინფორმაციულ და რთულ ინტელექუალურ ტექნოლოგიებს. ამიტომ ზედნაშენი ასრულებს ამავე დროს ბაზისურ ანუ მატერიალურ ფუნქციას (იხ.: A. Girgi (2006), Re–Thinking the Political Economy of Punishment: Perspectives on Post– ordism and Penal Politics, Publisher: Routledge, ჯ. 57)

264 Э.Сатерленд (1966), Являются ли преступления людей в белых воротничках преступлениями?, Социология преступности, М., с. 45–49

265 Т.Селин (1966), Социологический подход к изучению причин преступности,

2.1.4. ზოგიერთი მოსაზრება დანაშაულობის ცნების აგების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, დეფინიციას არ ძალუძს დანაშაულობის არსის დადგენა. ეს ფუნქცია ეკისრება მხოლოდ დანაშაულობის ცნებას, რომლის დამუშავებაც დამოუკიდებელი პოზიტიური კვლევის საგანს წარმოადგენს. მაგრამ, იმდენად რამდენადაც, ასეთი გამოკვლევა მსოფლიო კრიმინოლოგიაში ჯერჯერობით არ არსებობს, მოცემულ ნაშრომში შეიძლება შემოვიფარგლოთ დანაშაულობის დეფინიციით, რომელსაც მასალის ასათვისებლად შეუძლია შეასრულოს წინასწარი საორიენტაციო როლი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ლაპარაკია დანაშაულობაზე, იგულისხმება დანაშაულობა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. დანაშაულობის გენერირების ყველა ეპოქას აქვს ზოგიერთი საერთო ნიშანი, ზოგიერთი საერთო განსაზღვრება. დანაშაულობა, საერთოდ, ესაა აბსტრაქცია, მაგრამ გონიერი აბსტრაქცია, რამდენადაც იგი ხაზს უსვამს საერთოს, აფიქსირებს მას და ამრიგად, თავიდან გვაშორებს გამეორებებს. განსაზღვრებები, რომლებიც, საერთოდ, ნამდვილია დანაშაულობის ფორმებისათვის, უნდა გამოიყოს სწორედ იმიტომ, რომ ერთიანობის გამო დავიწყებას არ მიეცეს არსებითი განსხვავება.

ამ მეთოდოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, დანაშაულობის ყველაზე ზუსტ დეფინიციებს შორის უნდა ვაღიაროთ ა. კეტლეს მიერ მოცემული დეფინიცია. მის მიერ წამოყენებული დებულების ფარგლებში დანაშაულობა – ესაა დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილება, რომელიც აუცილებლად არის ნავარაუდევი საზოგადოების ორგანიზაციით. გარკვეული თვაალსაზრისით, მოცემული განსაზღვრება ყველაზე ზუსტად აფიქსირებს ემპირიულ ფაქტს. მასში ხაზგასმულია საერთო ნიშნების შემდეგი ერთობლიობა:

- დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილება – ესაა დიდი მასშტაბით აღებულ დანაშაულთა ცვლილება, რომლებიც როგორც თავისი რიცხვის, ისე კვალიფიკაციის მიხედვით ავლენენ გარკვეულ კანონზომიერებას;
  საზოგადოების გარკვეული ორგანიზაცია ვლინდება განსაკუთრებული სახით, ე. ი. სახელდობრ დანაშაულთა და არა სხვა სოციალურ გადახრათა კანონზომიერ ცვლილებაში;

Социология преступности, М., с. 27

დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილება წარმოადგენს საზოგადოების გარკვეული ორგანოზაციის შედეგს.

პირველი ორი ნიშანი ასახავს ფაქტს იმ სახით, რა სახითაც იგი ზედაპირული დაკვირვების დონეზეა მოცემული. ბოლო ნიშანი ასახავს მოვლენას, რომელშიც არსი ცალმხრივად ჩანს. განვიხილოთ ეს ნიშნები, თანაც გვახსოვდეს, რომ დანაშაულობას ვიხილავთ დეფინიციისა და არა ცნების დონეზე.[266]

დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილება – ესაა, უპირველესად, რაოდენობრივი ცვლილება დანაშაულთა მასობრივი გავრცელების ფორმით. ჩვეულებრივ, იგი გამოიხატება სრულიად განსხვავებულ რიცხვობრივ მაჩვენებლებში (აბსოლუტურ სიდიდეებში, კოეფიციენტებში, ინდექსურ მაჩვენებლებში, ფორმულებში და ა.შ.), მაგრამ დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილების საწყის გამომსახველს წარმოადგენს სწორედ დანაშაულთა რიცხვი.

ფილოსოფიური თვალსაზრისით ამ რიცხვის ბუნება ისე უბრალო როდია, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს. მასში შერეულად არის

---

266 ა. კეტლედან მოყოლებული, აღნიშნული კანონზომიერება ფიქსირდება სტატისტიკური დაკვირვების განსაკუთრებული მეცნიერული მეთოდით. მისი განსაზღვრება ძირითადად ატარებს აღწერით ხასიათს. შემოთავაზებული განსაზღვრების თანახმად, „საზოგადოება თავის წიაღში შეიცავს ყველა მოსახდენი დანაშაულის ჩანასახს იმიტომ, რომ მასში მოცემულია მათი განვითარების ხელშემწყობი პირობა; იგი, ასე ვთქვათ, ამზადებს დანაშაულს, ხოლო დამნაშავე მხოლოდ იარაღია. მაშასადამე, ყოველგვარი სოციალური მდგომარეობა გულისხმობს დამნაშავეთა გარკვეულ რიცხვს და გარკვეულ წესრიგს, რომლებიც მისი ორგანიზაციის აუცილებელი შედეგია". (А.Кетле (1913), Социальная физика или опыт исследования о развитии человеческих способностей, Киев., т.1, т.2). „შესაძლებელ დანაშაულთა პროგნოზში, – აღნიშნავდა კ. მარქსი, – ბატონმა კეტლემ მართლაც განსაცვიფრებელი სიზუსტით ინინასწარმრტყველა იმ დანაშაულთა არამარტო საერთო რიცხვი, არამედ მათი სხვადასხვა სახეობა, რომლებიც მართლაც ჩაიდინეს საფრანგეთში... აღნიშნული გვიჩვენებს, რომ საზოგადოების ამა თუ იმ ეროვნულ ნაწილში ჩადენილ დანაშაულთა საშუალო რიცხვი დამოკიდებულია არა იმდენად მოცემული ქვეყნის საგანგებო პოლიტიკურ დაწესებულებებზე, რამდენადაც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ძირითად პირობებზე" ¤ (К.Маркс. Смертная казнь. К.Маркс и Ф. Энгельс. Полн.собр. соч.,т. 8, с. 532). ამიტომ ეჭვს არ იწვევს მეცნიერულად სარწმუნო ფაქტი, რომ „...დიდი მასშტაბით აღებული დანაშაულობანი თავიანთი რიცხვის და კვალიფიკაციის მიხედვით ავლენენ იგივე კანონზომიერებებს, რასაც ბუნების მოვლენები...". (К.Маркс. Смертная казнь. К.Маркс и Ф. Энгельс. Полн.собр. соч.,т. 8, с. 530). მოგვიანებით ამ კანონზომიერების აღსანიშნავად შემოიღეს ტერმინი „დანაშაულობა".

გამოსახული ორი სრულიად განსხვავებული ფაქტორი. ერთი მხრივ, როგორც ა. კეტლე აღნიშნავდა, „საზოგადოება თავის წიაღში შეიცავს მოსახდენ დანაშაულთა ჩანასახს იმიტომ, რომ მასში მოცემულია მათი განვითარების ხელშემწყობი პირობები". ამ მომართულებით თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოციალურ წინააღმდეგობათა გარკვეული ფაზისათვის ყოველთვის არსებობს ადექვატურ დანაშაულთა საშუალო რიცხვი. მეორე მხრივ, გარკვეულ სამართალურთიერთობათა ფილტრის გავლის შემდეგ, სოციალური წინააღმდეგობები ილექება სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკურ ანგარიშებში. აქ კი თავს იჩენს სხვა ფაქტორი – სახელმწიფოს დამოკიდებულება სოციალურ წინააღმდეგობათა მიმართ. ამიტომ დანაშაულთა რიცხვი შეიძლება დამოკიდებული იყოს როგორც სოციალური წინააღმდეგობებისაგან, ასევე სახელმწიფოს დამოკიდებულებისაგან. როგორც ე. ფერი წერდა, კანონმდებელს შეუძლია გავლენა მოახდინოს დეტერმინაციის გარეგნულ მხარეზე, ე. ი. „გაზარდოს დანაშაულობის ციფრი".[267]

აღნიშნული ორი ფაქტორი ყოველთვის როდი მოქმედებს ერთი მიმართულებით. მათ ასევე შეუძლიათ იმოქმედონ ურთიერთსაწინააღმდეგოდაც. ამავე დროს, დანაშაულობის რაოდენობრივი ცვლილების ფაქტი სტატისტიკურ ანგარიშებში რამდენადმე სხვაგვარად აისახება, სახელდობრ, როგორც სახელმწიფო ორგანოების რეაქციის შედეგი, როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის ობიექტი. ამიტომ თავის ყოველდღიურ საქმიანობაში სახელმწიფო აპარატი თითქოს ეგუება აზრს, რომ უწესრიგობებს ადგილი აქვს მის გარეშე, მაგრამ მათი არსებობა, ყოველ შემთხვევაში, მსხვილ უწესრიგობათა არსებობა თვით მის ფუნქციონირებაში, გამორიცხულია. თვით კორუფციული დანაშაულები სტატისტიკაში განიხილება სხვა დანაშაულებთან ერთად, როგორც რიგითი კრიმინალური ფაქტი, რომელიც გამოვლენილია სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რაც ასევე აძლიერებს ამ თვალსაზრისის „ობიექტურობას". ამრიგად, დანაშაულთა სტატისტიკაში მათი ცვლილება საზოგადოებაში აღიქმება, როგორც ფაქტი, რომელიც არსებითად არაა დაკავშირებული თვით სახელმწიფო მმართველობის ფუნქციონირებასთან. ამ პრაქტიკის გამო, ისინი უნებლიედ ხვდებიან დოგმის ტყვეობაში, რომლითაც დანაშაულთა რიცხვი ანუ სახელმწიფოსადმი ნეგატიური დამოკიდებულების რეგისტრირებული რაოდენობა თითქოს ამავ-

267 იხ. იქვე, Э. Ферри, Уголовная социология, с. 201–202

დროულად წარმოადგენს სოციალურ წინააღმდეგობათა პროცესის სიდიდის მაჩვენებელს, რომელიც დანაშაულობაში გამოიხატება. მსგავსი გაიგივების შედეგად, ლიდერი მაჩვენებლები დანაშაულობის სტრუქტურაში მიღებულია, როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის მიმართულების თავისებური კრიტერიუმი.

დანაშაულთა ცვლილების კანონზომიერების ასახვა სახელმწიფო მმართველობის დამოკიდებულების ჭრილში შეიცავს გარკვეულ პარადოქსს. დანაშაულთა რაოდენობრივი ზრდა განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების პრევენციული აქტიურობის მატებას. ეს აქტიურობა თავის მხრივ იწვევს დანაშაულთა გახსნის ზრდას. წარმოიქმნება შეკრული წრე: ეს ორივე ფაქტორი ერთმანეთს განსაზღვრავს, მაგრამ დანაშაულობის ბუნებას ვერ ცვლის. დანაშაულობის იმანენტური შინაარსი გროვდება მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქტიურობის ზრდა ყოველთვის თან სდევს დანაშაულთა რაოდენობრივ ცვლილებას, თუმცა ამავე დროს არ ცვლის მათში დაფარულ ძირითად ბუნებას.

როცა დანაშაულობის სტატისტიკით აპელირებენ, ამავე დროს მხედველობიდან რჩებათ, რომ სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის ან შემცირების ნამდვილი სიდიდე არასაკმარისად ნათლად და სრულად აისახება დანაშაულთა რიცხობრივ გამოხატულებაში. როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულთა რიცხვი შეიძლება იყოს სოციალურ წინააღმდეგობათა, ცხოვრების პირობების გაუარესების და სხვა ნეგატიური პროცესების სიდიდის მაჩვენებელი, ე. ი. მოსახლეობის დამოკიდებულების მაჩვენებელი საკუთარი მდგომარეობის გამაუარესებელ მოვლენათა მიმართ.[268] მაგრამ აქედან არ უნდა გამომდინარეობდეს საპირისპირო დებულება, რომ დანაშაულთა რიცხვი აუცილებლად უნდა იყოს სოციალურ წინააღმდეგობათა სიდიდის მაჩვენებელი, როგორც ეს დანაშაულთა სტატისტიკიდან ჩანს. უფრო მეტიც, მსგავსი დამთხვევა რეალობაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რამეთუ სოციალურ წინააღმდეგობათა სიდიდე არაა დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა იგი დანაშაულთა დიდ ან მცირე რაოდენობაში. თუმცა დანაშაულთა სტატის-

---

268 სწორედ ეს მომენტი აქვს მხედველობაში მარკ კოლვინს, როცა ის წერს, რომ საჭიროა კონცეფცია, რომელიც დაადგენს იმ ნორმას, რომელიც ქმედებისათვის ყველზე მისაღებია მოსახლეობისათვის – იხ: . Colvin (2000), Crime and Ceorcion: An Integrated Theori of Chonik Criminality, Nev York: St. artin s Press, p. 141

ტიკა ამ ფაქტს მიახლოებით ასახავს.

თავის ნაშრომში ვ. ვ. ლუნეევმა მოგვცა სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის ან შემცირების ნამდვილი სიდიდისა და დანაშაულთა რაოდენობრივი შეუსაბამობის ფაქტების ბრწყინვალე ანალიზი. მის მიერ აღწერილ ტენდენციებს თუ მივყვებით, აღნიშნულის განმაპირობებელი არსებითი ფაქტორი თავად სახელმწიფოა, ოღონც როგორც მითვისების ისტორიულად გაბატონებული ხერხი. ამის დადასტურებაა ლუნეევის მიერ აღწერილი სამი ტენდენცია:

1) ტოტალიტარულ სახელმწიფოში სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდა არ აისახება რეგისტრირებული დანაშაულების მატებაზე, პირიქით, მათი რიცხვი შემცირებულია, მაგრამ გაზრდილია გამოვლენილ პირთა რაოდენობა (არამარტო მსჯავრდებულების, არამედ უმცირესი ეჭვის საფუძველზე საზოგადოებისაგან „მოსაკვეთი“ პირების ჩათვლით);

2) იმ პერიოდში, როცა არაეკონომიკური იძულება ტოტალური კონტროლის ფორმით აღარ დომინირებს და იწყებს ეკონომიკურისადმი დაქვემდებარებას, სახელმწიფოს რეპრესიული დამოკიდებულება სოციალურ წინააღმდეგობათა მიმართ დუალისტურ ხასიათს იღებს: პოლიციელების რიცხვი, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ჯერჯერობით დომინირებს, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულთა რიცხვი კი მცირდება;[269]

3) განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში დანაშაულობასთან ბრძოლის ზომები უფრო სოციალიზირებულ ხასიათს ატარებენ. ამ ისტორიულ საფეხურზე რეგისტრირებული დანაშაულობის ზრდისას მცირდება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა და იზრდება ამ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულთა რიცხვი. ამრიგად, აღრიცხულ დანაშაულთა შორის მცირდება გამოვლენილ სამართალდამრღვევთა წილი.[270]

საზოგადოების გარკვეული ორგანიზაცია ვლინდება განსაკუთრებული სახით, სახელდობრ, სწორედ დანაშაულთა და არა სხვა სოციალური გადახრების კანონზომიერ ცვლილებაში. აქ წარმოიშობა დანაშაულობის იურიდიული მხარის გააზრების პრობლემა, რომელიც კრიმინოლოგიაში ჯერჯერობით ხანგრძლივი დისკუსიის საგანია. იურისტების უმრავლესობა ემხრობა ლეგალისტურ მიმარ-

269 В.В.Лунеев (1977), Преступность XX века. Мировой криминологический анализ, М., «Норма», с.78

270 იხ. იქვე, გვ.143, 265

თულებას, რომლის თანახმადაც, იკრძალება დანაშაულის იურიდიული განსაზღვრების ფარგლებიდან გამოსვლა. მხოლოდ მასაში აღებულნი ისინი წარმოქმნიან განსაკუთრებულ, თვისებრივად დამოუკიდებელ მოვლენას. პირდაპირ გამოხატულ ანტილეგალურ პოზიციაზე დგანან სოციოლოგები. მათ ემხრობა იურისტების ნაწილიც, რომლებმაც, რადიკალური კრიმინოლოგიის გავლენით, განავითარეს დანაშაულობის არატრადიციული „ცნებები".

2.2. კრიმინოლოგიში დიალექტიკური აზროვნების ელემენტების დანერგვის პრობლემა.

2.2.1. ზოგადი შენიშვნები

დანაშაულობის მიზეზთა ანალიზისას ამოსავალი მნიშვნელობა ენიჭება მიზეზობრიობის კატეგორიის გაგებას. ამ კატეგორიის ემპირიული განმარტება დღემდე აბრკოლებს კრიმინოლოგიის განვითარებას და არ იძლევა შესაძლებლობას გვქონდეს დანაშაულობის ზუსტი საზომი. გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან წარმოადგენს „უზოგადესის" ფილოსოფიური კატეგორია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში არასწორადაა გაგებული და მისადაგებულია იურისტის ინდუქტიური აზროვნების სტანდარტებთან.

საკითხის დასმის სახით ყურადღება აქცენტირებულიაა სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული ნორმების განსხვავებაზე. პირველ შემთხვევაში ნორმად აღიარებულია თავად რეალობის ტენდენცია, განვითარების მისი საკუთარი კანონები, ფორმაციის კანონები. ხოლო მეორე შემთხვევაში ნორმად აღიარებულია სახელმწიფოს მიერ გარანტირებული მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილება. შესაბამისად, განსხვავება შეინიშნება დანაშაულობის განსაზღვრისა და ახსნის გზებშიც. დანაშაულის განსაზღვრისას იურიდიული მიდგომა ძირითადად იხრება ემპირიულ-ნომინალისტური განზოგადებისაკენ, სოციოლოგიური მიდგომა კი – დიალექტიკურისაკენ.[271] ხოლო ახსნა-განმარტების მხრივ, პირველ შემთხვევაში დომინირებს პლურალიზმი, მეორე შემთხვევაში კი – მონიზმი. ამგვარად, დანაშაულობის გაგებასთან მიმართებაში წარმოიშვება აღნიშნულ

271 საუბარია მხოლოდ იმ სოციოლოგიურ სკოლაზე, რომელიც მეთოდად ირჩევს დიალექტიკურ მეთოდს. თუმცა ავითარებენ ასევე ისეთ სოციოლოგიურ მიმრთულებებს, რომლებიც ამ მეთოდს უარყოფენ, ანდა ისე მოაჩვენებენ თავს, თითქოს იგი არ არსებობს

მეთოდოლოგიურ მიდგომებში ასეთი სხვადასხვაობის სათავეების ძიების პრობლემა. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით თავისებურ გამოცანად რჩება ფაქტი: დიალექტიკის კანონების გამოყენება დანაშაულობის ანალიზისას არამხოლოდ შეზღუდულია კრიმინოლოგიაში, არამედ მეტიც, გაუგებარი სახით დამახინჯებულიც.

დანაშაულობა, მისი მიზეზები, დანაშაულობის წინასწარი აღკვეთა კრიმინოლოგიის თეორიაში გადმოცემულია როგორც აზროვნების მოარული ფორმები. რეალობის ასეთი გადმოცემა ხორციელდება შემეცნების მთელს გზაზე. და ყოველგვარი თანამიმდევრულობა კრიმინოლოგიური პრობლემის დიალექტიკური განხილვის მცდელობისას იწვევს იმას, რომ ხდება დიალექტიკის ჩანაცვლება ემპირიზმით. ეს გარდაქცეული ცვლილება ტიპიურია პოლონელი მეცნიერის ე. ბაფიას გამოკვლევისათვის, რომელმაც ამოცანად დაისახა დიალექტიკური აზროვნების დანერგვა კრიმინოლოგიაში „კრიმინოგენური სიტუაციის დიალექტიკის" დადგენის გზით.[272]

ესმის რა, რომ არსებულმა კრიმინოლოგიურმა კონცეფციამ არ შეიძლება თავი დააღწიოს ემპირიზმს, პოლონელი მეცნიერი გვთავაზობს კრიმინოლოგიის გააზრების მეცნიერული თვალსაზრისით სწორ მეთოდს – მისი დებულებების შემოწმების მეთოდს შესაბამისობაზე დიალექტიკასთან. და ამასთან დაკავშირებით, ყველა წამოყენებული საკითხები მის შეხედულებებში ატარებენ დიალექტიკურ ხასიათს. მეორეს მხრივ, იგი გამოდის ნორმატიული აზროვნების ეტალონებიდან, რომელიც მიღებულია იურიდიულ პრაქტიკაში. ამით, ე. ბაფია იძულებულია შეინარჩუნოს ის კრიმინოლოგიური მასალა, რომელიც მოცემულია ზედაპირზე. შედეგად, დიალექტიკურ აზროვნებასა, უზოგადესის (რეალურის) გამოვლინებას რომ ასტიმულირებს, და ნორმატიულ აზროვნებას შორის, რომელიც ინდუქტიური ზოგადისკენ (აბსტრაქტულისკენ) იხრება, ისახება წინააღმდეგობა. ყოველივე ამას ე. ბაფია წინააღმდეგობრივ კონცეფციამდე მიჰყავს, რომელიც აშიშვლებს მსჯელობათა იმ რგოლს, სადაც შეწყდება რეალობის გააზრების დიალექტიკური პრინციპი და მოინიშნება ის პირობები, რომლებშიც ხდება დიალექტიკიდან დაშორება მისი უარყოფის – ემპირიზმის ფორმით, რომელიც ვერ ხედავს

272 ე. ბაფიას კონცეფციის კრიტიკული განხილვა იხილე ნაშრომში: Г.Тодрия 1987), «К критике «диалектики криминогенной ситуации», Известия Академии Наук ГССР, Серия экономики и право, Тб., 1987, № 4, с.93– 101).

დანაშაულობის განვითარების წინააღმდეგობებს.

პოლონელი მეცნიერის შეხედულებათა ანალიზი გადმოცემულია შემდეგი თანამიმდევრობით: ა) არსობრიობის ემპირიულ-ნომინალისტური ხედვა, ბ) სამართლის ნორმის (ნორმატიული აზროვნების) როლი ასეთი ხედვის პროცესში, გ) სუბიექტივიზმი და ემპირიზმი როგორც ემპირიულ-ნომინალისტური ხედვის ერთადერთ შედეგი.

2.2.2. დანაშაულობის არსობრიობის ემპირიულ-ნომინალისტური ხედვა

ავტორის შეხედულებით, დიალექტიკური აზროვნების ფარგლებში „თითოეული ცნება შეიცავს სამ ელემენტს: საერთოს, განსაკუთრებულს და ერთეულს".[273] აქ ავტორი მსჯელობს როგორც დიალექტიკური ლოგიკოსი: საერთო, განსაკუთრებული და ერთეული შეადგენენ „ერთიანობას". სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთო არ არის აბსტრაქტულობა, არამედ არსებობს რეალურად განსაკუთრებულისა და ერთეულის არსებობასთან ერთად. მაგალითად, თუკი პოპულარულად გამოვთქვამთ, „ძეთა" გენეტიკურ საფუძვლად წარმოსდგება „მამა". როგორც რეალობა, „მამა", ცხადია, ერთეულია, განუმეორებელია, ანუ განსაკუთრებულობაა. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ განვითარების ჯაჭვში „მამა" ასრულებს გენეტიკური საფუძვლის როლს, იგი ამავე დროს გამოდის როგორც საერთო, რომელიც ფილოსოფოსთა მიერ იწოდება უზოგადესად, ან გენეტიკურ საფუძვლად. მართალია, „მამა" როგორც უზოგადესი არსებობს „ძეთა" (ერთეულის) მეშვეობით, მაგრამ არა როგორც აბსტრაქცია, რომელმაც „ძეთაგან" მიიტაცა მსგავსი ნიშანთვისებები, არამედ როგორც რეალობა. პირუკუ დებულება აბსურდულია, რადგან თავად „ძეებს" არ შეუძლიათ მსგავსების მიცემა, თუკი მათ არ აქვთ საერთო საფუძველი. ხოლო თუკი იგი (საერთო საფუძველი) არსებობს, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, არა აბსტრაქტული ნიშანთვისებების თანხვდომის სახით. საზოგადოების ბევრი მანკიერება, მორალურად გასაკიცხნი, არ იდევნება კანონით. ეს ზედაპირული განსხვავება დამამშვიდებელი აბია დანაშაულობის გაგებისადმი ლეგალისტური მიდგომისათვის. ნორმატივიზმი ვერ ხედავს აქ საერთოს, ზოგადს, რამეთუ იგი აქ არ არის. ეს მოვლენები უარყოფენ ერთმანეთს სამართლებრივი ნიშნით. ამ დროს დიალექტიკოსი სხვა-

273 Е.Бафия, Проблемы криминологии. Диалектика криминогенной ситуации», М., 1983, с.25

გვარად დააყენებდა საკითხს: როგორც გაუცხოების მოხსნის საშუალებები, გამოწვეულნი და გამოზრდილნი თანამედროვე საზოგადოების საბაზრო ურთიერთობების კულტურაში, ისინი ერთიანნი არიან. მაშასადამე, ვიდრე ეგრეთ წოდებულ განსხვავებებზე ვიტყოდეთ რამეს, თუნდაც სამართლებრივი ნიშნით, ჯერ-არს დავაყენოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა აერთიანებს მათ და რა არის განსხვავებული მათში.

ე. ბაფიას გამოკვლევაში მოცემულია პირდაპირ საწინააღმდეგო დასკვნა: „არ არსებობს დანაშაულობა დანაშაულის გარეშე... დანაშაულობის ცნება არის იმის ასახვა, რაც არსებითია და საერთოა დანაშაულებში როგორც ერთეულ სოციალურ ფაქტებში".[274] ამგვარად, საერთო, ზოგადი არ არსებობს ერთეულის გარეშე. ხოლო რადგანაც საერთო აქ წარმოსდგება როგორც არსობრიობა, მოცემული ერთეულში – დანაშაულში, ამდენად ეს ნიშნავს, რომ იგი არ არსებობს ერთეულის – გრძნობადის გარეშე. დანაშაული ხომ დამკვირვებლისათვის გრძნობისმიერად მისაწვდომი ფაქტია, მდებარე ზედაპირზე. აქედან გამომდინარეობს, რომ დანაშაულობის ცნება ასახავს გრძნობისმიერ არსობრიობას. ასეთ შემთხვევაში საერთო, ზოგადი არ არის მოცემული განცალკევებულად ერთეულთაგან, სოციალური ფაქტებისაგან, არამედ მოცემულია სწორედ მათში. მაშ რას ვიღებთ ასეთი ინტერპრეტაციიდან?

ისტორია მიგვითითებს დანაშაულობათა ცვლილებებზე საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპის ბუნებიდან გამომდინარე და, ამგვარად, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დიალექტიკის მნიშვნელობას, რომ საერთო (უფრო ზუსტად: უზოგადესი) დანაშაულობათათვის არსებობს მათგან დამოუკიდებლად, მათ უწინარეს, – არსებობს როგორც რეალობა, როგორც სოციალური ფენომენი, რომელიც აერთიანებს მათ გვარში, აქცევს რა მათ ამ გზით საერთოებად, ზოგადებად. ამასთან დაკავშირებით, მაგალითად, ძნელია სადავო გახადო ის ფაქტი, რომ კაპიტალის დაგროვების კანონები თანამედროვე საზოგადოებაში წარმოსდგებიან როგორც საერთო (უზოგადესი) სხვადასხვა ფორმისა და საეხეობების დანაშაულთათვის. რა თქმა უნდა, ერთა და სახელმწიფოთა თავისებურებებისდა მიხედვით ძირითადი სოციალური კანონები დანაშაულობაში სხვადასხვაგვარად გამოვლინდებიან ზედაპირზე. მაგრამ ისინი მკაცრად ახდენენ დანაშაულობის დეტერმინირებას. იურიდიულად

274 იხ. იქვე, გვ. 25

გავარჯიშებული გონებისათვის ძნელია ჩასწვდეს იმას, რომ კაპიტალის დაგროვება და დანაშაულობა შეიძლება განხილულ იქნენ სქემით: „ზოგადი – ერთეული". აქ არ არის არანაირი მისტიკური კატეგორია ინდუქტიური ზოგადის სახით (დანაშაულის ცნებისა, ბრალეულობის ცნებისა, სასჯელის ცნებისა და მისთ.).

ემპირიულ-ნომინალისტური მიდგომისას ხდება აზროვნების მოარული ცნების შერევა მეცნიერულთან და, შედეგად, ეს იძლევა „დანაშაულობის არსობრიობის" ირაციონალურ კატეგორიას. ეს მიდგომა ვერ ხედავს იმ უბრალო ფაქტს, რომ დანაშაულობათა ყველა აქტი, ფილოსოფიური ენით თუ ვიტყვით, „ერთი და იმავე ნიშანთვისების მქონეა ... გენეზისის ერთიანობის გამო, იმის გამო, რომ მათ ყველას საერთო წინაპარი ჰყავთ, ანდა, თუკი უფრო ზუსტად ვიტყვით, ისინი აღმოცენდნენ როგორც მრავალსახოვანი მოდიფიკაციები ერთი და იმავე სუბსტანციისა, რომელსაც სავსებით მატერიალური (ანუ აზრისა და სიტყვისაგან დამოუკიდებელი) ხასიათი აქვს".[275] ნაცვლად იმისა, რომ გამოდიოდეს სუბსტანციის განვითარებიდან, ნომინალისტური მიდგომა გამოდის ბანალურად დანახული გრძნობისმიერი სამყაროდან, ანუ სუბსტანციის გამოვლინების ფორმიდან. ნომინალისტური მიდგომის იდეის მიხედვით, „არსებითად საერთო რომ მოვიძიოთ დანაშაულობის მოვლენაში, ყველაზე კარგად მას ასე გამოვხატავთ: დანაშაულებრივი საქციელი არის გაუცხოების, სოციალიზაციის პროცესიდან ადამიანის გამოცალკევების სახე".[276] და შემდეგ: „დანაშაულისა და დანაშაულობის შესახებ ამოსავალი დებულებების გაერთიანებით (კონტექსტი: ინდუქტიურად ზოგადის წარმოქმნით – გ.თ.) ერთ მთელში (კონტექსტი: ინდუქტიური მსჯელობის სრული პროცესი), ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაშაულობა არის საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც რეალურ სინამდვილეში წარმოსდგება დანაშაულებრივი ქცევის ერთეული აქტების სახით, რაც ვლინდება სოციალიზაციის პროცესიდან ადამიანის გაუცხოებაში".[277]

ამრიგად, ნომინალიზმი გვთავაზობს სქემას: ერთეული არის გრძნობადი აქტი (დანაშაულებრივი ქცევა), ხოლო ზოგადი, საერთო – ისაა, რაც მეორდება ამ აქტებში როგორც რაღაც მსგავსი, განმეო-

275 Э.В.Ильенков (1984) , Диалектическая Логика. М., с. 276

276 Е.Бафия (1983), Проблемы криминологии. Диалектика криминогенной ситуации, М., с.24

277 Там же, с.25

რებადი, ტიპიური და მისთ. პირველ სქემაში არსობრიობა მოცემულია დანაშაულობაში, მეორეში კი – მის მიზეზებში, სუბსტანციაში.[278] პირველი მიდგომის ფარგლებში პრაქტიკოსი უნდა დაელოდოს დანაშაულობას როგორც მიზეზთა გამოხატვის ფორმებს და დაადგინოს მიზეზი გამოვლინების ფორმის მეშვეობით. ხოლო მეორე მიდგომის ფარგლებში იგი ვალდებულია გაზომოს სუბსტანცია მისი გამოვლინების ფორმისაგან დამოუკიდებლად. შევნიშნავთ, რომ მხოლოდ ობივატელისათვის შეიძლება ალოგიკური იყოს მსგავსი აზროვნება. იგი შეიძლება შეგვეპასუხოს: როგორ შეიძლება საუბარი დანშაულობის გაზომვაზე, სანამ იგი არ გამოვლენილა? აკი გამოვლინების ფორმის გარეშე ხომ საერთოდ ძნელია იმის გაგება, თუ რომელი მოვლენის არსობრიობაზეა საუბარი? სინამდვილეში აქ არაფერია ალოგიკური. ნებისმიერ მოვლენას, მათ შორის დანაშაულობასაც, აქვს თავისი არსობრიობა და გამოვლინების ფორმა. მაგრამ მათი გაიგივება კატეგორიულად უნდა იქნეს უარყოფილი. საქმე იმაშია, რომ გამოვლინების ფორმაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც ამახინჯებენ რეალობას. მაშასადამე, გამოვლინების ფორმის ფაქტორთა ტყვეობისაგან თავის დაღწევა და დანაშაულობის სტაბილური საზომის ქონა არის მეცნიერების ჭეშმარიტი ამოცანა. შევნიშნავთ, რომ ასეთი საზომის მოთხოვნილება უკვე საფუძვლიანად იგრძნობა კრიმინოლოგიაში. როგორც ამერიკელი კრიმინოლოგები აღნიშნავენ, დანაშაულობის გაზომვის არსებული მეთოდების ყოველმხრივი ანალიზიდან „ცხადი ხდება, რომ არც ერთი მეთოდი არ შეიძლება იყოს დანაშაულობის შესახებ ინფორმაციის ერთადერთი უტყუარი წყარო".[279]

იბადება კითხვა: რატომ წარმოიშვა განვითარების პრობლე-

---

278 დანაშაულობა თანამედროვე საზოგადოებაში წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების კანონთა გამოვლინების ფორმას. იგი არის ამ კანონთა გარდასახვითი ფორმა. მაშასადამე, არსობრიობა არ შეიძლება მოცემული იყოს თავად დანაშაულობაში დანაშაულთა რაღაც საერთო, ზოგადი ნიშან–თვისებების სახით. პირიქით, დანაშაულობის არსობრიობა არის მისი გენეზისი. აი, სწორედ ამიტომაა, რომ ეგრეთ წოდებული ცნება დანაშაულობისა ფორმალური განსაზღვრების გზაზე მცდარი აღმოჩნდება. სხვათა შორის, ამ შეცდომას მეც ვუშვებდი ჩემი სამეცნიერო საქმიანობის ადრეულ წლებში (Г. Тодрия (1980), Понятие преступности, „მაცნე" ეკონომიკისა და სამართლის სერია, „მეცნიერება", № 4 გვ. 77-89). მაგრამ დღემდე ამ შეცდომას კრიმინოლოგთა უმრავლესობა იმეორებს.

279 Криминология, под ред. Дж.Шелли. «ПИТЕР». 2003, с.101

მის ემპირიულ-ნომინალისტური განმარტება, მაშინ, როცა წანამძღვრებში მოცემულ იქნა დიალექტიკური „ტონი"? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება სამართლის ნორმის, როგორც განზოგადების შემეცნებითი ფორმის, ანალიზი.

2.2.3. სამართლის ნორმის, როგორც განზოგადების ფორმის როლი დანაშაულობის არსობრიობის ემპირიულ-ნომინალისტური ხედვის პროცესში.

ესმის რა უზოგადესი როგორც ინდუქტიური ზოგადი, საერთო, ე. ბაფია უნებლიედ გადადის ემპირიული ნომინალიზმის პოზიციებზე. მაგრამ ამით არ მთავრდება მისი კონცეფციის არსი. მისთვის უეჭველია, რომ კრიმინოლოგია არის შემეცნების ის სფერო, რომელიც განსხვავდება სისხლის სამართლისაგან.[280] ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: რაში ვლინდება კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის განსხვავება თუ ერთიანობა?

პასუხობს რა ამ კითხვებზე, ე. ბაფია აღნიშნავს: „სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანები კი არ აბრკოლებენ, არამედ ხელსაც კი უწყობენ იმ არსობრივად საერთოს, ზოგადის გამოვლენასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარებას, რომელიც დანაშაულისა და დანაშაულობის საფუძველში ძევს, და შესაბამისად, ფილოსოფიურ განმსჯელობებსაც უმთავრესად დიალექტიკის ... კატეგორიებში.[281] როგორც ავტორის მიხედვით ჩანს, ჯერ-ერთი, სისხლის სამართალი, ანდა, საკანონმდებლო პრაქტიკის თვალსაზრისიდან გამომდინარე თუ ვიტყვით, სისხლის სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, ხელს უწყობს საერთოს, ზოგადის გამოვლენას დანაშაულობებში. მეორედ, რადგანაც სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანა ხელს უწყობს ზოგადის, საერთოს გამოვლენას დანაშაულობებში, მაშინ გამოდის, რომ დიალექტიკური შემეცნების ეტალონი, რომელიც ჯერ-არს მიიღოს კრიმინოლგმა, ე.ბაფიას მიხედვით, იმთავითვე „მოცემული" უნდა იყოს სისხლის სამართლის კატეგორიებში.

ამრიგად, განიხილავს რა სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განსხვავებას, ე. ბაფიამ მიგვიყვანა თეზისამდე ამ განსხვავების არარსებობისა ყველაზე მთავარში – არსობრიობის შემეცნების მეთოდში. მეტიც, ეს მეთოდი რატომღაც კრისტალიზებულია სისხ-

280 Е.Бафия (1983), Проблемы криминологии. Диалектика криминогенной ситуации, М., с.24

281 იხ. იქვე, გვ. 58

ლის სამართლის მეცნიერების (პრაქტიკის) ამოცანებში. მოკლედ რომ ვთქვათ, გამოდის, რომ როგორც კრიმინალისტი ხედავს განვითარებას, ისე უნდა ხედავდეს მას კრიმინოლოგიც. ბუნებრივია, რომ მტკიცებულებათა ასეთი შემუბრუნებისას უნებლიეთ წარმოიშვება კითხვა: შეიძლება თუ არა ფილოსოფიის (შემეცნების მეთოდის, ხოლო საბოლოო ანგარიშში, პრაქტიკული მოქმედების მეთოდის) გაგება, აპრობირებული ნორმატიულ პრაქტიკაში და შემეცნებაში, ამავე დროს აღიარებულ იქნას კრიმინოლოგიური შემეცნების ფილოსოფიურ ღერძადაც? შეიძლება თუ არა საერთოს, ზოგადის გამოკვეთის პრინციპი, მიღებული ნორმატიული აზროვნებით, იყოს პრინციპი დანაშაულობის არსობრიობის შემეცნებისათვის?

სამრთლებრივი ნორმა, როგორც აღვნიშნეთ, ინდუქტიურად აღწერს გრძნობისმიერად აღქმად მოვლენათა ნიშანთვისებებს, ანუ ადგენს მსგავს ნიშანთვისებებს როგორც ზოგადებს, საერთოებს, და არა როგორც დიალექტიკურად უზოგადესებს. ქურდობები, მკვლელობები, თაღლითობები და სხვ. უფრო მაღალ დონეზე აბსტრაქტული განზოგადებით წარმოდგენილია დანაშაულის ეგრეთ წოდებული „ცნების“ სახით. იგი ინდუქტიურია, რადგან ძნელად თუ დაუშვებს, რომ, მაგალითად, ქურდობა ერთდროულად იყოს ერთეულიც სხვა დანშაულობათა შორის და საერთოც (უზოგადოსიც). აბა სცადეთ კონკრეტულად გაიაზროთ დანაშაულის ცნება და თქვენ აღმოჩნდებით მაგალითების მორევში. მაგრამ ეს მიდგომა შორს დგას მეცნიერებისაგან, რამეთუ ფორმალური ზოგადის გაიგივება დიალეტიკურ ზოგადთან (უზოგადესთან) შეუძლებელია.

ფორმალური განზოგადების დიალეტიკურ განზოგადოებასთან გაიგივების ამ მიდგომას აქვს ობიექტური საფუძვლები კრიმინალისტის პრაქტიკულ საქმიანობაში, სადაც სისხლის სამართლისეული პასუხისგებაში მიცემა ეფუძნება ქმედების (გრძნობადი აქტის) შესაბამისობის დამტკიცებას სამართლის ნორმასთან (აბსტრაქციასთან). ამასთან, რადგან შინაარსი, რეალობა მოცემულია დანაშაულის მხარეზე, ხოლო ინვარიანტობა სამართლის ნორმის მხარეზე, ამდენად იქმნება აქტის ზეაღსვლის მოჩვენებითობა მის არსობრიობასთან (აბსტრაქციასთან, ნორმასთან და მისთ.).

ამრიგად, ნორმატიული აზროვნების მიხედვით საერთო, ზოგადი ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის უნდა იყოს ნიშანთვისება „ძეობისა“ (ზემოთ მოყვანილი ანალოგის ტერმინოლოგიით). ისმება კითხვა: შეუძლია თუ არა ამ ნიშანთვისებას არსებობდეს როგორც

რეალური ობიექტი იმ პირებისაგან დამოუკიდებლად, ვისაც იგი ეკუთვნის? – ალბათ, არა. იურისტი ასე გვიპასუხებდა: ეს ნიშანთვისება განეკუთვნება ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფს და ყოველთვის არსებობს მათი მეშვეობით, მაგრამ მათგან დამოუკიდებლად არსებობს მხოლოდ „ძის“ ცნება.

ამგვარად, დგინდება, რომ საერთო, ზოგადი ნიშანთვისებები მოცემულია შემთხვევითთა გვერდით ერთეულ მოვლენაში. განსხვავება მხოლოდ ათვლის წერტილშია. ეს კონსტრუქცია მცდარია, რადგან რეალურად არსებული მოვლენების არსობრიობას აიგივებს მათს ინდუქტიურ-ზოგად ნიშანთვისებებთან. და ამაში ადვილად დავრწმუნდებით. თუკი „ძეობა“ (ან „იყო ძე“) არის ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის საერთო ნიშანთვისება, მათი არსობრიობა, მაშინ აღმოცენდა თუ არა იგი სწორედ ამ ადამიანთა განვითარების შედეგად? მოკლედ, შეუძლია თუ არა ადამიანს მოცემულ შემთხვევაში თავისი ნებით, თავისი შინაგანი ბუნებით გახდეს „ძე“ ? – რა თქმა უნდა, არა.

ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფი გაერთიანებულია საერთო ნიშანთვისებით და ეს ნიშანთვისება მათ აქვთ იმის ძალით, რომ ამ ნიშანთვისების გენეზისი მიემართება ფუძეს – „მამას“. სწორედ „მამა“ წარმოსდგება იმ გენეტიკურ საფუძვლად, რომელიც აღმოაცენებს ნიშანთვისებას „ძეობისა“ და ამასთანავე ამ ადამიანებს საერთოებად, ზოგადებად აქცევს, უფრო ზუსტად „მამის“ განსაკუთრებულ მოდიფიკაციებად. მართალია, „მამა“ შეიძლება არ არსებობდეს (მოკვდეს, უცნობი იყოს შვილებისათვის და ა.შ.), მაგრამ როგორც არსობრიობა, როგორც მშობელი იგი მოცემულია „ძეებში“. ცხადია, რომ „ძეებმაც“ შეიძლება არ იცოდნენ თავიანთი ფუძე, მაგრამ ამის გამო არ განიგდება ამ ფუძის, როგორც არსობრიობის, არსებობა. ნორმატივიზმის აბსოლუტირება არის ადამიანის მეხსიერების სრული ჩავარდნა, იმ დიალექტიკური გადასვლის მივიწყება აზროვნებაში, რომელიც, იურისტი-კრიმინოლოგების სასირცხვილოდ, უკვე ცნობილი იყო ახალი აღთქმისათვის: „... საქმენი წამებენ ჩემთვს, რომელთა მე ვიქმ, რამეთუ მამამან მომავლინა მე“ (იოანე 5, 36).

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ნორმატიულ აზროვნებას არ ძალუძს ხელს უწყობდეს კრიმინოლოგიაში დანაშაულის არსობრიობის გამოვლენას. აზროვნების სწორედ ეს ტიპი მიჰყავს ე. ბაფიას, როგორც ქვემორე დავინახავთ, „კრიმინოგენური სიტუაციის“ კატეგო-

რიამდე. მაგრამ ანალიზის კურექტულობა მოითხოვს გავარკვიოთ მომდევნო საკითხი. როგორც ცნობილია, შემეცნების ემპირიულ-ნორმატიული ტიპის ფორმებია სუბიექტივიზმი და ემპირიზმი. ამიტომ ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მათკენ მიმავალ ბილიკებს დავადგეთ.

2.2.4. სუბიექტივიზმი და ემპირიზმი როგორც დანაშაულის არსობრიობის ემპირიულ-ნომინალისტური ხედვის ერთადერთი შედეგი.

თავდაპირველად ჯერ მივმართოთ სუბიექტივიზმის ელემენტებს. „დანაშაულობის როგორც დანაშაულთა ჯამის განხილვისას, – აღნიშნავს ე. ბაფია. – შეიძლება ვილაპარაკოთ მის მდგომარეობაზე, კლასიფიკაციაზე, განსაზღვრულ სტრუქტურაზე. დანაშაულობის კლასიფიცირება შეიძლება დანაშაულთა ცალკეული სახეობების მიხედვით... მსგავსი მსჯელობები დანაშაულობის შესახებ დამახასიათებელია მისი აღწერისათვის, მაგრამ ისინი მოსწყვეტენ დანაშაულობას ობიექტური სოციალური სიმანდვილისაგან (ადამიანთან, როგორც ქცევის სუბიექტთან ერთად), არ ითვალისწინებენ იმ კავშირებისა და დამოკიდებულებების დიალექტიკურ დინამიკას, რომლებშიც იმყოფება ადამიანი, და, მაშასადამე, მოსწყვეტენ დანაშაულობას ბაზას, აუცილებელს მისი გენეზისისა და დინამიკის წარმმართველი კანონზომიერებების გამოსაკვეთად".[282] ამგვარად, ე. ბაფია აქ ამბობს, რომ არ შეიძლება მივეცეთ სუბიექტივიზმს, ანუ სხვადასხვაგვარად მოვახდინოთ კლასიფიცირება, არამედ ჯერ არს ყოველთვის ვადგეთ ერთ მთავარ გენეტიკურ ხაზს – „ბაზას, აუცილებელს დანშაულობის გენეზისისა და დინამიკის წარმმართველი კანონზომიერებების გამოსაკვეთად".

მართლაც, თუკი მივუბრუნდებით ჩვენს მაგალითს, „ძეთა" კლასიფიცირება სხდასხვაგვარად შეიძლება: მეტყველების, კულტურის, თმის ფერისა და მისთ. მიხედვით, მაგრამ იმისთვის, რომ ნიშანთვისება „ძეობის" ბუნება ვიცოდეთ, უნდა მივმართოთ „მამას", როგორც ბაზას, რომელიც განაპირობებს ამ ნიშანთვისების გენეზისს. როგორც ჩანს, მოყვანილ მსჯელობებში პოლონელი კრიმინოლოგი მართალია, რამეთუ დანაშაულობის ძირითადი ნიშანთვისება რეალური უნდა იყოს და არსებობდეს დანაშაულობის თავად განვითარებაში. მაგრამ როგორ არის გაგებული თავად განვითარება? ეს

282 Е.Бафия (1983), Проблемы криминологии. Диалектика криминогенной ситуации, М., с.24

საკითხი უკავშირდება განვითარების სუბიექტის გამოვლენას. ამიტომ ე. ბაფიას კონცეფციაში აუცილებელია გვესმოდეს შემდეგი: მოცემული არის კია განვითარების სუბიექტი ერთეულში? – ანუ ჩვენი მაგალითის ენით თუ ვიტყვით, განვითარების სუბიექტი „მამაშია" მოცემული, თუ იგი „ძეებში" უნდა ვეძიოთ?

ჩვენი მსჯელობების ამოსავალ წერტილადო, – აღნიშნავს ე. ბაფია, – უნდა მივიღოთ ძირითადი კანონი, რომელიც დანაშაულობის მოვლენას მართავს: დანაშაული არ არსებობს საზოგადოებრივი სუბიექტის გარეშე, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ადამიანების გარეშე. ამასთან, საზოგადოებრივი სუბიექტის ქვეშ მას ესმის გრძნობისმიერად აღქმადი პირი: პეტრე, პავლე და მისთ. ამიტომ საზოგადოებრივი სუბიექტი „შედგება თითქოსდა სამი პლასტისაგან: ა) სხეულისაგან, ბ) სოციალური კავშირებისაგან, გ) ფსიქიკისაგან".[283] აქედან დასკვნა: „ნებისმიერი მსჯელობა დანაშაულობის შესახებ არ შეიძლება მოვწყვიტოთ იმ ფაქტს, რომ არ არსებობს დანაშაული და დანაშაულობა ადამიანის პიროვნების გარეშე".[284] მეთოდოლოგიურ ჭრილში, როგორც შემდგომ ჩანს, ეს ნიშნავს, რომ „კრიმინალური ეტიმოლოგიის სფეროში... ძირითადი მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანს, რომლის ქცევაც დანაშაულებრივია".[285]

შეიძლება კი ბაზა იმ ფაქტის გამოსაყვანად, რომ სხვადასხვა აქტებს აქვთ „დანაშაულობის" თვისება, ვეძიოთ იმაში, რომ მათ ესა თუ ის პირები სჩადიან? ასე ჩვენ მივალთ განსხვავებებამდე, მაგრამ ვერ დავინახავთ ერთიანობას. თუ დამნაშავისაგან გამოვალთ, მაშინ არევ–დარევა გამოგვივა, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით გავაიგივეოთ ორი კარდინალურად განსხვავებული საკითხი: 1) როგორ განსხვავდებიან დანაშაულები და, 2) რა განირჩევა დანაშაულებში? პირველი განსხვავება დამოკიდებულია დამნაშავეებზე. ხოლო რაც შეეხება მეორე ტიპის განსხვავებას, მისი „საიდუმლო" განცხადდება დანაშაულობის მიზეზთა ანალიზისას. მოკლედ რომ ვთქვათ, თუკი საფუძვლის, ანუ დანაშაულობის მიზეზების პრობლემას დამნაშავის პიროვნებას დავუკავშირებთ, მაშინ ჩვენ ყოველთვის დავაფიქსირებთ იმას, თუ როგორ რეალიზდება, როგორ განირჩევა დანშაულობებში მათი საფუძველი. მაგრამ ვერ დავინახავთ თავად ფუძეს.

თავისი არსებობის მთელს მანძილზე კრიმინოლოგია ჩვეუ-

283 იხ. იქვე გვ . 22
284 იხ. იქვე, გვ. 31
285 იხ. იქვე, გვ. 35

ლებრივ აპელირებდა იმის ძიებისაკენ, თუ როგორ სჩადიან დანაშაულს კონკრეტული პირები. მაგრამ დღემდე გამოცანად რჩება შემდეგი რამ: როგორ ნარჩუნდება ზოგადი, საერთო დანშაულობებში, მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის საზოგადოების არსებობის განმავლობაში იცვლება დანშაულებრივი აქტების ჩადენის მოტივები, ცხოვრების კონკრეტული პირობები და სხვ.?

ამ საკითხის მივიწყება ძვირად უჯდება თანამედროვე კაპიტალისტურ სისტემას, განსაკუთრებით კორუფციასთან ბრძოლაში. ყველა ქვეყანაში მრავალრიცხოვანი ანტიკორუფციული პროგრამები დაიყვანება საკადრო რეფორმებამდე ანდა ცხოვრების იმ სფეროების „რეფორმებამდე", რომლებშიც ფეტიშირებულად ვლინდება კაპიტალის დაგროვების ნორმა. ჩავლებულია ის განსხვავება დანაშაულობებში, რომელიც ზედაპირზე დევს. და როგორც შედეგი: კორუფცია ვითარდება იმ ფარგლებსა და ფორმებში, რომლებიც სჭირდება სწორედ კაპიტალის დაგროვებას, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ ფასდება ზარალი ანდა როგორია სახელმწიფო ორგანოების აქტიურობა. საუბარია არამხოლოდ კორუფციაზე. კრიმინოლოგებს საერთოდ არ ძალუძთ დანაშაულობის ფორმების კლასიფიცირება ისე, როგორც ისინი ობიექტურად განლაგდებიან კაპიტალის დაგროვების კანონებით. კრიმინოლოგიაში სრული არევ-დარევა სუფევს დანაშაულობის ფორმებისა და სახეობების მხრივ. ორგანიზებული დანაშაულის უკან შეიძლება იდგეს ტერორიზმი, ანდა ძალადობრივი დანაშაულის უკან – ქონებრივი დანაშაული. შესაძლებელია სხვაგვარი განლაგებაც ავტორთა კოლექტივის შეხედულებისამებრ.

კრიმინოლოგიაში ბევრი პრობლემაა დაგროვილი, რომლებზე მსჯელობისათვის მეცნიერებს ჯერ-ჯერობით არ ძალუძთ მზად იყვნენ, რამეთუ არ არსებობს ისეთი პოზიტიური გამოკვლევა, რომელიც თავს დააღწევდა იურისტის, ბიუროკრატის თვალსაზრისის ტყვეობას. უმთავრესი პირობა ასეთი მოუმზადებლობისა (უფრო სწორად კი ამგვარი მომზადებისა იურიდიულ ფაკულტეტებზე) არის ნომინალისტური მიდგომა, რომლისთვისაც არ დგას მონიზმის პრობლემა. ეს ნიშნავს, რომ მოცემული მიდგომის ფარგლებში მკვლევარი ყოველთვის შეეჯახება განსხვავებებს, იმას, რაც მოცემულია ზედაპირზე. ცხადია, რომ განსხვავებათა მიღმა არ გამოჩნდება ერთიანობა. მიზეზები არამხოლოდ აერთიანებენ სხვადასხვა მოვლებებს დანაშაულობთა ერთ ჯგუფში, არამედ განაპირობებენ

კიდეც მათს არსებით განსხვავებებს. მოგების საერთო ნორმის დაცემა ნებისმიერ ქვეყანაში იწვევს ერთ პოლუსზე უმუშევრობას, სილატაკეს და მის შესაბამის ე.წ. „ქუჩურ" დანაშაულობას, „ოჯახში ჩადენილ დანაშაულს" და ა.შ., მეორე პოლუსზე კი – კაპიტალის გაუფასურებას ეკონომიკური, კორუფციული და სხვა დანაშაულობის გზით. დანაშაულობის ყველა ფორმები და მათი ლოკალური „დეტერმინანტები" სხვადასხვაა, მაგრამ სხვადასხვაა სწორედ ერთში – პირობების გაუარესების თავად პროცესში, რაზეც მოსახლეობის სხვადასხვა ფენები (როგორც ღარიბები, ასევე უმდიდრესნიც) სხვადასხვაგვარად რეაგირებენ, მათ შორის კანონსაწინააღმდეგო რეაგირებების ჩათვლით. ერთი ფორმის დანაშაულობის ეგრეთ წოდებული „დეტერმინანტები" არათუ არ მიესადაგებიან დანაშაულობის სხვა ფორმების „დეტერმინანტებს", არათუ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ ყოველ ჯერზე ამტკიცებენ, რომ საერთო მიზეზი ამ ფორმებისათვის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. კრიმინოლოგიას ჯერ-ჯერობით არ გააჩნია მძლავრი კატეგორიალური აპარატი იმისთვის, რომ თავი დააღწიოს ამ ფეტიშს.

თუკი რეალური მიზეზები არ არის გამომჟღავნებული, ანუ არ დადგენილა საფუძველი, მაშინ განვითარების სუბიექტად მოცემული იქნება მხოლოდ ის, რაც ძევს ზედაპირული მასალის შინაარსში, ანუ დამნაშავის ყბადაღებული პიროვნების შინაარსში. მოკლედ, ვერ დაინახავს რა „მამას" როგორც „ძეთა" გენეტიკურ საფუძველს, მკვლევარი დასვამს აბსურდულ კითხვას: როგორ იქცევიან ძენი თავიანთი ძეობრივი როლის აღმოცენებისას. გასაგებია, რომ ძეები შეიძლება პრინციპში განირჩეოდნენ არამხოლოდ იმით, თუ როგორ არის მათში წარმოდგენილი მამობრივი დასაბამი, არამედ სხვა თვისებებითაც. და აქ არსებითის გარჩევა არაარსებითისაგან არ შეიძლება.

ამგვარად, ემპირიულ-ნომინალისტურ მიდგომას მკვლევარი მხოლოდ განსხვავებებამდე მიჰყავს და აქ წინა პლანზე გამოდის დამნაშავის პიროვნების პრობლემა როგორც ამ განსხვავებათა საფუძველი. სწორედ ეს არის სუბიექტივიზმი.

განვიხილოთ ახლა ემპირიზმის ელემენტები. გამოთქვა რა აზრი, რომ „კრიმინოლოგიაში ეძიებდნენ მიზეზებს უპირატესად დანაშაულობის ფარგლებს მიღმა, და. მაშასადამე, დანაშაულებრივი ქცევის გარეთ", ე.ბაფიამ ამით დასახა მიზეზების ძიება თავად ობიექტის შინაგან მექანიზმებში, და არა მის გარეთ. მაგრამ ნომ-

ინალიზმი აქაც ახდენს თავის ზემოქმედებას გადაწყვეტილებაზე, თუმცა უკვე სხვა „ამპლუაში", კერძოდ კი მას თანამიმდევრულად მივყავართ ემპირიზმისაკენ.[286] ცენტრალურ დასკვნად ამ აგებაშიც წარმოსდგება კატეგორია „კრიმინოგენური სიტუაცია". ე. ბაფია აღნიშნავს: „მიზეზობრიობის ტრადიციული გაგების კრიმინოლოგიაში გადატანისას შეინიშნება კიდევ ერთი სიძნელე. მიზეზობრიობის ნიშანთვისებაა ის, რომ მიზეზი გამუდმებით ინდივიდუალიზირებული უნდა იყოს. აქედანაა დნაშაულობის ერთფაქტორული გენეზისის ძიებები კრიმინოლოგიურ თეორიაში. მაგრამ ამას თეორეტიკოსები იმედის გაცრუებებამდე მიჰყავს, რადგან აქ ადვილად შეიმჩნევა უბრალო ანალოგიის მოქმედება: თუკი დანაშაულობა არის ახალი თვისება, ჩამოყალიბებული დანაშაულობათა კონკრეტული ჯამით, მაშინ ზუსტად ასევე დანაშაულობის მიზეზიც უნდა იყოს ახალი თვისება ან ძირითადი მიზეზობრივი ფაქტორი, ჩამოყალიბებული მიზეზთა ჯამით.[287] ამრიგად, მიზეზის როგორც „კანონზომიერებათა გამოყვანისათვის აუცილებელი ბაზის" (არსობრიობის) ძიება და მიზეზის განსაზღვრა როგორც (მოვლენის) მიზეზთა ჯამისა – ეს ის გზაგასაყარია, რომლის წინაშეც აღმოჩნდა პოლონელი მეცნიერი.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მეცნიერი მიზეზს ეძებს თავად ერთეულ ქცევაში, დამნაშავეში. ამას სუბიექტივიზმამდე მივყავართ, რომელიც არანაირ გარანტიას არ იძლევა ახსნის ფარგლებთან დაკავშირებით. განსხვავებებზე ხომ, გარდა არსებითი ნიშანთვისებებისა, არაარსებით ნიშანთვისებათა ისეთი კომპლექსიც ახდენს ზეგავლენას, რომელიც არ შეიძლება შემოფარგლული იყოს, თუკი დავდგებით დანაშაულის სუბიექტის, დამნაშავის პიროვნების, მისი ფსიქიკის და მისთ. თვალსაზრისზე. გრძნობს რა შეუძლებლობას გამოიყოს მოვლენებში იმანენტური მოძრაობის ჭეშმარიტი სუბიექტი, ე. ბაფია იძულებულია აღიაროს: „კრიმინოგენური სიტუაციის განზოგადებული ცნების კომპონენტების სისტემატიზირება არ ნიშნავს იმას, რომ საჭიროა განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ მათს რიგითობას. აქ მხედველობაში არ მაქვს კომპონენტების

---

286 რა თქმა უნდა, ემპირიული დაკვირვების გარეშე მეცნიერება არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია ემპირიული აღწერის აბსოლუტიზირებაზე, აღწერის მოწყვეტაზე ახსნა-განმარტებისაგან. სწორედ ამ აზრით და მნიშვნელობით ვიყენებთ ჩვენ ტერმინს „ემპირიზმი", ანდა როგორც მას ფილოსოფოსები უწოდებდნენ – „უხეშ ემპირიზმს".

287 Е.Бафия , Проблемы криминологии. Диалектика криминогенной ситуации. М.,1983, с.38

იერარქიის დადგენა".[288] ამიტომ კრიმინოგენურ სიტუაციად უნდა აღიარებულ იქნას ეგრეთ წოდებული „სხვადასხვა სახის ურთიერთმოქმედი ფაქტორების" სისტემა, რომლებიც მიმართულნი არიან „დანაშაულის ჩასადენად".[289]

როგორც ვხედავთ, ფილოსოფიური თვალსაზრისით არაფერი არსებითი არ მომხდარა: პლურალიზმი, როგორც იტყვიან, ადგილზევე დარჩა. თუკი დავუშვებთ, რომ დანაშაული და დამნაშავე – ეს ის ერთეულია, რისგანაც მკვლევარი საერთომდე ზოგადამდე ადის, მაშინ გამოდის, რომ ამ საერთოს რეალური დასაბუთება კვლავაც ამ გრძნობისმიერ ერთეულ სამყაროში ძევს. შემოთავაზებულ კრიმინოლოგიურ შემეცნებაში ძნელია რაიმე იმანენტურის, სტაბილურის პოვნა. ამიტომ ერთადერთი ხსნა მდგომარეობს უარის თქმაში დიალექტიკაზე, მონიზმზე და რაღაც ურთიერთმოქმედი ფაქტორების სისტემის აღიარებაში. დოგმატიკოსი იურისტების ქედმაღლური მიმართება არსებული კრიმინოლოგიური შემეცნებისადმი სავსებით გასაგებია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ „ზუსტი" ნორმატიული აღწერების სიმაღლეთაგან კრიმინოლოგიური აღწერები, მათში გაბატონებული სუბიექტივიზმისა და ემპირიზმის ძალით ჯერჯერობით წარმოსდგებიან როგორც „არაზუსტი", ურთიერთსაწინააღმდეგო, ქაოტური წარმონაქმნები.

2.2.5. დასკვნა

კრიმინოლოგიური თეორიის აგების გზათა მხოლოდ ფილოსოფიური ასპექტის ანალიზმა გვიჩვენა დიალექტიკის შეკავების ლოგიკურ-მეთოდოლოგიური პირობები, რომლებიც წარმოადგენენ არსობრიობის გაგების პრინციპებს, შემუშავებულთ იურიდიულ პრაქტიკაში, ანუ არსობრიობის, როგორც ინდუქტიურად საერთოს, ზოგადის ნომინალისტური გაგების პრინციპებს. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული (იურიდიული) პრაქტიკის არსობრიობა, სუბსტანცია, მიზეზი გადაიტანება სახელმწიფოს საქმიანობაზე, ხოლო საზოგადოება განიხილება როგორც მოვლენა, შედეგი. ამიტომ ცნებათა ლოგიკა წარმოსდგება დამახინჯებული სახით: მკვლევარი არ გამოდის სპეციფიკიდან, რამეთუ იგი მისთვის არ არსებობს, მის მიერ უკუგდებულია საზოგადოება, სადაც ჯერ-არს ამ სპეციფიკის ძიება, არამედ გამოდის სუბიექტურად შექმნადი აბსტრაციე-

288 Там же, Е.Бафия , с. 75
289 Там же, с.78

ბიდან, რომლებსაც იგი ადებს სოციალურ სამყაროზე. ვერ იპოვა რა სპეციფიკა იქ, სადაც საჭირო იყო მისი მოძიება, იგი იწყებს ფარფატს აბსტრაქციების ჰაეროვან სივრცეში, რომლებიც მოკლებულნი არიან რაიმე პრაქტიკულად მნიშვნელოვან ორიენტირებს. ამ მოჩვენებითი, ვითომდა ლოგიკის შესაბამისად დანაშაულობის თეორია გადაიქცევა ინდუქტიურად განსაზღვრებადი აბსტრაქციების კონგლომერატად, საიდანაც მკვლევარი თითქოსდა უნდა ხაპავდეს ემპირიული სამყაროს – დანაშაულების არსობრიობას. დანაშაულობის არსობრიობის დედუქციის მოჩვენებითობა ფაქტიურად გადაიქცევა აბსტრაქტული სქემის გრძნობად ფაქტებზე – დანაშაულებზე მისადაგების საშუალებად, ანუ იმ ემპირიულ მასალაზე, რომლით დაუკმაყოფილებლობაც, როგორც ვნახეთ, აიძულებდა ე. ბაფიას თეორიის აგების გზას დასდგომოდა.

მეთოდოლოგიური შეცდომა არ არის ტიპიური მხოლოდ პოლონელი მეცნიერის გამოკვლევისათვის. მეცნიერების ისტორიაში ყოველთვის შეიძლება აღმოვაჩინოთ ის ნომინალისტური შედეგი, რომელთანაც გარდუვლად ყოველთვის მიდის მეცნიერი, თუკი ამოსავალ წერტილად იღებს სამართლებრივ პრაქტიკას და, ამგვარად, იძულებულია გააიგივოს არსობრიობა აბსტრაქტულ საერთოსთან, ზოგადთან, აზროვნების დიალექტიკური ტიპი ნორმატიულთან და ა.შ. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ჩავატაროთ ე. ბაფიას კონცეფციის გადაცდომების შედარება იმ მცდარ სვლასთან, რომელსაც ჯერ კიდევ ჰეგელმა გამოავლინა „სამართლის ფილოსოფიაში“.

როგორც ცნობილია, ჰეგელი თავის ნაშრომში ამტკიცებდა: „თავის სპეციფიკურად განსაზღვრულ შინაარსს გონებითი განწყობა სესხულობს სახელმწიფოს ორგანიზმის სხვადასხვა მხარეებიდან. ეს ორგანიზმი წარმოადგენს იდეის განვითარებას თავის სხვადასხვაობებში და მათ ობიექტურ სინამდვილეში. ამგვარად, ეს სხვადასხვა მხარეები სხვადასხვა ხელისუფლებანი არიან... განისაზღვრებიან ცნების ბუნებით... ეს ორგანიზმი არის პოლიტიკური მოწყობა“[290]. ამრიგად, აქ გატარებულია აზრი, რომ პოლიტიკური წყობის სპეციფიკა რომელიღაც ორგანიზმიდან გამომდინარეობს. ე.ბაფიას მიხედვით, კრიმინოგენური სიტუაციის არსი მდგომარეობს სხვადასხვა სახის ურთიერთმოქმედი ფაქტორების ეგრეთ წოდებულ დინამიურ სისტემაში, რომელი ფაქტორებიც მიმართულია დანა-

290 Гегель, Философия права, М.-Л., 1934, соч. VII, с. 277-278.

შაულთა ჩასადენად.[291] ორივე შემთხვევაში რეალური სამყარო დედუცირდება „ორგანიზმის", „დინამიური სისტემის" და მისთ. რაღაც მისტიკური კონსტრუქციებისაგან. ასეთ აგებულებებში იქმნება დედუცირების ილუზია, რამეთუ საერთო, ზოგადი აბსტრაქციიდან რეალობა, მისი სპეციფიკა არ გამომდინარეობს. ერთადერთ „მიწიურ", და არა მისტიკურ ფაქტად ის რჩება, რომ დებულება – „სახელმწიფოს სხვადასხვა მხარეები თვისით წარმოადგენენ სხვადასხვა ხელისუფლებებს" – არის ემპირიული ჭეშმარიტება და იგი არ შეიძლება მიღებულ იქნას აღმოჩენად. ზუსტად ისევე, როგორც ეგრეთ წოდებული „მიზეზთა დინამიური სისტემა" არ ახდენს ცალკეული მოვლენის სპეციფიკის კონსტატირებას. ამიტომ ჭეშმარიტებაა მხოლოდ ემპირიული ფაქტი – ნორმა, დამნაშავე და სხვა.

ამრიგად, კრიმინოგენური სიტუაცია, წარმოდგენილი როგორც „მიზეზთა დინამიკური სისტემა", მოკლებულია რაიმე განსაკუთრებულ აზრს, შინაარსს, გამორჩევადს ემპირიული ფაქტიდან. მაგრამ მაშინ რას აღნიშნავს კრიმინოგენური სიტუაციის „დიალექტიკა"? როგორ განიხილება განვითარება? ერთ მხარეზე აღმოჩნდება ემპირიული სამყარო, მეორეზე კი – ინტუიცია, შემმეცნებლის თვითნებობა. ემპირიული სამყარო იმგვარად კლასიფიცირდება, განზოგადდება, როგორც ეს შემმეცნებელს სურს. სულ ესაა. ამრიგად, რეალური განვითარების ნაცვლად ჩვენს წინაშე იქმნება განვითარების დადგენის მოსაჩვენლობა, დედუქციის მოჩვენებითობა.

ე. ბაფია გრძნობს, რომ ეგრეთ წოდებული ურთიერმოქმედი ფაქტორების სისტემიდან არ შეიძლება გამომდინარეობდეს მათი კრიმინოგენურობის სპეციფიკა. მეტიც, არანაირი ახალი თვისების მიღება არ შეიძლება ე.წ. „სისტემიდან". ამიტომ პოლონელი მეცნიერი იძულებულია შექმნას „სპეციფიკა" გარეგანი ხილვადობისა და თავისი საკუთარი შეხედულების მიხედვით, ანუ მოგვცეს „ცვლადი სიტუაციების" საკუთარი კლასიფიკაცია: საერთო, ზოგადი სოციალური მოვლენები, რომლებიც დანაშაულობაზე აისახება; დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის ფაქტორები; თავად მსხვერპლის თანამოქმედება დანაშაულის ჩადენაში როგორც კრიმინოგენური ფაქტორი; ხელშემწყობი გარემოებები.[292]

თუმცა საყვედურის მთელი სიმძიმის პოლონელ მეცნიერზე

---

291 Е.Бафия (1983), Проблемы криминологии. Диалектика криминогенной ситуации, М., с. 78

292 იხ. იქვე, გვ. 78

აკიდება არ შეიძლება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ყველა სახელმძღვანელოში ავტორთა კოლექტივები გვთავაზობენ დანაშაულობის ფორმებისა და კლასიფიკაციის ანალოგიურ თვითნებურ მეთოდს. აზრის ამ თვითნებობის ლაბირინთიდან შეუძლებელია გამოსვლა, თუკი, ბოლოს და ბოლოს, არ იქნება გაცხადებული, რომ „დანაშაულებრივი ქცევა... არ შეიძლება აიხსნას ზედაპირზე მდებარე მოვლენებზე დაკვირვებით".[293]

ამგვარად, პოლონელი მეცნიერის განსახილველ ნაშრომში ჩვენ ვხედავთ განვითარების მოსაჩვენლობას, ვითომობას იმისა, რომ თითქოსდა ემპირიული სამყარო ახსნადია, განმარტებადია. სინამდვილეში შეუძლებელია დამალვა იმისა, რომ რეალობის ბედი წინასწარ განსაზღვრულია შემეცნებლის აბსტრაქციებითა და ინტუიციებით. რეალური სამყარო კი არ არის ახსნადი, არამედ, პირიქით, ხდება მეცნიერის შეხედულების თავსმოხვევა რეალობისათვის, მისი სქოლასტიზირება. ნომინალიზმი არ შეიძლება მიღებულ იქნას კრიმინოლოგიაში, რამეთუ იგი გვაიძულებს ვხედავდეთ დანაშაულობას იმ სახით, როგორითაც იგი ზედაპირზე თამაშდება ჩვენს წინაშე. შედეგად, დღემდე კრიმინოლოგიას არ ძალუძს ჰქონდეს დანაშაულობის ზუსტი ობიექტური საზომი, და მაშასადამე არც ნამდვილი კრიმინოლოგიური თეორია.

293 В.Фокс (1980), Введение в криминология, М., «Прогресс», с.39

III ნაწილი
დანაშაულობის ნეგაციის თეორიის პრობლემატიკა

3.1. დანაშაულობის ნეგაციის თეორიის წანამძღვრები[294]

3.1.1. წინარე შენიშვნები

თანამედროვე კრიმინოლოგიას არ ძალუძს მოგვცეს მეცნიერულად დასაბუთებული, მოფიქრებული რეკომენდაციები. არსებული აზროვნების მიზეზად მ. ჰაიდეგერმა შემთხვევით როდი დაასახელა „ყოფიერების მივიწყება", რაც ნიშნავს რუტინაში ცხოვრებას. ესაა ისეთი ინდივიდის არსებობა, რომელმაც მიატოვა ყოფიერების არსი. ამის შედეგად იგი ივიწყებს ყოფიერების ჭეშმარიტებას და მისი მოქმედებები რჩება, როგორც მოუფიქრებელი.[295]

მსოფლიოს ქვეყნების მრავალ სასწავლო დაწესებულებაში ასწავლიან კრიმინოლოგიის კურსებს, სადაც ასახულია დანაშაულობის[296] სწორედ იმ დამკვირვებელთა პოზიციები, რომლებმაც, როგორც იტყოდა ფილოსოფოსი, დატოვეს „ყოფიერების არსი". არაა გამონაკლისი ქართული კრიმინოლოგიაც, სადაც დანაშაულობის სამყარო არა მარტო გაუგებარი და ძნელად ასახსნელია, რაც მთავარია, ის ფენომონოლოგიურია. მკაცრი აკადემიური მიდგომის ნაცვლად ყველგან გაბატონებულია დამკვირვებლის თვალსაზრისი, რომელსაც, როგორც მ. ჰაიდეგერი წერდა, არ ძალუძს „გააცნობიეროს საკუთარი ყოფიერება, გაიაზროს პასუხისმგებლობა მასზე".

ნაშრომის წარმოდგენილი მესამე ნაწილი განკუთვნილია ძირითადად მოაზროვნე სტუდენტებისათვის, რომლებიც არ იმსახურებენ, რომ მათ ასწავლიდნენ უმეცრებას, ახალგაზრდობისათვის, რომელთაც უნდა გაითავისონ პასუხისმგებლობა იმ სამყაროზე, სადაც მან უნდა იცხოვრონ.

---

294 გ. თოდრია (2015), დანაშაულობის ნეგაციის თეორია: ფიქრები კრიმინოლოგიაში „მივიწყებული ყოფიერების" პრობლემის დაძლევის გზებზე, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თბ., „მერიდიანი", 3 ტ., გვ.290–312.

295 М. Хайдеггер (1993), Письмо о гуманизме – Время и бытие, Статьи и выступления (пер. с нем.), М., Республика, с. 192–221

296 „დანაშაულობა" და არა „დამნაშავეობა" არის მართებული ტერმინი

მიდგომის არსი მდგომარეობს ვარაუდში, რომ ნებისმიერი „დანაშაული“, სამართლებრივი შეფასებისგან დამოუკიდებლად წარმოგვიდგება განსაზღვრული დამოკიდებულების სახით პირადი პრობლემის გადაწყვეტის მიმართ. ამერიკელ კულტუროლოგ მ.ჰოფმანს მიაჩნია, რომ სწორედ კაპიტალისტურ საზოგადოებაში „დანაშაული იქცა ჩვეულებრივ სოციალურ მოვლენად, სასიცოცხლო, უპირველესად, ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ერთერთ საშუალებად.“[297] სინამდვილეში დანაშაულობის ეს თვისება ყოველთვის შენარჩუნებულია, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც განვითარებულია საბაზრო ურთიერთობები, ინდივიდუალიზმი იძენს ყოვლისმომცველ ხასიათს და ამიტომ დანაშაულთა საზოგადოებრივი ხასიათი უფრო ძნელი ამოსაცნობია.

სხვა მხრივ, როგორც საზოგადოების ნაწილაკი, დანაშაულობა წარმოადგენს განსაკუთრებული სუბსტანციის – ნეგაციის მატარებელს. დანაშაულობაში აკუმულირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დამოკიდებულებას არსებობის პირობების შედარებითი გაუარესების და ცხოვრების წესის შესაბამისი ცვლილების მიმართ ჩვენ ვუწოდებთ ნეგაციას.[298] კრიმინოლოგიის ძირითადი საკითხია: როგორ ვლინდება ნეგაცია დანაშაულობაში და როგორ იზომება ის?

3.1.2. ფილოსოფიური მიდგომა

ფენომენოლოგების წარმოდგენებისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ ჰეგელმა შენიშნა, რომ ქმედების, როგორც დანაშაულის, ე.ი. როგორც უმართლობის არსი, არის არა არსი, არამედ „არსის მოჩვენებითობა, რომელიც საკუთარ თავს ვარაუდობს, როგორც რაღაც დამოუკიდებელს“.[299] ამრიგად, დანაშაულის შესახებ ჰეგელის მიხედვით მსჯელობისას უნდა დავიწყოთ არა დანაშაულის, როგორც „არსის მოჩვენებითობის“ გაგებიდან. ჩვეულებრივ კრიმინოლოგიური გამოკვლევები გამოდიან იმ ე. წ. საფრთხიდან, რაც თან სდევს დანაშაულს სიცოცხლის მოსპობის, მიყენებული მატერიალური ზარალის, მუქარის სახით და ა. შ. უარყოფდა რა მსგავს ილუზიებს, ჰეგელი გვაფრთხილებდა, რომ ჯერ მნიშვნელოვანია ვაჩვენოთ „როგორია ის არსებობა, რაც გააჩნია დანაშაულს.

297 М Гофман. Преступление – бизнес другим путем: http://samlib.ru/g/gofman_m/crime.shtml).

298 უარყოფა (ლათ. Negation).

299 Г. Гегель (1990), Философия права, М., «Мысль», с. 138

ეს არსებობა არის ნამდვილი ბოროტება...“ ამიტომ საჭიროა იმის „გამოკვლევა, რაში მდგომარეობს იგი“ და ამის შემდეგ გადავიდეთ „არსის მოჩვენებითობაზე“.[300]

მაგრამ როგორ მივუდგეთ დანაშაულობის არსს? პასუხობდა რა ამ კითხვაზე, ჰეგელი წერდა: „მხოლოდ ამ გარეგნული ფორმის მხრიდან ქურდობა, ძარცვა, აგრეთვე სასჯელი ფულადი ჯარიმების, ციხეში ჩასმის სახით და ა. შ, სრულიად არათანაბარია, მაგრამ თავიანთი ფასეულობით, მათი იმ საყოველთაო თვისების მიხედვით, რომ წარმოადგენენ დარღვევებს, ისინი ურთიერთშედარებადია...“.[301]

მაშასადამე, ჭეშმარიტი გზა დანაშაულობის არსის შეცნობისაკენ უნდა დავიწყოთ იმ ფენომენის შეცნობიდან, სადაც მოცემულია „არსებითი კავშირი დანაშაულსა და მის განადგურებას შორის“, ე.ი. დანაშაულსა და სამართალს (სახელმწიფოს) შორის. ცხადია, რომ ეს ამოცანა იურიდიული აზროვნების შესაძლებლობებს აღემატება, რამეთუ იურისტი აზროვნებს განსჯის კატეგორიებით. მისთვის ფორმალური საერთო არის არსი.[302] ამიტომ „განსჯის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მას (იურისტს – გ. თ.) ცალმხრივი განსაზღვრა აჰყავს ერთადერთისა და უზენაესის რანგში“.[303] არა ნამდვილ მეცნიერულ აზროვნებაში, არამედ სწორედ იურისტის გონებრივ აზროვნებაში სამართალი და დანაშაული მოცემულია ბარიკადის სხვადასხვა მხარეს.

რა პარადოქსამდე მივყავართ მსგავს ზედაპირულ აზროვნებას, ამას ჩვენ ვაჩვენებთ მოგვიანებით, დანაშაულობის საზოგადოებრივი ფორმის ანალიზისას. მაგრამ ამ შემთხვევაში ცოტა წინ წავიწევთ და გაკვრით შევეხებით პარადოქსს, რომელიც ელოდება კრიმინოლოგს.

რა არის ათვლის წერტილი „არსებითი კავშირი დანაშაულსა და მის განადგურებას შორის“? ნებისმიერ ისტორიულ ეტაპზე სახელმწიფო იწყებს ბრძოლას დანაშაულობასთან იმ მომენტიდან, როცა ის ხდება დანაშაულობის გენეზისის საშუალება. გამონაკლისს არ წარ-

300 იხ. იქვე, გვ. 147

301 იხ. იქვე, გვ. 150

302 Г.Тодрия (1983), К критике «диалектики криминогенной ситуации» (По поводу книги Е. Бафия. – Проблемы криминологии. Диалектика криминогенной ситуации. М., 1983), Известия АН ГССР. Серия экономики и права, N4, с. 93–101

303 Г. Гегель (1972), Кто мыслит абстрактно – Работы разных лет. В двух томах, т.1, М., «Мысль», с . 71

მოადგენს თანამედროვე საზოგადოება. ნორმატიულად ამყარებს რა კაპიტალის დაგროვების პირობებს, სახელმწიფო ამავე დროს უსიტყვოდ უშვებს არსებობის პირობების გაუარესებას კაპიტალის განვითარების ელემენტის სახით. მაშასადამე, სახელმწიფო იწყებს ბრძოლას დანაშაულობის წინააღმდეგ, როგორც არსებობის პირობების გაუარესებასთან, იმ შემთხვევაში, თუ ამ გაუარესებაში იგი თვითონვე მონაწილეობდა. ზედაპირზე კი ისე ჩანს, რომ დანაშაულთა რიცხვის ზრდას საზოგადოებაში ადგილი აქვს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად, რომ იგი აღმოჩნდება დანაშაულობასთან პირისპირ, რომელიც განვითარდა სახელმწიფოს მინაწილეობის გარეშე. აი სად მოგვევლინა ჰეგელის „არსებითი კავშირი დანაშაულსა და მის განადგურებას შორის". მისმა გამჭრიახმა გონმა უკვე მაშინ შენიშნა დაბრკოლება დანაშაულობის არსის გაგების გზაზე. იგი წერდა: „სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაული და მისი მოხსნა წარმოედგინათ, როგორც სხვადასხვა ბუნების მატარებლები, მაშასადამე, არ აღიარებდნენ ორივეს აუცილებელ იგივეობას, იმას, რომ დანაშაულში უკვე დავანებულია მისი განადგურება".[304]

კიდევ ერთი გაკვეთილი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ. „დანაშაულს თავისი აქ ყოფნით, – წერდა ჰეგელი, – აქვს გარკვეული თვისობრივი და რაოდენობრივი მოცულობა და ამით მისი უარყოფა (სასჯელი, სახელმწიფო რეაქცია – გ. თ.) როგორც... ასეთივე „მოცულობა".[305]

დანაშაულის „აქყოფნის" სახით გამოდის მისი რაოდენობრივი გარკვეულობა. თანამედროვე მსოფლიოში იგი გამოიხატება რიცხვში, ხოლო მონათფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში იგი მიახლოებით აისახებოდა სახელმწიფო მოხელეების მოხსენებებში, ჭორებში და ა. შ. ყველა შემთხვევაში ანალიზის გასაადვილებლად არ შევალთ საუკუნეთა სიღრმეში და შემოვიფარგლებით თანამედროვე წარმოდგენებით. სწორედ დანაშაულთა „აქყოფნა" არის მათი რიცხვი. მაგრამ თუ რიცხვი არის „არსის მოჩვენებითობა", მაშინ საჭიროა წინასწარ გავერკვეთ დანაშაულთა თვისობრივ მახასიათებლებში, ე. ი. გავარკვიოთ თუ რა ვლინდება რიცხვში. ბოლოს დგინდება „როგორია ის არსებობა, რომელსაც მოიცავს დანაშაული", ე. ი. სინამდვილეში რა განსახიერდება დანაშაულთა რიცხვში.

304 Г. Гегель (1990), Философия права, М., «Мысль». 1990, с. 414
305 იხ. იქვე, გვ. 149

3.1.3. ისტორიული მიდგომა

მსოფლიო კრიმინოლოგიაში გაბატონებულ ფაქტორთა საეჭვო თეორიებისაგან განსხვავებით, ჩვენი თეორია ეფუძნება ისტორიის ლოგიკას. ისტორიის ლოგიკის უარყოფა კი იწვევს აზროვნების დაბნეულობას. ამასთან დაკავშირებით ტ. იანგი შენიშნავს: „არის რამდენიმე თეორიული პერსპექტივა, რომლებიც მონაცვლეობით გამოიყენება ამერიკულ კრიმინოლოგიაში სტუდენტებისა და მოქალაქეებისათვის დანაშაულთა ტენდენციების ახსნის მიზნით. ამ თეორიების უმრავლესობა კონსერვატიულია... ზოგიერთი მთავარი თეორია ამერიკულ კრომინოლოგიაში წარმოადგენს არა დანაშაულის თეორიას, არამედ უფრო სოციალური ურთიერთმოქმედების ფილოსოფიას. ისინი შეეხება იმ სოციალური პირობების უმრავლესობას, რომელთაც ადგილი აქვსთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ჩვენ საქმე არ გვაქვს დანაშაულის თეორიებთან".[306]

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კაპიტალისტური საზოგადოება ემორჩილება მოგების კანონებს. ძნელია უსაყვედურო ამერიკელ ეკონომისტებს მარქსიზმისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო, როცა ისინი წერენ, რომ „მოგება არის კაპიტალისტური ეკონომიკის პირველადი ძრავა ანუ გენერატორი. მაგრამ მოგების ლოდინი ძალიან ცვალებადია... მოგება მოქმედებს „არასრულყოფილად," როგორც სიახლის და ინვესტირების სტიმული".[307] თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველა ამერიკელი ეკონომისტი როდია მზად აღიარონ ეს კანონზომიერება. მაგალითად, ლესტერ ტუროუ წერს: „თეორიულად კაპიტალიზმი უბრალოდ ამტკიცებს, რომ იგი ყველა სხვა სისტემაზე უკეთესად ახდენს პირადი უპირატესობების მაქსიმიზაციას. მაგრამ მას არ გააჩნია არავითარი თეორია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ეს უპირატესობები. იგი მოახდენს თვითდამანგრეველი უპირატესობების მაქსიმალიზაციას, ზუსტად ისევე, როგორც ალტრუისტული ჰუმანური უპირატესობებისა... დამნაშავედ ყოფნის სურვილი ისევე კანონიერია, როგორც სურვილი, იყო მღვდელი".[308] როგორც ვხე-

306 T. R. Young (1988), Theory and ethod for Criminology in the 21-st century, Archives of the transforming sociology series of the Red feather Institute for advansed studies in sociology.

307 К. Макконел, С. Брю (2003), Экономикс., М., т. 2, с. 214.

308 Л.Туроу (1996), Будущее капитализма. Как сегодняшние экономические силы

დავთ, ლ. ტუროუ აღიარებს მოგების ნორმის შედეგს, მაგრამ თვით ამ ნორმას უარყოფს ან ვერ ხედავს. თუ საზოგადოებაზე აზროვნებას „არ გააჩნია არავითარი თეორია", მაშინ გამოდის, რომ არ არსებობს საზოგადებაში განვითარების ძირითადი კანონი, როგორც ამბობენ კ. მაკონელი, ს. ბრიუ, მისი „გენერატორი."

ამრიგად, დანაშაულობის ნეგაციის ზომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში უნდა იყოს მოგების საერთო ნორმა, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების არსებობის პირობების შედარებით გაუარესებას, როგორც კაპიტალის განვითარების მომენტს. მაშასადამე, ნეგაციის სიდიდის პარამეტრები ყოველთვის მოცემულია სწორედ ამ ეკონომიკური კანონით. მისი მოთხოვნილება კარნახობს არამარტო დანაშაულობის, არამედ მასთან ბრძოლის თავისებურებას. როგორც აღნიშნავენ კ. მაკონელი და ს. ბრიუ, „ეკონომიკა მთლიანად მოგებული რჩება, ერთი მხრივ, უფრო მოქნილი და უფრო მწარმოებლური სამუშაო ძალის არსებობით, და, მეორე მხრივ, ნაკლები დანახარჯების გამო დანაშაულთა პროფილაქტიკის, კანონიერების უზრუნველყოფის და საქველმოქმედო პროგრამების განხორციელების მიზნით".[309]

აღნიშნული ეკონომიკური კანონის კრიმინოგენული როლის არცოდნას დასავლეთელი კრიმინოლოგები მიყავს ფრიად პესიმისტურ დასკვნებამდე. მაგალითად, ერლინგ ეიდე, პოლ რუბინი და ჯოანა შეფერდი იძულებულნი არიან აღნიშნონ, რომ იმ ეგზოგენური ცვალებადების შემოყვანა, რომლებიც გავლენას ახდენენ დანაშაულზე მაკროსაკვლევ დონეზე, შეუძლებელია. კრიმინოლოგები (ფიშერი, ნაგინი და სხვები) აცხადებენ, რომ მათთვის უცნობია ასეთი ცვლილების ფორმები. ამ შეხედულების შედეგია ის, რომ იდენტიფიკაციის ყველა მცდელობა ემპირიულ გამოკვლევაში მაკროდონეზე არის ილუზორული. განტოლებები შეიძლება იქნას განსაზღვრული ფორმალურად, მაგრამ ეფუძნებოდეს ცრუ ვარაუდებს. ამიტომ პრობლემების ოპერაციონალიზაცია (მათემატიზაცია) თეორიას მნიშნელოვანს არ ხდის.[310]

მაგრამ კრიმინოლოგიური აზროვნების შეცდომები განპირობებ-

формируют завтрашний мир (Пер. с английского), с. 166.

309 К. Макконнелл., С. Брю (1999), Экономикс: принципы, проблемы и политика (Пер. с 13–го англ. изд.), М., ИНФРА–М., с. 91

310 E. Eide, P. H. Rubin and J. . Shepherd (2006), Economics of Crime, Vol. 2, No 3., p. 235–236

ულია არა მარტო კვლევის სუსტი მეთოდოლოგიით. საქმე ისაა, რომ არამარტო კრიმინოლოგიის თეორიაში, არამედ დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკაშიც ძირითადი ეკონომიკური კანონის კრიმინოგენული როლი იგნორირებულია რიგი ობიექტური მიზეზების გამო:

ჯერ ერთი, მოგების საერთო ნორმის სტიქიური განვითარება აძნელებს საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა გაგებას. ინდივიდუალური კაპიტალის დონეზე მეწარმეს ეჩვენება, რომ მისი წარმატების წყაროა კაპიტალის ხარჯები. ამას იქით სოციალური სამყარო არ ჩანს. შემდგომ, კაპიტალის ბრუნვის პროცესები აძლიერებენ ილუზიას, რომ არა მარტო მეწარმის მიერ ავანსირებული კაპიტალი განსაზღვრავს მოგებას, არამედ რაღაც აუხსნელი მოვლენებიც, რომლებიც ბრუნვის პროცესიდან გამომდინარეობენ. ეს ზედაპირზე მოცემული „გაუგებრობა" საფუძვლად უდევს თანამედროვე კრიმინოლოგიურ თეორიებს, რომლებიც უარყოფენ სოციალურ დეტერმინიზმს და ცდილობენ მოთხოვნა-მიწოდების კონცეფციის ფარგლებში ახსნან დანაშაულობის შემცირების გზები. ამიტომ შემთხვევით როდი მიუთითებდა მ. ჰაიდეგერი, რომ „სამყაროს ახლანდელი ეპოქის განმასხვავებელი ნიშანია სიწმიდის განსაზღვრის დახურულობა",[311] ე. ი. დაკვირვებადი მოვლენების იმანენტური არსის გაზომვის შეუძლებლობა.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ნეოკლასიკური ეკონომიზმი, რომელმაც პრეტენზია განაცხადა ახალ კრიმინოლოგიურ თეორიაზე. როგორც ცნობილია, 60-იანი წლებიდან უცხოეთის კრიმინოლოგია მოიცვა ამ თეორიის ბუმმა. გ. ბეკერი, ი. ერლიხი და ამ მიმართულების სხვა მომხრეები ცდილობდნენ გაეგოთ სასჯელი, როგორც დანაშაულის შემაკავებელი ფაქტორი.[312]

მაგრამ საბოლოო ანგარიშში მათი ძალისხმევა სასურველი შედეგით არ დასრულებულა, რადგან ისინი ცდილობდნენ გაეგოთ დანაშაული და სასჯელი ისე, როგორც ეს ეკონომიკური ბრუნვის, ე.ი. მოთხოვნისა და მიწოდების დონეზეა მოცემული. შედეგად კი ფაქტორების თეორიის სულისკვეთებით „მეცნიერული" დასკვნები ბანალურ მტკიცებამდე დავიდა: თუ სიკვდილით დასჯა აშშ-ს ზოგიერთ შტატში ამცირებს მკვლელობების რიცხვს, მაშინ ეს „სასჯელი"

311 М. Хайдеггер (1993), Письмо о гуманизме – Время и бытие, Статьи и выступления (пер. с нем.), М., Республика, с. 192–221

312 Г.С. Беккер (2003), Человеческое поведение: экономический подход, Избранные труды по экономической теории, М., «ГУ ВШЭ».

მისაღებია; თუ აღნიშნული „სასჯელის“ მაგივრად ანგარებით დანაშაულის შემცირებაზე მოქმედებს მაღალი სანქციების სისტემა, მაშინ ეს სანქციები უნდა დაინერგოს და ა.შ. მოკლედ, ამ მიმართულებით ნეოკლასიკური ეკონომიზმი ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ მაღალი სანქციები მომგებიანია საზოგადოებისათვის, რადგან სასჯელის მოხდის პერიოდში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არაქმედუნარიანია, ე.ი. მას არ შეუძლია დანაშაულის ჩადენა.[313] მაგრამ მოგების საერთო ნორმამ ბოროტად დასცინა ამერიკელთა მოლოდინს. პატიმართა რიცხვის მატების მიუხედავად (აშშ-ში მათი რიცხვი ორ მილიონზე მეტია) დანაშაულთა რიცხვი მაინც განაგრძობდა ზრდას. აღმოჩნდა, რომ მაღალი სანქციები არ მოქმედებენ. რა შეცდომას უშვებდა აღნიშნული „თეორია“?

როგორც დანაშაული, ისე სისხლისსამართლებრივი ზომები, წარმოადგენენ გარდაქმნილ ფორმებს. ამიტომ მათი თანმიმდევრობა (ერთი მაჩვენებლის ზრდა, ხოლო მეორეს კი შემცირება და ა.შ.) მოთხოვნა-მიწოდების კონცეფციის ფარგლებში არ შეიძლება მიღებულ იქნას როგორც არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ ჩვენ არ ვიცით არსებობის პირობების გაუარესების პროცესი და შესაბამისად ამ პირობების მიმართ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დამოკიდებულება, ე.ი., თუ ჩვენ არ ვიცით ნეგაციის სიდიდე, მაშინ ზედაპირზე მოცემულ მოვლენათა ნებისმისმიერი თანმიმდევრობა შეფასდება, როგოც კაუზალური კავშირი. მოთხოვნა-მიწოდების პროცესი, როგოც ეკონომიკური ბრუნვის შემადგენელი ნაწილი, ყოველთვის დაგვიგებს ამ მახეს. ამის მაგალითია საქართველოს კანონმდებლობაში დამკვიდრებული საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი, რომელიც, როგორც აღნიშნავენ ამერიკელი მეცნიერები, ინერგება მარტო იუსტიციის სისტემის ხარჯთაღრიცხვის[314] და არა სამართლიანობის მიღწევის მიზნით. მეტად საზარელია მოგემის ნორმის მოთხოვნა, რომელსაც ქართველი კანონმდებელიც კი ვერ გაექცა.

სამწუხაროდ, ქართველმა კანონმდებელმა ვერ აითვისა ცხოვრების ეს გაკვეთილი და 90-იანი წლების სისხლის სამართლის კოდექსი შემდგომი რედაქციებით ქვეყანას მოევლინა, როგორც

313 პრობლემის მიმოხილვა იხ: N. Loayza, P. ajnzylber, D. Lederman (2000). „Crime and Victimization: An Economic Perspective“, Journal of LACEA Economia,Volume 1, N. 1, pp. 219–302

314 P.Rubin (1980), The economics of crime, The economics of crime. N.Y., p. 13 – 26

კანონშემოქმედების ერთ-ერთი რეპრესიული მოდელი. მას საფუძვლად დაედო ის იდეოლოგია, რომელიც თავის მხრივ ნეოკლასიკური ეკონომიზმის „წარმატებით" განვითარებას უწყობს ხელს. მოცემული იდეოლოგიის თანახმად, ინდივიდი საზოგადოებაში შემთხვევითი მოვლენაა, რომლის ქმედება დეტერმინირებული არაა სოციალური კანონებით. ასეთი კანონები ხომ არ არსებობენ. არსებობს მარტო ის ინდივიდი, რომელიც აფასებს სახელმწიფოს ზომებს, აწონ-დაწონის თავის მომგებიანობას და თუ მისაღებია, ჩადის დანაშაულს. ეს ინდივიდი შემთხვევითია, ხოლო სახელმწიფო – კანონზომიერი.

ზოგჯერ ანალოგიური მოდელების რეცეფციის პირობად ასახელებენ საქართველოში სამართლებრივი კულტურის დაბალ დონეს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, მათ შორის საქართველო, განვითარების ერთსა და იმავე ისტორიულ საფეხურზე არიან და აქაც შეინიშნება დაბალი სამართლებრივი კულტურა, თუმცა რეპრესიული სახის სანქციები არ ყოფილა შემოღებული. ამიტომ ეს მაჩვენებელი არსებით მახასითებლად არ გამოდგება. სამართლებრივი კულტურის დონე არის პირობა და არა მიზეზი. პასუხი დასმულ კითხვაზე სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ, რომელიც ადამიანს, როგორც უზენაეს ღირებულებას ისე უარყოფს და ემსახურება დაგროვების პროცესს საკუთრების ძალადობრივი ხერხებით. ამ მიმართულებით განხორციელდა დრომოჭმული ნორმატიული მოდელების რეცეფცია: გაუქმდა შემამსუბუქებელი გარემოებების ინსტიტუტი, ქმედების ერთობლიობის დადგენის მექანიზმი, სანქციების სისტემატიზაციის პრინციპი და ა.შ. გარდა ამისა, დაინერგა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი, კაზუისტური სახის ნორმები და ა.შ. სისხლის სამართლის პროცესიც პოლიტიკის მსხვერპლად იქცა. ხალხთან მოჩვენებითი დაახლოვების მიზნით ფეოდალური ეპოქიდან გადმოტანილი იქნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ფაქტიურად გაუქმდა დაზარალებულის ინსტიტუტი და ა.შ.[315]

საქართველოში არსებულ „რეფორმებს" სამწუხაროდ ობიექტური საფუძველი გააჩნია, რადგან წარმოება არაა განვითარებული და ეკონომიკაში ეკონომიკური ბრუნვის ფაქტორები დომინი-

315 იხ: გ.თოდრია (2007), იურიდიული პირის პასუხისმგებლობა: მცდარი გზა სამართალში და ჭეშმარიტება, საიუბილეო კრებული, თბ., თეუსუ, გვ.235–261; გ.თოდრია, გ. კინტირაია (2009), სანქციების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, თეუსუს სამეცნიერო შრომების კრებული, გვ. 331–341.

რებენ, რომელთა ქაოსის სამყაროში თავს უვნებლად რეპრესიული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა გრძნობს. ასეთ ეკონომიკურ პირობებში ქართველი ერი დაუცველია, რადგან იძულებულია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები სხვა ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის (უცხოური პროდუქტით) მეშვეობით. უფრო მეტიც ასეთი წნეხი დაუბრკოლებლად უწყობს ხელს სხვა ერების კულტურის შემოდინებას და შესაბამისად, ჩვენს ცხოვრებაში იმ ღირებულებების დანერგვას, რაც ემუქრება ჩვენს არსებობას. არსებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა ამ ეშმაკობის ნაშიერად გვევლინება.

გასაგებია, რომ ინდივიდუალურ კაპიტალს არ შეუძლია არ იყოს დამოკიდებული საზოგადოებაზე. და აღნიშნული დამოკიდებულება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვითარდება კონკურენციის სახით. ამიტომ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართულ ინდივიდს ეჩვენება, რომ მისი მოგება ან სხვა წარმატება დამოკიდებულია არა მარტო მის ძალისხმევაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთ არსებულ პირობებზე. და ეს მისი გაუგებრობა სუბსტანციისა სულ უფრო მკვიდრდება მის ცნობიერებაში. საზოგადოება ასევე რჩება მისთვის გაუგებარი. ამიტომ, მეწარმეებს და მათ მიერ ლობირებულ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შეუძლიათ ასახონ დანაშაულობის პრობლემა ისე, როგორც ის მოცემულია კონკრეტული ბიზნესის აგენტის ცნობიერებაში, და შესთავაზონ დანაშაულთან ბრძოლის მხოლოდ ის პროგრამა, რომელიც არ გამოდის მათთვის ხილულის ფარგლებს გარეთ, ე.ი. გარდაქმნილი ფორმების ფარგლებს გარეთ. არსებული კრიმინოლოგიური თეორიები ასაბუთებენ დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებს მარტო ამ კუთხით.

მეორეც, თანამედროვე კრომონოლოგები კრიტიკულად არ განიხილავენ ეკონომიკისა და სოციალური სამყაროს გარდაქმნილი ფორმების გავლენას დანაშაულის ხედვაზე. უფრო მეტიც, მათ არ შეუძლიათ ახსნან პრევენციული პროგრამების ნაკლოვანებები სწორედ ამ გარდაქმნილი ფორმების კრიტიკული განხილვის თვალსაზრისით. ამის მაგალითია დავა იმის შესახებ, თუ აშშ-ში რატომ მცირდება დანაშაულთა რისცხვი.[316]

316 St. Levitt (2004), Understanding Why Crime ell in the 1990s: our actors that Explain the Decline and Six that Do Not., Journal of Economic Perspectives, Volume 18, Number I–Winter, p. 163–190

ეყრდნობიან რა დანაშაულის კავშირს ხელფასთან,[317] უმუშევრობასთან[318] და სხვა ფეტიშირებულ ეკონომიკურ ფორმებთან, კრიმინოლოგებს საბოლოოდ არ შეუძლიათ დაინახონ მოგების საერთო ნორმის კრიმინოგენული როლი და შესაბამისად ნეგაციის მოახლოებული ტენდენციები. ემპირიული მასალა იკითხება ისე, როგორც იგი მოცემულია ზედაპირზე. მაგალითად, კრიზისის დროს 30-იან წლებში აშშ-ში უმუშევრობა აღწევდა 25 პროცენტს, ხოლო დანაშაულთა რიცხვი მცირდებოდა. 60-იან წლებში კი უმუშევრობის დონე იყო ისეთივე, როგორც, 90-იანი წლების ბოლოს და სწრაფად მცირდებოდა 2000 წლის ბოლოს, მაგრამ დანაშაულთა რიცხვი მკვეთრად იზრდებოდა. აქედან აკეთებენ დასკვნას, რომ უმუშევრობას და სიღატაკეს, ე. ი. არსებობის პირობების გაუარესებას არ შეუძლია მოახდინოს დანაშაულობის აბსოლუტური დეტერმინირება და შესაბამისად, ეკონომიკის კანონები სულაც არ თამაშობენ გადამწყვეტ როლს.

მთლიანად ენდობიან რა გარდაქმნილ ეკონომიკურ ფორმებს, კრიმინოლოგებს სინამდვილეში არ ძალუძთ გაერკვნენ თანამედროვე საზოგადოებაში დანაშაულობის არსებობის სოციალურ კანონებში. ამის შედეგად დანაშაულობის პრობლემა იქცევა საეჭვო თეორეტიზირების საგნად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საზოგადოება, სადაც ადგილი აქვს დანაშაულს, მოკლებულია ისტორიას, იგი არ არსებობს და მის ადგილს იკავებს ადამიანთა რალაც ამორფული კონგლომერატი.

თუ სტრუქტურული ფუნქციონალიზმისათვის, როგორც ხატოვნად წერდა ჩარლზ მილსი, „საზოგადოება მოგვაგონებს გალერას, რომელიც მოძრაობაში მოჰყავთ მონებს",[319] ნეოკლასიკური ეკონომიზმისათვის საზოგადოება შედგება შემთხვევითი ინდივიდებისაგან, რომლებიც მუდმივად დგანან არჩევნის წინაშე და მეტი არაფერი. ნეოკლასიკოსებს ჰგონიათ, რომ „დანაშაულებრივი ქცევის საერთო თეორია საშუალებას გვაძლევს უარი ვთქვათ სპეციალურ

317 R. owles, . erva (1996). Wage inequality and criminal activity: An extreme bounds analysis for the United States, 1975–1990, Journal: Criminology Volume:,34 Issue 2, p. 163–180

318 D. Altindag (2011), Essays on the Economics of Crime, The Department of Economics– http://etd.lsu.edu/docs/available/etd–05152011–212114/unrestricted/altindag_diss.pdf

319 Ч. Миллс (2001), Социологическое воображение (Пер. с англ.), М., Издательский Дом NOTA BENE, с. 17–140

განმარტებებზე, ისეთებზე, როგორც ზნეობის დაცემა, ფსიქოლოგიური გაუწონასწორებლობა ან თანდაყოლილი მიდრეკილებები, და უბრალოდ გავაფართოოთ არჩევნის ჩვეულებრივი ეკონომიკური ანალიზის გამოყენების სფერო".[320] როგორც ვხედავთ, ნეოკლასიკური ეკონომიზმიც, როგორც პარსონსის მოდელი, ცდილობს გვერდი აუაროს სოციალური დეტერმინიზმის პრობლემატიკას.[321] ამიტომ მათ თეორიაში დანაშაული წარმოგვიდგება, როგორც ინდივიდუალური არჩევნის შედეგი.

მაგრამ თუ არ არის საზოგადოება, რომელიც ემორჩილება თავის გარკვეულ კანონებს, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს დანაშაულობასთან, როგორც ათასობით ადამიანის განუკითხაობის შედეგთან. ამ თეორიის მიხედვით, არაა აუცილებელი ვიცოდეთ ის დაფარული სოციალური კანონები, რომლებიც ახდენენ დაანაშაულობის დეტერმინირებას და რომელთა დადგენაც საშუალებას იძლევა შევაკავოთ დაანაშაულობასთან ბრძოლის სახელმწიფო ზომების დაუსაბუთებლობა. თუ ფორმულიდან „საზოგადოება – სახელმწიფო" ვარდება „საზოგადოება", როგორც უცნობი ცვალებადობა, მაშინ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს პირისპირ აღმოჩნდება ინდივიდი, რომელმაც აირჩია დანაშაული, როგორც პრობლემის გადაწყვეტის

320 Г.С. Беккер (2003), Человеческое поведение: экономический подход, Избранные труды по экономической теории, М., «ГУ ВШЭ».

321 ადრე გამოცემულ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა სოციალური დეტერმინიზმის უარყოფის მიზეზები. ამასთან დაკავშირებით იყო აღნიშნული: „სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების კრიმინოლოგები იძულებული არიან ჩამოაყალიბონ თავიანთი კონცეფციები შემდეგი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით: როგორაა შესაძლებელი დანაშაულობასთან ბრძოლის ცვლილება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, თუ იგი შებოჭილია წარმოების წესის ისტორიულად უცვლელი ბუნებით? მოცემული ამოცანის გადაწყვეტის ძირითად მიზნად კრიმინოლოგები ირჩევენ სოციალური წესრიგის, როგორც საზოგადოების ბუნებრივი ფორმის აპრიორულ დაშვებას. სამყაროს სწორედ ასეთი ხედვის ფარგლებში ისინი ცდილობენ იმგვარად დაადგინონ დანაშაულობის მიზეზები, რომ პრევენციული ზომების საშუალებით მოხდეს საზოგადოების მოცემულ სტაბილურ მდგომარეობაში დამაგრების პრობლემის გადაწყვეტა. ამრიგად, იწყება ისტორიის ისე გაგება, როგორც ნებისმიერი ცვლილებისა საზოგადოებაში, რომლის არსებობა და დაცვა შესაძლებელია მხოლოდ წონასწორობის მდგომარეობაში. აქედან გამომდინარეობს კრიმინოლოგიის ძირითადი ამოცანა – მოგვცეს საზოგადოების სტაბილიზაციის, ე. ი. წონასწორობის შენარჩუნების რეკომენდაციები" (გ. თოდრია (2012), ისტორიზმის პრობლემა კრიმინილოგიურ აზროვნებაში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ნიგნი 2. თბ., გვ. 292–322)

უფრო მომგებიანი ხერხი. ლოგიკურად ასეთ მიდგომას მივყავართ დამნაშავის „მოკვეთის“ ნებისმიერი ზომის, მაღალი სანქციების (სიკვდილით დასჯის სახით) გამართლებამდე. როგორც აღნიშნავს ნეოკლასიკური ეკონომიზმის ერთ-ერთი მომხრე გ. ბეკერი, „ეკონომიკური მიდგომა ნიშნავს..., რომ სასიკვდილო განაჩენებმა ხელი უნდა შეუწყონ მკვლელობათა რიცხვის მნიშვნელოვან შემცირებას, ვიდრე იმ სასჯელებმა, რომლებიც გამოიყენება ამჟამად აშშ-ში და მრავალ სხვა ქვეყანაში“.[322] როგორც აღნიშნავდა პ. რუბინი, აშშ-ს იმ შტატებში, სადაც ხშირად სიკვდილით სჯიან, მკვლელობათა რიცხვი მცირდება.[323]

როგორც ვხედავთ, იმ თეორიებში, სადაც უარყოფილია დეტერმინიზმი, თავს იჩენს მოვლემათა თანმიმდევრობაზე აგებული საზოგადოების უარყოფის კონცეფცია. ზიზხს იწვევს ნიჰილისტური დამოკიდებულება საზოგადოებისადმი, რომლის თანახმად სიკვდილით დასჯა არის დანაშაულთა რიცხვის შემცირების მიზეზი. აი სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს მოვლენათა თანმიმდევრობის კაუზალობასთან გაიგივიბეს მცდელობამ.[324]

3.1.4. კრიმინომეტრიული მიდგომა

ნეგაციის თეორიაში ჩვენ ვავითარებთ სხვაგვარ მიდგომას დანაშაულობის გაზომვის მიმართ. ეს თეორია ეფუძნება დებულებას, რომ დანაშაულთა რიცხვი როგორც არსებობის პირობების გაუარესების მაჩვენებელი ამავე დროს არის სახელმწიფოს მიერ დაცული სამართლებრივი წესრიგის მიმართ გარკვეული დამოკიდებულების მაჩვენებელი. დანაშაულობის ნეგაციის სიდიდე, საბოლოო ანგარიშში, იზომება მოგების საერთო ნორმის რყევებით. როგორც მართლწესრიგის მაჩვენებელი, დანაშაულობა იზომება მხოლოდ დანაშაულთა რიცხვის რყევებით. პირველი მონაცემი ატარებს დაფარულ ხასიათს, ხოლო მეორე ასახულია საუწყებო ანგარიშში სახელმწიფო საქმეების მდგომარეობის ინდიკატორის სახით.

ნეგაციის სიდიდე იზომება ირიბად, სახელმწიფოში საქმეთა

322 Г.С. Беккер (2003), Человеческое поведение: экономический подход, Избранные труды по экономической теории, М., «ГУ ВШЭ».

323 P.H. Rubin (1980), The economics of crime, The economics of crime. N.Y., p. 13 – 26.

324 გ. თოდრია (2008), სამართლებრივი ნიჰილიზმი თანამედროვე კრიმინოლოგიაში, თეუსუ-ს სამეცნიერო შრომების კრებული, გვ. 273–288

მდგომარეობის მაჩვენებლის საშუალებით, ე. ი. დანაშაულთა რაოდენობის მიხედვით (თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ეს რაოდენობა იმავდროულად მოცემულია საუწყებო ანგარიშგების შემადგენელი ელემენტის სახით). მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს საპირისპირო დებულება, რომ სამართლებრივი წესრიგის მიმართ დამოკიდებულების მაჩვენებელი ამავე დროს არის აუცილებლად არსებობის პირობების გაუარესების მაჩვენებელი.

მეტიც, მსგავსი დამთხვევა რეალობაში არაა და არც შეიძლება იყოს, რამეთუ ნეგაციის სიდიდე არაა დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა ის დანაშაულთა მეტ ან ნაკლებ რაოდენობაში. მსგავსი დაუმთხვევლობა არაერთგზის იწვევს კადრების ცვლის, სტრუქტურების რეფორმების სულ სხვადასხვა ტრაგიკომიკურ სიტუაციებს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში, პოლიტიკურ ბატალიებს ხელისუფლების კულუარებში, გრანტმაძიებელთა მოჩვენებით აქტიურობას და სხვ.

აიგივებენ რა დანაშაულთა რაოდენობას ნეგაციის სიდიდესთან, სახელმწიფო ორგანოები აღმოჩნდებიან სიტუაციაში, როცა კითხვა: რა ძგერს დანაშაულობაში, – დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკისათვის მიუღწეველი რჩება. იგი იფარება ირაციონალური კითხვით: როგორ განასხვავებენ დანაშაულს მათი „სხეულებრივი ნივთიერების" რაოდენობის მიხედვით. შედეგად დანაშაულობის რეალური სურათი მახინჯდება. დანაშაულთა რაოდენობრივი აზვირთება განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების პრევენციული აქტიურობის ზრდას. მაგრამ ეს აქტიურობაც ასევე იწვევს დანაშაულთა რიცხვის, არსებითად კი – გახსნის მაჩვენებლის ზრდას. იქმნება შეკრული წრე: ორივე ეს ფაქტორი განსაზღვრავს ერთმანეთს, მაგრამ ისინი არ ცვლიან დანაშაულის ბუნებას. დანაშაულთა იმანენტური შინაარსი გროვდება, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქტიურობის ზრდა ყოველთვის თან სდევს დანაშაულთა რაოდენობრივ ზრდას და ამავე დროს არ იწვევს მასში დავანებული ძირითადი ბუნების ცვლილებას. მოცემული კანონზომიერების ილუსტრაციის სახით შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ში დანაშაულობასთან ბრძოლის რეიგანისეული პოლიტიკის მარცხი.

80-იან წლებში რეიგანის პოლიტიკა ითვალისწინებდა დანაშაულთა რიცხვის შეჩერებას რამდენიმე მიმართულებით. უპირველესად გაძლიერებული იქნა სახელმწიფო რეაგირება ეკონომიკაზე საგადასახადო, საკრედიტო–ფულადი და არაპირდაპირი ზე-

მოქმედების სხვა ზომების გამოყენების გზით. ამასთან, გაიზარდა გადასახადები პირად შემოსავლებსა და გადარიცხვებზე, მაგრამ შემცირდა კორპორაციული გადასახადები. საგადასახადო პოლიტიკა ასტიმულირებდა საინვესტიციო აქტიურობას. ამ პოლიტიკამ აამაღლა ყველაზე მდიდარი ამერიკელების სტატუსი და საშუალება მისცა საშუალო კლასს გაეუმჯობესებინა საკუთარი მატერიალური მდგომარეობა. ამავე დროს გაიზარდა გადარიცხვები სადაზღვეო ფონდში დაქირავებული შრომის ანაზღაურებიდან. უფრო მეტიც, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ 1984 წელს თავისი გადაწყვეტილებით კორპორაციებს უფლება მისცა ცალმხრივი წესით გაეწყვიტათ შრომითი ურთიერთობები, თუ მათ გაკოტრება ემუქრებოდათ. ამავე დროს ლიკვიდირებული იქნა ფედერალური სოციალური პროგრამების უმრავლესობა. მიღებული ზომების შედეგად 1982 წელს დანაშაულთა რიცხვი შემცირდა 3 პროცენტით, ხოლო 1983 წელს – კიდევ 7 პროცენტით.[325]

მაგრამ დანაშაულთა შემცირება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნეგაციის სიდიდე არ იცვლებოდა. აშშ-ის კონგრესის მოხსენებაში (1991 წ.) აღნიშნული იყო, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისიდან შიმშილი გაიზარდა 50 პროცენტით და მოშიმშილეთა რაოდენობამ შეადგინა 30 მილიონი ადამიანი. შიმშილის მთავარი მსხვერპლი აღმოჩნდნენ სწორედ ბავშვები. სწორედ ის სოციალური პროგრამები იქნა შემცირებული, რომლებიც მიმართული იყო დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების უზრუნველყოფისაკენ.[326] საგადასახადო წნეხი შეეხო საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახებს: ხელფასის გადასახადმა შეადგინა 8,2 პროცენტი, ხოლო მოგების გადასახადმა – 9,5 პროცენტი.[327] გასაკვირი არაა, რომ 1995 წლიდან აშშ-ში რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა 5 პროცენტით გაიზარდა (ხოლო სამხრეთის შტატებში ზრდამ შეადგინა 9 პროცენტი), უფრო მეტიც, დანაშაულთა განვითარებაში გაჩნდა საკმაოდ დრამატული ტენდენციები – ამერიკას გადაუარა ძალადობის ტალღამ. განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ ეს ტალღა მსხვილი ქალაქებიდან გავრცელდა

---

325 მასალა მოყვანილია წიგნიდან: С.М.Иншаков (1997), Зарубежная криминология, М., с. 227–230

326 Ronald Reagan on Welfare & Poverty: http://www.ontheissues.org/Celeb/Ronald_Reagan_Welfare_+_Poverty. htm

327 Was Ronald Reagan a Good President?– http://reagan.procon.org/

წვრილ და საშუალო ქალაქებში. როგორც ყოველთვის ეჩვენებოდათ, რომ სოციალური კონტროლის მექანიზმებში პოლიციელის ხელკეტს არასაკმარისი ყურადღება ექცევა და ამიტომ დანაშაულობა იზრდება.[328]

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ თუ დანაშაულობასთან ბრძოლის პოლიტიკა არ ცვლის მოსახლეობის არსებობის გაუარესებულ პირობებს და საკუთარ ინტერესებს აგებს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ამცირებენ დანაშაულთა მხოლოდ რაოდენობას, ამით დანაშაულის რეალური სურათი არ შეიცვლება. ქეყანაში ყოველთვის ექნება ადგილი დანაშაულთა სწორედ იმ რეალურ რიცხვს, რაც საკმარისია ნეგაციის მოცემული სიდიდის გამოსახატავად. და როგორც ყოველთვის, ამ საშინელი სურათის უკან ყოველთვის დგას მოგების საერთო ნორმის ნება, რომელიც ადგენს დანაშაულობის „შესაძლებლობათა" ზღვარს. მონოპოლიურ მოგებათა ზრდა, ერთი მხრივ, და შიმშილის – მეორე მხრივ, წარმოადგენს ამ კანონზომიერების სარწმუნო მტკიცებულებას.

2013 წელს ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა საქართველო. დანაშაულთა რიცხვის ცვალებადობა გახდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პოლემიკის საგანი. „ოცნების" მომხრეები დანაშაულთა გაზრდილ რაოდენობას ხსნიდნენ დანაშაულთა გახსნის გაზრდით, ხოლო „ნაციონალები" – სიტუაციის გაუარესებით. მაგრამ მოყვანილი არგუმენტები არ შეესაბამება ნეგაციის რეალობას. „გახსნილობას" შეუძლია მხოლოდ გააშიშვლოს დანაშაულთა აისბერგი, ამ მოვლენის რაღაც დაფარული ნაწილი. მაგრამ არ შეეხოს ნეგაციის სიდიდეს. სხვა მხრივ, დანაშაულთა რიცხვის ზრდა არ შეიძლება იყოს საზოგადოებაში მდგომარეობის გაუარესების მაჩვენებელი, რამეთუ არსებობის პირობების გაუარესების წინაპირობები საქართველოში რეალურად არ შეცვლილა: არ აშენებულა ქარხნები, ფაბრიკები, მოსახლეობა ძირითადად დაკავებულია წვრილი წარმოებით და ვაჭრობით. სოფლის მეურნეობაში ისევ დომინირებს წვრილი კუსტარული წარმოება და ა. შ. უმუშევრობა ნარჩუნდება ერთსა და იგივე დონეზე. მოსახლეობის ნაწილის არსებობის წყაროს წარმოადგენს იმ პირთა შემოსავლები, რომლებიც სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდნენ და ა. შ. მოკლედ, ქვეყანაში არაა შექმნილი აღწარმოების მექანიზმი. ეკონომიკა ცალმხრივად ვითარდება მარტო სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის ხარჯზე, ხოლო სამრეწველო

328 С.М.Иншаков (1977), Зарубежная криминология, М., с. 227–230

პროდუქციაზე მოთხოვნა კმაყოფილდება საზღვარგარეთ არსებული წარმოებებით. ამ პირობებში არ შეიძლება შეიცვალოს ნეგაცია, რადგან უცვლელია მოსახლეობის არსებობის გაურესების „ნორმა“. ამ პირობებში ნეგაციის ირგვლივ დანაშაულთა რიცხვის მერყეობა ვერ ასახავს რეალურ სურათს. დანაშაულთა რიცხვის მერყეობაზე აგებული დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა ყოველთვის იქნება უშედეგო. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნეგაციის კანონი ობიექტურია და მას ვერსად ვერ გავექცევით.

კრიმინოლოგია არ უნდა აგებდეს თავის პროგნოზს „სამართლებრივი ურთიერთობიდან“, სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური პროცესებისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რადგანაც ამ მაჩვენებელზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, სახელმწიფო მმართველობის გადაცდომათა ჩათვლით. სამართლის სოციალური პროცესებისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელი წარმოადგენს იმ რალური ურთიერთობების გარეგნულ ფორმას, რომლებიც წარმოდგენილია დამახინჯებული სახით, რაც ზოგჯერ ეწინააღმდეგება საქმის არსს. აქ რეალობა ყოველთვის თავდაყირაა დაყენებული.

აშშ-ს დანაშაულთა სტატისტიკა აფიქსირებს საინტერესო კანონზომიერებას, რომელიც ადასტურებს ჩვენი დასკვნის სისწორეს, რომ ნეგაციის სიდიდე არაა დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა იგი დანაშაულთა დიდ ან ნაკლებ რაოდენობაში. ამ ქვეყანაში კრიზისების დროს (1960–1961, 1969–1970, 1973–1975, 1980–1982) დანაშაულთა რიცხვი იზრდებოდა.[329] თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკური კრიზისი დაკავშირებულია მოგების საერთო ნორმის შემცირებასთან, გასაგები გახდება, რას წარმოადგენს დანაშაულთა რეალური საფუძველი.

მაგრამ, 90-იანი წლებიდან დაწყებული დანაშაულთა რიცხვი მცირდება, რაც კრიმინოლოგების გაუგებრობას იწვევს. მათ იგნორირება გაუკეთეს იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდში უფრო ინტენსიურად მოქმედებენ ხელფასის შემცირება, სამუშაო დროის შემცირება, არამონოპოლიზირებული სექტორის განვითარება, კაპიტალის გატანის გაფართოება და სხვა ფაქტორები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოგების ნორმის შემცირებას. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, არსებობის პირობების გაუარესება რადენადმე რბილდება და ამის შედეგად დანაშაულთა დონე ძირს იწევს.

329 United States Crime Rates 1960 – 2011– http://www.disastercenter.com/crime/uscrime.htm.

ეს კანონზომიერება აქამდე გაუგებარია სხვადასხვა შეფერილობის მქონე კრიმინოლოგებისათვის. სპონტანურად ჩამოიშალა ყველა კრიმინოლოგიური თეორია, როცა, 90-იანი წლებიდან დანაშაულთა რიცხვმა კლება დაიწყო. როგორც სტივენ ლევიტი წერს, წამყვანი ექსპერტები წინასწარმეტყველებდნენ დანაშაულთა რიცხვის ზრდას. მართლაც, წერს ს. ლევიტი, ასეთი შემცირება მოულოდნელად მოხდა. თუმცა ექსპერტებმა ვერ იწინასწარმეტყველეს ასეთი დაცემა, მაგრამ ჰიპოთეზების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობოდა, სადაც ცდილობდნენ აეხსნათ დანაშაულთა შემცირების მიზეზები.[330] ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამერიკელი მეცნიერის ჯ. რიტცერის სიტყვები, როცა ის წერდა, რომ სოციალურ სისტემაში განვითარდა სიღრმისეული ტენდენციები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ დევიაცია. ისინი აღმოჩნდებიან კონტროლის მიღმა ჩვეულებრივი სანქციების მხრიდან მოწონების ან არმოწონების და ჯილდის ან სასჯელის სახით.[331] ამასთან ნაცვლად იმისა, რომ გამოავლინონ „სიღრმისეული ტენდენციები", „რომლებსაც შეუძლია შეცვალონ დევიაცია", კრიმინოლოგები დაკავებული არიან ზედაპირული მოვლენების შესწავლით, კერძოდ „შემცირების ასეთ ფაქტორებს აკუთვნებდნენ პატიმართა რაოდენობის ზრდას, კოკაინის ბაზრის ცვლილებებს, მოსახლეობის ასაკის ზრდას, ცეცხლსასროლი იარაღზე უფრო მკაცრ კანონებს, ძლიერ ეკონომიკას და პოლიციელთა რიცხვის ზრდას".[332]

3.2. ანალიტიკური მიდგომა დანაშაულის გამოხატულების ფორმისადმი.

როგორც ზემოთ ვწერდით, ნეგაცია ვლინდება დანაშაულობაში და იზომება მოგების საერთო ნორმის რყევების მიხედვით. მაგრამ ეს საკითხი არ იქნება ბოლომდე გაგებული, რადგანაც დანაშაულობაზე ლაპარაკი ძნელია, თუ არ გვაქვს გარკვეული დევინანტური აქტების სისხლისსამართლებრივი შეფასება. ესე იგი ჩვენ უნდა გავარკვიოთ სამართლის როლი ამ გაზომვის პროცესში. სხვანაირად

330 S. Levitt (2004), Understanding Why Crime ell in the 1990s: our actors that Explain the Decline and Six that Do Not, Journal of Economic Perspectives, Volume 18, Number I–Winter, p. 163–190.

331 Дж. Ритцер (2002), Современные социологические теории (5–е издание),СПб., Питер, с. 125

332 იხ. იქვე: S. Levitt, p. 163–190.

რომ ვთქვათ, ჩვენ უნდა გავარკვიოთ თუ როგორ იზომება დევიანტური აქტები, როცა ისინი გამოჩნდნენ მსოფლიოს წინაშე დანაშაულის სახით.

„დანაშაულობა“, როგორც არსებობის პირობების გაუარესების დაძლევის უხეში ხერხი, წარმოიქმნება მანამდე, ვიდრე ჩამოუყალიბდება სახელმწიფოს მათ მიმართ დამოკიდებულება. სამართლებრივი ურთიერთობა – განსაკუთრებული მოძრაობა, სადაც თვისება „იყო ნეგაციის მატარებელი“ გარდაიქმნება თვისებად „იყო ნეგატიური ხერხი“. დანაშაულობა განიცდის ურთულეს მეტამორფოზას: იგი არ უკავშირდება საზოგადოების სოციალურ კანონებს, არამედ უკავშირდება კონკრეტულ დანაშაულთა ლოკალურ მიზეზებს. სახელმწიფო მოსამსახურე, ობივატელი, ჟურნალისტი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთსულოვანნი ხდებიან დანაშაულობის ხედვაში იმ სახით, რა სახითაც წარმოდგება იგი სამართალებრივ ურთიერთობაში. ამიტომ დღესაც სადოქტორო დისერტაციებში „ღრმა მეცნიერული“ კვლევის საგანია ტრეფიკინგი, ძალდობრივი დანაშაული, ქურდული სამყარო და სხვა „აქტუალური“ ხედვის პრობლემები, რომლის მიხედვით „მზე ბრუნავს მიწის გარშემო“.

მოკლედ, წარმოიქმნება სამართლებრივი ურთიერთობის პარადოქსი: იმისათვის რომ ქმედება დანახული იქნას როგორც მოვლენა, რომელიც საშიშია საზოგადოებისათვის, მან უნდა შეიძინოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის განსაკუთრებული იურიდიული ნიშნები. მაგრამ მათი შეძენის პროცესში იგი კარგავს თავის ნარმომავლობას, როგორც საზოგადოების ნაწილაკი, რამეთუ მთლიანად აღიქმება როგორც შემთხვევითი ინდივიდის პროდუქტი. იმისათვის, რომ იმუშაოს სახელმწიფო იძულებამ, ინდივიდი უნდა წარდგეს სახელმწიფოს წინაშე არა როგორც პირი, რომელიც ესწრაფვის შეაკავოს მისგან საზოგადოების გაუცხოების დაწყებული პროცესი, არა როგორც გაუცხოებული, არამედ როგორც პირი, რომელიც თვითონ იწვევს გაუცხოებას. ამიტომ დანაშაულის ნამდვილი კაუზალური არსის სახით იურისტს წარმოუდგება კანონის ნორმით გათვალისწინებული დამნაშავე პირის ქმედება.

იურისტისათვის დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირი არის იგივე, რაც საზოგადოებასთან დაპირისპირებული, გაუცხოებული პირი. იმდენად, რამდენადაც „დანაშაულის სისტემაში“ ჩვენ საქმე გვაქვს დანაშაულის კონკრეტულ ამსრულებელთან, მაშასადამე, სამართლებრივ ურთიერთობაში დანაშაულის არსის ნამდვილ

განმსაზღვრელად წარმოგვიდგება არა მრავალი ათასის მისწრაფება გადალახონ არსებობის გაუარესება, არამედ სახელმწიფო რეაქცია ასეთი დაძლევის მცდელობაზე. ამრიგად, ფილოსოფიის ენით რომ ვთქვათ, გაუცხიებული პირის გადაქცევა დამნაშავე პირად წარმოადგენს სახელმწიფო იძულების ტიპიერ გამოხატულებას. ამიტომ სახელმწიფოსათვის გაუცხოების მოხსნა იზომება კანონმორჩილებით, კანონდარღვევათა შემცირებით, უბრალოდ რომ ვთქვათ, გაუცხოების რიგებში დაბრუნებით. მაშინ, როდესაც საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის გაუცხოების მოხსნა იზომება ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიხედვით, ადამიანთა გაუცხოების, საზოგადოების ინდივიდებთან, როგორც უცხო ძალასთან დაპირისპირების შემცირებით. ამრიგად, სამართლებრივ ურთიერთობაში „დანაშაულები" იძენენ საზოგადოებრივ ფორმას, მაგრამ დამახინჯებული სახით. ნეგაციის ფაქტორებთან ერთად მოქმედებას იწყებენ სამართლებრივი ურთიერთობების ფაქტორებიც. ამიტომ ნეგაციის იმანენტურ ზომასთან ერთად, ჩნდება გარეგანი ზომა – კანონმორჩილება. ამავე დროს კანონმორჩილება სულაც არ ნიშნავს, რომ არსებობის პირობების გაუარესება შესუსტდა.

ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ ობიექტურად მოგების საერთო ნორმა თითქოს ფანტავს საზოგადოებრივ მოვლენებს სულ სხვადასხვა ერთმანეთთან კავშირის არმქონე ფაქტორებად. მაგრამ რა როლი აკისრია ამ პროცესში სახელმწიფოს? საჭიროა ყურადღება დავუთმოთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე პირობებში ძლიერდება ეტატისტური ტენდენციები გაუცხოების პროცესების აღქმაში. ეს ნიშნავს, რომ ვითარდება მსოფლმხედველობა, რომელიც ახდენს სახელმწიფოს როლის აბსოლუტურად მიჩნევას. აქტიური სამართლებრივი ჩარევის პოლიტიკა საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების ყველა სფეროში წარმოადგენს მოცემული იდეოლოგიის პრაქტიკულ რეალიზაციას.

მართალია, იმ ქვეყნების პირობებში, რომლებიც იმყოფებიან თავდაპირველი კაპიტალის დაგროვების სტადიაზე (განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების) იმავ დროულად ადგილი აქვს სამართლებრივი ეტატიზმის გაძლიერებას. მაგრამ აქ სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები რამდენადმე განსხვავებულია. ეტატიზმის განვითარებას ხელს უწყობს ეკონომიკის განუვითარებლობა, საკუთრების ძალისმიერი გადანაწილება და დაგროვება.[333]

333 შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში ახალგაზრდა ცდილობს გახდეს

განვითარებული მონოპოლიზმის პირობებში სამართლებრივი ეტატიზმი ძლიერდება იმის გამო, რომ წარმოების განსაზოგადოება მოითხოვს რესურსების და ტექნოლოგიების კონცენტრაციას საქონლის წარმოების მონოპოლიური ორგანიზაციის შედეგად. ადექვატური საგადასახადო სისტემისა და სხვა ეკონომიკური ზომების გარეშე, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მონოპოლიზმის განვითარებას, ეკონომიკის განსაზოგადოების განხორციელება შეუძლებელია. შესაბამისად სოციალური სამყარო ჩანს არა ისეთი, როგორიც არის, არამედ ისეთი, როგორადაც წარმოგვიდგება სამართლებრივ ურთიერთობაში.

სოციალური სამყაროს დაქსაქსულობას ცხოვრების სხვადასხვა ფრაგმენტებად სამართლებრივ ურთიერთობაში ემატება ის, რომ სწორედ ისინი სახელდებიან დანაშაულთა მიზეზებად. ამრიგად, სამყაროს ხედვა, რომელსაც გვთავაზობს მოგების საერთო ნორმა, სამართლებრივ ურთიერთობაში მკვიდრდება, როგორც დანაშაულობის ერთადერთი შესაძლო სწორი ხედვა.

ამით სრულდება დანაშაულის მეტამორფოზა: ხილული დაქსაქსულია ფრაგმენტული მოვლენების – მკვლელობის, ქურდობის, ძარცვის და ა.შ. სახით, ხოლო მათი ზოგადი კი მოცემულია დანაშაულთა სხვადასხვა კლასიფიკაციების სახით, რაც წარმოადგენს მარტო მკვლევარის აზროვნების შედეგს. სინამდვილეში ასეთი „სამყარო" არარეალურია. ის, რაც გვეჩვენება ტრანსცენდენტურ ანუ განყენებულ, არარეალურ მოვლენად სინამდვილეში რეალურია. მოგების ნორმა არა მარტო ანიჭებს სამართალს ასეთი დამახინჯებული ხედვის გამყარების შესაძლებლობას, არამედ ეტატიზმის გაძლიერების პირობებში ამ მოვლენაზე სილრმისეული განსჯის შესაძლებლობასაც გვართმევს.[334]

იურისტი და არა ფიზიკოსი, ქიმიკოსი, მანქანათმშენებელი და ა.შ. მას სამართლიანობისკენ სწრაფვა კი არ აინტერესებს, არამედ პირიქით მისი მისწრაფების მიზანია იმ გაუგებრობისგან თავის დაღწევა, რომელიც საზოგადოებაში სუფევს. ამიტომ დღევანდელი იურისტის (იურიდილ ფაკულტეტებზე განსწავლული კრიმინოლოგის) ცნობიერება „უბედური ცნობიერების" (Unglückliche Bewußtsein) ხასიათს იძენს. როგორც აღნიშნვდა ჰეგელი, ასეთი აზროვნება უბედურია რადგან ის გაორებულია (Г.Гегель (1992), Феноменология духа, СПБ, «Наука».). ის ცდილობს გახდეს სახელმწიფოს მოხელე რადგან არ უნდა ცხოვრობეს იმ საზოგადოებაში, რომელშიც არსებობა სახიფათოა.

334 ასეთი ხედვის საწინააღმდეგოდ ჯერ კიდევ ახალი აღთქმა არაორაზროვნად გვაგებინებდა, რომ დანაშაულობის შემეცნების საფუძველი უნდა იყოს სუბ-

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნეგაცია დანაშაულობაში იძენს საზოგადოებრივ ფორმას დამახინჯებული სახით, ე. ი. გაფანტულია სხვადასხვა დანაშაულთა ან შემთხვრვითი ინდივიდების აქტების სახით. ნებისმიერი ნეგატიური ცვლილება საზოგადოებაში სახელმწიფოს მიერ აღიქმება, როგორც ლოკალური ფაქტი, რომელსაც არ გააჩნია არსებითი დამოკიდებულება თვით სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებასთან, რამეთუ სამართლებრივ ურთიერთობაში დანაშაული გამოდის როგორც აქტი, რომელიც თვითონ აუარესებს მგომარეობას საზოგადოებაში, სახელმწიფო კი – როგორც უვნებელი კრავი, რომელსაც ამ აქტთან არაფერი საერთო არ აქვს.

ეტატისტური ტენდენციების გაძლიერება ნიშნავს, რომ სამყაროს ჭეშმარიტი გაგების ნაცვლდ წინა პლანზე გამოდის დამახინჯებული კრიმინოლოგიური აზროვნება. როგოც ავღნიშნეთ, კრიმინოლოგია აჭრელებულია კორუფციასთან, ტრეფიკინგთან, ძალადობრივ დანაშაულთან და სხვასთან ბრძოლის თემატიკით, ე. ი. იმ მოვლენებთან ბრძოლის პრობლემატიკით, რომლებიც სინამდვილეში არ არსებობენ, თუმცა მათი ცრუ ხილვადობა იმდენად „მომაჯადოებელია", რომ ობივატელს სხვანაირად აზროვნება უჭირს.

თანამედროვე კრიმინოლოგიისათვის დანაშაულობა, როგორც კაპიტალის დაგროვების პროცესში წარმოქმნილი პროდუქტი, დგას მიღწევადის ზღვარს იქით. მსოფლიოს კრიმინოლოგებს გამორჩათ, რომ ამ ფაქტზე მიუთითებენ ეკონომიკური კრიზისები.

ჩვეულებრივ, დანაშაულობა მოსჩანს როგორც ერთმანეთთან კავშირის არმქონე დანაშაულთა სხვადასხვა ფორმის და სახეობის მოზაიკა. შეიმჩნევა რაიმე კანონზომიერი კავშირის არარსებობა, თუმცა იგი იგრძნობა. მაგრამ კრიზისები გვახსენებენ უფრო მნიშვნელოვან ფაქტს. როგორც ფაქტორი, რომელიც გზას უღობავს მოგების საერთო ნორმის შემცირებას, დანაშაულობა უკვე გაუსახურებულია, რადგანაც იგი გამოდის საზოგადოებრივი კაპიტალის

სტანციური ახსნა-გაგება, დანაშაულობის არსის სუბსტანციიდან გამოყვანა. კატეგორიულად იკრძალება დანაშაულობაზე განსჯა ისევე, როგორც ნებისმიერ მოვლენაზე, გარეგნული ნიშნებით; უნდა განისაჯოს, ე.ი. გასამართლდეს სამართლიანი გასამართლებით (იოანე, 7:24), ანუ დანაშაულის ყველა ნიშანთვისება უნდა გამოიყვანებოდეს საერთო სუბსტანციიდან. სუბსტანცია თავში შეიცავს სიცოცხლეს (იოანე, 1:4), ამასთან განსაკუთრებულ სიცოცხლეს, რომლის მეშვეობით იწყება ცხოვრება (იოანე, 1:3) (იხ. გ.თოდრია (2000), დანაშაულობა ახალი აღთქმის მიხედვით: „სამი ჯვრის მოძღვრება", ალმანახი (ქართული სამართლის ისტორიის საკითხები), № 14).

ეკონომიის არსებითი ფაქტორის როლში.[335] დიურგკეიმის სიტყვები – „ნორმალურია დანაშაულის თვით არსებობა იმ პირობით, რომ იგი აღწევს, მაგრამ არ აჭარბებს დონეს, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ტაპას საზოგადოებისათვის"[336] – სინამდვილეში უნდა ეხებოდეს სწორედ დანაშაულობის, როგორც მოგების საერთო ნორმის შემცირების შემაკავებელი მოვლენის როლს.

ამასთან, ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, როცა კონკრეტული დანაშაული თავის მსგავსებთან ერთად ავლენს ე. წ. ტიპიურ ნიშნებს, იგივე სახით იგი მათ კარგავს. სხვადასხვა სახის დანაშაულები უტოლდებიან ერთმანეთს, როგორც მოგების ნორმის შემცირების გარკვეული მდგომარეობის მატარებლები, და ამით კარგავენ არა მარტო შემთხვევით, არამედ ტიპიურ საკუთარ (იურიდიულ) ნიშნებს. სწორედ ამ გზით აღმოცენდება ის უხილავი, რაც წარმოშობს დანაშაულობის არსს.

335 ამ ფაქტს ამერიკელი მკვლევარები ვერ ხსნიან, მაგრამ არც უარყოფენ. იხ: R. Fowles, M. Merva (1996), Wage inequality and criminal activity: An extreme bounds analysis for the United States, 1975–1990, Criminology Volume, 34 Issue 2. 1, p. 163–180

336 Э. Дюргкейм (1996), Норма и патология, Социология преступности, М., с. 39–40

IV ნაწილი

სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრების პირველი მცდელობები და მათი როლი დანაშაულობის გაგებაში

4.1. სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრება ძველი ბერძნების ფილოსოფიაში და მისი როლი დანაშაულობის გაგებაში

4.1.1. შესავლის მაგიერ[337]

მსოფლიოში არსებული კრიმინილოგიური თეორიები სინკრეტიულ ხასიათს ატარებენ, რადგან თავის თავში სხვადასხვაგვარ საწყისებს აერთიანებენ და დანაშაულობის გაგების ერთიან მთლიან სისტემას ვერ იძლევიან. არსებული მსოფლმხედველობის დაძლევის ერთადერთ გზას ფუნდამენტური კრიმინოლოგია წარმოადგენს, რომელიც დანაშაულობის გენეზისის ძირითადი კანონის დადგენის საფუძველზე იგება. ამ მოთხოვნას დანაშაულობის ნეგაციის თეორია პასუხობს, რომლის შემუშავებას თავად მრავალი წლის განმავლობაში ვცდილობ.

დასახული თეორიის თანახმად, დანაშაულობაში აკუმულირებულია მოსახლეობის სხვადასხვა ფენების არსებობის პირობების გაუარესების დაძლევის მცდელობა, რასაც მე დანაშაულობის ნეგაციას ვუწოდებ. დანაშაულობა განსაკუთრებული სუბსტანციის – ნეგაციის მატარებელს წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე პირობებში კაპიტალისტური საზოგადოების ევოლუციის კანონზომიერებაზეა დამოკიდებული. ამიტომ ფუნდამენტური კრიმინოლოგიის ძირითად საკითხს წარმოადგენს იმის დადგენა თუ, როგორ ვლინდება ნეგაცია დანაშაულობაში და როგორ იზომება ის კაპიტალისტური საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად? მოცემული პრობლემის გადაჭრისას ვემიჯნები დღეს-დღეობით გაბატონებულ ემპირიულ კრიმინოლოგიას, რომელმაც ფაქტორული ანალიზის კლანჭებიდან

337 აღნიშნული თემა განხილულის ნაშრომში: გ. თოდრია (2019), სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრების პირველი მცდელობები და მათი როლი დანაშაულობის გაგებაში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, გვ. 346–447

თავი ვერ დააღწია.

წარმოდგენილი ნაშრომის თანახმად, დანაშაულობის ნეგაციის თეორიის განვითარება შეუძლებელი ხდება მისი ფილოსოფიური წანამძღვრების განსაზღვრის გარეშე. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ამ თეორიისათვის საკაცობრიო აზროვნებაში მნიშვნელოვან ფილოსოფიურ და თეოლოგიურ მიგნებათა მოძიებასა და ანალიზის ამოცანას ისახავას, რაც საბოლოოდ ფუნდამენტური კრიმინოლოგიის ჩამოყალიბების მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენს. მოცემული მეტათეორიული მიმართულებით ძალზე აქტუალურია როგორც პლატონის, არისტოტელესა და ჰეგელის ფილოსოფია, ისე ახალ აღთქმაში განვითარებული თეოლოგიური მოდელი. ამ მოსამზადებელ ეტაპზე დასახულია დანაშაულობის გაგებაში სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრების როლის დადგენის მიზანი. მისი გადაწყვეტის ფილოსოფიური დასაბუთების შედეგად დანაშაულობის გაზომვის საიდუმლოებას საბოლოოდ უნდა აეხადოს ფარდა.

ეპოქა, რომელსაც უნდა უმადლოდეს არსებობას დანაშაულობისადმი სახელმწიფოს მიმართების პრიმალური ფორმა (იხ. განმარტება 1), თავისი აღმოცენებით განეკუთვნება სხვადასხვა ტოტალური რეჟიმების გაჩენისა და დაცემის ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს. მონათმფლობელური სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში წარმოდგენები დანაშაულობის შესახებ ძირითადად არ სცილდებოდა დანაშაულობისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების გააზრების საზღვრებს. კეთილი სურვილების მიუხედავად, იმ შორეული ხანის მოაზროვნეთა ამოსავალი წერტილი შემთხვევითი ინდივიდი იყო, გათქვეფილი მეფეთა, იმპერატორთა და სახელმწიფოში სამართლიანობის სხვა „მძერწავთა“ სახელმწიფო დადგენილებებში. ამიტომაც საუბარი დანაშაულობის რაღაც სიღრმისეულ გააზრებაზე არ შეიძლებოდა. მსოფლიო ამისთვის ჯერ არ იყო მზად.

და მაინც, მიუხედავად ისტორიული შესაძლებლობის შეზღუდულობისა, მასში ახალი ეპოქა კიაფობდა – სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ჩასახვისა და განვითარების ეპოქა, რომელიც განსაკუთრებულ ნიშანთვისებებთან ერთად თავის თავში შეიცავდა ამ ურთიერთობებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი განვითარების ყველა სტადიის ჩანასახს. ეს ტენდენცია გზას გამრუდებულად იკვლევდა სახელმწიფოების გამუდმებული დაღუპვა-გაჩენის პირობებში. ომები, შიდა დაპირისპირებები, ყოვლისმშთანთქმელი ძალადობა, ადამიანის დამამცირებელი მდგომარეობა უკვე იმ

შორეულ წლებში უნებლიეთ აღმოაცენებდნენ რეალური სამყაროს იმ წესრიგის გაგების აუცილებლობას, რომლითაც წარიმართებოდა იგი. მწვავედ დადგა არისტოტელეს მიერ „მეტაფიზიკაში" ჩამოყალიბებული საკითხი: მაინც როგორი იქნება წესრიგი, თუკი არაფერია მუდმივი, განცალკევებით არსებული და უცვლელი.[338]

დასახული მიზნის გამო ეს შემეცნებითი მოთხოვნილება ვერ შემოიფარგლებოდა ცალკეული სოციალური მოვლენების, მათ შორის დანაშაულობის, არსის გააზრებით. მაინც, თანამედროვე მკითხველისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ იმ შორეული ეპოქის მოაზროვნეთა ძიებებში დაგროვილი გამოცდილება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ორი მიზეზით: ჯერ-ერთი, შესაძლებელი ხდება ასე თუ ისე გააზრებული იქნას დანაშაულობის არსობრიობა მისადმი სახელმწიფოს მიმართებისდა მიუხედავად, და მეორეს მხრივ, იგი გვაიძულებს ჩავუფიქრდეთ დანაშაულებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების ბუნებას. ამრიგად, კრიმინოლოგიის ამ ურთულესი საკითხების გასაგებად ჩვენ უნდა მივმართოთ შორეულ საუკუნეებში აღმოცენებული აზროვნების ლოგიკას, რომელიც მოვლენათა არსობრიობის დადგენის პროცესში ტრანსცენდენტური კატეგორიებისადმია შემუშავებული.

დაბოლოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ტერმინ „ტრანსცედენტურის" გამოყენებას. ტრანსცედენტური არის ის, რაც გრძობადი ფორმების გარეშე არსებობს. ამ ტერმინს იყენებს კანტი. თუმცა ზედაპირზე მოცემული მოვლენებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და სიღრმეში ჩამალული „სამყაროს" ძიების ტენდენცია კაცობრიობას ყოველთვის აინტერესებდა. ამ გაგებით სავსებით დასაშვებია ტერმინის „ტრანსცედენტურის" რეტროსპექტიული გამოყენება.

მთელი მასალა ჩვენ დავყავით სამ თემად: 1) სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრება ძველი ბერძნების ფილოსოფიაში და მისი როლი დანაშაულობის გაგებაში, 2) დანაშაულობის ტრანსცენდენტური გააზრება რელიგიულ მსოფლმხედველობაში (ახალი აღთქმის მიხედვით), 3) დანაშაულთა ერთიანობის ჰეგელისეული ძიება.

338 Аристотель (1976), Метафизика, Соч. в 4–х томах, т. 1, Мысль, с. 275

4.1.2. „იდეა ყოველივესთვის“: სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრების მცდელობა პლატონის ფილოსოფიაში.

4.1.2.1. წინასწარი შენიშვნები: როგორ ესმით პლატონი.

ვიდრე ყველაზე რთულ საკითხს მივუახლოვდებოდეთ, კერძოდ, არსობრიობის პლატონისეული გაგების საკითხს, ჯერ მოკლედ უნდა განვიხილოთ, თუ როგორ იქნა წაკითხული პლატონი ფილოსოფოსებისა და სოციოლოგების მიერ.

კაპიტალისტური საზოგადოების სტიქიური ბაზრის ლაბირინთებში ჩაკარგული ადამიანისათვის პლატონის „იდეა“ – ეს მხოლოდდამხოლოდ ნებისმიერი იდეაა, სამართლის იდეის ჩათვლით, რომელიც მიუწვდომელია, მაგრამ რომლისკენაც ინდივიდები ყოველთვის მიისწრაფვიან. ბაზრის სტიქიური განვითარება, საწარმოო ძალების ინტეგრაციის პროცესების ჩასახვა და მისთ., რომლებიც ინდივიდისაგან დამოუკიდებლად არსებობენ მისთვის მიუწვდომელი კანონზომიერებით, შეადგენენ გაუცხოებული ადამიანის იდეების სამყაროს. ამასთან დაკვირვებადია გაუცხოების გამოვლინების მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც ზედაპირზეა მოცემული, ხოლო ინდივიდის ამ მდგომარეობის გამომწვევი სიღრმისეული პროცესები არ ჩანან. ამიტომაც ადამიანს ეჩვენება, რომ მსოფლიო წესრიგი არსებობს მისი გაუცხოებული მდგომარეობის სადღაც ზურგს უკან, რომელიღაც სხვა სამყაროში. მტკიცება იმისა, რომ რომელიღაც ბუნებითი სამართლის რეალობა ვითარდება როგორც ტრანსცენდენტური სამყარო – არის ამ თვალშეუდგამ სამყაროში ჩართული ინდივიდის (თვით მთელი ერისაც კი) ფეტიშის ნაყოფი.

ეს დაფარული სასურველი სამართალი, სამართლიანობა თუ ცხოვრების ნორმა მართლაც გვეჩვენება რაღაც ტრანსცენდენტურ სამყაროდ, რომელიც კონკრეტულ ინდივიდს ადგას თავზე. ამიტომ ნეოკანტიანელ გუსტავ რადბრუხს ეჩვენება, რომ სამართლიანობა არის სწორედ სამართლის იდეა. როგორც ის ფიქრობს, არსებობს ყველა საფუძველი იმისა, რომ სამართლიანობა განიხილებოდეს როგორც ამოსავალი პუნქტი.[339] ანალოგიური პოზიცია უკავია სხვა ნეოკანტიანელსაც. რ.შტამმლერი სამართლის იდეას გზამკვლევ ვარსკვლავს უწოდებს, როცა წერს: „ვერანაირი გამოცდილება ვერასდროს გვიჩვენებს მას. და შემდგომშიც ადამიანები ვერასდროს

339 Г. Радбрух (2004), Философия права (перев. с немец.), М, Международные отношения, с.42

დაინახავენ მას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს იდეა გზამკვლევ ვარსკვლავად ემსახურება განპირობებულ გამოცდილებას".[340]

ტერმინ „იდეის" ნეოკანტიანურ განმარტებას საბოლოოდ მივყავართ აბსტრაქტულ ზოგადამდე, როგორც განმსჯელობითი აზროვნების პროდუქტამდე (იხ. განმარტება 2). მოკლედ, იდეად მათ მიერ იწოდება აზრის ლაბირინთებში მარადის მონავარდე რაღაც ზოგადი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, უნდა არსებობდეს, მაგრამ არ არის წვდომადი, იგი არის ოცნებათა ნაყოფი. ზოგადის ნეოკანტიანური განმარტება კარდინალურად განსხვავდება „ზოგადის" გაგებისაგან, რომელსაც პლატონი ხან იდეას უწოდებს, ხან სიკეთეს და მისთ. საქმე ტერმინებში კი არ არის, არამედ იმ აზრში, იმ მნიშვნელობაში, რომელსაც პლატონი ტერმინ „იდეაში" დებს.

ნეოკანტიანელებმა ზედაპირულად განვლეს ფილოსოფიის ისტორია და ვერც კი შენიშნეს არისტოტელეს გაფრთხილება. ამ დროს სწორედ იგი „იდეის" განმსჯელობითი განმარტების გამო ირონიულად შენიშნავდა: „ ... მაშ როგორი მნიშვნელობა აქვთ ეიდოსებს გრძნობისმიერად აღქმადი საგნებისათვის – მარადიულთათვის თუ აღმოცენებადთა და წარმავალთათვის... ისინი არაფერს არ იძლევიან...ყოფიერებისათვის... ამასთანავე ყოველივე დანარჩენი არ შეიძლება ეიდოსებისაგან მომდინარეობდეს არც ერთი ჩვეულებრივი მნიშვნელობით... ხოლო იმის თქმა, რომ ისინი „ნიმუშებია" და რომ სხვა ყოველივე თანაზიარია მათი, ნიშნავს ამაოდ მეტყველებას და ლაპარაკს პოეტური იგავმეტყველებით".[341] არისტოტელე ირონიულად ეკიდება მჭვრეტელს როგორც მეოცნებე პოეტს, რომელიც თავისი გონებადაფანტულობის გამო ნაკლებად შეიძლება იყოს აქტიურად შემმეცნებელი სუბიექტი, არამედ არის ნივთი, რომელსაც არ ძალუძს აზროვნება როგორც ადამიანს. ნაცვლად ეპითეტისა „ვინ არის იგი", ფილოსოფოსი აკუთვნებს მას ეპითეტს „მაინც რა არის ეს", როცა კითხვას სვამს: „მართლაც, მაინც რა არის ეს, რაც მოქმედებს იდეების ჭვრეტისას?".[342]

დიდი ფილოსოფოსი მართალია. განა შეიძლება ვთქვათ, რომ ე.წ. სამართლიანი სამართლის იდეა არის რომელიმე კონკრეტული ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზეზი ანდა,

340 Р. Штаммлер. (1907), Хозяйство и право (перев. с немец.), СПб, Начало, т. 2, с. 253

341 Аристотель (1975), Сочинения, М, Мысль, т. 1, с. 55

342 იხ. იქვე.

მაგალითად, საერთაშორისო სასამართლოში მისი გასაჩივრების საფუძველი? რეალურად, და არა სუბიექტურ სამყაროში, არსებობს სამართალი.[343] თუკი თავისი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი სტანდარტი არ აკმაყოფილებს კონკრეტულ პირს, მაშინ ხდება მისი შენაცვლება საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით და მისთ. არანაირი იდეა აქ არ არის, არამედ არის ერთი სამართლის შენაცვლება სხვა სამართლით. თუკი მოსახლეობა ტირანიის წინააღმდეგ გამოდის, მაშინ იგი მიღმური სამყაროდან თავსმოხვეული სამართლიანობის იდეით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ – მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით წარმოშობილი სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად. ინდივიდთა მისწრაფებები იდეების სამყაროში კი არ ტრიალებენ, არამედ რეალურ სამყაროში, გაუცხოების დაძლევისა და წარმატების მიღწევის ობიექტურად არსებული საშუალებების გამუდმებულ ძიებაში. სამართლიანობის იდეა ანდა აქტივობის საწყაო ყოველთვის ჩანს იმ ისტორიული პირობების ფარგლებში, რომლებიც დღესამომდე რეალურ და არა მიღმურ სამყაროში ჰგიებენ.

ნეოკანტიანური მიდგომა მოწინებით აღიქმება მხოლოდ ლიბერალურად განწყობილი ობივატელის მიერ. მაგრამ მისი აზროვნება წინააღმდეგობრივია. ერთის მხრივ, იგი კმაყოფილდება ცალკეული პრობლემებით და თავის პატრიოტულ დანიშნულებას ხედავს ლოკალურ რეფორმებში, მეორეს მხრივ კი – ვერ ხედავს ბოროტების ფესვებს და იმით მშვიდდება, რომ ცდილობს გაექცეს თავსდატეხილ პრობლემებს საოცნებო კეთილდღეობის მიღმურ სამყაროში. სამართლიანობის მიღმური იდეა მიმზიდველია თავისი მიამიტობით. აკი ადრე თუ გვიან უსათუოდ წამოიჭრება პრაქტიკული მნიშვნელობის კითხვა: ვინ წარმოსდგება გზამკვლევი ვარსკვლავის მეძიებლის როლში – კაცობრიობა, როგორც ამას ჰეგელი მოითხოვდა, თუ მჭვრეტელი, როგორც ეს კანტის მიხედვით გამოდიოდა? და საერთოდ, როგორ შეიძლება ხალხი ამ „ვარსკვლავს“ მისდევდეს, თუკი მას ვერასდროს დაინახავს? იქნებ მისი აღმოჩენისათვის ის-

343 ბ. ზოიძე სწორად აკრიტიკებს სამართლის იდეის ნეოკანტიანურ ინტერპრეტაციას, როდესაც წერს: „იდეა, როგორი სახისაც არ უნდა იყოს, ვერ გახდება ქმედუნარიანი, თუ ის პოზიტიურ სამართალში არ დაბინავდება. პოზიტიური სამართალი ცნობიერებაში არსებული იდეის მატერიალური გაფორმებაა და მისი ძალის აღიარებაა“ (ბ.ზოიძე (2013),სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, თბ, თსუ, გვ. 19).

ტორიული პირობებია საჭირო ანუ სავსებით ობიექტური და არა სუბიექტური პირობები?

„იდეის“ ნეოკანტიანური ახსნა-განმარტება პესიმიზმისა და გაუცხოებისაკენ გვიბიძგებს. რადგან თუკი სამართლის იდეის ქვეშ გზამკვლევი ვარსკვლავი გვექნება, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ვუახლოვდებით, მაშინ ორიენტირად შეუცნობელი აღმოჩნდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მჭვრეტელის აზროვნების გავლენის ქვეშ ვხვდებით, რომლის დასკვნები შეიძლება დამღუპველი იყოს ერისათვის, რამეთუ მჭვრეტელს არ ძალუძს გაარჩიოს არსობრიობა მოვლენისაგან, მთავარი მეორეხარისხოვანისაგან.[344] მისი რეკომენდაციები უკეთესი ცხოვრების შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ რა პათოსითაა ისინი განმსჭვალული, არაფრით არ იქნებიან განსხვავებული უბრალო მიკიტნის, მევახშისა თუ სახლის მესაკუთრის დასკვნებისაგან. ცხადია, რომ „სამართლიანი სამართლის“ აგება იმ დასკვნებზე, რომლებიც გაჯერებულია ობივატელის თავმომწონეობითა და რიტორიკით პროგრესის შესახებ, ნაკლებად მისაღები იქნება მოქალაქისთვის.

არაფერი არ იცვლება, როცა ობივატელი იურისტის სახით გვევლინება. მიჰყვება რა დოგმატიკურ პოსტულატებს, იურისტი, როგორც ჟან-პოლ სარტრი იტყოდა, „იქცევა ჯჯარისკაც–ნივთად პირდაპირი მზერით, მაგრამ იგი სრულიად ვერ ხედავს, იგი უკვე აღარ არის ის, ვინც ხედავს, რადგან სწორედ წესი, და არა მომენტის ინტერესი, განსაზღვრავს იმ წერტილს, რომელიც მან უნდა დააფიქსიროს.“[345] და როგორც შედეგი – იწყებაბა ხსნის ძიება ლოკალური პრობლემების გადაწყვეტისას, რომელთა იქითაც არ ჩანს ხალხის ტრაგედია; ხალხის მდგომარეობა მის მიერ შეიგრძნობა როგორც რაღაც ისეთი, რაც მისი „პრაქტიკული გონის“ ფარგლებს მიღმა ძევს. ნაცვლად პრობლემების ერთიანი სურათის ახსნა-განმარტებისა, იურისტი ამჯობინებს აღწეროს მისი ლოკალური ფორმები.[346] სულ ესაა. შესაძლოა ის რაც იგულისხმება სამართლის

344 „...უყურებდნენ და ვერ ხედავდნენ, ისმენდნენ და ვერ იგებდნენ“ (ლუკა 8: 10)

345 Ж.П. Сартр (2000), Бытие и ничто: Опыт феноменологической онтологии (пер. с франц.), М, Республика, с. 94

346 როგორც დ.გელბრეიტი ამბობს, სინამდვილის მოთხოვნებისაგან კანონის გადახვევის შემთხვევისას „იდეენება ფორმა – „არსობრიობას არ ეხებიან“ (Д. Гэлбрейт (2004), Новое индустриальное общество, Изд–во «АСТ», М, СПб, с. 271)

იდეაში ობიექტურად არსებობს? მაგრამ მაშინ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა სამართლის იდეისაკენ მივისწრაფით? მაინც რა იმალება სინამდვილეში ამ საიდუმლოებით მოცულ სამათლის იდეაში?

ინგლისური ნეორეალიზმის ფუძემდებელი ბ.რასსელი თვლის, რომ პლატონი „იდეით" აღნიშნავს აპრიორულ ცოდნას, რასაც ბერძენი ფილოსოფოსი რეალურ ცოდნას უწოდებს. თუმცა ეს ცოდნა შეიძლება გამოცდილებით შემოწმდეს და „ემპირიულმა მტკიცებულებამ შესაძლოა ნებისმიერ მომენტში უარყოს იგი". შედეგად იგი დაასკვნის: „მე არა მგონია, რომ ჩვენ ნამდვილად ვფლობთ აბსოლუტური თანასწორობის იდეას, რომლის შესახებაც პლატონი ფიქრობდა, რომ ჩვენ ვფლობთ მას".[347]

ამრიგად, როგორც ნეოკანტიანელთათვის, ასეევე ნეორეალისტებისათვის, სოციალური სამყარო ემპირიულია, მოკლებული ყოველგვარ იმანენტურ არსობრიობას. იგი არ მოძრაობს, არამედ თავისი რაღაც წყვეტილი ამოჩქეფებებით ცალკეულ პრობლემებს აღმოაცენებს. და ამ ქაოსში სწრაფვა „იდეისაკენ" ნეოკანტიანელისათვის მხოლოდ ჭვრეტასა და უმჯობესი მომავლის შესახებ ოცნებას ნიშნავს იმ სამყაროს შეცვლის გარეშე, რომელშიც იგი არსებობს. როგორც ჩანს, ამგვარ დასკვნამდე მიდის მჭვრეტელი, რომელიც პლატონის იდეას უყურებს კაპიტალისტური საზოგადოების ქაოსის თვალთაზრისით.

მაგრამ არსებობს სხვა, დამლუპველი მიდგომაც პლატონის მსოფლმხედველობისადმი, რომლის საფუძველსაც სახელმწიფოს საბჭოთა მოდელი შეადგენს. იგი ვ.ლენინმა ჩამოაყალიბა საზოგადოების განვითარების ე.წ. აზიური საფეხურის პირობებში, რომელიც ტიპიურია რუსეთში კაპიტალის თავდაპირველი ანუ სახელმწიფო საკუთრების დაგროვებისათვის.

როგორც ვ.ლენინი ფიქრობდა, პლატონის იდეა – „პირველყოფილი იდეალიზმია: ზოგადი (ცნება, იდეა) არის განცალკევებული არსება. ეს უცხო, უცნაურ (უფრო სწორად: ბავშვურ) უაზრობად გვეჩვენება...".[348] ლენინის ზერელე შეფასების შედეგად, პლატონის მიდგომა არსობრიობისადმი მონათლულ იქნა როგორც ობიექტურ–

347 Б. Рассел (2004), Платон. Теория идей – Философия права, М, Международные отношения, с. 189

348 Ленин В.И. (1969), Философские тетради, Полн. собр. соч., т. 29 (издание пятое), М, с. 329–330.

იდეალისტური. შემდგომში ამ იარლიყს, დაუმსახურებლად მიკერებულს პლატონისათვის, სხვადასხვა ჯგუფის ფილოსოფოსები და მეცნიერები იყენებდნენ. სინამდვილეში ლენინის მიერ პლატონისათვის დაბრალებული ეს უაზრობა იმ დაკვირვების პუნქტის უაზრობის ჩრდილი იყო, რომლადაც წარმოსდგებოდა საზოგადოების სოციოცენტრული გაგება.

საბჭოთა საზოგადოებაში ეს გაგება ეფუძნებოდა ქცევის ერთიან სტანდარტებს ეკონომიკაში, კულტურაში, განათლებაში და მისთ., რომლებსაც სახელმწიფო განსაზღვრავდა როგორც სოციალური აქტივობის ეტალონს. საზოგადოდ გასაოცარია, რომ ზოგიერთი ქართველი ფილოსოფოსი და იურისტი, რომლებიც მონური მორჩილებით აღიარებენ სამართლის იდეას, სინამდვილეში აზროვნებენ ისე, როგორც ვ.ლენინი აფასებდა პლატონს. „ზოგადი" საბჭოთა მოქალაქის აზროვნებაში არსებობდა ბრძანებულებების, ინსტრუქციების, გეგმების, იდეოლოგიური პროგრამებისა და მისთანათა სახით. მხოლოდ ამგვარ ჭრილში იდენტიფიცირდებოდა იგი არსობრიობასთან, როგორც ქცევის ნორმასთან. იგი არ იყო მატერიალური, არამედ ემსახურებოდა მატერიალურს: მეცნიერის ქცევას სასწავლო დაწესებულებაში, მუშისას ქარხანაში, მოწაფისას სკოლაში და ა.შ. ამიტომ ნებისმიერი მცდელობა ზოგადის ძიებისა, რეალურად არსებულისა მოვლენებში, ყოველთვის ფასდებოდა როგორც აბსტრაგირების მცდელობა, ხოლო თავად ზოგადი – როგორც რაღაც იდეალური. აქედან გამომდინარე სოციოცენტრულად მოაზროვნე ფიქრობდა, რომ რაკი პლატონს ერთი წამოსცდა ზოგადის (იდეის) შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს მოვლენებს, ამიტომ იგი იდეალისტია. აკი საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გამოცემული სხვადასხვა უწყებრივი ბრძანებულებები, კანონები, შემუშავებული ე.წ. კომუნისტური მორალისა და მისთანათა ტრადიციისამებრ, წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცნობიერების სფეროს, ანუ კოლექტიური, და არა ინდივიდუალური წარმოდგენების ერთობლიობას. სინამდვილეში პლატონს მსგავსი არაფერი ჰქონდა მხედველობაში. ტოტალური სახელმწიფოს ობიექტური რეალობის დაუწყობლობამ გამოიწვია მრავალთა ცთომა პლატონის გაგებაში.

4.1.2.2. „იდეა ყოველივესთვის“ პლატონის მიხედვით.

პირველი, ვინც საფუძვლიანი გამოწვევის წინაშე დააყენა სამყარო, იყო ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონი,[349] რომელიც ფიქრობდა, რომ, ერთის მხრივ, ინდივიდებს მართავს „ერთი იდეა ყოველივესთვის“. პლატონის მიერ იგი ხანდახან სხვადასხვანაირად იწოდება: „მშვენიერებად“ (პიროსი), „სიკეთედ“ (სახელმწიფო) ანდა „თავდაპირველ ერთიანობად“ (ფილები). ეს იდეა უსაზღვროა იმ სიმრავლის მიმართ, რომელიც უნდა მოცულ იქნას (ფილები,16.D– E). ამგვარად, „იდეა ყოველივესთვის“ ანუ „თავდაპირველი ერთიანობა“ საფუძვლად უდევს ყველა გრძნობისმიერ მოვლენას (პოლიტიკოსი, 283. D) – საფუძვლად იმას, „რაც ახლა ჩემს თვალთა წინ ისწრაფის მიემსგავსოს რაღაც სხვას არსებულისაგან, მაგრამ არ ძალუძს გახდეს ზუსტად ისეთივე და დაბლა მდგომად, უარესად რჩება“ (ფედონი, 74.B). „შეცნობადი საგნები შეიძლება შეცნობილ იქნენ მხოლოდ სიკეთის წყალობით; ხოლო იგი (სიკეთე) ყოფიერებასაც აძლევს მათ და არსებობასაც, თუმცა თავად სიკეთე არ არის არსებობა – იგი არსებობის საზღვრებს გარეთაა, აღემატება რა მას ღირსებითა და ძალით“ (სახელმწიფო. წგ. VI. 509.b). სანამ არ არის მოძიებული ეს „თავდაპირველი ერთიანობა“, ყველა განჭვრეტადი ობიექტი კონკრეტულ ობიექტებად რჩება (პიროსი, სახელმწიფო. 210. B–E). მეორეს მხრივ, მოქმედებენ კანონები, რომლებიც „ყველაზე სასარგებლოა მთელი სახელმწიფოსათვის და ადამიანთა მთელი მოდგმისათვის“. სწორედ მათ უნდა ექვემდებარებოდეს „ყოველი ცალკეული ადამიანის ინტერესები“ (კანონები, 923. B). ადამიანთა ქცევა, ერთის მხრივ, რეგულირდება რაღაც უცნობით, დაფარულით განჭვრეტადი სამყაროს მიღმა, ხოლო მეორეს მხრივ – სახელმწიფო დადგინებებით.

ჯერ-ჯერობით შემოვიფარგლოთ პლატონის მიერ შემოთავაზებული დებულებების დაზუსტებით. თუკი კრიმინოლოგების გაბნეულ მოსაზრებებს პლატონის ფილოსოფიურ მატრიცაში განვათავსებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: საზოგადოების ყველა მოვლენას, დანაშაულთა ჩათვლით, უნდა ჰქონდეს „თავდაპირველი ერთიანობა“ იქამდე, სანამ იგი არ არის მოძიებული, ჩვენ საქმე გვაქვს „განჭვრეტად ობიექტებთან“. პლატონის აზრს თუ მივყვებით, იმავდროულად

---

349 პლატონის შრომების ციტირება ხდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: Платон. (1968 –1971), Собрание сочинений в 3-х томах (Пер. с древнегреч.), М, Мысль

აუცილებელია დავუშვათ, რომ სახელმწიფოც ასევე უნდა დაექვემდებაროს ამ „თავდაპირველ ერთიანობას“.

ამრიგად, პლატონის მიხედვით, რა სახითაც ჩვენ ვჭვრეტთ დანაშაულობას და სახელმწიფოს, და, მაშასადამე, სახელმწიფოს მიმართებას დანაშაულებებისადმი, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ობიექტებთან, რომლებიც მოკლებულნი არიან არსობრიობას. ისინი ჯერ-ჯერობით, არსებულთაგან რაღაც სხვას არ დამსგავსებიან (ფედონი. 74.B). თანამედროვე ადამიანი უსათუოდ ჩაუფიქრდება საკითხის ამგვარ დასმას. აკი, თუ დანაშაულთა განჭვრეტადი ფორმა, როგორც მართლწესრიგის დარღვევა, და თავის მხრივ, სახელმწიფოს მიმართება დანაშაულობისადმი, მოკლებულნი არიან არსობრიობას, მაშინ როგორ არსებობენ ისინი ნამდვილად? ახლა ჩვენ მივუახლოვდით ყველაზე რთულ საკითხს, კერძოდ საკითხს არსობრიობის იმ გაგებისა, რომელსაც პლატონი იძლევა.

მოვუსმინოთ თავად პლატონს: „ყველა, ვისაც კი თუნდაც ცოტაოდენი ჭკუა აქვს, – წერს პლატონი, – ყოფიერების, ნამდვილისა და მარადის იგივეობრივის, შემეცნებას გაცილებით უფრო ჭეშმარიტად მიიჩნევს“ (ფილები, 58 a). ამით შემეცნების ობიექტად პლატონი ირჩევს ნამდვილ ყოფიერებას და მხოლოდ ის შემეცნებაა აღიარებული ჭეშმარიტად, რომელიც ამ ყოფიერებას ჩასწვდება. როგორც ჩანს, აქ არაფერია უცხო და უაზრო, როგორც ამას ლენინი ფიქრობდა. კვალად, როგორც პლატონი აღნიშნავს, ყველა გრძნობითი მოვლენა ექვემდებარება „იდეას ყოველივესთვის“ (პოლიტიკოსი, 283. D283.D), რომელიც მათი არსებობის საზღვრებს მიღმა ძევს, მაგრამ სწორედ იგი ანიჭებს მათ ყოფიერებას (სახელმწიფო, წგ. VI. 509.b).

„იდეა“ პლატონის გაგებით არ არის აბსტრაქტი, როგორც ეს აღიარებულია ლენინის მომხრეების მიერ. სწორედ ლენინის გაგებით ზოგადი არის მსჯელობის ევრისტიული მეთოდის ნაყოფი. მისგან განსხვავებით პლატონი შენიშნავს: „აწინდელი ბრძენკაცები ერთიანობას როგორც მოუხდებათ, ისე ადგენენ... და მაშინვე ერთიანობის შემდეგ ათავსებენ უსაზღვროს; ხოლო შუალედური მათ ხელიდან უსხლტებათ. აი, ასეთი განსხვავება არსებობს ჩვენში მსჯელობათა დიალექტიკურ და ევრისტიულ მეთოდებს შორის“ (ფედონი.16. E). გონების წვალება „როგორც მოუხდებათ“ ნიშნავს, რომ თავიდან გამოჰყოფენ რაღაც საერთოს, ხოლო შემდეგ მისი პირველმიზეზის ძიებასაც იწყებენ. ასე აზროვნებს ნებისმიერი იურისტი, ხოლო უფრო მარტივად რომ ვთქვათ – სახელმწიფოს მსახური. სამართ-

ლის ნორმის კონსტრუირების ნიმუშისა და მსგავსების მიხედვით იგი ცდილობს ააგოს მთელი საზოგადოების ხატი (სახე) და იმავე გზით განსაზღვროს დანაშაულობის ადგილი საზოგადოებაში. ხედვის თავისებურება, რომლითაც ლენინი პლატონს ნათლავს, სინამდვილეში ემთხვევა იმ იურისტებისა და სხვადასხვა ჟურის „მოაზროვნეთა“ ხედვას, რომლებიც საზოგადოებას სახელმწიფო უწყებების კულუარებიდან უყურებენ.

სინამდვილეში ასეთი აზროვნებისას, – შენიშნავს პლატონი, – ხელიდან უსხლტებათ „შუალედური“, ანუ ობიექტური სამყაროს განვითარება. რაღაც ამდაგვარი, რაც გრძნობისმიერი საგნების საზღვრების მიღმაა, არ არის მონაგონი, არამედ ამ საგნების არსებობის წესია, მათი იდეალური საწყაოა და მხოლოდ ამ აზრით – მათი იდეაა, იდეალურობა. ეს იდეალურობა, ანუ ეს პირველდასაბამი არ არის ხილული, მაგრამ იგი სავსებით მისაწვდომია გონებით (სახელმწიფო, წგ. VI. 511.d). „იდეა“ რაღაც აზრისმიერი, ფსიქიკური კი არ არის, არამედ თვალთაგან დაფარული კანონზომიერებაა, რომელსაც უნდა ემორჩილებოდნენ ზედაპირზე დაკვირვებადი მოვლენები.

ამრიგად, პლატონის გენიამ გაუსწრო ტოტალური აზროვნების დროს, დაადგინა რა ზედაპირზე არსებულ მოვლენათა არსობრიობის ტრანსცენდენტური ფორმა. არსობრიობა გრძნობისმიერის საზღვრებს მიღმა ძევს, მაგრამ იგი (გრძნობისმიერი) მასში რაღაც აბსტრაქტის სახით კი არ არის, არამედ – როგორც მათი ყოფიერება, როგორც მათი არსებობის წესი – აი, რას განგვიცხადებს პლატონის სიბრძნე.

მრავალი საუკუნის შემდეგ კაცობრიობა საკუთარ ტყავზე იგრძნობს ამ ჭეშმარიტებას, როცა დანაშაულობასთან ბრძოლის სხვადასხვა პროგრამების საზღვრების პრობლემის წინაშე დადგება. თანამედროვე ტექნიკითა და ცოდნით აღჭურვილი ინდივიდებისათვის, რომლებიც ბევრად აღემატებიან ანტიკური დროის ადამიანების ტექნოლოგიურ დონეს, გრძნობისმიერ აღქმად დანაშაულობათა სამყაროს ყოფიერება მოძიებული ვერც იქნება. დანაშაულობა რატომღაც ყოველთვის გაუსხლტებათ ამა თუ იმ პროგრამიდან და გაუსხლტებათ სწორედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს მიმართება დანაშაულობისადმი დაკავშირებულია დანაშაულთა ამა თუ იმ სახეობის (ტერორიზმის ან კორპორაციული დანაშაულობის, ან ეკონიკური დანაშაულობის და ა.შ.) ე.წ. მიზეზებთან და არა მათს ყოფიერებას-

თან, რომელიც, როგორც პლატონი იტყოდა, მათი გრძნობისმიერი არსებობის საზღვრებს მიღმა ძევს და მათს პირველსაფუძველს შეადგენს.

თანამედროვე კრიმინოლოგიისათვის საკითხის ამგვარი დასმა ცნობილი არ არის, რამეთუ, პლატონის შენიშვნას თუ გამოვიყენებთ, მასში მსჯელობის ევრისტიული წესი[350] ბატონობს. ამ დროს ცოდნის ისეთ ვიწრო სფეროში, როგორიც კრიმინოლოგიაა, პლატონის მიერ შემოთავაზებული მეთოდი თავის დადასტურებას პოულობს. თუკი ხანგრძლივი დროის მანძილზე დავუკვირდებით დანაშაულებს, აღმოვაჩენთ, რომ მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების განსხვავებისდა მიუხედავად, ყველა დანაშაული ერთგვარად თანაბარი, ტოლი ხდება. როცა კონკრეტული დანაშაული თავის მსგავსებთან ერთად ავლენს ე. წ. ტიპიურ ნიშნებს, იგივე სახით იგი მათ კარგავს. სხვადასხვა დანაშაული უტოლდება ერთმანეთს, როგორც უხილავი კანონზომიერების (კაპიტალისტურ საზოგადოებაში – მოგების საერთო ნორმის შემცირების) გარკვეული მდგომარეობის მატარებლები, და ამით კარგავენ არამარტო შემთხვევით, არამედ ტიპიურ საკუთარ იურიდიულ ნიშნებს.

მაგრამ თუკი დანაშაულთა და მათი სახეობრივი მიზეზების ყოველგვარი განსხვავება იშლება, მაშინ ამით ჰქრება დანაშაულთა შედეგების სახეობრივი განსხვავებაც და გარეთ გამოდის რაღაც ზოგადი, რასაც ვერ ამჩნევენ კრიმინოლოგები. და ეს „ზოგადი“ აბსტრაქტი კი არ არის, არამედ სავსებით რეალურია, ობიექტურია. იგი არ არის მოცემული ისეთი აქტების გრძნობისმიერი მახასიათებლების სახით, როგორიცაა მკვლელობები, ქურდობები, გაუპატიურებები, თაღლითობები და მისთ. სწორედ ამ პუნქტშია იმის დრო, რომ პლატონი გავიხსენოთ. დიახ, ეს ზოგადი არ არის მოცემული გრძნობიესმიერი ცვალებადი სამყაროს სახით, მაგრამ იგი მოცემულია მათში, იგი მოძრაობს მათში, მაგრამ არ მოჩანს. შევახსენებთ ემპირიულად მოაზროვნე კრიმინოლოგს: ის ზოგადი, რაც არსებობს მკვლელობებში, ქურდობებში, თაღლითობებში და სხვა დანაშაულებებში, არ დაიყვანება ამ გრძნობისმიერად აღქმად ფორმებამდე, იგი მათს გარეთაა, მათს მიღმაა, მაგრამ მოცემულია დანაშაულებებში. ეს მიღმური სამყაროს „ეიდოსები“ ან „იდეები“ როდია, ის არც აზროვნების ნაყოფია, არამედ – დანაშაულთა ონტოლოგიური

350 საგნების აღქმის გამარტივება, ურთულესს პრობლემებზე თვალის ახვევა და ა.შ.

რეალობაა (იხ. განამრტება 3). მაგრამ როგორ აღმოვაჩინოთ, როგორ გამოვააშკარაოთ ეს „ზოგადი", რომელიც დანაშაულებში მოძრაობს? ამ საკითხების გადაწყვეტასთან მიახლოება შეიძლება, თუკი ვისწავლით არისტოტელესებრ აზროვნებას.

4.1.3. „ერთიანი არის საზომი ყველა საგნისა": ზოგადის გენეტიკური განსაზღვრის მცდელობა არისტოტელეს ფილოსოფიაში.

ტრანსცენდენტური ემპირიული მოვლენების მიღმა არსებობს, მაგრამ იმავდროულად მათში მოცემულია – პლატონის ფორმულა, რომელსაც საღად მოაზროვნე კაცობრიობის აზროვნება მიჰყავს იმ შემთხვევითი მოვლენების განვითარების კანონების აღმოჩენამდე, რომლებიც მიღმურ სამყაროში კი არ არსებობენ, როგორც ეს ნეოკანტიანელებს ჰგონიათ, არამედ – სწორედ რეალურ სამყაროში. მაგრამ ღიად რჩება საკითხი: როგორ არსებობს ეს ტრანსცენდენტური საგნებში? ამ საკითხის შესწავლას არისტოტელე შეუდგა.

ცვალებადი სამყაროს არსობრიობის შესახებ საკითხის არისტოტელესეული დასმა იმთავითვე მიმართულია სოფიზმის წინააღმდეგ, რომელიც არსობრიობას აბსტრაქტულ ზოგადთან აიგივებდა. არისტოტეტელეს მიერ გამოყენებული არგუმენტაცია განსაკუთრებით აქტუალურია იმ იურისტების აზროვნების კრიტიკული განხილვისას, რომლებიც ცდილობენ გაგების თავიანთი წესი კრიმინოლოგიური პრობლემატიკის მიმართ გამოიყენონ.

როგორც არისტოტელე წერს, სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებისათვის, „შესაძლებელია ზოგადი განსაზღვრება, რომელიც ყველა ფიგურას მიესადაგება" და არ განეკუთვნება „საკუთრივ რომელიმე ერთ ფიგურას... მაგრამ სასაცილო იქნებოდა... ამ და სხვა შემთხვევებში იმგვარი ზოგადის განსაზღვრების ძიება, რომელიც იქნებოდა განსაზღვრება, არც ერთ არსებულ საგანს რომ არ განეკუთვნება და არ შეესაბამება საგნის განსაკუთრებულ და დაუყოფელ ფორმას".[351] ამრიგად, სოფისტებისაგან განსხვავებით, ეს ზოგადი შეიძლება იყოს საგანი (ფიგურა და მისთ.), რომელიც მოცემულია სხვა საგნების თანად, მაგრამ იმავდროულად წარმოსდგება „განსაკუთრებულ ფორმად". ზოგადია ის, რომ ზოგიერთი ფიგურა სხვა ფიგურებს შორის არის პირველი.[352]

„ზოგადის" (უფრო ზუსტად – უზოგადესის, როგორც წერდა

351 Аристотель. (1983), О душе, Соч. в 4–х томах, т. 1, Мысль, с. 400
352 Аристотель. (1983), Метафизика, Соч. в 4–х томах, т. 1, Мысль, с 145

ჰეგელი) ასეთი განსაზღვრება კარდინალურად განსხვავდება აბსტრაქტული მიდგომისაგან, რომელიც ტიპიურია სოფისტებისათის. როგორც არისტოტელე განმარტავს, „ზოგადის" ასეთი განმარტებისათვის გარდა საგნების დაკვირვებადი ემპირიული თვისებისა არაფერი არსებობს.[353] მაშასადამე, ამ ცვალებად სამყაროში სოციალურ წესრიგში შეუძლებელია მოინახოს „ცალკე არსებული და უცვალებელი". არისტოტელე ეთანხმება პლატონს, რომელიც აბსტრაქტული ზოგადის შესახებ წერდა, რომ იგი „არა–არსი – სოფისტიკის სფეროა". [354]

მაგრამ როგორი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს „ზოგადის" გაგებას, რომელსაც არისტოტელე იძლევა? „მეტაფიზიკაში" იგი განმარტავს: ზეციური სხეულებისათვის ერთიანი (საერთო, ზოგადი) არის ცის მოძრაობა. მის მიხედვით მსჯელობენ ყველა დანარჩენ მნათობებზე. „და ეს ყოველივე ერთიანია არა იმ აზრით, რომ იგი საერთოა ყველა მათგანისათვის (აბსტრაქტული ზოგადის მნიშვნელობით – გ. თ.), არამედ ზემოთ აღნიშნული აზრით",[355] ანუ „ერთიანი არის ყველა საგნის საზომი, იმიტომ, რომ ჩვენ ვიგებთ, თუ შესდგება არსობრიობა, როცა დავყოფთ ან რაოდენობის მიხედვით, ან სახეობის მიხედვით".[356] მაშასადამე, „ზოგადი", არისტოტელეს მიხედვით, არის სავსებით განსაკუთრებული (განცალკევებული) საგნის გენეტიკური ფუნქცია, რომელიც მოცემულია როგორც რაღაც განსაკუთრებული მოვლენა და როგორც საფუძველთა საფუძველი. ამრიგად, ნაცვლად აბსტრაქტული ზოგადისა, არისტოტელემ პირველმა მონიშნა იმ მოვლენის კონტურები, რომელსაც მრავალი საუკუნის შემდეგ ჰეგელი თავის „ლოგიკის მეცნიერერ-

353 უნდა ავღნიშნოთ, რომ ნეოკანტიანელებსაც კი ესმოდათ აბსტრაქტული ზოგადის ნაკლოვანება. ასე, მაგალითად რ. შტამმლერი წერდა, რომ „გონებითი წვდომა არ შეიძლება დაეყრდნოს კერძო ... მონაცემთა თავისებურებებს" (Р. Штаммлер (1907), Хозяйство и право (перевод с немецкого), СПб, Начало, т. 2, გვ.17). როგორც ის ფიქრობდა, „სამართლის ცნება... არ შეიძლება მიღებულ იქნას სამართლებრივი გამოცდილების ცალკეული შემთხვევების აბსტრაგირების გზით, რამეთუ თითოეული ეს შემთხვევა საერთოდ შესაძლებელი ხდება მხოლოდ მისი წყალობით" (იხ. იქვე, გვ. 10). მაგრამ, როგორც შემდგომში ვნახავთ, ამ საკითხის გადაწყვეტაში ისინი კარდინალურად სცილდებიან არისტოტელეს ფორმულას.

354 Аристотель. (1983), Метафизика, Соч. в 4–х томах, т. 1, Мысль, с. 182

355 იხ. იქვე, გვ. 254

356 იხ. იქვე

ებაში" „უზოგადესს" უწოდებს.[357]

არისტოტელეს დებულებების საილუსტრაციოთ მივმართოდ მოდელურ მაგალითს. შვილების გენეტიკურ საფუძველს წარმოადგენს მათი მშობელი მამა, რომელიც შვილების მიმართ ერთდროულად არის როგორც უზოგადესი (საერთო) და ამავე დროს როგორც ოჯახის რიგითი წევრი. ამ შემთხვევაში მშობელი არსებობს არა როგორც აბსტრაქცია, არამედ როგორც რეალური მოვლენა. თუ ოჯახს განვიხილავთ ნორმატივიზმის თვალსაზრისით, ჩვენ უნდა დავადგინოთ ზოგადი თვისებები, რომელიც გააჩნია ყველა ოჯახის წევრს. მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მამა გარდაცვლილია და განზოგადების დროს მის თვისებებს ვერ გამოვიყენებთ. შესაძლოა, რომ ოჯახის ზოგიერთ წევრს გააჩნია ისეთი თვისებები, რომელიც არ გააჩნია მამას. აბსტრაქტულ – ზოგადი ნიშანთვისებების ძიება დამოკიდებულია იმ ემპირიული მასალისაზე, სადაც მეტად ძნელია არსის და მოვლენის გამიჯვნა. და, რაც მთავარია, შეუძლებელია მოვლენათა რეალური საფუძვლის დადგენა. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს კრიმინოლოგიაშიც. დანაშაულობის ნებისმიერ ფორმას გააჩნია თავისი ზოგადი თვისებები. მაგალითად, ეკონომიკურ დანაშაულობას გააჩნია თავისი ზოგადი თვისებები, მაგრამ ისინი არსებითად განსხვავდებიან ძალადობრივი დანაშაულობისაგან. ანალოგიურად არსებით განსხვავებას ვაწყდებით, როდესაც ვცდილობთ ავხსნათ დანაშაულთა სახეების (ქურდობების, მკვლელობების და ა.შ.) მიზეზები. აბსტრაქტულ ზოგადზე აგებული კვლევა ყოველთვის უშედეგოა, სანამ არ იქნება დადგენილი არა აბსტრაქტული, არამედ გენეტიკური საერთო, დანაშაულთა უზოგადესი საფუძველი.

ამ დებულების უგულველყოფის შედეგად კრიმინოლოგიაში ფეხს იკიდებს ემპირიული კლასიფიცირების მეთოდი. მაგალითად, ოჯახში ძალოდობრივი დანაშაულის კვლევისას გამოყოფენ ოჯახის წევრთა ურთიერთობებს, მსხვერპლის პიროვნების თავისებურებას, კანონმდებლობის ხარვეზებს, ინსტიტუციონალური ხასიათის პრობლემატიკას და ა.შ. ამ სოფისტურ ნაზავში არ ჩანს მოსახლეობის პირობების გაუარესების ძირითადი კრიმინოგენური როლი და შესაბამისად გაურკვეველია პრაქტიკული ნაბიჯების ათვლის წერტილი.

კრიმინოლოგიური პრობლემატიკის მკვლევარ-იურისტებისათვის, ძველი ბერძენის აღმოჩენა მიუღებელია, რამეთუ მათი აზ-

357 Г. Гегель (1997), Наука логики. СПб

როვნება არ სცილდება სოფისტური აზროვნების საზღვრებს. და ამის მიზეზია იურისტ-კრიმინოლოგების აზროვნების დოგმატური წესი, რომელთათვისაც სხვადასხვა დანაშაულობათა არსობრიობის შემეცნების ამოსავალ წერტილად გვევლინება აბსტრაგირება ისეთი მოდელის სახით, რომელიც ნორმატიული მსჯელობის მიერ არის ნაკარნახევი. სწორედ მასში არსობრიობა წარმოსდგება როგორც აბსტრაქტული ზოგადი. გადააქვთ რა აზროვნების ეს სტილი კრიმონოლოგიაში, იურისტები იწყებენ ანგარებითი, ძალადობრივი თუ სხვა დანაშაულობის აბსტრაქტული ცნებების აგებას დეფინიციების კლასიფიკაციის გზით. ადგენენ რა ამ მოჩვენებით უცვალებლობას, ისინი კვლავ ეშვებიან დანაშაულთა ცვალებად ემპირიულ სამყაროში და იყენებენ მას აბსტრაქტული დეფინიციის დასადასტურებლად. მოვლენების რეალური დაყოფა გვარებად, სახეობებად, ქვესახეობებად და მისთ. შენაცვლებულია სუბიექტური კლასიფიკაციებით. ამის გამო ემპირიული ფაქტების მეცნიერებისებრი აღწერის იქით მათ არ ძალუძთ გააღწიონ, რადგან აღნიშნული ტიპის აზროვნება, როგორც გ.გარფინკელი წერდა, არ სცილდება «უტყვი იდიოტის» სამყაროს. ამიტომ აქ მეცნიერულ აზროვნებას არაფერი ესაქმება.[358]

პირიქით, არისტოტელეს მიდევნებით იშლება დიდი სივრცე ფუნდამენტური კრიმინოლოგიისათვის. სწორედ არისტოტელეს გზამკვლევ დარიგებათა დახმარებით ხდება შესაძლებელი ძალზე ახლოს მივიდეთ კრიმინოლოგიისათვის აქამდე გაუგებარი საკითხების გადაწყვეტამდე: როგორ არსებობს უამრავ ფაქტორთა მორევში ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც დანაშაულობის გენეზისში უნდა იყოს უზოგადესი და ერთდროულად რიგითი (განსაკუთრებული) მოვლენა"?

თანამედროვე ცხოვრების ფაქტებს თუ შევხედავთ არისტოტელეს ფორმულის საფუძველზე, აღმოვაჩენთ მეტად საინტერესო კანონზომიერებას. ეკონომიკური კრიზისების პერიოდში, ჩვეულებრივ, იზრდება დანაშაულობა. მაგრამ რა იზრდება დანაშაულობაში? – ეს არის კითხვა, რაზეც პასუხს თავად ეკონომიკური კრიზისები იძლევიან.[359] ეკონომიკური თვალსაზრისით კრიზისი ნიშ-

358 Г. Гарфинкель (2007), Исследования по этнометодологии (Studies in Ethnomethodology), М, Питер, с. 22–25

359 ე. სატერლენდი შენიშნავს, რომ დანაშაულობის სამართლებრივი პარამეტრები გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში დგინდება არა თვითნებურად, არამედ ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედებით (Э. Сатерленд (1966), Являются

ნავს მოგების საერთო ნორმის შემცირებას ანუ იმ რესურსების შემცირებას, რომლებიც აუცილებელია ბიზნესისათვის ტექნოლოგიის განსავითარებლად და ხელფასების გასაცემად. თავისი მდგომარეობის გადასარჩენად ბიზნესი მიდის წარმოების ხარჯების შემცირებაზე ხელფასის დაკლების ნაწილში, და როგორც ამის შედეგი – უარესდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მდგომარეობა, რომელიც თავისი დუხჭირი მდგომარეობის დასაძლევად მიდის კანონის დარღვევის უკიდურეს ფორმებზე – დანაშაულზე. ამავე საშუალებას მიმართავენ ბიზნესმენებიც გაკოტრების დასაძლევად და ბიზნესის განადგურების თავიდან ასაცილებლად.[360] ამგვარად, დანაშაულობის სამოსში ჩვენ გვაქვს არსებობის პირობების გაუარესების დაძლევის მცდელობათა მატება. როგორც ჩანს, კრმინოლოგიაში უზოგადესის საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება სულ სხვა გზით – ფაქტორთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ფაქტორის – დანაშაულობის გენეზისში მოსახლეობის ცხოვრების როლის გამოვლენით და არა ფაქტორების აბსტრაქტული ზოგადის დადგენით, რაც ასე დამახასიათებელია სოფიზმისათვის.

ის ზოგადი, საერთო, რაც ვლინდება დანაშაულობაში, არის კიდეც არსებობის პირობების დაძლევის მცდელობა, რომელსაც მე ვუწოდებ დანაშაულობის ნეგაციას.[361] ნეგაცია წარმოსდგება ზოგად მასალად, რომლისაგან იგება დანაშაულები, მაგრამ ამავდროულად წარმოსდგება სავსებით განსაკუთრებულ ფორმად. ამ გაგებით ჩვენ საქმე გვაქვს დანაშულობის გენეზისის ძირითად კანონთან – დანაშაულობის ნეგაციასთან. რაში მდგომარეობს ნეგაციის თავისებურება? განა ყველა ფორმაციაში ადამიანები არ ცდილობდნენ დაეძლიათ არსებობის პირობების გაუარესება კანონის მოთხოვნათა დარღვევის გზით. ეს სიტუაცია შენარჩუნებულია კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც. თუმცა ის ახალი, რაც ამ წყობას შემოაქვს, იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის ეს მცდელობები გამოწვეულია სწორედ კაპიტალის დაგროვების კანონით. ამდენად, კაპიტალიზმის

ли преступления людей в белых воротничках преступлениями?, Социология преступности, М, с. 45–49)

360 იხ.დაწვრ.: გ.თოდრია (2005), „სასჯელის", როგორც ანტიკორუფციული ზომის ირაციონალობა, მაცნე, № 2

361 გ.თოდრია (2014), დანაშაულის ნეგაციის თეორია: ფიქრები კრიმინოლოგიაში „მივიწყებული ყოფიერების" პრობლემის დაძლევის გზებზე, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გვ. 290–312

ისტორია ადასტურებს სოფიზმის სისულელეს და არისტოტელესეული აზროვნების შორსმჭვრეტელობას, მის გამჭრიახობას. „ზოგადი" (საერთო) დანაშაულობებში სავსებით რეალურია და გამოწვეულია თანამედროვე საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური კანონების ცვალებადობით, ანუ არა იდეით, არამედ სავსებით რეალური მოვლენით. როგორც დანაშაულობის არსობრიობა – ნეგაცია, ასევე კაპიტალის დაგროვება, როგორც მიზეზი, მოსახლეობას ეჩვენება მიუწვდომელ, ტრანსცენდენტურ მოვლენებად. ამ დროს ეს რაღაც ტრანსცენდენტური არსებობს და დანაშაულობებში მოძრაობს როგორც მცდელობები არსებობის პირობების გაუარესების შესაკავებლად. სწორედ ეს – „ერთიანი არის ყველა საგნის საზომი", იტყოდა არისტოტელე, და, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, იგი მართალი აღმოჩნდა.

პლატონისა და არისტოტელეს შემდეგ დიდი დრო გავიდა. მსოფლიო ხის პატარა ცვილიანი დაფებიდან ინფორმაციის კომპიუტერული შენახვის ხერხებზე გადავიდა. და მაინც იგი არ არის მზად საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ძველი დროის ბერძნებმა მონიშნეს არსობრიობის შეცნობის გზა, მაინც ღიად რჩება მთელი რიგი საკითხებისა: როგორ აქვს მოცემული არსობრიობა დამკვირვებელს? რატომ და როგორაა მოცემული არსობრიობა ამობრუნებული სახით, რომელშიც გამორიცხულია არსობრიობის შეცნობის ყოველგვარი შესაძლებლობა? იქნებ არისტოტელე და პლატონი ცდებოდნენ და მართლები ნეოკანტიანელები არიან იმაში, რომ მოვლენათა არანაირი რეალური არსობრიობა არ არსებობს, არამედ არსებობს მხოლოდ იდეა, მისწრაფება იმის მოძიებისა, რაც არ არსებობს? ყველა ეს პრობლემა მტკივნეულად შეიგრძნობა კრიმინოლოგიაშიც.

კრიმინოლოგებსა და სოციოლოგების ნაწილს, ხოლო მათს კვალად პოლიტიკოსებსაც ესმით, რომ სახელმწიფო პოლიტიკას ვერსად გაექცევი. განსაზღვრული აქტის, როგორც დანაშაულის, შეფასებით სახელმწიფო ამყღავნებს მის საზოგადოებრივ ხასიათს. სახელმწიფოს რეაქცია დანაშაულებზე – არის ერთადერთი ირიბი საშუალება დანაშაულთა საზოგადოებრივი ხასიათის გასაზომად (იხ. განმარტება 4). მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ იურიდიულ პრაქტიკას რატომ არ შეუძლია დაადგინოს ის გენეტიკური საერთო, ზოგადი, რომელიც ყოველთვის ფეთქავს სხვადასხვა დანაშაულებში და, მაშასადამე, რეალურია, ანუ მოცემულია დანაშაულებებამდე? მეტიც, რატომაა

საკუთრივ იურიდიულ პრაქტიკაში ყველაფერი აგებული იმგვარად, რომ დანაშაულთა „ზოგადი" („საერთო") არა თუ არა ჩანს, არამედ იგი არც უნდა ჩანდეს? სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ხომ დამნაშავე ინდივიდზე იგება ანუ ინდივიდის სამართლებრივი ასახვის იმ პარამორფოზაზე, რომლის მიხედვით ის არათუ არ იბრძვის გაუცხოების წინააღმდეგ, არამედ თავად იწვევს გაუცხოებას. ჩნდებიან გარდასახვითი ფორმები, რომლებსაც იურისტი როგორც ნამდვილს, ისე აღიქვამს: ინდივიდი როგორც გაუცხოების დაძლევის ავტორი გადაიქცევა დამნაშავე პირად, ანუ ინდივიდად, რომელიც თავად იწვევს გაუცხოებას. თავის მხრივ, სახელმწიფო, როგორც კაპიტალისტური ეკონომიკის მოთხოვნის განმტკიცების საშუალება, ანუ როგორც დემიურგი, რომელიც თავად მონაწილეობს გაუცხოებაში, დანაშაულობის გენეზისის სუბიექტისაგან ობიექტად გადაიქცევა, „უმანკო ბატკნად", რომლისთვისაც დანაშაულობა არის სადღაც წარმოშობილი ქარბობალა. ის, რაც სიღრმეში ძევს როგორც იგივეობა, ზედაპირზე მოცემულია როგორც განსხვავება. მაშ, რას იფარავს თავის თავში დანაშაულობის გადაბრუნებული სამყარო?

მსგავსი პრობლემების გადაწყვეტას ჰეგელი შეუდგა, რომელმაც თავის თავზე იმ მართლის როლი იტვირთა, უცნობლობის წყვდიადიდან გონის სამფლობელოში რომ გამოვყავართ. კაცობრიობის აზროვნების ისტორიში ჰეგელის გამოკვლევებს წინ უძღვის ახალ აღთქმაში დანაშაულობის სახელმწიფოებრივი გაგების რელიგიური კრიტიკა, რაც ჩვენ დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

4.2. დანაშაულობის ტრანსცენდენტური გააზრება ახალი აღთქმის მიხედვით

4.2.1. შესავალი ნაწილი

დანაშაულობის ტრანსცენდენტური გააზრების ისტორიაში ძველი ბერძნების შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ახალ აღთქმაში დანაშაულობის სახელმწიფოებრივი გაგების რელიგიურ კრიტიკას.[362] ამ ძეგლში განვითარებული მსოფლმხედველობა დაკავშირე-

362 ნაშრომის აღნიშნული თავის ძირითადი დებულებები მე გამოვაქვეყნე 2002 წელს, რაც პროფ. გ. ნადარეიშვილმა მიიჩნია სადავოდ. როგორც თავის ანოტაციაში მან აღნიშნა: „ავტორი, გიორგი თოდრია ცდილობს გაანალიზოს ქრისტიანული წარმოდგენები დანაშაულობაზე რელიგიის ფილოსოფიის თვალსაზრისით. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მისი მოსაზრება სადაოა და შეიძლება საინტერესო დისკუსია გამოიწვიოს" (იხ. გ.ნადარეიშვილის ანოტაცია

ბულია რამოდენიმე წანამძღვართან: ჯერ ერთი, ახალი აღთქმის დებულებებში განვითარებულია აზრი ემპირიული მასალის რეფლექსის მეთოდის, მოვლენის სუბსტანციიდან გამოყვანის შესახებ. მეორეც, სხვა რელიგიების ღვთიური შუამავლებისაგან განსხვავებით, ქრისტე არც სახელმწიფოს მსახურია და არც რაიმე ურთიერთობაშია მასთან. ქრისტე იმ წრის სახელით გამოდის, რომელიც სახელმწიფოს გარეთ დგას. დანაშაულობაზე წარმოდგენების ჩამოყალიბება არ არის დამახინჯებული იმ ფორმებით, რაც ტიპიურია პოზიტიური სამართლისა და სახელმწიფოსათვის, სადაც დანაშაულობის ხედვა მახინჯ სახეს იღებს.[363] დაბოლოს, მესამეც, ქრისტიანულ რელიგიაში მტკიცებულების სისტემის აგება დამყარებულია არა მხოლოდ ერთი ხალხის მასალაზე, მაგალითად, იუდეველებზე, არამედ მთელი კაცობრიობის მისწრაფებაზე (იხ. განმარტება 5). ამიტომ აქ უკვე ჩადებულია ზნეობრიობის კანონის (კანონზომიერების) წინარე ნიმუში, რომელსაც თანამედროვენი უწოდებენ საერთო საკაცობრიო ფასეულობებს, ბუნებითი სამართლის იდეებს და ა.შ.

დასახელებული წანამძღვრების განხილვა იმით რთულდება, რომ იურისტი ჯერ საპირისპირო ცოდნას იღებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიიდან. შესაბამისად, არსებული იურიდიული ცოდნა-წარმოდგენები პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ცოდნა-შეხედულებებს, რომლებიც ახალ აღთქმაშია ასახული.

ახალი აღთქმის წარმოდგენებში განვითარებულია ცოდნა, რომელსაც ყველაფერი მიჰყავს ღმერთთან, როგორც სუბსტანციასთან. არსებულ იურიდიულ ცოდნაში კი სამყარო აღიქმება მთელი მისი ცოდვიანობით, როგორც ემპირიული, სუბსტანციის – ღმერთის გარეშე. პარადოქსულია, მაგრამ ახალი აღთქმის წარმოდგენები არის ადამიანის უძველესი წარმოდგენები, რომელიც არსის კატეგორიებით საზრდოობს. ამიტომ თეოლოგიური ხედვა არის რეალური, ხოლო იურიდიული – ვიწრო, პრაქტიკული, არარეალური. თუმცა რიგითი ადამიანების შეგნებაში თეოლოგიური სამყარო საიქ-

---

ნაშრომზე: გ. თოდრია (2002), დანაშაულობა ახალი აღთქმის მიხედვით: „სამი ჯვრის მოძღვრება", ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, ალმანახი, № 14, გვ.45 – 52).

363 პოზიტიურ-სამართლებრივი აზროვნება არ იცნობს გარდასახვითი ფორმების ანალიზს, რადგან სახელმწიფოსათვის მოვლენა და არსი გაიგივებულია (აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. გ.თოდრია (1997), სამართლის ფილოსოფია – როგორც პრობლემა, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ, №2, გვ. 24–27).

იოდ აისახება, ხოლო სახელმწიფოსა და სამართლისა – სააქაოდ. ასწლეულების განმავლობაში ამგვარი „ყირამალა" ხედვის ავტორი იყო და ჯერაც არის სახელმწიფო, რომლის მსახურთათვის საზოგადოება სახელმწიფოებრივი განწესებების გარეშე არის ჰადესის სამეფო. ადამიანები ჯერაც ამ იდეის ტყვეობაში არიან, რადგან ვერ ხედავენ, რომ სუბსტანციის სამეფო, ღმერთის „სამეფო არა ამქვეყნიურია" (იოანე, 18:36), ანუ არ არის იმ სამყაროდან, რომელსაც ვხედავთ სახელმწიფო პრაქტიკაში. სწორედ პრეტორ პილატეს (სახელმწიფოს მსახურის) კითხვით – „რა არის ჭეშმარიტება?" (იოანე, 18:38) (იხ. განმარტება 6) იწყებს განვითარებას „სამი ჯვრის" მოძღვრება, რაზედაც გვექნება მსჯელობა.

ახალი აღთქმიდან მოვიყვანოთ ჩვენთვის საინტერესო ადგილი: „იგი ჯვარს აცვეს იქ: და მასთან ერთად, აქეთ-იქით ორი სხვა, შუაში კი – იესო" (იოანე, 19:18). „ერთი ჩამოკიდებული, ბოროტმოქმედი გმობდა მას: განა შენ ქრისტე არა ხარ? იხსენი შენი თავიც და ჩვენც.

მეორემ კი გაუწყრა და უპასუხა მას: ნუთუ ღმერთისა არ გეშინია, როცა შენც იმავე მსჯავრში ხარ?

ჩვენ ვისჯებით სამართლიანად, ვინაიდან ჩვენ რაც გავაკეთეთ, იმისი საკადრისი მივიღეთ, მაგას კი არაფერი ცუდი არ გაუკეთებია.

და მან უთხრა: იესო, გამიხსენე, როდესაც შენს სასუფეველში მიხვალ.

იესომ კი უთხრა მას: ჭეშმარიტად, გეუბნები შენ: დღეს ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში" (ლუკა, 23:39–43).

ახალი აღთქმის ზემოთქმული ეპიზოდის განმარტებისას ჟურნალ „Christian Victory Magazine"-ის გამომცემელი, ფ. მელდაუ, წერს: „ჯვარცმის სურათი ერთგვარად წარმოსახავს, თითქოს მინიატურაში, მთელს ჩვენს ცოდვილ სამყაროს. მსგავსად იმ ორი ყაჩაღისა, მთელი სამყარო ცოდვილია ღმერთის წინაშე და ღირსია დასჯისა. ქრისტე, ჯვარცმული შუათანა ჯვარზე, განაცალკევებდა მასთან ერთად ჯვარცმულ ყაჩაღებს: ერთი მის ერთ მხარეს აღმოჩნდა, მეორე, მის მეორე მხარეს. ასევეა დღესაც, ქრისტე განაგრძობს ცოდვილი სამყაროს განცალკევებას. ისინი, ვინც რწმენით მიემართება ქრისტესაკენ – იხსნიან თავს; ხოლო ისინი, ვინც ქრისტეს უარყოფენ და უგულებელყოფენ მისგან ხსნას, იღუპებიან. რა დიდი გაკვეთილია ჩვენთვის ეს „სამი ჯვარი".[364]

364 Мессия в Ветхом и Новом Заветах. (1990), (ред. Ф.Мельдау), Крисчиан

დანაშაულობის ანალიზის თვალსაზრისით, ამ ტექსტის მნიშვნელობის გამოყოფისას საჭიროა ვუპასუხოთ კითხვაზე: რას ნიშნავს ღმერთის რწმენა, მორწმუნე დამნაშავე და ურწმუნო დამნაშავე?

4. 2.2. რას წარმოადგენს ღმერთის რწმენის პროცესი?

დანაშაულობის არსის ძიების პროცესი ახალ აღთქმაში საკმაოდ რთულია. იგი იურიდიული აზროვნებისაგან განსხვავდება. იურისტისათვის ჭეშმარიტების ძიება ინდუქციურად მთავრდება ზოგადის გამოყოფით. ამიტომ დანაშაულობის საერთო არსის გამოსავლენად იურისტს უხდება ცოდვის სამყაროში (ემპირიული) ჩაშვება და იქიდან განმარტებითი მასალის ამოტანა. ასეთია მოჩვენებითი ღვთაებრიობა. რადგან ძალაუფლებრივ ურთიერთობებში იურისტები ჩართული არიან, ამიტომ ისინი ხდებიან ამ ურთიერთობათა მექანიკური სათამაშოები, „...არ ესმით მონათა ბორკილების ჟღარუნი, ვერ გრძნობენ დედამიწის მიზიდულობის ძალას და თავი წარმოუდგენიათ ლამის ღმერთებად, სურთ იმოქმედონ და იბატონონ თვით სიცოცხლეზე".[365]

ახალ აღთქმაში დანაშაულობისადმი მიდგომა სუბსტანციურია. იურისტისათვის კი დანაშაულობა განისაზღვრება კანონით. კოდექსი გამოდის ერთგვარ „უფროს ედათ", სადაც ზოგადი ნიშნების დისპოზიციურ აღწერას ენიჭება ისეთივე მაგიური ძალა, როგორც რუნიულ დამწერლობას. მაგრამ ახალი აღთქმის შემეცნების ფარგლებში „სჯულის საქმეებით ვერავითარი ხორციელი ვერ გამართლდება მის წინაშე" (რომაელთა მიმართ, 3:20). სუბსტანცია – ღვთიური სიმართლე ახალი აღთქმის ტერმინოლოგიით – დამოუკიდებელია კანონისაგან (რომაელთა მიმართ, 3:21).

ემპირიზმისაგან გადახვევით, ახალი აღთქმა საკითხს რამდენადმე სხვადასხვაგვარად აშუქებს. დამნაშავე, განხილული სუბსტანციის მიმართ რედუქციის გარეშე, რჩება ცოდვაში – ემპირიულ სამყაროში, რომელიც აუხსნელია და ახსნა–გაგებას არ ექვემდებარება. საპირისპიროდ, ჩადენილი ქმედების ნამდვილი არსი, რომელსაც ადამიანებმა „დანაშაული" დაარქვეს, განისაზღვრება მას შემდეგ, რაც ჯვარცმულმა „დამნაშავემ" მიმართა ქრისტეს და უფლის სამეფოში აღმოჩნდა (ლუკა, 23:40–43).

ახალი აღთქმის ტექსტის თანახმად, რწმენის პროცესი ნიშნავს

Виктори, с. 85

365 Э. Гофман (1994), Церковь езуитов в Г., М, Худож. лит–ра

რედუქციის პროცესის მიყვანას ღმერთთან, როგორც სუბსტანციასთან. მაგრამ დამნაშავის დამოკიდებულება ღმერთთან არ განიხილება როგორც მიახლოების ცალმხრივი პროცესი, რადგან აქ იმავდროულად იგულისხმება ღმერთისაგან, როგორც სუბსტანციისაგან, გამოყვანა: „ყოველივე შექმნილია მის მიერ; და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა სინათლე“ (იოანე სახარება, 1:3–4).

ახალი აღთქმა არაორაზროვნად გვაგებინებს, რომ დანაშაულობის შემეცნების საფუძველი უნდა იყოს სუბსტანციური ახსნა–გაგება, დანაშაულობის არსის სუბსტანციიდან გამოყვანა. კატეგორიულად იკრძალება დანაშაულობაზე განსჯა ისევე, როგორც ნებისმიერ მოვლენაზე, გარეგნული ნიშნებით; უნდა განისაჯოს, ე.ი. გასამართლდეს სამართლიანი გასამართლებით (იოანე, 7:24), ანუ დანაშაულის ყველა ნიშანთვისება უნდა გამოიყვანებოდეს საერთო სუბსტანციიდან. სუბსტანცია თავში შეიცავს სიცოცხლეს (იოანე, 1:4), ამასთან განსაკუთრებულ სიცოცხლეს, რომლის მეშვეობით იწყება ცხოვრება (იოანე, 1:3).

ღმერთისგან, როგორც სუბსტანციისგან, რეფლექსიის მეთოდი ნიშნავს, იმას რომ დანაშაულობის საზომი იმ ხილვად სამყაროში არ უნდა ვეძებოთ, რომელიც ქურდობის, მკვლელობის, ძარცვისა და ა.შ. სახეებშია წარმოდგენილი. ამგვარი საზარელი ხერხებით მოსახლეობის ნაწილი ცდილობს დაძლიოს ის უბედურება, რომელიც საზოგადოებაში არსებული წყობის გამო მას თავს დაატყდა. ამიტომ კანონის დარღვევისადმი ინდივიდების სწრაფვა საერთო უბედურების გაზრდით ან შემცირებით იზომება, რომლისთვისაც სულ ერთია, იგი მკვლელობის თუ ქურდობის სამოსში გამოვლინდება. ახალი აღთქმის მიხედვით, ღვთისადმი რწმენა ცოდვიან სამყაროში მოსახლეობის სასონარკვეთილი მდგომარეობის დანახვას ნიშნავს. შეიძლება ითქვას, რომ იურისტის აზროვნება კრიმინოლოგიაში, რომელსაც მთელი ყურადღება ამ საზარელ სამოსზე გადააქვს, რელიგიური კრიტიკის გაგებით ანტიქრისტიანულად მიიჩნევა.

ათასობით ადამიანი განწირულია საშიმშილოდ. ბევრი მათგანი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით იძულებულია იქურდოს. ახალგაზრდობა უმუშევრობისა და გაუცხოების გამო, სულ უფრო ხშირად არღვევს კანონებს, ვიდრე იცავს. ქალები პროსტიტუციასა და ნარკოტიკების წვრილმან სპეკულაციას ეწევიან, რათა ოჯახი გამოკვებონ. მათხოვრობა ხდება თავის გატანის ერთადერთ საშუალებად.

კანონი მოუწოდებს ასეთების ჩაქოლვას (იოანე, 8:5), მაგრამ სად ვეძებოთ ჭეშმარიტების საზომი, თუკი მთელი მსოფლიო ბრალდებულია (რომაელთა მიმართ, 3:19)? საზოგადოებამ საყრდენი დაკარგა: არც შრომით, არც ჭკუა–გონებით დამკვიდრება აღარ შეიძლება, არავითარი გარანტია არ არსებობს, ყველგან შიშია. ერთადერთი ხსნა თანამდებობის დაკავებაა, რათა იყო გარანტირებული სახელმწიფოს მიერ. იმის გამო, რომ საზოგადოებაში ქაოსია, მოსახლეობა უფრო მეტად ეტანება იურიდიულ განათლებას, რათა სახელმწიფო ორგანოებში მიაღწიოს წარმატების მყარ საყრდენს. ასე, რეალური სუბსტანციური ხედვის თვალსაზრისის ნაცვლად ადგილს იკავებს სახელმწიფო – ყალბი სუბსტანცია, რადგან იგი არსებობს მაშინ, როცა ადამიანები დაყოფილი, დაცალკევებული არიან, როცა თითოეული მართალია მეორესთან ძალაუფლების – ძალით.

ახალი აღთქმა ყურადღებას აქცევს ოიდიპოსის სულის სიკვდილს, რადგან კანონებში არ ჩანს, რომ ადამიანის ბუნებითი უფლებები სინამდვილეში ილახება. ადამიანები იქცევიან როგორც გაუცხოებული, რომელთა მიმართ უკვე ჩადენილია ძალადობა: მათ ართმევენ უფლებებს. ამიტომ საზოგადოებაში დანაშაული ხდება საკუთარი ბუნებრივი ადამიანური უფლებების აღდგენის საშუალება. ამ სამყაროს იურისტის თვალით დანახვა შეუძლებელია: კანონმა მოუწოდა მათი ჩაქოლვა (იოანე, 8:5). მაგრამ, როგორ უნდა დავინახოთ რეალური ცხოვრება ცოდვაში (მის ემპირიულ სამყაროში), თუკი სუბსტანციიდან (ღმერთიდან) არ ამოვალთ? მხოლოდ ცოდვის მიზეზის გაგებით, მისი ფესვების გამოვლენით შეიძლება ნამდვილად გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს, რა არის დანაშაული, როგორია სახელმწიფოს ადგილი – როლი გაუცხოების პროცესში. ასეთია ახალი აღთქმის კონსტრუქცია, რომელიც დასაწყისიდანვე აღმოცენდა როგორც აზროვნების ანტიიურიდიული ტრადიცია.

ახალი აღთქმის მიდგომა არა მარტო განსხვავდება იურიდიული აზროვნებისაგან სისტემის აგების პრინციპებით, არამედ საშუალებითაც, რომლითაც ეს სისტემა ვითარდება (მოძრაობს). ამრიგად, ვერ ჰპოვეს რა ბრალდების საყრდენი, ფარისევლებმა ვერ შეძლეს სამართლის აღსრულება (იოანე, 8:10). მაშასადამე, ცოდვილ (ემპირიულ) სამყაროში შეიძლება იმდენი კანონების პოვნა, რამდენისაც მათი უარყოფა. მაგრამ, როგორ შეუძლიათ ადამიანებს იმის ნამდვილი არსის გაგება, რასაც კანონები დანაშაულს უწოდებენ? ახალი აღთქმიდან ნათელია, რომ ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ

რედუქციის სუბსტანციისადმი (ღმერთისადმი) საშუალებით. მაგრამ როგორ?

მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგიაში ადამიანთა ერთიანობა, როგორც ღვთაებრიობის მატარებლისა, პოულობს გამოსახვის ერთგვაროვან გარეგან ფორმას – ღმერთის შუამავალთან დამოკიდებულებას. მაგრამ არის დიდი განსხვავებაც. თუკი დგება ღვთიურის (სუბსტანციის) გამოსახვის პრობლემა, მაშინ შუამავალს არ უნდა ჰქონდეს ურთიერთობა სახელმწიფოსთან, კანონთან. იგი არ უნდა იყოს პოლიტიკური მოღვაწე (მუხამედი ისლამურ რელიგიაში), სამეფო ოჯახის წევრი (პრინცი ბუდა შაკიამუნი ბუდიზმში), პოლიტიკურად და სოციალურად ცნობილი გვარის წარმომადგენელი (აბრაამი იუდაიზმის რელიგიაში) და ა.შ. წარმომადგენლობა უნდა იყოს ბუნებრივი, თორემ ადამიანები ვერ დაინახავენ თავის უფლებებს. უნდა იყოს ისეთი სარკე, რომელშიც ადამიანები თავის ბუნებრიობას აღმოაჩენენ. ასე რეფლექსიის პრობლემა გადაიჭრება „ქრისტეს" კატეგორიაში, რის მეშვეობითაც ახალი აღთქმის აზროვნებამ უნდა გამიჯნოს დანაშაული არადანაშაულისაგან, დაადგინოს უკეთურთა სამყარო. საკითხი დასმულია ამგვარად: ცხოვრების ზედაპირზე დანაშაული მოცემულია უარყოფითი განმარტების სახით. მაგრამ, როგორია მისი პოზიტიური (იმანენტური) განსაზღვრა, ე.ი. როგორია დანაშაული კანონის უარყოფის გარეშე? ახალი აღთქმა ცდილობს ახსნას ეს საიდუმლოება და ჩვენ უნდა თვალ–ყური ვადევნოთ რეფლექსიის ამ საშუალებას.

მსოფლიო რელიგიაში ქრისტე განსაკუთრებული მოვლენაა, რომელსაც ცენტრალური დატვირთვა აქვს კოსმოგენურ განზომილებაში. ერთი მხრივ, იგი ღვთის შვილია, ე.ი. სუბსტანციის მატარებელია, რომელიც, როგორც შპენგლერი აღნიშნავს, „იცვლის მხოლოდ, თავის გამომეტყველებას და არა თავის სახე-ტიპს".[366] ახალი აღთქმა ქრისტეს ორი თვისებით აღჭურვავს: ა) ქრისტე არის სუბსტანციური განვითარების პროდუქტი („ღმერთი არასოდეს არავის არ უნახავს. მხოლოდ შობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, მან ამცნო" – იოანე, 1:18); ბ) მისი ძირითადი ფუნქცია – გამოავლინოს ღვთაებრიობა – სუბსტანციონალობა („... საქმენი, რომელნიც მამამ მომცა განმეხორციელებინა ისინი, – თვით ჩემს მიერ გაკეთებული საქმენი, ამოწმებენ ჩემს შესახებ, რომ მამამ წარმომგზავნა" – იოანე, 5:36).

366 О. Шпенглер (1991), Закат Европы, Самосознание европейской культуры XX века, М, Полит. литература, с. 40.

მეორე მხრივ, ქრისტე ადამიანია და ამ მნიშვნელობით ემპირიული მოვლენაა, როგორც უმრავლესობა („სამართლის წარმოებაშიც უფლებამოსილება მისცა მას, რადგან ძე კაცისაა იგი“ – იოანე, 5:27).

ეტალონის კონსტრუქციის აგება ძირშივე განსხვავდება ინდუქციური განზოგადებისაგან. ამ თვალსაზრისით, დანაშაულთა უმრავლესობისათვის არსი – ესაა აბსტრაქტული ზოგადი, რომელიც რეალურად არ არსებობს; ესაა სამყაროს სახელმწიფოებრივი ხედვა. აიგივებს რა თავის თავს საზოგადოებასთან, სახელმწიფო არ უშვებს იმას, რომ დანაშაულობის მიზეზები იყოს რეალურად დადგენილი და ამ გზით ასევე იყოს დადგენილი გაუცხოებაში სახელმწიფოს როლის გამოვლენა. ახალი აღთქმის კონსტრუქცია კი საკითხს დედუქციურად სვამს: ადამიანები აფარდებენ თავიანთ ქმედებას ქრისტეს ქმედებასთან და მხოლოდ ამის შემდეგ გამოავლენენ თავიანთ ცოდვას (უმართლობას) ანდა ღვთაებრიობას (სუბსტანციურობას). ჩაიდინა რა „დანაშაული“, ადამიანმა სათუოა შეაფასოს მისი არსი ისევე, როგორც სახელმწიფოს არ შეუძლია ამის გაკეთება. ურთიერთობების ეს მხარე ცოდვილია, უსაფუძვლოა, ემპირიულია. დანაშაულის არსის გამოვლენის სისტემა ამოქმედდება მაშინ, როცა დაიწყება პატიების პროცესი (ემპირიულიდან განწმენდა), და ქმედებაში, რომელიც დანაშაულად აღიარეს, იწყებენ იმანენტურობის (ღვთაებრიობის) ხედვას.

პატიების პროცესს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს დანაშაულის გამართლებასთან. აქ არ შეიძლება მექანიკურად პარალელის გავლება. ახალი აღთქმა რეალობას სხვაგვარად აყალიბებს, ვიდრე ეს მიღებულია იურისტებთან. პატიებით ხდება კონსტრუირება მოთხოვნილებისა – დაინახოს დანაშაულში მისი ჭეშმარიტი ფესვები. ცოდვილი ქალი, ფარისევლების მიერ ბრალდებული, ყაჩაღი, ჯვარცმული და სხვები სხვადასხვა ბედისანი არიან. ეს განსხვავება იმდენად დიდია, რომ სათუოა მოხელემ რაღაც საერთო გამოავლინოს. როგორც პილატე, იგი ყოველთვის კითხვის წინაშე დადგება („რა არის ჭეშმარიტება“ – იოანე, 18:38). სხვადასხვა ტრაგედიები გამოსახავენ ერთ ტრაგედიას, ერთ საერთო ბედს, რომელსაც კანონი ვერ ხედავს.[367] პირიქით, მხოლოდ ეტალონური რედუქცია – ქრისტესადმი მიმართვა იძლევა შესაძლებლობას ამ

367 გ.თოდრია (1990), სახელმწიფო, როგორც გაუცხოების მომენტი და დანაშაულობა, სამართალი, №5, გვ. 21–26,

თვალსაზრისის გასაგებად – მიგვითითებს ახალი აღთქმა. ყველა შემთხვევაში საერთო ადამიანური უფლებათა ბუნებრიობას ახალი აღთქმა აკუმულირებს ქრისტეს კატეგორიაში. ის ხდება იმ „მასალად", რომელშიც ადამიანები გამოხატავენ თავიანთ საერთო ტრაგედიასა და ქმედებათა მართლზომიერებას. ამის წყალობით, ყველა ცოდვილი ადამიანი სუბსტანციის (ღმერთის) გამოვლენის ერთიან ფორმას იღებს და „დანაშაული" განისაზღვრება პოზიტიურად, ე.ი. არა როგორც კანონის უარყოფა, არამედ როგორც საშუალება – ხერხი, გაუცხოებული ადამიანის გამოსახვის, გაუცხოებაზე რეაქცია, ცდა გაუცხოების მოხსნისა.

ჯვარცმული ბოროტმოქმედის მიმართვა ქრისტესადმი (ლუკა, 23:42) ნიშნავს ქცევის ნორმების განსაზღვრის ცდას. ცოდვილისათვის ძნელია ცოდვის ზომის განსაზღვრა და ეს სავსებით გასაგებია, რადგან გაუცხოების პროცესები თითქოს კონკრეტული ადამიანების ზურგს უკან ვითარდება. დანაშაულის ჩადენისას ადამიანი თავისი კონკრეტული ცხოვრებიდან გამოდის, მაგრამ ის ვერ ხედავს დანაშაულის უფრო მნიშვნელოვან მხარეს, რომ მისი ქმედება გაუცხოების მოხსნის საშუალებად გამოდის. გაუცხოება კი სწორედ კანონის საშუალებით ხორციელდება, რასაც გრძნობს ყოველი ცოდვილი (იოანე, 7:19). როგორ აღმოვაჩინოთ ეს ფარული თვისება, თუკი ყველა „დამნაშავეს" ესვრის ქვას?

მრავალი საუკუნის შემდეგ კაცობრიობა მიხვდა იმას, რომ დანაშაულს ორი თვისება გააჩნია, – იგი გამოდის: ა) როგორც კანონის კონკრეტული დარღვევა (უარყოფითი განსაზღვრა) და ბ) როგორც გაუცხოების მოხსნის საშუალება (პოზიტიური განსაზღვრა). ტოტალური რეჟიმების განვითარება ისტორიაში ისეთი ძლიერი იქნება, რომ მეორე თვისება არც ისე იოლი აღმოსაჩენი გახდება. მაგრამ უკვე იმ შორეულ დროებაში სავსებით ნათელი იყო, რომ აღნიშნული ფარული თვისება შეიძლებოდა მხოლოდ განსაკუთრებული რეფლექსიით აღმოჩენილიყო. ჯვარცმული ბოროტმოქმედის ქრისტესადმი მიმართვა ნიშნავს თხოვნას მიიღოს პასუხი კითხვაზე: რა ჩაიდინა მან სინამდვილეში და რატომ ჩაიდინა? ახალი აღთქმის ტრადიცია არის პირველი ცდა ამ თვისების აღმოჩენაში.

მოვლენათა სუბსტანციის ძებნა მსოფლიო ფილოსოფიაში რატომღაც წარმოდგენილია როგორც მარტო მისი საკუთარი განვითარების ნაყოფი. თუმცა სუბსტანციის ძიების მცდელობა თეოლოგიური აზროვნებისათვისაც ასევე დამახასიათებელია, რადგან ახალი

აღთქმის ტექსტი იმთავითვე გვაფრთხილებს, რომ სწორედ ქრისტეს წყალობით მიიღწევა ერთობა ყველასი და ღმერთის (იოანე, 17:21). რაშია საქმე?

როგორც ადამიანი, ქრისტე არაფრით განსხვავდება სხვებისაგან, თუმცა იგი ერთადერთია. მაგრამ მხოლოდ ქრისტესთან ურთიერთობაში ამჟღავნებენ ადამიანები ღმერთს. ე.ი. იწყებენ გაგებას, სინამდვილეში რა ქმედება ჩაიდინეს. მხოლოდ ასეთ ურთიერთობაში შეუძლია ყოველ ადამიანს გაიაზროს, რომ იგი ღმერთისაგანაა (იოანე, 17:7). მაშასადამე, ქრისტე არის ეტალონი, რომლის მეშვეობითაც ყველა ეთანაზომიერება ერთმანეთს, როგორც მართლზომიერების მატარებელი. სწორედ აქაა ჩაფლული საიდუმლოება რეფლექსის მეთოდისა, ანუ სწორედ იმ პუნქტისა, რომლის გაგებითაც შესაძლებელია გავარკვიოთ ჯვარცმული „დამნაშავის" ქრისტესთან დამოკიდებულება. არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანი მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის თუ სახელმწიფო მოხელის როლშია. ამ როლების განსახიერებისას ადამიანი ვერ ხედავს დანაშაულს, რადგან იგი თვითონაც ასეთივე ცოდვილია, ე.ი. ემპირიული ფენომენია, როგორც ე.წ. დამნაშავე. მართლაც, ყველა უნდა ყოყმანობდეს, როცა დააპირებს დამნაშავის ჩაქოლვას! პირიქით, ახალი აღთქმის წარმოდგენებით, ქრისტე ყოველთვის ექვივალენტის როლში გამოდის, ყველაფერს მას უთანასწორებენ; ქრისტე ღვთაებრიობის საზომი ხდება, ე.ი. სუბსტანციურობის საზომი. მისი ბუნებრივი მისწრაფება, რომელიც მოხელეობასთან ან მდიდარ გვარისშვილობასთან კავშირით არ არის დამახინჯებული, ხდება სარკე, სადაც აისახება ნამდვილი მართლზომიერება. ქრისტეს ქმედებებთან დამოკიდებულების წყალობით ადამიანის ყველა ქმედება იძენს ღვთაებრიობის გამოსახვის ერთიან ფორმას – სუბსტანციისადმი მიღწევას. მხოლოდ რეფლექსიის გზის გავლით შეუძლია ჭეშმარიტების შემმეცნებელს გაიგოს ცოდვილთა საერთო ბედ–იღბალი, საერთო ცოდვა, დაცემის მიზეზები.

4. 2.3. დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენა

რწმენის კატეგორიის ზოგადი განხილვის შემდეგ ჩვენ ვუახლოვდებით მეორე კატეგორიას – დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენას. თუ დანაშაულობის გაგებაში გავითვალისწინებთ სუბსტანციის დადგენის აუცილებლობას, მაშინ, შესაბამისად, დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენა ნიშნავს დანაშაულის განსაკუთრებული თვისებე-

ბით აღჭურვას, რომელთა ზედაპირზე აღმოჩენა შეუძლებელია („... არც მე მიცნობთ, არც მამაჩემს“ – იოანე, 8:19), მაგრამ რომლებიც უნდა დავადგინოთ, გავარკვიოთ. ასეთი ვითარების კონსტატაციისას ახალი აღთქმა მხედველობაში არ იღებს იმ თვისებებს, რაც ახასიათებს ამა თუ იმ დამნაშავეს, ე.ი. არ ექცევა ყურადღება იმას, თუ რა ჩაიდინა მან, როგორი პიროვნებაა იგი და ა.შ. როგორც გოლგოთაზე მომხდარი ტრაგედიის აღწერიდან ჩანს, ქრისტე არც კი დაინტერესებულა ამ გარეგანი თვისებებით. ჭეშმარიტი რეალობა, კანონისაგან განდგომის ქმედების არსი განისაზღვრება მხოლოდ ღმერთისადმი რედუქციის შემდეგ. მანამდე არსებული დანაშაულებრივი სამყარო – არარაობაა, მისი დაჯერება და აგება არ შეიძლება („ნუ გაასამართლებთ შეხედულებით, არამედ სამართლიანი გასამართლებით გაასამართლეთ“ – იოანე, 7:24; „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ. ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. ქვეყნიერება რომ იძლევა, ისე კი არ გაძლევთ. და ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება“, – იოანე, 14:27). მაშასადამე, დამნაშავის რწმენა ღმერთისადმი ნიშნავს, რომ რეალურად დანაშაულობის არსის შესახებ მსჯელობა მხოლოდ სუბსტანციისადმი რედუქციის შემდეგ შეიძლება. მაგრამ აქ უკვე ლაპარაკია არა დამნაშავისათვის დამახასიათებელ თვისებებზე, არამედ იმ მართლზომიერებაზე, რომელიც აკუმულირებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში.

ახალ აღთქმაში მრავალგზის მითითებულია საკითხი ბუნებრივი თვალსაზრისის არსებობის შესახებ, რომელიც გაიგივებულია ქრისტეს ქმედებასთან. ქურდობა, ყაჩაღობა, გაბოროტება, ვერაგობა, შურიანობა, მკრეხელობა, მკვლელობები და სხვა ადამიანის შიგნიდან, მისი გულიდან მოდის (მარკოზი, 7:21–23), მაგრამ ეს ცოდვილ (ემპირიულ) სამყაროს განეკუთვნება. მეორე მხრივ, ახალი აღთქმა კვლავ გვაფრთხილებს, რომ ყველა ეს მოვლენა ბოჭავს ადამიანს (მარკოზი, 7:21–23). ამრიგად, ადამიანის ბუნებრივი სახე ცხადდება ცენტრალურ კატეგორიად და ქრისტეს წინარე ხატად. საბოლოო ჯამში, ამ ბუნებითობაზე (ადამიანის ბუნება, ქრისტეს ქმედებანი) რეფლექსია ნიშნავს სუბსტანციისადმი რეფლექსიას, რომელსაც ახალ აღთქმაში უწოდებენ ხან ღმერთს, ხან სრულყოფილ კანონს, თავისუფლების კანონს („ვინც ჩაუკვირდება სრულყოფილ სჯულს თავისუფლებისას ...“ – იაკობი, 1:25).

დამნაშავის ღმერთის რწმენა აღნიშნავს ცოდვილობის აქტისა და სრულყოფილი სჯულის თავისუფლების დადგენას, ემპირიული

ქმედების კორექტირებას, მასში სუბსტანციის ქმედების აღმოჩენას, ანუ ამ კანონის (სჯულის) დადგენას, – ახალი აღთქმის თანახმად, ვინც ეს პრინციპები დაივიწყა, იმას ეხება სიტყვები: „არც ერთი თქვენგანი არ ასრულებს სჯულს. რატომ მოძებნეთ მოსაკლავად?“ (იოანე, 7:19). დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენა, ესაა მცდელობა, მან მიიღოს ნათელი, დაინახოს ნამდვილად ასახსნელი – გასაგები სამყარო, იხსნას თავი, ე.ი. იპოვნოს ნამდვილი საზომი თავისი ბრალეულობის და არა ის, რასაც სისხლის სამართლის კანონი განსაზღვრავს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანს არ შეუძლია დანაშაულის ჩადენა, თუკი მის მიმართ არ იქნა ჩადენილი დანაშაული; ადამიანს არ შეუძლია სახელმწიფოს მიმართ გაუცხოება, თუკი სახელმწიფო თვითონ არ არის გაუცხოებული ადამიანისაგან.

4. 2.4. დამნაშავის ცოდვიანობა

დამნაშავის ცოდვიანობა არის მესამე და ბოლო კატეგორია ჩვენს ანალიზში. მას შემდეგ, რაც განვმარტეთ პირველი ორი კატეგორია, მესამეს გაგება უფრო ადვილი ხდება. ცოდვიანობა არის იმ დამნაშავის თვისება, რომელიც არ აღმოჩნდა ღმერთთან, ე.ი. არ იყო რედუცირებული სუბსტანციასთან. ერთი მხრივ, როგორც ჩვენ მივუთითეთ, დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენა ნიშნავს დამნაშავის არა ემპირიული თვისებების გააზრებას, რაც მას გააჩნია, არამედ იმის გააზრებას, რაც სუბსტანციური თვისებებისაა. მეორე მხრივ, ჩნდება ახალი კატეგორია – დამნაშავის „ცოდვიანობა“, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა დამნაშავის მოაზრებას ყველა იმ თვისებებით, რომლებითაც იგი აღჭურვილია ემპირიულად (მათ შორის კანონითაც).

ახალი აღთქმის თანახმად, „ცოდვილობა ის ჩოჩორია, რომელზეც ამხედრდა იესო“ (იოანე, 12:14). ეფეელთა მიმართ წერილში და ახალი აღთქმის სხვა ადგილებში ამ ცხოველის სიმბოლო მოიაზრება როგორც ცოდვილობა (ჯიუტობა, თავშეუკავებლობა და ა.შ.), ე.ი. ის, რასაც ჩვენ ვეძახით დამნაშავის ემპირიულად დასანახავ თვისებებს. „ჩოჩორი“, ესაა ჩვენი ემპირიული ყოფის წინარე ხატი – სახე, მანამდე, სანამ ადამიანები, მათ შორის დამნაშავენი, არ არიან ღმერთთან მისული („ჩვენ კი ვიცით, რომ ცოდვილებს არ უსმენს ღმერთი, არამედ თუ ვინმე ღმერთის მოშიშია და მის ნებას ასრულებს, იმას უსმენს იგი“ (იოანე, 9:31). ეს რედუქცია არაა

გამონაგონი. იგი ღმერთის ნებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ემპირიაზე მსჯელობისას ჩვენ უნდა გამოვიდეთ ღმერთიდან (თავისუფლების კანონიდან, სუბსტანციიდან და ა.შ.). ცოდვილი აქ ის მოვლენაა, რომელიც მოკლებულია სუბსტანციონალობას. მოვლენა უნდა დაიყვანებოდეს სუბსტანციამდე, მან უნდა მიიღოს სუბსტანციური ფორმა, ე.ი. ფორმა, რომელიც ღმერთის (სუბსტანციის, ანუ თავისუფლების სჯულის) მიერ აიხსნება და მაშინ შეიძლება ცოდვილის გაგება.

სახელმწიფო ორგანოები ამ ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ისინი აგებენ თავის პოლიტიკას დანაშაულობის არა სუბსტანციურ აღქმაზე, არამედ იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მოჩანს ცოდვიან, ემპირიულ სამყაროში. მოკლედ, დამნაშავე აღიქმება ცალმხრივად მთელი თავისი ცოდვიანობით. ცოდვა (ემპირიული ხედვა) და არა ღმერთი (თავისუფლების სჯული, სუბსტანცია) ითვლება ამოსავალ წერტილად დანაშაულობის ანალიზის დროს. ახალი აღთქმის, ე.ი. დანაშაულის სუბსტანციურ ხედვას ჩვენ ვერ ვიპოვით ვერც სამართლებრივ მეცნიერებაში. ყველა იურიდიული მეცნიერება ადამიანის კონკრეტულ (ემპირიულ) მასალაზე ვითარდება. ამას მოითხოვს დანაშაულის შემადგენლობის დადგენა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთება და სასჯელის დანიშვნა, ე.ი. ახალი აღთქმის ტერმინოლოგიით – ცოდვილობის მასალა. აქ არაა სუბსტანცია, არაა ჭეშმარიტება, რადგან „ცოდვილებს არ უსმენს ღმერთი“ (იოანე, 9: 31). პირიქით, საზოგადოებაში დანაშაულობის წარმოშობის მთელი ბუნებრივი პროცესი, მისი განვითარება მიემართება სუბსტანციურად. გაუცხოების პროცესები ერთგვაროვნად ვლინდება სხვადასხვა დანაშაულობებში, მისგან აგებენ ერთსა და იგივე მასალას და ეს არ ქრება კონკრეტულ დანაშაულობებთან ერთად. აქ კი მოქმედებს პრინციპი – „ყოველივე შექმნილია მის მიერ“ (იოანე, 1:3).

და ბოლოს, გვინდა შევეხოთ მეტათეორიულ საკითხს – დანაშაულობის პრობლემის ადგილი ახალი აღთქმის სტრუქტურაში.

ახალი აღთქმის მრავალ ადგილას ჩვენ ვხედავთ ქურდობის, მკვლელობისა და სხვა სახის დანაშაულის აკრძალვას (იოანე, 10:8; 10:10 და სხვა). ამასთან დაკავშირებით, მკითხველს შეიძლება დაებადოს კითხვა: ახალი აღთქმის მიხედვით დანაშაულზე შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც მოხდა სუბსტანციაზე (ღმერთზე) რეფლექსია და უკვე დადგინდა დანაშაულობის გაუცხოების მიზეზი,

– მაშინ გამოვავლენთ დანაშაულობის სახეს. იქამდე ამ მოვლენაზე ძნელია საგნობრივი საუბარი. ახალი აღთქმის ანალიზმა გვიჩვენა ასეთი სუბსტანციური მიდგომის მართლზომიერება. მაგრამ, რატომ აფასებს დანაშაულს და კრძალავს მას ქრისტე, როგორც ადამიანი (იოანე, 3:14; 8:40 და სხვა), ღმერთთან (სუბსტანციასთან) რეფლექსიის წინ. ჯერ ხომ ქრისტემ არ განუცხადა დამნაშავეს ცნობილი სიტყვები: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღეს ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“ (ლუკა, 23:39–43), ე.ი. ჯერ არ მოხდა სამოთხეში აღმავლობა ანუ რეფლექსია?

თუ გავითვალისწინებთ ახალი აღთქმის სტრუქტურას, დავადგენთ მეტად საინტერესო ფაქტს. დანაშაულის შეფასება ძირითადად მოცემულია ახალი აღთქმის პირველ ნაწილში (იოანე, თავი 1–12), სადაც განიხილება არსის, სუბსტანციის საკითხი („იყო სინათლე ჭეშმარიტი, რომელიც გაუნათებს ქვეყნიერებაზე მომსვლელ ყოველ ადამიანს“ – იოანე, 1:9). ამიტომ ამ ნაწილში დანაშაულის უარყოფითი შეფასება ნიშნავს, რომ სუბსტანციაში პოტენციურად მოცემულია ის საზომი, რომლის საფუძველზე დგინდება ცხოვრების ზედაპირზე არსებულ მოვლენათა ნამდვილი სახე. ამ მნიშვნელობით მოცემულია ქრისტეს მიერ დანაშაულის უარყოფითი შეფასება და ამიტომ ახალ აღთქმაში ალოგიზმს არა აქვს ადგილი. ახალი აღთქმის მესამე ნაწილში (იოანე, თავი 18–21) კი ხდება გლობალური პროცესის საიდუმლოების გადაწყვეტა, როგორც ჩანს, დანაშაულობის ისეთი გარდასახვითი ფორმების აღწერით, რომელიც კონკრეტული ადამიანისათვის ცნობილია: ქრისტეს წამება, ჯვარცმა, ბოროტმოქმედების განცდა და სხვა. ახალი აღთქმის ამ ნაწილის კვინტესენცია – სუბსტანციის გამოვლენის საბოლოო მომენტი („.... ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის... “ – კორინთელთა მიმართ, 15:3).

ახალი აღთქმის წარმოდგენები, ესაა თავისებური კაბალეტა, რომლითაც მთავრდება რელიგიური აზროვნება დანაშაულობის სუბსტანციური აღქმის შესახებ. ათასწლეულების განმავლობაში პარალელურად ვითარდებოდა საწინააღმდეგო ხედვა – დანაშაულობის სახელმწიფოებრივი აღქმა. მოხელეობის სულით აღზრდილმა ადამიანებმა ვერა და ვერ შეძლეს რელიგიისაგან ღრმა აზრის შესწავლა. ჭეშმარიტების ძიების მეთოდი დაიკარგა. მხოლოდ მე-19 საუკუნეში ჰეგელმა სცადა სუბსტანციური რეფლექსიის აღორძინება.

4.3. დანაშაულთა ერთიანობის ჰეგელისეული ძიება: სისხლის სამართლებრივი პოლიტიკისა და მისი ფორმების საიდუმლოს ამოხსნის გასაღები

4. 3.1. წინასწარი შენიშვნები: როგორ ესმით ჰეგელი

4.3.1.1. საკითხის დასმა

როგორც უკვე აღვნიშნავდით, დაკვირვებები დანაშაულობის გლობალურ ტენდენციებზე, ხოლო განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისების დროს, ეჭვს არ გვიტოვებენ, რომ დანაშაულებში რაღაც ისეთი ვითარდება, რაც მათში მათი გრძნობადი ყოფიერებისდა მიუხედავად მოძრაობს, მკვლელობის ფორმით იქნება ეს, ქურდობის, თაღლითობის თუ სხვა ფორმით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებში მოძრავი ეს რაღაც მართლაც წარმოსდგება ტრანსცედენტურ სინამდვილედ მათი გრძნობადი გარსის მიმართ. ამრიგად, თითქოსდა ტრანსცედენტური სინამდვილის შესახებ ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს მიერ წამოჭრილმა საკითხმა თავისი დადასტურება ჰპოვა კრიმინოლოგიაში. ეს დებულება ასევე უდავო შეიძლება აღმოჩნდეს ჰეგელის ლოგიკითაც, რომელიც ძველი ბერძნების კვალად ასევე ფიქრობდა, რომ ასეთი ტრანსცენდენტური რეალობა არსებობს. მეტიც, იგი თავად მოძრაობს და მას თავისი ფორმა–წარმონაქმნები აქვს, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან გრძნობადი რეალობისაგან.[368] ამასთან დაკავშირებით ჰეგელი შენიშნავს: მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ აბსოლუტური სულის მოძრაობას (პანლოგიზმის ტერმინოლოგია – გ.თ.) თავს მოხვეული აქვს რაღაც გარეშე ძალა.[369] სინამდვილეში ტრანსცედენტური თავად შეიცავს საკუთარ თავში კრიტერიუმს, რომელიც მის მიერაა დადგენილი საკუთარი თავის განსაზღვრებისათვის.[370] თითქოსდა ყოველივე ნათელი გახდა. თუმცა ნეოკანტიანელებისათვის მსგავსი მიდგომა მიუღებელია. მაშასადამე, ძირითად საკითხს, ჩვენ რომ გვაინტერესებს, კერძოდ კი საკითხს „სამართლისა" და „დანაშაულის" კატეგორიების კავშირის ბუნების შესახებ, რომელიც ჰეგელის აზრით ტრანსცედენტური სამყაროს სფეროში გადაწყდება, ნეოკანტიანელები კვლავ ეჭვქვეშ აყენებენ. ნეოკანტიანელებისა და ჰეგელის შეუთანხმებლობა მოცემულ შემთხვევაში გამოწვეულია

368 Г. Гегель (2000), Феноменология духа, М, Наука, с. 48
369 იხ. იქვე, გვ. 33
370 იხ. იქვე, გვ. 51

ტრანსცედენტური სამყაროს სხვადასხვაგვარი გაგებით.

შევნიშნავთ, რომ აზროვნებისთვის ზედაპირზე მისაწვდომი მასალა ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია „არარეალურ" სამყაროდ. როგორც ჰეგელი, ასევე ნეოკანტიანელები იურიდიულ სინამდვილეს არ იღებენ მართლაც სინამდვილედ. მაგრამ თუ ჰეგელისათის „სასჯელისა" და „დანაშაულის" იურიდიული კატეგორიების დაკვირვებადი სამყარო იმის გამოა მოჩვენებითი ხასიათის, რომ იგი მხოლოდ მომენტებია ტრანსცენდენტურისა, რ.შტამმლერის, გ.რადბრუხის, გ.კელზენისა და სხვა ნეოკანტიანელებისათვის სამართალში არსებულის სფერო არის ემპირიული კატეგორიების სფერო, რომლებიც არ შეესატყვისებიან „იდეალურ სამართალს", ანუ ჯერარს სამართალში. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ნეოკანტიანელების პოზიცია.

ტრანსცედენტურის ჰეგელისეული გაგების მიმართ ნეოკანტიანელების მხრიდან წარდგენილია შემდეგი საწინააღმდეგო მოსაზრებები: ჯერ-ერთი, „ვინ გვიდგება თავდებად, რომ ისტორიაში საერთოდ არის აზრი, გონიერება, გეგმა, ანდა რომ ესევითარნი შეცნობადნი არიან ადამიანისათვის?"[371] მეორედ, დავუშვათ, რომ არსებობს რაღაც რეალობა გრძნობისმიერად მისაწვდომი სინამდვილის გარეთ. მაგრამ როგორ შეიძლება მან ზეგავლენა მოახდინოს ჩემს ნებაზე, თუკი მე მისი არსებობის შესახებ არ ვიცი?[372] მეტიც, „სრულიად შეუძლებელია იმის განჭვრეტა, თუ რომელ გრძნობებს გამოიწვევს ჩვენში ისეთი მოვლენა, რომელიც ჩვენ სრულიად არ ვიცით და რომელიც ჩვენ აქამდე არადროს არ განგვიცდია".[373]

ჰეგელის ნეოკანტიანური უარყოფის მიზეზი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნეოკანტიანტიანელების თვალსაზრისი არის თვალსაზრისი არა კაცობრიობისა, როგორც ეს გამომდინარეობს ჰეგელის მიხედვით, არამედ თვალსაზრისი მჭვრეტელი ინდივიდისა.[374] ვცადოთ ამ აზრთა სხვადასხვაობის ილუსტრირება

371 Г. Риккерт (1997), Границы естественнонаучного образования понятий, СПб, Наука, с. 69

372 В. Виндельбанд (1995), Избранное: Дух и история. (Пер. с нем.), М, Юрист, с. 538

373 იხ. იქვე, გვ. 549

374 აღნიშნული ტენდენცია თავს ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაშიც იჩენს. ასე მაგალითად, გ.ლობჯანიძე, ა.ტუკვაძე და გ.ჯაოშვილი სამართლის ფილოსოფიის ნეოკანტიანურ რედაქციას გვთავაზობენ, როდესაც აღნიშნავენ, რომ სამართლის ფილოსოფია ფილოსოფიის დამოუკიდებელი დარგია, რომლის

კრიმინოლოგიურ მასალაზე.

ცხადია, რომ დამნაშავემ მხოლოდ ის სიტუაცია შეიძლება იცოდეს, რომელშიც მან დანაშაული ჩაიდინა, აცნობიერებდეს თავის მოქმედებას და მისთ. მაგრამ მას არ ძალუძს იცოდეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არის კანონებისადმი დაპირისპირების იმ პროცესის ნაწილი, რომელიც მისი სურვილის გარეშე აღმოცენდა. დამნაშავე ვერ ხედავს ამ პროცესს, თუმცა სწორედ ეს პროცესი არეგულირებს მსჯავრდებულის ცოდვილ სულს. მეტიც, მოსამართლის პიროვნებაში დამნაშავე ხედავს მხოლოდ იმ პერსონას, რომელიც სახელმწიფოს სახელით გამოდის და განაჩენი გამოაქვს მისთვის. მაგრამ დამნაშავე ვერ ხედავს, რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენაში სახელმწიფოცაა „ბრალეული", რომელიც მოსამართლეში პერსონიფიცირდება. მოსამართლემ კი, თავის მხრივ, საეჭვოა დაუშვას თავისი „თანამონაწილეობა" დანაშაულის მოცემულ ფაქტში. მისი პროცესუალური მდგომარეობა გამორიცხავს ამგვარ ხედვას.

მიზანია სამართლებრივი იდეის ახსნა (იხ. გ. ლობჟანიძე, ა.ტუკვაძე, გ. ჯაოშვილი (2006), შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ, გვ. 26). აღნიშნული ინტერპრეტაცია არ შეესაბამება ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის" ძირითად ამოცანას. ჰეგელის თანახმად სამართლის ფილოსოფია სამართლის არსის შესახებ მსჯელობის სისტემას წარმოადგენს. ნეოკანტიანელები გვთავაზობენ „მეტაფიზიკურ" მიდგომას სამართლისადმი, ხოლო ჰეგელი – დიალექტიკურ მეთოდს. ნეოკანტიანელების ნააზრევი არის მოთხრობა სამართლის შესახებ, სადაც სხვადასხვა კონცეფციების შესახებ მჭერმეტყველის მსჯელობა დომინირებს. გარდა ამისა, სახელმძღვანეოლოებში, როგორც წესი, თემატიკა ინდუქციურადაა განლაგებული (მაგალითად, ფილოსოფია და სამართალი, ფილოსოფია და ზნეობა, ფილოსოფია და რელიგია და ა.შ.). ჰეგელის თანახმად „სამართლის ფილოსოფიის" ამოცანაა სამართლის წინააღმდეგობრივი განვითარების გარკვევა და ამ მიმართულებით სამართლის არსის დადგენა (იხ. დაწერ.: გ.თოდრია (1997), სამართლის ფილოსოფია – როგორც პრობლემა, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ, გვ. 24–27). ამრიგად, „სამართლის ფილოსოფიის" ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ჰეგელმა პირველმა დიალექტიკურად სამართალი გაანალიზა და მოცემული მეთოდის საშუალებით დასვა საკითხი სამართლის ურთიერთგამომრიცხავი ფუნქციების ერთიანობის შესახებ. როგორც ცნობილია, კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ჰეგელის ნააზრევი გამოიყენა კ.მარქსმა, როდესაც „კაპიტალის" პირველ ტომში აღწერა სისხლის სამართლის კანონმდებლობის როლი კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესში. ამ მეთოდს დღესაც მიმართავენ სისხლის სამართლის სოციოლოგიის რადიკალური მიმართულების წარმომადგენლები (იხ.: Rusche G. and Kirchheimer O. (2007). Punishment and Social Structure, Publisher Taylor & rancis Inc, Somerset, United Kingdom).

ამრიგად, ჩვენს ნებაზე ამ გადაბრუნებული სამყაროს ზეგავლენა – ფაქტია, მაგრამ ისეთი ფაქტი, რომლის არსებობაც კონკრეტულმა ინდივიდმა (მოსამართლემ ან დამნაშავემ) არ შეიძლება იცოდეს, ხოლო თავისი სამართლებრივი მდგომარეობის გამო არც უნდა იცოდეს. მაგრამ ამ, კონკრეტული ინდივიდისათვის უხილავი პროცესის ხედვას ფლობს სწორედ კაცობრიობა, რომელმაც ისტორიაში თავისი შემეცნება გამოიმუშავა. ასე ჰეგელი იმსჯელებდა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნეოკანტიანელებისათვის ამოსავლად წარმოსდგება მჭვრეტელი ინდივიდი. ამიტომ კონკრეტულ ინდივიდს არ ძალუძს სინამდვილის იმ მეტამორფოზების დანახვა, რომლებიც მის ზურგს უკან ხდება. მაშასადამე, როგორც ნეოკანტიანელები ფიქრობენ, საკითხის წამოჭრა შემეცნების შესახებ „ისეთი მოვლენისა, რომელიც ჩვენ სრულიად არ ვიცით", მოკლებულია აზრს. მაგრამ მაშინ რა აქვთ მათ მხედველობაში, როცა კვლავაც აპელირებენ ტრანსცედენტურისადმი?

ნეოკანტიანელების მიერ დასმული საკითხების ანალიზისას ყურადღება უნდა მივაქციოთ მათი მსჯელობების სამ უმნიშვნელოვანეს მომენტს. ესაა, პირველ ყოვლისა, სამართლის იდეის, როგორც ძირითადი წანამძღვარის, არჩევა, რომლისაგანაც ტრანსცედენტალური დედუქცია ხორციელდება; მეორე, მოცემულობა შემეცნების საგნისა, რომელიც „აპროვოცირებს" ჯერარსის ძიებას, ტრანსცედენტურის მიზანშეწონილებას, და მესამე, მოვლენათა დადგენადი კავშირის გაგება ეგრეთ წოდებული ტრანსცედენტალური დედუქციის სახით (ჰ. კოენი). ამ პუნქტების გამორკვევის შედეგად ჩვენ ნათელი უნდა მოვფინოთ პრობლემათა მთელს წყებას, რომელთა გადაუწყვეტელობის გამოც ნეოკანტიანელს არ ძალუძს გაიგოს ჰეგელის მიერ საკითხის წამოჭრა ტრანსცედენტურის შესახებ და, მაშასადამე არ ძალუძს არც „სამართლის" და „დანაშაულის" კავშირის ბუნების გარკვევა.

ამრიგად, იმისათვის, რომ გავარკვიოთ ნეოკანტიანურ მსოფლმხედველობაში „სამართლისა" და „დანაშაულის" კავშირის ბუნების დადგენის ხელისშემშლელი მიზეზები, აუცილებელია უფრო დეტალურად გავაანალიზოთ მათ მიერ შემუშავებული კატეგორიები. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ „სამართლის" ნაწილში ამ კატოგორიებს მიეკუთვნება: სამართლის აქსიოლოგიური განმარტება, შემეცნების საგნის მოცემულობა და ტრანსცედენტალური დედუქცია, ხოლო „დანაშაულის" ნაწილში – „უმართ-

ლობის" ირაციონალური კატეგორია. განვიხილოთ დაწვრილებით აღნიშნული კატეგორიები.

4.3.1.2. სამართლის აქსიოლოგიური განმარტება, როგორც სამართლის არსობრიობაზე უარის თქმის ხერხი.

სამართლის იდეის არჩევისას ნეოკანტიანელები უარყოფენ კანტის ფორმულის ობიექტურ კომპონენტს და შემოიფარგლებიან მარტო სუბიექტური კომპონენტით, რომლის თანახმადაც სამყარო მოცემულია ადამიანისათვის იმ სახით, როგორშიც იგი შეიმეცნებს მას. ამრიგად, ჩვენ ვიმყოფებით მხოლოდ სუბიექტურის სფეროში. მაგრამ ამ შემთხვევაში იბადება კითხვები: როგორ განვასხვავოთ ობიექტური სუბიექტურისაგან ამ სუბიექტურ სივრცეში? რა ანიჭებს ჩვენს ცოდნას ობიექტურ ხასიათს?

როგორც ნეოკანტიანელებს მიაჩნიათ, ინდივიდუალურ ცნობიერებას შეუძლია გამოიმუშავოს კატეგორიები, მაგრამ ისინი სუბიექტურნი არიან. თუმცა კატეგორიები ობიექტურები აღმოჩნდებიან ხოლმე, თუკი საერთო ხასიათის მატარებლები არიან ინდივიდუალური ცნობიერების მიმართ. სწორედ ეს კატეგორიები ანუ იდეები აღმოჩნდებიან კიდეც ტრანსცენდენტურებად ინდივიდუალური ცნობიერების მიმართ. ცოდნა ზოგადის შესახებ მიიღწევა ზოგადი მსჯელობით, რომელიც ცნებათა წარმოქმნისას თვითნებობას განაგდებს.[375]

ეს ზოგადი იდეები არანამდვილნი არიან, ისინი იდეალურებია, თუმცა მათ აქვთ მნიშვნელობა. მაგრამ მაინც რაში ვლინდება მათი მნიშვნელობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას წერენ, რომ ისინი ბოჭავენ ჩვენს შემეცნებას, რამეთუ ჩვენ არ გვაძლევენ საშუალებას საკუთარი შეხედულებისამებრ ვამტკიცოთ ან უარვყოთ რაიმე. ამრიგად, ამ სამყაროს ზოგადი იდეების რეგულაციური როლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მსჯელობას ჯერარსებობის ლოგიკურ აუცილებლობას ანიჭებენ. ამაში მდგომარეობს მათი წარმმართველი ძალა. როგორც ჰ.რიკერტი აღნიშნავს, „თუ სუბიექტის მიზნები მოკლებულია ფასეულობას, მაშინ მათ არ ძალუძთ ჩვენი არსებობის გააზრება".[376] აქედან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ის მსჯელობაა ჭეშმარიტი, რომელიც ამ ჯერარსობას (Sollen) აღიარებს. ამრიგად,

375 Г. Риккерт (1997), Границы естественнонаучного образования понятий, СПб, Наука, с. 104

376 იხ.იქვე, გვ. 21

ზოგადი იდეების ჭეშმარიტობის კრიტერიუმი მდგომარეობს ჯერარსობის აღიარებაში. ასეთი მიდგომისას ზოგადი იდეები ურთიერთობათა მოწესრიგების აპრიორულ იდეალებად, ანუ, როგორც მათ უწოდებენ, ფასეულობებად წარმოსდგებიან. აი, სწორედ ფასეულობათა ეს განსაკუთრებული სამყარო, რომელიც სუბიექტისა და ობიექტის მიღმა ძევს (für sich), აღიარებულია ტრანსცედენტურ სამყაროდ.[377] მთავარი დასკვნა, რომელთანაც ნეოკანტიანელები მიდიან შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: ტრანსცედენტურ ფასეულობებს აქვთ მნიშვნელობა (Geltung), თუმცა ისინი არანამდვილია.

ამ ზოგადი დებულებების შესაბამისად, იურისპრუდენცია ნეოკანტიანელთათვის წარმოსდგება ჯერარსობის სფეროდ. ამასთან ტრანსცედენტურ-ლოგიკურ პოსტულატად გამოდის „იდეალური" სამართალი, რომელიც შეიცავს ზოგად ნორმებს, მაგალითად, ადამიანის უფლებების, საკუთრების და მისთანათა შესახებ. როგორც მიაჩნიათ, იურისპრუდენციის სფეროსთვის ფასეულობათა ეს ტრანსცედენტური სამყარო არის არა იურიდიული, არამედ „იურიდიულამდელი" სამყარო, ანუ იგი აპრიორულია იურიდიული მეცნიერების მიმართ.[378] „რეალური" სამართლის მნიშვნელობა არის მსახურება ფასეულობისადმი. გ.რადბრუხი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „სამართალი – სინამდვილეა, რომლის აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ სამართლებრივ ფასეულობას, სამართლის იდეას ემსახურებოდეს. სამართლის ცნება ასევე სამართლის იდეას ესწრაფვის".[379] თავის მხრივ, ამ ფასეულობების შესაბამისად, სამართლის კონკრეტულ დარგებში უნდა ჩამოყალიბდეს ცალკეული ნორმები, ხოლო ამ ნორმების საფუძველზე, როგორც ვ.ვინდელბრანდი აღნიშნავს, განისაზღვრება ემპირიული ფაქტების ფასეულობა. სამართლის ნორმები იძლევიან პროგრამას ამ ფაქტების შესაცნობად. „ნორმატიული ცნობიერება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს არა როგორც ფაქტიურად აღიარებულს, არამედ როგორც ისეთს, რომელიც უნდა გახდეს მნიშვნელობის მქონე, ემპირიული სინამდვილე კი არ არის, არამედ იდეალია, რომლითაც უნდა განისაზღვრებოდეს ყოველგვარი ემპირიული სინამდვილის

377 Г. Риккерт (1998), Науки о природе и науки о культуре (Пер. с нем.), М, Республика, с. 202

378 Г. Радбрух (2004), Философия права (пер. с нем.), М, Междунар. отношения, с. 44–49

379 იხ. იქვე, გვ. 41

ფასეულობა". [380]

ერთი შეხედვით ეს მდგომარეობა უდავოა. აკი სისხლის სამართალში არსებობს მთელი რიგი ნორმებისა (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა, რასობრივი დისკრიმინაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ა.შ.), რომლებიც მიღებულია საერთაშორისო აქტების შესაბამისად როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გაგების, საკუთრების უფლებებისა და მისთანათა ძირითადი პრინციპები. მოკლედ, არ არსებობს რეალური სამართლის ისეთი სფერო, რომელიც ობობას ქსელივით არ იქნებოდა მოცული საერთაშორისო კონვენციებით. გამონაკლისს არც კრიმინოლოგია შეადგენს. ბევრი ნორმის კორექტირება, რომლებიც ეხება დანაშაულობის პრევენციას, ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორიზმის ჩათვლით, ასევე ხდება საერთაშორისო აქტების შესაბამისად და ა.შ. მაგრამ სამართლის ნეოკანტიანური განმარტება სულაც არ გვაახლოებს სამართლის ბუნების გაგებასთან. და ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი შევეცდებით სერიოზულად ჩავუფიქრდეთ „სამართლის იდეისა" და „რეალური სამართლის" ლოგიკური ურთიერთმიმართების აგების ხერხს.

უპირველესად ყოველისა, მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ნეოკანტიანური მიდგომის თანახმად, ზოგადი იდეა არ სცილდება საზოგადოებრივი ცნობიერების ფარგლებს. ამიტომ ამ დებულებათა ჭეშმარიტობის კრიტერიუმი არანაირად არ შეიძლება უარყოფილ ან დამტკიცებულ იქნას, თუკი იგნორირებული იქნება ობიექტური რეალობა. აკრიტიკებს რა იმანენტური ფილოსოფიის წარმომადგენლის – ვ.შუპპეს შეხედულებებს, კ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ტრანსცედენტური ყოფიერების, ანუ საგანთა და მოვლენათა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობის უარყოფით, ვ.შუპპემ ვერ შეძლო ამ პრინციპის ბოლომდე გატარება, რადგან იგი ტრანსცედენტურს განიხილავდა როგორც საერთოდ ცნობიერების მომენტს.[381] შემდგომში ეს შეფასება ყველა ნეოკანტიანელს შეეხება. ამიტომ თუკი უარს ვიტყვით რეალურ ცხოვრებისეულ პრობლემებზე, რომლებიც ნეოკანტიანელების მიერ „გულუბრყვილო მატერიალიზმად" იწო-

380 В. Виндельбанд (1995), Избранное: Дух и История (пер. с нем.), М, Юристъ, с. 51

381 К.С. Бакрадзе (1973), Избранные философские труды, т. 3, Тб, Издательство ТГУ, с. 126

დება, მაშინ საკითხი ფასეულობის კრიტერიუმის შესახებ ჰაერში გამოკიდული მოჩანს. რეალურად რჩება მჭვრეტელი სუბიექტი, რომელიც იმიტომ მოქმედებს, რომ სწამს და სწამს იმიტომ, რომ უნდა იმოქმედოს. „ჯერარსის პრინციპები, – წერს გ.რადბრუხი, – შეიძლება დასაბუთებულ და დამტკიცებულ იქნას ჯერარსის მხოლოდ სხვა პრინციპების მეშვეობით. სწორედ ამიტომ ჯერარსის უმაღლესი პრინციპები დამტკიცებას არ ექვემდებარება. ისინი აქსიომატურნი არიან. მათ ვერ შეიმეცნებ, მათი მიღება მხოლოდ რწმენით შეიძლება".[382] რა თქმა უნდა, ეს რწმენა არ არის ნებსითი. როგორც ჩვენ შემდგომში წარმოვაჩენთ, იგი მაინც დაკავშირებულია სამართლებრივი სფეროს მოთხოვნებით და მის მიერ არის მოცემული. ჯერ-ჯერობით შემოვიფარგლებით მოყვანილი ნეოკანტიანელების მოსაზრებებით და გავამახვილოთ ყურადრება სუბიექტივიზმზე, რომელიც ბატონობს მათ კონცეფციებში.

თუკი აბსოლუტური სულის „დამიწება" უბიძგებდა აზროვნებას ეძებნა პასუხი კაცობრიობის ისტორიაში, მაშინ, ჰეგელისაგან განსხვავებით, ნეოკანტიანელებისთვის ათვლის ასეთ წერტილად კაცობრიობა კი არ წარმოსდგება, არამედ დამკვირვებელი ინდივიდი.[383] აკრიტიკებს რა ნეოკანტიანელების ბადენის სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის – ჰ.რიკერტის თეორიას, გერამანელი ისტორიკოსი ბერჰარდ შმეიდლერი თავის შრომაში „კონცეპტუალიზაციისა და ფასეულ მსჯელობათა ისტორია" წერდა: რიკერტის ყურადღება უმთავრესად მიპყრობილია ინდივიდუალურ რეალობაზე. მისი მცდ-

382 Г. Радбрух (2004), Философия права (пер. с нем.), М, Междунар. отношения, с. 20

383 ამ მიდგომას იზიარებენ სოციოლოგიის სხვადასხვა მიმართულების მომხრეებიც. როგორც მაკს ვებერი ასევე კარლ მანჰეიმიც მხარს უჭერს ჰ.რიკერტის ნეოკანტიანურ მიდგომას სამართლისადმი, როდესაც აღნიშნავს, რომ მართლწესრიგში და იურიდიულ ნორმებში მთავარია, რომ არ იყოს ლოგიკური წინააღმდეგობა. აქ წყდება საკითხი: როგორია სამართლის იდეალი? ხოლო სოციოლოგიური დაკვირვების დროს კი მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა ხდება საზოგადოებაში, რომელ წესრიგს მიიჩნევენ ინდივიდები სავალდებულოდ და როგორ ახორციელებენ მას პრაქტიკაში (К. Манхейм (2000), Избранное: Социология культуры, М, СПб, Университетская книга, с. 256). მოკლედ როგორც სამართალს, ასევე მის უარყოფას – დანაშაულობას ყველგან განაპირობებს სუბიექტური ფაქტორი (იდეა, ტრანსცენდენტალური დედუქცია ა.შ.), რომელიც იცვლის ფორმებს, მაგრამ ყველგან ბატონობს: სამართალში ის მოითხოვს დოგმატიკის პრობლემების ლოგიკურ დახვეწას, ხოლო სოციოლოგიაში (კრიმინოლოგიაშიც) – მოტივაციის შესწავლას.

ელობა აღადგინოს რეალობის ინდივიდუალური ასახვა და მოგვცეს მისი კონცეპტუალიზაცია პრინციპში შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმასთან, რაც პიროვნების რეალობაში ხდება, და არა – სინამდვილეში. ეს კი სხვა კონცეპტუალიზაციას მოითხოვს სხვა პრინციპების საფუძველზე. ეს კონცეფცია აგებულია თვითნებობაზე.[384] აღნიშნული კრიტიკული შეფასება შეიძლება გავრცელდეს კრიმინოლოგიაზეც, სადაც საკითხების კონცეპტუალიზაცია დამნაშავის პიროვნების რეალობაში ხდება (იხ. განმარტება 7).

საბოლოო ჯამში სუბიექტივიზმს ნეოკანტიანელები გადაუწყვეტელ წინააღმდეგობებამდე მიჰყავს. ერთის მხრივ, ისინი უარყოფენ ტრანსცედენტურ სინამდვილეს ჰეგელისეული გაგებით. როგორც ჰ.რიკერტს მიაჩნია, „ჩვენ ასევე უნდა ვაღიაროთ, რომ აბსოლუტური სულის ცნება, რომლისაგანაც გამომდინარეობს მასუბიექტირებელი მსოფლმხედველობა, არათუ არ არის მეცნიერულად დასაბუთებული, არამედ სრულიადაც ზედმეტია. ჩვენ არ გვესაჭიროება სუბიექტის მნიშვნელობის ამდაგვარი ჰიპოსტაზირება, და მაშასადამე, არც მთელი სამყაროსი ტრანსცედენტურ სინამდვილედ".[385] ხოლო მეორეს მხრივ ნეოკანტიანელები ამტკიცებენ პირდაპირ საწინააღმდეგოს. ვინდელბანდის თანახმად, „ჩვენ არანაირი უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ მიზეზების არარსებობაზე იქ, სადაც ეს მიზეზები არ გამოუვლენიათ".[386]

იმაში დარწმუნება, რომ სუბიექტივიზმს თავისი ობიექტური ფესვები აქვს და რომ მისი ახსნისას არ შეიძლება განყენება ობიექტური რეალობისაგან, ადვილია თუნდაც საერთაშორისო აქტების რეცეპციის ფაქტებში. თითქოსდა ისინი უნივერსალურია და ზოგადი მნიშვნელობისაა ყველა ქვეყნისათვის. მაგრამ ყოველ ჯერზე ჩვენ ვაწყდებით მათი ინტერპრეტაციის ფაქტებს იმ სახით, როგორიც ეს მომგებიანია ცალკეული ქვეყნისათვის. სწორედ ამ ფაქტებში იკვეთება ის კანონზომიერება, რომელსაც ვერ ხედავენ ნეოკანტიანელები, ანდა არ სურთ მისი დანახვა: ჯერარსობის იდეა მოცე-

---

384 B. Schmeidler (1904), Über Begriffsbildung und Werturteile in der Geschichte, Annalen der Naturphilosophie. Band 3, S. 24–49

385 Г. Риккерт (1998), Науки о природе и науки о культуре (Пер. с нем.), М, Республика», с.41

386 В. Виндельбанд (1995), Избранное: Дух и История (Пер. с нем.), М, Юристъ, с. 597

მულია არა ამ იდეებში, არამედ მათ გარეთ. ლოგიკური ხრიკებით აქ ვერაფერს გახდები. როგორც კ. ბაქრაძე აღნიშნავს, „თუ წანამძღვრად მივიღებთ იმ დებულებას, რომ მეცნიერების ფაქტი უკვე შეიცავს თავის თავში მეცნიერების ჭეშმარიტობის აღიარებას, მაშინ საკითხი მარტივად გადაწყდება: მოცემულია ერთმანეთთან დაკავშირებულ ჭეშმარიტ დებულებათა ერთობლიობა და საჭიროა მათი ლოგიკური საფუძვლის გამორკვევა. მაგრამ კითხვის ქვეშ ხომ თვით მეცნიერების დებულებათა ჭეშმარიტობა დგას! და თუ მეცნიერების დებულებათა ჭეშმარიტობა დადგენილი არ არის, მაშინ მისი ვერანაირი ლოგიკური პირობები ვერ აქცევენ მათ ჭეშმარიტად".[387]

თითოეული ქვეყანა კი არ გამოდის ამ უნივერსალური იდეებისაგან, არამედ ესადაგება მათ იმ ეკონომიკური და კულტურული პირობების ფარგლებში, რომლებშიც ის ცხოვრობს. მთელი რიგი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისა აღიარებს ადამიანის საყოველთაო უფლებებს, მაგრამ მონაწილეობს სამხედრო ოპერაციებში, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლის, განსაზღვრულ პირთა ჯგუფების დაცვისა და მისთანათა ლოზუნგებით ისწრაფის მიიტაცოს სხვა ქვეყნის რესურსები, და არად დაგიდევთ იმას, რომ ეს გზა სრულიად უდანაშაულო ბავშვებისა და მოხუცების გვამებითაა მოფენილი. რუსეთის ტოტალიტარულ რეჟიმს მიაჩნია, რომ უკრაინული ენის სახელმწიფო ენათ გამოცხადება უკრაინაში მცხოვრები რუსული მოსახლეობის ეთნო-ეროვნულ იდენტურობას, ამ მოსახლეობის კონსტიტუციურ უფლებებს ხელყოფს. მაგრამ ყველაფეს აკეთებს იმისათვის, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში და სამაჩაბლოში წაშალოს ქართული ენა და მოსპოს მისი მატარებელი მოსახლეობა. ასეთია ფარისეული დამოკიდებულება საყოველთავოდ აღიარებულ უფლებებისადმი და ა.შ.

შესაძლოა ათობით ათას ლტოლვილს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან არ წაუკითხავთ რიკერტი ან შტამლერი, მაგრამ მათ თავიანთ თავზე შეიგრძნეს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის „გარანტია" ობიექტურად ძევს მათ ტრაგიკულ ცხოვრებაში, ღარიბი საქართველოს შესაძლებლობებში და არა სამართლის ილუზორულ იდეაში. სამართლის ვერანაირი იდეა ვერ გვიშველის, თუ ქვეყანაში გადაწყვეტილი არ არის იმ ობიექტური პირობების დაძლევის პრობლემა, რომლებსაც მოსახლეობის უუფლებობა ასაზრდოებს.

---

387 К.С Бакрадзе. (1973), Избранные философские труды, т. 3, Тб, Издательство ТГУ, с. 200

4.3.1.3. ზოგადი იდეების ლოგიკური ფორმა.

შემდეგი საკითხი, რომელზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ არის ზოგადი იდეების ლოგიკური ფორმა. ინტერესი ამ თემისადმი თავისთავად იბადება, როგორც კი ჰ.კოენის სიტყვებს წავიკითხავთ: „იდეა... არის... ის საფუძველი, რომელიც, როგორც ფუძემდებლური საწყისი, უზრუნველყოფს მეთოდურ ბაზისს".[388] რატომ წარმოიშვება ილუზია, რომ ზოგადი იდეა, მაგალითად, სამართლის იდეა წარმართავს ცოდნას და არ აშენებს მას? ეს თემა რომ გასაგები გახდეს, შევეცადოთ მივმართოთ ანალიზს მაგალითების ილუსტრირებით.

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მე-4 მუხლი მიგვითითებს, რომ „არავინ არ უნდა ჰყავდეთ მონობაში ან ნებისსაწინააღმდეგო მდგომარეობაში; მონობა და მონებით ვაჭრობა იკრძალება ყველა სახით". ბევრი ქვეყანა განსაზღვრული ზომით ცდილობს მოახდინოს ამ დებულების კონკრეტიზირება სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში და სამართლის სხვა დარგებში. ნეოკანტიანელს ექმნება ილუზია, რომ სამართლის დარგები ადიან ამ აბსოლუტურ იდეამდე. მაგრამ ჰეგელი სხვაგვარად აზროვნებს. აქ არ არის არანაირი აღმასვლა ზოგად იდეამდე, რადგან მოცემული მუხლის თვით ფორმულირება აღიქმება როგორც ცალკეული შემთხვევების დადასტურება, რომლებიც ჩამოთვლილია სამათლის სხვადასხვა დარგებში. ამ მუხლის წაკითხვა ფორმალურად ზოგადი აბსტრაქციის პრიზმაში არაფერს იძლევა. ხოლო თუკი ვეცდებით გენეტიკურად უზოგადესის განსაზღვრების თვალსაზრისით მივუდგეთ ამ მუხლს (როგორც ამას მოითხოვს ჰეგელი), მაშინ კარდინალურად სხვა სურათს მივიღებთ.

მონებით ვაჭრობის აკრძალვა არის განვითარებადი კაპიტალიზმის მოთხოვნა, რომლის თანახმად მნიშვნელოვანია შრომის თავისუფალი ბაზრის არსებობა. მაშასადამე, მონებით ვაჭრობის დაშვება ან აკრძალვა დამოკიდებულია სწორედ კაპიტალის განვითარების მოთხოვნაზე. თავად ეს ე.წ. აბსოლუტური იდეა ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება კაპიტალიზმის განვითარების მომენტად და მისი წაკითხვა დამოკიდებულია ბიზნესის მოთხოვნებზე.[389] ძნელია ეჭვის

---

388 Г. Коген (2012), Теория опыта Канта (Пер. с нем.),М, Академический Проект, с. 94

389 ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკის წარმომადგენელი, ლესტერ ტუროუ, უარყოფს დანაშაულისადმი ეთიკურ (სამართლებრივ) მიდგომას. მისი

ქვეშ დააყენო ეს დებულება, თუკი იგნორირებას არ გაუკეთებ კერძო ციხეების მასობრივ გავრცელებას, ხელფასის გამუდმებულ შემცირებას, გაუსაძლისი სამუშაოს იძულებით შესრულებას სამუშაო ადგილის დაკარგვის შიშით, არასრულწლოვანთა ექსპლუატაციას სასოფლო-სამეურნეო ფერმებში, პროსტიტუციის დაშვებას წაყრუებით და მონობის შეფარული დაშვების მსგავსი ფორმებით.

ამრიგად, აბსოლუტურ იდეამდე მიღწევის ხერხი სავსებით რეალური ობიექტური პროცესია და მისი გაგება იმაზეა დამოკიდებული, რეალობის აბსტრაგირების ნეოკანტიანურ გზას დავადგებით თუ ჰეგელისეულს.

ანალიზის ეს ასპექტი არათუ ცნობილი არ არის იურისტებისათვის, არამედ, როგორც ავღნიშნეთ, არც უნდა იყოს ცნობილი, რამეთუ მათთვის მოვლენებში ზოგადის წინასახე მოცემულია სამართლის ნორმად. მჭვრეტელი ინდივიდისათვის ფორმალური ზოგადის აბსტრაგირების ნებისმიერი გზა წარმოსდგება არსობრიობის შეცნობის ერთადერთ გზად. სწორედ ამგვარად აღიქვამს ნეოკანტიანელი აბსოლუტური იდეების განსაზღვრებებს.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ერთ დეტალს. თუკი საგნის შემეცნების მოცემულობა სამართალში ძევს, მაშინ ამ შემთხვევაში სამართლის იდეისაკენ სწრაფვა შესაძლებელია მხოლოდ იმ ლოგიკური გზით, რომელიც დამახასიათებელია სამართლისათვის. ასეთ გზად წარმოსდგება აბსტრაქტულ–ზოგადი ნიშანთვისებების ძიება ყველა დაკვირვებადი მოვლენისათვის. მაგალითად, სისხლის სამართალში ქურდობის ცნების წარმოქმნა ნიშნავს ქმედების შესატყვისობის დადგენას კანონის ნორმასთან იმ პირობით, რომ არ არსებობს მართლსაწინააღმდეგოობის გამომრიცხავი ნორმა. ასეთ პირობებში პეტრეს მიერ ჩადენილი ქურდობა არის ნორმით გათვალისწინებული ქმედება. იურისტს ჰგონია, რომ როცა ამ ზოგად აბსტრაქციას (ნორმის მოთხოვნას) პეტრეს ქურდობის ფაქტს უკავშირებს, ამით იგი ქურდობის ცნების დედუქციას ახორციელებს.

აზრით, დანაშაულის ჩადენის სურვილი, როგორც ნებისმიერი ადამიანის მისწრაფება, განპირობებულია კაპიტალიზმის ბუნებით. ნებისმიერი ქცევის შეფასების კრიტერიუმი მოცემულია მის სისტემაში. ამიტომ მარტო კაპიტალიზმის თვალსაზრისით „დამნაშავედ გახდომის სურვილი ისევე კანონიერია, როგორც მღვდლად გახდომისა“ (Л. Туроу (1999), Будущее капитализма, Сибирский хронограф, с. 166).

მაგრამ ჰეგელის მიხედვით, მსგავსი ლოგიკური ხერხი შორსაა ცნებების წარმოქმნისაგან და არანაირი კავშირი არა აქვს ცნებებთან, რამეთუ მხოლოდ „უზოგადესი უნდა გამოხატავდეს ნამდვილის არსობრიობას".[390] პასუხი საკითხის ამგვარად დაყენებაზე არის განსაზღვრება ცნებისა და არა ნებისმიერი აზრობრივი კონსტრუქციისა. მაგალითად, თუ მე ვიტყვი, რომ დანაშაულები (ქურდობის ჩათვლით) წარმოსდგებიან გაუცხოების მოხსნის საშუალებებად, არსებობის პირობების გაუარესების დაძლევის მცდელობად, მაშინ ამით ვცდილობ განვსაზღვრო ცნება, ე.ი. ვაყალიბებ აზრს, რომელშიც ყველა დანაშული წარმოდგენილია არსებითი ნიშნების მიხედვით. მაგრამ როცა ვამტკიცებ, რომ ქურდობა არის კანონის ნორმით გათვალისწინებული ქმედება, ამით მე სრულიად არ ვიძლევი ცნებას, რამეთუ ქურდობის ნიშანი არაა არსებითი მკვლელობისათვის. იურისტისათვის ქურდობა და მკვლელობა განსხვავდებიან ერთურთისაგან. საზოგადოებისთვის კი, ანუ რეალური ჯერარსის სფეროსათვის, რომელიც სამართალის ფარგლებს გარეთაა, მკვლელობა და ქურდობა ერთი და იმავე სუბსტანციის მატარებლები არიან. მოვიხმოთ ერთგვარი ანალოგია ჰ.რიკერტისაგან. ისტორიისათვის მნიშვნელოვანია, რომ არსებობდა ვილჰელმ IV, მაგრამ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი თერძი უკერავდა მას კოსტიუმს.[391] ასევეა კრიმინოლოგიაშიც. საზოგადოებისათვის ის არსებითი არ არის ქურდობაში გამოვლინდებიან სოციალური წინააღმდეგობები თუ მკვლელობაში. პირიქით, თუკი გამოვიყენებთ აღნიშნულ ანალოგიას, სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანია სწორედ თერძი, და არა ვილჰელმ IV. და პირუკუ: კრიმინოლოგიისათვის მნიშვნელოვანია სწორედ ვილჰელმ IV. მოკლედ, კრიმინოლოგიისათვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რომელი დანაშაულითაა შემოსილი საზოგადოების პრობლემები, არამედ – თავად ეს პრობლემები. ამ მიდგომებში საცნაურია ფუნდამენტური სხვაობა კრიმინოლოგიურ და სისხლის-სამართლებრივ აზროვნებას შორის.

„სულის ფენომენოლოგიაში" ჰეგელმა მიანიშნა იმ აბსტრაქტულ – ზოგადი ნიშნების განსაზღვრების ნაკლოვანებაზე, რომელთა ფარგლებშიც არსებობენ ეგრეთ წოდებული აბსოლუტური განსაზღვრებები. როგორც ის აღნიშნავდა, იმის მოთხოვნილება, რომ აბ-

390 Г. Гегель (2000), Феноменология духа, М, Наука, с. 39

391 Г. Риккерт (1998), Науки о природе и науки о культуре (Пер. с нем.), М, Республика, с. 96

სოლუტური წარმოდგენილ იქნას როგორც სუბიექტი, ჩვეულებრივ გადმოიცემა ისეთი დებულებებით, როგორიცაა „ღმერთი არის მარადიულობა“, „ღმერთი არის მსოფლიო წესრიგი“. ამ განსაზღვრებაში სიტყვა „ღმერთი“ თავისთავად არის უაზრო ბგერა, მხოლოდ სახელი. მხოლოდ პრედიკატები „მსოფლიო წესრიგი“ ან „მარადიულობა“ ავსებენ აზრით ამ ლოგიკურ სუბიექტებს. „სუბიექტს იღებენ მყარ პუნქტად, რომელსაც როგორც თავიანთ საყრდენს, მიემაგრებიან პრედიკატები. ეს მიმაგრება (ანუ განმარტება სიტყვა „არის“ გზით) აღნიშნავს „კუთვნილებას მცოდნისა ამ პუნქტის შესახებ“. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩამოთვლილი პრედიკატები თავად ამ პუნქტს ეკუთვნიან. ასეთ განსაზღვრებებში უზოგადესის განმარტება ანუ ცნება არ დგინდება, რამეთუ მათში არ ჩანს საგნის თავისთავადი მოძრაობა. ამიტომ „აღნიშნული განჭვრეტა, რომ აბსოლუტური არის სუბიექტი, არათუ არ შეადგენს... ამ ცნების სინამდვილეს, მეტიც შეუძლებლადაც კი ხდის მას“. მსგავსი განსაზღვრებების უარყოფა არ არის ძნელი, ისინი იმდენად „არასაკმარისნი“ არიან. ყველაზე „ამაღლებული ცნება“ კი ისაა, რომელიც სუბსტანციას სუბიექტად აცხადებს. „სული, რომელმაც იცის თავი ასეთ განვითარებაში, ..არის მისი სინამდვილე და ის სამეფო, რომელსაც იგი თავს უქმნის საკუთარ სტიქიაში“.[392]

მაშასადამე, აქსიოლოგიური მიდგომა ჩიხში შედის. ზოგადი იდეებისა თუ ფასეულობების ფორმულირებები მჭვრეტელი ინდივიდის თვალსაზრისით არასაკმარისია, რამეთუ მათში არ არის მოძრაობის ნამდვილი სუბიექტის ასახვა. ამიტომ საკითხის წამოჭრა მასზედ, რომ მათში მოცემულია „ჯერ-არსის სინამდვილე“, არის მჭვრეტელი ინდივიდის ილუზია. ჰეგელის მიხედვით, ნამდვილი ცნების განსაზღვრება ნიშნავს გაითვალისწინო, რომ ჯერ-ერთი, „არსებული სინამდვილე არის მოძრაობა და ფორმირება“,[393] და მეორეც, „შინაარსი არის სუბსტანციის მონაპოვარი“.[394] თუმცა, სწორედ ეს განვითარება არ ჩანს მათში, თუკი მათ მჭვრეტელი ინდივიდის თვალსაწიერიდან შევხედავთ. კვლავ მივუბრუნდეთ მაგალითს.

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ აღნიშნულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. თუკი განვაგრძობთ აზროვნე-

392 Г.Гегель (2000), Феноменология духа, М, Наука, с. 17–19
393 იხ. იქვე, გვ. 17
394 იხ. იქვე, გვ. 21

ბას ჰეგელის მიხედვით, აღმოჩნდება, რომ „სიცოცხლის უფლება“, „თავისუფლება“, „პირადი ხელშეუხებლობა“ არ განსაზღვრავენ ადამიანის უფლების ნამდვილ არსს, რამეთუ აქ არ ჩანს, რომ ქვეყანაში მავანთათვის შეიძლება გარანტირებული იყოს სიღატაკეში არსებობის უფლება, სხვათათვის კი – სიმდიდრეში არსებობისა. აქ ჩანს „კუთვნილება ამ პუნქტის მცოდნისა“, ანუ თანამედროვე კაპიტალისტური განვითარების მიმართება შრომის ბაზრისადმი, მაგრამ არა მისი ათვისების საშუალებები. მოკლედ, აქ არ ჩანს რეალური განვითარება. შემთხვევითი არ არის, რომ საერთაშორისო აქტების უმრავლესობა რეკომანდაციული ხასიათისაა, და არა – იმპერატიულის.

მაგრამ საკითხს ზოგადი იდეების შესახებ გვერდს ვერ ავუვლით. კაცობრიობის ისტორიაში ისინი აისახება საერთაშორისო აქტებში, და მათ ამა თუ იმ ზომით აქვთ ან სავალდებულო, ანდა სარეკომენდაციო ხასიათი. ამიტომ იბადება კითხვა: როგორ აისახება ჯერ-არსი ზოგად იდეებსა თუ ფასეულობებში?

ადამინისა და ბუნების (კოსმოსის) ურთიერთობა სასაქონლო წარმოების ჩარჩოებში და მის მიერ განპირობებული სოციალური ურთიერთობები ჯერჯერობით, კაცობრიობის კოსმოსთან კავშირის ისტორიის ერთადერთი საფეხურია. როგორც ისტორიის სუბიექტი, კაცობრიობა წარმოიშვა არა ერთბაშად, არამედ თანდათან. ხალხები ეკონომიკური და პოლიტიკური დაქსაქსულობიდან, მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობათა არარსებობიდან, ომებიდან და უთანხმოებიდან, როგორც პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდიდან, კაპიტალისტური სისტემის განვითარების კვალობაზე გადადიან მჭიდრო სავაჭრო უთიერთობებზე, წარმოება იძენს საერთაშორისო სახასიათს. ერები იწყებენ თავიანთი ცხოვრების რეორგანიზაციას საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ხალხებისა და სახელმწიფოების სტიქიური გაერთიანება ამ პროცესში ისახება კაცობრიობის ქცევის საერთო ნორმების სახით, რომლებიც არ დაიყვანება ცალკეულ სახელმწიფოთა ნორმებამდე. ამიტომ იბადება რაღაც იდუმალი ძალის ტრანსცენდენტულის ილუზია, რომელიც გვაიძულებს აღვიქვათ იგი, როგორც ნორმა. გეგონია, რომ არსებობს ემპირიული სინამდვილე, მაგრამ ასევე არის ტრანსცენდენტული ხასიათის „რეალობა“, რომელიც თითქოს ჩამოწოლილია მასზე. ასეთ იდუმალ მსოფლიო წესრიგს, რომელიც უნდა მიიღოს ყველა ხალხმა საერთო კეთილდღეობის მისაღწევად, ისინი აღიარებენ, როგორც

ტრანსცედენტურს.[395] ამიტომ „იდეალური" სამართალი, უფრო ზუსტად კი – მსოფლიო წესრიგი, ქცევის მსოფლიო მოდელი, არც თუ ისეთი შეუცნობადი მოვლენაა, როგორც ამას ნეოკანტიანელები ამტკიცებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგად იდეებში ასახულია კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების გამოცდილება, განსაკუთრებით განვითარებულებისა. ამ ისტორიულ მომენტამდე არსებული ფასეულობები, რელიგიურის ჩათვლით, შენარჩუნებულნი არიან იმ ზომით, რა ზომითაც ეს მომგებიანია კაპიტალის დაგროვების კანონის „თამაშის" წესებისათვის. მაშასადამე, ისინი ერთდროულად წარმოსდგებიან უზოგადესადაც და საერთოებადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი მეოთხედი მოდის აშშ–ზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ყველა საერთაშორისო აქტი აგებულია ანგლო-ამერიკული სამართლის პრინციპების მიხედვით და არა რომანულ-გერმანულისა. ამგვარად, ჯერარსი ამ იდეებში ასახულია როგორც კაპიტალის გლობალიზაციის მოთხოვნა. სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი წესრიგი მსოფლიო წესრიგში თავისი ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის მიხედვით ახდენს კაცობრიობის ჯერარსი წესრიგის ინტერპრეტირებას. აი, რატომ არ არის მართალი რ.შტამმლერი, როცა სხვადასხვა ქვეყნების მართლწესრიგის შეფასების საზომად სოციალურ იდეალს განსაზღვრავს.[396] მაგრამ მისგან განსხვავებით ტრანსცენდენტურის ამდაგვარი მეტამორფოზები ჯერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა და მათზე განსაკუთრებულად ჩერდებოდა ასევე ჰეგელი, როცა „უზოგადესისაგან" „ზოგადის" გარჩევა დაიწყო.

ამრიგად, ზეიურიდიული სამართლის ნეოკანტიანური განმარტება არ გვაძლევს საშუალებას დავინახოთ სამართლის ჭეშმარიტი სახე, რადგან გზამკვლევ ვარსკვლავად წარმოსდგება არა რეალობა, დაფარული იდეის მიღმა, არამედ რაღაც იდეა. აქსიოლოგიური მიდგომა ვერ ნათელ-ჰყოფს ჩვენთვის სამართლის ბუნებას. ამიტომ ურთიეთობაში „სამართალი – დანაშაული" სამართალი ჯერჯერობით უცნობ სიდიდედ რჩება.

---

395 გ.თოდრია (2007), მცდარი შეხედულება ბუნებითი სამართლის ადრეულ თეორიებზე, კრ: სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები. თბ.

396 **Р. Штаммлер (1907), Хозяйство и право с точки зрения материалистического понимания истории, том. 2, СПб, Начало, с. 269**

4.3.1.4. შემეცნების საგნის მოცემულობა

ყველა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა ნეოკანტიელების მიერ წამოყენებულია ტრანსცენდენტური სამყაროს მიმართ. მაგრამ ღიად რჩება საკითხი: როგორ მიემართება თავად შემეცნება ტრანსცენდენტური სამყაროსკენ, რათა იქცეს ობიექტურ შემეცნებად ამ იდეალური სამყაროს მოთხოვნათა შესაბამისად? შემეცნებას ტრანსცენდენტურისაკენ ის მიზანი წარმართავს, რომელმაც უნდა გაამართლოს მეცნიერების ობიექტური ხასიათი. ამასთან, რაკი ეს შემეცნება მიემართება ტრანსცენდენტურს, ამიტომ იგი წმინდა (Reinheit) უნდა იყოს, ანუ შეუზღუდავი და შეუმღვრეველი.[397] „ტრანსცენდენტალური მიზანშეწონილობა, როგორც შეფასების პრინციპი, – წერს ჰ.კოენი, – არ შეიძლება აგვერიოს წარმოდგენასთან არსობრიობის მიზნების თანახმად მოქმედისა მიზანი არის ... ტრანსცენდენტალური პრინციპი, უპირობოს ამოცანა კერძო ემპირიული კანონების მრავალფეროვნებისათვის".[398] მიჰყვებიან რა კანტს, ნეოკანტიანელები აღიარებენ, რომ მიზანი თავის თავში შეიცავს შემეცნების „ზნეობრივ პროგრამას". და, აი, აქ ჩვენ ვუახლოვდებით ნეოკანტიანელთა მსჯელობების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს. დავუშვათ, რომ მიზანი წარგვმართავს ჩვენ ფასეულობათა ტრანსცენდენტური სამყაროსაკენ: მაგრამ საიდანაა თავად მიზანი? განა ის ციდან ჩამოვარდა?

მიზნის დასახვა, როგორც მარბურგის სკოლის წარმომადგენლები თვლიან, არ შეიძლება იყოს ნებსითი, იგი მეცნიერების მოცემულობაა, ანუ აზრისმიერი კონსტრუქციების მოცემულობაა მეცნიერების განსაზღვრული დარგის ფარგლებში.[399] ჰ.კოენი ამტკიცებს, რომ ნამდვილი რეალობა მათშია მოცემული. უმნიშვნელოვანესი მომენტი მათს მსოფლმხედველობაში არის ის, რომ შემცნობი სუბიექტისათვის ნებისმიერი საგანი განსაზღვრული კი არ არის, არამედ წინათვე მოცემულია.[400] როგორც ისინი მიიჩნევენ, ამ კონსტრუქციების დახმარებით საგანი განისაზღვრება, ანუ კონ-

397 Г. Коген (2012), Теория опыта Канта (Пер. с нем.), М, Академический Проект, с. 22

398 იხ. იქვე, გვ. 66

399 Г. Риккерт (1998), Науки о природе и науки о культуре (Пер. с нем.), М, Республика», с. 64

400 ამ პოზიციას ჰ.კოენი კანტის შეხედულებების ანალიზისას ანვითარებს აღნიშნულ ნაშრომში: Г. Коген (2012), Теория опыта Канта (Пер. с нем.), М, Академический Проект

სტრუირდება. ამრიგად, თუკი მეცნიერული აზროვნების ძირითადი წანამძღვრები მოცემულია თავად მეცნიერებაში, მაშინ ამ აზრით, როგორც პ.ნატორპი ასკვნის, ყოფიერება მსჯელობის ფუნქციად წარმოსდგება.[401] ამით ნეოკანტიენელებს შემეცნებით კონსტრუირებული კატეგორიების პარალელური სამყაროს სფეროში გადავყავართ, რომელიც ობიექტური სამყაროს თანად არსებობს. ახლა ყოფიერებად ჩვენი ადამიანური გაგებით არსებული რეალობა კი არ წარმოსდგება, არამედ ცნებათა განსაკუთრებული სამყარო. ისინი მოძრაობენ, ვითარდებიან, კვდებიან და მისთ., მიუხედავად ჩვენი საჭირბოროტო პრობლემებისა.

შემეცნების საგანი – დანაშაული მოცემულია სისხლის სამართლის მიერ. მაშასადამე, უნდა თვალი მივადევნოთ იმას, თუ რას წარმოადგენს თავისთავად ამ საგნის მოცემულობა. ვნახოთ, როგორ აზროვნებს იურისტი. მაგალითად, არსებობს ასეთი ფასეულობა, როგორიცაა „არა კაც ჰკლა“ ან „არა იპარო“. ეგრეთ წოდებულ კლასიკურ დელიქტებში ქმედების მართლსაწინააღმდეგობის დასადგენად ეს აბსოლუტური აკრძალვა სპეციალურ დამტკიცებას არ ექვემდებარება. თუკი არ არსებობს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, მაშინ იგულისხმება, რომ ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგოა. ეგრეთ წოდებული ბლანკეტური ნორმების შემთხვევებში ქმედების მართლსაწინააღმდეგობის დასადგენად აუცილებელია იმ წესების გააზრება, რომელთა დარღვევაც მოახდინა მოცემულმა დელიქტმა.[402] აზრის ამგვარი მსვლელობა სავსებით პასუხობს დანაშაულთა კვალიფიკაციის ამოცანებს და ამაზე არავინ დავობს. ჩვენ გვაინტერესებს ამგვარი აზროვნების სხვა ასპექტი.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აბსოლუტური ფასეულობები, რომლებიც თავს დასწოლიან მოაზროვნე იურისტს, მიღებულია ისეთ აქსიომებად, ჯერ კიდევ რომ დამტკიცებულ უნდა იქნან. ამიტომ გ. რადბრუხი იძულებულია გვერდი აუაროს ამ პრობლემას და იმისკენ მოგვიწოდოს, რომ „ჯერარსობის პრინციპები შეიძლება დასაბუთებულ და დამტკიცებულ იქნას ჯერარსობის სხვა პრინ-

401 П. Наторп (2006), Избранные работы (Пер. с нем.), М, Издательский дом «Территория будущего», с. 127

402 ო.გამყრელიძე (2015), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ, გვ. 82

ციპების მეშვეობით".[403] აბსოლუტური ფასეულობის ჭეშმარიტობა მტკიცდება ჯერარსობის იმ პრინციპით, რომელიც ფორმირებულია სისხლის სამართალში. ხოლო ჩამოყალიბებულია იგი შემდეგი სახით: სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარება მხოლოდ ის პირი, რომლის ქმედებაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით. როცა ლაპარაკობენ იმ ქმედების შესახებ, რომელიც ნორმით გათვალისწინებულია როგორც ჯერარსი, მაშინ „მხედველობაში აქვთ, რომ ის ისეთია, როგორიც ჯერ-არს იყოს".[404] აი, რატომაა, რომ „ზნეობრივი კანონის იდეალად ცხადდება იურიდიული კანონი".[405] მაგრამ სამართალი სხვაც შეიძლება იყოს. მაშასადამე, სამართლებრივი კატეგორიებიც ასევე შეიძლება დანახულ იქნან სხვა თვალსაზრისითაც.

აი, აქ წარმოიშვება მოვლენათა გარდასახვითი ფორმების პრობლემა, რომელიც გაუგებარია ტარნსცედენტურისადმი ნეოკანტიანური მიდგომის გამო. შემეცნების საგნის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები შეიძლება მოცემული იყოს გრძნობისმიერი მისაწვდომი სამყაროს მიღმა და ამ აზრით აღმოჩნდეს ტრანსცედენტურ სამყაროდ. მისი ზეგავლენა მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა მისი არსებობის შესახებ ინდივიდმა (მოსამართლემ თუ დამნაშავემ) შეიძლება არც იცოდეს. შემეცნების საგნის „მოცემულობას" ჯერარსობის ფორმით იურისპრუდენციაში არ ძალუძს ნათელჰყოს ამ ჯერარსის ბუნება. კვლავ მოვახდინოთ ამ დებულების ილუსტრირება კრიმინოლოგიურ მასალაზე.

კანონი და დანაშაული მოცემული არიან როგორც ურთიერთუარმყოფელი მოვლენები. ასე ხედავენ სამყაროს ისინიც, ვინც არღვევს კანონს,[406] და ისინიც, ვინც აღასრულებს მას. მაგრამ არავის აზრად არ მოსდის, თუ რას იქმს მათ აზროვნებაზე საზოგადოების სოციალური განვითარება. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, დამნაშავე ბრალეულ პირად გადაიქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში,

403 Г. Радбрух (2004), Философия права (пер. с нем.), М, Междунар. отношения, с. 20

404 Г. Кельзен (2015), Чистое учение о праве, 2–е изд (пер. с нем.), СПб.: ООО Издательский Дом «Алеф–Пресс», с. 16

405 Г. Коген (2012), Теория опыта Канта (Пер. с нем.), М, Академический Проект, с. 39

406 ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცავთ სისხლის სამართლის დოგმატიკის მოთხოვნას, რომლის თანახმად დამნაშავე პირი თავისი ქმედებით ასრულებს ნორმაში ასახულ ქცევის მოდელს.

თუკი მანამდე იგი გადაიქცა გაუცხოებულ პირად. ხდება უცნაური მეტამორფოზა: გაუცხოების ობიექტიდან ინდივიდი უნდა გადაიქცეს ბრალეულ პირად ანუ გაუცხოების სუბიექტად. ანალოგიური ვირტუალიზაცია ხდება სახელმწიფოს მიმართაც. სახელმწიფოს ნებისმიერი ნაბიჯი გამართლებულია, თუკი იგი ხელს უწყობს ქვეყნის მოცემულ მომენტში არსებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, მაშინაც კი, თუ ეს როლი მეტად აქტიურია გაუცხოებაში, მოსახლეობის ნაწილის გაწირვაში დანაშაულის ჩასადენად. ამ აზრით სახელმწიფო არის გაუცხოების სუბიექტი. თუმცა ზედაპირზე სახელმწიფო წარმოსდგება ობიექტის სახით, რომლის ინტერესებსაც ხელყოფს დამნაშავე. ამგვარია ტრანსცედენტურის „რეალური" სამყარო. მაგრამ ნეოკანტიანელთათვის განსამარტებელია დანაშაული და სასჯელი როგორც არსებული სამართლებრივი შემეცნების სიდიდეები. ნეოკანტიანელთა მიერ ჰეგელისეული „აბსოლუტური სულის" პრეტენზიაზე უარის თქმა ვერ წყვეტს საკითხთა მთელს წრეს, რომელთაც კრიმინოლოგიური აზრი აწყდება: რა ვუყოთ დანაშაულს და სამართალს როგორც გაუცხოების ფორმებს, რომლებიც ასახავენ სხვა ჯერარსს, სამრთლის ფარგლებს გარეთ არსებულ ჯერარსს? და საერთოდ, როგორ მოვიქცეთ, თუკი „დანაშაულის", „სასჯელისა" და მისთანათა სისხლის სამართლისეული კატეგორიები აღმოჩნდებიან ხოლმე ირაციონალურ კატეგორიებად, მოჩვენებითი რეალობის კატეგორიებად?

როგორც ვხედავთ, შემეცნების საგნის მოცემულობის ძიება სამართლის ფარგლებში აწყდება შემეცნების საკმაოდ რთულ პრობლემებს. იურისტისათვის მიზანშეწონილობა, რომელიც „მიისწრაფის" ამ აბსოლუტური ფასეულობისაკენ, შეიძლება არსებობდეს, თუკი უშვებს, რომ სამართალი არის ის, რადაც ის წარმოსდგება როგორც ჯერარსის მოცემული მოდელი. აკი სხვა სამართალი იურისტის აზრებში არც არსებობს! სინამდვილეში კი იგი არსებობს. განა შეიძლება უარყვყოთ სამართლის ფუნქცია, როგორც კაპიტალის დაგროვების საშუალება, როგორც ის ხერხი, რომელიც თავად ახდენს დანაშაულობის ზრდის პროვოცირებას? განა ეს – ჯერარსი არ არის? მეტიც, როგორ არსებობს სამართლის ეს დუალიზმი? აზრი აღმოჩნდება ისტორიული გზის გზაჯვარედინზე: ერთის მხრივ, სამართალი ხელს უწყობს დანაშაულობას, ხოლო მეორეს მხრივ – სჯის დანაშაულის ჩადენისათის. ამრიგად, ნეოკანტიანური მსოფლმხედველობის მეორე ელემენტი – „შემეცნების საგნის მო-

ცემულობა“ სამართლის ფარგლებში ასევე აღმოჩნდება უცნობ სიდიდედ. და ბოლოს, ჩვენ გვრჩება მესამე ელემენტის – ეგრეთ წოდებული ტრანსცედენტალური დედუქციის განხილვა, როგორც მოვლენათა ურთიერთკავშირის დადგენის ხერხისა.

4.3.1.5. მოვლენათა კავშირი, რომელიც დგინდება ე. წ. ტრანსცედენტალური დედუქციის სახით.

ვიდრე მოცემულ თემას მივმართავდეთ, კიდევ ეთხელ შევახსენებთ მკითხველს საქმეთა რეალურ მდგომარეობას. როგორც ცნობილია, კაპიტალისტური საზოგადოების ობიექტურმა განვითარებამ ჯერ კიდევ თავისი აღმოცენების გარიჟრაჟზე შეცვალა დანაშაულის გაგებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრის პრინციპები; შემოიტანა კანონიერების პრინციპი, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი, ბრალეულობის პრინციპი და მისთ. შემდგომში გლობალური პროცესების გართულების კვალობაზე ხდება ახალ–ახალი სოციალური პროცესების დაშრევება ამ პრინციპების გაჩენის თავდაპირველ ობიექტურ მიზეზებზე და ამიტომ კვლავ და კვლავ შობილი თაობებისათვის ეს პრინციპები ერთგვარად მოწყვეტილნი მოჩანან თავიანთი თავდაპირველი ობიექტური მიზეზებისაგან და წარმოსდგებიან რაღაც უცნაური მარეგულირებელი ძალის მქონე იდეებად. ამიტომაც გვეჩვენება, რომ ისინი არ აგებენ ცოდნას, მაგრამ ხელს უწყობენ ამ ცოდნის აგებას. სწორედ ეს სუბიექტური სფერო ცხადდება ნეოკანტიანელების მიერ მეცნიერული ძიებების სფეროდ.

ამ ილუზიაში მაშველ რგოლად, რასაც შეიძლება მეცნიერი მოეჭიდოს, წარმოსდგება ის მეთოდი, რომელსაც ნეოკანტიანელები ტრანსცედენტალურ მეთოდს უწოდებენ. ამ ფილოსოფიის ყველა აზრთწყობა აღნიშნული მეთოდის გარშემო ტრიალებს და ამიტომ გვმართებს ჩავწვდეთ მის არსს. მოცემული მეთოდის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერებაში ფაქტისათვის ლოგიკური საფუძველი იპოვოს, მათ შორის სისხლის სამართლისათვის. ჰ.კოენის აზრით, „ცნობიერების ის ელემენტებია შემმეცნებელი ცნობიერების ელემენტები, რომლებიც საკმარისი და აუცილებელია იმისთვის, რომ დასაბუთებულ და განმტკიცებულ იქნას მეცნიერების ფაქტი“. მაშასადამე, ამოსავალ წერტილად ფაქტი წარმოსდგება. [407]

407 Г.Коген (2012), Теория опыта Канта (Пер. с нем.), М, Академический Проект, с. 147

ფაქტის განსაზღვრისას ნეოკანტიანელები ამახვილებენ ყურადღებას ორ მომენტზე: 1) „ფაქტის“ ქვეშ იგულისხმება არა რეალური მოვლენა, არამედ მისი აღწერა, ობიექტური მოვლენის შესახებ მსჯელობის მონაკვეთი და 2) ეს მსჯელობა მნიშვნელობას იძენს გარკვეული მეცნიერების დარგიდან, მისი ლოგიკის პრინციპებიდან.

პირველ მომენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ფაქტის ნეოკანტიანური განმარტება კარდინალურად განსხვავდება ფაქტის ჩვეულებრივი გაგებისაგან. მაგალითად, დანაშაულის მოწმე ფაქტად მიიჩნევს პეტრეს მიერ ჩადენილ ქურდობას. მაგრამ ნეოკანტიანელებისათვის ეს მოვლენა არ არის ფაქტი, რადგან მასში არ არის ჯერ-არსობის მომენტი, იგი შემთხვევითია. მხოლოდ მაშინ, როცა ეს მოვლენა აღწერილი იქნება „ეს ასე უნდა ყოფილიყო“-ს ტიპის მსჯელობაში, იგი მიიღებს ფაქტის ფორმას. „კატეგორიები შეიძლება განეკუთვნებოდნენ საგნებს იმიტომ, რომ ისინი, უფრო, მათ უნდა განეკუთვნებოდნენ“.[408] ასე, მაგალითად, თუ სასამართლოს გამოაქვს განაჩენი, რომელშიც დამტკიცებულია, რომ პეტრეს ქმედებაში არის კანონში აღწერილი ქმედების ნიშნები, რომ იგი განზრახ ესწრაფოდა ქმედების ჩადენას და მისთ., მაშინ ამით იგი ადგენს ფაქტს. სხვა მაგალითი: მეზობლისათვის, რომელიც შეესწრო ძალადობას, უცხოო პირი არის დამნაშავე. ეს მისთვის ფაქტია. მაგრამ სასამართლოსათვის, რომელმაც ამ ქმედებაში აუცილებელი მოგერიება დაინახა, სიცოცხლის მოსპობა არ წარმოადგენს „კრიმინალურ“ ფაქტს.

საკითხის მსგავს განმარტებებში ახალი არაფერია, რადგან ჯერ კიდევ პლატონი აღნიშნავდა, რომ ფაქტის აღწერით მიიღწევა განსაზღვრა განუსაზღვრელისა. არსებითად, ძნელია სადავო გახადო ფაქტისადმი მსგავსი მიდგომა. აკი რომელიმე ფაქტის კონსტატაციისათვის ხომ ცნებათა ურთულესი აპარატია აუცილებელი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოკვეთილ იქნას მეცნიერებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნიშანთვისებები. ამგვარად იქცევა მეცნიერების ნებისმიერი დარგი. ასე, კრიმინოლოგიისათვის ფაქტი შეიძლება იყოს შემდეგი მსჯელობა: „სამართალი წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების საშუალებას და, შესაბამისად, – დანაშაულობის გენეზისის მომენტსაც“. ამ მსჯელობისაგან განსხვავებით, სამართალი სისხლის სამართლის ფაქტში სხვაგვარად აღიწერება, რამეთუ იგი გამოდის როგორც განმსაზღვრელი სისხლის სამართ-

408 იხ.იქვე, გვ. 389

ლის პასუხისმგებლობის საფუძველისა და ა.შ. რეალობა, რომელიც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლისათვის, კარდინალურად განსხვავდება კრიმინოლოგიის მიერ განსაზღვრებადი მნიშვნელოვნობისაგან. მაშასადამე, მსჯელობა – „ეს ასე უნდა იყოს" მრავალმნიშვნელოვანია.

შევეხოთ მეორე მომენტს. ფაქტის პრობლემა მაშინ იწყება, როცა ნეოკანტიანელები ფაქტის განსაზღვრის საფუძვლის საკითხის შესწავლას შეუდგებიან. მასალის თვალსაჩინოებისათვის ვცადოთ ფილოსოფოსთა მსჯელობები აღვწეროთ იურისტისათვის გასაგები ტერმინებით. ამრიგად, ძირითადი საკითხებია: როგორ არის შესაძლებელი შემეცნება სისხლის სამართალში? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: როგორია ფაქტის დადგენის ლოგიკური საფუძვლები სისხლის სამართალში?

ნეოკანტიანური ფილოსოფიის თანახმად ზოგადი ფასეულობები აპრიორულად წარმოსდგებიან ფაქტის ლოგიკური საფუძვლების სახით. დედუქციურად ეს ფასეულობები არ შეიძლება დამტკიცებულ იქნან.[409] ისინი არანაირ კავშირში არ არიან იმ ფაქტებთან, რომელთაც მათ განაკუთვნებენ, არამედ მხოლოდ იმას გვეუბნებიან, თუ როგორნი უნდა იყვნენ ეს ფაქტები. ფასეულობათა არსობრიობა, წერს ჰ.რიკერტი, მდგომარეობს მათს მნიშვნელოვნობაში, და არა მათს ფაქტიურობაში.[410] ნეოკანტიანელებს გარკვეულწილად შეიძლება დავეთანხმოთ. მაგალითად, ფასეულობაში „არა იპარო", არაფერია ნათქვამი ქურდობის კონკრეტული მოვლენის შესახებ, რომელიც პეტრემ ჩაიდინა. შესაძლოა იგი იძულებული იყო ქურდობა ჩაედინა, რადგან მისი შვილები დიდხანს შიმშილობდნენ. შესაძლოა მან ქურდობა იმიტომ ჩაიდინა, რომ ფული ჰქონოდა ნარკოტიკების შესაძენად და მისთ. აპრიორულად დამტკიცება მსჯელობისა „არა იპარო" შეუძლებელია. მაგრამ თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ჩვენ უნდა შევიდეთ ობიექტური რეალობის სფეროში, ის კი, სწორედ, განიდევნება ძიების სფეროდან. ამ დროს იმისთვის, რომ, მაგალითად, ზოგადი ფასეულობა „არა იპარო" დავდოთ ფაქტის საფუძვლად, ნეოკანტიანელების აზრით საჭიროა რწმენა იმ ჯერარსობისა, რომელიც ამ ფასეულობებშია გათვალისწინებული. თავის მხრივ,

409 В. Виндельбанд (1995), Избраннос: Дух и История (Пер. с нем.), М, Юристъ, с. 215

410 Г. Риккерт (1998), Науки о природе и науки о культуре (Пер. с нем.), М. Республика, с. 94

ეს რწმენა წარიმართება მიზანშეწონილობით, რომელიც სისხლის სამართლის მეცნიერების ღერძს წარმოადგენს. „ცნობიერების შინაარსი თავის ზნეობრივ ფასეულობას იღებს იმ მიზნის მეშვეობით, რომელსაც იგი ემსახურება" – დაასკვნის ვინდელბანდი.[411] როგორც შემდეგ აღნიშნავს იგი, კვლევა შესაძლებელია მხოლოდ იმათ შორის, ვინც დარწმუნებულია, რომ მათი ინდივიდუალური საქმიანობის ზევით საყოველთაოთ სავალდებულო ნორმაა, „ყველასთვის აუცილებელი წესი" და რომ მისი მოძიება შესაძლებელია.[412]

ტრანსცედენტალური დედუქცია ნიშნავს ცნებების მრავალსართულიანი შენობის აგებას, რომლებიც წარმოქმნიან ფაქტის ლოგიკურ საფუძველს. იმ ხერხის განმარტება, რომლითაც ცნებებს „a priori" მიაკუთვნებენ საგნებს, ნეოკანტიანელების მიერ იწოდება ტრანსცენდენტალურ დედუქციად.[413] მაგალითად, კანონიერების პრინციპის აღიარება იწყება დანაშაულის ცნების აგებით: ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის განსაზღვრით და ა.შ. იმ შემთხვევების ასარიდებლად, როცა „დანაშაულს" მცირეწლოვანი სჩადის, ანდა როცა პირი იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, განისაზღვრება იმ გარემოებების მაკორექტირებელი კონსტრუქტები, რომლებიც გამორიცხავენ მართლსაწინააღმდეგობას და ბრალეულობას და მისთ. როგორც კ.ბაქრაძე აღნიშნავს, „ამ პროცესის კანონი, რომელიც განსაზღვრავს უსასრულო შემეცნების მთელი მსვლელობის მიმართულებას, არის ლოგიკურის ძირითადი კანონი («Urgesetz»), წმინდა აზროვნების კანონი, ანუ მეთოდის კანონი. შემეცნების ამ უსასრულო პროცესში ლოგიკურის ამ კანონით იქმნება საგანი, შემეცნების საგანი: საგნის შექმნა არის კიდეც აზროვნების სინთეტიკური მოქმედება".[414] უფრო არაორაზროვნად ტრანსცედენტალური მეთოდის არსი პ.ნატორპმა გამოხატა, როცა აღნიშნა: „ტრანსცედენტალური მეთოდი არ ისახავს მიზნად საგნების შემეცნების განვრცობას იმ საზღვრებს იქით, რომლებსაც მეცნიერებას მისივე საკუთარი მეთოდი დაუდგენს".[415]

411 В. Виндельбанд (1995), Избранное: Дух и История (Пер. с нем.), М, Юристъ, с. 237

412 იხ.იქვე, გვ. 66

413 Г. Коген (2012), Теория опыта Канта (Пер. с нем.), М, Академический Проект, с. 330

414 К.С. Бакрадзе (1973), Избранные философские труды., т. 3, Тб, Издательство ТГУ, с. 180

415 П. Наторп (2006), Избранные работы, М, Территория будущего, с. 118

ჰეგელის თეორიის მიხედვით, „ჯერ-არსი" ჯერ კიდევ უნდა დამტკიცდეს. ნეოკანტიანელებისათვის ეს საკითხი ახსნის ფარგლებს გარეთაა გატანილი. ჯერარსი არსებობს და პრაქტიკული გონის ამოცანაა მისი გამოყენება. ამიტომ მისი გამოყენებით იურისპრუდენციისათვის უფრო მიმზიდველია ლოგიკურის პრიმატი, რომელიც ნეოკანტიანელებთან პირველ ადგილზეა. ამ კონცეფციის მიხედვით ფაქტი, როგორც რეალობის მონაკვეთი, ხომ არ არსებობს. მეცნიერების ფაქტად სწორედ მსჯელობა გვევლინება, ანუ ის, რაც ცნობიერებითაა კონსტრუირებული და ახლა წარმოადგენს გამოცდილების შესაძლებლობას.[416] როგორც კ.ბაქრაძე წერს, ნეოკანტიანურ ინტერპრეტაციაში „მეცნიერების ფაქტი უნდა გავიგოთ როგორც «fieri», და არა როგორც « aktum»: განვითარება, პროცესი ან, რაც იგივეა, მეთოდი – აი, რა არის მთავარი. ამ პროცესის კანონი, რომელიც განსაზღვრავს უსასრულო შემეცნების მთელი მსვლელობის მიმართულებას, არის ლოგიკურის ძირითადი კანონი («Urgesetz»), კანონი წმინდა აზროვნებისა, ანუ მეთოდის კანონი. შემეცნების ამ უსასრულო პროცესში ლოგიკურის ხსენებული კანონით იქმნება საგანი, შემეცნების საგანი: საგნის შექმნა არის კიდეც აზროვნების სინთეტიკური მოქმედება".[417] მაგალითად, როგორი ამაზრზენიც არ უნდა იყოს ორსული ქალის მკვლელობა, იგი ჯერ არ არის მეცნიერების ფაქტი. ამიტომ იგი იწოდება ქმედებად, და არა დანაშაულად.[418] დანაშაულის კვალიფიკაციის პროცესმა, ანუ სპეციფიკური ლოგიკური პროცედურის მეთოდმა უნდა მიგვიყვანოს „გამოცდილების შესაძლებლობამდე" (ჰ. კოენი), ანუ ქმედების ობიექტურ შემადგენლობამდე და მისთ. ამრიგად, არა სინამდვილე, არამედ სწორედ ლოგიკურის ძირითადი კანონი («Urgesetz») უნდა ბატონობდეს გამოცდილების სფეროში,[419] ანუ იურიდიული პრაქტიკის სფეროში.

შევაჯამოთ ნათქვამი. ჰეგელთან ნეოკანტიანელების შეუთანხმებლობის ცენტრალური პუნქტი არის იმ წანამძღვრების გაგების

416 Г. Коген (2012), Теория опыта Канта (Пер. с нем.), М, Академический Проект, с. 2000

417 К.С. Бакрадзе (1973), Избранные философские труды., т. 3, Тб, Издательство ТГУ с. 180

418 ამ ნეოკანტიანური მიდგომის შედეგად სისხლის სამართალში შემოღებულია ქმედების შემადგენლობის და არა დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქცია.

419 Г. Коген (2012), Теория опыта Канта (Пер. с нем.), М, Академический Проект, с. 200

საკითხი, რომლებიც წარმართავენ არსებულ სამყაროს. ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის“ მეთოდი არანაირ წინაღობას არ ქმნის რეალობის შეცნობისათვის. ხოლო ტრანსცედენტალური დედუქციის ნეოკანტიანური განმარტება ასეთ წინაღობებს ქმნის, რამეთუ მისთვის სამყაროს მართავს მხოლოდ ლოგიკური კანონი, ის „კატეგორიული იმპერატივი“, რომელიც ძალზე დამოკიდებულია პრაქტიკულ გონზე. მაშ სინამდვილეში რა იმალება ტრანსცედენტალური დედუქციის მიღმა?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილობა არის დედუქციის სული და გული. ის უკვე მოცემულია სისხლის სამართალში. ამიტომ ფასეულობის – „არა იპარო“ – წაკითხვა ხდება არა ამ აბსოლუტური იდეიდან გამომდინარე, არამედ სისხლის სამართლის თვით ამოცანებიდან. ჯერარსის კონტექსტი მოიცემა სწორედ ამ ამოცანების მიერ.

მეორეც, რწმენა ჯერარსისა, რწმენა აბსოლუტური პრინციპისა, მაგალითად პრინციპისა „არა იპარო“, არის წმინდა სუბიექტური კატეგორია. რა ძლიერი რწმენაც არ უნდა ჰქონდეს მოსამართლეს, მას არ შეუძლია თავისი თვალსაზრისი განაჩენში დაასაბუთოს მხოლოდ ამ რწმენით. პირიქით, მისი დასკვნა ეფუძნება სისხლის სამართალში შემუშავებულ ცნებებს. მოსამართლისთვის ისინი რეალურნი არიან და მის საპროცესო საქმიანობაში წარმოადგენენ ათვლის წერტილს. სწორედ ამ კატეგორიათა თვალსაზრისით, აბსოლუტური იდეის ჯერარსობრიობა «a priori» არ მტკიცდება. და როგორ მტკიცდება? ნეოკანტიანელები მანკიერ წრეს ადგებიან, რომელიც აბუნდოვანებს დედუქციის ლოგიკურ კანონს, ანიჭებს მას მომატყუებელ მეცნიერებისმაგვარ ხასიათს. ფაქტის საფუძველს – „ეს ასე უნდა იყოს“ – დედუცირება ძალუძს მხოლოდ სისხლის სამართლის ჩამოყალიბებული კატეგორიებიდან გამომდინარე. თავის მხრივ, სისხლის სამართლის კატეგორიები უკვე ფორმირებულია და წარმოადგენენ «a priori»-ს ამ ფაქტისთვის. აი, სულ ეს არის.

მესამეს მხრივ, აბსოლუტური იდეა ტრანსცედენტალურ ხასიათს იღებს არა იმის გამო, რომ არსებობს რაღაც რწმენა, არამედ იმის ძალით, რომ ოდესღაც, საზოგადოების ახალი კაპიტალისტური წყობის განვითარების გარიჟრაჟზე, გაჩნდა აუცილებლობა საკუთრების დაცვისა სწორედ სამართლებრივი იძულების ახალი მეთოდებით და არა მოძველებული, ფეოდალიზმის დროს არსებულით. სწორედ ამ პირობებიდან «a priori» გამოყვანილ იქნა ზოგადი იდეა, რომელიც

ახლა აბსოლუტური და დაუმტკიცებადი მოჩანს. შემდგომში იგი არ მოითხოვს დამტკიცებას, რამეთუ კაპიტალის ბატონობის გამოჩენასთან ერთად ჩნდებიან მხოლოდ ის ინსტიტუტები, რომელნიც ისევე კვლავწარმოიქმნებიან, როგორც კაპიტალი.

ამ კანონზომიერების იგნორირება წარმოშობს ჩიხურ ვითარებას რეცეფციის პრობლემების გადაწყვეტისას. სიტყვამ მოიტანა და, ამ პრობლემებს ქართველი იურისტებიც აწყდებიან. სესხულობენ რა გერმანელებისაგან სისხლის სამართლის ახალ კონსტრუქციებს, განაზოგადებენ რა სასამართლო პრაქტიკას „უახლესი" კატეგორიების საფუძველზე და მისთ., ქართველი იურისტები გვთავაზობენ საკანონმდებლო პროექტების მთელ პაკეტს. ისინი კი რატომღაც არ ინერგება. ამაში ხან კანონმდებლებს სდებენ ბრალს, ხან თანამდებობის პირებს, ხანაც მეცნიერებს და მისთ. მაგრამ აქ მოქმედებს ტრანსცედენტალური დედუქციის არა ნეოკანტიანური მოდელი, არამედ თავად „გულუბრყვილო რეალიზმის" მიერ აგებული დედუქცია.

«A priori» არსებობს საქართველოს ეკონომიკის ის მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს ჯერარსობის რეალურ სურათს. გერმანიაში შემუშავებული სისხლის სამართლის თეორიები წარმოადგენენ ქვეყნის მონოპოლისტური განვითარების თეორიებს, რომელთა გამოყენებაც არ შეიძლება განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე, ანუ კაპიტალის დაგროვების თავდაპირველ სტადიაზე მყოფი ქვეყნის მიმართ. ამიტომ სისხლის სამართლის რეფორმა მეცნიერთათვის სასურველი მიმართულებით ობიექტურად შეუძლებელია. მას არ ძალუძს განსაზღვროს იმ „ჯერარსის" ისტორიული საფეხური, რომელიც ჯერჯერობით წარმოგვიდგება დანგრეული ქარხნების, თანამდებობის პირთა მდიდრული სახლებისა და ქვეყნის მთელი მოსახლეობის უბადრუკი სილატაკის სახით. თეორიული გამოკვლევები შესაძლოა უსწრებენ დროს. მაგრამ მათი პრაქტიკული რეალიზაცია ყოველთვის ემორჩილება ქვეყნის არსებულ ობიექტურ რეალობას. ამ მხრივ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ცნობილი ამერიკელი ნეოინსტიტუციონალისტის დ.ნორტის გამოკვლევა. როგორც მან შენიშნა, ზოგიერთმა ქვეყანამ სცადა დაენერგა აშშ-ის კონსტიტუციის მოდელი. მაგრამ ამ ქვეყნებში არსებული ინსტიტუციონალური სისტემების განსხვავების გამო მიღებულ იქნა საპირისპირო შედეგი.[420] როგორც ავღნიშნეთ, ანალოგიური რამ მოხდა ქა-

420 Д. Норт (1997), Институты, институциональные изменения и функционирование экономики (перев. с анл.), М, Начала, с. 130–131

რთულ სინამდვილეში სისხლის სამართლში საზღვარგარეთის ქვეყნების მოდელების დანერგვის მცდელობისას. შესაბამისად, გასაგები ხდება, რომ სისხლის სამართალში დანერგილი სანქციების მოდელი ადეკვატურად შეესატყვისება იმ სისხლის სამართლის პოლიტიკის იდეოლოგიურ დასაბუთებას, რომელიც უნდა არსებობდეს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პირობებში. ამიტომ გასაკვირი არაა ნორმების რეცეფციის მიმართულებაც. როგორც გვიჩვენებს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ალოგიზმი, საქართველოს სისხლის სამართალში ჯერჯერობით ღიაა კარი ყველაზე კონსერვატიული კანონებისათვის, რომელიც შემუშავებულია დასავლეთში.

დასკვნის სახით უნდა ავღნიშნოთ, რომ ტრანსცედენტალური დედუქცია არ გვაძლევს საშუალებას გავიგოთ სამართალი, ჩავწვდეთ მის ბუნებას. იგი განისაზღვრება იმ მიზანშეწონილობით, რომელიც იმთავითვე ხედავს სამართალსა და დანაშაულს ურთიერთსაპირისპირო კატეგორიებად. ამიტომ ეს კატეგორიები განიხილება ცალკე, იმ არსებითი კავშირის გათვალისწინების გარეშე, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალზე მნიშვნელოვანია ჰეგელისათვის. სისხლის სამართლის ლოგიკაში კომპონენტი „უნდა იცოდე" იმგვარად ინტერპრეტირდება, რომ განსხვავება „სამართლისა" და „დანაშაულის" კატეგორიებისა შენარჩუნებულია როგორც სამართლის ამ დარგის ძირითადი წესი. ამგვარად, ჯერარსობის კონსტრუქცია არის სისხლის სამართლის შინაგანი ლოგიკის კომპონენტი, რადგანაც მისი გაგება მთლიანად იცვლება იმ სახით, რა სახითაც იგი მოიაზრება მხოლოდ სისხლის სამართალში.

ტრანსცედენტალური დედუქციის თავისებურების გარკვევა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რა იმალება სამართლის ვირტუალური სამყაროს სარკის მიღმა. მაგრამ რჩება სამართლის უარყოფა – უმართლობა, რომელიც ნეოკანტიანელს სუბიექტივიზმის გამო ასევე ვირტუალურად ესახება.

4.3.1.6. დანაშაული როგორც უმართლობის ფორმა

როგორც ავღნიშნეთ, ნეოკანტიანელთა მსოფლმხედველობის ანალიზის დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია ჰეგელისეული „სამართლის მოსპობის" – დანაშაულის ინტერპრეტაცია.[421] ეს აზ-

421 ზოგიერთი კრიმინოლოგი ცდილობს თვითნებურად განმარტოს ჰეგელის მნიშვნელობა დანაშაულობის გაგებაში. ასე, მაგალითად, ტალინის უნივერსიტეტის პროფესორს ანდო ლენს მიაჩნია, რომ ჰეგელის მიხედვით დანაშაუ-

რთასხვაობა ჰეგელთან განსაკუთრებით საგრძნობია ქართულ სისხლის სამართალში. პრობლემად წარმოსდგება „უმართლობის" გაგება. თანამედროვე სისხლის სამართალში მეცნიერთა ჯგუფის მიერ მოზარდი თაობის გონებაში ინერგება სისხლის სამართლის ნეოკანტიანური მოდელი, რომელიც ზოგჯერ ნორმატიულ მიმართულებად იწოდება სამართლის ამ დარგში. მოკლედ შევეხოთ ამ მიმართულების პოზიციას.

იურისტისათვის „ტერმინ „უმართლობაში" („Unrecht") მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეთიკური ულირსობაა დამალული".[422] ჰეგელის მიხედვით კი „უმართლობაში" იმალება „დანაშაულისა და მისი განადგურების არსებითი კავშირი". იურისტისათვის უმართლობის კრიტერიუმია მართლწესრიგი, სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის მოთხოვნილება და ამიტომ მისთვის „დანაშაულის სტრუქტურა არის... მოქმედებათა მეთოდურად მიზანშეწონილი თანამიმდევრობა დასჯადობის საფუძველთა შეფასებისათვის».[423] ჰეგელისათვის ათვლის წერტილია ის უზოგადესი (საზოგადოება), რაც როგორც მართლწინააღმდეგობას, ასევე მართლწესრიგს თავისი განვითარების მომენტად ხდის. უკვე ამ გზაჯვარედინზე ჩანს, რამდენად განსხვავდება უმართლობისადმი ჰეგელის ღრმა თეორიული მიდგომა მცდარი ნეოკანტიანური მიდგომისაგან. რა განაპირობებს „უმართლობის" ასეთ განსხვავებულ განმარტებას?

გ.ნაჭყებიამ სწორად დაინახა უმართლობის ჰეგელისებური განმარტება: „უმართლობაა – ...ის, რაც სამართლის გარეთაა".[424] მაგრამ დანაშაულზე ეს დებულება ბოლომდე არ განავრცო, რადგან ვერ განასხვავა დანაშაულის არსი და მისი გრძნობადი ფორმები, როდესაც აღნიშნა: „არსებობს არამარტო სისხლის სამართლებრივი,

---

ლობა არის მთლიანი, ხოლო დანაშაული – მისი ნაწილი (А. Ленс (2013), Логика Гегеля и преступность как явление сущности, Криминология: вчера, сегодня, завтра, №1 (28). СПб, с. 37–40). დიდი ფილოსოფოსის აღნიშნული შეფასება ატარებს ეკლექტიკურ ხასიათს, რადგან ამ პრიმიტივიზამდე არ ეშვება ჰეგელის აზროვნება. პირიქით, ჰეგელი დასცინოდა ამგვარ აზროვნებას.

422 ი.ვესელსი, ვ. ბოილკე (2010), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (თარგ. გერმანულ.), თბ, თსუ, გვ. 157

423 Г. Фристер (2013), Уголовное право Германии. Общая часть (перев. с немецк.), Москва. Берлин, Инфотропик Медиа, с. 117.

424 გ. ნაჭყებია (2011), სისხლის სამართალი.ზოგადი ნაწილი. თბ, გვ. 320–322

არამედ სხვა სახის უმართლობაც."[425] ნებისმიერი დანაშაული არსებობს მისი გრძნობადი ფორმების სახით როგორც მკვლელობა, ქურდობა და ა.შ. მაგრამ უმართლობა (სამართლის უარყოფა) ამ თვისებებით არ ხასიათდება. მაგალითად, თუ მივმართავთ ანალოგიას, ღირებულების კანონისათვის სულერთია, იჩენს ის თავს სკამში თუ ვაშლში. საქონლის ეს გრძნობადი თვისებები არ განაპირობებენ ღირებულების კანონის მოქმედებას, თუმცა ავლენენ მას. ასევე მოქმედებს უმართლობაც. ის გულგრილია სხვადასხვა აქტების იმ თვისებებისადმი, რომლებიც მას მკვლელობის ან ქურდობის სახით გამოხატავენ. სამართლის უარყოფა, ე.ი. „უმართლობა" მკვლელობის, ქურობის და სხვა სახის დანაშაულის სამოსში არსებობს. მაგრამ ეს სამოსი არ განაპირობებს „უმართლობის" ანუ სამართლის უარყოფის (უმართლობის) ბუნებას. მას გააჩნია სხვა მიზეზი, რომელიც სისხლის სამართლის ჯერ-არსობისგან გარეთ არის, და იურისტისათვის უხილავ კანონზომიერებას ემორჩილება.[426] მოკლედ „უმართლობის" ცვალებადობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის დანაშაულის „სამოსს მოირგებს".

ნებისმიერ ხელისუფლებას დანაშაულის სახეების თვისებებიდან უმართლობის დანახვა ეკონომიკური კრიზისის დროს ძვირად უჯდება. იმსხვრევა დანაშაულობასთან ბრძოლის ნებისმიერი პროგრამა, რომელიც ამოიწურება ამ გრძნობად თვისებებზე აგებულ მიზეზობრიობაზე. დანაშაულთან ბრძოლის პროგრამების ავტორები ვერ ხედავენ, რომ სამართლის უარყოფა – უმართლობა უკვე მომწიფდა იქამდე, სანამ ის გვევლინება დანაშაულის სახით. მოკლედ, უმართლობის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა ხალხი, მწიფდება იქამდე სანამ მისი ნაწილი იძულებული იქნება მიმართოს დანაშაულს, როგორც მისი დაძლევის საშუალებას.

თანამედროვე საზოგადოებაში უმართლობის ფორმირებაში ძირითადი როლი უკავია კაპიტალის დაგროვების სიღრმისეულ კანონზომიერებას. სახელმწიფო არის ამ პროცესის მხოლოდ საშუალება – უმართლობის ხელშემწყობი ფაქტორი.[427] სიმდიდრის

425 იხ. იქვე, გვ. 321

426 ნეოკანტიანელესებისაგან განსხვავებით ამერიკელი ფილოსოფოსის რონალდ დვორკინის ნაშრომში შეიძლება დავინახოთ საინტერესო მიგნება. როგორც ავტორი აღნიშნავს, არსობრიობის საზომი, ქცევის სტანდარტი არაა მოცემული პოზიტიურ სამართალში (Р. Дворкин (2004), О правах всерьез (Пер. с англ.), М, Российская политическая энциклопедия (РОССПЭН), с.76).

427 ტ.იანგი სადამსჯელო ზომების შერჩევითი მიმართულების საფუძვლად

დაგროვებაში სახელმწიფოს როლი ჯერ კიდევ ფეოდალურ საზოგადოებაშიც აშკარა იყო. აი რატომ გვაფრთხილებდა ჰეგელი, რომ არსებობს უმართლობა როგორც სამართლის (ანუ სახელმწიფო პოლიტიკის) მოჩვენებითობა და ამავე დროს როგორც მისი არსის გამოვლენის „გარე ფორმა".

რა მიდგომას მიმართავს სისხლის სამართლის აგების ნეოკანტიანური მოდელი, ეს ნათლად ჩანს მართლწინააღმდეგობისა და უმართლობის განსხვავების დროს. გერმანელი მეცნიერების ი.ვესელსისა და ვ.ბოილკეს აზრით წინააღმდეგობა სამართლისადმი (მართლწინააღმდეგობა) არის ფორმალური, ეს თვისება „გამოაშკარავებულია", ე.ი. გასაგებია და არ მოითხოვს ახსნას. მაგრამ უმართლობასთან დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა: „მკვლელობის უმართლობა გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეულის დაზიანება ან ნივთის დაზიანების უმართლობა".[428] აღნიშნული მიდგომა არის მოხელეს ტიპიური თვალთახედვა. მართლწესრიგი გატანილია ახსნის გარეთ, რადგან ის თავისი მოთხოვნით უცვლელია, ხოლო უმართლობა იცვლება კონკრეტული პირის ქმედების სიმძიმის ჩარჩოებში. ამიტომ როგორ ვითარდება მოსახლეობის გაუცხოება ანუ რეალური უმართლობა ნეოკანტიანელს არც აინტერესებს და არც ესმის. ასეთი მიდგომა უკიდურეს ფორმას იძენს სისხლის სამართალში, სადაც მთელი ტვირთი გადატანილია შემთხვევით ინდივიდზე: მისი და არა საზოგადოებაში არსებული უმართლობა რაოდენობრივად იცვლება. სისხლის სამართალს აინტერესებს არა გაუცხოებული, არამედ ბრალეული პირი, რომელმაც კონკრეტული ზიანი გამოიწვია და ამიტომ უნდა დაისაჯოს. მაგრამ, ოჯახური კონფლიქტი, უმუშევრობა,

---

წარმოების კაპიტალისტურ წესს ასახელებს. მისი აზრით, „მთლიანად ახალი დანაშაულებების, ახალი კანონების, მართლმსაჯულების ახალი სისტემის, ფორმების ახალი დაცვის და კონტროლის ტაქტიკის ახალი სახეობების წარმოშობა სპეციფიურია წარმოების კაპიტალისტური წესისათვის. წარმოების წესი განსაზღვრავს დანაშაულთა მნიშნელოვან რაოდენობასა და სახეობებს" (T.R. Yong (1988), Theory and method for Criminology In the 21-st Century, Archives of the Trannsforming Sociology Series of the Red eather Institute for Advanced studies in sociology, № 126). გერმანელ ემიგრანტებს გ.რუხეს და ო.კირხაიმერსაც მოჰყავთ უამრავი ისტორიული მასალა, რომელიც ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას (იხ.:G. Rusche and O. Kirchheimer (2007). Punishment and Social Structure, Publisher Taylor & rancis Inc, Somerset, United Kingdom).

428 ი.ვესელსი, ვ. ბოილკე (2010), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (თარგ. გერმანულ.), თბ, თსუ, გვ. 157

გაუნათლებლობა, მოსახლეობის კეთილდღეობისადმი სახელმწიფო რეფორმების გულგრილი დამოკიდებულება და გაუცხოების სხვა ფორმები, რომელიც ინდივიდს თავს დაატყდა და სამართლისადმი მისი დაპირისპირება განაპირობა, ეს სიხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების მანქანას არ აინტერებს და მის ამოცანას არც წარმოადგენს. სისხლის სამართალი ხომ აგებულია არსის „მოჩვენითობაზე": მოვლენის „დასაბუთება" კი არ ნიშნავს, რომ აზრმა გაანათა მოვლენათა არსი. ამრიგად, მათემატიკის ენით რომ ვთქვათ, უმართლობა არ არის კანონში გათვალისწინებული ქმედების ფუნქცია.

სინამდვილეში სამართლის სამყარო, ისევე, როგორც სოციალურ მოვლენათა მთელი სამყარო, სხვა სიბრტყეში არსებობს, და არა იმაში, რომელიც აღიწერება განსჯის კატეგორიაში. ტრანსცედენტურის თემამ, თავდაპირველად ძველი ბერძნების მიერ ბოძებულმა კაცობრიობისათვის, თავისი დასრულება ჰეგელის შრომებში ჰპოვა, რომელმაც იურისტთა საყოველთაოდ გასაკვირად, განსხვავების ძიება კი არ დაიწყო დანაშაულსა და სასჯელში, არამედ რაღაც საერთოში, „არსებითი კავშირისა დანაშაულსა და მის მოსპობას შორის". საუკუნეთა შემდგომ კაპიტალიზმის ისტორია განუცხადებს კაცობრიობას ამ კავშირის საუდუმლოს, დაფარულს კაპიტალიზმის ევოლუციის კანონზომიერებებში. ამგვარად, „სამართლის ფილოსოფია" წარმოსდგება ჩვენს წინაშე არა როგორც ობივატელის მოსაჩვენებელი განათლებულობის საშუალება, არამედ როგორც სამართლის საიდუმლოს წვდომის მეთოდი. ამასთანავე, სწორედ ეს მეთოდი ნათელს ჰფენს დანაშაულობასაც.

დროის მხრივ, ნეოკანტიანური მიმდინარეობა ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიაზე" გვიან აღმოცენდა, მაგრამ როგორც მკითხველი დაინახავს, ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში „არსობრიობის" ნეოკანტიანური გაგება უფრო აზროვნების მეტად ძველ ტიპს განეკუთვნება, როგორც ხატოვნად წერდა ჰეგელი, ბაზრის მოვაჭრე დედაკაცის აზროვნებას, ანუ ობივატელურ გაგებას, რომლისთვისაც რეალობა „ცარიელი არსობრიობაა".

4.3.2. ჰეგელისეული „ნამდვილი კავშირი დანაშაულსა და მის მოსპობას შორის".

ფენომენოლოგების წარმოდგენებისაგან განსხვავებით ჯერ კიდევ ჰეგელმა შენიშნა, რომ დანაშაული არის „არსის მოჩვენე-

ბითობა, რომელიც საკუთარ თავს ვარაუდობს, როგორც რაღაც დამოუკიდებელს".[429] ამრიგად, დანაშაულის შესახებ ჰეგელის მიხედვით მსჯელობისას უნდა დავიწყოთ არა დამაშაულის, როგორც „არსის მოჩვენებითობის" გაგებიდან. ჩვეულებრივ კრიმინოლოგიური გამოკვლევები გამოდიან იმ ე.წ. საფრთხიდან, რაც თან სდევს დანაშაულებს სიცოცხლის მოსპობის, მიყენებული მატერიალური ზარალის, მუქარის სახით და ა. შ. როგორც ცნობილია, ნეოკლასიკური ეკონომიკის მომხრეები (ბეკერი, ერლიხი და სხვ.) იზიარებენ აღნიშნულ თვალთახედვას.[430] უარყოფდა რა მსგავს ილუზიებს, ჰეგელი აფრთხილებდა, რომ ჯერ მნიშვნელოვანია ვაჩვენოთ „როგორია ის არსებობა, რაც გააჩნია დანაშაულს. ეს არსებობა არის ნამდვილი ბოროტება...". ამიტომ საჭიროა იმის „გამოკვლევა, რაში მდგომარეობს იგი" და ამის შემდეგ გადავიდეთ „არსის მოჩვენებითობაზე".[431]

მაგრამ როგორ მივუდგეთ დანაშაულის არსს? პასუხობს რა ამ კითხვაზე, ჰეგელი წერს: „სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაული და მისი მოხსნა (სასჯელი – გ.თ.) წარმოედგინათ, როგორც სხვადასხვა ბუნების მატარებლები, მაშასადამე, არ აღიარებდნენ ორივეს აუცილებელ იგივეობას, იმას, რომ დანაშაულში უკვე დავანებულია მისი განადგურება".[432] ამრიგად, „მხოლოდ ამ გარეგნული ფორმის მხრიდან ქურდობა, ძარცვა, აგრეთვე სასჯელი ფულადი ჯარიმების, ციხეში ჩასმის სახით და ა. შ, სრულიად არათანაბარია, მაგრამ თავიანთი... უზოგადესი თვისების მიხედვით... ისინი ურთიერთშედარებადია... „.[433] „უზოგადესი თვისების მიხედვით" ნიშნავს, რომ დანაშაულიც და სასჯელიც წარმოაგენენ სუბსტანციური კანონზომიერების შემადგენელს. მათ შორის იშლება მოჩვენებითი განსხვავება, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკაში ვირტუალურად წარმოდგენილია.

სასჯელისა და დანაშაულის ერთიანი ბუნების ძიების ამოცანა

---

429 Г. Гегель (1990), Философия права, М, Мысль, с. 138

430 ეს მიდგომა საფუძვლიანად გააკრიტიკა ბრაზილიელმა პოლიტოლოგმა ფ.რეზენდემ (დაწვრილებით იხ.: F. Rezende (2009), Analytical challenges for neo-institutional theories of institutional change in comparative political science, Braz. political sci. rev. vol.4 no.se Rio de Janeiro (http://socialsciences.scielo.org/pdf/s_bpsr/v4nse/a08.pdf)

431 Г. Гегель (1990), Философия права, М, Мысль, с 147.

432 იხ. იქვე. გვ. 414

433 იხ. იქვე, გვ. 150.

იურიდიული აზროვნების შესაძლებლობებს აღემატება, რამეთუ იურისტი აზროვნებს განსჯის კატეგორიებით. როგორც ავღნიშნეთ, მისთვის ფორმალური საერთო არის არსი. ამიტომ „განსჯის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მას (იურისტს – გ. თ.) ცალმხრივი განსაზღვრა აჰყავს ერთადერთისა და უზენაესის რანგში".[434] თუკი სასჯელსა და დანაშაულს სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის მხრიდან შევხედავთ, მაშინ ისინი მოცემულია როგორც დანაშაულობისადმი სახელმწიფოს მიმართების ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტები: დანაშაულობა უარყოფს სახელმწიფოს ნებას, ხოლო თავად სახელმწიფო სასჯელის გამოყენებით დანაშაულის უარყოფას იწყებს. ზედაპირზე სწორედ ასე მოჩანს. განმსჯელობის მეშვეობით, უფრო ზუსტად კი სამყაროს იურიდიულად გაწვრთნილი აღქმის მეშვეობით დანაშაულობის საიდუმლოს გამოცნობას კრიმინოლოგია ვერ შესძლებს, რადგან მეცნიერებას არასდროს ძალუძს დაეყრდნოს ნებსით კავშირებზე, რომლებიც გონისთვის ზღვარს წარმოადგენენ (იხ. განმარტება 8). სწორედ იურისტის აზროვნებაში სამართალი და დანაშაული მოცემულია ბარიკადის სხვადასხვა მხარეს. მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ იქნება გაგებული სასჯელის ბუნებაც. ამასთან დაკავშირებით ჰეგელი გვაფრთხილებს: „თუკი ... ნამდვილი კავშირი დანაშაულსა და მის მოსპობას შორის შემეცნებული არ არის, მაშინ შეიძლება იქამდე მივიდეთ, რომ ნამდვილ სასჯელში დავინახოთ ბოროტების მხოლოდ ნებსითი კავშირი აკრძალულ ქმედებასთან".[435]

თუკი დასასრულამდე მივიყვანთ ძველი ბერძნების მიერ დასმული და ჰეგელის მიერ გაგრძელებული არსობრიობის წვდომის ლოგიკური პრობლემის გადაწყვეტას, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის დონეზე ანუ დანაშაულობისადმი სახელმწიფოს მიმართების დონეზე, შეუძლებელია დადგინდეს იგივეობა დანაშაულსა და სასჯელს შორის, რამეთუ ამ კატეგორიალურ გარსში ისინი ერთმანეთს უარყოფენ. ეს ნიშნავს, რომ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის დონეზე ვერ ჩანს მათი „ნამდვილი კავშირი".

ამავე დროს, რაკი მსოფლიოს რიგ ქვეყნებში შეინიშნება ერთურთისაგან დამოუკიდებელი განვითარება დანაშაულთა რიცხვისა და პატიმართა რაოდენობისა, ამდენად, გამოდის, რომ სრულდება

434 Г. Гегель (1972), Кто мыслит абстрактно, Работы разных лет. В двух томах, т. 1, М, Мысль, с . 71

435 Г. Гегель (1990), Философия права, М, Мысль, с. 150

დანაშაულობისადმი სახელმწიფოს მიმართებაში უხილავი პირობა – აუცილებელი კავშირის არსებობის პირობა იმ მოვლენებს შორის, რომლებიც არ წარმოადგენენ არც დანაშაულს, არც სასჯელს, თუმცა კი სწორედ ამ იურიდიული ფორმებით არსებობენ. მაშასადამე, თუ დანაშაულობა მერყეობს პატიმართა რაოდენობისდა მიუხედავად, მაშინ გამოდის, რომ არ არსებობს რაიმე მიზეზობრივი კავშირი მათ შორის.[436] გამოდის, რომ სახელმწიფო სადამსჯელო რეაქციას დანაშაულობაზე მიმართავს დანაშაულობისაგან დამოუკიდებლად. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც ნებისმიერ იურისტს გააკვირვებდა. აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში დანაშაული არ არის სასხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, ხოლო ეს უკანასკნელი, საეჭვოა, რომ შეფასდეს სახელმწიფოს საპასუხო რეაქციად, რომელიც იურისტთა ხედვით, განპირობებული უნდა იყოს დანაშაულის „ფაქტით".[437] „დანაშაულიც" და „სასჯელიც", თუკი ჰეგელს მივყვებით, აღმოჩნდებიან „გარეგან ფორმებად" იმ „არსებობისა, რომელსაც ისინი ფლობენ", მაგრამ რომელიც არ ჩანს სამართლებრივ პოლიტიკაში (იხ. განმარტება 9).

სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა. მთელი სისხლის სამართალი – განმსჯელობითი აღქმის გადაბრუნებული სამყაროა, აგებული ფეტიშზე. ამით იგი განსხვავდება კრიმინოლოგიისაგან, რომლისათვისაც აზროვნების სივრცე სწორედ გონით იხსნება. შევეცადოთ დავარწმუნოთ ამაში მკითხველი.

ჰეგელის შემდეგ კვლავ ძველ ბერძნებს რომ მივუბრუნდეთ და ზოგადი დასკვნის განვითარება ვცადოთ, ფუნდამენტური აღმოჩენის წინაშე დავდგებით, რომელიც დღემდე უცნობია ემპირიული კრიმინოლოგიისათვის. ეკონომიკური კრიზისები ხელს უწყობენ იმ ტრანსცენდენტურის გამომჟღავნებას, რომელიც მოცემულია დანაშაულთა გრძნობადი ფორმების მიღმა, მაგრამ იმავდროულად მო-

436 ამ დასკვნამდე მიდის მთელი რიგი მეცნიერებისა: S. Cameron (1988), The Economics of Crime Deterrence: A Survey of Theory and Evidence, 41 Kyklos, 301–323; H. Albrecht (2013). Sentencing in Germany – Explaining Long Term Stability in the Structure of Criminal Sanctions and Sentencing, Law and Contemporary Problems, p. 211–236, ets.

437 პატიმართა და დანაშაულობის კოეფიციენტების კორელაციის არარსებობის ანალიზის შედეგად გერმანელი მეცნიერი ჰ.ალბრეხტი მიდის დასკვნამდე, რომ სასჯელი დანაშაულით არ აიხსნება (H. Albrecht (2013). Sentencing in Germany – Explaining Long Term Stability in the Structure of Criminal Sanctions and Sentencing, Law and Contemporary Problems, p. 211–236).

ცემულია სწორედ მათში და ამდენად, ტრანსცედენტურად წარმოსდგება მოსახლეობის მცდელობა დასძლიოს არსებობის პირობების გაუარესება, რომლის ეკონომიის ხარჯზე უნდა ამაღლდეს საერთო მოგების ნორმა.

მაგრამ მაშინ დანაშაულობის გაზომვის საკითხი ახალი კუთხით წარმოსდგება. „დანაშაულის სისტემაში" ჩვენ საქმე გვაქვს დანაშაულის კონკრეტულ ამსრულებელთან, ბრალეულ პირთან. მაშასადამე, სამართალებრივ ურთიერთობაში დანაშაულის არსის ნამდვილ განმსაზღვრელად წარმოგვიდგება არა მრავალი ათასის მისწრაფება გადალახონ არსებობის პირობების გაუარესება, არამედ სახელმწიფო რეაქცია ასეთი დაძლევის მცდელობაზე. ამრიგად, ფილოსოფიის ენით რომ ვთქვათ, გაუცხოებული პირის გადაქცევა დამნაშავე პირად წარმოადგენს სახელმწიფო იძულების ტიპიურ გამოხატულებას. ამიტომ სახელმწიფოსათვის გაუცხოების მოხსნა იზომება კანონმორჩილებით, კანონდარღვევათა შემცირებით, უბრალოდ რომ ვთქვათ, გაუცხოების რიგებში დაბრუნებით.[438] მაშინ, როდესაც საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის გაუცხოების მოხსნა იზომება ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიხედვით, ადამიანთა გაუცხოების, საზოგადოების ინდივიდებთან, როგორც უცხო ძალასთან, დაპირისპირების შემცირებით (იხ. განმარტება 10).

ამრიგად, დანაშაულობის გაზომვის ჰეგელის მეთოდს მეტად პრაქტიკულ პრობლემამდე მივყავართ. თუ დანაშაულობა არსობრიობის ხილვადი სახეა, მოჩვენებითობაა, მაშინ იგი იმ საშუალებით უნდა იზომებოდეს, რომელიც მისი ნამდვილი არსობრიობის საზომს შეადგენს. ასეთ შინაგან საზომად წარმოსდგება მოსახლეობის არსებობის პირობების გაუმჯობესება.

მაგრამ მაინც რას ასახავს დანაშაულთა რაოდენობა? სახელმწიფო სტრუქტურები დანაშაულზე დაკვირვებისას ხომ სწორედ მათ რაოდენობას ითვალისწინებენ და არა – შინაგან საზომს. „დანაშაულს – წერდა ჰეგელი, – აქვს განსაზღვრული თვისობრივი და რაოდენო-

438 აშშ-ში თეთრკანიან მსჯავრდებულებთან შედარებით აფრო–ამერიკელი მსჯავრდებულები უარს ამბობენ პირობითი მსჯავრის შემთხვევაში გამოსაცდელ ვადაზე. მიზეზად ასახელებენ რესოციალიზაციის პირობების შესრულების სირთულეებს. როგორც აღნიშნავენ მკვლევარები, სამწუხაროდ გამოკითხულთა უმრავლესობა გაკვრით ეხება იმ სისასტიკესა და გაუცხოებას, რომელიც „თავისუფლებაზე" მათ ელით როგორ სოციალურად დაუცველ ინდივიდებს (P.Wood and D. ay (2003), Racial Differences in Perceptions of the Severity of Sanctions: A Comparison of Prison with Alternatives. Justice Quarterly, 20(3), 605–631)

ბრივი მოცულობა და ამით – მის უარყოფასაც (სასჯელს, როგორც სახელმწიფოს რეაქციას – გ. თ.), გააჩნია ასეთივე „მოცულობა“.[439] დანაშაულთა „რაოდენობრივი მოცულობა“ არის „არსის მოჩვენებითობა“, რაც წარმოდგენილია დანაშაულთა რიცხვის სახით. აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოება ზომავს დანაშაულობას მოსახლეობის პირობების ცვალებადობით, ხოლო სახელმწიფო – დანაშაულთა რიცხვით. ამრიგად, ჩვენ ორი საზომი გვაქვს: გარეგანი საზომი – დანაშაულის რაოდენობა, რომელსაც სახელმწიფო დაწესებულებები იყენებენ, და დაფარული შინაგანი საზომი – მოსახლეობის არსებობის პირობების გაუმჯობესება. კრიმინომეტრიის საფუძვლების შემუშავებისას აღნიშნულ დებულებას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როცა დანაშაულობის სტატისტიკით აპელირებენ, ამავე დროს მხედველობიდან რჩებათ, რომ სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის ან შემცირების ნამდვილი სიდიდე არასაკმარისად ნათლად და სრულად აისახება დანაშაულთა რიცხობრივ გამოხატულებაში. დანაშაულთა რიცხვი შეიძლება იყოს სოციალურ წინააღმდეგობათა, ცხოვრების პირობების გაუარესების და სხვა ნეგატიური პროცესების სიდიდის მაჩვენებელი, ე. ი. მოსახლეობის დამოკიდებულების მაჩვენებელი საკუთარი მდგომარეობის გამაუარესებელ მოვლენათა მიმართ. მაგრამ აქედან არ უნდა გამომდინარეობდეს საპირისპირო დებულება, რომ დანაშაულთა რიცხვი აუცილებლად უნდა იყოს სოციალურ წინააღმდეგობათა სიდიდის მაჩვენებელი, როგორც ეს დანაშაულთა სტატისტიკიდან ჩანს.[440] უფრო მეტიც, მსგავსი დამთხვევა რეალობაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რამეთუ, საბოლოო ანგარიშში, სოციალურ წინააღმდეგობათა სიდიდე არაა დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა იგი დანაშაულთა დიდ ან მცირე რაოდენობაში. თუმცა დანაშაულთა სტატისტიკა ამ ფაქტს მიახლოებით ასახავს.[441]

ახლა იმ მეტამორფოზას მივუბრუნდეთ, რომელიც სასჯელს

---

439 Г. Гегель (1990), Философия права, М, Мысль», с. 149

440 დანაშაულობის ცვალებადობის აღსნის პრობლემების შესახებ იხ.: A. Blumstein and R. Rosenfeld (2008), actors Contributing to U.S. Crime Trends, Understanding Crime Trends: Workshop Report, pp. 13–39

441 აღნიშნული თემატიკა განხილულია ნაშრომში: თოდრია გ. (2009), რეცეფციის პრობლემა კრიმინოლოგიაში, სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“,თბ.

ემართება. სახელმწიფო იმ მომენტიდან იწყებს ბძოლას დანაშაულობასთან, როცა თავად იგი, დანაშაულობის გენეზისის საშუალებად ინყებს ფუნქციონირებას. ნორმატიულად გაამაყარებს რა კაპიტალის დაგროვების პირობებს, იგი იმავდროულად ჩუმად უშვებს არსებობის პირობების გაუარესებას, როგორც კაპიტალის განვითარების ელემენტს. ეს ნიშნავს, რომ, ჯერ-ერთი, ბრძოლას დანაშაულობასთან, როგორც არსებობის პირობების გაუარესების უარყოფასთან, სახელმწიფო იწყებს იმ შემთხვევაში, თუკი ამ გაუარესებაში იგი თავად მონაწილეობდა; მეორეს მხრივ, ათავსებს რა მოსახლეობის ნაწილს ციხეებში, ამით სახელმწიფო, საეჭვოა, რომ ზრდიდეს კაპიტალის დანახარჯებს, რაც ხშირად აშინებს ლიბერალურად განწყობილ ობივატელს. პირიქით, ამ აქტით კაპიტალისტური სახელმწიფო ისწრაფის დაარეგულიროს შრომის ბაზარი, რითაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მოთხოვნილების გადანაწილებას ახდენს.[442] ზედაპირულად კი ისე მოჩანს, თითქოს დანაშაულობის ზრდა საზოგადოებაში ხდება სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად, რომ თითქოს იგი პირისპირ აღმოჩნდა დანაშაულობასთან, რომელიც ქვეყანას სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე მოევლინა.

ამრიგად, დანაშაულისა და სასჯელის იგივეობა მიღწეულია, და მიღწეულია არა რომელილაც განყენებული იდეების სამყაროში, როგორც ამას ნეოკანტიანელები ჰგონებენ, არამედ რეალურად, კაპიტალის დაგროვების – კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კანონის თვით პროცესით. დანაშაულიცა და სასჯელიც თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში კაპიტალის დაგროვების შემადგენელი ხდებიან. ასე ხდება ცხოვრების მიერ დანაშაულისა და სასჯელის იგივეობის ფორმულის ამოხსნა, რომელიც წინასწარ გამოიცნო ჰეგელმა.

დიდ მოაზროვნეთა რჩევები კეთილ სურვილებადვე რჩება. პრაქტიკულად კი საქართველოში თანამედროვე კრიმინოლოგთა უმრავლესობა მათ არ ითვალისწინებს და ამაში „ბოროტი წვლილი" მიუძღვის იმ სცენარს, რომლის მიხედვითაც ჩვენს საზოგადოებაში დიდად ფასდება „მოჩვენებითი სიცხადის მყუდრო მდგომარეობის ყოფიერება" (მ. ჰაიდეგერი). ასე ადვილია ცხოვრება და სწავლება ობივატელურად მოაზროვნე პროფესურისათვის ამ ცვალებად

442 დაწვრ. იხილე: D. elossi (1993), Gazette of morality and social whip: Punishmen the gemony and thecase of the USA, 1970–1992. Social and Legal Studies.Vol 2, Issue 3, გვ. 260–263

მსოფლიოში, მაგრამ ბევრად უფრო ძნელია მისი ნამდვილი არსის დანახვა, რადგან ამ „ფსევდომასწავლებლებს“ სჯერათ მარტო ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც, წმინდა იოანეს ქადაგების საწინააღმდეგოდ, ჩვენ ვერ გაგვანთავისუფლებს. და მაინც, მიუხედავად ამისა, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ინტელექტუალური გამოცდილება საშუალებას გვაძლევს გადავწიოთ ფარდა და უშუალოდ შევუდგეთ კრიმინოლოგიაში მოჩვენებითი აზროვნების პრობლემის გადაწყვეტას.

4.4. დამკვირვებლის სოციალური მდგომარეობა და მისი აზროვნების თავისებურება

ანალიზის ობიექტურობისათვის უნდა გვახსოვდეს გერმანელი სოციოლოგის ნ.ლუმანის რჩევა, რომ ნებისმიერი სისტემის კვლევისას უნდა ვითვალისწინებდეთ „დამკვირვებლის პერსპექტივას“, ანუ უნდა ვიცოდეთ ის პლატფორმა, რომელზეც ის დგას და რომლიდანაც აკვირდება საზოგადოების მთელს სისტემას. როგორც მან აღნიშნა, დამკვირვებელი ზევიდან არ აკვირდება რეალობას, ის თავად წარმოადგენს ამ რეალობის სიბიექტს, მის ოპერაციას.[443] ამ შენიშვნას გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რატომ არ გამოდგება იურისტი კრიმინოლოგიური პრობლემატიკის დამკვირვებლად.

საზოგადოებისადმი გაუცხოებული დამოკიდებულების დანერგვას ქართველ იურისტთა აზროვნებაში ხელს უწყობს მათი სოციალური მდგომარეობა. ჯერ ერთი, ნიჰილიზმის სიტუაცია საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში, რომელიც გათიშულობის, სიღატაკისა და განწირულობის პირობებში ცხოვრობს, აიძულებს მას დაკმაყოფილდეს სოციალური ცხოვრების ცალკეული, ნაწყვეტ–ნაწყვეტ გაბნეული ფაქტების ხილვით.[444] მეორე კი, ეს სიტუაცია აუცხოებს იურისტს საზოგადოების სიღრმეში მამოძრავებელი კანონზომიერებების ძიებისაგან. შემეცნების აღნიშნული მდგომარეობა თავისებურ ასახვას პოულობს როგორც კრიმინილიგიაში, ასევე სამართალშიც. ძლიერდება სუბიექტივიზმი: კრიმინოლოგიაში ფაქტორების ემპირი-

443 Н. Луман (2007), Социальные системы. Очерк общей теории (Персвод с немецкого), СПб, Наука, с. 344

444 გ. თოდრია (2008), სამართლედრივი ნიჰილიზმი თანამედროვე კრიმინოლოგიაში, სამეცნიერო შრომების კრებული, თეუსუ, თბ, „მერიდიანი“, გვ.273–287

ული აღწერისა და საეჭვო კლასიფიკაციების სახით, ხოლო სამართლის დარგებში – „ლოგიციზმის“ გაძლიერებით.

იურისტები, როგორც მოსახლეობის ამ ფენებიდან გამოსულნი, რაკი თავიანთი ქვეყნის რეალურ ცხოვრებაში ვერ პოულობენ დასაყრდენს, სხვა ხალხთა მსოფლგაგებაში, მათ კულტურაში ეძებენ მას. ამასთან, ეს აღქმა არაკრიტიკულია, მათი ცნობიერება – „საწყალობელი ცნობიერებაა“ (Unglückliche Bewußtsein – ჰეგელი), საქართველოში ყოფიერების უპერსპექტივობაზე დამოკიდებული.

ამ აზროვნებაში იურისტი-კრიმინოლოგისათვის ჰეგელის მეთოდი – თავის ტკივილია. მისი ფილოსოფია ხომ ბიძგს იძლევა „ჯერარსობის“ რომელიღაც რეალური მიზეზების დასადგენათ, საზოგადოების სიღრმისეული ფაქტორების მტანჯველი ძიებისათვის, რისთვისაც იურიდიულ სწავლაში არ არის შესაბამისი სამეცნიერო მოთხოვნა, რადგან იურიდიული აზროვნებისათვის დოგმატიკასთან შედარებით სოციალური დარგებისა და ფილოსოფიის თემატიკა ატარებს მარტო დამხმარე ხასიათს. ამის გარდა გასათვალისწინებელია კიდევ სხვა გარემოებებიც.

ჯერჯერობით იურისტთა აზროვნებაში შენარჩუნებულია ტოტალიტარული სახელწიფოს გადმონაშთი – კრიმინოლოგია განიხილება როგორც დარგი, რომელიც წარმოიშვა სისხლის სამართლიდან[445] და ამიტომ, როგორც მიაჩნიათ კრიმინოლოგიაში დაცულ დისერტაციებში, დანაშაულობის ფაქტორული ანალიზის (ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, მეგობრებთან უთიერთობის, დაზარალებულთა პიროვნების და ა.შ.) შემდეგ გამოკვლევა აუცილებლად უნდა დასრულდეს სისხლის სამართლის ნორმის „შექმნის“ ან „რედაქციის“ რეკომენდაციით. იურიდიულ ფაკულტეტებზე არსებული კრიმინოლოგიური სწავლა შენარჩუნებულია ამ პრიმიტიული აზროვნების ფარგლებში.

საყურადღებოა, რომ ემპირიულ კრიმინოლოგიაში ნებისმიერ სამართლის დოქტორს უნივერსიტეტებში „ურიგდება“ სასწავლო საათები კრიმინოლოგიაში იმისდა მიუხედავათ, რომ მას არ გააჩნია კრიმინოლიგიის ფუნდამენტური საფუძვლების აკადემირი ცოდნა. სასაცილოა, რომ ამ დონის იურისტს მოსთხოვო, მაგალითად, ნორმატივიზმის კრიტიკული ანალიზის მეთოდის ცოდნა, რომელიც შე-

445 როგორც ჩვენ ავღნიშნეთ, ამ დონის აზროვნება უფრო უახლოვდება მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოების აზროვნებას, რომელიც აიგება არაეკონომიკური იძულების საფუძველზე.

მუშავებულია არისტოტელეს მიერ, ან ჰეგელის ფილოსოფიის ცოდნა სამართლის გარდასახვითი ფორმების დადგენისათვის, თანამედროვე ეკონომიკაში საერთო მოგების ნორმის ცვლილებებთან სისხლის სამართლის პოლიტიკის ტრანსაქციური დანახარჯების კავშირის ანდა სოციალური სტრუქტურის ანალიზის ცოდნა და ა.შ. ამ საბასიზო დონის სოციოლოგიური ან ეკონომიკური განათლება მას არ გააჩნია და იურიდიული საგნების შესწავლისათვის არც სჭირდება.

სამწუხაროდ უარეს მდგომარეობაშია კრიმინოლოგთა ანალიტიკური უნარ-ჩვევები, რასაც ხელს უწყობენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სასწავლო კურსები, რომ არაფერი ვთქვათ ფილოსოფიური ან მათემატიკური მოდელირების უნარებზე, რისი მოთხოვნა საერთოდ არ არის. აი, ამიტომაა, რომ საქართველოში ფუნდამენტური კრიმინოლოგია იურიდიულ ფაკულტეტებზე არ ვითარდება და ვერც განვითარდება.

მაგრამ მისაღებია ემპირიული კრიმინოლოგია, რომელიც თავისი არაკრიტიკული მიმართულებით, ბუნდოვანი და მიამიტური დასკვნებით მეტად ხელსაყრელია ნებისმიერი ხელისუფლებისათვის ორი მიზეზის გამო: 1) კრიმინოლოგიური „დასკვნები" გამოიყენება მარტო საილუსტრაციო მასალად ხელსაყრელი სახელმწიფო პოლიტიკის დასაბუთებისათვის და კოსმეტიკური შელამაზებისათვის და 2) კრიმინოლოგთა უვიცობა ვერ უპირსპიდება სახელმწიფო ორგანოების თვითნებობას, არ ძალუძს გადადგას მათ მიმართ რადიკალური ნაბიჯი და ამ გაგებით ბიუროკრატიული სამყაროსათვის საშიშროებას არ წარმოადგენს.[446]

მოკლედ, ამ დონის კრიმინოლოგია სავსებით მისაღებია იურიდიული წრისათვის, რომლისათვის დანაშაულობის შემეცნებაში მარტო სახელმწიფოს პოლიტიკაა ათვლის წერტილი და არა საზოგადოება – ის სამყარო, რომელიც აღიქმება როგორც შემთხვევითი ეპიზოდების კონგლომერატი. ასეთია ქართველ ახალგაზრდობაში ჩლუნგი ე.წ. „კრიმინოლოგიური" აზროვნების შენარჩუნების მწარე სინამდვილე.

---

446 დევიანტოლიგიის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ კრიმინოლოგიის ამ „მონურ" მდგომარეობაზე, იხ. P. Hillyard, S. Tombs (2004), Beyond criminology? (Edited by P. Hillyard, C. Pantazis, S.Tombs and D.Gordon), Beyond Criminology: Taking Harm Seriously, London: Pluto Press, pp. 10–28

ხოლო დოგმატურ დისციპლინებში ლოგიციზმი სწორედაც რომ მისწრებაა. სისხლის სამართლის თეორიაში იურიდიული ანალიზი კმაყოფილდება ძიებებით დოგმატიკის უღრან ტევრებში. „პრაქტიკული გონი" მშვიდდება ამ ვიწრო იურიდიულ აქტიურობაში. სავსებით საკმარისია, რომ მზადდება კანონთა სხვადასხვა პროექტები, მათი კომენტარები, იწერება სხვადასხვა წიგნები კაზუსების გადასაწყვეტად და მისთ. ხოლო ის საკითხი, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს სამართალი და როგორ იყენებს მას სახელმწიფო მოსახლეობის უბადრუკი მდგომარეობის კიდევ უფრო დასამძიმებლად – ეს ახსნას არ ექვემდებარება. იურისტს ხომ სწორედ დოგმატიკის ლოგიკური კანონები აინტერესებს[447] და არა სოციალური კანონები, რამეთუ იგი საკუთარ თავს სახელმწიფო სამსახურისათვის ამზადებს და „აღმერთებს" სამართლის განყენებულ იდეას. მისთვის წესრიგი მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებაში სუფევს,[448] ხოლო საზოგადოებაში ქაოსია, და როგორც მოჩანს, მასში არ არის „ჯერარსის" ადგილი. და აკი თვით პოზიტიური სამართლის ბუნებაც ხაზს უსვამს მსგავსი ილუზიის „სამართლიანობას".

სავალალო მდგომარეობაა პრაქტიკოსი იურისტის აზროვნებაშიც. ქვეყნები, სადაც გაბატონებულია სამართლის რომანულ-გერმანული სისტემა, ვერ უმკლავდებიან საერთო სამართლის სისტემას, რომელიც ასახავს მძლავრი რესურსების მქონე განვითარებული ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.) ეკონომიკას. მსოფლიოს უნივერსიტეტებში სულ უფრო ხორციელდება იურიდიული სწავ-

---

447 სამართლის ნეოკანტიანურ ინტერპრეტაციას არ შეუძლია გადალახოს სამართლის მიზნისა და მისი ძირითადი ხერხის წინააღმდეგობა. სამართლის იდეა, როგორც მიზანი ასახავს სასურველ „კანონს" (de lege ferenda), ხოლო დოგმატიკა ანუ ლოგიკური მეთოდი არ სცილდება რეალურად არსებულ ნორმატიულ მასალას (de lege lata). როგორც ტრანსცენტალური დედუქციის ანალიზმა გვიჩვენა, სამართლის ძირითადი ღერძია – სამართლის კონკრეტული დარგების ლოგიკა, რომელიც მიღებული პრინციპიდან აპრიორულად აიგება ამ დარგში. ამით სამართლის დარგის ლოგიკა უარყოფს „სამართლის იდეას". როგორც კარლ რისენხუბერი აღნიშნავს, სისტემური მიდგომა ან დოგმატიკა, როგორც მას ასახელებენ გერმანელი იურისტები, ექვემდებარება პრინციპს de lege lata (მოქმედი კანონი) და არა de lege ferenda (სასურველი „კანონი") (K. Riesenhuber (2011), English common law versus German Systemdenken? Internal versus external approaches, Utrecht Law Review, Vol. 7, N. 1, p.118)

448 როგორც ჩვენ ავღნიშნეთ, ამ უკუღმართი ხედვის ნაყოფია მართლწესრიგის მუდმივ უცვლელ სიდიდედ გამოცხადება, ხოლო უმართლობის – სიდიდედ, რომლის ცვალებადობა შემთხვევითი ინდივიდისაგან არის დამოკიდებული.

ლების „ამერიკანიზაცია“.[449] ამ მსოფლმხედველობის გავლენით, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საერთაშორისო აქტები ნერგავენ კაზუისტური ხასიათის ნორმებს. ზუსტი დეფინიციური აღწერის მაგივრად თავს იჩენს ემპირიული აღწერა (მაგალითად ტერორისტული აქტის, რეკეტის შესახებ ნორმა და ა.შ.). იურიდიული პირის პასუხისმგებლობის და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტებით უკუკგდებულია ბრალის პრინციპი. სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურა სულ უფრო ფუვდება შემთხვევითობით დასაბუთებული ე.წ. სპეციალური შემადგენლობებით. მეტად ბუნდოვანია და პრქტიკულად საეჭვოა ქმედების ერთობლიობის „მოდიფიცირებული“ ინსტიტუტი, ბუნდოვანია არაერთგზისობის და რეციდივის კონსტრუქტები და ა.შ. პიროვნების საშიშროების ინსტიტუტის საფუძველზე ნელნელა იცვლება კანონიერების პრინციპი და ვითარდება აქტუარული მართლმსაჯულება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (№1/1/428,447,459, 13.05.2009) ხელშეწყობით ინერგება ახალი კანონის რეტროაქტუალობის ინსტიტუტი და ა.შ.

ამრიგად, პრაქტიკაში ფეხს იკიდებს დაბნეული მსოფლმხედველობა, „როცა თვითონ სამართლის მქმნელმა არ იცის ენა იმ ერისა, რომელსაც უსამართლებს“ (ილია ჭავჭავაძე). სახეზეა იურიდიული აზროვნების წინააღმდეგობრივი განვითარება. სისხლის სამართლის თეორიის სფეროში ძლირდება მართლწესრიგის გაგების ნეოკანტიანური მოდელი, რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული დოგმატიკის ლოგიციზმი უაზრო აბსტრაგირების და ცხოვრებას მოწყვეტილ კონსტრუქციების სახით. ხოლო სახელმწიფო ორგანოების პრაქტიკის სფეროში ნელ-ნელა ვითარდება საპირისპირო ტენდენცია – ინერგება საერთო სამართლის (Common Law) მოდელი, რომელიც აიგება „უხეში ემპირიზმის“ საფუძველზე მიღებულ ცოდნაზე, რაც, როგორც იტყოდა ცნობილი ფილოსოფოსი გ.თევზაძე, „საყოველთაო და აუცილებელი დებულების დადგენის საშუალებას არ იძლევა“.[450]

---

449 სამართლის აღნიშნული ტენდენცია განხილულია: W. Wiegand (1996), Americanization of Law: Reception or Convergence? in Legal Culture and Legal Profession, ed. by L. riedman and H.Sheiber, Boulder, Colo.: Westvier Press, p. 139–140.
450 თევზაძე. გ. (2009), „ჯონ ლოკი“, ახალი დროის ფილოსოფიის ისტორია, თბილისი

4.5. დასკვნა

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ ჩამოვთვლით იმ ძირითად მეტათეორიულ წანამძღვრებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ფუნდამენტური კრიმინოლოგიის განვითარება და ამის შედეგად დანაშაულობის საიდუმლოების ამოხსნა:

1) პლატონის მოდელი: დანაშაულთა ზოგადი არ არის მოცემული გრძნობიესმიერი ცვალებადი სამყაროს (მკვლელობების, ქურდობების, გაუპატიურებების, თაღლითობების და მისთ.) სახით, იგი მოცემულია მათში, იგი მოძრაობს მათში, მაგრამ ზედაპირზე არ მოჩანს;

2) არისტოტელეს მოდელი: დანაშაულთა ეს უხილავი ზოგადი არის სავსებით განსაკუთრებული (განცალკევებული) საგნის გენეტიკური ფუნქცია, რომელიც მოცემულია როგორც რაღაც განსაკუთრებული მოვლენა და როგორც საფუძველთა საფუძველი. ამიტომ დანაშაულობის ცნების საკითხი წყდება დანაშაულობის მიზეზის სფეროში და არა დანაშაულობის აღწერის ფარგლებში;

3) თეოლოგიური მოდელი: დღემდე გაოცებას იწვევს, რა კავშირშია ძველი ბერძნების ტრანსცედენტურის კვლევის მიგნებები და სუბსტანციური რეფლექსიის აღმოჩენა, რომელიც „ახალ აღთქმაში" ტრანსცენდენტურის პრობლემის გადაწყვეტას დაედო საფუძვლად. კაცობრიობის აზროვნების ბევრი საკითხი ისტორიული ბინდით არის დაფარული. მაგრამ ერთი რამ ნათელია: ტრანსცენდენტურის სიღრმისეული გაგება იმდენად სწორი აღმოჩნდა, რომ კაცობრიობის მიერ ქრისტიანულ რელიგიაში იგი იყო აღიარებული, როგორც სწორი აზროვნების წესი, როგორც კოსმოგონიური მსოფლმხედველობა;

4) ჰეგელის მოდელი: დანაშაულთა ეს უხილავი ზოგადი ვლინდება ზედაპირზე პარამორფოზის სახით, როდესაც ხდება დანაშაულობის არსებითი ნიშნების ჩანაცვლება იმ ფორმით, რომელიც ხილვადია დანაშაულობისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებაში. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკის სფეროში გაუცხოების ობიექტიდან ინდივიდი უნდა გადაიქცეს ბრალეულ პირად ანუ გაუცხოების სუბიექტად, ხოლო – სახელმწიფო გაუცხოების სუბიექტიდან უნდა გადაიქცეს გაუცხოების ობიექტად. ამრიგად სამართალი სახელმწიფოსა და დანაშაულობის რეალურ კავშირს ვერ ანათებს. ამ ფეტიშის ზეგავლენის გამო იურისტები ხედავენ სამართლისა და დანა-

შაულთა განსხვავებას და არა მათ სიღრმისეულ კავშირს. ამრიგად, დანაშაულობის აბსტრაგირების დროს ჩვენ უნდა გავცდეთ დანაშაულობისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების სფეროს და ათვლის წერტილად საზოგადოების გულის ტკივილი გამოვაცხადოთ.

4.6. განმარტებები

განმარტება 1. კრიმინოლოგიის ისტორიის აღწერისას კრიმინოლოგები, როგორც წესი, მიმართავენ თეორიული მიმართულებების ისტორიული თანმიმდევრობის გაშუქებას, რაც არ პასუხობს მსოფლმხედველობის კვლევის მოთხოვნებს. დანაშაულობის შემეცნების საზღვრები განპირობებულია საზოგადოების არაეკონომიკური და ეკონომიკური იძულების ისტორიული განვითარებით. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დანაშაულობის ასახვის სახელმწიფოებრივ ფორმას უკავია. და ეს შემთხვევითი არ არის. სახელმწიფოს დამოკიდებულება დანაშაულობის მიმართ არის ის ირიბი საშუალება, რომლის მეშვეობით ვლინდება დანაშაულობის საზოგადოებრივი ფორმა. ამიტომ კრიმინოლოგიის ევოლუციის აღწერის კრიტერიუმი დანაშაულობისადმი სხელმწიფო დამოკიდებულების ისტორიული ფორმაა. ამ მიმართულებით გამოვყოფ კრიმინოლოგიური აზროვნების სამ ფორმას: 1) პრიმალურ ფორმას, 2) დუალისტურ ფორმას და 3) სოციალურ ფორმას.

დანაშაულობის სახელმწიფოებრივი ასახვის პირველ (პრიმალურ) ისტორიულ ფორმად ავტორიტარული ფორმა გვევლინება. იგი ფიქსირდება, ჰეგელის სიტყვებს თუ მოვიყვანთ, „ტოტალურობის ველური თარეშის“ პერიოდში, როდესაც სოციალური წინააღმდეგობების პროცესი ვლინდება სამართალურთიერთობის იმ ფორმაში, სადაც სახელმწიფოებრივი იძულება არაეკონომიკურ ხასიათს ატარებს: სახელმწიფოებრივი დიკტატი გვევლინება მითვისების არსებით საშუალებად.

წარმოდგენა იმის შესახებ, რომ კრიმინოლოგია წარმოიშვა სისხლის სამართლიდან ემყარება ილუზიას, რომელიც იმ ისტორიულ პერიოდში ვითარდება როდესაც საზოგადოების გაგების პრეროგატივა მიეკუთვნებოდა მარტო სახელმწიფოს მსახურს, რადგან მიაჩნდათ, რომ „ბრბოს“ საზოგადოების შემეცნების უნარი არ გააჩნია. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, დღემდე ამგვარი ილუზია, როგორც მსოფლმხედველობის არქაიზმი, შენარჩუნებუ-

ლია იურიდიული ფაკულტეტების სასწავლო კურსებში. გასაოცარია, ერი, რომელიც ევროპისკენ მიისწრაფვის, დარჩა მონათფლობელური საზოგადოების აზროვნების დონეზე იურისტების მიერ „შექმნილ“ კრიმინოლოგიაში.

კონცეფცია, რომლის თანახმად კრიმინოლოგია სამრთლის დარგებს მიეკუთვნება, უგულველყოფს ისტორიის ლოგიკას და ამის გამო მასში არ ჩანს პრიმალური ფორმის თავისებურება და მის ფარგლებში დანაშაულობაზე არსებული წარმოდგენის ნაკლი. ისტორიის ამ ეტაპზე სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ასე ვთქვათ, ტოლობის ნიშანი დაისმის. „ნორმისგან“ ნებისმიერი გადახრა მიიჩნევა ცალკეული ინდივიდის თვითნებობად. დანაშაულის მიზეზი მხოლოდ მასში ბუდობს. არსებობს მხოლოდ ინდივიდი და სახელმწიფო, ხოლო საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე ფაქტობრივად არ არსებობს. გაუგებარია, რა კანონზომიერება განაპირობებს სოციალურ პროცესებს და საზოგადოებას ხელისუფლების გადაწყვეტილებათა ცვლილებებში რა როლი ენიჭება. უკვე ისტორიის ამ საფეხურის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეუძლებელია სახელმწიფოს პოლიტიკის ჩარჩოში დანაშაულობის მიზეზების ამოხსნა.

მარტო კაცობრიობის სტიქიური განვითარება პოულობს გამოსავალს: პრიმალური ფორმა ვითარდება დუალისტურ ფორმაში, ეს უკანასკნელი კი უფრო განვითარებული სოციალური ფორმის მახასიათებელებს იძენს. ცივილიზაციის განვითარების ამ ისტორიულ დონეზე ნათლად ჩანს, რომ, როგორც არაეკონომიკური იძულება იცვლება ნელ-ნელა ეკონომიური იძულებით, ისე კრიმინოლოგიური მსოფლმხედველობის „ბიოგრაფია“ სწორდება წარმოშობის შესახებ მცდარი იურიდიული წარმოდგენისაგან და საბოლოოდ როგორც დანაშაულობის სოციოლოგია ისე წარსდგება.

დანაშაულობის ასახვის შემდეგი ფორმა ფიქსირდება განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების სტადიაზე. მოცემული ისტორიული ეტაპისათვის დამახასიათებელია არაეკონომიკური იძულების, როგორც მითვისების წესის ნგრევა. ამ ისტორიულ პირობებში დანაშაულობის ასახვა იწყებს დუალისტური ხასიათის მიღებას. სოციალური სამყარო სახელმწიფოსათვის ჯერჯერობით გარე და გაუგებარ მოვლენად რჩება, რომლის გადარჩენაც შეიძლება არა საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლით, არამედ მხოლოდ საზოგადოებისადმი სახ-

ელმწიფოს დამოკიდებულების შეცვლით. ამ ეტაპზე საზოგადოება მოიაზრება როგორც „ცარიელი არსი" (ჰეგელი). ამ მდგომარეობას კარგად გამოხატავდა შეფასება, რომელიც 1983 წ. სკკპ ცენტრალური კომოტეტის პლენუმზე გენერალურმა მდივანმა ი.ანდროპოვმა გააკეთა. როგორც ის სინანულით აღნიშნავდა, „ჩვენ ჯერ სათანადოდ ვერ შევისწავლეთ საზოგადოება, სადაც ვცხოვრობთ".[451] საბჭოთა საქართველოს კრიმინოლოგია ამ ისტორიულ პერიოდში ჩამოყალიბდა, როდესაც სახელმწიფოსთვის საზოგადოება ჯერ უცნობი მოვლენა იყო.

დანაშაულის ასახვის უფრო მეტად განვითარებადი ფორმა არის დანაშაულობის ასახვის სოციალური (რეფორმისტული) ფორმა. ისტორიის ამ ეტაპზე, ჩვენ გვაქვს საქმე განვითარებული კაპიტალისტური სისტემის საზოგადოებასთან, სადაც ყველა სახის ურთიერთობა ეკონომიკური იძულებითაა განპირობებული. აქ საზოგადოება პირველად გამოდის როგორც დამოუკიდებელი მოვლენა, რომელშიც მოჩანს დანაშაულობის სუბსტანცია. თუმცა მისი ხედვა თავისებურია. სახელმწიფოს ეკონიმუკური საფუძველი (მოგების საერთო ნორმა) – თავის პროცესებში ფეტიშირებულად ამტკიცებს, რომ საზოგადოების გამდიდრება და მოგების ზრდა ხორციელდება სტიქიურად და არ არის მიბმული კაპიტალის დაგროვების კანონთან, არამედ დამოკიდებულია სხვადასხვა სახის მოვლენებზე: ბაზრის მდგომარეობაზე, ბიზნესმენის ოსტატურობაზე, მოსამსახურე პერსონალის სიმარჯვეზე, მომუშავეთა პროფესიონალიზმზე და ა.შ. ამგვარად, სახელმწიფოს წინაშე საზოგადოება წარმოდგენილია, როგორც განსხვავებული მოვლენების მოზაიკა, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული მიზეზები. ასეთ ევოლუციურ გზაზე დანაშაულის მიზეზი არა ინდივიდში, არამედ როგორც ერთმანეთთან დაკავშირებულ ცალკეულ სოციალურ პროცესებში უნდა იქნას დანახული. ეს არის საზოგადოების უძლურება, სადაც ჰეგელის თქმით „სინათლე შეიძლება სიბნელესთან, ბოროტებასთან ბრძოლის მდგომარეობაში არსებობდეს, რომელიც მან უნდა დაამარცხოს, მაგრამ მხოლოდ უნდა, რადგან ეს მას არ ძალუძს". თანამედროვე კრიმინოლოგიური და სოციოილოგიური თეორიები ასახავენ ამ ისტორიულ საფეხურს.[452]

---

451 Кара–Мурза С. (1996). История советского государства и права: http://pravo.news/ prava-istoriya/ istopiya-sovetskogo–gosudapstva.html

452 იხ.: გ.თოდრია (2010), კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენათა ევოლუციის

განმარტება 2. ნაშრომში ტერმინები „განმსჯელობითი აზროვნება“ და „გონითი აზრონება“ გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით. როგორც ცნობილია, კანტის და ჰეგელის მიხედვით აზრის განვითარებას ორი დონე გააჩნია. განსჯის გამოყენებისას ხდება სამყაროს აღქმა იმ სახით, რა სახითაც არის ის ზედაპირზე მოცემული. ინდივიდი ამ დონეზეც ახორციელებს კლასიფიკაციას, განსაზღვრავს ზოგადი ხასიათის აბსტრაქციებს და ა.შ. მაგრამ განსჯის გამოყენება შეზღუდულია იმის გამო, რომ მას არ ძალუძს გასცდეს ხილვად სამყაროს. განსჯის („მეტაფიზიკის“) დონისაგან განსხვავებით გონის („დიალექტიკის“) ფუნქცია ემპირიულ მასალაში იმ კანონზომიერების დადგენას წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც მოვლენათა არსი ვლინდება. დანაშაულის გამოცხადება სისხლისსამართლებრივი პასიხისმგებლობის საფუძვლად არის განსჯის შესაძლებლობა. აქ სახელმწიფოს პოლიტიკა როგორც დანაშაულზე რეაქციის სახით გვევლინება. პირიქით, დანაშაულთა გენეზისის ფაქტორად სახელმწიფო რეაგირების გამოცხადება, ე.ი. სამართლის მიერ აღქმული დანაშაულთა სამყაროს ნამდვილი ძირის დანახვა და ამ მიმართულებით სახელმწფო პოლიტიკის არსში ჩაწვდომა, გონის პრეროგატივას წარმოადგენს.

საინტერესოა, რომ ეს ჭეშმარიტება სისხლის სამართლის კურსებში იურისტების მიერ ბუნდოვნადაა აღქმული. როგორც აღნიშნავენ, სასჯელთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების გადმოცემა წინ უსწრებს დანაშაულის მოძღვრებას. თუმცა სასჯელი დანაშაულის შედეგია, რომელიც არ გამომდინარეობს დანაშაულის ბუნებიდან, არამედ განისაზღვრება კანონმდებლობის ნებით.[453] ასეთია იურიდიული აზროვნება ანუ აზროვნება განსჯის დონეზე, რომელიც ყოველთვის დაუძლეველი ანტინომიის წინაშე დგას: სასჯელი ერთის მხრივ დანაშაულის შედეგია, და იმავდროულად არც არის, არამედ კანონმდებლის ნების ნაყოფია.

ამ აზროვნების ფარგლებში დამკვირვებელი ვერ ხედავს დანაშაულისა და სასჯელის იმ გარდასახვით ფორმებს, რომლებსაც ისინი იძენენ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში. იმისათვის, რომ გავცდეთ ამ ვირტუალურ სამყაროს, საჭიროა უფრო ძლიერი აზროვნების საშუ-

---

ძირითადი ეტაპები, სამართლისა და პოლიტიკუტრი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წ.1, თბ., გვ. 327–370

453 იხ.: მ. ტურავა (2011), სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი: დანაშულის მოძღვრება, თბ., „მერიდიანი“, გვ. 38

ალებები, რომელსაც გონი (დიალექტიკა) გვთავაზობს. ამ მიმართულებით წამოჭრილი ანტინომიის გააზრება განსჯის დონეზე შეუძლებელია, რადგან ვერ დგინდება მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ საზოგადოებაში არსებული წყობა სადამსჯელო პოლიტიკის განხორციელებასა და შესაბამისად – სასჯელის მოდელს, აქედან გამომდინარე კი – დანაშაულის კონსტრუქციის აგების სტრუქტურას განაპირობებს. ამ სილრმისეული კანონზომიერებიდან კი გამომდინარეობს, რომ სასჯელი არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც დანაშაულის შედეგი, რადგან სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა სასჯელების მეშვეობით უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული წყობის ეკონომიკურ მოთხოვნას და ამიტომ უშუალოდ მონაწილეობს მოსახლეობის კეთილდღეობის ცვლილების პროცესში. დანაშაულობა კი ყოველთვის სახელმწიფოს პოლიტიკის ხელშეწყობით გამოწვეული არსებობის პირობების გაუარესების დაძლევის ხერხის სახით გვევლინება. აი რატომაა, რომ სასჯელების გამოყენების ტენდენცია (პატიმართა კოეფიციენტის მიხედვით) არასოდეს არ ემთხვევა დანაშაულობის ცვლილებას. ამ გაგებით სასჯელის ინსტიტუტი წინ უძღვის დანაშაულს, როგორც საზოგადოებაში არსებული წყობის გამტკიცების საშუალება, ზედაპირზე კი დანაშაული სასჯელის სისხლისსამართლებრივი საფუძველის სახით მოჩანს. ეს მხოლოდ სისხლის სამართლის პოლიტიკის ვირტუალურ სამყაროში დანაშაული „ქმნის" სასჯელს. სინამდვილეში, როგორც ე. დიურკემმა შენიშნა, დანაშაულს სასჯელი კი არ ქმნის, არამედ დანაშაული სასჯელის მეშვეობით ვლინდება.[454]

ამ დასკვნას სასჯელის ეფექტურობის შეფასებისთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფო ორგანოები სასჯელს როგორც შედეგს ისე განიხილავენ და ამიტომ თავის ანგარიშებში სასჯელის ფორმების მიხედვით მსჯავრდებულთა განაწილების სურათს ადგენენ, საიდანც შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გაკეთდეს იმის შესახებ, თუ სასჯელის რომელ ფორმას მიმართავს სახელმწიფო უფრო ხშირად და რომელს ნაკლებად. მაგრამ ამ მიდგომიდან არ ჩანს, სასჯელების სახით თუ რომელი სოციალური პროცესი იცვლება რაოდენობრივად. ასეთი მიდგომის შედეგად არ ჩანს არც სასჯელის დანიშვნის პოლოტიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობის კავშირი. საბოლოოდ მკვლევარი კმაყოფილდება დოგმატიკის პრობლემების გადაჭრით, რაც სუბიექტურად (ლოგიკურად)

454 Э. Дюркгейм (2007). Социология. Ее предмет, метод и назначение, М, Директ–Медиа, с. 13–15

დასაბუთებული ფაქტორებით ობიექტური მიზეზების ჩანაცვლებას უწყობს ხელს. ამის გამო ფეხს იკიდებს განხორციელებული რეფორმების ე.წ. აცდენის ტენდენცია. ყურადღების მიღმა რჩება ძირითადი საკითხი: როგორ შეიძლება დაამყარო მართლწესრიგი იმ ქვეყანაში, თუ მკაცრი სასჯელების გამოყენების სიხშირე ეგუება ცხოვრების დონის დაცემას? მაგრამ, თუ ჩვენ გავცდებით სახელმწიფო პოლიტიკის ილუზიებს და დავუბრუნდებით საზოგადოებას, მაშინ ნათელი ხდება სხვა ნამდვილი საზომის არსებობა – სახელმწიფოს როლი მოსახლეობის ცხოვრებაში. როგორც ჩანს, აღნიშნული საკითხის გადაჭრა მარტო ფუნდამენტურ კრიმინოლოგიას ძალუძს, რადგან სისხლისსამართლებრივი აზროვნება არ სცილდება განსჯის დონეს, რაც არა საკმარისია კრიმინოლოგიური აზროვნებისთვის და რაც გონის კატეგორიების გამოყენებას მოითხოვს.

განმარტება 3. ანალოგიური მიდგომა უნდა არსებობდეს დანაშაულის მომსპობის-სასჯელის მიმართაც. სასჯელის გამოკვლევებით, რომლებშიც არაა ცნობილი ეს მიდგომა, საბოლოლოდ ვერ ირკვევა სასჯელის ბუნება. ამის მაგალითია სისხლის სამართლის სოციოლოგიაში განხორციელებული კვლევები. მაგალითად, გ.რუხეს და ო.კირხაიმერის აზრით, სასჯელი როგორც ასეთი (სასჯელის „ზოგადი ცნება") არ არსებობს, არამედ არსებობენ სასჯელის კონკრეტული ზომები. ამიტომ სისხლის სამართლის სოციოლოგიის კვლევის საგანს კონკრეტული სასჯელების ისტორიული კვლევა წარმოადგენს.[455]

სასჯელის სოციოლოგიის ამ მნიშვნელოვან ნაშრომში ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ სასჯელის ბუნების გარკვევა შეიძლება არა სისხლის სამართლის დოგმატიკის გზით, არამედ სოციო-ისტორიული ანალიზით, მართებულია. მაგრამ ეს აზრი ბოლომდე არ იყო განვითარებული, რადგან ისტორიული მასალა მათ წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც სასჯელების სახეების ისტორიული ცვლილება. მოკლედ, საკითხის გარკვევისას ისინი აბსტრაქტულ-ისტორიული და არა კონკრეტულ-ისტორიული მიდგომით შემოიფარგლენ, ე.ი. ვერ ადგენენ სასჯელების რეალურ ლოგიკას. თუმცა, მათ მიერ ეკონომიკიდან მოყვანილი ფაქტები ამ კანონზომიერებაზე მიუთითებენ. ამ გამოკვლევის ნაკლის მიზეზია ანალიზის

455 G. Rusche and O. Kirchheimer (2007). Punishment and Social Structure, Publisher Taylor & rancis Inc, Somerset, United Kingdom

ფილოსოფიური საფუძველი. სასჯელს ისინი უყურებენ როგორც ემპირიკოსები. ამ პოზიციის თანახმად, სასჯელის ზოგადი რეალურად არ არსებობს, რადგან ეს ზოგადი მოცემულია აბსტრაქტის სახით. მაგრამ არსებობენ სასჯელის მხოლოდ კონკრეტული სახეები, რომლებიც ისტორიულად იცვლებიან. ამ ზედაპირულ შეხედულებას თავად კაპიტალიზმის განვითარება უარყოფს, რომლის შედეგად სასჯელის ეფექტურობა კაპიტალის მოთხოვნის შესაბამისად იზომება. ამრიგად, სასჯელის ზოგადი არსებობს არა ცნების, არამედ კაპიტალისტური განვითარების საერთო მოთხოვნის სახით. ეს მოთხოვნა არის სასჯელების ყოფიერება, მათი ონტოლოგია, როგორც იტყოდა პლატონი, „იდეა ყოველივესათვის". სასჯელების კონკრეტული სახეები ავლენენ ამ საერთო თვისებას, სასჯელებში მოძრაობს ეს ეკონომიკური მოთხოვნა და შესაბამისად მათ ისტორიულ ლოგიკას წარმოადგენს.

ისტორიის უგულველყოფა ძვირად უჯდება მკვლევარს. აზრი ვერასოდეს ვერ განვითარდება, თუ მასში არ ბატონობს ისტორიის სული. ემპირიული კრიმინოლოგიის შეცდომები[456] და სისხლის სამართლის ცხოვრებას მოწყვეტილი აბსტრაქციები[457] ამ ჭეშმარიტებას კიდევ ერთხელ ადასტურებენ.

განმარტება 4. სისხლის სამართლის ერთ-ერთ საუკეთესო გერმანულ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ერთი ადამიანის მიერ მეორის უფლებების დარღვევა საზოგადოებრივ პრობლემად იქცა მხოლოდ იმის წყალობით, რომ საზოგადოებაში აღმოცენდა ისეთი გაბატონებული ხელისუფლება, რომელიც ადამიანს არამხოლოდ მმართველთა მიმართ აკისრებს ვალდებულებას, ... არამედ პრეტენზიასაც კი აცხადებს იმ ადამიანთა თანაარსებობის წესების დადგენაზე, რომლებიც საერთო კეთილდღეობას უზრუნველყოფენ".[458] საკითხის ასეთი განმარტება ვერ უძლებს კრიტიკას. დანაშაულობა არ იქცევა საზოგადოებრივ პრობლემად „მხოლოდ იმის წყალობით, რომ საზოგადოებაში აღმოცენდა... გაბატონებული ხელისუფლება".

456 იხ. დაწვრ.: გ.თოდრია (2012), ისტორიზმის პრობლემა კრიმინილოგიურ აზროვნებაში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. წიგნი 2. თბ., გვ. 292–322

457 იხ. დაწვრ.: გ. თოდრია (2016), საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის ზოგიერთი ლოგიკური პრობლემა, სამართალი და მსოფლიო, № 4, გვ. 34–44

458 Г. Фристер (2013), Уголовное право Германии. Общая часть, Москва, Берлин, Инфотропик Медиа, с. 3

ეს პრობლემა საზოგადოებრივ ხასიათს იძენს მანამ, სანამ მასზე რეაგირებას ხელისუფლება მოახდენდეს, ხოლო ხელისუფლება მასზე სწორედ იმიტომ ახდენს რეაგირებას, რომ დანაშაულობა უკვე წარმოადგენს საზოგადოებრივ პრობლემას. სამართალი დანაშაულობის საზოგადოებრივ ხასიათს ავლენს, მაგრამ არ ქმნის მას. ამ მომენტის ახსნა უჭირს როგორც სტიგმატიზაციის,[459] ასევე დევიანტოლოგიის თეორიებს.[460]

განმარტება 5. ადამიანის ტრანსცედენტურობის ბუნების ახსნისას პროფ. მანანა ხიდაშელს მიაჩნია, რომ ქრისტიანობა პირველ რიგში იმით დაუპირისპირდა წარმართობას, რომ ადამიანისა და ბუნების დუალიზმი დაამყარა, ადამიანი ბუნებას მოსწყვიტა და მთელი მისი ყურადღება ზეციურ სამყაროზე გადაიტანა.[461] ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის ასეთი ბრალდება მიუღებელია. პირიქით, ქრისტიანული რელიგია იმით დაუპირისპირდა წარმართობას, რომ ადამიანისა და ბუნების დუალიზმი მოხსნა. სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით ქრისტიანული რელიგიის საკაცობრიო დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ სუბსტანციური რეფლექსიის გზით – ღმერთთან ურთიერთობაში მოცემულმა რელიგიამ კაცობრიობის მოთხოვნა, ადამიანის ნამდვილი ბუნება დაინახა. როგორც ქრისტიანული რელიგიის ახსნისას ჰეგელი აღნიშნავს, ადამიანის ისტორია იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მტკიცდება, რომ კონკრეტული ადამიანის ნება არაა ისეთი, როგორც უნდა იყოს. და ეს ხდება ვინაიდან სული (პანლოგიზმის ტერმინოლოგიით – კაცობრიობის ისტორია) უარყოფს ამგვარ არსებობას.[462]

ქრისტიანულ რელიგიას ამოძრავებს ადამიანისადმი დიდი პატივისცემა, რადგან ქრისტეს სახით ნებისმიერ ადამიანს ეძლევა საზომი, რათა გაერკვეს მუდმივ კითხვებში: რა არის ხილვადი სამყაროს იქით? რამდენად უნდა ვირწმუნოთ ეს ხილვადი სამყარო, სადაც „იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად" (ძველი აღთქმის ტერმონოლოგიით, 6:5)?

---

459 იხ., მაგ., C. arshall, R. eier. (2007), Sociology of Deviant Behavior, Hardcover, გვ. 3–49

460 იხ. მაგ.: Taylor I., P. Walton, J. Young. (1973), The new criminology: for a social theory of devioance, Ict Edition, Lomdon and New York

461 მ. ხიდაშელი. (2001), სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ, ნეკერი

462 Г. Гегель (1977), Философия религии, М, Мысль», т. 2, с. 327

ბიბლია არ არის მოთხრობა. აღნიშნული ძეგლი კოდირებულია სიმბოლიკით: „მივიდნენ მოწაფეები და ჰკითხეს მას: რატომ ელაპარაკები მათ იგავებით? მან მიუგო: იმიტომ, რომ თქვენ მოგეცათ ცათა სასუფევლის საიდუმლოთა ცოდნა, ხოლო მათ (კი არა) მისცემია“ (მათეს სახარება. 13:10, 11). ამიტომ ბიბლიის ზედაპირული წაკითხვა იწვევს ზემოთ მოყვანილ მიამიტურ დასკვნას იმის შესახებ, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ „ადამიანი ბუნებას მოსწყვიტა და მთელი მისი ყურადღება ზეციურ სამყაროზე გადაიტანა“. ამგვარი მსჯელობით იკარგება უმნიშვნელოვანესი ძეგლის ისტორიული დანიშნულება. სინამდვილეში „ზეციური სამყარო“ კაცობრიობის არსებულ (მონათფლობელურ) სამყაროსთან შედარებით უფრო განვითარებული საფეხურის ძიების ბიბლიურ სიმბოლიკას წარმოადგენს, რომლის თანახმად საბოლოოდ ადამიანებმა ურთიერთობა სიყვარულზე, ერთიანობასა და სულიერ განვითარებაზე უნდა ააგონ.

უკეთურთა სამყაროში ეს აზრი მტკივნეულად ეძებს გამოსავალს. მაგრამ მისი მცდელობა სახეზეა. იმ ქვეყნებში (მაგალითად, შვეიცარიაში, შვედეთში და ა.შ.), სადაც გაუცხოებულთა შემცირება არა ასეთების ჩაქოლვით ხდება (იოანე, 8:5), არამედ ადამიანში ადამიანის დანახვით, ე.ი. ადამიანისა და ბუნების დუალიზმის მოხსნით, სადაც დიდია სოციალური დანახარჯების ხვედრითი წილი, იქ მცირდება დანაშაულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა. მწირი შესაძლებლობების გამო საქართველოში ქრისტიანული რელიგიის მიერ ნაკარნახევი ეს სამოქმედო განზრახვა ჯერ-ჯერობით ვერ მკვიდრდება: ადამიანის კანონს ამოფარებული ჩაქოლვა უფრო მიზანშეწონილი ხდება ვიდრე უკეთური და შემარცხვენელი არსებობიდან მისი გათავისუფლება. მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლების, „ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების პირველი და უკანასკნელი სურვილის განხორციელების“ (ილია ჭავჭავაძე) მაგივრად არაფრის მომცემ კანონთა, სხვადასხვა უწყებათა აქტების რაოდენობის და მუდმივი ინსტიტუციონალური რეფორმების სახით იზრდება „უმაღლესი სიცუდე ფარისევლობისა“ (წმინდა გაბრიელი ეპისკოპოსი). მოცემულ სოციალურ სამყაროში ბუნებისა და ადამიანების დუალიზმი არ გადაილახება, რადგან ადამიანი მუდმივადაა იძულებული, რომ არსებობისთვის იბრძოლოს: ეძებოს თავშესაფარი, საკვები, სამუშაო ადგილი და სხვა ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობები, აირჩიოს არსებობის შენარჩუნების

ნებისმიერი გზა, თუნდაც ის მისთვის გაუგებარ კანონიერებას ეწინააღმდეგებოდეს.

განმარტება 6. კაცობრიობის ისტორიაში მეცნიერება არაერთხელ დაუბრუნდება პილატეს მიერ დასმულ საკითხს სამართლებრივი გადაწყვეტილების ჭეშმარიტების კრიტერიუმის ძიების შესახებ. ამ პრობლემას მრავალი თეორია ეძღვნება და მათი რიცხვის გაზრდას ბოლო არ უჩანს. მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა ერთიანი თვალსაზრისის ჩამოყალიბება. იურიდიული რეალიზმის მომხრეები ცდილობენ კანონს რომ გასცდნენ და პასუხი სასამართლო პრაქტიკაში ეძებონ, ხოლო იურიდიული სოციოლოგიის მიმდევრები კი მოცემულ მიდგომასაც ეჭვის ქვეშ აყენებენ, რადგან სამართალის ახსნას მის მიღმა მდებარე ფაქტორებით ცდილობენ. ასე მაგალითად, იურიდიული რეალიზმის ერთ-ერთი დამაარსებლის, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ო.ჰოულმსის აზრით, ძალზედ მნიშვნელოვანია განსახილველი სისხლის სამართლის საქმეების საზღვრების გაგება. მისი აზრით მოსამართლეები ჯერ გადაწყვეტილებებს იღებენ, ხოლო შემდეგ ეძებენ მათი დასაბუთების გზებს (წესებს). აქედან გამომდინარე აუცილებელია გავერკვეთ კითხვაში: ჭეშმარიტების ძიებისას მხოლოდ კანონით უნდა შემოვიფარგლოთ, თუ აუცილებელია სასამართლო პრაქტიკის სფეროში მას რომ გავცდეთ?[463] იურიდიული სოციოლოგიის მომხრეს როსკო პაუნდის აზრით, სასამართლო პრაქტიკა საბოლოოდ კანონის ფარგლებითაა შებოჭილი, რაც თავისი ბუნებით მოკლებულია შესაძლებლობას ახსნას სოციალური მოთხოვნისადმი დამოკიდებულებათა კრიტერიუმების საკითხები. სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზემოქმედებას ახდენენ, როგორც კანონის დეფორმაცია, ასევე სასამართლოს თავისუფალი შეხედულებები.[464] გარდა ამისა, როგორც ავტორი აღნიშნავს, სამართლის სისტემა სხვადასხვა ფენების მოთხოვნილებებისა და სურვილების ზეწოლას განიცდის. ყოველივე ეს სამართლებრივ გადაწყვეტილებებზე ინტერესების ზეგავლენისა და სამართლებრივი გადაწყვეტილებების შედეგების კვლევას მოითხოვს (ibid, p. 94–98).

---

463 იხ.:O. Holmes, Jr. (1897), The Path of the Law, Harvard Law Review, 10, pp. 457– 478

464 იხ.:R. Pound (1921), An Introduction to the Philosophy of Law, Oxford University Press, p. 123

მაგრამ როგორც საკანონმდებლო, ასევე სასამართლო პრაქტიკის სოციალური კონტექსტის დადგენის მცდელობა შემდეგ პრობლემას აწყდება. პოზიტიური სამართლიდან მრავალ ინტერესთა შორის საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვი ინტერესის გამოვლენა, შესაბამისად მის საფუძველზე სამართლებრივ გადაწყვეტილებაზე ინტერესების ზეგავლენისა და სამართლებრივი გადაწყვეტილებების შედეგების გაზომვა თითქმის შეუძლებელია, რადგან დანაშაულთა სახეებისა და ფორმების ლოკალური მიზეზები როგორც თანასწორუფლებიანებად, ერთ თაროზე განლაგებულებად, ისე განიხილებიან. დანაშაულთა ერთიანი მიზეზის გამოვლენის მცდელობა საზოგადოებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების ფარგლებში გამოირიცხება. ამიტომ ამ ურთიერთობის საფუძველზე სამართლის გარეთ არსებული კრიტერიუმების ძიების მცდელობა ამოუხსნელ პრობლემად რჩება. როგორც სოციოლოგიის პროფესორი მატიე დეფლენი სინანულით აღნიშნავს, კანონის დისკურსში „კანონის ფარგლებს გარეთაც ძნელდება მკაფიო საწყისის დასახელება".[465]

ცალსახაა, რომ საზოგადოებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების ფარგლებში, სამართლიანობის პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი ხდება, რომლის ნაკლზე მრავალი საუკუნის წინ ჯერ კიდევ ახალი აღთქმაც მიუთითებდა. ამიტომ პილატეს კითხვა „რა არის ჭეშმარიტება?" (იოანე, 18:38) იურისპრუდენციაში დღესაც უპასუხოდ რჩება და პოზიტიური სამართლის ბუნების გამო არც (თუ ვერც) იქნება ახსნილი. თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე ამ მოთხოვნას სისხლის სამართლის სოციოლოგიისა და ფუნდამენტური კრიმინოლოგიის ცნებითი აპარატი პასუხობს, რამაც სამწუხაროდ, საქართველოს მეცნიერებაში სათანადო ნიადაგი ვერ ჰპოვა.

განმარტება 7. ქართულ კრიმინოლოგიაში დღემდე არსებობს კატეგორია „დამნაშავის პიროვნება" როგორც კრომინოლოგიური აზროვნების ემპირიული, განმსჯელობითი დონის მაჩვენებელი. სამწუხაროდ, აზროვნების ამგვარი მეთოდების საშუალებით იქმნებიან კრიმინოლოგიის თანამედროვე სახელმძღვანელოები. მოცემული აზროვნებისაგან განსხვავებით ჩემს სადისერტაციო ნაშრომში წარმოვაჩინე აღნიშნული მიდგომის მცდარობა. კრიმინოლოგიის ცნე-

465 M. Deflem. (2008), Sociology of Law. Visions of a Scholarly Tradition, Cambridge University Press, New York, p.17

ბების კვლევაში აღნიშნული იყო, რომ ეგრეთ წოდებული „დამნაშავის პიროვნების“ კონსტრუქტი არ წარმოადგენს კრიმინოლოგიის ძირითად ცნებას, რადგან იგი ემპირიული ცოდნის, როგორც მოვლენების შესახებ ცოდნის ნაყოფს წარმოადგენს. ამიტომ კრიმინოლოგიის კურსის ზოგადი ნაწილიდან აღნიშნული კონსტრუქტი ამოღებულ უნდა იქნას.[466]

ვისარგებლებ შემთხვევით და შევახსენებ მათ, ვინც ქართული კრიმინოლოგიის ისტორიის გაშუქებას შეეცდება. საბჭოთა კრიმინოლოგიაში ზემოაღნიშნული ნაშრომი ერთადერთ გამოკვლევას წარმოადგენდა, რომელშიც დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ კრიმინოლოგიის ზოგადი ნაწილიდან დამნაშავის პიროვნება ამოღებულ უნდა ყოფილიყო. და ეს მაშინ, როდესაც „სოციალიზმის დემოკრატიზაციის“ პირობებში მთელი ტვირთი დამნაშავის პიროვნებაზე იყო გადატანილი, რადგან ეჩვენებინათ, რომ დანაშაულობა საბჭოურ წყობასთან კი არ იყო დაკავშირებული არსებითად, არამედ პიროვნების თვისებებთან, მის გარემოსთან, სახელმწიფო კონტროლის ცალკეულ ხარვეზებთან და ა.შ. სადისერტაციო ნაშრომის თანახმად დამნაშავის პიროვნება წარმოადგენს ფსიქოლოგიური კვლევის საგანს, რაც კრიმინოლოგიის სოციოლოგიურ მიმართულებას არ შეესაბამება. კრიმინოლოგიის ცნებების აღნიშნული კვლევა შორეულ წლებში ეჭვის ქვეშ აყენებდა გაბატონებულ იდეოლოგიურ დოქტრინას, რომელიც ათვლის წერტილად დამნაშავის პიროვნებას მიიჩნევდა, და ამით საბჭოური კრიმინოლოგიის სისუსტეს ავლენდა. აღნიშნულ მოსაზრებას 20 წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდი, როდესაც მიზნად დანაშაულობათა რაოდენობრივი კანონზომიერებების ბუნების თავისებურებათა გარკვევა დავისახე. ამ მიმართულებით დადგენილ იქნა, რომ უხილავ ძალას „კაპიტალისტურ საზოგადოებაში – მოგების საერთო ნორმის შემცირებას“, თავის გამოსავლენად გარკვეული სახის დანაშაულთა სტრუქტურა სჭირდება (მაგალითად, 80% ქურდობა, 60% ძარცვა, 15% მკვლელობა და ა.შ.), რომელიც მან შეიძლება სხვა სახის სტრუქტურული განტოლებით შეცვალოს და ა.შ. თვალნათლივ ჩანს, რომ ქურდის, მძარცველის ან, მკვლელის „პიროვნული“ თვისებები არ განაპირობებენ მოცემულ სტრუქტურულ პროპორციებს. ზემოაღნიშნული უხილავი ძალის სიდიდე

466 იხ.: Г. Тодрия (1988), Развитие основных понятий советской криминологии, Актуальные проблемы советского права (ред.: Шавгулидзе Т.Г.), Тб, Мецниереба, с. 31

არანაირად არაა დაკავშირებული დანაშაულის ჩამდენ პირებთან. ამრიგად, აღნიშნული კანონზომიერებით დანაშაულობის გენეზისი გვიჩვენებს, რომ მას არ აინტერესებს დამნაშავის პიროვნება, როგორც ზედაპირზე მოცემული მოვლენა. ამ მიმართულებით განხორციელებული თეორიული ანალიზით სულ სხვა კონცეფციას, ფუნდამენტური კრიმინოლოგიის მოძღვრების განვითარებას ეყრება საფუძველი. მოცემული კრიმინოლოგია უცნობია საქართველოს საუნივერსიტეტო კურსებისთვის, სადაც პრიმიტიული დონის ემპირიზმი ბატონობს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „დამნაშავის პიროვნებისადმი" კრიტიკული დამოკიდებულება აშშ-ში რაციონალური არჩევანის თეორიის ფსიქოლოგიური ორიენტაციის სიძნელეების კრიტიკული განხილვის შემდეგ განსაკუთრებით მეოცე საუკუნის 70-იან წლებში გამწვავდა. სასჯელის მოძღვრების აგებისას, როგორც აღნიშნული იყო, რაციონალური არჩევანის თეორია მხოლოდ ინდივიდების არჩევანის მიმართ მოთხოვნათა ზეგავლენას იღებს მხედველობაში და მათ წყაროებს არ განმარტავს.[467] აღნიშნული თეორია მხოლოდ დანაშაულთა ვიწრო წრეს მიესადაგება და არ გავრცელდება ყველა ტიპის დანაშაულზე.[468] აღსანიშნავია, რომ უტილიტარულ კონცეფციებში სასჯელის მიზნისადმი რეტრიბუტივისტული მიდგომის კრიტიკა დღესდღეობითაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება, რადგან სასჯელის ბუნების გაგებისათვის ათვლის წერტილად ცალკეული ინდივიდია (მათ შორის დამნაშავე) მიჩნეული და არა სოციალური სტრუქტურა.[469]

განმარტება 8. კიდევ ერთხელ უნდა აიღნიშნოს, რომ ასეთ კავშირებზეა აგებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პროცედურა. სისხლის სამართალი წარმოადგენს მოვლენის და არა არსის შემეცნების სისტემას, რადგან დანაშაუ-

467 ამერიკელი მკვლევარი ლუის ვაკკაუნტი აღნიშნავდა, ვიწრო-რაციონალური ხედვის მეშვეობით სასამართლოები და სამართალდამცავი ორგანოები ვერ აღწევენ სოციალური მართლწესრიგის გაგებას (L. Wacquant (2008), Punishing the Poor: The Neoliberal Government of Social Insecurity, uke University Press, p. 279)

468 იხ.: B. Carthy (2002), New Economics of Sociological Criminology, Annu. Rev. Sociol, № 28, pp. 423–424

469 აღნიშნულ კონცეფციებს შორის არსებული უთანხმოების შესახებ იხ.: R. Duff, S. Green (2011). Philosophical foundations of criminal law, Oxford; New York: Oxford University Press, 2011, p. 24 –29

ლობისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება არა დანაშაულობის საზოგადოებრივ არსს ქმნის, არამედ ავლენს მას. აი რატომაა შეუძლებელი სისხლის სამართალში ერთიანი მიზეზობრიობის კავშირის არსებობა. იურისტებს მიაჩნიათ, რომ მოვლენათა თანმიმდევრობა მიზეზობრიობას წარმოადგენს, მაგრამ ასეთი მიდგომა მცდარია, რადგან მყარი საყრდენი მოვლენათა სამყაროში არ არსებობს. აი რატომაა შემუშავებული სისხლის სამართალში ე.წ. ეკვივალენტობის, რელევანტობის, ადეკვატურობის, გენერალური მიზეზობრიობისა და სხვა თეორიების სახით მოვლენათა თანმიმდევრობის ემპირიული მოდელები. მიზეზობრიობის ამგარი დონის აგება განსჯის ნაყოფს წარმოადგენს, რასაც ჰეგელი უარყოფს და რასაც საზოგადოების ტკივილის ნამდვილი მეცნიერული კვლევა ვერ შეეგუება.

განმარტება 9. ამგვარი დებულების უგულველყოფა პრაქტიკულ საქმიანობაში სავალალო შედეგებს იწვევს. სახელმწიფო ორგანოები ათვლის წერტილად სამართლებრივი კატეგორიების გარდასახვით ფორმებს ირჩევენ და არ იძიებენ მათ უკან არსებულ სიღრმისეულ საფუძვლებს. ძალაში შედის იურიდიული ფეტიშზმი. შედეგად, ცხადი ხდება, რომ სასჯელის პრობლემის გადაწყვეტა არ უკავშირდება მოსახლების კეთილდღეობის დონის ამაღლებას, როგორც სიხლისსამართლებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელ ობიექტურ კრიტერიუმს, არამედ სასჯელის განმსაზღვრელ ფაქტორებს, რომლებიც სისხლის სამართლის პოლიტიკიდან ჩანან. ვინაიდან სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად დანაშაული გვევლინება, ამიტომ სასჯელის პრობლემის გადაჭრა ნებისმიერი რეფორმის საშუალებით ხდება შესაძლებელი, რომელიც მხოლოდ ბრალეულ პირზე ზემოქმედებას უკავშირდება.

იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის პრობლემის გადაჭრა მოსახლების კეთილდღეობას არ უკავშირდება, სამართლი თავისი თავის უარყოფას იწყებს. ამ ვირტუალურ კანონზომიერებას ე.წ. აქტუალული მართლსაჯულება ასახავს, რომლის თანახმად უგულველყოფილია სასამართლოს როლი და მთელი ტვირთი პიროვნების საშიშროებაზე, ანუ რისკის მატარებელ სუბიექტზეა გადატანილი. აღმასრულებელ ხელისუფლებას (ციხის ადმინისტრაციას) ეძლევა რისკის დონის დადგენისა და შესაბამისად მსჯავრდებულთა რაოდენობის განაწილების უფლება და არა სასამართლოს. განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმა ხდება საეჭვო, რადგან იგი მართლ-

საჯულების ნგრევის საფუძველზე ყალიბდება და უფრო ხელისუფალთა თვითნებობის „გაჯანსაღებას“ უწყობს ხელს. ახალი პენოლოგიის პრობლემების მკვლევართა აზრით, ამგვარი ტექნოკრატიული რაციონალიზაცია დაწესებულების იზოლაციას უწყობს ხელს, რომელიც რთულად ექვემდებარება სოციალურ კონტროლს.[470] უფრო მეტიც, პატიმრის შეფასება გადაიქცევა სასჯელაღსრულების სისტემის „ნაყოფიერების“ მაჩვენებლად, რომელიც უფრო ბიუროკრატიულ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს შეესაბამება.[471] სინამდვილეში კანონების ლიბერალიზაცია შეუძლებელია ხორციელდებოდეს მათი სიმკაცრის დონის მოჩვენებითი შემცირებით ან მართლმსაჯულების როლის შეზღუდვით. ჯერ კიდევ ფ.ლისტი აღნიშნავდა, რომ ყველაზე კარგი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა სოციალური პოლიტიკაა.[472]

კანონდებლობის ლიბერალიზაციის ობიექტურ (ეკონომიკურ) საფუძველს შიდა ერთიანი პროდუქტის სოციალური ხარჯების ზრდა და შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება წარმოადგენს. მოხელეთა საყურადღებოდ, სასჯელაღსრულების სისტემის „გაჯანსაღება“ აქედან იწყება. განაზოგადებენ რა მსგავს სიტუაციებს, ჯ.ფაგანი და თ.მერსი ასკვნიან: „სასჯელი ჰყვავის სოციალური კონტროლისგან დამოუკიდებლად იმ სუსტი სახელმწიფოს პოლიტიკურ კონტექსტში, რომელიც სხვა სოციალურ ფუნქციებში არ იღებს მონაწილეობას“.[473] Alea jacta est (წილი ნაყარია)..

უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის აღსრულების ამგვარი ძველი მოდელი აშშ-იც კი არის უარყოფილი. როგორც აღნიშნულია, მკვლევართა უმრავლესობა ვერ ადგენს მოვლენათა ერთიან ჯაჭვს, რომელიც თავისუფლების აღკვეთას განაპირობებს. მათ ის მკვლევარები უპირსპირდებიან, რომელთა დასკვნის მიხედვით სასჯელს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა უდევს საფუძვლად.[474] საბოლოოდ პენოლოგიური პრობლემატიკის მკვლ-

470 M. Feeley and J. Simon (1992), The New Penology: Notes on the Emerging Strategy of Corrections and Its Implications, 30 Criminology 449, p. 456

471 იხ. იქვე, გვ. 459

472 Ф. Лист (2008), Задачи уголовной политики. Преступление как социально–патологическое явление, М, Инфра–М.

473 J. aganand, T. eares (2008), Punishment, Deterrence and Social Control: The Paradox of Punishment in inority Communities, aculty Scholarship Series., p. 229

474 The Growth of Incarceration in the Unitcd States: Exploring Causes and Consequences (2014), The National Academies Press (NAP). Washington, D.C., p. 30

ევარები ასკვნიან, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის სოციალური და ეკონომიკური როლის უგულველყოფა დაუშვებელია, რადგან სასჯელის ბუნება აუხსნელი რჩება. ამასთან დაკავშირებით ნეოინსტიტუციონალისტი ჯ.სატტონი იძულებულია აღიაროს, რომ სხვადასხვა სასჯელის ახსნის თეორიული პარადიგმა ვერ ქმნის მიზეზ-შედეგობრივ მოდელს (მოდელს, რომელიც ზედაპირზე დანახულ ემპირიულ კავშირებზეა აგებული – გ.თ.).[475]

განმარტება 10. პატიმართა რაოდენობის შემცირების მიზეზთა კვლევისას მოცემულ დასკვნას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. კრიმინოლოგებისთვის, სოციოლოგებისთვის და ეკონომისტებისთვის გარკვეული საკითხები დღემდე წარმოადგენენ თავსატეხს იმის შესახებ, თუ რატომ მატულობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რიგ ქვეყნებში პატიმართა რაოდენობა?[476] ზემოაღნიშნული საკითხების ახსნა გართულებულია ფაქტორული ანალიზის მეშვეობით, რომელიც დანაშაულობის კვლევებში ბატონობს, ანუ იმ განმსჯელობითი აზროვნების მეშვეობით, რომლის შესახებაც ჰეგელი ამრეზით წერდა. საკითხის ამგვარი გაგება ვერ ამჩნევს იმ გლობალურ კანონზომიერებას, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს. დ.დაუნსის და კ.ჰანსენის მონაცემებით, იმ ქვეყნებში, სადაც მთლიან შიდა პროდუქტს მოსახლეობის კეთილდღეობისათვის სოციალური ხარჯების ზრდა წარმოადგენს, შესაბამისად მცირდება პატიმართა კოეფიციენტი (პატიმართა რაოდენობა 10000 კაცზე). ასე, მაგალითად, აშშ პატიმართა კოეფიციენტის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (666 პატიმარი), ხოლო შიდა ერთიანი პროდუქტის სოციალური ხარჯების მიხედვით – თითქმის ბოლო ადგილზე (14,6%). შვეიცარიაში სოციალური ხარჯების დონე ორჯერ მეტია, ვოდრე აშშ-სი (28,1%), და შესაბამისად პატიმართა კოეფიციენტი 587 ერთეულით (79 პატიმარი) იწყებს შემცირებას. პატიმართა კოეფიციენტის დონის მიხედვით ზემოაღნიშნული ქვეყ-

475 J. Sutton (2000), Imprisonment and Social Classification in ive Common–Law Democracies, 1955–1985, AJS Volume 106 Number 2 (September), UniversityofCalifornia, SantaBarbara, პ. 350

476 იხ. მაგალითად: St. Levitt (2004), Understanding Why Crime ell in the 1990s: our actors that Explain the Decline and Six that Do Not, Journal of Economic Perspective. Volume 18, pp. 163–190; The Growth of Incarceration in the United States. Exploring Causes and Consequences (J. Travis, B. Western, and St. Redburn, Editors), The National Academies Press,Washington, D.C.

ანა მე-13 ადგილზეა. ანალოგიური მდგომარეობაა შვედეთში, სადაც სოციალური ხარჯების ოდენობა 31,0%-ს აღწევს, ხოლო პატიმართა კოეფიციენტი კიდევ უფრო ნაკლებია (60 პატიმარი).[477]

თუმცა პოლიტიკური მოსაზრებებით შესაძლებელია პატიმართა რიცხვის შემცირება, როგორც ეს საქართველოში ხდება. 2014 წელთან შედარებით პატიმართა რაოდენობა 10372-იდან 9334-მდე შემცირდა, მაშინ, როცა შიდა საერთო პროდუქტი 2012 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ შემცირდა: 6,4% (2012 წ.), 3,4% (2013 წ.), 4,6% (2014 წ.), 2,9% (2015 წ.), 2,7% (2016 წ.). ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოების სილრმეში ფარული პირობები არსებობენ, რომლებიც ხელს გაუცხოების გაზრდას შეუწყობენ და შესაბამისად, სახელმწიფოს პატიმართა რიცხვის გაზრდისკენ უბიძგებენ. ადრე თუ გვიან „ყველა ფარული ბოროტება გამოვა გარეთ" („quidquid mali latebat emergit", სენეკა). შს სამინისტროს მონაცემებით 2016 წელს საქართველოში გაიზარდა ქურდობის, ოჯახური ძალადობის, კომპიუტერული სისტემების გატეხვის, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების არამართლზომიერი შეძენა-შენახვისა და გაყიდვის შემთხვევები.[478]

477 D.Downes, K. Hansen. (2006). Welfare and punishment in comparative perspective. In: Armstrong, Sarah and cAra, Lesley, (eds.) Perspectives on Punishment: the Contours of Control. OxfordUniversityPress, Oxford, UK, გვ. 133–154

478 https://sputnik–georgia.com/society/20170401/235445915/gaxshirda–qurdobis–da–dzaladobis-shemtxvevebi .html.

V ნაწილი

სამართლის გააზრების ბუნებით-სამართლებრივი და ფილოსოფიურ-სამართლებრივი მცდელობები: მიდგომები დანაშაულობის სამართლებრივი ფორმისადმი.

ნაშრომის ეს ნაწილი უშალოდ არ ეხება კრიმინოლოგიას, მაგრამ მაინც აქვს არსებითი მნიშვნელობა ამ დარგისათვის. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, სამართალი წარმოგვიდგება ფორმად, რომელშიც ვლინდება დანაშაულობის სოციალური ხასიათი. ამიტომ იმაზე, თუ როგორ გავიგებთ სამართალს, დამოკიდებულია, თუ როგორ გამოვავლენთ დანაშაულობის სოციალურ ხასიათს. სწორედ ხედვის ამ კუთხითაა განხილული შემოთავაზებული თემატიკა. საერთო, ზოგადი ბუნებით-სამართლებრივი და ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზროვნებისათვის მდგომარეობს იმაში, რომ ისინი წარმოადგენენ თავის დაღწევის მცდელობებს აზროვნების იურიდიული გამოცდილებიდან. წინააღმდეგობანი ბუნებრით-სამართლებრივ მიდგომაში შემდგომში თავს იჩენენ დანაშაულობის განვითარების კანონზომიერებაზე გლობალიზაციის ზეგავლენის დამახინჯებულ გაგებაში. თავის მხრივ, ფილოსოფიურ-სამართლებრივი მიდგომის წინააღმდეგობანი თავს წამოყოფენ სხვადასხვა დევიონტოლოგიური თეორიების გამოჩენაში, რომლებიც ჩიხში შეიყვანენ კრიმინოლოგიას. აი, სწორედ ამიტომ როგორც დამოუკიდებელი თემა უნდა გამოვიკვლიოთ ბუნებრით-სამართლებრივი და ფილოსოფიურ-სამართლებრივი მცდელობები თავის დაღწევისა აზროვნების იურიდიული გამოცდილებოდან.

5.1. ბუნებითსამართლებრივი ახსნა.[479]

5.1.1. წინარე შენიშვნები

თანამედროვე პირობებში ბუნებითსამართლებრივი აზროვნებისადმი ინტერესი ძირითადად განპირობებულია არაპოზიტიური,

479 აღნიშნული თემა გაშუქებულია ნაშრომში: გ. თოდრია (2007), მცდარი შეხედულება ბუნებითი სამართლის ადრეულ თეორიებზე, კრ: სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე კრიმინოლიგიის პრობლემები, თბ., 239-257.

საერთო-საკაცობრიო სამართლის გააზრების ფრიად წინააღმდეგობრივი მოთხოვნილებით. ამავე დროს, მისადმი მაღალი ინტერესის გამომწვევი ობიექტური პროცესები ასუსტებენ მას და კიდევაც ახდენენ ამ სამყაროდან მისი განდევნის სტიმულირებას.

სამართლისადმი არაპოზიტიური მიდგომის ინტერესის გაძლიერების ძირითად აღმძვრელ მიზეზს წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკური სისტემის მსოფლიო მეურნეობაში ჩართვის კანონზომიერება, რაც XX საუკუნის ბოლოდან ვითარდება. გლობალურ საბაზრო ურთიერთობებს მუდმივად შეაქვთ ცვლილებები სახელმწიფოთა ურთიერთობებში და შესაბამისად ახდენენ ამა თუ იმ ქვეყნების და ხალხების კანონთა „რედაქტირებას“. მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებები და პაქტები, შეთანხმებები სრულიად სხვადასხვა საკითხებზე, მთავრობათა მეთაურების წინასწარი კონსულტაციები, დელეგაციების სამუშაო შეხვედრები და ა. შ. არაორაზროვნად ამჟღავნებს ქცევის საერთო-საკაცობრიო ნორმების არსებობას.

ქვეყნების საერთო მსოფლიო პროცესში ჩართვა ფრიად ხშირად ხორციელდება კონკრეტული ხალხის ცხოვრების წესის ეროვნული კულტურულ-სამართლებრივი სტანდარტების გადახედვისა და ცვლილებების ხარჯზე. თავის მხრივ, კანონზომიერად ვითარდება სახელმწიფოთა მისწრაფება დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესი როგორც ეკონომიკის, ისე სახელმწიფო-სამართლებრივ სფეროში, გაამყარონ სწორედ პოზიტიური სამართლის ელემენტები, მიუსადაგონ რიგი ქვეყნების საერთო სამართლებრივი ინტერესები თავიანთ სტანდარტებს, ან მოახდინონ საერთო-საკაცობრიოს რეცეპცირება საკუთარ ეროვნულად თავისებურ ფორმაში.

ამ ტენდენციების ურთიერთბრძოლა თავისებურად აისახება სამართლის გაგებაზე. ინტეგრაციული პროცესებს წინა პლანზე გამოაქვს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ტიპიური არაა პოზიტიური სამართლის დარგებისათვის, მაშინ როცა წინააღმდეგობა ამ პროცესების მიმართ განაპირობებს პოზიტიური სამართლის გაძლიერებას და წარმოშობს არაპოზიტიური სამართლისადმი დამოკიდებულებას, როგორც რაღაც ტრანსცენდენტალურისადმი. საერთო სამართლებრივი ნორმების მომხრეთა აზრით, მათი წიაღიდან ხდება ეროვნული სამართლებრივი სისტემების დედუცირება. ხოლო მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ლაპარაკია რაღაც საერთო კონვენციალურ კატეგორიებზე, რომელთა ინდუცირება ხდება ეროვნული კანონებიდან. როგორც არ უნდა იყოს, თანამე-

დროვე მსოფლიო დგას ჩვენი მზერისაგან დაფარული ამ საერთო-საკაცობრიო ნორმატულობის და მისი ჭეშმარიტულობის გააზრების პრობლემის წინაშე.

არჩეული არგუმენტების გასამაგრებლად საერთო-საკაცობრიო ნორმატიულობის როგორც მოწინააღმდეგეები, ისე მომხრეები ფაქტოლოგიური მასალის მოგროვებასა და ინტერპრეტაციასთან ერთად, ცდილობენ მოიძიონ თავიანთი „სიმართლე“ ისტორიულ მასალაში. ამ რთული გააზრების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნებითი სამართლის ადრინდელი თეორიების არათანმინდევრულ და ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებს. შეფასებების წინააღმდეგობრიობის საფუძვლად გვევლინება ფილოსოფიური შეხედულება სამართალზე, რომლის თანახმადაც ჯერარსი მოიაზრება, როგორც აპოფატიზებული (ემპირიულ ფორმას მოკლებული), უნივერსალური (ტრანსცენდენტული და არა რეალური) იდეალი.[480]

მეოცე საუკუნის საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ წარმოშვა სამართლის ფილოსოფიის გადასინჯვის ტენდენცია. თავი იჩინა იმ გარემოებამ, რომ მრავალი სოციალური და ეკონომიკური პროცესი სულ უფრო ხშირად ვითარდება კონკრეტულ ადამიანთა ზურგს უკან. მოვლენები აღიქმება როგორც უცნობი ტრანსცენდენტური სამყარო. ამ გაუგებარი ვირტუალური სამყაროს გასაგებად მეცნიერები მიმართავენ ბუნებით სამართალს, სადაც ეძებენ იმანენტურ ღირებულებებს, რომელიც მყარია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ამ მიმართულებით თავს იჩენს ისტორიის რეტროსპექციული გადახედვა და წარსულში მიმავალი არსებობის მოდელების მოძიების ცდა. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელია ნიუორკის პეისის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის პროფესორი ს. სინხა. როგორც რეტროსპექტიური სამართლის მიმდევარი, ის ცდილობს დაუპირისპიროს თანამედროვე კაპიტალის დაგროვების

480 თუ ჯერარსს გავიაზრებთ არა ისტორიულად, არამედ ნომინალისტურად, მაშინ ჯერარსს მივიღებთ, როგორც უნივერსალურ იდეალს, რომელიც აღწერს იდეალურ საზოგადოებას, იდეალურ ნორმას და ა. შ. იქ ყველაფერი შესანიშნავია ერთადერთი გარემოების გამოკლებით: ჯერარსი პრინციპულად არარეალიზებადია. ჯერარსის ნომინალისტური იდეა უარყოფს რელურ ადამიანს, რომლის ბუნებაში ღირსეულის გვერდით არსებობს პრინციპულად მოუშორებელი ნაკლოვანებანი, ნეგატიური მომენტები, მანკიერებანი. მხოლოდ ასეთი გაგების ჭრილში ადამიანი იდეალისადმი იზომორფულია, მაგრამ, როგორც ეჩვენებათ, გარკვეულ გარემოებათა გამო ასცდა ამ იდეალს და ამის გამო მსოფლიო მოიცვა მნუხარებამ და სევდამ.

პროცესებს ის მითოლოგიური სამყარო, რაშიც მას მიაჩნია ადამიანთა არსებობის კრიტერიუმი. მისი ძირითადი პრობლემა ისაა, რომ წარსულის მასალა მას წარმოეჩინება, როგორც ნატვრა (ტრანსცენდენტური), ხოლო დღევანდელი სინამდვილე, კი როგორც ამ ტრანსცენდენტურის უარყოფა. ს. სინხა არის თანამედროვე სამართლის ფილოსოფიის რეტროსპექციული გადახედვის თვალსაჩინო მიმდევარი და ამიტომ მისი მსოფლმხედველობის განხილვა ფაქტიურად საფუძველს გვაძლევს გავარკვიოთ აღნიშნული ფილოსოფიური აზროვნების ნაკლი.[481]

5.1.1.1. კრიტიკა იმ ტრადიციისა, რომელიც ბუნებრივ სამართალს განიხილავს როგორც რაღაც ტრანსცენდენტურს.

„ბუნებითი სამართლის თეორია, – წერს ს. სინხა, – შეპყრობილია დაბნეულობის გამომწვევი ონტოლოგიური დუალიზმით. მასში არსებობს ემპირიული სინამდვილე, მაგრამ ასევე არის ტრანსცენდენტული ხასიათის სინამდვილე, რომელიც ვითარდება, როგორც ეგზისტენციალური სამყარო და არა უბრალოდ, როგორც ამ ემპირიული სინამდვილის ეპისტომოლოგიური წინაპირობა. ტრანსცენდენტულს, მისი უნივერსალურობისა და სუფთა რაციონალურობის გამო, რეალური არსებობის პრეტენზია აქვს. შემეცნებითი საქმიანობა ამრიგად იქცევა თვით ადამიანური შემეცნების ობიექტად. ამრიგად, ავტორმა, ისევე, როგორც სამართლის ისტორიის ფილოსოფიის დარგში მომუშვე მეცნიერთა უმრავლესობამ, ბუნებითი სამართალი განიხილა, როგორც რაღაც ტრანსცენდენტული.[482]

გლობალიზაცია ეკონომიკური მეცნიების ტერმინოლოგიით ნიშნავს მსოფლიოში ჩამოყალიბებული მოგების საერთო ნორმის წარმოიშობას, რომელიც ობიექტურად ქმნის ბუნებითი სამართლის ილუზიას.[483] ამიტომ იბადება რაღაც იდუმალი ძალის ტრანსცენდენტულის ილუზია, რომელიც გვაიძულებს აღვიქვათ იგი, როგორც ნორმა. მიგვაჩნია, რომ არსებობს ემპირიული სინამდვილე, მაგრამ ასევე არის ტრანსცენდენტული ხასიათის რელობა, რომელიც თითქოს ჩამოწოლილია მასზე. ასეთ იდუმალ მსოფლიო წესრიგს, რომელიც უნდა მიიღოს ყველა ხალხმა საერთო კეთილდღე-

481 С. Синха (1966), „Юриспруденция. Философия права", М., „Академия", с.79
482 იქვე, გვ. 79
483 იხ.: Towards a world rate of profit – again, ichael Roberts Bloghttps://thenextrecession.wordpress.com/ 2017/09/09/towards–a–world–rate–of–profit–again/

ობის მისაღწევად, ისინი აღიარებენ, როგორც ბუნებითს. ამიტომ ბუნებითი სამართალი, უფო ზუსტად კი მსოფლიო წესრიგი, ქცევის მსოფლიო მოდელი, არცთუ ისეთი ტრანსცენდენტული მოვლენაა. დამოუკიდებლად ბუნებითი სამართლის ყველა თეორია არაპირდაპირ აღნიშნავს ამ მოვლენას და სწორედ ამაში მდგომარეობს მათი მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა.

კაპიტალისტური სისტემის განვითარების კვალობაზე ბუნებითი სამართალი რეალური ხდება. იგი ხდება კონკრეტული ხალხის ნორმატიული სისტემის საზომი. სახელმწიფოთა პარლამენტთაშორისო კავშირები, ეროვნული ბიუჯეტების კორექტირება საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ნორმათა გათვალისწინებით, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საერთო ზომები და სახელმწიფოების სხვა ღონისძიებანი მოწმობს, რომ ბუნებითი სამართალი ობიექტურად არსებობს.

თუ ადრინდელ თეორიებში დედუქცია ბუნებითი სამართლიდან ხორციელდებოდა ბუნების ტერმინებით (რწმენით, ინტუიციით და ა.შ.), ამჟამად კაცობრიობის თანამედროვე პრაქტიკულმა საქმიანობამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში ბუნებითი სამართლის პრობლემა. ნებისმიერ ხალხს ესმის, რომ თუ მისი ნორმატიული მოდელი არ შეესაბამება მსოფლიო წესრიგის იდეალებს, იგი დაღუპვისთვისაა განწირული, მას ემუქრება იზოლაცონიზმი. მაშასადამე, ბუნებითი სამართლის ტრანსცენდენტალობა ცალკეული ხალხებისათვის ზენორმის ხასიათს იძენს. პრაქტიკულად ყალიბდება მსოფლიო ექსპერტიზის ანუ მსოფლიო სამართლიდან ან ბუნებითი სამართლიდან დედუქციის მეთოდი. კაცობრიობის ამ ისტორიულმა აღმოჩენამ, როგორც ჩანს, დიდი ხანია გაუსწრო რიგ მეცნიერთა სქოლასტიკურ ძიებებს.

ს. სინხა ბუნებითი სამართლის (არამარტო ადრეული თეორიების) ცდომილებას ხედავს იმაში, რომ „ბუნებითი სამართლის თეორიას აქვს პრეტენზია არა უბრალოდ იდეალური კანონების ძიებაზე, არამედ თვით ჭეშმარიტ კანონზე“. ეს პრეტენზია, როგორც შემდეგაა აღნიშნული, წარმოადგენს „საეჭვო ონტოლოგიის“ მიზეზს. ეს „ჭეშმარიტი კანონი“, წერს იგი, ვითარდება როგორც ეგზისტენციალური სამყარო“, ე. ი. დამოუკიდებელი, „და არა როგორც ამ ემპირიული სინამდვილის უბრალო ეპისტომოლოგიური წინაპირობა“. გასაგებ ენაზე ავტორის ეს აზრი შეიძლება გადმოვცეთ შემდეგნაირად: ბუნებითი სამართალი ვითარდება რაღაც საკუთარი იდუმალი

კანონების მიხედვით და არ წარმოადგენს რეალობის (ემპირიული სინამდვილის) წინაპირობას. რამდენად მართებულია გამოთქმული აზრი?

კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ მისი ერთიანობა, უფრო ზუსტად, კაცობრიობის ისტორიის სუბიექტად ჩამოყალიბება, იბადება სტიქიურად. მაგრამ, წარმოიშობა რა, კაცობრიობის ქცევის გამოცდილება თვითონ ხდება ცალკეული ხალხების ქცევის წინაპირობა. და ამ მხრივ კაცობრიობის ქცევის ნორმა წარმოადგენს ემპირიული სინამდვილის, ე. ი. ცალკეული ხალხების გამოცდილების წინაპირობას. მეცნიერმა არ მიიჩნია, რომ ბენებითი სამართლის განვითარება იღებს რეალური ავტონომიურობის ხასიათს მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების სტადიაზე, როცა საერთაშორისო გამოცდილება განსაზღვრავს კონკრეტული ხალხის გამოცდილებას. სწორედ ამაში მდგომარეობს კაცობრიობის გამოცდილების დამოუკიდებლობა, მისი „ეგზისტენციალობა", „ტრანსცენდენტალობა" და ა. შ. ავტორს უჭირს შენიღბოს საკითხის არსი ფსევდომეცნიერული, ძნელსაცნაური ტერმინებით.

თავის კრიტიკაში ს. სინხა აღნიშნავს, რომ „ტრანსცენდენტული პრეტენზიას აცხადებს რეალურ არსებობაზე უნივერსალურობისა და სუფთა რაციონალურობის მიზეზით".[484] ამრიგად, ბუნებითი სამართალი, როგორც ჩვენ გვარწმუნებენ, არსებობს აზროვნებაში, ხოლო რეალურად იგი მხოლოდ მონაგონია. მეორე მხრივ, არსებობს რეალური ემპირიული სამყარო, ნორმატიულის მრავალფეროვნება. ამ ორი საწყისის არსებობაში ს. სინხა ხედავს ბუნებითი სამართლის ონტოლოგიურ დუალიზმს.

ავტორის შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ის ადრინდელი თეორიების ანალიზის საფუძველზე მიღებულ დასკვნას ავრცელებს ბუნებითი სამართლის მთელ თეორიაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან არ გაითვალისწინა, რომ იმ შორეულ ხანაში კაპიტალიზმამდელი ურთიერთობები ეფუძნებოდა ბუნებრივად წარმოშობილ შრომის განაწილებას. ბუნებაზე დამოკიდებულება სახეზე იყო. თვით ადამიანი საკუთარ თავს მოიაზრებდა, როგორც ბუნების ნაწილს. ამიტომ აზროვნება, რწმენა, ინტუიცია და ადამიანის, როგორც არა სოციალური ინდივიდის, არამედ როგორც ბუნების ძალთა პროდუქტის სხვა ატრიბუტები, აღიარებული იყო როგორც ბუნებითი სამართლის

484 С. Синха (1966), „Юриспруденция. Философия права", М., „Академия", с. 79.

კრიტერიუმები. ამრიგად, ონტოლოგიური დუალიზმი მხოლოდ კაპიტალიზმამდელ პერიოდში არსებული თეორიების დამახასიათებელი თვისებაა. ამ დუალიზმს ბუნებით სამართალთან, ე. ი. კაცობრიობის, როგორც ისტორიის სუბიექტის მოქმედებასთან, მსოფლიო წესრიგთან ზუსტად ისეთი ურთიერთობა აქვს, როგორც კაპიტალიზმამდელი პერიოდის საფეხურს ისტორიასთან.

ს. სინხა ამტკიცებს, რომ ბუნებითი სამართალი „მეტისმეტად ფართო და უკიდეგანოა იმისათვის, რომ ამ სქემით მოიცვა ყველა ეს ფაქტორი". ამით ავტორი გამოდის იმ განმარტებებიდან, რომელსაც იძლევიან ბუნებითი სამართლის ადრინდელი თეორიების შემმუშავებლები, რაც არამართებულია. პლატონი, არისტოტელე, თ. აქვინელი და ბუნებითი სამართლის სხვა მომხრეები სწორად სვამდნენ საკითხს ბუნებითი სამართლის, როგორც ემპირიული ნორმის საზომის არსებობის შესახებ, მაგრამ იმ ურთიერთობათა ისტორიული შეზღუდულობის გამო, რომლის პირობებშიც ისინი ცხოვრობდნენ, მათ არ შეეძლოთ მოეცათ ბუნებითი სამართლის განმარტება – იგი ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. ამიტომ კაპიტალისურ წყობამდე არსებული ბუნებითი სამართლის იდეის გავრცელება კაპიტალისტურ სამყაროზე, სადაც მსოფლიო მოგების ნორმის ზეგავლენით ბუნებითი სამართალი იძენს სხვა შინაარს, შეცდომაა.

„ბუნებითი სამართლის თეორიის ლოგიკური პროცედურა, – აღნიშნავს ს. სინხა, – მდგომარეობს სამართლებრივი ნორმების ბუნებითი სამართლის ონტოლოგიურად მიწერილი ფაქტებიდან გამოყვანაში. სახელდობრ: „შეიძლება თუ არა მართებული გამოყვანილი იქნას არსებულიდან",[485] საერთოდ, საკითხის ასე დაყენების წინაშე დგება სამართლის ფილოსოფიის ნებისმიერი მკვლევარი. ამიტომ ადრე თუ გვიან იგი აღმოჩნდება გზაგასაყარზე: თუ ბუნებითი სამართალი მოიაზრება როგორც რაღაც იმქვეყნიური, აზრონების გამონაგონი, მაშინ ასეთი ჯერარსიგან რეალობის, არსებულის გამოყვანა შეუძლებელი ჩანს, როგორც ძნელია ბუნების ფაქტებიდან, აბსტრაქტული გონებიდან ანუ ღმერთიდან რეალური ნორმატულობის გამოყვანა. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ბუნებითი სამართლის როლს ასრულებს ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული ქვეყნების, ხალხების ჯგუფის თვალსაზრისი და ა. შ. , მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება. მაშინ შეიძლება დავეთანხმოთ ს. ს. სინხას, რომ „ონტოლოგიური ღირებულებები განეკუთვნებიან

485 С. Синха (1966), „Юриспруденция. Философия права", М., „Академия", с. 80

ადამიანურ სამყაროს და რომ, არიან რა ამ ადამიანური სამყაროს ნაწილი, წარმოადგენენ ობიექტურობას".[486]

კვლავ უნდა გავიხსენოთ, რომ ბუნებითი სამართლის ადრინდელი თეორიები წარმოიშვა იმ ისტორიულ პერიოდში, როცა გაბატონებული იყო შრომის ბუნებრივად წარმოშობილ დანაწილებაზე დაფუძნებული ურთიერთობები. ამ პერიოდში ბუნებითი სამართალი არსებობდა მხოლოდ ხალხთა ოცნებაში, რადგანაც ერთმანეთისაგან განცალკევებული იყვნენ, წარმოებაც ლოკალურ ხასიათს ატარებდა და ა. შ. ამ დროს გაბატონებული იყო მხოლოდ დაქსაქსული „არსებულის სამყარო". ეს განაპირობებდა იმას, რომ ნორმის არსებითობას განმარტავდნენ სხვა სახის არსებულით, რომლის მასალასაც იძლეოდა პირადი დამოკიდებულების ურთიერთობა. ბუნებრივად ითვლებოდა ის მოვლენა (მონობა, თანასწორობა, ჰარმონია ღმერთთან და ა. შ.), რომლის პოვნაც შეიძლებოდა ისტორიის იმ შორეულ ცხოვრებაში. მრავალი საუკუნის შემდეგ, კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში არსებითი იმავდროულად ხდება მართებული: ეკონომიკურად გაბატონებული ქვეყნები ავრცელებენ საკუთარი ცხოვრების წესის სტანდარტებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე. აქ ბუნებითი სამართლის ტრანსცენდენტალობა არის არა ფანტაზიის, რწმენის ნაყოფი, არამედ რეალობა.

5.1.1.2. რატომ იმოწმებდნენ სხვადასხვა დროის მოაზროვნეები ღმერთს ან აბსტრაქტულ გონებას?

ამ აზრთა კონტექსტში ზედმეტი არ იქნება, თუ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით საკითხზე: რატომ იმოწმებდნენ სხვადასხვა დროის მაზროვნეები ღმერთს ან აბსტრაქტულ გონებას?

როგორც ცნობილია, აბსტრაქტული გონების ცნება ისტორიაში ორჯერ წარმოიშვა: თეოლოგიური სახით და ფილოსოფიური სახით. ამ ცნებათა ისტორიული ფესვები სხვადასხვაა. პირადი დამოკიდებულების პერიოდში დომინირებდა ტოტალურობა, მეფეების, ფეოდალების, მოხელეების განუკითხაობა. ამ ფონზე ურთიერთდახმარების ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობები, კეთილგანწყობა არსებულის სფეროს განეკუთვნებოდა, ე. ი. წარმოადგენდნენ ისეთივე განსაკუთრებულ ფორმებს, როგორც ხელისუფლების განუკითხაობა და თვითნებობა. ამიტომ ბუნებითი სამართალი ჯერჯერობით ატარებდა შემხთვევით ხასიათს კონკრეტული ინდივიდების

486 იქვე, გვ. 80

ურთიერთობათა ფრაგმენტების სახით. ამ ფორმის ბევრი წახნაგის განვითარების არარსებობა წარმოქმნიდა ვაკუუმს, რომლის შევსება ხდებოდა თეოლოგიური კონსტრუქციებით. თეოლოგიის (როგორც ბუნებითი სამართლის ადრიეული თეორიების ნაირსახეობის) დამსახურება ისაა, რომ იგი შეეცადა ადამიანთა ბენებრივი ურთიერთობები (კეთილგანწყობა, დახმარება, ყველას ერთიანობა და ა. შ.) განსაკუთრებული ფორმიდან გადაექცია უზოგადეს ნორმად. თეოლოგიამ შეამჩნია, რომ სწორედ ამ ურთიერთობებშია მოცემული იმის ჩანასახი, რასაც ეწოდება ბუნებითი სამართალი, კაცობრიობის ნორმატიულობა. მაგრამ მან ვერ შეძლო განმარტების მიცემა, რადგანაც მაშინ ისტორია მხოლოდ იწყებოდა.

ბუნებითი სამართლის ცნება გაჩნდა კაპიტალისტური სისტემის ჩასახვის გარიჟრაჟზე. ბაზრის სტიქიური კანონების განვითარება, საწარმოო ძალთა ინტეგრაციის პროცესების ჩასახვა და ა. შ., ინდივიდისაგან დამოუკიდებლად ხდება, მისთვის რაღაც იდუმალი კანონების მიხედვით, ბადებს გაუცხოებული ადამიანის ურთიერთობის იდეას სამყაროსთან. მსოფლიოს გაერთიანება ხდება სპონტანურად, გაუცხოების მტკივნეულ პროცესებზე გავლით. ბუნებითი სამართლის გამოვლენის ფორმა წინააღმდეგობაშია თვით ბუნებითი სამართლის არსთან, უარყოფს ამ არსს. ამიტომ გვგონია, რომ მართებული, ბუნებითი, მსოფლიო წესრიგი არსებობს სადღაც გაუცხოებული ადამიანის ზურგს უკან, რომელიღაც სხვა სამყაროში. მტკიცება იმისა, რომ ამ ბუნებითი სამყაროს რეალობა ვითარდება როგორც ტრანსცენდენტული სამყარო, არის ინდივიდის (ხალხისაც კი) ფეტიშის ნაყოფი, რომელიც ჩაბმულია ამ დაუსაბამო სამყაროში. ეს დაფარული ბუნებითი სამართალი ნამდვილად წარმოგვიდგება, როგორც რაღაც ტრანსცენდენტული სამყარო, რომელიც ჩამოწოლილია კონკრეტული ინდივიდის თავზე.

ამრიგად, ორივე შემთხვევაში ბუნებითი სამართლის გამოვლენის ფორმა განსაზღვრავს ამ სამართლის გაგებისადმი მიდგომას. თეოლოგიური შეხედულება იბადება ამ ფორმის განუვითარებლობის გამო, ხოლო ფილოსოფიური შეხედულება (კანტის, ჰეგელის, შტამლერის და სხვ.) – ინდივიდის გაუცხოების განსაკუთრებული ფორმის განვითარების გამო, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაშია ბუნებითი სამართლის, კაცობრიობის ერთიანობის არსსთნ. ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ ჯერარსი და არსის ურთიერთობა.

ს. სინხას მიაჩნია, რომ ბუნებითი სამართლის თეორია „ბადებს

ვარაუდს, რომ ამ ღირებულებათა განვითარების პროცესი არის ავტონომიური, რომ ეს პროცესი დეტერმინებულია მხოლოდ საკუთარი შინაგანი კანონებით". ამიტომ, როგორც ავტორს მიაჩნია, „ადამიანის მხრიდან ძალისხმევა მათი (ღირებულებების – გ. თ.) რეალიზაციისათვის უბრალოდ უადგილოა". მისი აზრით, „ბუნებითი სამართლის ავტონომიურობის ასეთი აგებისას „ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მათ გაშლას". აქედან იგი აკეთებს დასკვნას: „თუ ეს ღირებულებები წაღმოადგენს ისტორიული გაშლის შედეგს, მაშინ ყველა ძალისხმევა ადამიანის მხრივ მათი რეალიზაციისათვის უბრალოდ უადგილო აღმოჩნდება".[487]

თუ გამოთქმულ აზრს გავიზიარებთ, მივიღებთ ფრიად პარადოქსულ სიტუაციას. თუ მონობა, თანასწორობა, კეთილგანწყობა, ჰარმონია ღმერთთან და სხვა ღირებულებანი, რასაც იმ შორეულ წლებში მოსახლეობის სხვადასხვა კლასები და ფენები აღიქვამდნენ როგორც ქცევის ეტალონებს, ავტონომიური და დეტერმინებულია საკუთარი შინაგანი კანონების მიხედვით, მაშინ ადამიანი ვერ ჩაერევა მათ განხორციელებაში. ამრიგად, აქ ავტორი აღწერს ბუნებით სამართალს როგორც ტრანსცენდენტალურ სამყაროს, რომელიც ადამიანის გარეთ არსებობს, ვითარდება საკუთარი ავტონომიური კანონების მიხედვით. თუ ეს ღირებულებები ვითარდებიან არა ავტონომიურად, არამედ ისტორიულად, მაშინ მათი მომწიფების ლოდინი უადგილოა და მათი რეალიზაციისათვის ძალისხმევა ადამიანის მხრიდან მოკლებულია რაიმე მიზანშეწონილობას. ორივე შემთხვევაში უარყოფილია ადამიანის აქტივობა, დასტურდება ორივე სამყაროს არსებობა ადამიანის გარეთ.

ძველი ისტორიული ეპოქებისათვის ქვეყნების ერთ სამეურნეო მექანიზმად ჩამოყალიბება, ერთიანი ბაზრისაგან ნაკარნახევი ცხოვრების წესის საერთო საერთაშორისო სტანდარტები იყო მისტიური რამ, რაც გააზრებული იყო მხოლოდ ოცნებებში, როგორც რაღაც ავტონომიური წარმონაქმნი, რომელსაც თავისი შინაგანი იდუმალი კანონები ჰქონდა. ესაა ძველი ცივილიზაციის თვალსაზრისი ბუნებით სამართლზე.

ნაკლებად მისაღებია ავტორის პოზიცია მეორე საკითხშიც, რომელიც ისტორიას შეეხება. იგი გამოთქვა ს. სინხამ, როგორც თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების წარმომადგენელმა, რომლისთვის კაპიტალისტური საზოგადოების წარმავალი ხასიათი

487 С. Синха (1966), „Юриспруденция. Философия права", М., „Академия", с. 84

ჯერ კიდევ არ არის ცხადი და შორსაა. იქმნება ამ წყობილების მარადიულობის ილუზია. ამიტომ გასაგებია ავტორის პესიმიზმი ადამიანის ისტორიულ გარდაქმნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ბუნებითი სამართლის ინტერპრეტირებისას ავტორი დაუსაბუთებლად უთავსებს ერთმანეთს სხვდასხვა ისტორიული დროის ბუნებითი სამართლის მდგომარეობებს. როგორც ავღნიშნეთ, ძველი ცივილიზაციების დროს ბენებითი სამართლის ტრანსცენდენტალობის იდეა წარმოიქმნა შრომის განაწილების განუვითარებულობის გამო. მონათფლობელური ან ფეოდალური საზოგადოების წევრები ცხოვრობდნენ სასაქონლო წარმოების დანაწევრებულ ურთიერთობათა პირობებში, რომელიც ისტორიულად მიემართებოდა ერთიანობისაკენ. ხოლო კაპიტალისტური საზოგადოების მკვიდრნი ცხოვრობენ ახლად დაწყებული გლობალიზაციის პირობებში.

ს. სინხას თეორიაში ბუნებითი სამართალი წარმოადგენს ბუნდოვან კონსტრუქციას, რომელიც ყველას შეუძლია გამოიყენოს საკუთარი იდეოლოგიის მართებულობის დასადასტურებლად. „თუმცა არსებობს სერიოზული განსხვავება ხალხთა წესჩვეულებებს შორის, – წერს სინხა, – მათ შორის ბევრი საერთოც არის. ეს საერთო თვისებები გვეხმარება ენივერსალური ეთიკური კატეგორიების კონსტრუირებაში ისე, რომ არ ჩავარდეთ ბუნებითი სამართლის თეორიის დოგმატიზმში“.[488] მაგრამ იგი იქვე აღნიშნავს, რომ „ყოველთვის ერთდროულად არსებობდა ოთხი ცივილიზაცია ძველ სამყაროში და სამი ამერიკაში“, ე. ი. არსებობდა სხვადასხვა კულტურები, რომლებმაც „შეიმუშავეს თავიანთი საკუთარი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი იდეები სოციალური მოწყობის შესახებ“.[489] ამიტომ „ნებისმიერ შემთხვევაში მსოფლიოში ცივილიზაციის ნორმატიული გაჟღენთა შესაბამისი კულტურისათვის არის პლურალისტული და სპეციფიური“. ეს „მრავალფეროვნება ასახავს ცდომილებათა სიმრავლეს“. ბუნებითი სამართლის თეორიას „აქვს ნებისმიერი ასეთი, დოგმატური განზოგადოებებისაკენ მიდრეკილი იდეოლოგიის უნივერსალურობის ყალბი შარავანდედით შემოსვის ტენდენცია“ და ამიტომ მას „არ გააჩნია ადექვატური კრიტერიუმი ამ საკითხის

488 Ç. Синха (1966), „Юриспруденция. Философия права“, М., „Академия“, с. 86.

489 იქვე, გვ. 85.

გადასაწყვეტად".[490]

ამრიგად, ს. სინხა აღმოჩნდა სრულ წინააღმდეგობაში: თუ ზემოთ ამტკიცებდა, რომ «ტრანსცენდენტული აცხადებს პრეტენზიას რეალურ არსებობაზე მისი უნივერსალურობისა და სუფთა რაციონალურობის გამო", ე. ი. ბუნებითი სამართალი წარმოადგენს გამონაგონს, ახლა გვთავაზობს სრულიად საპირისპირო დასკვნას – ბუნებითი სამართლის ნორმატიული გაჟღენთა „მსოფლიოში არის პლურალისტული და სპეციფიური შესაბამისი კულტურისათვის", ე.ი. წარმოგვიდგება გარკვეულ კულტურაზე მიბმული საერთო ქცევის რეალური მოდელის სახით. ს. სინხა საკითხს მიუდგა არა როგორც ფილოსოფოსი, არამედ როგორც იურისტი და დაუშვა შეცდომა, რადგანაც, როგორც იტყოდა ჰეგელი, ერთმანეთში აურია"საერთო" და „უზოგადესი". რა დასკვნამდე მივიდა ავტორი ინტუიციურად?

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ს. სინხას, რომ გარკვეული ხალხის, სოციალური ფენის ან სოციალური ჯგუფის კულტურა ნებისმიერ ისტორიულ დროში ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს წარმოადგინოს თავისი თვალსაზრისი როგორც საყოველთაო. სწორედ ასეთი გზით მოცემულ ჯგუფს თავისი თვალსაზრისი მიაჩნია ბუნებრივად სხვა ფენების პოზიციებთან მიმართებაში. გამონაკლისს არც კაცობრიობის განვითარების კაპიტალიასტური გზა წარმოადგენს. ამ პერიოდში მოქმედებს იგივე კანონზომიერებანი. ეს ნიშნავს, რომ ქცევის საერთო-საკაცობრიო ნორმა ბუნებითი სამართლის სახით არ შეიძლება გავიგოთ პრიმიტიულად, როგორც რაღაც საშუალო, რამეთუ კვლავ აღმოვჩნდებით ტრანსცენდენტული ცნებების ხაფანგში, როლებიც მოკლებულია რეალობას და მეცნიერის გამონაგონს წარმოადგენენ. სინამდვილეში კაცობრიობის განვითარების კვალობაზე, ბუნებითი სამართლის როლი ყოველთვის იღებს თავის თავზე ეკონომიკურად უძლიერესი სახელმწიფის ან სახელმწიფოთა ბლოკის სახელმწიფო ინტერესს. თავიანთი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, დანარჩენი სახელმწიფოები ესწრაფვიან მონაცვლეობით მოახდინონ უძლიერესის სამართლის რეცეფცირება თავიანთ სამართალში.

სხვათა შორის, ტრანსცენდენტულად გაგებული სამართლის ფილოსოფია მრავალ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემაზე არ იძლევა პრაქტიკულად აუცილებელ პასუხებს. ამ პრობლემების რიცხვს განეკუთვნება ბუნებითი სამართლის რეცეფცია კონკრე-

490 იქვე, გვ. 86.

ტული ხალხის სამართალში. ხალხის ბუნებითი სამართლისადმი დამოკიდებულების გააზრებისას ტრანსცენდენტულად განწყობილი მეცნიერები ყოველთვის მიილტვიან ისტორიულად არსებული იდეალების, ნორმების, ტრადიციებისაკენ, რომელებმაც, მათი აზრით, უნდა წარმოქმნან ბუნებითი საწყისები ეროვნულ სამართალში. მათი მიამიტი აზრით, ხალხის ისტორია უნდა იყოს მისი სამართლის საზომი. ამავე დროს კაპიტალიზმი ამსხვრევს ამ იდილიას და ამა თუ იმ ხალხის სამართალში ნერგავს უძლიერესი სახელმწიფის სამართალს, ე.ი. სხვა ხალხის ისტორიას. ასეთია უძლიერესის სამართლის, როგორც ბუნებითი სამართლის, თავზე მოხვევის მტკივნეული რეალობა, რასაც, სამწუხაროდ კონკრეტული ქვეყნის ხალხი თავს ვერ აარიდებს.

მაგრამ რატომ არ შეუძლიათ ს. სინხას ისევე, როგორც სამართლის ფილოსოფიის თანამედროვე მკვლევარების უმრალესობას, მთლიანად აღიარონ ბუნებითი სამართლის რეალობა და მაინც იხრებიან ბუნებითი სამართლის ტრანსცენდენტულობისაკენ?

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ეს წინააღმდეგობა ბუნებითი სამართლის გაგებაში ჩადებულია თვით კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობრიობაში. ქცევის საერთო სტანდარტი თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ბაზრის ზემოქმედების შედეგად სულ უფრო სტიქიურად წარმოიქმნება. ამასთან, ეს სტანდარტი საზოგადოების ზედაპირზე ვლინდება ისტორიული ფორმის სახით, სადაც ყველასაგან მიღებული სამართლებრივი ნორმები იმავდროულად არეულია მოცემული სოციალური ჯგუფის ნორმებთან: მონოპოლიების თვალსაზრისს თავს ახვევენ ხალხებს, როგორც ქცევის წესს, რომელსაც თითქოს იზიარებს მთელი კაცობრიობა; ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები გამოიმუშავებენ უნივერსალური ქცევის კრიტერიუმებს სუსტად განვითარებულთათვის და ა. შ. ამიტომ, რაც უფრო ვითარდება ბენებითი სამართლის არსებობის განსაკუთრებული ფორმა სტიქიური პროცესების პერიოდში, მით უფრო ტრანსცენდენტული გვეჩვენება იგი, როგორც თითქოს იმქვეყნიური რეალობა.

5.1.1.3. ჭეშმარიტების ობიექტური კრიტერიუმის პრობლემა ბუნებითი სამართლის თეორიაში.

„ნორმატიული აქტების შესასწავლად, – წერს ს. სინხა, – ბუნებითი სამართლის მომხრეები მიმართავენ ისეთ მეთოდებს, რო-

გორიცაა ინსაიდი, ინტუიცია, ცხადის ჭვრეტა ანუ გონება. ეს უშუალო სიცხადის გრძნობა... შეიძლება თან ახლდეს ცდომილებასაც და მან მიიღოს იგი, როგორც ჭეშმარიტი მტკიცება. რაიმე მსჯელობის ჭეშმარიტების რწმენა საკმარისი არაა. საჭიროა სწორედ მტკიცება. რწმენა თავისთავად მტკიცება ვერ იქნება. ბუნებითი სამართლის თეორია, რწმენის გარდა, არ შეიცავს ჭეშმარიტების სხვა ობიექტურ კრიტერიუმს. ამიტომ იგი გარდუვალად არის ნებისმიერი ინტერპრეტაციის ობიექტი, რომელიც ნაკარნახევია ინსაიდით, ინტუიციით, ან თვითსიცხადით".[491] აქვე მოვიყვანთ კიდევ ერთ ციტატას: „თუ ბუნებითი სამართლის ნორმები დედუცირებულია აბსოლუტირად ერთადერთი კანონიდან, მაშინ დგება იმის აუცილებლობა, რომ ამ თეორიამ ახსნას ეს მრავალფეროვნება და უბრალოდ აღიაროს ამ მრავალფეროვნების ფაქტი".[492]

იმის მტკიცებისას, რომ „ბუნებითი სამართლის თეორია არ შეიცავს ჭეშმარიტების ობიექტურ კრიტერიუმს" ძირითად არგუმენტად წარმოდგენილია ბუნებითობის დადგენის საშუალებათა ნაკლოვანებათა აღწერა. ერთი შეხედვით, ასეთი ანალიზი შეიძლება მართებულად მოგვეჩვენოს, თუ ვიმსჯელებთ მხოლოდ ამ მიმართულებით და ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ გარკვეულ ასპექტზე, სახელდობრ კი, ნორმის სამართლიანობა რომ გავიგოთ, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ „მარადიული კანონის", „უმაღლესი წესრიგის" პრინციპით. მათი შეცნობა ძალუძთ არა უბრალო ადამიანებს, არამედ მხოლოდ სრულყოფილ არსებებს, რომელთაც შეუძლიათ ამ „მარადიული კანონის" ჭვრეტა, ნორმისათვის ნებისმიერი ინტერპრეტაციის მიცემა (თომა აქვინელი). რადგანაც „მარადიული კანონი" მოუხელთებელია და შეცნობადია მხოლოდ განდობილების მიერ, გამოდის, რომ სუბიექტი გამოდის მხოლოდ საკუთარი ინტუიციიდან, თვითჭვრეტიდან, ინსაიდიდან, ე. ი. ჭეშმარიტების კრიტერიუმად განსაზღვრავს თავის თავს. რამდენადაც ობიექტური საზომი არ არსებობს, მაშინ არც ახსნა არ არის, გვაქვს აზრის გამოთქმა, ფორმების მრავალფეროვნების ჭვრეტა. იმის დამტკიცება, თუ რატომაა ნორმათა ეს რიგი ბუნებითი, ნორმათა სხვა რიგთან შედარებით, ობიექტურად შეუძლებელია, რამეთუ არ არსებობს კრიტერიუმი.

ამასთან, ამ თითქოს მართებულ მსჯელობებში დამალულია

491 С. Синха (1966), „Юриспруденция. Философия права", М., „Академия", с. 58
492 იქვე, გვ. 89

თვით ანალიზის ღრმა შეცდომა. მსგავსი მსჯელობა გვაგონებს დიდი ხნის კამათს ქიმიაში ატომის, როგორც დაუშლელი ელემენტის განსაზღვრის თაობაზე, რადგანაც არ აზუსტებდნენ, იყო თუ არა ატომი დაშლადი საერთოდ, თუ მეცნიერებას ჯერჯერობით არ გააჩნია საშუალება მის დასაშლელად. ინსაიდი, ინტუიცია ან კიდევ თვითსიცხადე, რა თქმა უნდა, ბუნებითი სამართლის წვდომის ძველი ხერხებია. მაგრამ ბუნებითი სამართლის ჩაწვდომის საშუალებათა თვისებების გაიგივება თვით ბუნებითი სამართლის თვისებებთან ისეთივე უგუნურებაა, როგორც იმის მიჩნევა, რომ ხე იმდენად მაგარია, რომ მისი მოჭრა საერთოდ შეუძლებელია. საშუალების – ნაჯახის მდგომარეობა აქ მიეწერება ხეს, თუმცა ცხადია, რომ ხე რეალურად არსებობდა ნაჯახის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე, თანამედროვე ტექნიკის დახმარებით კი შესაძლებელია ისეთი პრობლემების გადაწყვეტა, რომელთა გადაწყვეტაც ძველი საშუალებებით წარმოუდგენელი იყო. თუ ინსაიდი ან ინტუიცია უძლურია გაგვარკვიონ ნორმების „სისწორესა“ თუ „არასისწორეში“, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ბუნებითი სამართალი არ არსებობს. ბუნებითი სამართლის ადრეული თეორიების ანალიზისას ს. სინხას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ უმაღლესი დონის ბუნებითობა ანუ საერთო-საკაცობრიო ნორმატიულობა (როგორც ცივილიზაციის წესრიგის კანონი) მწიფდება ათასეულობით წლის განმავლობაში ერთმანეთს მიყოლებულ საზოგადოებრივ – ეკონომიკურ ფორმაციებში. პროგრესი მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობა თანდათანობით, ისტორიულად აშენებს ამ ბუნებით ნორმატიულობას და გაუცნობიერებლად მისდევს მას. სწორედ საერთო-საკაცობრიო გამოცდილებაში იგება ეს ნორმატიულობა. სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ბუნებითი სამართალი ანუ საყოველთაოდ მიღებული სამართალი წარმოდგენილია იმ საერთო სურათის გარკვეული ფრაგმენტებით, რისი ხილვაც შეუძლია თანამედროვეს. ბუნებითი სამართლისათვის ბუნებით სოციალურ წინაპირობათა არარსებობა უეჭველად აისახებოდა ამ სამართლის გაგებაზე. იმ სტადიაზე, როცა წარმოიქმნა ადრეული ბუნებით-სამართლებრივი თეორიები, ბუნებისა და საზოგადოების გაიგივებას ობიექტური საფუძველი ჰქონდა. ცივილიზაციის გარიჟრაჟზე მიწა, მასზე მიმაგრებული მუშაკები და ა. შ. წარმოადგენდნენ ბენებრივად წარმოშობილ წარმოების იარაღებს. ადამიანები მთლიანად ემორჩილებოდნენ ბუნებას: ინდივიდები იყოფოდნენ ბუნებრივად წარმოშობილ ადამიანთა ჯგუფებად

ოჯახების, ტომების, ტომთა გაერთიანებების მიხედვით და ა.შ. მესაკუთრისა და არამესაკუთრის (მონის, ფეოდალის და ყმის) ურთიერთობა ეფუძნებოდა პირად ურთიერთობებს. მართალია, გაცვლა ნელა ვითარდებოდა, მაგრამ ძირითადად დომინირებდა წარმოება არა ბაზრისათვის, არამედ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაშინ ყველგან ეჭვშეუვალი იყო ფაქტი, რომ წესრიგს ცხოვრებაში ამყარებს სწორედ ბუნება, რომ ადამიანი მთლიანადაა მასზე დამოკიდებული. (თვით მეფეების ჭირვეულობის, ქურუმების წყევლის, მოვლენათა აუხსნელობის შეცვლა რიტუალური წირვით და ა. შ.) ამიტომ ადრინდელი თეორიები ბუნებით სამართალს ასაბუთებდნენ ბუნების კანონთა საფუძველზე.

5.1.2. დასკვნა

წინააღმდეგობანი ს. სინხას შეხედულებებში ტიპიურია ბუნებითი სამართლის მკვლევართა უმრავლესობისათვის, რომლებიც პრობლემატიკას უდგებიან არა როგორც ფილოსოფოსები, არამედ როგორც „იურისტები", ე. ი. ერთმანეთში ურევენ საერთოს და უზოგადესს, ისტორიულ თვალსაზრისს და ობივატელის თვალსაზრისს, აიგივებენ ზედაპირზე მოცემულ მოვლენებს მათ არსთან. ამავე დროს მათ ავიწყდებათ, რომ ბუნებითი სამართლის თეორიები წარსულში წარმოიშვა, როგორც პროტესტი იურიდიული სინამდვილის წინააღმდეგ. ვედური პერიოდის ინდოელებისათვის კარგი ქცევის ნორმა – დრაჰმა არსებობს არა მმართველის დადგენილებებში, არამედ წმინდა წიგნებში – ვედებში. ჩინელებისათვის (ლაო ძი, კონფუცი და სხვ.) არსებობს ბუნებითი სამართლიანობა, რაც ხელს უწყობს ხალხის კეთილდღეობას, ხოლო იმპერატორის კაპრიზი ამ კანონს უზურპირებას უკეთებს: ტირანია, ძალადობა, შევიწროება, ნორმათა მექანიკური გამოყენება არ უწყობს ხელს ხალხის სათნო ქცევას. იმ დროის ბერძნებისათვის ბუნებითი სამართლიანობა არსებობს ყველგან და არანაირად არაა დამოკიდებული ადამიანებზე. იგი იურიდიულ მიუკერძოებლობაზე უფრო მაღლა დგას, რომაელებისათვის (მ. ციცერონი) არსებობს ერთი მარადიული და უცვლელი კანონი, რომელიც ნამდვილია ყველა ქვეყნისა და დროისათვის. მისი გაუქმება შეუძლებელია. ეს კანონი არსებობს დაწერილ ნორმამდე და ამიტომ ნორმების და მართლმსაჯულების წარმოშობა უნდა ვეძებოთ ამ უზენაეს კანონში. ეს უზენაესი კანონია სამართლიანობა, რომელიც ერთია მთელი კაცობრიობისათვის, წარმოადგენს ჭეშ-

მარიტ გონებას, ღმერთს. შუა საუკუნეების იტალიელი მოაზროვნის (თ. აქვინელის) კონცეფციით, ბუნებითი არის ნეტარებისა და ბედნიერების მარადიული კანონი. მასში განსახიერებულია ღვთაებრივი სიბრძნე. ადამიანური კანონები სათავეს უნდა იღებდნენ ბუნებითო სამართლიდან ან ამ მარადიული კანონიდან.

შეიძლება გავაგრძელოთ ბუნებითი სამართლის თეორიების ადრინდელი კონცეფციების ჩამოთვლა, მაგრამ ეს არ შეცვლის მათ საერთო დახასიათებას. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მცდელობაში ჩანს ერთი იდეა, რომლის თანახმადაც არსებობს სამართლიანობის რაღაც საწყისი ანუ კაცობრიობის ქცევის ნორმები. სწორედ ის გვევლინება უზენაესი კანონის, ბუნებითი სამართლის სახით ყველა ქვეყნისა და ყველა დროისათვის. ბუნებითი სამართლის ადრეული თეორიების დამსახურება მდგომარეობს საკითხის დასმაში იმის შესახებ, რომ არსებობს ნორმატიულობა როგორც ცივილიზაციის ერთიანი წესრიგის, მისი სტრუქტურული ორგანიზაციის კანონი იმ დროში. იმ შორეულ წლებში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ერთიანი წესრიგი. ეს მდგომარეობა მოგვიანებით, კაპიტალისტური სისტემის წარმოქმნის გარიჟრაჟზე უკვე იძენს ობიექტურ საფუძველს საერთაშორისო სამართლის, ერთიანი ეკონომიკური ბაზრის, ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებების სახით და ა. შ. მაგრამ უკვე იმ შორეულ ხანებში ტირანიის, ძალადობის, შევიწროების ანტიპოდად მოიაზრებოდა კაცობრიობის ისეთი მდგომარეობა, სადაც იქნება ბუნებითი სამართლიანობა (ლაო ძი), მარადიული ნეტარება და ბედნიერება (თ. აქვინელი) და ა.შ. ბუნებით სამართლამდე ჯერ შორსაა. მაგრამ გლობალიზაცია ადამიანური სოციუმის ყველა მიმართებაში იმის მაუწყებელია, რომ ხდება ბუნებითი სამართლის ჩასახვა. ეს ბუნებითი სამართალი – კაპიტალის დაგროვების სამართალია, რასაც ხალხი და სახელმწიფოებები გვერდს ვერ აუვლიან.

შევნიშნავთ, რომ ქცევის ზოგადსაკაცობრიო ნორმა როგორც ბუნებითი სამართალი არ შეიძლება გავიგოთ როგორც რაღაც საშუალო, რამეთუ ჩვენ კვლავ აღმოვჩნდებით ტრანსცენდენტურ ცნებათა მახეში, რომლებიც მოკლებულნი არიან რეალობას და მეცნიერთა გამონაგონს წარმოადგენენ. სინამდვილეში კაცობრიობის განვითარების კვალობაზე ბუნებითი სამართლის როლს ყოველთვის იღებს საკუთარ თავზე ეკონომიურად უძლიერესი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ბლოკის სახელმწიფოებრივი ინტერესი. თავიანთი

ეროვნული ინტერესების საპირისპიროდ დანარჩენი სახელმწიფოები ისწრაფიან მონაცვლეობით მოახდინონ უძლიერესის სამართლის რეცეფცირება თავიანთ სამართალში.

სხვათა შორის, ტრანსცედენტურად გაგებული „სამართლის ფილოსოფია" არ იძლევა პრაქტიკულად აუცილებელ პასუხებს ბევრ სასოცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე. ამ პრობლემების რიცხვს განეკუთვნება ბუნებითი სამართლის რეცეფციის პრობლემა კონკრეტული ერის სამართალში. ბუნებითი სამართლისადმი ერის მიმართების განმარტებისას, არაკრიტიკულად განწყობილი მეცნიერები ყოველთვის იხრებიან განყენებული იდეალების, ნორმების, ტრადიციებისაკენ და სხვ., რომლებმაც, მათი შეხედულებით, უნდა წარმოქმნან ბუნებრივი საწყისები ეროვნულ სამართალში. მათი აზრით, ერის ისტორია უნდა იყოს ერის სამართლის საწყაო. ამ დროს კაპიტალიზმი ანგრევს ამ იდილიას, ნერგავს რა ამა თუ იმ ერის სამართალში უძლიერესი სახელმწიფოს სამართალს, ანუ სხვა ერის ისტორიას. ასეთია უძლიერესის სამართლის, როგორც ბუნებითი სამართლის იძულებით თავს მოხვევის, მტკივნეული რეალობა, როგორც ჰეგელი იტყოდა, საერთოს არსებობის რეალობა როგორც საყოველთაოსი, რისი თავიდან აცილებაც, სამწუხაროდ, არ შეუძლია კონკრეტული ქვეყნის ერს.

5.2. ფილოსოფიურ-სამართლებრივი ახსნა[493]

5.2.1. წინარე შენიშვნები

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საუნივერსიტეტო კურსებში სამართლებრივი ცოდნა ჯერ-ჯერობით ვითარდება იმ თეორიის საფუძველზე, რომელიც ცნობილია სახელმწიფოს და სამართლის თეორიის სახელწოდებით. ამ თეორიის მიხედვით სამართლის არსი დაკავშირებულია მარტო სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან, ხოლო მისი გამოვლენის ფორმაა – კანონი, ანუ იურიდიული ნორმა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობა.

აქედან გამომდინარე სახელმწიფო ორგანოთა ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაძირული ცნობიერება ჭეშმარიტების კრიტერიუმად აცხადებს იურიდიულ პრაქტიკას, ანუ კანონის გამოყენების პრო-

493 აღნიშნული თემა განხილულია ნაშრომებში: გ.თოდრია (1987), სამართლის ფილოსოფია – როგორც პრობლემა, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ., № 2, გვ. 24–27

ცედურას. ასეთი თვალთახედვის შედეგად ცხოვრება შეშდება ნორმათა მიერ შექმნილ ნორმატივიზმის სამყაროში. ამ გზით ჩამოყალიბებული თეორიული ცნობიერება სამართლის გაგების ერთადერთ ხერხად აცხადებს ინდუქციური განზოგადების, ე.ი. მოვლენების ისეთ აღქმას, რომელიც ვერ ეგუება ნაირსახეობას და წინააღმდეგობას; ნორმატივიზმი ხომ ქადაგებს მარტო ისეთ მსჯელობას, სადაც გამორიცხულია ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენები.

სახელმწიფოსა და სამართლის ე.წ. თეორია არის სამართლის ერთ-ერთი ფორმის – პოზიტიური, ანუ იურიდიული ფორმის ჩარჩოებში ჩამოყალიბებული თვალთახედვა. ამ მიმართულების მომხრეები „ჩაკეტილები არიან ამ სამყაროში და შეუძლებლად მიაჩნიათ არსებობდეს ისეთი ფაქტები და გარემოებები, რომელნიც თავისი ობიექტური თავისებირებით დანიშნული იყვნენ იმ როლისათვის, რასაც ისინი პოზიტიური სამართლის სფეროში ნამდვილად ასრულებენ."[494] ვინაიდან პოზიტიურ-სამართლებრივი თეორია უარყოფს სამართლის ფორმათა ნაირსახეობას, ის აწყდება სამართლის სისტემის აგების და სათანადო მეთოდის ძიების პრობლემას, რომელსაც არამარტო ვერ წყვეტს, არამედ ვერც ხედავს ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს. და მაინც სად ვეძებოთ გამოსავალი? როგორ გავცდეთ პოზიტიურ-სამართლებრივ აზროვნებას?

5.2.2. ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზროვნების რომელი მოდელია მისაღები?

უდავოა, რომ პოზიტიურ-სამართლებრივი თეორიის ცალმხრივი ხასიათის დაძლევის საშუალებაა სამართლის ფილოსოფია. მაგრამ ფილოსოფიური აზროვნების რომელი მოდელია მისაღები: თავდაპირველად ჩასახული სამართლის ფილოსოფიის ჰეგელისებური კონსტრუქცია, რომლის თანახმად სამართალი უნდა იყოს გააზრებული, როგორც მისი ფორმათა დიალექტიკური გარდასახვა, თუ ტრანსცენდენტური აბსტრაქციებისაგან აგებული სამართლის ფილოსოფიის კონსტრუქცია?

თანამედროვე პირობებში ჰეგელის ნააზრევი გარკვეულად მივიწყებულია. მის ადგილს იკავებს თითქმის ყველა მეცნიერის მიერ აღიარებული პოსტულატი „სამართლის ფილოსოფია არ იზღუდება მოქმედი სამართლის ჩარჩოებით და მის საწინააღმდეგო, სისტემ-

494 გ. ნანეიშვილი (1992), სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბილისი, გვ. 77

ტრანსცედენტურ პოზიციას იკავებს".[495] ტრანსცედენტური მოსაზრება გავრცელებულია გერმანულ ლიტერატურაში, კერძოდ, ი. მესნერის, ჰ. ჰუმანის, გ. რადბრუხის და სხვა მეცნიერთა ნაშრომებში. მოკლედ პოზიტიური სამართლის ცვალებადობის დაძლევა ვლინდება ზეპოზიტიური საწყისის ძიების მოთხოვნის სახით. ამ ჭრილში „სამართლის ფილოსოფია" ისახება როგორც „ფილოსოფიური მანერით ანალიზი" (კაუფმანი) ანუ განყენებული აბსტრაგირება.

უნდა ითქვას, რომ სამართლის ანტიპოზიტიური (ტრანსცედენტური) ინტერპრეტაცია აწყდება ისეთივე სიძნელეს, როგორც პოზიტიური სამართლის მოძღვრება: ორივე უარყოფენ საზოგადოებას, როგორც ცოცხალ განვითარებად ორგანიზმს. ზეპოზიტიური (ტრანსცედენტური) აზროვნება უარს ამბობს კანონებზე, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე და ამით საზოგადოებას ათავსებს ცხოვრებისაგან განყენებულ ფილოსოფოსის წარმოდგენათა სამყაროში. სამართლის ნაირსახეობა, მისი ფორმების მოძრაობა წარმოდგენილია ზოგადი, როგორც წესი, განსჯისუნარიანი აბსტრაქციების გადახლართვით. პოზიტიური სამართლის მოძღვრება კი ეგუება საზოგადოებას, მაგრამ აღიქვამს მას, როგორც ნორმატივიზმის სამოსში გაშეშებულ ჩონჩხს.

მიუხედავად სხვადასხვა განშტოებისა ტრანსცედენტური მიდგომა დაბეჯითებით ვერ უპირისპირდება პოზიტიური სამართლის მოძღვრებას, თუმცა მართებულად სვამს საკითხს იმ იმანენტური აუცილებლობის ძიების შესახებ, რომლის მოდიფიკაციას წარმოადგენს კანონთა სამყარო. ძიების ქვაკუთხედი მგომარეობს არა პოზიტიური სამართლის უარყოფაში, არამედ იმ აუცილებლობის დადგენაში, რომელიც აგრეთვე ვლინდება პოზიტიურ სამართალში. ამ მიმართულებით ტრანსცედენტური მოძღვრების კრიტიკამ უნდა გაითვალისწინოს, რომ პოზიტიური სამართალი არის სამართლის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გამოიხატება კანონით. ეს რეალობაა, რომლის უარყოფა შეუძლებელია. ხოლო სამართლის ფილოსოფია იურიდიული მსჯელობისაგან განსხვავებით არის მსჯელობა არსზე. აქ ისაა გასათვალისწინებელი, რომ სამართლის დადგენა სრულებით არ გამორიცხავს სამართლის ფორმათა შესწავლას. არსის და მოვლენის გახლეჩვა იმის საბაბით, რომ სამართლის ფილოსოფია

495 ა. კაუფმანი (1992), სამართლის ფილოსოფია განსჯისათვის, პარლამენტის დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ. 1997, N1, გვ. 47

შეზღუდულია მარტო ე.წ. „სწორი" სამართლის ძიებით, იწვევს მრავალ კითხვას, კერძოდ: როგორ შეძლება ვეძებოთ არსი, თუ უარყოფილია მისი გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა? როგორ შეიძლება გავიზიაროთ სამართლის პოზიტიური ფორმა, თუ არ უშვებთ სხვა ფორმებს, ე.ი. არსის არსებობას მთლიანობაში?

ტრანსცედენტურ გაგებას, როგორც ჩანს, გააჩნია სერიოზული ნაკლი, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული მიდგომა იმსახურებს გარკვეულ ყურადღებას, რადგან სამართლის ფილოსოფიის ტრანსცედენტურმა ინტერპრეტაციამ, საკითხის დასმის სახით, დაინახა პოზიტიურ-სამართლებრივი აზროვნების პრობლემატურობა.

იურისტთა შორის არსებობს სამართლის ფილოსოფიის გარკვეული გაგება. ის დევნის მეცნიერებიდან იმ თუნდაც მცირე დადებით ელემენტებს, რომელიც ტრანსცედენტურ აზროვნებას მკრთალად აკავშირებდა აუცილებლობის ფილოსოფიურ ძიებასთან. მხედველობაში გვაქვს ფილოსოფიური კატეგორიების ვერიფიკაცია, რომელსაც იურისტი იყენებს ნორმატიული მასალის დასაბუთებისათვის. ამ მხრივ თვალსაჩინოა არსის ე.წ. ფილოსოფიური გაგება იურისპრუდენციაში (სისხლის სამართალში).

პასუხისგებაში პირის მიცემისას, აღნიშნავს იურისტი, უნდა დამტკიცდეს კანონისადმი (ნორმისადმი) ქმედობის შესაბამისობა, რადგან სისხლის სამართლებრივ ნორმაში ასახულია ის ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას და დასჯადობას. კონკრეტული (ე.ი. ემპირიული) დანაშაული ცვალებადია, მაგრამ ნორმაში აისახება ის ზოგადი, რაც ტიპიურია კონკრეტული აქტებისათვის. ამიტომ ნორმის მიერ ჩამოთვლილი ნიშნები ტიპიურად გამოხატავენ არსს. ნორმა, როგორც ზოგადი, არის აბსტრაქცია და შეესაბამება რეალობას, როგორც ნახაზი შეესაბამება სახლს, – ამბობს იურისტი. შეესაბამება ასეთი თვალთახედვა სამართლის ფილოსოფიის აგების მოთხოვნას და მასზე აღმოცენებული კვლევის ამოცანას?

ჯერ კიდევ არისტოტელეს ცნობილი მაგალითის ანალიზით ჰეგელმა მიაქცია მკითხველის ყურადღება იმაზე, რომ არსი არ არსებობს ზოგადის აბსტრაქციის სახით, არსი არის რეალური კანონზომიერება.[496] ამ მიმართულებით განხორციელებული ვერიფიკაცია აღმოაჩენდა, რომ დანაშაულის ნორმატიული ასახვა არის მარტო ერთ-ერთი განზომილება. ის ზოგადი ნორმა, რომელიც ხატად აქვს

496 Гегель, Соч.т. X, с. 284–285

აღიარებული იურისტს, არის წმინდა წყლის ნომინალიზმი. ზოგადის ძიება სამართლის ფილოსოფიის გაგებით მიგვიყვანდა სულ სხვა სურათამდე. თუ გავიხსენებთ ისტორიულ წარსულს, ჰეგელის და არა ნომინალისტების (იურისტების) მტკიცება გახდება დამაჯერებელი. როგორც ცნობილია, ყოფილ საბჭოთა კავშირში (მათ შორის საქართველოში) ე.წ. ინდუსტრიული აღმავლობის პოლიტიკამ მრავალი სოფელი საშიშშილოდ განირა. უბედურებისაგან თავის გადასარჩენად მოსახლეობა მასობრივად იპარავდა ხორბალს, გარბოდა სოფლიდან და სხვ. სოციალისტური საკუთრების დაცვის მიზნით, 30-იანი წლების დასაწყისში, კანონის საფუძველზე ათასობით ადამიანი გადაასახლეს და დახვრიტეს. საზოგადოებაში დამკვიდრებული გაუცხოება იყო წარმოდგენილი კანონის (ნორმის) სახით, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ცდილობდა შეენარჩუნებინა ეს მდგომარეობა. მაგრამ იგივე გაუცხოება იყო წარმოდგენილი ხალხის გამოსვლაში, მოსახლეობის მიერ საკუთრებაზე მასიურ ხელყოფაში და სხვ. როგორც ჩანს, კანონით გამოხატული სამართლის გარდა, არსებობს საზოგადოებაში აღმოცენებული ინდივიდთა დაპირისპირება კანონისადმი, რომელიც სამართალში წარმოდგენილი კი არაა ე.წ. ნორმატიული აბსტრაქციის სახით, არამედ წარმოდგენილია იმ მოვლენათა სახით, რომლებიც თავისი ბუნებით შეიძლება არც ჩანდნენ კანონში (პოზიტიური სამართალი) და შესაძლოა კიდეც ეწინააღმდეგებოდნენ კანონს. იურისტის მიერ ჩატარებული ვერიფიკაცია არ მიისწრაფის სამართლის ფილოსოფიისაკენ, არამედ განდევნის მას, ზუსტად ისევე, როგორც პოზიტიური სამართალი ვერ მოიცავს მთლიანობაში განვითარებას, რადგან სამართლის ფორმათა მთელი სიმდიდრე არ შეიძლება იყოს მოთავსებული ერთ პოზიტიურ ფორმაში.

როგორც აღვნიშნეთ, პოზიტიურ-სამართლებრივი თეორიის ნაწილობრივ დაძლევის საშუალებაა სამართლის ფილოსოფია. კრიტიკა არის სამართლის ფილოსოფიის განუყოფელი ნაწილი, სადაც უნდა ჩანდეს მეთოდის პრიორიტეტი და სისტემის აგების მიმართულება. მაგრამ მთავარი მაინც სისტემაა, რომლის აგებამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი: 1) არსებობენ თუ არა მუდმივად მოქმედი ნორმები, რომლებზეც სწორდება პოზიტიური სამართალი? 2) თუ არსებობენ მუდმივად მოქმედი აბსოლუტური სამართლებრივი პრინციპები, რა უდევს მათ საფუძვლად: ღმერთი თუ ღირებულებათა ობიექტური წყობა? 3) როგორ უნდა შეიცნოს ადამიანმა ბუნებითი

სამართალი? 4) უცვლელი პრინციპების არსებობისას როგორ უნდა ავსახოთ სხვადასხვა ხალხთა პოზიტიური სამართლებრივი სისტემების განსხვავება, 5) უმაღლესი პრინციპების გარდა კიდევ რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ პოზიტიური წესრიგის ფორმირებას? 6) რას წარმოადგენენ უმაღლესი პრინციპები, ატარებენ ისინი ფორმალურ თუ მატერიალურ ხასიათს? 7) როგორ მოქმედებენ უმაღლესი ბუნებით-სამართლებრივი პრინციპები, როდესაც მათ არ შეესაბამება მოქმედი სამართალი?[497]

სამართლის ფილოსოფიის სისტემის აგების საფუძვლად უნდა დაედოს ჰეგელის მიერ „სამართლის ფილოსოფიაში" დასახული დიალექტიკური სქემა, რომლის მიხედვით სამართლის ფილოსოფია მან განსაზღვრა, როგორც მეცნიერება სამართლებრივი იდეის შესახებ,[498] ხოლო ამ იდეის არსებობის ხერხად კი ცნება გამოაცხადა.[499] თავის მხრივ გერმანელ ფილოსოფოსს ცნება ესმოდა, როგორც ისეთი განვითარების ამსახველი ხერხი, როდესაც სხვადასხვა მოვლენები როგორც არსებითად, ასევე წარმოშობით წარმოადგენენ გენეტიკურ ერთიანობას.[500] ამრიგად თავდაპირველად სამართლის ფილოსოფია იყო წარმოდგენილი როგორც სხვადასხვა სამართლებრივი ფორმების გენეტიკური ერთიანობის ამსახველი მეცნიერება, ანუ სამართლის ცნება.

სამართლის ფილოსოფიის აგების ჰეგელისებური ვარიანტი, როგორც აღვნიშნეთ, დღეს მივიწყებულია სამი მიზეზის გამო. პირველი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ დემოკრატიული რეჟიმების განვითარებამ წინა პლანზე წამოწია კანონის უზენაესობა. ამან იმდენად გაართულა ნორმატიული რეგლამენტების სფერო, რომ ადამიანმა დაკარგა მოვლენის და არსის განსხვავების გრძნობა. იურისტი-სპეციალისტი, დეპუტატი, სახელმწიფო ორგანოს მსახური და სხვ. უშუალოდ არიან ჩართული იურიდიულ პრაქტიკაში, რომელიც შედგება მარტო გარდასახვითი ფორმებისაგან, ზედაპირზე მოცემული მოვლენებისაგან. მარტო ისინი წარმოადგენენ მოტივების შინაარსს[501] და რაც დგას ნამდვილად მათ უკან, ეს არც იგრძნობა. მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის და ხალხების ინ-

497 E. Fecher (1956), Rechtsphilosophie. Tubingen, s. 183–184
498 Гегель, Соч., т. VII, с. 24
499 Гегель, Соч., т. VI, с. 296–297
500 Гегель,. Соч., т. X, с. 283–285
501 М. Мамардашвили (1990), Как я понимаю, М., „Прогресс", с. 326

ტეგრაცია და ერთიანობისაკენ სწრაფვა ჯერ მხოლოდ ემბრიონულ მდგომარეობაშია. ამიტომ ის ზოგადი აბსოლუტური სუბსტანცია (ანუ ნორმატიულობა), რომელიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ქვეყნების სამართალს (ფეხნერის მეორე კითხვა), არ იგრძნობა. როგორც ნაშრომის მომდევნო თავებში ავღნიშნავთ, მესამე მიზეზი ეხება ე.წ. დამკვირვებლის პრობლემას. „სამართლის ფილოსოფიის" კურსების თანამედროვე ავტორები გამოდიან დამკვირვებლის როლში როგორც საზოგადოებისაგან განყენებულ მდგომარეობაში მყოფი პირი, რომლის აზროვნებაც დანაგვიანებულია ყოველდღიურობით, იმ ილუზიური სამყაროთი, რომელსაც ჩვენ ზედაპირზე ვხედავთ. ასეთი მსოფლგაგება ტიპიური განმსჯელობითი სახეა იურისტის აზროვნებისა, ვისთვისაც ჰეგელის გაგება მიუწვდომელია. სინამდვილეში სამართლის სამყარო სხვა სიბრტყეზე არსებობს, ვიდრე ისაა, რომელსაც სამართლის ნორმების მოდელებში აღწერენ. ტრანსცენდენტურის თემა პირველად ბიბლიამ უწყალობა კაცობრიობას, და შემდეგ ის პლატონმა აიტაცა, ხოლო თავისი დასრულება მან ჰეგელის შრომებში ჰპოვა, რომელმაც იურისტთა საყოველთაოდ გასაკვირად, დანაშაულობასა და სასჯელში განსხვავების კი არა, რაღაც საეროს ძიება დაიწყო, „არსებული კავშირისა დანაშაულსა და მის მოსპობას შორის" (ჰეგელი). საუკუნეთა შემდგომ კაპიტალიზმის ისტორია კაცობრიობას გამოუცხადებს ამ კავშირის საიდუმლოს, შეფარულს მოგების საერთო ნორმის ცვალებადობაში. ამგვარად, „სამართლის ფილოსოფია" ჩვენს წინაშე წარმოსდგება არა როგორც ობივატელის მოსაჩვენებელი განათლებულობის საშუალება, არამედ როგორც სამართლის საიდუმლოს წვდომის მეთოდი.

მართალია, არსებობენ კიდევ სხვა მიზეზები, რომლებიც ხელს უწობენ ჰეგელის დიალექტიკის მივიწყებას, მაგრამ მიუხედავად ამისა მეცნიერებაში და საკაცობრიო პრაქტიკაში დაგროვილია საკმარისი მასალა იმისათვის, რომ იყოს აგებული სამართლის ფილოსოფიის სისტემა, სადაც გარკვეულად იქნება გათვალისწინებული ჰეგელის მოსაზრებანი, რომლებიც დღესაც წინ უსწრებენ კაცობრიობას.

5.2.2.1. სამართლის ფილოსოფიის სისტემის თავისებურებები.

სამართლის ფილოსოფიის სისტემა, ჩემი აზრით, უნდა შედგებოდეს სამი დონისაგან. 1) სამართლის არსის შესახებ მოძღვრება, 2) გარდასახვით ფორმებში სამართლის არსის გადასვლის შესახებ მოძღვრება, 3) მოძღვრება სამართლის გარდასახვითი ფორმების

შესახებ. პირველი დონე გარკვეულადაა გაშუქებული ლიტერატურაში („აბსოლუტური გონი" – ჰეგელი, „მსოფლიოს ნება" – შოპენგაუერი, „ბუნებითი კანონი" – მარიტენი და სხვ.) მეორე და მესამე დონეების ანალიზი კი არ არსებობს. უფრო მეტიც, საკითხის დასმის სახითაც ჩვენ ვერ ვხვდებით გარდასახვითი ფორმების გამოკვლევას. მომავალში, სხვა წერილებში, ჩვენ დანვრილებით გავაშუქებთ აღნიშნულ მოძღვრებებს. აქ კი მოკლედ გამოვყოფთ იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს სამართლის ფილოსოფიამ. განხილვას დავიწყებთ ბოლო დონიდან.

ცხოვრების ზედაპირზე გამოიყოფა გარდასახვითი ფორმები. პოზიტიური სამართალი მიეკუთვნება ამ დონეს. იურისპრუდენცია აგებს თავის თვალთახედვას მარტო ინდუქციურ საფუძველზე. მისი მეთოდია – ნორმატივიზმი. დიალექტიკურ წინააღმდეგობებს ეს დონე ვერ ეგუება. ამიტომ პოზიტიური სამართლის თეორიას არ შეუძლია გამოყოს პოზიტიური ფორმის გარდა კიდევ ისეთი ფორმები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს, მაგრამ წარმოადგენენ „სამართალს". პოლიტიკური ოპოზიციის თვალხედვა, რომელიც არ აისახება კანონში, მოსახლეობის უკმაყოფილება არსებული კანონისადმი და სხვ. არის სამართალი, თუმცა პოზიტიური ფორმისადმი წარმოდგენილია ნეიტრალურად ან უარყოფითად.

გარდასახვითი ფორმების მოძღვრების არარსებობა სოციალურ პრაქტიკაში მეტად უარყოფით შედეგს იწვევს. ძნელია, მაგალითად, გავმიჯნოთ სამართალი მოსახლეობის კანონისადმი უკმაყოფილების სახით და სამართალი გამოხატული კანონში. გასაგებია, რომ ერთი ფორმა მეორეს საზომად არ გამოადგება. მაგრამ იურიდიული პრაქტიკა მოქმედებს სამართლის არსის გარეშე, რაზეც მრტყველებს კანონში შეტანილი უამრავი შესწორებების და დამატებების მეთოდის ზომაზე მეტი გავრცელება.[502] ყოველთვის გაუგებარია: მიეკუთვნება მიღებული კანონი იმ წესს, რომელიც შეესაბამება ხალხის მოთხოვნას თუ არა? სად არის ნორმების ჭეშმარიტების საზომი? და სხვ.

ვინაიდან სამართლის გარდასახვითი ფორმების საკითხი არ დგას, თავის მხრივ არ არსებობს სამართლის გარდასახვით ფორმებში არსის გადასვლის საკითხიც. ამიტომაც იურიდიულ ლიტერატურაში ამ თემას მკითხველი ვერ ნახავს, ხოლო ფილოსოფოსები

502 იხ. გ. თოდრია (1997), კანონშემოქმედებითი პროცესების განვითარებისათვის. უწყებანი. სამეცნიერო–ანალიტიკური ჟურნალი, N1, გვ. 40–45

ამ მიმართულებით არ ატარებენ კვლევას, რადგან ტრანსცედენტური მიდგომა საერთოდ უარყოფს პოზიტიურ სამართალს, იმის მაგივრად რომ თავის ანალიზში დიალექტიკურად ახსნას ეს ფორმა.

აღნიშნული მოძღვრების უარყოფას ხელს უწყობს სახელმწიფოს, როგორც სოციალური ინსტიტუტის ბუნება. სახელმწიფო ყოველთვის აიგივებს თავის თავს საზოგადოებასთან. ამიტომ, როგორიც არ უნდა იყოს სახელმწიფო, ის ყოველთვის მალავს შემდეგ საკითხებს: როგორ ვითარდება საზოგადოებაში ნორმატულობა, რა ტიპის ნორმატიულობაა, რა სტადიებს, ფაზებს გადის ის და სხვ.? აღნიშნული მოძღვრების ჩამოყალიბებამ უნდა გააშუქოს ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული თემა: მიუხედავად სახელმწიფო ტიპების ისტორიულად ცვალებადობისა, გააჩნია თუ არა ქართველ ერს მისთვის დამახასიათებელი ნორმატიულობა, რომლის გამოხატვის ერთ-ერთ ფაზას უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე პოზიტიური სამართალი? თუ ჩვენ ვუპასუხებთ ამ კითხვაზე, მაშინ გავიგებთ, რამდენად ცდებოდა ან სწორად იქცეოდა თანამედროვე იურისტი. ვინაიდან ასეთი მოძღვრება არ არსებობს, თანამედროვე საკანონმდებლო პრაქტიკა და ჩვენი ქვეყნის ისტორია არ არის არავითარ კავშირში. ჯერჯერობით სხვა ერების გამოცდილების გადაწერით ჩვენს ნორმატიულობას განსაზღვრავს უცხო ერების ისტორია და არა ქართველთა ისტორიულად არსებული სამართლის ლოგიკა.

როგორც აღვნიშნეთ, შედარებით დამუშავებულია სამართლის არსის საკითხი. პოზიტიური სამართალი არ იცნობს განვითარების იდეას, ამიტომ ისტორიის ლოგიკა ამოვარდნილია იურიდიულ გამოკვლევებში. თანამედროვე პირობებში თითქმის ყველა ხვდება, რომ არსებობს გლობალური ხასიათის ნორმატიულობა, რომელიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ერების ნორმატიულობას. ამ მიმართულებით უნდა დამუშავდეს ცივილიზაციის ნორმატიულობის პრობლემა, რაზეც მიგვანიშნებს საერთაშორისო სამართალი. ისტორიულად ეს საკითხი საკმარისადაა გამოკვლეული, ამიტომ აღნიშნული მიმართულებით უნდა გადაწყდეს სამართლის გაზომვის საკითხი, რაც არის სამართლის ფილოსოფიის წანამძღვარი და მისი ჩამოყალიბების ძირითადი მაჩვენებელი.

VI ნაწილი

სამართლებრივი კატეგორიების კვლევა იმ ფორმებში, რომლებშიც ისინი გამოვლინდებიან სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულობასთან მიმართებაში

6.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის ცალკეული პრობლემები (2004-2006 წწ.)

დანაშაულობის არსებობა მისი გენეზისით და სამართლებრივი ურთიერთობების პროცესით უშუალოდ წარმოიქმნება. მაგრამ ზედაპირზე ეს მოვლენები წარმოგვიდგებიან როგორც დამოუკიდებელი მოვლენები, რომელთა შორის არაა შინაგანი კავშირი. სინამდვილეში სამართალი არის გაუცხოების განვითარების მნიშვნელოვანი ხერხი.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ისტიტუტების წარმოშობა ან გაქრობა თანამედროვე ისტორიის ეტაპზე წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების ხერხს. მისი კრიმინოგენული როლი ვლინდება იმაში, რომ ის ხელს უწყობს სიმდიდრის დაგროვებას მოსახლეობის არსებობის პირობების გაუარესების ხარჯზე. მარტო ამ კუთხით კრიმინოლოგიაში უნდა იყოს წაკითხული სისხლის სამართლის პოლიტიკის არსი.

განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს კანონზომიერება კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პირობებში. როგორც აღნიშნავს პროფესორი ვლ. პაპავა, „პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში ადგილი აქვს თავდაპირველ დაგროვებას, პროცესს, რომლის გარეშეც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა პრინციპულად შეუძლებელია და რომელიც დასავლეთის დღეს უკვე განვითარებულმა ქვეყნებმა საკმაოდ დიდი ხნის წინათ გაიარეს. ისტორიაში, სამწუხაროდ იმის არც ერთი მაგალითი არ არსებობს, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება მსოფლიოს თუნდაც ერთ რომელიმე ქვეყანაში განხორციელებულიყო „სუფთა ხელებით“ და მხოლოდ ლეგალური გზებით“.[503]

503 ვლ. პაპავა (2003), საქართველოში კორუფციის შეზღუდვის ეკონომიკური მანიფესტი – „ანტიკორუფციული მოძრაობა“, თბ.

6.1.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის ტენდენციები საქართველოში[504]

6.1.1.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის არსის შეფასება.[505]

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ნელ ნელა მკვიდრდება მართვის ისეთი ტიპი, რომელიც ავტორიტარულ ხასიათს იძენს. ასეთ ვითარებაში კანონმდებლობას იმისათვის იყენებენ, რათა მან ხელი შეუწყოს არაეკონომიკური იძულების მეთოდების ბატონობას. ამიტომ კანონმდებლის წინაშე თავიდანვე დაისვა ამოცანა – არსებული იძულების მექანიზმის შენარჩუნების საშუალებად ექცია სათანადო კანონმდებლობა. სისხლის სამართლის პოლიტიკა ამ მირთულებით ვითარდებოდა, ხოლო 2004 წლიდან არაეკონომიკური იძულების შესაბამისი ხერხი სრულყოფილად ჩამოყალიბდა. დროის ამ მონაკვეთში სისხლის სამართლისა და საპროსეცო სამართლის ნორმები იმგვარად იცვლებოდნენ, ვიდრე სისხლის სამართლის პოლიტიკამ არაეკონომიკური იძულების ადეკვატური ფორმა არ შეიძინა. 2006 წლის კანონებში შეტანილმა ცვლილებებმა ეს პროცესი დაასრულა.

პროგრესულად მოაზროვნე იურისტებმა დამკვიდრებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ არა ერთი კრიტიკული მოსაზრება გამოთქვეს. დაგროვდა დიდძალი ემპირიული მასალა, რომელიც განზოგადებული უნდა იყოს, რათა ნათლად დავინახოთ, რა სახეს იძენს სიხლის სამართლი პოლიტიკა, როგორც არაეკონომიკური იძულების ფორმა.

უპირველეს ყოვლისა შევეხოთ სისხლის სამართლის პოლიტიკის არსის შეფასებას. კანონმდებლებმა, აღნიშნავს პროფ. ვ. ბენიძე, ძალზედ საეჭვოდ გააუქმეს აღკვეთის ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც საკმაოდ ეფექტურად გამოიყენებოდა სამართალწარმოების დროს. მხედველობაშია პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცე-

---

504 აღნიშნული თემა განხილულია ნაშრომებში: გ.თოდრია, გ. კინტირაია (2009). სანქციების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, თეუსუს სამეცნიერო შრომების კრებული, გვ. 331–341; გ.თოდრია (2009), სისხლის სამართლის პოლიტიკის ტენდენციები საქართველოში (2004-2006 წწ.). საიუბილეო სამეცნიერო კრებული მიძღვნილი ო.გამყრელიძის 80 წლისთავისათვის, „მერიდიანი", გვ. 475-506.

505 „კანონი ფეტიშად არ უნდა ვაქციოთ. ასეთი საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ, თუ ჩვენ კანონის უზენაესობას გამოვიყენებთ ბოროტად, თუ კი კანონმდებელი გამოსცემს დანაშაულებრივ კანონებს." (ო.გამყრელიძე (1998), ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., გვ. 15)

მა და ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

დღეს რეალურად მოქმედი სამი სახის აღკვეთის ღონისძიებიდან (დაპატიმრება, გირაო და პირადი თავდებობა) აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში დაპატიმრება გამოიყენება, ხოლო გირაოს შეფარდებით მოსამართლეები, ხშირ შემთხვევაში, დაპატიმრების წინა პირობებს სპეციალურად ქმნიან (ისეთ თანხებს აკისრებენ ბრალდებულს, რომლის გადახდაც მას არ შეუძლია). პირადი თავდებობის გამოყენების პრაქტიკა ნაკლებია, უფრო სწორად, მინიმალურია. ასეთ პირობებში აღკვეთის სხვადასხვა ღონისძიება გაუქმდა იმისათვის, რომ დაპატიმრება სამართლებრივად გამართლებულიყო და ამ ღონისძიებას ფართო გასაქანი მისცემოდა. სხვა დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. გარდა ამისა, აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად არც შესაძლო ეკონომიკური ეფექტის გამორიცხვა შეიძლება. „საწყენია, – წერს პროფ. ვ. ბენიძე, – როცა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი თვით ნორმაში მითითებული პირობა კი არ არის, არამედ შენილბული ფორმით თანხების ამოქაჩვა და ამ მიზნით ბიუჯეტის შევსებაა".[506]

სსკ-ს 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, აღნიშნავს გ. ნიკოლაიშვილი, ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იმ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის. „ეს ცვლილება საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, რომ ბიუჯეტის შევსების მიზნით, დაუკვეთოს მოსამართლეებს, რათა მათ სისტემატურად გამოიყენონ ჯარიმები დამატებითი სასჯელების სახით".[507]

შეიძლება კიდევ სხვა ფაქტები მოვიყვანოთ, მაგრამ მათი რაოდენობის გაზრდით აზრი მაინც არ შეიცვლება: შეტანილი ცვლილებები და დამატებები ახასიათებს ისეთ კანონმდებლობას, რომელიც უშუალოდ მიმართულია არაეკონომიკური იძულების დამკვიდრებაზე. იურისტების დასკვნა, რომ აღკვეთის ღონისძიება, ჯარიმა თუ სხვა იძულების ზომა ბიუჯეტის შევსებისაკენ არის მიმართული, ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზანია

506 ნაშრომის ამ ნაწილში პროცესუალური ფაქტები მოყვანილია სტატიიდან: ვ. ბენიძე (2008), „სერიოზული ხარვეზები საკანონმდებლო ცვლილებებში", სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი", მარტი-აპრილი, № 2(4), გვ. 2–8

507 გ. ნიკოლაიშვილი (2011), „დღეს საქართველოში თემიდა გაბრაზებული კი არ არის, ის უბრალოდ, გაუპატიურებულია!", გაზეთი „ასავალ დასავალი", 29.10.11, 29.10.11, № 44

დაუბრუნდეს კაპიტალის დაგროვების არქაულ გზას – არაეკონომიკურ იძულებას.

6.1.1.2. სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპების თავისებურება

ამ მიმართულებით შეიძლება გამოვყოთ სისხლის სამართლის ცენტრალური პრინციპის – ბრალის პრინციპის უარყოფა.

სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. 2006 წ. 25 ივლისის რედაქციით მას დაემატა მეორე ნაწილი, რომელშიც იურიდიულ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებით გამოირიცხა ბრალეულობის პრინციპი. ამრიგად, პასუხისმგებლობის საფუძვლის ერთი მონოლითი დაიმსხვრა და შეკონწიწდა ორი საპირისპირო ნატეხისაგან. ამ „ნოვაციით" საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა ანგლო-ამერიკული კანონმდებლობის მსგავსად, დაუშვა „აბსოლუტური პასუხისმგებლობა" (Strict liability), ე.ი. პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე.

გასაგებია, რომ კაპიტალის დაგროვების დაჩქარებულ მეთოდთა შორის იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას მეტად მომგებიანი როლი ენიჭება. მაგრამ ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ ამ გზით სისხლის სამართლის პოლიტიკა უდანაშაულო პირთა დასჯისაკენ მიექანება. აღნიშნული კონსტრუქციის შედეგად, როგორც თვით ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, კორპორაციებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სინამდვილეში არის უდანაშაულო პირთა არაეფექტური დასჯა, რადგან ჯარიმა, როგორც წესი, იმ რიგის აქციონერთა მხრებზე დადის, რომლებსაც დირექტორთა საბჭოს ან კორპორაციათა მაღალჩინოსანთა კრიმინალურ თვითნებობასთან რაიმე კავშირი არ აქვთ. ამის გარდა, საზღვარგარეთის სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აქციონერებს არ ძალუძთ თავიდან აიცილონ კორპორაციის მიერ ჩაფიქრებული მოსალოდნელი დანაშაული. დაბოლოს, როგორც აღნიშნავს ჯ. დიკსი, კორპორაციების სისხლის – სამართლებრივ დევნას ყურადღება გადააქვს კორპორაციის იმ ხელმძღვანელთა და მოხელეთა პასუხისმგებლობისაგან, რომლებსაც დანაშაულის ჩადენისათვის მართლაც ბრალი მიუძღ-

ვით[508]. ანალოგიური მოსაზრება იყო გამოთქმული ქართველ მეცნიერთა მიერ. კანონიერების შენიღბული ლიკვიდაციის ფორმას,– აღნიშნიშნავენ ისინი,– წარმოადგენს ისეთი სისხლის სამართლის კანონების გამოცემა, რომელთა დისპოზიციებშიც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები მეტად ფართოდ და გაურკვევლად არის განსაზღვრული. ასეთი განუსაზღვრელი დისპოზიციები, რომლებიც არ მიუთითებენ შესაბამისი ნორმის გამოყენების ფარგლებზე, ქმნის შესაძლებლობას დაისაჯოს ისეთი პირები, რომელთაც ფაქტიურად არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ.[509]

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ შემთხვევაში სასამართლოს „კანონიერი" განაჩენი ეწინააღმდეგება სსკ-ს 39-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომელის თანახმად სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მაგრამ სასჯელი ვრცელდება ყველა აქციონერზე, რომლებსაც დანაშაული შესახებ არავითარი იმფორმაცია არ აქვთ. განხორციელებული „მართლმსაჯულება" თავისი ლოგიკით არღვევს ამავე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნასაც, რადგან არა მარტო არ ადგენს სამართლიანობას, არამედ ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ნაცვლა თავად სჩადის დანაშაულს – ხელს უშლის აქციონერთა კანონიერ სამეწარმეო საქმიანობას, რაც სსკ-ს 190-ე მუსლის შესაბამისად მოიცავს დანაშაულის შემადგენლობას. სხვა სიტყვებით, აქციონერთა საქმიანობაში ხდება ისეთი ჩარევა, რაც მათ მნიშვნელოვან ზიანს აყენებს.

აღსანიშნავია, რომ რომანულ-გერმანული სისტემის სისხლის სამართალში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მექანიკური და ნაჩქარევი გადმოტანით გზა გაეხსნა არა მარტო ბრალის პრინციპის უგულვეყოფას, არამედ ჩაისახა დანაშაულის, ბრალის, თანამონაწილეობის და სისხლის სამართლის სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტების არსებითად შეცვლის ტენდენცია.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. პროცესუალური შეთანხმების პრინციპმა დააკნინა ბრალეულობის პრინციპი. სსსკ-ს 79-ე მუხლის „წყალობით", პროცესუალური შეთანხმების გაფორმების შემდეგ ბრალის

508 იხ.: Dix G. Criminal law. Chicago, 1997. P. 62

509 თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე (1969), მოძღვრება დანაშაულზე, თბ., „მეცნიერება", გვ. 12

მსჯელობაზე დაცვა მიუღებელია.

ყურადსაღებია ასევე სასჯელის მიზნების უარყოფა სსკ-ის იმ ნორმების მეშვეობით, რომლებმაც მათი რეალიზაცია უნდა განახორციელონ.

კოდექსის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. გასაგებია, რომ ამ დებულებას საფუძვლად უდევს თანამედროვე კაცობრიობის კულტურისა და ისტორიული განვითარების მოთხოვნა. მრავალი ქვეყანა აღიარებს მას და ცდილობს ისეთი ნორმების შემოღებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასჯელის მიზნების სოციო–კულტურული მოდელის დანერგვას. არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მიერ კი ეს საკითხი მთლიანად უარყოფილია. 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება სრულწლოვანზე, თუ მან ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. პროფ. ო.გამყრელიძე აღშფოთებით აღნიშნავს: „რა დასკვნა გამოდის აქედან? აქედან ის შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სრულწლოვანი გარეთ შეიძლება დარჩეს, ხოლო არასრულწლოვანი ციხეში მოხვდეს".[510] სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, დამნაშავის რესოციალიზაცია ამოგდებულია სასჯელის მიზნებიდან, რადგან არ არის გათვალისწინებული ის ასაკობრივი პერიოდი, როდესაც ადვილად განსახორციელებელია რესოციალიზაციის პროცესი. სისხლის სამართლის პოლიტიკას პიროვნების ფაქტორი უკვე აღარ სჭირდება.

2006 წლის 28 აპრილის რედაქციით სასჯელის მიზნად ფაქტობრივად აღარ ითვლება ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაც. 1999 წლის კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება დანიშნული სასჯელის მოხდის გარეშე, სასამართლო დაადგენს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით. აქ მნიშვნელოვანი იყო ორი გარემოება. პირველი – თანმიმ-

510 ნაშრომში აღნიშნული ფაქტები მოყვანილია ნაშრომიდან: ო. გამყრელიძე (2008.02), მოსყიდვა ზემოდან თუ მოსყიდვა ქვემოდან, „ცხოვრება და კანონი", №3, გვ. 2–12

დევრულად ტარდებოდა პრინციპი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული; მეორე, საქმის გარემოების დადგენისას მხოლოდ სასამართლო ითვალისწინებს როგორც დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვან ნიშნებს, ასევე იმ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებებს, რომლებიც მოქმედებენ პასუხისმგებლობაზე. 2006 წლის რედაქციით, ქმედებისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. 63-ე მუხლის ახალი რედაქციით სასჯელი ჩაითვალება პირობითად, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. სასამართლოს კანონი უტოვებს მარტო შეთანხმების დადასტურების უფლებას. დანაშაულის თავიდან აცილების მაგივრად ადგილი აქვს დანაშაულის ჭეშმარიტი განხილვის თავიდან აცილებას. კანონის ახალი რედაქციის საფუძველზე, ნებისმიერი სახიში დამნაშავე შეიძლება უკანონოდ გათავისუფლდეს. ამის გარდა, დანაშაულის ჩადენის პერსპექტივას კანონი თვითონ უწყობს ხელს, თუ გავითვალისწინებთ ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ე.წ. უნებლიე დამნაშავე (კრიმინოლოგიური ტერმინი) უარს ამბობს შეთანხმებაზე ან პროკურორი გამოთქვამს უარს თანხმობაზე.

როგორ ვხედავთ სასჯელის მიზნებიდან უგულვებელყოფილია ორი უმნიშვნელოვანესი – დამნაშავის რესოციალიზაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. რჩება სამართლიანობის აღდგენის მიზანი, რომლის განხორციელება შეიძლება დაემორჩილოს მოხელის ნებისმიერ მოსაზრებას და იარსებოს კანონისა და სასამართლოს გარეშე. შესაბამისად, ისიც, როგორც სასჯელის სხვა მიზნები, კარგავს თავის სოციალურ დანიშნულებას.

არსებულმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ თავისი განვითარებით აბსურდული ხასიათი შეიძინა. რაც გამოიხატა ურთიერთგამომრიცხავი მატერიალური და საპროცესო სიხლის სამართლის დებულებების პრინციპებად აღიარებასა და შერწყმაში.

სსკ-ს მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი, ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ბრალეულობის პრინციპის გარდა, პრინციპად გამოცხადებულია საპროცესო შეთანხმება (სსსკ-ს მე-151 მუხლი), რომელიც გამორიცხავს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს (სსსკ-ს მე-15 მუხლი), ე.ი. ბრალეულობის პრინციპის დამკვიდრებას. და ბოლოს, გამოსავლენია სისხლის სამართ-

ლის პოლიტიკის პრინციპებს შორის წინააღმდეგობის ფაქტი: სსსკ-ს 63-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელი ჩაითვლება პირობითად, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, ხოლო მესამე ნაწილის თანახმად – თუ პირმა აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან და ა.შ.

სისხლის სამართლის პოლიტიკა ვითარდება იმ ნორმების მეშვეობით, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ფუნქციებს მეტად ფართოდ, ხშირად გაურკვევლად განსაზღვრავენ. ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, მიზანდასახულობა საგანში კი არ არსებობს, არამედ მოცემულია მის გარეთ. ის ემსახურება სულ სხვა რამეს და არა ამ საგნის განვითარებას. სასამართლო პროცესი არის ის ვირტუალური სამყარო, სადაც პროცესის მონაწილეები მარტო ერთი შეხედვით მოქმედებენ კანონის ფარგლებში, სინამდვილეში კი ასრულებენ „ეროვნული შემოსავლის" დაგროვებას არაეკონომიკური იძულების გზით. 2005–2007 წლების განმავლობაში მოიძებნა პროცესის ნორმანიული მოდელი, რომელმაც გზა გაუხსნა არსებულ სისხლის სამართლის პოლიტიკას. ამ მოდელის შემადგენელი ელემენტებია სასამართლოს უფლებების შეზღუდვა, ბრალდების მხარის გაძლიერება, პროცესის მონაწილეთა ფუნქციების ისეთი აღრევა, რომ რეპრესიამ დაუბრკოლებლად გაშალოს ფრთები.

ამ ტენდენციის საილუსტრაციოთ მოვიშველიებთ სპეციალისტთა მიერ გამოვლენილ ფაქტებს. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს თვით სასამართლო.

2006 წლის 28 აპრილის კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად, სასამართლოს წაერთვა უფლება თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნოს ნებისმიერი საქმე, თუ ის გამოძიებული იყო კანონის უხეში დარღვევებით. ცვლილებების შემდეგ, სსსკ-ს 501 მუხლის თანახმად, საქმის დამეტებითი გამოძიებისათვის დაბრუნება შეიძლება, თუ პროკურორი შუამდგომლობს უფრო მძიმე ბრალდების წაყენებას.

როგორც პროფ. ვ. ბენიძე აღნიშნავს, ასეთი აკრძალვით ფაქტობრივად ხდება წინასწარი გამოძიების, როგორც ერთ-ერთი სტადიის, იგნორირება, რაც მთავარია, ხელი ეშლება მართლმსაჯულების სწორ და ეფექტურ განხორციელებას. „მოსამართლე (მით უმეტეს, ჩვენს პირობებში) ვერასოდეს გაბედავს დაუშვებელ მტკიცებულებად ცნოს კანონდარღვევებით მოპოვებული მტკიცებულებები და არ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი". ავტორის

მოსაზრება აშკარად გვიჩვენებს, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა უარყოფს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, რომელიც სასჯელის მიზნად გამოცხადდა სსკ-ს 39-ე მუხლში. უფრო მეტი, თვითონ იძენს კრიმინოგენულ ხასიათს, ხელს უწყობს დამნაშავის გათავისუფლებას, რადგან, მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში, მოსამართლეს არ გააჩნია კანონი, რომელიც მისცემს მას ნებას გამოძიებას დაუბრუნოს საქმე. შედეგად „სხვა გამოსავალი მას არა აქვს. განსასჯელის გამართლება, – აღნიშნავს პროფ. ბენიძე,– იწვევს მის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტას და ვეღარასოდეს ეს პირი ამ დანაშაულისათვის დასჯილი ვერ იქნება. მაშასადამე, დამნაშავე იცილებს პასუხისმგებლობას". ამ მსჯელობის შედეგად ლოგიკურია დასკვნა, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა ხელს უწყობს დანაშაულობას და ამას ცინიკურად აკეთებს მოსამართლის ხელით, თანაც „კანონის" ფარგლებში. უდავოა, რომ აქ საქმე გვაქვს ისეთ პოლიტიკასთან, რომელიც ამკვიდრებს მართლსაჯულებას მისი უარყოფის გზით. ასეთი გაორება ახასიათებს იმ აუცილებლობას, რომელიც, როგორც გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი იტყოდა, გარეგნულია, აბსტრაქტულია ანუ ცალმხრივია.

საინტერსოა, რომ ამ გაორების კვალს ჩვენ ვაწყდებით თითქმის ყველგან. მაგალითად, სსსკ-ის 76-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად, მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი ეკისრება სასამართლოს და ამ შემთხვევაში ის წარმოდგენილია როგორც მართლსაჯულების აუცილებელი ატრიბუტი. მაგრამ ამავე მუხლის მესამე პუნქტი სასამართლოს ამ ფუნქციას განიხილავს როგორც შემთხვევითს, რადგან მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი ეკისრება ბრალმდებელს და არა სასამართლოს. მოვიშველიოთ სხვა ფაქტიც: სასამართლოს არ შეუძლია დაკითხოს მოწმე, თუ მხარე არ შუამდგომლობს ამის შესახებ (სსსკ-ს 475 მუხლის 22-ე პუნქტი), ამავდროულად თავისი ინიციატივით შეუძლია დასაკითხავად გამოიძახოს მოწმე (სსსკ-ს 479 მუხლის მე-5 პუნქტი). სავსებით გასაგებია პროფ. ვ. ბენიძის გაოცება, როდესაც იგი წერს: „ამ ორი ნორმიდან რომელი ნორმით უნდა ისარგებლოს მოსამართლემ გაურკვეველია".

აღნიშნული კანონზომიერება ეხება ყველას, მათ შორის პროკურორსაც, რომელზეც, ალბად, არ უნდა გავრცელდეს არაეკონომიკური იძულების მოთხოვნა: ის ხომ ბრალდების მხარეა. მაგრამ მის მიმართაც არ კეთდება გამონაკლისი. პროკურორი არ არის შებოჭილი, მას ბრალდების წაყენებისას არ სჭირდება ზემდგომი პროკურო-

რის თანხმობა. ამ შემთხვევაში მის ფუნქციას ახასიათებს იძულების ყველა ნიშანი და ამიტომ ის მოქმედებს როგორც აუცილებლობის ლოგიკური გამომხატველი. მაგრამ განსასჯელის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის ან ბრალდების მოხსნის თაობაზე მას სჭირდება ზემდგომი პროკურორის თანხმობა (სსსკ-ს 446-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 6791-ე მე-4 პუნქტი). აქ უკვე მისი ამოცანა მოქცეულია შემთხვევითობის სამყაროში, რადგან სისხლის სამართლის პოლიტიკა ვერ ეგუება ბრალდების შეცვლას ან მოხსნას პროკურორის ინიციატივით. კანონის „ასეთი დეფინიციის შემთხვევაში, – აღნიშნავს პროფ. ვ. ბენიძე, – ზემდგომი პროკურორის ცნებაც ბუნდოვანია. მაგალითად, თბილისის პროკურატურაში მომუშავე პროკურორისთვის თბილისის პროკურირის მოადგილეც და თბილისის პროკურორიც ზემდგომი პროკურორები არიან. აღარაფერს ვამბობ საქართველოს გენერალური პროკურატურის ნებისმიერი სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელსა და სხვა ზემდგომ თანამდებობის პირზე. ასეთ შემთხვევაში გაურკვეველია, რომლის თანხმობა არის საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად“.

რეპრესიის ნაჩქარევი განხორციელება ტიპიური ნიშანია არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის. სასამართლოს წინაშე პროკურორის თანხმობით გამომძიებლის მიერ შუამდგომლობის აღძვრა საპროცესო სამართლებრივი იძულების გამოყენების შესახებ (სსსკ-ს 140-ე მუხლი) არ ჯდება პოლიტიკის მოდელში. ნორმის ასეთი კონსტრუქცია მეტად ატიპიურია. ამიტომ სსსკ-ს 283-ე მუხლის მე-3 პუნქტში ამ ფუნქციის მატარებლად გამოცხადდა ასევე გამომძიებელიც. „გამომძიებლის უფლებამოსილება გათანაბრებულია პროკურორის უფლებამოსილებასთან, რაც, ცხადია, კანონსაწინააღმდეგოა“– აღნიშნავს პროფ. ვ. ბენიძე. მაგრამ, ჩვენ ხომ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებაზე. აქ მთავარია ვინ დაასწრებს იძულების ღონისძიების გამოყენებაზე ხმის ამოღებას. ამიტომ ამ საქმეში გამომძიებლის გათანაბრება პროკურორთან უფრო „კანონიერია“, ვიდრე კანონსაწინააღმდეგო. სხვა კონსტრუქციას არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა უბრალოდ ვერ შეეგუება.

ის, რომ აღნიშნული ფაქტი კანონზომიერია და არა კანონმდებლის „შეცდომა“, სხვა მრავალ ფაქტშიც ვლინდება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება კანონის გამკაცრებას. სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, შერჩეული აღკვე-

თის ღონისძიების უფრო მკაცრით შეცვლა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ შუამდგომლობს ბრალდების მხარე – გამომძიებელი პროკურორის თანხმობით ან პროკურორი. ნორმის ამ კონსტრუქციით, სისხლის სამართლის პოლიტიკა გარკვეულად მერყეობს შემთხვევითობასა და აუცილებლობის შორის, რადგან საკითხი ეხება გამკაცრებას. ამიტომ ამავე ნორმის მე-17 პუნქტში შესწორდა ეს დუალიზმი: აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ სასამართლოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს. იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, აქ ადგილი აქვს ნორმატიულ ალოგიზმს. მაგრამ სინამდველეში ამ ნორმატიულ ალოგიზმში ვლინდება არსებული სისხლის სამართლის ლოგიკა, რომელიც ნებისმიერ ნორმატიულ დარღვევას გაითავისებს, თუ განხორციელდება მისი უმთავრესი მიზანდასახულობა.

მეტად მნიშვნელოვანია, რა ადილს უჩენს სისხლის სამართლის პოლიტიკა ბრალდებულს. სანამ ამ საკითხს განვიხილავთ, აუცილებელია მოვიშველიოთ სამართლის ფილოსოფია და გავარკვიოთ, რა ადგილი ენიჭება ადამიანს სამართლებრივ არეალში იმ ისტორიულ პირობებში, როდესაც საბაზრო ეკონომიკა არაა განვითარებული და სახელმწიფო მიმართავს კანონს, როგორც კაპიტალის დაგროვების არაეკონომიკურ, ადმინისტრაციულ მეთოდს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოში არაა განვითარებული საბაზრო ეკონომიკა. ამიტომ სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა ახორციელებდეს კაპიტალიზმამდელი ეპოქების სოციალური წყობისათვის დამახასიათებელ მოვლენებს. როგორც ცნობილია, იმ ისტორიულ პირობებში დანაშაული არ გაიაზრება როგორც კანონზომიერი მოვლენა. საზოგადოებრივი წყობილება იდენტიფიცირდებდა ცენტრალიზებულ დესპოტურ სახელმწიფოსთან. ითვლება, რომ მხოლოდ ასეთ სახელმწიფოში შეიძლება სუფევდეს მშვიდობა და წესრიგი. ამ „ნორმიდან" მცირე გადახვევასაც კი ცალკეული ინდივიდის თვითნებობად მიიჩნევდნენ. ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფოს გარეშე არ არსებს არავითარი კანონზომიერება და ყველაფერი მხოლოდ შემთხვევათა კონგლომერატს წარმოადგენს; თვით ინდივიდის არსებობაც შემთხვევითობაა. დანაშაულის მიზეზებს ეძიებდნენ არა საზოგადოებაში, არამედ მხოლოდ ინდივიდუმში, მის თვითნებობაში. ამ ვითარებაში ადამიანის უფლებების საკითხი არის შემთხვევითობისა და არა აუცილებელობის საკითხი.

ამიტომ, ადამიანის მიმართ სამართალიც იძენს მხოლოდ ინკვიზიციური ზეგავლენის ხერხის ხასიათს.

რამდენად ცოცხლდება ეს კანონზომიერება თანამედროვე სიხლის სამართლის პოლიტიკის მიერ, კარგად ჩანს ბრალდებულისადმი სამართლის დამოკიდებულებაში. სსსკ-ს 285-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროკურორი წინასწარი გამოძიებისას წარდგენილი ბრალდების შეცვლის ან შევსების საჭიროების შემთხვევაში პირს ახალ ბრალდებას წარუდგენს უშუალოდ საბრალდებო დასკვნაში. ამასთან ერთად, სსსკ-ს 415-ე მუხლის საფუძველზე ბრალდების შეცვლის ან შევსების საჭიროების შემთხვევაში, პროკურორი ახალ ბრალდებას აყალიბებს უშუალოდ საბრალდებო დასკვნაში, პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ახალი დადგენილების გამოტანის გარეშე. აქედან ნათლად ჩანს, რომ ბრალდებულს შეიძლება წაუყენონ უფრო მძიმე ბრალდება, რომელიც მისთვის უეცრად, ცნობილი გახდება სასამართლოში. იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად სვამენ კითხვას: „სად არის აქ დაცული საჯაროობის, დისპოზიციურობის ან შეჯიბრობითობის პრინციპები? განა ბრალდებულმა არ უნდა იცოდეს რა ბრალდება აქვს წაყენებული და არ უნდა მოემზადოს უფლებების დასაცავათ?" (ვ. ბენიძე). მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის ეს საკითხი მიუღებელია. ბრალდებული (დანაშაულის სიმძიმისაგან დამოუკიდებლად) იმ საზოგადოების ნაწილია, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღიქმება როგორც შემთხვევითობათა კონგლომერატი. შემთხვევა შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს, მას არ გააჩნია არავითარი არსებითი, მითუმეტეს ისეთი ატრიბუტი, როგორიცაა ნების გამოვლენა უფლების მოთხოვნის სახით.

საერთოდ, როგორც აღვნიშნეთ, არაეკონომიკური ხერხებით კაპიტალის დაგროვება არის არგუმენტი, ხოლო სისხლის სამართლის პოლიტიკა კი – მისი ერთ-ერთი ფუნქცია. ამიტომ მარტო ფუნქციის შეცვლა, თუნდაც მისი ინკვიზიციური არსის „ლიბერალიზაციით", აუცილებლად იწვევს ისეთი ნორმების შემოღებას, რომლებიც უნდა პასუხობდნენ არგუმენტს. ასეთი მეტამორფოზა დაემართა საპატიმრო ვადების შემცირებას. რადგან არაეკონომიკური იძულება ბატონობს იმ საზოგადოებაში, რომელშიც ინდივიდი სახელმწიფოს მიერ განიხილება როგორ შემთხვევითი უფლებაუუნარო არსება. ამიტომ საპატიმრო ვადების შემცირება ვერ მოხერხ-

დება იძულების აუცილებლობის უარყოფით. რჩება ეს შემთხვევითი უფლებაუუნარო არსება, რომლის ხარჯზე უნდა მოხდეს იძულების შენარჩუნება, რაც ბრალდებულის მიმართ ადვილად განხორციელდა გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმის მასალების გაცნობის აკრძალვით, ექსპერტიზის დასკვნის მიღების გარეშე საქმის დამთავრებით და ა.შ. იურისტების მიერ დასმულ კითხვას – „საპატიმრო ვადები მართლაც შემცირდა, მაგრამ საკითხავია რის ხარჯზე?" – აქვს არა მარტო სამართლებრივი, არამედ უფრო ფართო, სოციალური დატვირთვა: ნებისმიერი პროცესუალური ნორმის ცვლილება ყოველთვის მოხდება ადამიანის უფლებების შეზღუდვით, რადგან კანონმდებელი უცვლელად ტოვებს იძულების არსს.

აღნიშნული ტენდენცია არ იქნებოდა კანონზომიერი, თუ ის დაცვისათვის გამონაკლისს დაუშვებდა. მაგალითად, სსსკ-ს 146-ე მუხლის ამოღებით, პოლიციისათვის აღარ არის სავალდებულო დაკავების ოქმის შედგენა პოლიციის დაწესებულებაში მიყვანისთანავე. ამიტომ დაკავებულის დაცვის მდგომარეობა მეტად გაურკვეველი ხდება. ასევე აღსანიშნავია სსსკ-ს 72-ე მუხლის ამოღების შედეგი. ამ ნორმის მიხედვით, ეჭვმიტანილი უნდა დაკითხულიყო დაკავების მომენტიდან არა უგვიანეს 24 საათისა. ეს სავალდებულო წესი ამოღებულია და დაკითხვის განხორციელება გამომძიებელზეა დამოკიდებული, რითაც ეჭვმიტანილს თავის დაცვის უფლება არ ეძლევა. სსსკ-ს 84-ე მუხლისა და ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის რედაქციის შედეგად დამცველს უფლება არ აქვს პირისპირ შეხვდეს დასაცავ პირს და დაკითხვამდე გაეცნოს მასალას. კიდევ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: კოდექსის 602-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ძალაში შედის და აღესრულება სასამართლოს მიერ მისი მიღებისთანავე (28.04.2006. N2936). აქაც დაცვის როლი ამოვარდნილია პროცესიდან.

რამდენადაც მძიმე მდგომარეობაში ვარდება დაცვის მხარე, იმდენად უმსუბუქდებათ მდგომარეობა მოსამართლეს, გამომძიებელს და პროკურორს კოდექსის 202-ე მუხლის ამოღებით. მათ აღარ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუ ისინი საპროცესო მოვალეობას განზრახ დაარღვევენ და ა.შ.

არ შეიძლება თავი ავარიდოდ დაზარალებულის უფლებების და თავისუფლებების დაუცველობის საკითხს. იმის გარდა რომ მოქალაქე დაზარალდა დამნაშავისაგან და თავის დასაცავათ იძულებუ-

ლია მიმართოს სასამართლოს, კოდექსის ახალი რედაქცია მას კვლავ აზარალებს, რადგან, პროცესის ყველა მონაწილესთან შედარებით, მას არ განიხილავს როგორც თანასწორუფლებიან მხარეს. ამაზე მიუთითებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლების შედარება, სადაც ასახულია სსსკ-ს პრინციპების წინააღმდეგობა.

სსსკ-ს პირველი მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებია: დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირი, უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება, არ დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება, გამოასწოროს საგამომძიებო და სასამართლო შეცდომები, დაიცვას მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის ყველა სხვა მონაწილის უფლებები და თავისუფლებები, დაამკვიდროს საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა. პროცესის მონაწილეთა ერთ სიბრტყეზე წარმოჩენა შემთხვევითი არ არის. მას საფუძვლად უდევს სსსკ-ის მე-15 მუხლის მოთხოვნა: სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის საფუძველზე. მაგრამ ეს ფუძემდებლური იდეა უარყოფილია საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლის მეშვეობით, რომელიც ასევე პრინციპად არის აღიარებული. მისი არსი აღწერილია სსსკ-ის 679^{1} მუხლში (საქართველოს სსსკ 2007 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით): სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (განსასჯელს), ისე პროკურორს. როგორც ჩანს, სსსკ-ის მე-15 მუხლის მოთხოვნა, რომ სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის საფუძველზე, დაზარალებულზე არ ვრცელდება. სსკ-ის 679^{8} მუხლის შესაბამისად, პროკურორი ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ. დაზარალებულს უფლება არ აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. ყოველივე აღნიშნულიდან ჰაერშია ჩამოკიდული მოწოდება სამართლიანობის იდეის პატივისცემის შესახებ. პოზიციების ასეთი აშკარა ცვალებადობის შემდეგ ჩვენ გვაიძულებენ წავიკითხოთ კოდექსის 151-ე მუხლის ტექსტი სულ

სხვა, საპირისპირო მიმართულებით: საპროცესო შეთანხმება ხორციელდება სასამართლოსაგან დამოუკიდებლად, რითაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი ეფექტიანი მართლსაჯულება. ერთი შეხედვით, მართლსაჯულების ეფექტიანი უზრუნველყოფა სასამართლოს გარეშე – ალოგიზმია. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებით. სინამდვილეში სასამართლოსაგან დამოუკიდებლობა, დაზარალებული მოქალაქის უფლების არ ცნობა არის საზოგადოების უარყოფის იურიდიული გამოვლენა. საზოგადოება სახელმწიფოსთან მიმართებაში, ჰეგელის თქმით, მოიაზრება როგორც „ცარიელი არსი". ამიტომ სისხლის სამართლის პოლიტიკა იძენს საზოგადოების უარყოფის ადეკვატურ ფორმას ანუ ის მოკლებულია არსს, ყოველი მისი ნაბიჯი წინააღმდეგობრივია და უმიზნოა. საზოგადოება, როგორც მართლზომიერების საზომი, არ წარმოადგენს მის მიზანსა და პრინციპს.

მოწმე (როგორც დაზარალებული და ექსპერტი) ცრუ ჩვენების მიცემისათვის ყოველთვის ისჯებოდა. მაგრამ 2005 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად მისი პროცესუალური მდგომარეობა. უფრო მძიმე წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველაზე მკაცრი ზომის სახით ადრე გათვალისწინებული იყო ტუსაღობა ვადით 3 თვემდე, ხოლო მეორე ნაწილის შესაბამისად – თავისუბლების აღკვეთა 5 წლამდე. ცვლილებების შემდეგ პირველი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან–5 წლამდე, ხოლო მეორე ნაწილი კი 4-დან–7 წლამდე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა ადამიანის მიმართ სამართალს ანიჭებს ინკვიზიციური ზეგავლენის ხერხის ხასიათს. ეს კანონზომიერება შეეხო „თამაშის" ყველა მონაწილეს. დარჩა პროცესში ექსპერტის ადგილის გარკვევა.

როგორც ცნობილია, 2004 წლის რედაქციის საპროცესო კოდექსის 29 მუხლი ითვალისწინებდა ბრალდებულის მძიმე ავადმყოფობის დადასტურებას სასამართლო-სამედიცინო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის მიერ. 2005 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ეს ფუნქცია დაეკისრა მხოლოდ სახელმწიფო ექსპერტიზას. გ.ნიკოლაიშვილის აზრით, „ამის მიზეზი ისაა, რომ პროკურატურას შეუძლია, სახელმწიფო ექსპერტებს ადვილად დააწერინოს მისთვის სასურველი საექსპერტო დასკვნა, დამოუკიდებელ ექსპერტებზე ზე-

მოქმედება კი გაცილებით უფრო ძნელია". აღნიშნული მოსაზრება ითხოვს დაზუსტებას, რადგან ათვლის წერტილად იღებს მარტო პროკურატურის სურვილს, რომელიც თვითონ არის განპირობებული სისხლის სამართლის პოლიტიკით.

სინამდვილეში ჩვენ სულ სხვა სურათი გვაქვს. დასკვნის სახით გამოვყოფთ ორ დებულებას.

პირველი დებულება ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმის შეფასებას. აქ გასათვალისწინებელია სისხლის სამართლის პროცესის არსებული ტიპის თავისებურება. კანონში შეტანილმა უამრავმა ცვლილებამ შექმნა ისეთი შერეული სახის პროცესი, რომელიც უმეტესად მოიცავს: ა) საბრალდებო პროცესის ელემენტებს, როგორც ეს ტიპიურია აშშ–ი (პროცესი განიხილება როგორც ბრალდებისა და ბრალდებულის ბრძოლა, მოსამართლეს ენიჭება მართო დამკვირვებლის როლი და ა.შ.); ბ) შუასაუკუნეების ევროპისათვის დამახასიათებელ ინკვიზიციური პროცესის ელემენტებს (მოსამართლე არის მონარქის მიერ დანიშნული ჩინოვნიკი, ის განიხილავს საქმეს ისე, რომ მისი ფუნქცია ძირითადად განპირობებული იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის მოთხოვნით, ბრალმდებელსა და გამომძიებელს შორის იშლება ზღვარი, ბრალდებულს ეზღუდება დაცვის შესაძლებლობა, ის პროცესის ობიექტია და არა სუბიექტი, ბრალის აღიარება ითვლება სრულყოფილ მტკიცებულებად და ა.შ.).

მეორე დებულება ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის არსის შეფასებას. გ. ნიკოლაიშვილს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ არაეკონომიკური იძულება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ურთიერთობას წარმოაჩენს როგორც შემთხვევითობათა კონგლომერატს, სადაც ცალკე აღებული პროცესის მონაწილე თავისი უბედურების მიზეზს ეძებს სხვა მონაწილის საქმიანობაში და ამით ხსნის თავის მდგომარეობას. ამ ჭრელ მოზაიკაში მართლმსაჯულების კავშირი არაეკონომიკურ იძულებასთან ბუნდოვნად ჩანს (ხშირად შესამჩნევია მხოლოდ პროკურორის თვითნებობა). მუდმივი ცვლილებები კანონში აფეტიშებს და აყალიბებს ისეთ სისხლის სამართლის პოლიტიკას, სადაც საზოგადოება, როგორც იძულების მსხვერპლი, ყურადღების მიღმა რჩება.

6.1.1.3. სამოსამართლეო სამართლის პრობლემატიკა

სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ასევე შუასაუკუნეების ევროპისათვის დამახასიათე-

ბელი სისხლის სამართლის მოდელი, რაც საბოლოოდ თავს იჩენს სამოსამართლეო სამართლის შეზღუდაში. ამ ტენდენციის აღწერისას ო.გამყრელიძე აღნიშნავს: „მოსამართლის საქმიანობის ასეთ ვიწრო ჩარჩოებში მოქცევა, რომელიც 2006 წლის 28 აპრილის კანონმა დაამკვიდრა ჩვენს კანონმდებლობაში, პირდაპირ ეწინააღმდეგება სამოსამართლეო სამართლის იდეას...“.

სამოსამართლეო სამართლის შეზღუდვის ხერხებად არჩეულია: ა) აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები, ბ) სასჯელის ზედა ზღვარის გაზრდა, გ) სასჯელების ზედა და ქვედა ზღვარს შორის ინტერვალის შემცირება, დ) გარემოებების (ერთ მუხლში) სიმძიმის მიხედვით დაჯგუფების კრიტერიუმის არარსებობა და ე) ქმედებების სიმძიმის გაუთვალისწინებლად სანქციების დაწესება.

მრავალ ნორმაში აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციების გაცოცხლების მცდელობა აღწერილია პროფ. ო. გამყრელიძის მიერ. მაგრამ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულების ილუსტრაციისათვის ერთი მაგალითითაც საკმარისია შემოვიფარგლოთ.

არასრულწლოვანმა, რომელსაც ჯერ თექვსმეტი წელი არ შესრულებია, ჩაიდინა განზრახი მკვლელობა, რომელიც 109-ე მუხლის მესამე ნაწილით დაკვალიფიცირდა. 88-ე მუხლის მიხედვით ამ ასაკის არასრულწლოვანს არ შეიძლება ათ წელზე მეტი ვადით აღკვეთოს თავისუფლება, ესე იგი, ათი წელი მისთვის სასჯელის მაქსიმუმია. 109-ე მუხლის მესამე ნაწილი კი თექვსმეტიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთას აწესებს. როგორც ვხედავთ, აღნიშნავს ო. გამყრელიძე, აქ სასჯელის ვადის მინიმუმი თექვსმეტი წელია. ამიტომ სასამართლო მძიმე ამოცანის წინაშე დგება, რადგან მას არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის უფლება არა აქვს. ასე რომ, საბოლოოდ, რაც არ უნდა დავეყრდნოთ 88-ე მუხლს, აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას ბევრ შემთხვევაში მაინც ვერ ავიცილებთ თავიდან. „ეს იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის საფუძველზე სამართლიანი განაჩენის გამოტანა შეუძლებელია“ (ო.გამყრელიძე).

განვიხილოთ სასჯელის ქვედა ზღვარის გაზრდის ტენდენცია. იმისათვის, რომ მასალა უფრო თვალსაჩინო იყოს, მას ცხრილის სახით წარმოვადგენთ (იხ.: ცხრილი 1). ამ ცხრილში ყველა მუხლი არ არის ასახული, მაგრამ მოტანილი მასალა საკმარისია, რომ დადგინდეს შემდეგი კანონზომიერება: სანქციების მინიმალური ზღ-

ვარი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს კანონზომიერებასთან და არა შემთხვევით მოვლენასთან ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რონ ახალი ნორმების დამატება მიზნად ისახავს სანქციების მინიმალური ზღვარის გაზრდას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია კიდევ ერთი არსებითი მომენტი – მინიმალური ზღვარის გზრდა ხორციელდება ქვედა და ზედა ზღვარს შორის ინტერვალის შემცირებით. მართალია, შესაძლოა ქვედა და ზედა ზღვარს შორის ინტერვალის გაზრდა, რაც, მაგალითად, ტიპიურია სსკ-ის 308-ე მუხლის მესამე ნაწილისათვის და 310-ე მუხლისათვის, მაგრამ ეს „დათმობა" სამოსამართლეო სამართლისათვის ხდება კვლავ მინიმალური ზღვარის გაზრდის ხარჯზე.

სანქციების ცვლილებისას, როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, ადგილი აქვს ასევე სანქციის ზედა ზღვარის შემცირებას. მაგრამ ინვარიანტულია სამოსამართლეო სამართლის შეზღუდვა, რადგან კვლავ დაცულია ქვედა და ზედა ზღვარს შორის ინტერვალის შემცირების პრინციპი.

და ბოლოს უნდა შევეხო სანქციების ერთ მეტად საინტერესო მეტამორფოზას. როგორც მესამე ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთი მუხლი (110-ე, 111.2-ე, 116.2-ე მუხლები და ა.შ.) ცვლილებებამდე არ ითვალისწინებდა სასჯელის მინიმუმს და დაგენილი იყო მარტო მაქსიმუმი. ცვლილებების შემდეგ, ამ ნორმებში დადგინდა მინიმალური ზღვარი. ამასთან ჩაისახა სამოსამართლეო სამართლის შეზღუდვის სხვადასხვა მოდიფიკაცია: ა) ქვედა ზღვარის დადგენას თან ახლავს ინტერვალის შენარჩუნება, მაგრამ ზედა ზღვარის გაზრდის ხარჯზე, როგორც ეს ახასიათებს სსკ-ს 110-ე მუხლს; ბ) იგივე კანონზომიერება იკვეთება მაქსიმალური ზღვარის შენარჩუნებით (111. 2-ე მუხლი); გ) იმ მუხლებში (128-ე, 129-ე, 139.2-ე, 151-ე, 152.2-ე მუხლები და ა.შ.), სადაც არ იყო გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა და ცვლილებების შედეგად დადგინდა ამ სახის სასჯელი, მითითებულია ზედა ზღვარი. ამიტომ მოსამართლე მარტო მკაცრი სასჯელის დაწესებისას არ იყო შეზღუდული.

განსახილველია გარემოებების სიმძიმის მიხედვით დაჯგუფების კრიტერიუმის არარსებობის საკითხი. აღნიშნული წარმოადგენს სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთ რთულ საკითხს. ამიტომ სავსებით გასაგებია პროფ. ო. გამყრელიძის შენიშვნა, რომ კოდექსის მთელ რიგ ნორმებში განხორციელები-

ული დაჯგუფების სისწორე ჯერ გასარკვევია. მაგალითად, სსკ-ს 109-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა დამაძიმებელ გარემოებებში) ერთნაწილიანი მოდელი გადაკეთდა სამ ნაწილად. კოდექსის 137-ე მუხლი (გაუპატიურება) კი – ხუთ ნაწილად. ასევე ცვლილება შეტანილია 143-ე მუხლში (თავისუფლების აღკვეთა), რომელიც გახდა ოთხ ნაწილიანი და ა.შ. ამ ცვლილებების შედეგად მოხდა ქმედების დამამძიმებელი ნიშნების გადანაწილება და სათანადო სანქციების გამკაცრება. ყველა შემთხვევაში გამკაცრების პრინციპი დაცულია, მაგრამ იმის გაუთვალიწინებლად, თუ რა ტიპის შემადგენლობასთან გვაქვს საქმე, როგორ არის წარმოდგენილი მისი ობიექტური და სუბიექტური მხარე და ა.შ. ეს საშუალებას იძლევა ნებისმიერი ნიშანი გადანაწილდეს კრიტერიუმის გარეშე, თუ შესრულდება სანქციის გამკაცრების ამოცანა. ამას გარდა, ასეთი მიდგომა სანქციების დაწესებისას იწვევს გაურკვევლობას. მაგალითად, ჯგუფურად ჩადენილი გაუპატიურებისათვის (137.3. ე) და ჯგუფურად ჩადენილი სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედებისათვის (138. 3. გ) ერთნაირად არის გათვალისწინებული სასჯელი 9–12 წლამდე, თუმცა მათ შორის არის არსებითი განსხვავება, რომელსაც არ ასახავს ეს ნიშანი (ჯგუფურად ჩადენილი ქმედება). ხელშესახებ განსხვავებას ვერ ხედავს კანონმდებელი, როდესაც ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (117.5. ე) და ჯგუფურად თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის (143.3. ა) აწესებს პირველისთვის 7–9 წელს, ხოლო მეორესთვის 7–10 წელს. ასეთივე სიტუაცია გვაქვს, როდესაც ვადარებთ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დროს (117.2) და რასობრივი დისკრიმინაციის დროს (1421.3. ბ), სადაც პირველ შემთხვევაში გათალისწინებულია 4–6, ხოლო მეორე შემთხვევაში კი 4–7 წლამდე და ა.შ.

ამ თემის გაგრძელებას წარმოადგენს ქმედებების სიმძიმის გაუთვალისწინებლად სანქციების დაწესების საკითხი.

საქართველოს კოდექსის ზოგიერთი სანქციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ დადგენაში არ არის არავითარი კანონზომიერება. მაგალითად, 117-ე მუხლის მერვე პუნქტის შესაბამისად გაუფრთხილებლობით სისცოხლის მოსპობისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 9–12 წლამდე, ხოლო განზრახი მკვლელობისათვის (108-ე მუხლი) – 7–15. გამოდის, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დაწესებულია მინიმუმის უფრო დიდი ზღ-

ვარი (9 წელი), ვიდრე განზრახი დანაშაულისათვის (7 წელი).

ყურადსაღებია სხვა ნორმების შედარებაც. მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის (118-ე მუხლის პირველი ნაწილი) და უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში განზრახ მკვლელობისათვის (111-ე მუხლის პირველი ნაწილი) გათვალისწინებულია ერთნაირი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 1–3 წლამდე. ასეთივე სასჯელი დანესებულია ასევე 113-ე მუხლით (მკვლელობა აუცილებებლი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) და ა.შ.

ცხრილი 1

			სანქცია კანონის ცვლილების შემდეგ (2006 წ.)			
მუხლი	მინ–მაქს	ინტერვალი	ცვლილება მუხლში	ახალი ნორმა	მინ–მაქს	ინტერვალი
109	10–20	10	ა, ვ, გ, გ, ნ, ო პუნქტები მოთავსებულია 109. 3		16–20	4
137.3.ე	5–15	10	გადმოტანილია მე-4 ნაწილის"ბ" პუნტში		12–15	3
137.4	10 –20	10	137.5 გაუპატ. იმისა ვისაც არ შეუსრულდა 12 წელი		15–20	5
	–			1431.4 ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	15–20	5

	–			1432.4 არასრ. ვაჭრობა (ტრე-ფიკინგი)	17–20	3
144.3	8–18	10			13–18	5
	–			1441.3 წამება	12–17	5
179.2. ე	6–15	9	179.4.ბ გად-მოტანილია მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტში		11–15	4
183.2.	8–15	7	183.3 დამ-ატებულია მე-3 ნაწილი		12–15	3
212.3	7–15	8			10–15	5
214.4	10–15	5	გადატანილია მე-6 ნაწილში 214.6		11–15	4
224.1	5–20	15			12–20	8
	–	–		229.3.ბ აფეთქება	10–15	5
232.2	8–15	7			10–15	5
237.4	8–15	7			10–14	4
308.1	5–15	10			10–15	5
308.2	8–10	2			15–20	5
310	8–15	7			12–20	8
311	8–15	7			10–15	5
312.2	8–15	7			10–15	5
312.3	10–20	10			12–20	8
314.2	8–20	12			12–20	8
318.3	8–20	12			10–20	10

323.3	10–17	7			15–12	3
324.1	8–15	7			10–15	5
				3241.1 კიბერ-ტერო რიზმი	10–15	5
				3241.2 ‘‘ – ‘‘	12–20	8
327.1	7–15	8			12–15	3
327.2	5–10	5			10–12	2
328	7–15	8			10–15	5
329.2	8–15	7			10–15	5

ცხრილი 2

მუხლი	დასახ-ელება	სანქცია კანონის ცვლილებამდე		სანქცია კანონის ცვლი-ლების შემდეგ (2006 წ.)		
		მინ–მაქს	ინტერ-ვალი	მუხლი	მინ–მაქს	ინტერ-ვალი
117.1		1–8	7		3–5	2
117.3		5–12	7		5–7	2
118.4		3–10	7		4–6	2
137.1		3–7	4		4–6	2
146		3–10	7		4–6	2

მუხლი	დასახ-ელება	სანქცია კანონის ცვლილე-ბამდე	სანქცია კანონის ცვლილების შემდეგ (2006 წ.)		
		მაქს	მუხლი	მინ-მაქს	ინტერ-ვალი
110		3 წლამდე		2–5	3
111.2		5 წლამდე		2–5	3
114		არ იყო	114	1–3	2
116.2		5 წლამდე		3–5	2
128			128	2 წლამდე	1,6
129		არ იყო	129	2 წლამდე	1,6
139.2		არ იყო	139. 2	3 წლამდე	2,6
151		არ იყო	151	1 წლამდე	6 თვ
152.2		არ იყო	152. 2	2 წლამდე	1,6

საქართველოში სისხლის სამართლის პოლოტიკის გამკაცრების ტენდენცია არ ამოიწურება მარტო სასჯელების პრობლემატიკით. ფარულად გამკაცრება ხორციელდება ქმედების კვალიფიკაციის გზითაც. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და მის დასრულებას ჯერ ბოლო არ უჩანს. ფეხს იკიდებს სამოსამართლეო სამართლის რეპრესიული მოდელი. მანქანით დროებითი სარგებლობა სასამართლოების მიერ კვალიფიცირდება როგორც ქურდობა. სასჯელის შერბილების შიშით ზოგიერთი მოსამართლე უშვებს არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის ინსტიტუტს. სასამართლოები თვითნებურად (ხშირად ქმედების ერთობლიობის გზით) აკვალიფიცირებენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებს, რითაც ამყღავნებენ ორმაგი უმართლობის შემადგენლობის არცოდნას. და ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოში ქართველი პროფ. ო. გამყრელიძის მიერ

დანაშაულის პროვოკაციის ისტიტუტის შემუშავებით პირველად საფუძველი ჩაეყარა ორმაგი უმართლობის კონცეფციას, რომელიც უშუალოდ არის მიმართული რეპრესიული სამოსამართლეო სამართლის წინააარმდეგ.

საქართველოში სისხლის სამართლის პოლოტიკის პრობლება ჩვენს მიერ მოკლედ აღწერილი სურათით არ ამოიწურება. აუცილებელია სერიოზული ფუნდამეტური გამოკვლევა, რომელმაც უნდა უპასუხოს საზოგადოებას მრავალ კითხვაზე და საზოგადოებას საბოლოოდ შესთავაზოს პოზიტიური დასკვნა.

6.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა[511]

6.2.1. დანაშაულის მოძღვრების ლოგიკური პრობლემები

1999 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. ამ ნორმატიულ აქტში რამდენადმე ასახვა ჰპოვა გერმანული დოქტრინის იდეებმა. ამ იდეის რეალიზაციის უშუალო შედეგს წარმოადგენს საქართველოს სსკ მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაული, ე.ი. კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმლეგო და ბრალეული ქმედება. გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში „დანაშაულის" განსაზღვრება მოცემული არაა. იგი დომინირებს მხოლოდ დოქტრინალურ განსაზღვრებებში. მაგრამ გერმანული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს პარლამენტმა გერმანული მეცნიერების მიერ განვითარებული დანაშაულის დოქტრინალური განსაზღვრება აიყვანა დანაშაულის ცნების რანგში და კანონმდე-

511 გ. თოდრია (2012), სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა რადიკალური კრიმინოლოგიის თვალსაზრისით, საიუბილეო კრებული, რომელიც ეძღვნება რ. შენგელიას საიუბილეო თარიღს, თბ., გვ. 567–577. ამ ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის განსაზღვრის ლოგიკური პრობლემები, რაც შემოთავაზებულია 1999 წელს მიღებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. გაანალიზებულია ლოგიკური შეცდომები, რომლებიც დამახასიათებელია გერმანული სისხლის სამართლის ნორმატიული თეორიისათვის და ასახულია მეცნიერთა დოგმატურ გამოკვლევებში, ნაწილობრივ ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ჩატარებული კვლევის შედეგად ავტორი გვთავაზობს დანაშაულის ცნების განსაზღვრას, რომელიც უფრო შეესაბამება ესპანეთის სისხლის სამრთლის კოდექსის დებულებებს.

ბლობის დონეზე დააფიქსირა იგი საქართველოს სსკ მე-7 მუხლში. ამ მიმართულებით არსებითად შეიცვალა დანაშაულის ნიშნების ინტერპრეტაცია. ყოველივე ამან რიგი ლოგიკური პრობლემა წარმოშვა, რომელიც ვლინდება გერმანიის სისხლის სამართლის დოქტრინაში და შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში.

ქმედების შემადგენლობა გაიგება, როგორც დანაშაულის პირველი ნიშანი. მსჯელობენ შემდეგნაირად: მაგალითად, ა–მ მოჰკლა ბ. მოცემულ შემთხვევაში გვაქვს ქმედების (და არა დანაშაულის) შემადგენლობა, მაგრამ ჯერ არაა დადგენილი ქმედების მართალწინააღმდეგობა. „ა“ ხომ შეიძლება მოქმედებდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი.

მსგავს სიტუაციებში, როცა ლაპარაკობენ ქმედების შემადგენლობაზე, მხედველობაში აქვთ მოცემული დელიქტისა და დანაშაულის ობიექტური მხარის მსგავსება. აქ კვლავ ძნელია ვილაპარაკოთ დანაშაულის ცნებაზე, იგი ჯერ არაა დასრულებული. „x“ შემადგენლობის ცნებასთან ჩვენ გვექნება საქმე, თუ დამტკიცდება, რომ პირი არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, არამედ სურდა ჩაედინა მკვლელობა. მაგრამ აქ უკვე ერთვება ქმედების სუბიექტური მხარე. მაშასადამე, უიმისოდ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ „x“ შემადგენლობის შესახებ. ქმედების შემადგენლობის ცნებასთან ჩვენ გვექნება საქმე, როცა სახეზეა ქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ასპექტი. მაგრამ, თუ ორივე ეს ასპექტი დადგენილია, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის (x) და არა ქმედების შემადგენლობასთან ანუ სავსებით განსაკუთრებულ მოვლენასთან.

ტერმინი „შემადგენლობა“ გამოიყენება ორჯერ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთებისას, რაც აკრძალულია ფორმალური ლოგიკის წესებით. დასაწყისში კატეგორია „ქმედების შემადგენლობა“ არასრულად ასახავს ობიექტურ რეალობას, რადგანაც იგი ჯერ არაა დასრულებული ანუ არ მომწიფებულა დანაშაულის ცნებამდე. მაშასადამე, ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, „ქმედების შემადგენლობა“ არ აკმაყოფილებს ცნების წარმოქმნის ლოგიკურ მოთხოვნებს: იგი მეტისმეტად ვიწროა, უფრო მეტიც, არ არის მკაცრად მეცნიერული მიდგომა ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით. მეორე მნიშვნელობით ეს ტერმინი ფიგურირებს, როცა დადგენილია შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ელემენტები.

მართალწინააღმდეგობა ცხადდება დანაშაულის მეორე ნიშნად. მოცემულ შემთხვევაში მსჯელობენ შემდეგნაირად: ჩვეულებრივ, ასრულებს რა ქმედების შემადგენლობას, პირი ამავე დროს სჩადის მართალსაწინააღმდეგო აქტს. ამრიგად, ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა ახდენს მართლწინააღმდეგობის ინდუცირებას და მის შემოწმებას მიმართავენ გამონაკლისის წესით.

მართალწინააღმდეგობა გაიგება, როგორც სამართლის და ზნეობის იმ ნორმების მიმართ წინააღმდეგობა, რომლებიც იმყოფებიან სისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ. მაგრამ ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა სრულდება ქმედების შემადგენლობა, მაგრამ იგი მართალსაწინააღმდეგო არ არის. მაგალითად, თუ პირი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების, ან კიდევ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, როგორც მსჯელობს იურისტ-ნორმატივისტი, ადგილი აქვს გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას. ამრიგად, მივდევთ რა ფორმალური ლოგიკის კანონებს, ჩვენ ვღებულობთ ორ კონტრადიქტორულ მსჯელობას: კატეგორიაში „ქმედების შემადგენლობა“ სურთ მოიაზრონ მოვლენა დადებითი ნიშნებით, ხოლო კატეგორიაში „მართლწინააღმდეგობა“ – მოვლენა უარყოფითი ნიშნებით. ამ შემთხვევაში პრედიკატი „მართლწინააღმეგობა“ (თუ მხედველობაში აქვთ გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას) განეკუთვნება რაღაც სხვას, მაგრამ არა დანაშაულს. ხომ არ შეუძლიათ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებს იყვნენ თავსებადი ქმედების „შემადგენლობასთან“, რომელიც მოიაზრება, როგორც მართლსაწინააღმლეგო მოვლენა.

შემდეგ, კატეგორიაში „მართალწინააღიდეგობა“ მოიაზრება სხვადასხვა მოვლენა – სამართალი და კულტურა. აქ ადგილი აქვს ლოგიკურ შეცდომას გაყოფაში, რამეთუ გაყოფის საფუძველი ერთი და იგივე არაა, ანუ ადგილი აქვს გაყოფას მრავალი საფუძვლის მიხედვით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სისხლის სამართალი არ მოიაზრება როგორც სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, იგი გამიჯნულია სამართლის ყველა დანარჩენი დარგებისაგან. როგორც მიიჩნევენ, სისხლის სამართალი იცავს, ხოლო სამართლის დანარჩენი დარგების ნორმები არეგულირებენ. მეორეც, სამართალი არსებობს საზოგალოებაში სწორედ იმიტომ, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის კულტურები და სახელმწიფოს მოთხოვნა არათავსებადია და ამ წინააღმდეგობის გამო სახელმწიფო მოითხოვს ძალისმიერ

სტანდარტიზაციას, სხვადასხვა კულტურის საერთო მნიშვნელის ქვეშ გაერთიანებას. უკვე ამის გამო სამართალს და კულტურას არ შეიძლება ჰქონდეთ ე. წ. გვაროვნული ცნება „მართლზომიერების“ ცნების სახით.

ამრიგად, თუ კატეგორიას „ქმედების შემადგენლობა“ არ ძალუძს ასახოს ობიექტური რეალობა, რადგანაც, ლოგიკის ენით თუ ვიტყვით, მისი აღმწერი აბსტრაქცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ანუ არ მომწიფებულა დანაშაულის ცნებამდე, კატეგორია „მართალწინააღმდეგობა“ საერთოდ გამოტანილია დანაშაულის ცნების ფარგლებიდან. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, „მართალწინააღმდეგობის“ ცნების მოცულობას წარმოადგენენ მოვლენები, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანაშაულის სფეროს.

ბრალი ცხადდება ქმედების (დანაშაულის) მესამე ნიშნად. ხანგრძლივი კამათის შედეგად იურისტთა ნაწილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბრალი არის გაკიცხვა. კორექტულობის დაცვით დავაზუსტებთ მოცემულ აზრს: ტერმინით „ბრალი“ აღინიშნება გაკიცხვა, ე. ი. ტერმინ „ბრალის“ მნიშვნელობით გამოდის გაკიცხვა. ხოლო იურისტთა მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ბრალი არის დამნაშავის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი. აქ ორივე შემთხვევაში დარღვეულია მსჯელობის ექვივალენტურობის პრინციპი.

თუ გაკიცხვა არის აქტი, რომელსაც ახორციელებს სასასამართლო, მაშინ იბადება კითხვა: წარმოადგენს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დანაშაულის ნიშანს? აქ საჭიროა გავიხსენოთ ცნობილი ქიმიკოსის დ. მენდელეევის მთავარი ლოგიკური კითხვა, რომელიც მან დასვა ცნების „დაუშლელი ელემენტის“ მიმართ: რას ნიშნავს ელემენტის „დაუშლელობა“? ლაპარაკია ქიმიურ საშუალებებზე, რომლებსაც არ ძალუძთ დაშალონ ელემენტი ანუ ლაპარაკია ელემენტის თვით თვისებაზე? ამით ანალოგია სრულდება. დავუბრუნდეთ სიისხლის სამართალს და დავსვათ კითხვა: განეკუთვნება თუ არა დანაშაულს დანაშაულის შეფასების ხერხი, თუ საქმე გვაქვს განსხვავებულ მოვლენასთან? ცხადია, რომ დანაშაულის შეფასების ხერხი მოითხოვს სხვანაირ ლოგიკურ დახასიათებას, რაც არ განეკუთვნება დანაშაულს. ხატოვნად რომ ვთქვათ, რას ფიქრობს მოსამართლე და რას ფიქრობს დამნაშავე – ეს სულაც არ არის ერთი და იგივე.

დამნაშავის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი – ეს არაა ლოგიკური პრობლემის გადაწყვეტა, რამეთუ ჩვენ საქმე გვაქვს

მსჯელობის ექვივალენტურობის პრინციპის დარღვევის სხვა ფორმასთან. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ნაწილობრივ ეს საკითხი წყდება დანაშაულის სუბიექტური მხარის ანალიზისას. მეორეც, იმიტომ, რომ თვით ნორმატიული თეორიის მომხრეებს გაუფრთხილებლობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება გამოაქვთ ბრალის არეში, ე.ი. მოსამართლის და არა დამნაშავის მსჯელობის არეში. დაბოლოს, თვით ბრალის კატეგორია, რომელსაც აგებენ ნორმატივისტები, სულაც არ განეკუთვნება დანაშაულის მოძღვრებას. ბევრი საკითხი, რომელიც ეხება ამსრულებელს, შერაცხადობის კრიტერიუმს, მართლწინააღმდეგობის შეგნებას, შეცდომას, საპატიებელ გარემოებებს და ა.შ., მიაკუთვნებენ გაკიცხვის (ბრალის) და არა დანაშაულის მოძღვრებას. ამიტომ მისწრაფება, განისაზღვროს „ბრალი" დანაშაულის მესამე ნიშნის სახით, წინააღმდეგობაშია იმ ამოცანასთან, რომლის გადასაწყვეტად შემოჰყავთ „ბრალი"-ს კატეგორია დანაშაულის ნიშნის სახით.

ამრიგად, „მართლწინააღმდეგობის" კატეგორიასთან ერთად „ბრალის" კატეგორია ასევე გამოტანილია დანაშაულის ცნების ფარგლებს გარეთ.

ანალიზის გაურთულებლად შევნიშნავთ, რომ დანაშაულის ნიშნების შესახებ საკითხის ნეოკანტიანური განმარტება ჩიხში შევიდა. დანაშაულის განსაზღვრება ისეთი ნიშნების მეშვეობით, როგორიცაა ქმედების შემადგენლობა, მართალწინააღმეგობა და ბრალი, იძლევა ფრიად ბუნდოვან წარმოდგენას სისხლის სამართლის პასუხისმგელობის საფუძვლის შესახებ. ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით კატეგორია „ქმედების შემადგენლობა" არის მეტისმეტად ვიწრო. კატეგორიები „მართლწინააღმლეგობა" და „ბრალი" კი საერთოდაა გამოტანილი დანაშაულის გაგების ფარგლებს გარეთ.

მკითხველს გავახსენებთ, რომ ნეოკანტიანური განმარტების თანახმად, შემეცნების ობიექტი ობიექტურად არ არსებობს და იქმნება გამოცდილებით. გამოდის, რომ დანაშაულს ობიექტური ნიშნები არ გააჩნია. ადვილი შესამჩნევია მხოლოდ ის, რომ დანაშაული წარმოაგენს კანონით გათვალისწინებულ ქმედებას (გფრ-ს სსკ, §12). გამოცდილება, რომელშიც იქმნება დანაშაულის ცნება, წარმოადგენს განაჩენის აგების პროცესს. სწორედ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი (საქართველოს სსკ, მე-7 მუხლი). გააჩნია თუ არა დანაშაულს ობიექტური ნიშნები? – კითხვა, რომელიც არსებობს ამ

მიდგომის მიღმა. ასეთია ნეოკანტიანური მიდგომის არსი სისხლის სამართალში, რომელიც გულგრილად ეკიდება ობიექტურ რეალობას და მთელი ტვირთი გადააქვს სამოსამართლეო სამართალზე. როგორც ამ მიმართულების მომხრეები აღნიშნავენ, სისხლისსამართლებრივ პრობლემაზე მსჯელობის დროს ყველა პოზიციას აქვს საყურადრებო არგუმენტები და ლოგიკური დასაბუთებები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სისხლის სამართალი არის შეფასებებზე დაფუძნებული, ნორმატიული მეცნიერება. სამართლებრივი შეფასებები კი, არაიშვიათად შეიძლება იყოს სხვადასხვა შედეგის მომცემი. ამ შედეგთან თუ რომელია „მართალი", – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ზოგჯერ თითქმის შეუძლებელია და სამოსამართლო სამართლის გადასაწყვეტია[512].

გზადაგზა შევნიშნავთ, რომ ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში აქამდეა შენარჩუნებული საბჭოთა დოქტრინის რუდიმენტი იმ დანაშაულის „საზოგადოებრივი საშიშროების" კატეგორიის სახით, რომელიც ასევე არ თავსდება დანაშაულის ცნების განსაზღვრის ლოგიკაში. ქმედება ცხადდება დანაშაულად სწორედ მისი საზოგადოებრივი საშიშროების განსაკუთრებული თვისებების გამო. ცხადია, რომ მოვლენის წარმოშობის წინაპირობა და ამ მოვლენის ნიშანი არ შეიძლება იყვნენ ერთი და იგივე დატვირთვის მატარებელნი. მაგრამ მნიშვნელოვანია „საზოგადოებრივი საშიშროების" სხვა ნაკლი, რომელიც შემჩნეულია ნორმატივისტების მიერ. ორი მანქანის ურთიერთდაჯახებისას სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ, რომელმა მძღოლმა დაარღვია მართვის წესები. და მხოლოდ ამის შემდეგ წამოტივტივდება დამრღვევის ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების საკითხი. მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი საშიშროება დამოკიდებულია მართალწინააღმდეგობის დადგენაზე. ყველა ამ საკითხს არავითარი კავშირი არ აქვს დანაშაულის ცნების განსაზღვრასთან. ისინი უფრო მეტად ასახავენ მოსამზადებელ ეტაპს დანაშაულის შემადგენლობის დაზუსტების გზაზე.

სისხლისსამართლებრივი პრობლემების გართულებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში პირველ ადგილზე წამოსწია პროცედურული ხასიათის ამოცანები, რომლებმაც როგორღაც უკან გადასწიეს დეფინიციის ლოგიკური სრულყოფის საკითხები. ამის შედე-

512 მ.ტურავა (2013), სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., „მერიდიანი", გვ. 344

გად სისხლის სამართლის კოდექსებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი – დანაშაული განისაზღვრება იმ ნიშნების მეშვეობით, რომლებიც ვერ პასუხობენ ფორმალური ლოგიკის მოთხოვნებს. ეს საკითხი აქამდე რჩება პოლემიკის საგნად და სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობები ჯერჯერობით ვერ იძლევიან „დანაშაულის“ ლოგიკურად დასაბუთებულ განსაზღვრებას. ამიტომ აქამდე პრობლემატურია საკითხი: რა ნიშნები უნდა გააჩნდეს ქმედებას, რომ იგი ვაღიაროთ დანაშაულად?

რიგი ქვეყნებისა საერთოდ უარს ამბობენ დანაშაულის განსაზღვრაზე და პენოლოგიური მიდგომით კმაყოფილდებიან. მაგალითად, გფრ-ის სსკ– ში დაფიქსირებულია შემდეგი განსაზღვრება: „დანაშაულს წარმოადგენს მართალსაწინააღმდეგო ქმედება, რისთვისაც გათვალისწინებულია როგორც მინიმალური სასჯელი ერთი წლის და მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით.“ ავსტრიის სსკ-ს მე-19 პარაგრაფში ნათქვმია: „დანაშაულს წარმოადგენენ განზრახ ქმედებები, რაც ისჯება თავისუფლების სამუდამო აღკვეთით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით.“ დანაშაულის მსგავსი განსაზღვრებაა მოცემული პოლონეთის რესპუბლიკის სსკ-ის მეშვიდე მუხლის მეორე პარაგრაფში, აგრეთვე ნორვეგიის სსკ-ში. შვედეთის სსკ-ს მე-11 მუხლში გათვალისწინებულია: დანაშაულს წარმოადგენს ქმედება, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე კოდექსით ან სხვა კანონით ან სტატუტით, რისთვისაც დადგენილია სასჯელი. შვეიცარიის სსკ-ს მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ დანაშაულს წარმოადგენს მართალსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ექვემდებარება დასჯას კატორღული ციხით. ჰოლანდიის სსკ-ს პირველი მუხლის თანახმად, „არ ისჯება ქმედებები ან უმოქმედობა, რაც არ შეადგენდა სისხლის სამართლის სამართალდარღვევას...“ და ასე შემდეგ.

მაგრამ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ადგილი აქვს „დანაშაულის“ განსაზღვრის მცდელობას ცნების შინაარსის მეშვეობით, მაგრამ ნეოკანტიანური გაგების წესების მიხედვით. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ საქართველოს სსკ მე-7 მუხლის დეფინიციის ნაკლოვანებებზე, ამიტომ მათ აღარ დავუბრუნდებით.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ არის ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც ლოგიკური თვალსაზრისით დანაშაულის უფრო კორექტულ განსაზღვრებას იძლევიან. ასე მაგალითად, ესპანეთის სსკ მე-10 მუხლში განსაზღვრულია, რომ დანაშაულებს ანუ გადაცდომებს

წარმოადგენენ კანონით დასჯადი ქმედებები, რომლებიც განზრახ ან გაუფრთხილებლობითაა ჩადენილი. ამ ასპექტში ჩვენ ვღებულობთ, რომ დანაშაულად აღიარებენ კანონით გათვალისწინებულ ქმედებას (მოქმედებას ან უმოქმედობას), რომელიც ჩადენილია განზრახ ან გაუფრთხილებლობით. მოცემული განსაზღვრება პასუხობს ფორმალური ლოგიკის ყველა მოთხოვნას. უფრო მეტიც, იგი პრაქტიკულად უფრო ზუსტია, ვიდრე ჩვენს მიერ განხილული დანაშაულის დეფინიციები შემდეგ მიზეზთა გამო:

ჯერ ერთი, განსაზღვრება მეცნიერულად მართებულია, რამეთუ „დანაშაულის" ცნების არსად გამოდის ქმედება, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. ავღნიშნავთ, რომ მარტო ეს მომენტი ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში აღიარებულია.

მეორეც, იგი არ უნდა შეიცავდეს მანკიერ წრეს. თუ დავუშვებთ, რომ დანაშაულს აქვს ისეთი ნიშანი, როგორიცაა „ბრალი", ხოლო „ბრალი" წარმოადგენს გაკიცხვას, მაშინ ჩნდება მანკიერი წრე. ქმედება იძენს დანაშაულის ნიშნებს, თუ ამ ფაქტში სასამართლომ დაინახა მოცემული ნიშნები, სასამართლოს კი შეუძლია დაინახოს ეს ნიშნები, თუ ისინი აღწერილია კანონში.

მესამე, მოცემული განსაზღვრება არ უნდა იყოს მოჭარბებული. მსჯელობები თავის თავში ფარავენ სიჭარბეს, თუ მივყვებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ მსჯელობებს: „კანონში ჩვეულებრივად აღწერილი ქმედება ტიპურად მართალსაწინაღმდეგოა." მაგრამ „ქმედება შეიძლება იყოს მართლზომიერი, მაგალითად, აუცილებელი მოგერიებისას". ლოგიკური შეცდომა სახეზეა: თუ ქმედება, რომელიც ჩვეულერივად აღწერილია კანონში, ტიპიურად „მართალსაწინააღმდეგოა", მაშინ „მართალწინააღმდეგობა" მეორე ნიშნის სახით ზედმეტია.

მეოთხე, მოცემული განსაზღვრება საკმარისია. გავაგრძელოთ მაგალითი. თუ ქმედება, რომელიც ჩვეულებრივად აღწერილია კანონში, ტიპიურად მართრლსაწინააღმდეგოა, მაშინ საკმარისია მართალწინააღმდეგობის შესამოწმებლად, რომ არ იყოს გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართალწინააღმდეგობას. მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, თუ ასეთი გარემოებები დადგენილია, მაშინ არაა მართალწინააღმდეგობა მეორე ნიშნის სახით. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ცნების საკმარისობის დადგენის კრიტერიუმი მოცემულია არა თვითონ ცნებაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

6.2.2. გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების ლოგიკური პრობლემა

ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებასა და კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნა გერმანული დოქტრინის დებულებები, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვლენათა არსის ნეოკანტიანური განმარტების გამო, ერთმანეთში ურევს ცნებას და ცნებისადმი ოპერაციონალურ მიდგომას. ეს აზროვნების პროცესის სრულიად სხვადასხვა პროდუქტია. „მართალწინააღმდეგობის“ და „ბრალის“ კატეგორიების დადგენით „დანაშაულის“ კატეგორია არ განისაზღვრება, ისინი წარმოადგენენ დანაშაულში არსისა და მოვლენის გამოყოფის ხერხებს. თუ დადგენილია იმ გარემოებების არარსებობა, რომლებიც გამორიცხავენ მართალწინააღეგობას და ბრალს, ამით სუფთა სახით ვიღებთ დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობებს. სწორედ ამით ყალიბდება სისხლის სამართლის საფუძველი.

სისხლის სამართლის ზოგიერთი ქართული სახელმძღვანელო, რომლებიც ეფუძნება გერმანელი მეცნიერების ნეოკანტიანურ დოქტრინას, იგნორირებას უკეთებენ ცნების განსაზღვრის ლოგიკას და ამდენად, არასისტემურები არიან. ისინი სხვადასხვანაირად არიან დატვირთული მასალით, რომელიც განეკუთვნება სწორედ დანაშაულის მოძღვრებას და მასალით, რომელიც იმყოფება დანაშაულის მოძღვრების გარეთ, ანუ განეკკუთვნება გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრებას. ორივე მოძღვრების მასალა არაა ერთგვაროვნად დამუშავებული. ყველაზე ინტენსიურად ვითარდება დანაშაულის მოძღვრება, მაგრამ ბრალის მოძღვრება სუსტადაა ჩამოყალიბებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ქართველი მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებულია ფრიად დასაბუთებული დებულებები.

შევნიშნავთ, რომ სისხლის სამართლის დაყოფა დანაშაულის მოძღვრებად და გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრებად წარმოადენს სამართლის ამ დარგის გერმანული დოქტრინალური დაყოფის ნაყოფს. რეალურად პრაქტიკოსს არასოდეს მოუვა თავში აზრი მასალის დანაწევრების შესახებ, რომელიც უნდა მივაკუთვნოთ დანაშაულის შემადგენლობას, და მასალა, რომელიც, როგორც წერენ, უნდა განვიხილოთ ბრალის დონეზე ანუ გაკიცხვის მოძღვრების საფუძვნლზე. უფრო გასაგები ენით თუ ვიტყვით, ზოგიერთი საკითხის განხილვა ე. წ. ბრალის დონეზე ნიშნავს, რომ არსებობს დანაშაულის კვალიფიკაციის („ქმედების სუბსუმციის“ – გერმანული ტერ-

მინოლოგიის მიხედვით), პრობლემა, რაც უნდა გადაწყდეს სწორედ სასამართლო განაჩენის ფარგლებში, სულ ესაა. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცედურული ხასიათის მსჯელობები ცალკეულ ნაშრომებში გადატვირთულია ბუნდოვანი, ზოგჯერ კი მოუფიქრებელი ტერმინებით, რომლებსაც უფრო მეტად აღრევა შეაქვთ ახალგაზრდა თაობის აზროვნებაში და ფრიად შორს არიან სისხლის სამართლის ლოგიკურად აგებული კურსისაგან.

მაგრამ რაღაც დროით მივენდოთ სისხლის სამართალში დასანერგ სიახლეს და განვიხილოთ შემოთავაზებული ბრალის მოძღვრების არსი. როგორც ჩვენ გვარწმუნებენ, ბრალის მოძღვრების აქტუალობა განპირობებულია სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნილებებით. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წარმოიქმნება იმ მთელი რიგი საკითხების შეფასების გარდაუვალი აუცილებლობა, რომლებიც გამოდიან ქმედების შემადგენლობის ანალიზის ფარგლებიდან, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნისას. ქართველმა მეცნიერებმა ყურადღება მიაპყრეს მოცემული პრობლემატიკის გააზრების მნიშველობას. ამ მიმართულებით თ. წერეთლის, ო. გამყრელიძის, გ. ნაჭყებიას, მ. ტურავას, ლ. კუტალიას და სხვა ქართველი მეცნიერების ნაშრომებში დიდი მოცულობის მასალაა დაგროვილი. ამიტომ ამჟამად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული სამართლებრივი აზრი მზადაა სისხლის სამართლის სისტემის გადასახედად და ბრალის მოძღვრების შესაქმნელად.

ჩვეულებრივ, ძველი სქემით სისხლის სამართლის საერთო ნაწილის სისტემა წარმოგვიდგებოდა საკითხთა ორი ჯგუფის სახით. საკითხთა ერთი ჯგუფი განეკუთვნებოდა ქმედების შემადგენლობას, მეორე ჯგუფი კი – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების მომენტიდან ზოგიერთ მეცნიერთა შორის ძირეულად შეიცვალა დამოკიდებულება საერთო ნაწილის ამ ფორმალიზაციის მიმართ და შესაბამისად წარმოიშვა პროცედურების გააზრების მოთხოვნილება, რომელთა მოთავსება ძველ სქემაში (საბჭოთა მოდელში) არ იქნება ადვილი.

გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების ფორმირების წინაპირობები. ქმედების ობიექტური შემადგენლობის გააზრებისას სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა კაუზალურობის განსაკუთრებული წინაპირობების დადგენის პრობლემები. როგორც გ. იაკობსი აღნიშნავდა, შედეგის ობიექტური შერაცხადობისათვის კაზუალურობა არ არის

მარტო მინიმალური პირობა. საჭიროა კიდევ ქმედებისა და შედეგის ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება. სწორედ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა რისკების ე. წ. დამთხვევის დროს. კერძოდ, ძევს თუ არა დამდგარი შედეგი ადამიანის კონტროლის მიღმა, ამცირებს თუ არა ქმედება შედეგის მიყენების რისკს? აქვს თუ არა ადგილი მოვლენათა მსვლელობის ატიპურობას? დადგებოდა თუ არა შედეგი ქცევის მართლზომიერების შემთხვევაში? და ა. შ. ამ საკითხს საფუძვლიანად განიხილავს რ. როქსინი. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხისადმი მსგავს მიდგომას ასევე ყურადღება მიაპყრო თ. წერეთელმა მიზეზობრივი კავშირის პრობლემათა დამუშავებისას.

ცხადია, რომ ყველა ეს საკითხი განეკუთვნება გარკვეულ ლოგიკურ პრობლემატიკას, რომელმაც, როგორც აღნიშნა მ. ტურავამ, წინა პლანზე წამოწია შედეგის ობიექტური შერაცხვის გამორიცხვის ნორმატიული კრიტერუმების მოძიების საკითხი. ამ მიმართულებით ნეოკანტიანური მიდგომა სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირის აბსტრაგირების პირობებზე დიდ ყურადღებას ამახვილებს. და ეს გასააგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნეოკანტიანური მიდგომა განსაკუთრებულ მოთხოვნას აყენებს ოპერციონალური განსაზრვრებისადმი. მაგრამ ნორმატიული კრიტერიუმების ძიების პროცესმა გამოავლინა გაკიცხვის მოძღვრების არსებითი მეთოდოლოგიური ნაკლი. მოსამართლე ვერ ისარგებლებს მიზეზობრივი კავშირის ერთიანი კრიტერიუმით, რადგან მოვლენათა კავშირი, რომელიც იურისტის აზრით არის კაუზალური, სინამდვილეში წარმოადგენს მოვლენათა რეგულარულ თანმიმდევრობას. არსებობენ ცალკეული პრობლემური სიტუაციები, რომელსაც მოერგება ე.წ. ეკვივალენტურობის, კანონზომიერი პირობის, ადეკვატურობისა და რელევანტურობის, გენერალური მიზეზობრიობის და სხვ. სახის მინი-თეორიები.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ქმედების სუბიექტური მხარე. მართლწინააღმდეგობის დადგენის შემდეგ აუცილებლად დგება მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი. ეს მიდგომა ფრიად მნიშვნელოვანია, რადგანაც, ბრალის გაბატონებული თეორიის თანახმად, როგორც აღნიშნავს ხ. ეშეკი, მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი ხდება ბრალის (გაკიცხვის) ბირთვი. მოცემული საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე ხშირად აწყდება „შეცდომათა“ პრობლემატიკას. ამიტომ სწორედ სასამართლო პრაქტიკა

ბრალის მოძღვრებას მჭიდროდ უკავშირებს შეცდომების საკითხს. აღსანიშნავია, რომ „შეცდომის“ პრობლემა (გამონაკლისის გარდა) განეკუთვნება ბრალის და არა დანაშაულის მოძღვრებას.

არსებობს აზრი, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება არ წარმოადგენს განზრახვის კომპონენტს და უნდა განისაზღვროს ბრალის დონეზე. მ. ტურავა მართლწინააღმდეგობის შეგნებას განიხილავს, როგორც ინდივიდუალური ბრალის ნორმატიულ კომპონენტს. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს საკითხი განეკუთვნება დანაშაულის ცნების განსაზღვრისადმი მიდგომას და არა თვით ცნებას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე გაუფრთხილებელი დანაშაულის პრობლემა. განზრახ დანაშაულისაგან მისი განსხვავების ანალიზისას ო. გამყრელიძე მიუთითებს, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულის საკითხის გადაწყვეტა მთლიანად განეკუთვნება ე. წ. ბრალს. ამასთან დაკავშირებით მოსამართლეს უხდება კითხვის დასმა: ჩადენილია თუ არა ქმედება წინასწარი განზრახვის გარეშე? და მხოლოდ ამის შემდეგ იგი იწყებს ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენას და ა. შ.

გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების სისტემის შესახებ. მოძღვრების ამ ნაწილის შემუშავების შესახებ წერდა ჯერ კიდევ კ. როქსინი, რომელიც მიუთითებდა, რომ საჭიროა ბრალის ნორმატიული ცნება განვითარდეს პასუხისმგებლობის ნორმატიულ ცნების სახით. ამ პოზიციას მხარს უჭერენ რიგი ქართველი მეცნიერები.

გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების სისტემის პირველ ნაწილში – თავმოყრილია საკითხები, რომლებიც განეკუთვნებიან სისხლის სამართლის საფუძვლის კორექტირებას.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმირების სისტემასთან დაკავშირებით. სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან და არა ქმედების შემადგენლობასთან, როგორც ეს მიაჩნდათ ადრე. თავის ნაშრომებში ეს საკითხი დაამუშავა ო. გამყრელიძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ ასაკის, შერაცხადობის საკითხები და სხვა მოვლენები განეკუთვნება სწორედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის სფეროს. ამ იდეას მხარს უჭერენ მ. ტურავა და სხვა ქართვლი იურისტები. ასეთი გზით მეცნიერები აყალიბებენ გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების მეორე ნაწილს, რომლებიც მიმართულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის

ზღვრების დაზუსტებისაკენ.

სისხლის სამართალში დიდი ყურადღება ეთმობა გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ ქმედების მართლწინააღმდეგობას და ბრალეულობას. ქართული მეცნიერების დამსახურებას წარმოადგენს იმ ინსტიტუტების საფუძვლიანად დამუშავება, რომლებიც ცალკეული თავების (VIII და IX) სახით მოთავსებულია საქართველოს სსკ-ში. ისინი დაკავშირებულია არა დანაშაულის ცნებასთან (დანაშაულის მოძღვრებასთან), არამედ სწორედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობებთან.

როგორც აღნიშნული იყო, ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა ჩვეულებრივ ახდენს მართლწინააღმდეგობის ინიცირებას. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ნარმოიშობა გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას (საქართველოს სსკ-ს 28-ე–31-ე მუხლები). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთ დეტალს. კანონმდებელი არ იძლევა ამ გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს. საქართველოს სსკ-ს 32-ე მუხლი ნებას აძლევს მოსამართლეს თვითონვე დაადგინოს მართლწიაღმდეგობის გმომრიცხავი გარემოებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არაა. ამით ხაზი გაესმება გაკიცხვის მოძღვრების განვითარების მნიშვნელობას სწორედ გარემოებათა კლასიფიკაციის მიმართულებით (სამოქალაქო-სამართლებრივი უკიდურესი აუცილებლობა, პოლიტიკური წინააღმდეგობის უფლება, დაზრალებულის ნებართვა და ა. შ.), რომელიც თანდათანობით იქნება დადგენილი სწორედ სასამართლო პრაქტიკით.

საქართველოს სსკ-ს 33-ე – 38-ე მუხლებში გათვალისშინებულია გარემოებები. რომებიც გამორიცხავენ ბრალს. მნიშვნელოვანია ყურაღება მივაპყროთ იმ ფაქტს, რომ მოცემული მუხლები მოსამათლეს უფლებას აძლევს თვითონვე დაადგინოს ბრალის გამომრიცხავი გარემოებები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული.

ყველა გომოკვლევის სუსტი რგოლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ ასაბუთებენ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც განლაგდებიან მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ამის გარდა, დღემდე გაუგებარია, რატომ არის რომ ამ გარემოებათა ჩამონათვალში გათვალისწინებულია რამოდენიმე გარემოება და რატომ იფარგლება ჩამონათვალი გარემოებათა აღნიშნული სიით. ამრიგად, ეს ხარვეზი ატარებს მეთოდოლოგიურ ხასიათს და საჭიროა მისი შევსება.

ამის გარდა ყურადღება უნდა გამახვილდეს ტერმინოლოგიურ უზუსტობაზე. გაუგებრობას იწვევს ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა „ბრალუნარიანობის გამომრიცხველი გარემოებები“ და „ბრალის გამომრიცხველი გარემოებები“. „ბრალის გამომრიცხველი გარემოებების“ ტერმინის გამოყენება არაკორექტულია. თუ ბრალი არის გაკიცხვა და ამ ორ შემთვევში პირს სასამართლო ვერ აკისრებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ როგორც მართლწინააღმდეგობის, ასევე ბრალის დროს გვაქვს ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. საკითხის არსს ამ შემთხევაში უფრო ზუსტად ასახავს „ბრალუნარიანობის გამომრიცხველი გარემოებები“.

გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების მეორე ნაწილში შედიან – საკითხები, რომლებიც განეკუთვნებიან სასჯელის დანიშვნას. პირველ რიგში თავს იჩენს დელიქტების სიმძიმის მიხედვით სასჯელების დიფერენციაციის პრობლემა. სისხლის სამართლის რეფორმის პროცესში ზოგიერთი მეცნიერის მიერ განიხილება დელიქტების ნაწილის გამოტანა ადმინისტრაციული კოდექსიდან და სისხლის სამართლის კოდექსში მოთავსება. გარკვეულად ეს პოზიცია შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1984 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილებას. მაშასადამე, დგება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველთან დაკავშირებული საკითხების ღრმა დამუშავების ამოცანა.

გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების ამ ნაწილის ქვაკუთხედს წარმოადგენს მეტრიკული პრობლემა. სასჯელის ვადები სისხლის სამართლის კოდექსში დასაბუთებულია უპირატესად პოლიტიკური მოსაზრებებით და არ შეესაბამებიან ჰუმანიზმის პრინციპებს. ამის შესახებ ბევრი დაიწერა ქართველი მეცნიერების მიერ. ამასთან დაკავშირებით დგება სხვა, უფრო რთული საკითხი, რომელიც ეხება თავისუფლების აღკვეთის ვადების დანაშაულთა სიმძიმის გათვალისწინებასთან შესაბამისობაში დაბალანსებულ მოყვანას. ამ მიმართულებით ასევე გადახედვას ექვემდებარება საქართველოს სსკის ამა თუ იმ მუხლის ნაწილების კლასიფიკაციის კრიტერიუმები. საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლთან მიმართებაში (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) ეს აზრი გამოთქვა ო. გამყრელიძემ. ვფიქრობ, იგი შეეხება სისხლის სასამართლის ყველა მუხლს. საერთოდ, ნორმის დაყოფა სხვადასხვა ნაწილებად ჯერჯერობით მოკლებულია რაიმე კრიტერიუმს და უფრო მეტად წარმოადგენს

კანონმდებლის თავნებობის ნაყოფს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის დოქტრინა, რომელსაც იცავს ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, ერთმანეთში ურევს დანაშაულის ცნების ჩამომყალიბებელ საშუალებებს და თვით დანაშაულის ცნებას. საქართველოს სსკ -ს მე-7 მუხლში მოცემულია არა დანაშაულის ცნება, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის აგების კონსტრუქცია. როგორც გვაჩვენებს ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, დანაშაულის ცნების აგების ლოგიკურ წესებს პასუხობს მისი განსაზღვრება: დანაშაულად მიიჩნევა კოდექსით გათვალისწინებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ჩადენილია წინასწარ განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. ეს მომენტი არის ცენტრალური დანაშაულის მოძღვრებაში. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრება. პრობლემატიკა, რომელიც ვლინდება მოცემულ მოძღვრებაში, პირდაპირ კავშირშია იმასთან თუ როგორ იქნება აგებული დანაშაულის მოძღვრების სისტემა.

ცხადია, რომ ამ პრობლემების ნაჩქარევი გადაწყვეტა შეუძლებელია. საჭიროა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა თანამშრომლობა. ამჟამად ჩვენ შემოქთავაზებთ საკითხთა ძალიან შეზღუდული წრე, რომლითაც არ ამოიწურება სისხლის სამართლის პრობლემატიკა. მიგვაჩნია, რომ შემდგომში უნდა გაგრძელდეს სისხლის სამართლის სისტემის, მისი ცალკეული ინსტიტუტების ლოგიკური ექსპერტიზა.

6.3. მართლსაჯულების იდეოლოგია და პოლიტიკა

საქართველოში სასჯელისადმი მართლსაჯულების პოლიტიკა არაერთგვაროვნად ვითარდება. ერთის მხრივ, მუდმივი ინსტიტუციონალური ცვლილებები და კანონმდებლობის კოსმეტიკური შელამაზება, ხოლო მეორე მხრივ – სოციალური სტაგნაცია, თავის კვლას ტოვებენ ქვეყნის მართლსაჯულებაში. ვითარდება სასჯელისადმი დაბნეული იდეოლოგიური დამოკიდებულება, რაც ურთიერთგამომრიცხავ და საშიშ ტენდენციების ჩასახვას უწყობს ხელს.

6.3.1. სადამსჯელო პოლიტიკის ინტენსიფიკაციის ტენდენცია.

საქართველოში, სადაც მეტად დაბალია სოციალური დანახარჯების დონე, რისკის სიტუაცია, როგორც წესი, წყდება ადმინისტრაციული ზეწოლის საშუალებების გაძლირებით. ამ პირობებში ფაქტიურად ცოცხლდება ე.წ. „სამი დარტყმის" კონცეფცია, რომელიც განვითარდა 80-იან წლეებში აშშ-სი. საქართველოში ამ კონცეფციის დანერგვის ფორმაა ფარული მოსმენების ლეგალიზაცია. ეს უფლება კვლავ ენიჭება პოლიციას ტექნიკური საშუალებების შეძენასა და გამოყენებაზე კონტროლის არარსებობის პირობებში.

სხვა ფორმას წაროადგენს ე.წ. „ოდეერების" დაკანონება. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის № 337 დადგენილებით დამტკიცებული შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანოებში დანიშნოს უსაფრთხოების საკითხებში ოფიცრები.

აღნიშნული კონცეფციის კიდევ ერთ ფორმას წარმოადგენს პოლიციური კონროლის ინტენსიფიკაცია. 2016 წელს ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოაელინა, რომ კვლავ მწვავედ დგას პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის პრობლემა. 2015 წელთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობა შემცირებულია, თუმცა გაზრდილია დაზიანებით შესახლებულ პირთა და პოლიციის მიმართ პრეტენზიების რაოდენობა. ბოლო 4 წლის განმავლობაში, 2016 წელს იზოლატორში შესახლებულ პირთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით დაზიანებით შესახლებულ და პოლიციის მიმართ პრეტენზიის მქონე პირთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია. 2015 წელთან შედარებით ასევე გაზრდილია დაკავებისას ან დაკავების შემდგომ სხეულის დაზიანების შემთხვევათა რაოდენობა.[513]

ქვეყანაში არსებული ტენდენცია გავლენას ახდენს სადამსჯელო პოლიტიკაზე. უცხოელ ავტორთა კრიმინოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ საზოგადოებაში ადმინისტრაციული ზომების ზეწოლის, პოლიციური თვითნებობისა და სასჯელის პოლიტიკას შორის არსებობს პირდაპირი ფუნქციონალური კავშირი, რადგან ამ შემთხვევაში დიდია დაკავებული პირის მიმართ თავისუფლების

513 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2016 წელი

აღკვეთის გამოყენების ალბათობა და მეტად დაბალია ალტერნატიული სასჯელების გამოყენების შესაძლებლობა.[514]

6.3.2. უმკაცრესი სანქციების მოდელების ფორმირება და დანერგვა საქართველოს სისხლის სამართალში.

სანქციების თაობაზე ქართულ ლიტერატურაში გამოთქმულია არა ერთი კრიტიკული მოსაზრება. ავტორთა უმრავლესობა ამის მიზეზად ასახელებს ქვეყნის პოლიტიკურ კურსს წარსულში. ყოველ შემთხვევაში ზედაპირზე ასე მოჩანს. მაგრამ არსებული მდგომარეობის ნამდვილი მიზეზი ძევს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში, რომელმაც ხელი შეუწყო აშშ-ში 60–70-იან წლებში შემუშავებული ეკონომიკური ნეოკლასიკური კონცეფციის რეცეფციას საქართველოს სისხლის სამართალში.

როგორც ცნობილია, ამ კონცეფციის მომხრეების მიერ იყო შემუშავებული თანამედროვე სისხლის სამართლის სანქციების რეპრესიული ფორმულა: დანაშაულის ჩადენისაგან შეკავება შეიძლება როგორც დაკავების ალბათობის (პოლიციური ზეწოლის), ასევე ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებით. ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, დაკავების შიში მოქმედებს „შემთხვევით" დამნაშავეებზე, ხოლო ხანგრძლივი ვადების გამოყენება – „ბოროტ" დამნაშავეებზე.[515] 90-იანი წლებიდან საქართველოს სისხლის სამართალში ამ კონცეფციის აღიარების შედეგია: ა) აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები, ბ) სასჯელის ზედა ზღვარის გაზრდა, გ) სასჯელების ზედა და ქვედა ზღვარს შორის ინტერვალის შემცირება, დ) გარემოებების (ერთ მუხლში) სიმძიმის მიხედვით დაჯგუფების კრიტერიუმის არარსებობა, ე) ქმედებების სიმძიმის გაუთვალისწინებლად სანქციების დაწესება და ა.შ.

სანქციების პრობლემის გადაწყვეტა სისხლის სამართლის დოგმატიკის ფარგლებში შეუძლებელია. სამწუხაროდ იურისტები შემოიფარგლებიან სასჯელის ლოკალური თემატიკით, რომელიც ზედაპირზეა, ესაა: სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისების მიმოხილვა, სისხლის სამართლებრივი სანქციების გამოყენების პრობლემა საქართველოში, პროპორციულობის პრინციპის გამოყენება

514 The Growth of Incarceration in the United States: Exploring Causes and Consequences. (2011), The National Academies Press (NAP), Washington, p.14–16

515 G. Becker. (1968) Crime and Punishment: An Economic Approach. Journal of Political Economy , 1968, vol. 76

სასჯელის შეფარდების დროს, განსაკუთრებით მძიმე და უფრო მსუბუქი შემთხვევები, როგორც სასჯელის შეფარდების რეგულაცია და მისთ. მოკლედ, ისინი ვერ ხედავენ ამ პოლიტიკის სოციალურ არსს და მთელი ტვირთი გადააქვთ დოგმატიკის კოსმეტიკურ შელამაზებაზე.[516]

სინამდვილეში სანქციების აღნიშნულ მოდელებს მოითხოვს საქართველოში არსებული კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების კანონზომიერება. ამ ისტორიულ პირობებში სახელმწიფოებრივი იძულება ატარებს არაეკონომიკურ ხასიათს. სახელმწიფოებრივი დიქტატი გვევლინება მითვისების არსებით საშუალებად. ამ ეტაპზე სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ასე ვთქვათ, ტოლობის ნიშანი დაისმის. „ნორმისგან" ნებისმიერი გადახრა მიიჩნევა ცალკეული ინდივიდის თვითნებობად. დანაშაულის მიზეზი მხოლოდ მასში ბუდობს. არსებობს მხოლოდ ინდივიდი და სახელმწიფო, ხოლო საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე ფაქტობრივად არ არსებობს.

სავსებით გასაგები ხდება, რომ სისხლის სამართალში დანერგილი სანქციების მოდელი ადეკვატურად შეესატყვისება იმ სისხლის სამართლის პოლიტიკის იდეოლოგიურ დასაბუთებას, რომელიც უნდა აღორძინდეს კაპიტალი თავდაპირველი დაგროვების პირობებში. ამიტომ გასაკვირი არაა ნორმების რეცეფციის მიმართულებაც. როგორც გვიჩვენებს ე.წ. აქტუარული მართლსაჯულების და სხვა ინსტიტუტების ანალიზი, საქართველოს სისხლის სამართლისათვის ჯერჯერობით ღიაა კარი ყველაზე კონსერვატიული კანონებისათვის, რომელიც შემუშავებულია დასავლეთში. მოკლედ, სანქციების დაძლევის გზა უნდა ვეძებოთ არა სისხლის სამართალში, არამედ მის გარეთ – ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში.

6.3.3. ბრალის პრინციპის ჩანაცვლება ე.წ. აქტუარული მართლმსაჯულების პრინციპებით.

არსებულ პირობებში სისლისსამართლებრივი პოლიტიკის განსაზღვრისას ამ საკითხს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მისი გადაწყვეტა მეტად მტკივნეულია იმ ქვეყნებისათვის, სადაც კანონ-

516 სასჯელისადმი ვიწრო იურიდიული მიდგომა კრიტიკულად არის განხილული სისხლის სამართლის სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ნაშრომში „სასჯელი და სოციალური სტრუქტურა", იხ.: G. Rusche, O. Kirchheimer (2003), Punishment and Social Structure, Publisher: Transaction Publishers; Revised edition

მდებლობა თანმიმდევრულად აკმაყოფილებს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების მოთხოვნას. ამ სიტუაციაში განხოცილებეული რეფორმა კმაყოფილდება სასჯელის იმ გარდასახვითი ფორმით, რომელიც ამ პოლიტიკაში ცალმხრივად არის მოცემული. ამის შედეგად სასჯელის პრობლემის გადაწყვეტა არ უკავშირდება მოსახლების კეთილდღეობის დონის ამაღლებას, როგორც სისლისსამართლებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელ ობიექტურ კრიტერიუმს და მთლიანად აიგება შემთხვევით ინდივიდზე. ამის მაგალითია საქართველოში აშშ-ის ნეოლიბერალური მოდელის პრინციპებზე აგებული ე.წ. აქტუარული მართლსაჯულება, რომელიც დაინერგა პატიმრობის კოდექსის პირველ მუხლში 2014 წელს ცვლილების შეტანის საფუძველზე. ამ „ნოვაციის" თანახმად უგულველყოფილია სასამართლოს როლი და მთელი ტვირთი პიროვნების საშიშროებაზეა გადატანილი. აღმასრულებელ ხელისუფლებას (ციხის ადმინისტრაციას) და არა სასამართლოს უფლება ეძლევა დაადგინოს რისკის დონე და შესაბამისად გადაანაწილოს მსჯავრდებულები. და ეს ხდება ქვეყანაში, რომლის კანონდებლობას ყოველთვის ახასიათებდა ევროპული ანუ რომანულ-გერმანული ტრადიცია.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის თქმით ქართულმა მხარემ ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს ციხეებში არსებულ რისკებზე მუშაობის შედეგად სისტემის გაჯანსაღება შეძლო. ასეთი ინსტიტუციონალური რეფორმა საეჭვოა, რადგან ის აიგება მართლსაჯულების ნგრევის საფუძველზე და უფრო ხელს უწყობს ხელისუფალთა თვითნებობის „გაჯანსაღებას". ახალი პენოლოგიის პრობლემების მკვლევართა აზრით, ასეთი ტექნოკრატიული რაციონალიზაცია ხელს უწყობს დაწესებულების იზოლაციას, რომელიც ძნელად ექვემდებარება სოციალურ კონტროლს.[517] უფრო მეტი, პატიმრის შეფასება გადაიქცევა სასჯელაღსრულების სისტემის „ნაყოფიერების" მაჩვენებლად, რომელიც უფრო შეესაბამება ბიურაკრატიულ შესაძლებლობებს და მოთხოვნებს.[518]

სინამდვილეში კანონების ლიბერალიზაცია არ შეიძლება ხორციელდებოდეს მათი სიმკაცრის მოჩვენებითი შემცირებით ან მართლმსაჯულების როლის შეზღუდვით. ჯერ ფ. ლისტი აღნიშნავდა,

517 M. Feeley and J. Simon (1992), The New Penology: Notes on the Emerging Strategy of Corrections and Its Implications, 30 Criminology 449, p. 456.
518 იხ. იქვე, გვ.459.

რომ ყველაზე კარგი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა არის სოციალური პოლიტიკა.[519] კანონდებლობის ლიბერალიზაციის ობიექტური (ეკონომიკური) საფუძველია შიდა ერთიანი პროდუქტის სოციალური ხარჯების გაზრდა და შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. მოხელეთა საყურადღებოდ, სასჯელაღსრულების სისტემის „გაჯანსაღება" აქედან იწყება.

უნდა ავღნიშნოთ, რომ სასჯელის აღსრულების ამ ძველ მოდელს ურყოფენ აშშ-იც. როგორ აღნიშნულია პენიტენციალური პრობლემატიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოკვლევაში, მკვლევართა უმრავლესობა ვერ ადგენს მოვლენათა ერთიან ჯაჭვს, რომელიც თავისუფლების აღკვეთას განაპირობებს. მათ უპირსპირდებიან ის მკვლევარები, რომელთა დასკვნის მიხედვით სასჯელს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა უდევს საფუძვლად.[520]

6.3.4. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განვითარება სოციალური დასაბუთების გარეშე

ეს კანონზომიერება ჩანს იმ ფაქტში, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული რეფორმები არ უკავშირდება ქვეყნის მოსახლეობის კეთიდღეობის ამაღლების საკითხს. ამ დასკვნას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პატიმართა რაოდენობის შემცირების მიზეზთა კვლევისას.

კრიმინოლოგები, სოციოლოგები და ეკონომისტები დღემდე თავს იმტვრევენ იმ საკითხზე, თუ რიგ ქვეყნებში ხანგრძლივი დროის მანძილზე რატომ მატულობს პატიმართა რაოდენობა?[521] ამის ახსნა გაძნელებულია ფაქტორული ანალიზით, რომელიც ბატონობს დანაშაულობის კვლევებში, ანუ იმ განმსჯელობითი აზროვნებით, რომლის შესახებაც ჰეგელი ამრეზით წერდა. გაგების სწორედ ეს ტიპი ვერ ხედავს იმ გლობალურ კანონზომიერებას, რომელიც ზედაპირზე გამოვლინდება.

---

519 Ф. Лист (2008), Задачи уголовной политики. Преступление как социально–патологическое явление, М, Инфра–М.

520 The Growth of Incarceration in the United States: Exploring Causes and Consequences (2014), The National Academies Press (NAP). Washington, D.C., p. 30.

521 იხ. მაგალითად: St. Levitt (2004), Understanding Why Crime ell in the 1990s: our actors that Explain the Decline and Six that Do Not, Journal of Economic Perspective. Volume 18, pp. 163–190; The Growth of Incarceration in the United States. Exploring Causes and Consequences (J.Travis, B. Western, and St.Redburn, Editors). The National Academies Press.Washington, D.C.

ამ დროს დ.დაუნსის და კ. ჰანსენის მიერ მოყვანილი მონაცემებით, იმ ქვეყნებში, სადაც მთლიან შიდა პროდუქტში იზრდება სოციალური ხარჯები მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, შესაბამისად მცირდება პატიმართა კოეფიციენტი (პატიმართა რაოდენობა 10000 კაცზე). ასე, მაგალითად, აშშ პატიმართა კოეფიციენტის მიხედვით პირველ ადგილზეა მსოფლიოში (666 პატიმარი), ხოლო შიდა ერთიანი პროდუქტის სოციალურ ხარჯებზე გამოყოფილი წილის მიხედვით – თითქმის ბოლო ადგილზე (14,6%). შვეიცარიაში სოციალურ ხარჯების პროცენტი ორჯერ მეტია, ვოდრე აშშში (28,1%), და შესაბამისად პატიმართა კოეფიციენტი მცირდება 587 ერთეულით (79 პატიმარი). პატიმართა კოეფიციენტის დონის მიხედვით ეს ქვეყანა მე-13 ადგილზეა. ანალოგიური მდგომარეობაა შვედეთში, სადაც სოციალური ხარჯების პროცენტი აღწევს 31,0%-ს, ხოლო პატიმართა კოეფიციენტი კიდევ უფრო ნაკლებია (60 პატიმარი).[522]

ქვეყანა	ქვეყნის რეიტინგი პატიმართა კოეფიციენტის მიხედვით	პატიმართა კოეფიციენტის (100 ათას ადამიან.)	შიდა პროდუქტის %, რომელიც იხარჯება მოსახლეობის კეთილდღეობაზე
აშშ	1	666	14,6
პორტუგალია	2	146	18,2
ახალი ზელანდია	3	144	21,0

522 D.Downes, K. Hansen. (2006). Welfare and punishment in comparative perspective. In: Armstrong, Sarah and cAra, Lesley, (eds.) Perspectives on Punishment: the Contours of Control. OxfordUniversityPress, Oxford, UK, გვ. 133–154. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პოსტველფარისტულმა (welfare – სოციალური უზრუნველყოფა, ინგ.) თეორიამ უარყო სასჯელის უტილიტარული მიზნების განსაზღვრა და სასჯელის ეფექტურიბის საკითხი დაუკავშირა მოსახლების კეთილდღეობას (იხ.: A. De Giorgi (2006), Re–Thinking the Political Economy of Punishment: Perspectives on Post– ordism and Penal Politics, Publisher: Routledge, p. XII). ამრიგად, სასჯელის მიზანია იმ მართლწესრიგის დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლების კეთილდღეობას. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კავშირი ირღვევა, სასჯელი გვევლინება როგორც ირაციონალური მოვლენა, რომლის ბედი მთლიანად დამოკიდებულია მოხელის თვითნებობაზე.

გერმანია	8	95	26,0
საგრანგეთი	9	92	28,8
შვეიცარია	13	79	28,1
შვედეთი	16	60	31,0

მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებებით შესაძლებელია პატიმართა რიცხვის შემცირება, როგორც ეს საქართველოში ხდება. 2014 წელთან შედარებით პატიმართა რაოდენობა 10372-იდან შემცირდა 9334-მდე, მაშინ, როცა შიდა საერთო პროდუქტი 2012 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ შემცირდა: 6,4% (2012 წ.), 3,4% (2013 წ.), 4,6% (2014 წ.), 2,9% (2015 წ.), 2,7% (2016 წ.). ეს ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოების სილრმეში არსებობს ფარული პირობები, რომლებიც ადრე თუ გვიან ხელს შეუწყობენ გაუცხოების გაზრდას და, შესაბამისად, უბიძგებენ სახელმწიფოს პატიმართა რიცხვის გაზრდისაკენ. ადრე თუ გვიან „ყველა ფარული ბოროტება გამოვა გარეთ" („quidquid mali latebat emergit", სენეკა). აღწერენ რა მსგავს სიტუაციებს მრავალ ქვეყანაში, ჯ. ფაგანი და თ. მერსი ასკვნიან: „სასჯელი ჰყვავის სოციალური კონტროლისაგან დამოუკიდებლად იმ სუსტი სახელმწიფოს პოლიტიკურ კონტექსტში, რომელიც არ იღებს მონაწილეობას სხვა სოციალურ ფუნქციებში"[523]

მართლსაჯულების იდეოლოგიის და პოლიტიკის ტენდენციების ანალიზი არ ამოიწურება მარტო მოყვანილი ფაქტებით. მაგრამ უკვე მათი კვლევით ჩანს, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა ნელ ნელა სცილდება „ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების პირველი და უკანასკნელი სურვილის განხორციელებას" (ილია ჭავჭავაძე), რადგან იზრდება „უმაღლესი სიცუდე ფარისევლობისა" (წმინდა გაბრიელი ეპისკოპოსი) არაფრისმომცემ კანონთა, სხვადასხვა უწყებათა აქტების რაოდენობისა და მუდმივი ინსტიტუციონალური რეფორმების სახით.

6.3.5. პატიმართა რაოდენობის დეტერმინაციის პრობლემისათვის

პატიმართა რაოდენობის დეტერმინაცია არის ურთულესი პროცესი, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერებისა და და-

523 J. aganand, T. eares (2008), Punishment, Deterrence and Social Control: The Paradox of Punishment in inority Communities, aculty Scholarship Series., p. 229

ნაშაულობის შემცირების პრაქტიკის ერთერთ სადავო და გაურკვეველ საკითხს. მისი გადაწყვეტის სიძნელე დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკის ზეგავლენით წარმოშობილ სახელმწიფო იძულების მეტამოფოზასთან.

საზოგადოების ზედაპირზე ჩანს, რომ პატიმართა რიცხვის მერყეობა დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ სასჯელის გამოყენების სიხშირისაგან. თავის მხრივ, სასჯელის, როგორც სახლმწიფო რეაქციის ფორმის, გამოყენება დაკავშირებულია დანაშაულობის მერყეობასთან. მოხელე და, მაშასდემე ანალოგიურად მოაზროვნე თეორეტიკოსიც აქ მხოლოდ იმას ხედავს, რომ პატიმართა მერყეობაზე ზეგავლენას ახდენს სადამსჯელო პოლოტიკა, რომლის ამოქმედების საბაბია დანაშაულობა. ეს თეორიული შეხედულება პრაქტიკულ ფაქტს გამოხატავს. სასჯელის აღსრულება ვრცელდება იმ პირებზე ვის მიმართ არის გამოყენებული სასჯელი, ხოლო ეს ზომა დაკავშირებულია პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთან. ამრიგად სახელმწიფო პოლიტიკის საზღვრებში მოხელისათვის უდავოა, რომ პატიმართა რაოდენობა დამოკიდებულია დანაშაულობაზე სახელმწიფო რეაგირების დონისგან.

მაგრამ ის ვერ ხედავს, რონ საზოგადოების სიღრმეში ძევს ისეთი პროცესი, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკას წარმოაჩენს როგორც ვირტუალურ სამყაროს. მოხელეთათვის გაუგებარია, პატიმართა რაოდენობის მერყეობა რატომ არაა დამოკიდებული დანაშაულობის ევოლუციის კანონზომიერებისაგან და, რაც მთავარია, სახელმწიფო პოლიტიკის „აქტივობისაგან". ამიტომ აკადემიური მეცნიერების ამოცანაა გავერკვიოთ შემდეგ კითხვაში: სინამდვილეში როგორ არის წარმოდგენილი პატიმართა რიცხვის მერყეობის დეტერმინაციის პროცესი?

კანონზომიერება, რომელიც ამსხვრევს სასჯელზე ეტატისტურ წარმოდგენებს. ყველა იურისტისითვის ცნობილია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. ეს ცოდნა გამყარებულია საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის მიერ. მაგრამ, თუ ამ საყოველთაოდ ცნობილ დებულებას ჩვენ განვიხილავთ უფრო გლბალურ დონეზე, მივიღებთ საპირისპირო სურათს.[524]

---

524 იხ.: S. Cameron (1988), The Economics of Crime Deterrence: A Survey of Theory and Evidence, 41 Kyklos, 301–323; H. Albrecht (2013). Sentencing in Germany – Explaining Long Term Stability in the Structure of Criminal Sanctions and Sentencing, Law and Contemporary Problems, p. 211–236, ets.

მრავალ ქვეყანაში ხანგრძლივი პერიოდის დანაშაულობის კანონზომიერება ავლენს საოცარ ფაქტს: საზოგადოებაში შეინიშნება დანაშაულთა რიცხვისა და პატიმრობაში მყოფთა რაოდენობის ერთურთისაგან დამოუკიდებელი განვითარება. ამდენად, გამოდის, რომ სრულდება ის პირობა, რომელიც უხილავია დანაშაულობისადმი სახელმწიფოს მიმართებაში, კერძოდ აუცილებელი კავშირის არსებობის პირობა იმ მოვლენებს შორის, რომლებიც არ წარმოადგენენ არც დანაშაულს, არც სასჯელს, თუმცა კი სწორედ ამ იურიდიული ფორმებით არსებობენ. მაშასადამე, თუ დანაშაულობა მერყეობს პატიმართა რაოდენობისდა მიუხედავად, მაშინ გამოდის, რომ არ არსებობს რაიმე მზეზობრივი კავშირი მათ შორის.[525] გამოდის, რომ სახელმწიფო სადამსჯელო რეაქციას დანაშაულობაზე მიმართავს დანაშაულობისაგან დამოუკიდებლად. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც ნებისმიერ იურისტს გააკვირვებდა. აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში დანაშაული არ არის სასხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, ხოლო ეს უკანასკნელი, საეჭვოა, რომ შეეძლოს წარმოსდგეს სახელმწიფოს საპასუხო რეაქციად, რომელიც, როგორც ეჩვენება იურისტს, უნდა იყოს განპირობებული სწორედ დანაშაულის ფაქტით. ამიტომ პატიმართა და დანაშაულობის კოეფიციენტების კორელაციის არარსებობის ანალიზისის შედეგად გერმანელი მეცნიერი ჰ. ალბრეხტი ასკვნის, რომ სასჯელი დანაშაულით არ აიხსნება.[526]

ერთურთისაგან დამოუკიდებელი განვითარების პროცესში „დანაშაულიც“ და „სასჯელიც“, თუკი ჰეგელს მივყვებით, აღმოჩნდებიან „გარეგა ნფორმებად“ იმ „არსებობისა, რომელსაც ისინი ფლობენ“, მაგრამ რომელიც არ ჩანს სამართლებრივ პოლიტიკაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს სამართლებრივი კატეგორიები ირაციონალური კატეგორიები აღმოჩნდება, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკაში გარდასახვით ხასიათზე მიანიშნებენ. აქედან გამომდინარეობს, რომ პატიმართა ზრდის ან შენცირების კანონზომიერება არსებითად ვერ განაპირობებს ნებისმიერ ინსტიტუციონალურ რეფორმას. სისხლის

525 დეტალურად ეს კანონზომიერება აღწერილია ნაშრომში: Travis J. Western, S. Redburn (2014). The Growth of Incarceration in the United States, Exploring Causes and Consequences. Committee on Causes and Consequences of High Rates of Incarceration. Washington, D.C. 2014, p.47

526 იხ.: H. Albrecht (2013). Sentencing in Germany – Explaining Long Term Stability in the Structure of Criminal Sanctions and Sentencing, Law and Contemporary Problems, p. 211–236

სამართლის დოგმატიკის ლოგიკური წინააღმდეგობების აღმოჩენა, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, სააღსრულებო ინსტიტუტების შეცვლა და ა.შ. წარმოადგენენ წყალში ჩაყრილ მცდელობას, კოსმეტიკურ შელამაზებას, თუ ჩვენთვის არაა ცნობილი ის, რაც მოძრაობს პატიმართა მერყეობაში, ის რაც გვევლინება პატიმართა რაოდენობის ცვლილებების სახით.

ცხოვრების მიერ პრობლემა დასმულია. ამასთან ერთად ნაწილობრივ ნათელი ხდება, რომ მისი გადაწყვეტა სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში შეუძლებელია. ეს არის ირაციონალური სიდიდეების სამყარო. ამ სამყაროს მახეში გაბმული აზროვნებისათვის სასჯელის რეალური ბუნება ყოველთვის აუხსნელი რჩება. ამასთან დაკავშირებით ნეოინსტიციონალისტი ჯ. სატტონი იძულებულია აღიაროს, რომ სხვადასხვა მიზეზ-შედეგობრივი მოდელები (ზედაპირზე დანახული ემპირიული კავშირები – გ.თ.) ვერ ქმნიან სასჯელის ახსნის თეორიულ პარადიგმას.[527]

აღნიშნული პრობლემა შეიძლება გადაწყდეს, თუ ჩვენ განვიხილავთ სადამსჯელო პოლიტიკის წინაპირობებს კაპიტალის დაგროვების კანონზომიერების კვლევის საფუძველზე.

6.4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა კრიმინოლოგიის თვალსაზრისით [528]

6.4.1. კატეგორია „დანაშაული", როგორც სახელმწიფოს რეაქციის ნაწილი

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანი. სისხლის სამართლის ყველა წყაროში მიაჩნიათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებით იქმნება გაუცხოების მოხსნის საფუძველი – დანაშაულებრივ ხელყოფათა აღსაკვეთად და მართლწესრიგის დასაცავად (საქართველოს, აზერბაიჯანის და სხვათა სსკ), მოქალაქეთა აღსაზრდელად კანონმდებლობის დაცვის

527 J. Sutton (2000), Imprisonment and Social Classification in ive Common–Law Democracies, 1955–1985, AJS Volume 106 Number 2 (September), UniversityofCalifornia, SantaBarbara, პ. 350

528 აღნიშნული თემა განხილულია ნაშრომში: გ.თოდრია (2012), სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა რადიკალური კრიმინოლოგიის თვალსაზრისით – საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., „სამართალი", გვ. 567–577

სულისკვეთებით (ბელორუსიის სსკ), ყველა დანაშაულებრივი ხელყოფის აღსაკვეთად (ლაოსის, პერუს, თურქეთის, ეთიოპიის, ვიეტნამის, ნიუ–იორკის შტატის სსკ), სახელმწიფო სუვერენიტეტისა და სოციალისტური წყობილების დასაცავად, აგრეთე მოქალაქეთა დამოუკიდებელი და შემოქმედებითი ცხოვრების უზრუნველსაყოფად (კსდრ-ის სსკ), საზოგადოების, პიროვნების, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების, აგრეთვე სახელმწიფო წყობის დასაცავად (კუბის სსკ), ადამიანის და სხვა ფუძემდებლურ სოციალურ ფასეულობათა დაცვა (სერბიის, პანამის სსკ) და ა. შ. ამავე დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების კატეგორიას არანაირი დამოკიდებულება არ აქვს გაუცხოების მოხსნასთან, რამეთუ დანაშაულის კონსტრუქციაში თვით გაუცხოება არ ჩანს. წინამდებარე თავში ჩვენ ამ პრობლემის გადაწყვეტა მოგვიწევს.

კატეგორია „დანაშაული" წარმოგვიდგება, როგორც სახელმწიფოს რეაქციის ნაწილი, რომელიც გამოიხატება პირის მიმართ სასჯელის გამოტანასა და მის მიმართ სისხლის სამართლის ხასიათის ზომების მიღებაში. სისხლისსამართლებრივი რეაქცია, როგორც სახელმწიფო იძულების ნაირსახეობა, სამართლის მიერ განიხილება, როგორც პროცესი, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ აღმოფხვრას სამართლებრივ სისტემაში წარმოშობილი ანომალიები, არამართლზომიერი სიტუაციის შემთხვევებში მოიყვანოს ის ნორმალურ მდგომარეობაში, ზემოქმედება მოახდინოს მართლწესრიგის დამრღვევ პირებზე. საკითხის ასე დაყენებისას სახელმწიფო იძულება განიხილება, როგორც გაუცხოების მოხსნის გარკვეული ხერხი, სოლო ქმედების დანაშაულებრივად დახასიათება – როგორც ამ ხერხის ელემენტი.

გაუცხოების მოხსნა სისხლის სამართლის სამართებრივ ურთიერთობაში გამოითვლება განსაკუთრებული ფორმულის მიხედვით. კერძოდ, გაუცხოების იურიდიული გაგების მოთხოვნილება წარმოიშობა მაშინ, როცა იგი უკავშირდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების გადაწყვეტის ამოცანას, ე. ი. როცა გაუცხოების სუბიექტად განისაზღვრება კონკრეტული ინდივიდი. სწორედ ამ კუთხით ჩანს საგანგებოდ აგებული სამყარო. ყველა მრავალრიცხოვან ქმედებათაგან კრიმინალისტს ხომ მხოლოდ ის ქმედება აინტერესებს, რომელიც, კანონის შესაბამისად, ასაბუთებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან გავლენას ახდენს ამ პასუხისმგებლობის ზომაზე.

მოცემული დოგმატიკის ფარგლებში სწორედ სამართლის ნორმაშია აღწერილი ქმედების ნიშნები, რომლებიც მოქმედებათა მთელი ნაირსახეობისათვის ასრულებენ ერთნაირი საზომის როლს. ამიტომ ნორმატიულად აღწერილი ქმედება იურისტისათვის ყოველთვის არის ობიექტური სიდიდე, რომელიც ერთნაირად არაა დამოკიდებული კონკრეტული მოღვაწის პერსონალურ შესაძლებლობებზე.

თუ სიმბოლურად წარვადგენთ ოურიდიულ პროცედურას, მაშინ დანაშაულის არსი შეიძლება წარმოვიდგინოთ ორ შემადგენლად: ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლებად.

პირველ შემთხვევაში, ე. ი. მოზეზობრივი კავშირის შესწავლისას კრიმინალისტი ინტერესდება ნებელობითი აქტით, როგორც მიზეზობრივი ფაქტორით, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ობიექტური გარე საყაროს მოვლენათა მსვლელობაზე, მიზეზობრივი კავშირით პირის ნებელობით საქციელსა და დამდგარ შედეგს შორის. ამ კუთხით იურისტს მიაჩნია, რომ იგი ასახავს ობიექტურ პროცესს, რომელიც არსებობს მისგან დამოუკიდებლად, რადგან მას აინტერესებს დანაშაულის აღმსრულებლის შესაძლებლობა განეჭვრიტა მისი ქმედების დანაშაულებრივი შედეგი.

ყველა შემთხვევაში იურისტს აინტერესებს ამ გარეშე პროცესის ასახვა პირის ცნობიერებაში. აქ საკითხი დგება შემდეგნაირად: ჰქონდა თუ არა პირს განჭვრეტილი თავისი საქმიანობის მავნე შედეგი ან ჰქონდა თუ არა მას შესაძლებლობა განეჭვრიტა ეს შედეგი და ა. შ. ამიტომ მას აინტერესებს ნებელობითი აქტის შინაარსი, ე.ი. კანონით გათვალისწინებული წარმოდგენები და ემოციები, რომლებიც თან ახლდა ამსრულებლის ნებელობის გამოვლენას.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ იურიდიულ პრაქტიკაში გაუცხოების მოხსნის პროცესი გაიგივებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთების პროცედურასთან, ხოლო ეს უკანასკნელი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

მიზეზი (კანონში აღწერილი ინდივიდის „ზეწოლა" საზოგადოებაზე მართლსაწინააღმდეგო აქტის ფორმით და არა საზოგადოების რეალური ზეწოლა ინდივიდზე).

მიზეზობრივი კავშირი (სქემის „საზოგადოება როგორც მიზეზი – ინდივიდი როგორც შედეგი" მაგივრად გამოიყოფა სქემა – „ინდივიდი როგორც მიზეზი – საზოგადოება როგორც შედეგი").

შედეგი (დამდგარი შედეგი, რომელიც განიჭვრიტება ან უნდა განიჭვრიტოს ინდივიდის მიერ, და არა ის შედეგი, რომელიც მისი

გაუცხოების გამო მან არ განჭვრიტა, ან უკიდურეს შემთხვევაში, არ შეეძლო განეჭვრიტა).

6.4.2. დანაშაულის არსი საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით და სახელმწიფოს თვალსაზრისით სხვადასხვა სიდიდეებია.

ჩვეულებრივ დანაშაულის არსის სახით წარმოგვიდგება ინდივიდის მცდელობა მოხსნას საზოგადოების მხრიდან მისადმი გაუცხოებული დამოკიდებულება. აქ ინდივიდი წარმოგვიდგება საზოგადოების მხრიდან გაუცხოებული დაპირისპირების, საზოგადოებისაგან მისი განმაცალკევებელი პროცესის ობიექტად. ამიტომ დანაშაული უხეში, ინდივიდუალურად ნაწვალები ფორმით წარმოგვიდგება გაუცხოების მოხსნის მცდელობად. მაშასადამე, დამნაშავე პირის აქტი არ უნდა განეკუთვნოს მიზეზის სფეროს. მაგრამ სახელმწიფოს თვალსაზრისით, სიცოცხლის ეს მოწოდება სხვანაირად ისმის.

იმისათვის, რომ ამოქმედდეს სახელმწიფო იძულება, ინდივიდი უნდა წარდგეს სახელმწიფოს წინაშე არა როგორც პირი, რომელიც ისწრაფვის შეაკავოს საზოგადოების დაშორება მისგან, არა როგორც გაუცხოებული, არამედ როგორც გაუცხოების გამომწვევი ფაქტორი. ამიტომ დანაშაულის ნამდვილი კაუზალური არსის სახით იურისტს ესახება კანონის ნორმით გათვალისწინებული დამნაშავე პირის ქმედება. იურისტისათვის დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირი იგივეა, რაც პირის გამაუცხოებელ საზოგადოებასთან დაპირისპირებული პირი. რადგანაც აქ „დანაშაულის სისტემაში" ჩვენ საქმე გვაქვს დანაშაულის შემსრულებელთან, როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ელემენტთან, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველთან, მაშასადამე, სამართლებრივ ურთიერთობაში დანაშაულის არსის ნამდვილ განმსაზღვრელად გვევლინება არა მრავალი ათასის მისწრაფება მოხსნან სოციალური გაუცხოება, არამედ სახელმწიფო რეაქცია ასეთი მოხსნის მცდელობაზე.

ამრიგად, გაუცხოებული პირის გადაქცევა დამნაშავე პირად წარმოადგენს სახელმწიფო იძულების ტიპიურ გამოხატულებას. ამიტომ სახელმწიფოსათვის გაუცხოების მოხსნა იზომება კანონმორჩილებით, კანონდარღვევების შემცირებით, უბრალოდ რომ ვთქვათ, გაუცხოებულთა რიგებში დაბრუნებით. მაშინ რიდესაც საზოგადოების ბუნებრივი განვითარებისათვის გაუცხოების მოხსნა იზომება ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, ადამიანების

გაუცხოების, საზოგადოების ინდივიდებთან როგორც უცხო ძალასთან დაპირისპირების შემცირებით. ამ დებულებას კრიმინოლოგიაში უკავია ცენტრალური ადგილი, რადგან მის საფუძველზე წყდება საკითხი დანაშაულობის გაზომვის შესახებ: დანაშაულობას ამცირების მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების პროცესი და არა კანონისადმი დამოკიდებულება. ამ საკითხში კანონმდებლობის ან ლოკალური სოციალური პროგრამის რეფორმა უსუსურია და უმიზნო, თუ უგულველყოფილია მოსახლების ცხოვრების დონის პრობლემატიკა.

გზადაგზა გამოვთქვამთ შემდეგ აზრს. სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანია ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთა და მართლწესრიგის დაცვა. ამ პუნქტში ყველაზე უკეთესად ვლინდება სახელმწიფო იძულების ორმაგი ბუნება. როგორც საკუთრების დაგროვების ფაქტორი, სახელმწფო მონაწილეობს გაუცხოებაში, სტიმულს აძლევს წესრიგისადმი უცხო დამოკიდებულებას. ხოლო როგორც სადამსჯელო მექანიზმი, ის ცდილობს დაუბრუნოს განუკითხაობისათვის განწირული ინდივიდები იმ სამართლებრივ წესრიგს, რომელიც გახდა მათი გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზი. და მას არ ძალუძს თავი დააღწიოს ამ წინააღმდეგობას. ამ პრობლემის გადაწყვეტად ერთადერთ გზას წარმოადგენს არა იმ დებულების უარყოფა, რომ სწორედ კონკრეტული ინდივიდი არის მართლწესრიგისადმი გაუცხოებული დამოკიდებულების ავტორი, არამედ მოცემული დებულების ფორმის შეცვლა. და ეს ეშმაკური სვლა მიიღწევა ან ნორმის შეცვლის გზით (დეკრიმინილიზაციის შემთხვევაში კანონი უარს ამბობს ზოგიერთ ქმედებაზე და ასე იშორებს თავიდან დანაშავეთა გარკვეულ კონტინგენტს, ან დამნაშავეთა განადგურების გზით (ტოტალიტალური რეჟიმების რეპრესიულ პირობებში).

მოვიხმოთ სპეკულაციის ნორმაზე უარის თქმის მაგალითი, რომლის მოთხოვნილებაც წარმოიშვა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში. აღნიშნულ პერიოდში იმ დარგების განვითარებამ, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ მომარაგების საგნების წარმოებაში, შეზღუდა მოსახლეობის მსყიდველობითი შესაძლებლობები. შესამჩნევი გახდა კვლავწარმოების ნეგატიური პროცესები. განსაკუთრებით გავრცელდა მყიდველთა მოტყუების ფაქტები. რეგისტრირებული სპეკულაციის ზრდის პირობებში მცირდებოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა რიცხვი, იზრდებოდა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულ დამნაშავეთა

რაოდენობა. პასუხისგებას ექვემდებარებოდა შემთხვევათა მხოლოდ 12–15%.[529]

დამნაშავეთა განადგურების ყველაზე ცხადი მაგალითია გასული საუკუნის 30-იანი წლების ტრაგედია. როგორც ცნობილია, 30-იან წლებში ინდუსტრიული განვითარების მიზნით გლეხობას ძალით ართმევდნენ პურს. სოფლის მცხოვრებლები იძულებული იყვნენ თავი აერიდებინათ საკოლმეურნეო შრომისათვის, სხვაგან ეძებდნენ სამუშაოს; დამშეული სოფლელები ღამღამობით მინდვრიდან, ბეღლებიდან იპარავდნენ პურს. ბევრგან აღინიშნებოდა მასობრივი გამოსვლები. 1932 წლის დასაწყისში მიღებული იქნა კანონი სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას – დახვრეტას. ამის შედეგად მხოლოდ 1933 წლის დასაწყისში მსჯავრდებული იქნა 54645 კაცი, რომელთაგან 2110 დახვრიტეს.[530] სახელმწიფო იძულება, რომელიც აგებულია „დანაშაულის" კატეგორიაზე, არ წარმოადგენს გაუცხოების მოხსნის ხერხს, რადგანაც დანაშაულის კატეგორიას არავითარი დამოკიდებულება არ გააჩნია გაუცხოების წარმოქმნასთან. იმისათვის, რომ ინდივიდმა ჩაიდინოს დანაშაული. ე. ი. გამოვიდეს საზოგადოების წინააღმდეგ, იგი გაუცხოებული უნდა იქნას თვითონ საზოგადოების მიერ.

რამეთუ ინდივიდი დამნაშავეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობები, რომლებსაც ის ხელყოფს, ნორმატიულად უნდა იყოს შემოფარგლული, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული, როგორც ხელყოფის ობიექტი. მაშასადამე, ინდივიდის გაუცხოება დაკავშირებულია არა კონკრეტული ინდივიდის რეალობასთან, არამედ თვით სახელმწიფო იძულების რეალობასთან. თავიდანვე საზოგდოებრივი ურთიერთობები შემოფარგლულია სამართლებრივი ფორმით. ამიტომ სახელმწიფო გამოდის როგორც დამოკიდებულება საკუთარ თავთან, როგორც დამოკიდებულება, სადაც იგი არ ჩანს, როგორც სახელისუფლო ფორმა, რომლითაც მოცულია რეალური გაუცხოება. ამრიგად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პროცესში ნამდვილი სუბიექტია პროცესი, რომელიც ინდივიდს აშორებს საზოგადოებას და იქცევა ხელყოფის ობიექ-

529 ნ. კუზნეცოვა (1977), სისხლის სამართლის კანონის სოციალური განპირობებულობა, სამართლებრივი კვლევები, თბ., „მეცნიერება", გვ. 43.

530 В.П. Данилов (1988), Коллективизация: как это было, Страницы истории КПСС: Факты. Проблемы. Уроки. М., с.246

ტად, ხოლო ინდივიდი, როგორც გაუცხოების ობიექტი, იქცევა გასხვისების სუბიექტად (დანაშაულის შემსრულებლად). მაშასადამე, გამაუცხოებელი ურთიერთობების სუბიექტის ობიექტად გადაქცევას საფუძვლად უდევს სახელმწიფოს როგორც გაუცხოების ხერხის ფუნქციონირება. იურიდიულ პრაქტიკაში ხორციელდება სუბიექტისა და ობიექტის აღრევა, რადგან ნამდვილი მიზეზი იქცევა შედეგად.

ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობათა კონსტატაციით არ წყდება ორი მნიშვნელოვანი კაუზალური პრობლემა:

- ასრულებდნენ თუ არა ნორმატიულად აღწერილი ხელყოფის ობიექტის წარმომქმნელი ობიექტური ურთიერთობები ინდივიდის გაუცხოების მიზეზის როლს?
  ხომ არ გამოდიოდა სახელმწიფო ინდივიდის საზოგადოებისაგან განკერძოების სახელისუფლო ფორმის როლში, რომელიც (განკერძოება) დანაშაულის ფორმით წარმოდგენილია ბრალდების წინაპირობის სახით?

შემდგომმა ანალიზმა უნდა აჩვენოს, რომ „დანაშაულის" არსი – გაუცხოების მოხსნა ღებულობს დანაშაულის კატეგორიის, როგორც სახელმწიფო რეაქციის – გაუცხოების მოხსნის მისტიფიცირებული ფორმის ცრუ სახეს.

სისხლისსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულია სწორედ ის ქმედება, რომელიც აყენებს ან შეუძლია მიაყენოს არსებითი ზიანი სისხლის სამართლის კანონით დაცულ ურთიერთობებს, მაშასადამე, დანაშაულის არსის ეს შემადგენელი მდგომარეობს იმაში, რომ აქ ქმედება გამოდის, როგორც გაუცხოების სახეობა, ხოლო ურთიერთობები, რომელთაც ის ხელყოფს, როგორც დანაშაულის ობიექტი. სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინება ჩადენილის მხოლოდ ეს ხასიათი.

სინამდვილეში დანაშაული უხეშ, ინდივიდეალურად განცდილი აქტით გამოდის მისკენ მიმართული გაუცხოების პროცესების მოხსნის ფორმის სახით. ხელყოფის რეალურ ობიექტად გამოდის მისი სიცოცხლე, მისი არსებობა. „ქმედების შემადგენლობაში" არ ჩანს ინდივიდის რეალური მდგომარეობა – გამაუცხოებელი საზოგადოება, მაგრამ ჩანს ამ მდგომარეობიდან გამოსავალი, რომელიც სახელდებულია, როგორც კანონით აკრძალული ქმედება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც გაუცხოების მოხსნა სწორედ იმიტომ, რომ დანაშაული არ განიხილება როგორც გაუცხოების მოხსნის მცდელობა. პირიქით,

ქმედება ცხადდება „კანონით გათვალისწინებულად“ სწორედ იმიტომ, რომ აღიარებულია, როგორც გაუცხოების სახეობა.

დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით ქმედება, როგორც ათვლის წერტილი, შეიძლება იქნას აღიარებული მხოლოდ ქმედებისა და შედეგისადმი შესაბამისი უარყოფითი ფსიქიკური დამოკიდებულების შემთხვევაში. საგამომძიებო-სასამართლო პრაქტიკაში ინდივიდი არ განიხილება, როგორც მსხვერპლი, როგორც გამაუცხოებელ ურთიერთობათა ობიექტი, არამედ წარმოადგენს ამ ურთიერთობის ელემენტს. ამიტომ გაუცხოებისადმი დამოკიდებულების ნაცვლად აქ ჩანს ქმედება, რომლითაც პირმა თავად გამოიწვია გაუცხოება. რატომ ჰქონდა ადგილი სოციალური გაუცხოებიდან თავის დახწევის მცდელობას? – კითხვა, რომელიც ეწინააღმდეგება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის პრობლემის გადაწყვეტას.

დანაშაულში საზოგადოება და ინდივიდი წარმოდგენილი არიან იმ კონსრუქციის ელემენტებად, რომლებიც ასაბუთებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. სახელმწიფო იძულების გამოყენების სწორედ ამ პუნქტში ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს სოციალური ცხოვრების ცოცხალი რეალობის მთელი მისტიფიკაცია.

„კანონით გათვალისწინებულობაში“ საზოგადოება გაიგივებულია სახელმწიფოსთან და გაუცხოების როლის შემსრულებელი ურთიერთობები იღებენ დანაშაულის ობიექტის ფორმას. ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში ინდივიდი გაუცხოებულის ნაცვლად განიხილება, როგორც გამაუცხოებელი პირი. ქმედების ობიექტური შემადგენლობა ავლენს ამორფულ საზოგადოებას, რომელიც მოკლებულია ინდივიდების რეალურ ცხოვრებას, ხოლო ქმედების სუბიექტური შემადგენლობა – ამორფულ ინდივიდს, რომელიც მოკლებულია რაიმე კავშირს საზოგადოებასთან. საზოგადოება და მისი წევრი არიან გახლეჩილი და მხოლოდ ამით ვლინდება იძულების ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტთა, გაუცხოების რეალურად მოხსნის მისტიფიცირებელი ფორმების „მსგასება“.

განსხვავება დანაშაულთა შორის, როგორც გაუცხოების მოხსნის ფორმასა და როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს შორის, შეიმჩნევა კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. ეს განსხვავება მარადიულია. მაგრამ თუ ცივილიზაციის განვითარების უფრო ადრინდელ ეტაპებზე დანაშაული, როგორც გაუცხოების ფორმა, განიხილებოდა მხოლოდ როგორც დანაშაუ-

ლის გაგების იმ ჩარჩოებში, რაც მას მიიჩნევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად. თანამედროვე საზოგადოებაში კი ეს ვირტუალური სამყარო თანდათანობით იხსნის ამ საბურველს – დანაშაულის, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის გაგება ხდება დანაშაულის, როგორც გაუცხოების ფორმის გაგებისაგან ნაწარმოები. ამრიგად, ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე როგორც საზოგადოებაში, ისე ჩვენ მსოფლგაგებაში დანაშაულის ეს ორი წინააღმდეგობრივი თვისება თანდათანობით ახდენენ ეართმანეთთან ადგილების გაცვლას. მაშასადამე, ძლიერდება აზრი, რომ სისხლის სამართლის კვლევის საგანს წარმოადგენს „შემთხვევითი" მოვლენა, რომ ცოდნის ეს დარგი ეხება ცხოვრების მხოლოდ ზედაპირულ ფორმებს.

6.4.3. დასაბუთება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის ინსტიტუტში დანაშაული არ ჩანს, როგორც გაუცხოების მოხსნის ხერხი

გაუცხოების მოხსნის ხერხი ჩანს, როგორც გაუცხოების ხერხი. ამ თეზისის დასამტკიცებლად გამოვიკვლიოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის ელემენტები.

პირველ რიგში, განვიხილოთ ქმედების ობიექტური შემადგენლობა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის ფორმულის გასაანგარიშებლად ათვლის წერტილად, პირველ რიგში, გამოდის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ქმედება ზუსტად უნდა იყოს აღწერილი კანონში. თუ ქმედება არაა აღწერილი კანონში, იგი არ წარმოადგენს იურისტის ინტერესის საგანს. რა თქმა უნდა, იურისტი არ კმაყოფილდება ქმედების ობიექტური შემადგენლობის კონსტატაციით, თუ არაა დადგენილი ქმედების სუბიექტური შემადგენლობა. მაგრამ ყველა შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა იქნას დადგენილი ქმედების ობიექტური შემადგენლობა. მაშასადამე, როგორც იურისტს მიაჩნია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის წარმოქმნის „ფაქტორად" გამოდის სინამდვილის სწორედ კანონით აღწერილი ჭრილი. სწორედ ამ ასპექტში არსებობს მისთვის „ობიექტურობის" ცნება. კანონის ყოველგვარი ცვლილება აუცილებლად აისახება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის რყევებზე. დეკრიმინალიზაციის რთულ პროცესებს შეუძლია წარმოშვას იურიდიული შედეგი – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ან სასჯელის ვადის შემცირება.

თავის მხრვ ახალი ნორმების გაჩენა ნიშნავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ახალი საფუძვლების გაჩენას. ამრიგად, საგამოძებო-სასამართლო საქმიანობაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის, ე. ი. იძულების საფუძვლის როლში გამოდის სწორედ კანონით აღწერილი ქმედება.

ქმედების შემადგენლობის ობიექტური ელემენტით ოპერირებისას შეუძლებელია იმის დამტკიცება, თუ რა ქმნის სისხლის სამართლს პასუხისმგებლობის რეალურ საფუძველს. აქ არ ჩანს სახელმწიფო მისი რეალური სახით. ქმედება ხდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის (ქმედების ობიექტური მხარის) ელემენტი სწორედ იმიტომ, რომ იგი აღწერილია კანონით. ამასთან, ქმედება უკვე თავიდანვე უნდა იქნას გაგებული, როგორც რაღაც დაპირისპირება სახელმწიფოსთან, მოკლედ რომ ვთქვათ, გაუცხოების მოხსნის ყველა მცდელობათაგან ხდება მხოლოდ იმ ნიშნების შერჩევა, რომლებიც ასახავენ გაუცხოების მოხსნის აქტს, როგორც სწორედ გაუცხოების ხერხს. ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში ჩანს ობიექტური სამყაროს სწორედ ეს ჭრილი. ამრიგად, დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში თავიდანვე იგულისხმება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არა ნამდვილი საფუძველი – სახელმწიფო, როგორც გაუცხოების ხერხი, არამედ მოჩვენებითი საფუძველი – ქმედება, რომელიც კანონით გათვალისწინებულია დანაშაულის იბიექტური მხარის ელემენტის სახით. სხვათა შორის, დანაშულის კვალიფიკაციის (ანუ სუბსუმციის) მთელი ლოგიკური პროცესი სწორედ აქეთაა მიმართული. ასე მუშაობს საგამოძიებო-სასამართლო სისტემა და ასე ასწავლიან სამართლიანობის მომავალ მცველებს.

კანონის მიღება, რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ არჩეული იქნება გარკვეული ქმედებები, რომელთა ნიშნები აღწერილია კანონში. მაგრამ იმ ფაქტში, რომ სახემწიფო ასრულებს საკუთრების დაგროვების ხერხის როლს და სწორედ ის მონაწილეობს ადამიანთა გაუცხოებაში, რომ სწორედ სახელმწიფო (როგორც კაპიტალის დაგროვების ხერხი) უბიძგებს ადამიანებს ქურდობისაკენ და ა.შ. დანაშაულის კატეგორიაში არ ჩანს. ამრიგად, არ ჩანს ადამიანთა იძულების ნამდვილი საფუძველი. პირიქით, როგორც კი ინდივიდები იწყებენ დაპირისპირებას სწორედ ამ რეალურ საფუძველთან, ძალაში შედის მოჩვენებითი საფუძვლის ინსტიტუტი. ქმედება ხდება ობიექტური ფენომენი, როგორც სამართალსანინააღმდეგო ქმედე-

ბა. ამრიგად, ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მუდმივი „აღწარმოება“, რომელიც უკვე ჩანასახშივე გვთავაზობს შემთხვევევით ინდივიდს, როგორც გაუცხოების სუბიექტს, თვით სახელმწიფოს კი – როგორც გაუცხოების ობიექტს. ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში ჩვენ ვერ ვიპოვით პასუხს კითხვაზე – რატომ უნდა გამოვიდეს ინდივიდის ქმედება სწირედ ასე და არა სხვანაირად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის როლში. ნორმაში მოცემულია ობიექტური სამყაროს მზა ჭრილი, რომელიც გაქვავდა – იცვლება მხოლოდ ქმედებათა სამყარო.

განვიხილოთ ქმედების სუბიექტური შემადგენლობა. პირის განზრახვა, მიზანი და მოტივი განსაზღვრავენ ინდივიდის დამოკიდებულებას სინამდვილის ჭრილისადმი, რომელიც თავიდანვეა მოხაზული სახელმწიფოს მიერ. აქ შემოთავაზებულია გავარკვიოთ ინდივიდის დამოკიდებულება საკუთრი მოქმედებისა და მისი შედეგისადმი. მან უნდა შეიგნოს თავისი მოქმედების სამართალსაწინააღმდეგო ხასიათი, განჭვრიტოს შედეგის დადგომის შესაძლებლობა ან გრდაუვალობა და ა. შ. ამ ვირტუალურ სამყაროში იურისტისათვის გასაგებია, რომ სასჯელის ზომის გაზრდა ან შემცირება „ობიექტური“ საზომის – კანონის ფარგლებში დამოკიდებულია სწორედ ინდივიდის დამოკიდებულების რყევებზე. ამრიგად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა კიდევ უფრო მეტად არწმუნებს კრიმინალისტს იმაში, რომ მის მიერ ნაპოვნი ეტალონი ნამდვილად წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს. როგორც იურისტს ჰგონია, ინდივიდის რეაგირება გაუცხოების პროცესებზე დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რა ინტენსივობათ მონაწილეობს სახელმწიფო ინდივიდის ტრაგედიაში, არამედ თვით ინდივიდზე.

ამრიგად, დანაშაულის, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ანალიზი გვაჩვენებს, რომ ამ კატეგორიაში „ქმედების ობიექტური შემადგენლობა“ და „ქმედების სუბიექტური შემადგენლობა“ წარმოგვიდგება მზა სახით, როგორც გაქვავებული ფორმები, რომლებიც არ გვაძლევენ საშუალებას აღმოვაჩინოთ დამაშაულის, როგორც გაუცხოების მოხსნის ჭეშმარიტი არსი. გაუცხოების პუნქტში პირი უცხოვდება საზოგადოებისაგან სწორედ იმიტომ, რომ მსჯავრის დადებამდე იგი უკვე იყო გაუცხოებული. თუ კრიმინალისტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოდის პირის მართალსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება,

რომელიც კანონითაა გათვალისწინებული, ე.ი. როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი გაუცხოების ხერხი, კრიმინალისტისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოს მონაწილეობა ინდივიდთა გაუცხოების პროცესებში.

სისხლის სამართალში დამნაშავე და სახელმწიფო დგანან ბარიკადების სხვადასხვა მხარეს. კრიმინოლოგისათვის კი ეს ბარიკადები წაშლილია. დამნაშავეც და სახელმწიფოც გაერთიანრბული არიან გაუცხიების რთული პროცესით, რომელიც კრიმინალისტისათვის უხილავია. ამის დანახვას ხელს უშლის სამართლებრივ ურთიერთობათა ბუნება, რომელიც ინდივიდს განიხილავს არა როგორც სახელმწიფოსაგან გაუცხოებულ სუბიექტს, არამედ როგორც რაღაც შემთხვევითს. სისხლის სამართლის მთელი მეცნიერება – ესაა შემთხვევითი ინდიდვიდისა და მისი შემთხვევითი ტრაგედიის შემეცნების სფერო. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის აგება მიზნად ისახავს იმის მტკიცებას, რომ დანაშაული, როგორც რაღაც შემთხვევითი, არის სავსებით კანონზომიერი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. რა პარადოქსია: შემთხვევითობად საბუთდება კანონზომიერება. კრიმინოლოგიაში ეს თვალსაზრისი არაა მეცნიერული, რამეთუ კრიმინოლოგიისათვის ბრალეული პირი – ეს პირველ რიგში გაუცხოებული პირია, რომლის ტრაგედიაში მონაწილეობს სწორედ სახელმწიფო.

6.5. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[531]

6.5.1. ზოგადი შენიშვნები

2006 წლის 25 ივლისს კანონით დაწესდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ს 107^1–107^7-ე მუხ.) და საქმის წარმოება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს (სსსკ-ს 679^{11}–679^{20} მუხ.). შესაბამისად ცვლილება შევიდა მეწარმეთა კანონში (141-ე მუხლი). ამ „ნოვაციით" საკუთრების გადანაწილების პროცესმა დაიწყო საქართველოს თანამედროვე სისხლის სამართლის რომანულ-გერმანული ტრადიციის რღვევა. ყოველივე ეს განაპირობებს მეც-

531 იხ. გ.თოდრია (2007), იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა: მცდარი გზა სამართალში და ჭეშმარიტება, საიბილეო კრებული, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., გვ. 235– 261

ნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან თვითონ სამართალი და შესაბამისად სამართლებრივი აზროვნება ითხოვს დაცვას.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანი დებულებები.

ნებისმიერი სოციალური ურთიერთობა გარკვეული სახით სამართლით რეგულირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც მათი ასახვის განსაკუთრებული ფორმა. როგორც სოციალური ურთიერთობების ამსახველ ფორმას, სამართლებრივ ურთიერთობას ახასიათებს მისთვის სპეციფიკური ნიშნები, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი არასრულად და გამრუდებულად წარმოგვიდგენენ მათში ასახულ სოციალურ მოვლენებს. აქედან კი გამომდინარეობს, რომ იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ჩვენს მიერ უნდა იყოს განხილული ორ სიბრტყეში: როგორც სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტი და როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გამოვლენის ფორმა, სადაც იმალება იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნამდვილი არსი.

იმ შემთხვევაში, როდესაც იურისტები განიხილავენ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტს, დავის საგანია ანგლო-ამერიკული და რომანულ-გერმანული სისტემების შეთავსების პრობლემა ანუ ინდივიდის ბრალის პრინციპზე აგებული მოდელისა და იმ მოდელისა, რომელიც უარყოფს ამ პრინციპს. წარმოშობილი დავა კვლავ უბრუნდება დანაშაულის სუბიექტის პრობლემას, რომელიც ნორმატიულმა თეორიამ უკუაგდო ქმედების ამსრულებლის ცნების შემუშავების შედეგად.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მოწინააღმდეგთა არგუმენტაცია იურიდიულად გამართლებულია რომანულ-გერმანული სისტემის ფარგლებში. მაგრამ კრიტიკა ბოლომდე ვერ ხორციელდება, რადგან ღიად რჩებათ სამართლის სოციოლოგიის ასპექტით არსებული საკითხი: რომელი სოციალირ-ეკონომიკური პროცესია „დაინტერესებული" იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დანერგვაში?

აღნიშნული საკითხი სცილდება იურიდიული პოზიტივიზმის სფეროს და მოითხოვს პრობლემის სოციალურ-ეკონომიკურ განხ-

ილვას. ამრიგად მოვლენის დონიდან ჩვენ გავდივართ არსის სამყაროში, სადაც ფარდა ეხდება კაპიტალის დაგროვების მნიშვნელობას იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დანერგვაში. ამ მიმართულებით აქტუალობას იძენენ შემდეგი პრობლემები: 1) კაპიტალის დაგროვების რომელ ფაზაზე წარმოიშვება იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დანერგვის აუცილებლობა? და 2) რატომ არის, რომ ამ ინსტიტუტის არეალზე გამოჩენამ დიდი ოვაციები გამოიწვია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხელისუფალთა შორის?

6.5.2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტი.

იურისტთა დავა ძირითადად ეხება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის წანამძღვრების, დანაშაულის ამსრულებლის დასაბუთებისა და ობიექტური შერაცხვის პრინციპის დამკვიდრების წინააღმდეგობების პრობლემურ საკითხებს.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის წანამძრვრების იურიდიული ხედვა. იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მომხრეთა აზრით სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქციები არაადეკვატირად შეესაბამებიან დამდგარ ზიანს. ერთერთი მოსაზრების თანახმად, დანაშაულებრივი საქმიანობის მასშტაბები ნათლად ადასტურებენ სოციალური სამართლიანობის აღდგენისა და ზოგიერთი ორგანიზაციის მიმართ პასუხისმგებლობის გამკაცრების აუცილებლობას, მათ შორის, სასჯელების შემოღების მეშვეობით.

ამ დებულების უარყოფისათვის მოწინააღმდეგები აღნიშნავენ, რომ:

1) სისხლისსამართლებრივი სანქციებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქციების ჩანაცვლება ვერ აჩერებს ეკოლოგიურ და სხვა სახის სამართალდარღვევათა გავრცელებას;

2) სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ სანქციათა შორის არის ხარისხობრივი და არა რაოდენობრივი განსხვავება. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აგებუ-

ლია ბრალეულობის პრინციპზე და გარკვეული სანქცია ენიშნება კონკრეტულ პირს. იურიდიულ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის წმინდა წყლის სტიგმატიზაცია, რომელიც საშიშია საზოგადოებისათვის თუნდაც იმიტომ, რომ უკავშირდება ობიექტურ შერაცხვას;

3) იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება მეტად უარყოფითად იმოქმედებს საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობაზე, რადგან ეს ნიშნავს კონკურენტულ ბრძოლაში სისხლისსამართლებრივი იუსტიციის გამოყენებას.

მოწინააღმდეგეთა აზრით იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის შემოღებით იქმნება პარალელური სისხლის სამართლებრივი მოდელი, რომელიც იყენებს სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის დარგების ცნებებს.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მომხრეები იშველიებენ სხვა არგუმენტსაც. მათი აზრით, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ინსტიტუტის აუცილებლობა განპირობებულია სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის სისუსტით. ამ მოსაზრების მომხრეთა აზრით, ზოგიერთი იურიდიული პირი თავისი საქმიანობით საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესებს, მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გარემოს აყენებს დიდ ზიანს. და ეს მაშინ, როდესაც არსებობენ უამრავი მაკონტროლებელი ორგანოები და სათანადო სამოქალაქო, საგადასახადო, სამეწარმეო და სხვა სამართლებრივი ბაზა. იურიდიული პირის პასუხისმგებლობის მომხრეთა აზრით პრაქტიკულად ძნელია ეკოლოგიური დანაშაულისათვის საწარმოს დააკისრო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. შეუძლებელია და რთულია იმის დადგენა, თუ ვინ უნდა წარუდგინოს მოსახლეობის სახელით სასარჩელო განცხადება იმ ქარხნებს, რომლებიც უშვებენ ეკოლოგიურად გაუმართავ ტექნიკას, მავნე პროდუქციას და ა.შ.[532]

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ბუნებისათვის მიყენებული ზარალი (მაგალითად, ენისეიში წლების განმავლობაში რადიოაქტიური ნარჩენების გადაყრის დროს, ჩერნობილის კატასტროფა და ა.შ.) ხშირ შემთხვევაში ძნელად გამოიხატება ღირებულებით შეფასებაში.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

532 D. Krstinić, N. Bingulac, J. Dragojlović (2017), Criminal and civil liability for environmental damage, Economics of Agriculture, Vol 64, N 3, pp. 1161–1173

მონინააღმდეგეები მართებულად სვამენ კითხვას: რა გვიშლის ხელს, რომ გარკვეულ პირებს დავაკისროთ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა? ნუთუ პრობლემურია სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ბერკეტების გაძლიერება? რა გვიშლის, რომ საწარმომ დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი? დაზარალებულს მდგომარეობა გაუადვილდება, თუ საწარმო ლიკვიდირებული იქნება და რიგითი მშრომელები განთავისუფლდებიან სამსახურიდან? სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების სისუსტე კანონზომიერად არ მოითხოვს რეპრესიული საშუალებების შემოღებას.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოწინააღმდეგეთა აზრით რეპრესიული მეთოდების გამოყენებამ შეიძლება კანონზომიერად გამოიწვიოს კრიმინოგენური სიტუაციის გაურესება. ჯერ ერთი, ამ რეპრესიული ზომის დანერგვით გარკვეულად სუსტდება ყურადღება იმ ცრუ მეწარმეთა, თაღლითთა და სხვათა მიმართ, რომლებიც ისედაც უხვად არიან საზოგადოებაში. ამის გარდა, გაიზრდება კორუმპირებულ მოხელეთა „მიწოდება“, რაც თავის თავად ხელს შეუწყობს გარკვეული კატეგორიის დამნაშავეებს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაში.

ეჭვს იწვევს აგრეთვე თეზისი, რომ იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღებით სახელმწიფოს საშუალება ეძლევა მოახდინოს იმ საწარმოს ქონების კონფისკაცია, რომელიც ეწევა კრიმინალურ საქმიანობას, და ამით დაზარალებულ მოსახლეობას გარკვეულწილად აუნაზღაუროს ზარალი.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოწინააღმდეგეთა ხედვით, კონფისკაციისაგან თავის არიდების ან მოსალოდნელი „დანაკარგის“ შემცირების მიზნით დამნაშავე ხშირად „აშიშვლებს“ საწარმოს საზღვარგარეთ აქტივების გადამალვის გზით. ამიტომ კვლავ დგება საკითხი: ზარალის ანაზღაურებისათვის რატომ არ შეიძლება იყოს გამოყენებული სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებები?

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად სისხლისსამართლებრივ მექანიზმს მიმართავენ მისი ე.წ. ოპერატიულობის გამო. მიაჩნიათ, რომ ვალის დაბრუნების პროცედურა ამ შემთხვევაში უფრო დინამიურია, ვიდრე სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებების გამოყენების დროს. ამის გარდა, განცხადება, რომლის საფუძველზე

აღიძრება სისხლის სამართლის საქმე, არ მოითხოვს სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებას, რაც მიუთითებს ამ ხერხის სიიაფეზე. ამის გარდა, საქმის გაჭიანურების შემთხვევაში შესაძლოა საჩივრის შეტანა იმ თანამდებობის პირზე, რომელიც აჭიანურებს საქმის გამხილვას. სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნილი საჩივრები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელზე, რომელსაც უჭირს საქმის ერთბაშად მოშორება. საქმის ოპერატიული განხილვის ალბათობა იზრდება.[533]

სისხლის სამართლის წესით განხილვის უპირატესობის მომხრეები ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სახლის სამართლის მეშვეობით შესაძლოა ვალის ამოღება არა მარტო კომპანიიდან, არამედ თანამდებობის პირთა სახსრებიდანაც. თუ მევალეს არ შეუძლია დაფაროს ვალი, მაშინ პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს უშუალოდ ფირმის თანამდებობის პირებს. ამ შემთხვევაში ვალი შეიძლება დაეკისროს დებიტორის ნათესავებს, კომპანიის პასუხისმგებელ პირთა ნათესავებს და ა.შ. ვალი შეიძლება დაიფაროს სხვა წყაროებიდან, მაგალითად, სხვა ბანკის კრედიტის მეშვეობით. არსებობენ სხვა საშუალებებიც. მაგალითად, სასამართლოს განხილვის პირობების დაცვის მიზნით დაუდევარი დებიტორის მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული აღკვეთი ღონისძიება პატიმრობის, გაუსვლელობის ხელწერილისა და სხვა პროცესუალური იძულების სახით და ა.შ.[534]

ყველა შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პროცედურის ოპერატიულობა არ მეტყველებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანერგვის აუცილებლობაზე. ეს პრობლემა შეიძლება თავისუფლად იქნას დაძლეული სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მეშვეობით.

თავისი პოზიციების გასამყარებლად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მომხრეები იშველიებენ საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებს, რომლებიც ეხებიან ორგანიზებულ დანაშაულობასთან და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებს. მიაჩნიათ, რომ ამ დოკუმენტებში განსაზღვრული დებ-

533 ევროპის ქვეყნებში აღნიშნული საკითხის შესახებ იხ.: G. Vermeulen,W. Bondt, C. Ryckman (2010), Liability of legal persons for offences in the EU, IRCP-series, Vol. 44, aklu

534 P. Günsberg (2015), Criminalizing Business Cartels in Europe, A Comparative Perspective, Helsinki

ულებები სავალდებულო ხასიათისაა.[535]

ასეთი მიდგომა მცდარია, რადგან არც ერთ დოკუმენტში წარმოდგენილი ნორმები არ ატარებენ იმპერატიულ ხასიათს. კორუფციისათვის სისხლის – სამართლებრივი პასუხისმგებლობის ევროპის საბჭოს კონვენციის მე-19 მუხლში აღნიშნულია: „ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ იურიდიული პირების მიმართ რომლებიც მიცემული არიან პასუხისგებაში მე-18 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად (იურიდიული პირის პასუხისმგებლობა), გამოყენებული იყოს ეფექტური, თანაზომირი და შემაკავებელი სისხლისსამართლებრივი ან არასისხლისსამართლებრივი სანქციები". შესაბამისად კონცეფციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ხედვით „ყოველი მხარე იღებს საკანონმდებლო და სხვაგვარ პირობებს იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იურიდიულ პირებს დაეკისროთ ისეთი პასუხისმგებლობა დარღვევების ჩადენისათვის, რომლებიც გამოიხატება აქტიური მოსყიდვით, ანგარების მიზნით გავლენის ბოროტად გამოყენებითა და შემოსავლების გათეთრებით, რაც ასეთ ქმედებებად მიჩნეულია ამ კონვენციის შესაბამისად და ჩადენილია მათ სასარგებლოდ რომელიმე ფიზიკური პირის მიერ, რომელიც მოქმედემდა პირადად ან იურიდიული პირის ორგანოს შემადგენლობაში და ეკავა იურიდიული პირის ხელმძღვანელი თანამდებობა, როდესაც:

- ასრულებდა წარმომადგენლობით ფუნქციებს იურიდიული პირის სახელით;
  ახორციელებდა გადაწყვეტილების მიღების უფლებას იურიდიული პირის სახელით;
  ახორციელებდა საკონტროლო ფუნქციებს იურიდიული პირის ფარგლებში.

ანალოგიური ნორმა მოცემულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გაეროს კონვენციის მე-10 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ „მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპების დაცვის პირობით იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი ან ადმინისტრაციული".

---

535 А.В. Наумов (2001), Ответственность за коррупционные преступления по законодательству европейских стран, Коррупция: политические, экономические, организационные и правовые проблемы, М., 2001, с. 128; S. Simpson (2002), Corporate Crime, Law and Social Control, Cambridge University Press, pp. 22–45

ევროპის საბჭოს სხვა დოკუმენტებშიც ადგილი აქვთ ეკოლოგიური და სხვა სახის დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღების სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებს. მაგრამ ვერც ერთ რეკომენდაციაში ჩვენ ვერ ვნახავთ იმპერატიულ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ რეკომენდაციის შესრულება უნდა განხორციელდეს ქვეყნის სამართლებრივი სისტემის გარეშე. ევროსაბჭოს ნევრი სახელმწიფოების მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციისა (88) – 18 და 1991 წლის 2 ოქტომბრის ევროპული თანამეგობრობის სასამართლოს განაჩენის თანახმად „არც ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, არც № 3820–85 რეგლამენტის მე-17 მუხლი არ ავალდებულებს წევრსახელმწიფოს თავის ეროვნულ სამართალში ჩართოს... იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი".[536]

მოწინააღმდეგეთა აზრით იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაკენ სწრაფვა განპირობებულია სოციალურ რეგულირებაში მისი როლის გაზრდით, იმ წარმოდგენათა გავრცელებით, რომლის თანახმად სისხლისსამართლებრივი იძულება არის დანაშაულობასთან ბრძოლის უნივერსალური ხერხი.[537]

რეპრესიის როლის გაზრდაზე მინიშნება მისაღებია, მაგრამ არგუმენტაცია მაინც ზერელე ხასიათს ატარებს. გასაგებია, რომ წარმოდგენას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ არ ვიცით მისი ობიექტური საფუძველი. ამის გარდა, დასკვნის მეორე ნაწილი ტავტოლოგიურია, რადგან იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაკენ სწრაფვა განპირობებულია სოციალურ რეგულირებაში სპეციფიკური სოციალურ-ეკონომიკური პროცესების და არა სისხლის სამართლის როლის გაზრდით. ამაზე მიუთეთებს არაერთი ისტორიული ფაქტი.

სამწუხაროდ, იურისტები ამ ისტორიულ მომენტს არ ხსნიან ბოლომდე და იფარგლებიან ამა თუ იმ ქვეყანაში შესაბამისი კანონების აღწერით და არგუმენტების გასამყარებლად იშველიებენ გახმაურებული სასამართლო პროცესების მასალებს. მთავარი მომენტი კი რჩებად განზე, რომლის ახსნას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

ე.წ. დანაშაულის აღმსრულებლის დასაბუთება.

ისტორიულად დადგენილია ის ფაქტი, რომ დანაშაულის ამს-

536 ჯ. პრადელი (1999), შედარებითი სისხლის სამართალი. SANI, გვ. 228

537 J. Stewart (2010), Corporate War Crimes: Prosecuting the Pillage of Natural Resources, Open Society oundations, პპ.75–85

რულებლად შეიძლება იყოს მარტო ადამიანი და არა ცხოველი, საგანი ან ან უსულო ე.წ. იურიდიული პირი. მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამსრულებლის ცნების შემოღებით პრობლემა არ წყდება. კვლავ ჰაერშია ჩამოკიდული საკითხი: რას წარმოადგენს ამსრულებელი იურიდიული პირის სახით?

რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემით გაწვრთნილი გონებისათვის ძნელად წარმოსადგენია ის ვირტუალური სამყარო, რომელსაც წარმოშობს აღნიშნული ინსტიტუტი. როგორც მომდევნო ანალიზი გვიჩვენებს, დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება გამოდიოდეს ნებისმიერი ჩვენთვის უჩვეულო მოვლენა. მოვიყვანთ ამსრულებლის ტიპიურ მოდელებს:

პირველი ვარიანტი: იურიდიული პირი ისჯება ფიზიკური პირის ქმედების გამო. ამიტომ დანაშაულის ამსრულებელია ფიზიკური პირი და არა იურიდიული.

იმ ქვეყნებში, სადაც დამკვიდრებულია იურიდიული პირის (პირების) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, როგორც წესი, დგება ფიზიკური პირის ქმედების გამო, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის ინტერესისათვის.

მაგრამ ასეთი „ლოგიკური" სვლით უფრო რთულდება პრობლემის გადაწყვეტა. მრავალ ქვეყანაში მოქმედი სამოქალაქო-სამართლებრივი კანონმდებლობის თანახმად იურიდიული პირები იქმნებიან კანონის შესაბამისად. მათ გააჩნიათ სამოქალაქო უფლებები, რომლებიც შეესაბამებიან დამფუძნებელ დოკუმენტებში რეგისტრირებულ მიზნებს. ამიტომ ალოგიკურია მოსაზრება, რომ დანაშაულს პირი იდენს იურიდიული პირის ინტერესების შესაბამისად. როგორც აღნიშნავდა ცნობილი მეცნიერი ა. კისტიაკოვსკი, იურიდიული პირის მიზანი და დანიშნულება, როგორც წესი, მიმართულია საერთო კეთილდღეობაზე. დანაშაული, რომელიც ჩადენილია დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ უნდა მივაკუთვნოდ მათ, როგორც ფიზიკურ პირებს, რომლებიც ამ შემთხვევაში მოქმედებენ დაწესებულების სახელით, მაგრამ მისი მიზნისა და დანიშნულების საწინააღმდეგოდ. იურიდიულ პირს არ შეუძლია ფიქრი და არც აქვს „სურვილი" ჩაიდინოს რაიმე კანონსაწინააღმდეგო. იურიდიული პირისათვის სასჯელის განსაზღვრა აუცილებლად გავრცელდება ამ დაწესებულებაში მომუშავე უდანაშაულო პირებზე და დააზიანებს იმ საკეთილდღეო მიზნებს, რის მიღწევისათვის წარმოიშვა დაწესე-

ბულება.[538]

მეორე ვარიანტი: დანაშაულის ამსრულებლები არიან უდანაშაულო პირები. რომანულ-გერმანული სისტემის სისხლის სამართალში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მექანიკური და ნაჩქარევი გადმოტანა ბრალის პრინციპის უგულვეყოფას და შესაბამისად დანაშაულის, ბრალის, თანამონაწილეობის და სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტების არსებით შეცვლას იწვევს. ყველა შემთხვევაში ჩვენ გვაბრუნებენ უძველესი ისტორიული დროის სისხლის სამართლისკენ. ამ ტენდენციის მანიშნებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა ანგლო-ამერიკული კანონმდებლობის მსგავსად დაუშვა „აბსოლუტური პასუხისმგებლობა" (strict liability), ე.ი. პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე. სსკ-ის 107[1] მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით იურიდიულ პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი.

აღნიშნული კონსტრუქციის შედეგად ადგილი აქვს სასჯელის მიზნების შეცვლას. როგორც მართებულად აღნიშნავენ ამერიკელი მკვლევარები, კორპორაციებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სინამდვილეში არის უდანაშაულო პირთა არაეფექტური დასჯა, რადგან ჯარიმა, როგორც წესი, იმ რიგის აქციონერთა მხრებზე გადაიკიდება, რომლებსაც დირექტორთა საბჭოს ან კორპორაციათა მაღალჩინოსანთა კრიმინალურ თვითნებობასთან რაიმე კავშირი არ აქვთ. ამის გარდა, კორპორაციების პრაქტიკა გვიჩვენებს, აღნიშნავენ მკვლევარები, რომ აქციონერებს არ ძალუძთ თავიდან აიცილონ კორპორაციის მიერ მომავლისათვის დასახული დანაშაული.[539] დაბოლოს, როგორც აღნიშნავს ჯ. დიკ-

538 А.Ф. Кистяковский (1882), Элементарный учебник общего уголовного права. Часть Общая, Киев, с. 25

539 ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია ქართველ ეკონომისტთა მიერ გამოთქმული მოსაზრება. როგორც აღნიშნულია, წვრილ სანარმოში, სადაც ორგანიზაციის სტრუქტურა მარტივია, ძალაუფლებას ახირციელებს კაპიტალის მეპატრონე ხოლო მსხვილ, მაღალორგანიზებულ კორპორაციაში ძალაუფლება გადადის ფუნქციონერთა ხელში, „ტექნოსტრუქტურის" ხელში სულ უფრო აშკარად იკვეთება ის გარემოება, რომ აქციების რიგითი მფლობელების ძალაუფლება სულ უფრო მცირდება, რადგან ადგილი აქვს საკუთრების „განბნევას". ასეთ ვითარებაში ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ... უამრავ აქციონერთან, რომელთა რაოდენობაც ცალკეულ მსხვილ მონოპოლიებში რამდენიმე მილიონ-

სი, კორპორაციების სისხლისსამართლებრივი დევნას ყურადღება გადააქვს კორპორაციის იმ ხელმძღვანელთა და მოხელეთა პასუხისმგებლობისაგან, რომლებსაც დანაშაულის ჩადენაში მართლაც ბრალი მიუძღვით.[540] ანალოგიური მოსაზრება იყო გამოთქმული ქართველ მეცნიერთა მიერ. „კანონიერების შენიღბული ლიკვიდაციის ფორმას, – აღნიშნიშნავენ ისინი, – წარმოადგენს ისეთი სისხლის სამართლის კანონების გამოცემა, რომელთა დისპოზიციებშიც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები მეტად ფართოდ და გაურკვევლად არის განსაზღვრული. ასეთი განუსაზღვრელი დისპოზიციები, რომლებიც არ მიუთითებენ შესაბამისი ნორმის გამოყენების ფარგლებზე, ქმნის მუდმივ მუქარას მართლზომიერად მოქმედ პირთა მიმართ შესაძლებლობას დაისაჯოს ისეთი პირები, რომელთაც ფაქტიურად არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ".[541]

გასათვალისწინებელია კიდევ ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში სასამართლოს „კანონიერი" განაჩენი ეწინააღმდეგება სსკ-ს 39-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომელის თანახმად სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მაგრამ სასჯელი ვრცელდება ყველა აქციონერზე, რომლებსაც დანაშაულის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ აქვთ. განხორციელებული „მართლმსაჯულება" თავისი ლოგიკით არღვევს ამავე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნასაც, რადგან არა მარტო არ ადგენს სამართლიანობას, არამედ ახალი და-

---

საც კი აღწევს. სწორედ ეს აქციონერები არიან მესაკუთრეები, ყველა მათგანი ფლობს საკუთრების მცირე ნაწილს. მესაკუთრეთა ძალაუფლების შესუსტებისა და საკუთრების განფენვის დამადასტურებელია ისიც, რომ მსხვილ მონოპოლიებში ხშირ შემთხვევაში საკონტროლო პაკეტი არ აღემატება აქციების საერთო რაოდენობის 3–5%. აქციონერთა კრებებზე ესწრებიან ხოლმე, როგორც წესი, აქციონერული კაპიტალის უმნიშვნელო ნაწილის მფლობელები, ხოლო დანარჩენ აქციონწრთა ნებას (ხმებს) მინდობილობით წარმოადგენენ კომპანიის დირექტორები, რომლებსაც კომპანიის მმართველები ირჩევენ. სწორედ ამ მმართველობის ხელშია რეალური ძალაუფლება და ისინი ახორციელებენ კონტროლს კორპორაციაში. მიუხედავად ამისა, მათი ფლობის წილი საერთო კაპიტალში, როგორც წესი, ძალზე უმნიშვნელოა (ვლ. პაპავა, რ. ახმეტელი, პ. ლეიშვილი, ნ. ულუმბერაშვილი (1993) საბაზრო ეკონომოკის საფუძვლები, თბ., გვ. 201).

540 Dix G (1997), Criminal law, Chicago, p. 62

541 თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე (1969), მოძღვრება დანაშაულზე, თბ., „მეცნიერება", გვ. 12

ნაშაულის თავიდან აცილების მაგივრად იდენს დანაშაულს – ხელს უშლის აქციონერთა კანონიერ სამეწარმეო საქმიანობას, რაც სსკ-ს 190-ე მუხლის შესაბამისად მოიცავს დანაშაულის შემადგენლობას. სხვა სიტყვებით, აქციონერთა საქმიანობაში ხდება ისეთი ჩარევა, რაც აქციონერთა არსებობაში მნიშვნელოვან ზიანს იწვევს.

მესამე ვარიანტი: „ამსრულებელია" გარე სამყაროში მომხდარი მექანიკური ცვალებადობა. სსკ-ს მე-7 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ნაწილის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ხოლო მეორე ნაწილის თანახმად ფეხს იკიდებს საპირისპირო დებულება – იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი ნორმებით. ამ შემთხვევაში სსკ-ის 107[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია შედეგი და არა კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რადგან პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მაშინაც, თუ არ არის დადგენილი ფიზიკური პირის ბრალეულობა.

მეოთხე ვარიანტი: „ამსრულებელია" უცნობი პროცესის გამოვლენა. გასათვალისწინებელია კიდევ ის გარემოება, რომ საბაზრო ეკონომიკაში ხილვადია მარტო ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა (შპს, აქციონერული საზოგადოება და ა.შ.), რომელიც კანონით დადგენილი წესით არის რეგისტრირებული. მაგრამ უხილავია ისეთი ფორმა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მიერ ობიექტურად არის შექმნილი, მაგრამ იურიდიულად მათი რეგისტრაცია გამორიცხულია. მაგალითად, კარტელი – სხვადა დამოუკიდებელ საწარმოთა მოლარაპარაკება, რომელიც ეხება ფასებს, გასაღების ბაზრებს, წარმოების საერთო მოცულობას და ა.შ. ასეთივე უხილავ ფორმას წარმოადგენს სინდიკატი. ამ გაერთიანების მეშვეობით დარგის საწარმოები ინარჩუნებენ იურიდიულ და წარმოებრივ დამოკიდებულებას. მაგრამ შეთანხმების შედეგად ქმნიან საერთო სამსახურებს პროდუქციის რეალიზაციის მიზნით და ა.შ. კანონისაგან სულ უფრო დამალულია ტრესტი, რომელიც მთლიანად აერთიანებს საწარმოების ფინანსებს, პროდუქციის წარმოებას, რეალიზაციას და ა.შ. საერთოდ მიუწვდომელია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის შედეგად შექმნილი ფორმები.

ამ ვითარებაში სასჯელი წვდება გარკვეულ საწარმოს, მაგრამ

უხილავი გაერთიანების დასჯა გამორიცხულია. არადა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ვითარდება მარტო ამ ფორმების გზით. ამიტომ შეიძლება დაჯარიმდეს გარკვეული საწარმო, ხელმისაწვდომია მისი ლიკვიდაცია ან ქონების კომფისკაცია, ე.ი. ის, რაც რეალურია მარტო კანონისათვის, მაგრამ ეკონომიკის თვალსაზრისით არის არარეალური (ცალმხრივი, მოვლენის დონეზე მოცემული). ამიტომ ეკონომიკის თვალსაზრისით იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი უცნობ საგანს უცილობელ საგნად აქცევს (ex contigente necessarium).

იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაცავად გვთავაზობენ ხელოვნურად შექმნილ კონსტრუქციას, რომლის თანახმად უნდა განვასხვავოთ დანაშაულის ამსრულებლისა და იურიდიული პირის როგორც ამსრულებლის ცნებები.[542] მაგრამ ასეთი მიდგომა კვლავ მეტყველებს ბრალის პრინციპის უარყოფის უსუსურობაზე.

ობიექტური შერაცხვის პრინციპის დამკვიდრების წინააღმდეგობები.

ობიექტური შერაცხვის ტენდენცია განსახილველი თვალსაზრისის მომხრეთა ბანაკში იწვევს საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს. 2005 წლის თებერვალ-აპრილში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან ერთად, შეისწავლა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა გაეროსა და ევროპის საბჭოს ანტიკორუფციული კონვენციების მოთხოვნებთან და მოამზადა დოკუმენტი, რომელშიც წარმოადგინა აღნიშნულ კონვენციებსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის არსებული განსხვავებები. მკვლევართა აზრით, „ამ საკითხზე დიკუსიების დაწყება გადაუდებელ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს, რადგან ამ პრობლემის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას საერთაშორისო თანამეგობრობაში". ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იყო წარმოდგენილი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

პროექტის თანახმად, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს „სისხლის სამართლის

542 E. Žatecka (2013), Selected aspects of criminal liability of legal persons, Acta Universitatis Agriculturae et Silviculturae endelianae Brunensis, Volume LXI, Number 7, p. 2985

კოდექსით“ გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია პასუხისმგებელი პირის მიერ იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით), ან/და მის სასარგებლოდ. პასუხისმგებელ პირში მოიაზრება იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო და საკონსულტაციო ორგანოს წევრი. პროექტის ავტორებმა საბოლოოდ მაინც არ უპასუხეს კითხვაზე: რატომ უნდა იყოს გამოყენებული სსკ-ის სათანადო მუხლები და არა სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები?

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრიოვი პასუხისმგებლობის აღიარებით პროექტის ავტორები ლოგიკურად მიდიოდნენ ობიექტური შერაცხვის პრინციპის დამკვიდრებამდე, რაც საბოლოოდ განხორციელდა სსკ-ს 1071-ე მუხლის შემოღებით. ამიტომ ბრალის პრინციპის დასაცავად ისინი კვლავ უბრუნდებიან კოდექსის რომანულ-გერმანულ ვარიანტს: იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, აღნიშნავენ პროექტის ავტორები, უპირველეს ყოვლისა, დგება ბრალის საკითხი. საქართველოს „სისხლის სამართლის კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. ამ კოდექსით გათვალიწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმდება“. ამდენად, კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად მიიჩნევს ბრალის არსებობას, რაც ითვალისწინებს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს და წარმოადგენს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველს. სისხლის სამართლის მეცნიერებაში ბრალს განმარტავენ, როგორც „პირის გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმდებასა და მისი შედეგისადმი“, რაც იურიდიულ პირს რთულად ესადაგება. შესაბამისად, პროექტის ავტორთა აზრით, მართებული იქნებოდა იურიდიულ პირთან მიმართებაში, ნაცვლად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა, დაწესებულიყო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლებრივი პასუხისმგებლობა.[543]

როგორც ჩანს იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი

543 გაეროსა და ევროპის საბჭოს ანტიკორუფციული კონვენციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, გვ. 33– www.transparency.ge.

პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დასაბუთება ვერ აღნევს მიზანს. მისი მომხრეები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად ასაბუთებენ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობას, რითაც ამჟღავნებენ ბრალის პრინციპის უარყოფის უსუსურობას.

6.5.3. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის არსი.

როგორც ავღნიშნეთ, გასარკვევია შემდეგი საკითხი: კაპიტალის დაგროვების რომელ ფაზაზე წარმოიშვება იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დანერგვის აუცილებლობა? ამასთან ერთად აუცილებელია გავაანალიზოთ ის ფაქტი, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ეს ინსტიტუტი უმტკივნეულოდ დამკვიდრდა. მაგრამ რუსეთში მან ფეხი ვერ მოიკიდა.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის წარმოშობა კაპიტალისტურ ქვეყნებში დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როდესაც სუსტდება საბაზრო ეკონომიკის შესაძლებლობა და ძლიერდება ადმინისტრირებული მეთოდებით ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა. მოკლედ, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი არის კაპიტალის დაგროვების გარკვეული ისტორიული ფაზის შედეგი, როდესაც ბატონობს ძალმომრეობითი მეთოდებით მოგების მიღება და გადანაწილება. ისტორიულად ამ ინსტიტუსადმი ყურადღება ძლიერდება მარტო მაშინ, როდესაც ეკონომიკაში წამოჭრილ წინააღმდეგობებს ვერ უძლებენ ბაზრის კანონები და თავს იჩენს სახელმწიფოს რეპრესიული მანქანა. განვითარებულ ქვეყნებში ეს პროცესი ცოცხლდება ეკონომიკური კრიზისის დროს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში იმ დროს, როდესაც დგება არსებული სიმდიდრის ძალით გადანაწილების აუცილებლობა. ეკონომიკური კრიზისი, როგორც დაკვირვების პუნქტი, ავლენს კანონზომიერებას, რომელიც შედარებითი სიმშვიდის დღეებში არ ჩანს.

როგორც ცნობილია, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი კაპიტალისტურ სამყაროში იყო აღიარებული XIX საუკუნის შუა წლებში.[544] ეს ის პერიოდია, როდე-

544 იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი კაპიტალიზმამდეც არსებობდა. რომის სამართლიდან დღემდე ისტორიის აღწერა არაფერს მოგვცემს. მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტის ისტორიის

საც ინგლისის და აშშ-ს ეკონომიკა ექსტენსიურად ვითარდებოდა. შრომის ინტენსიფიკაციის მეთოდები ატარებდნენ ემბრიონალურ ხასიათას. კორპორაციები არ იცავდნენ ეკოლოგიის ნორმებს, შრომის უშიშროების დაცვა იყო ნაკლებად მომგებიანი. კაპიტალის ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია ის იყო ფეხს იკიდებდა და ამიტომ მოგების საშუალო ნორმა ჩანასახში იყო. საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე ადგილი ჰქონდა მოსახლეობაზე არაეკონომიკური იძულების ზემოქმედების ფაქტებს. შესაბამისად სამოქალაქო – და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმთა. მასთან შედარებით სახელმწიფოს რეპრესიას ჰქონდა უფრო მყარი ეკონომიკური საფუძველი – მოგების მილება ძალადობითი მეთოდების მეშვეობით.

მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა – საფრანგეთი, ხოლო ინგლისი, როგორც ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის წარმომადგენელი.[545]

1992 წელს საფრანგეთში მილებული კანონით დაწესდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს ის დროა, როდესაც სპარსეთის ყურეში საომარ მოქმედებებში მონაწილეობის შედეგად საფრანგეთის ეკონომიკის დონე მნიშვნელოვნად დაეცა და 1990–1993 წლებში ქვეყანაში განვითარდა ეკონომიკური კრიზისი.[546]

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მილების შემდეგ საფრანგეთში რვა თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, რომ იურიდიული პირი მიცემულიყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ 1995 წელს

ლოგიკა, რომელმაც უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებზე: რატომ იღებს კაპიტალი შორეული ისტორიიდან მარტო იმ სამართლებრივ მასალას, რომელიც მნიშვნელოვანია მისი აგებისათვის? კაპიტალის განვითარების რომელი ისტორიული ფაზა მოითხოვს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დამკვიდრებას? აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა სცილდება პოზიტიურ-სამართლებრივ ანალიზს, რადგან მოითხოვს სისხლის სამართლის პოლიტიკის ფილოსოფიის მეთოდოლოგიის გამოყენებას, რასაც ჩვენ მივმართავთ მასალის მომდევნო განხილვისას.

545 P. Biriukov (2015), Criminal liability of legal persons in EU–countries, Voronezh VSU Publishing House

546 Основные черты и особенности экономического развития Западной Европы в послевоенный период, М., 2004, с. 20

ჩატარდა სამი პროცესი, სადაც განიხილებოდა არცთუ მნიშვნელოვანი საკითხები. და რაც მთავარია, ღიად დარჩა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობის საკითხი. მოკლედ მოვიყვანთ ამ სამივე პროცესის არსს.

პირველი განაჩენი გამოტანილ იქნა 1995 წლის 9 მაისს. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა ერთდროულად, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირიც, რომლებიც იქნენ ბრალდებულნი არალეგალური შრომის გამოყენებაში.

ფრანგი იურისტები აღნიშნავენ, რომ ამ განაჩენში პრაქტიკულად არ არსებობს მოტივირებული ნაწილი. მარტო მითითებულია, რომ გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები იურიდიულად გამართლებულია და ამიტომ საზოგადოება და ბატონი „X" დამნაშავედ უნდა იქნენ ცნობილნი. ამ განაჩენმა უკმაყოფილება გამოიწვია სისხლის სამართლის მეცნიერთა და პრაქტიკოს მუშაკთა შორის, რომლებიც ელოდნენ მოსამართლეებისაგან სისხლის სამართლის კოდექსში განმტკიცებული კრიტერიუმების გამოყენებას და დანერგვას.

მეორე განაჩენი მიღებულ იქნა 1995 წლის 3 ნოემბერს. პასუხისგებაში მიეცა ორი იურიდიული პირი წარმოებაში მომხდარი „უბედური შემთხვევის" გამო. შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად მუშამ მიიღო სხეულის დაზიანება, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი შრომის უუნარობა. მოკვლევით დადგინდა, რომ მუშა, რომელიც მუშაობდა შენობის ფასადის რესტავრაციაზე უეცრად ჩამოვარდა. იმის გამო, რომ გატყდა ჭანჭიკი, რომლითაც დამაგრებული იყო კიბე. შემდგომში გამოირკვა, რომ ჭანჭიკი შეჭმული იყო ჟანგით.

სასამართლოს მიერ გასამართლდა ორი იურიდიული პირი. კიბეების მწარმოებელი – დაუდევრობისათვის, რომელსაც სამშენებლო სამუშაოების ჩამტარებელ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უნდა შეემოწმებინა კიბეების მდგომარეობა. სამშენებლო ორგანიზაციას კი დაეკისრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მის მიერ არ იყო დაცული ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

მესამე განაჩენი გამოტანილ იქნა 1995 წ 8 ნოემბერს, რომელიც ეხებოდა სამომხმარებლო საქონლის ფალსიფიკაციას. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ორი ასოციაცია.

ყველა შემთხვევაში იურიდიულ პირებს დაეკისრათ ჯარიმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არცერთი განაჩენი არ იქნა გასაჩივრებული, მაგრამ როგორც აღნიშნავენ ფრანგი იურისტები, ამ განაჩენთა არგუმენტაცია არ იყო იურიდიულად სრულყოფილი. კერძოდ, განაჩენში გამოკვეთილი არ იყო ამსრულებელი, ზუსტად არ იყო დადგენილი, ჩადენილი იყო თუ არა დანაშაული იურიდიული პირის სასარგებლოდ და ა.შ.[547]

1978 წლის ინტერპრეტაციის კანონით ინგლისში წესდება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ კანონის მიღება ემთხვევა დიდ ბრიტანეთში 1979–1981 წლეებში განვითარებულ ეკონომიკურ კრიზისს და ა.შ.[548]

აღნიშნული კანონზომიერება ხსნის არა მარტო სათანადო კანონების წარმოშობის მიზეზს, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის გაძლიერების მიზეზსაც. როგორი პარადოქსალურიც არ უნდა იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება – სასჯელის გამოყენება ხდება იურიდიული პირის მიმართ, მაგრამ მათი დანაშაულთა გათვალისწინების გარეშე. რეპრესიის საფუძველია საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობა და არა იურიდიულ პირთა დანაშაული. საილუსტრაციოთ მივმართოდ ისტორიულ ფაქტებს.

როგორც ცნობილია, 1937–1939 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მძვინვარებდა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც შემდგომში შეიცვალა დეპრესიით. წარმოება ჯერ კიდევ იმყოფებოდა უკიდურესად დაბალ დონეზე, თუმცა უკვე აღარ მცირდებოდა. ფასები არ ეცემოდა და მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო. საქონლის მარაგი არ იზრდებოდა და სესხის პროცენტი დაბალ დონეზე იდგა. „სწორედ ბიზნესმენებისათვის დაბალი საზოგადოებრივი სტატუსის ამ პერიოდში (მოგების საშუალო ნორმის დაცემა აქ აღწერილია ფსიქოლოგიურ ტერმინებში – გ.თ.), – წერს სატერლენდი, – იქნა განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ენერგიული ძალისხმევა, მიმართული ცხოვრებაში ძველი კანონმდებლობის გატარებისა და ახალი კანონების მიღებისაკენ, რომლებიც არეგულირებდნენ მათ საქმიანობას. არაერთხელ გაიზარდა ამ მიზნებისათვის ასიგნირება და შესაბამის თანამდებობებზე შერჩეულ იქნენ პირები, რომელთაც

547 Уголовное право зарубежных государств. Общая часть, Учебное пособие (Под ред. и с предисл. И.Д. Козочкина) (2003), М., Омега–Л, с. 313–314

548 ანტიკორუფციული კანონმდებლობის მდგომარეობა დიდ ბრიტანეთში იხ.: P. Biriukov (2015), Criminal liability of legal persons in EU–countries, Voronezh VSU Publishing House, p.305–307

ძალუძთ კანონის ენერგიული შესრულების უზრუნველყოფა. 70 კორპორაციის მიმართ გამოტანილი 547 გადაწყვეტილებიდან ამ პირთა საქმიანობის პერიოდში, რომელიც 40 წელი გრძელდებოდა, 63% დადგენილი იყო 1935 – 1943, ე. ი. ბიზნესმენთა დაბალი საზოგადოებრივი სტატუსის პერიოდში".[549]

მართალია, მეორე მსოფლიო ომმა დაარღვია აშშ-ს ეკონომიკის ციკლის ჩვეულებრივი დინება, რამდენადაც ამ პერიოდში გაიზარდა სამრეწველო მშენებლობა და ახალი დანადგარების შესყიდვა, განსაკუთრებით კი სამხედრო საჭიროებისათვის. საბიუჯეტო ხარჯები აჭარბებდა შემოსავლებს, რომლებიც ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფიციტს. ამ ფონზე სახელმწიფო იძულება განიცდიდა ასევე გარკვეულ ცვლილებას: სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა განსაკუთრებულ კორიანტელს არ მოელოდნენ, მაგრამ მკაცრდებოდა შემმოწმებელი ინსპექციები და სახელმწიფო კონტროლის სხვაგვარი ფორმები. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო ზეწოლა არ სუსტდებოდა. აღწერს რა ამ პერიოდს, გ. შნაიდერი აღნიშნავს, რომ 1942 წლიდან 1945 წლამდე ფასებზე ზედამხედველობის ფედერალურმა სამმართველომ შავი ბაზრის გამოკვლევის საფუძველზე გაამკაცრა კონტროლი. „მეორე მსოფლიო ომი, – წერს ის, – იყო თავის მხრივ ეკონომიკურიც, რადგან მის საწარმოებლად მობილიზებული იყო მთელი სამრეწველო სისტემა. ომის შედეგი ბევრად დამოკიდებული იყო მატერიალურ-ტექნიკურ უპირატესობაზე და ეკონომიკურ სტაბილურობაზე. გამოცემული იყო სპეციალური ნორმატიული ოქმები, რომლებიც ადგენდნენ ფასებს საქონელზე და მათი განაწილების ნორმებს, რადგან არ დაეშვათ მისი განიავება და უზრუნველეყოთ ინფლაციასთან ბრძოლა. ომის წინა პერიოდთან შედარებით ამერიკაში,... – მითითებულია შემდგომში, – გაიზარდა შავ ბაზართან დაკავშირებით დელიქტების რაოდენობა... 1944 წელს გამოკვლეულ საწარმოთა დაახლოებით 57% არღვევდა მრეწველობისა და სხვა ნორმატივების დადგენილებებს; საერთო ჯამში დაფიქსირებული იყო 1710000 დარღვევა. მომხმარებელმა და გადამხდელმა განიცადეს ფინანსური ზარალი, რომელიც ბევრჯერ აღემატებოდა ტრადიციული დანაშაულის შედეგად მიღებულ დანაკარგს... დამრღვევთა 25%-ზე ნაკლები... იყო დაჯარიმებული".[550]

549 Э. Сатерленд (1966), Являются ли преступления людей в белых воротничках преступлениями?, Социология преступности, М., «Прогресс»,с.129–133

550 Г. Шнайдер (1994), Криминология, М., «Прогресс», с. 45

1960–1961 წლებში აშშ-სი გაღვივდა მეოთხე ეკონომიკური კრიზისი. შეიმჩნეოდა მასიური გაკოტრება, რადგან ძირითადი ეკონომიკური დარტყმა მოდიოდა სუსტ საწარმოებზე, რომელთა მოგება იყო საშუალო ნორმებზე დაბლა. მსხვილი კომპანიები ამცირებდნენ დანახარჯს, ფაქტიურად კი – ზემოგებას, მაგრამ არ იძირებოდნენ. 1951–1960 წლებთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალო წლიური დეფიციტის ოდენობა ამერიკაში გაიზარდა 6 მილიარდი დოლარით. ზუსტად ამ პერიოდში, წერს ე. შური – „თეთრსაყელოიანთა დანაშაულობაზე ოფიციალური რეაქცია რამდენადმე გამკაცრდა. ფასების არალეგალური დადგენისათვის, ყალბი სარეკლამო განცხადების გამოყენებისათვის და მიღებული მოგების განაწილებისათვის... 29 კორპორაციისა და ელექტრო-ტექნიკური წარმოების 45 უმაღლეს ჩინოვნიკთა მიმართ 1961 წელს ფედერალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სასამართლო დევნა იყო უმსხვილესი სისხლისსამართლის საქმე შერმანის ანტიტრესტული კანონის ისტორიაში, აგრეთვე იყო უმნიშვნელოვანესი ეტაპი სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებაში ისეთ დანაშაულში მონაწილეობისათვის, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც თეთრსაყელოიანთა დანაშაული. კორპორაციებისათვის დაწესდა ჯარიმა 1 924 500 დოლარის ოდენობით...“.[551]

1973–1975 წლებში აშშ-სი კვლავ იჩენს თავს ეკონომიკური კრიზისი. 1975–1980 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალო წლიური დეფიციტი 50,8 მლრდ. დოლარამდე ავარდა. კლაინერდსა და იიგერზე მითითებით გ. შნაიდერი წერს, რომ ფასებზე ზედამხედველობის ფედერალურმა სამმართველომ ვაშინგტონში ეკონომიკურ საქმიანობის მაკონტროლებელ აშშ-ის ფედერალურ უწყებათა აქტების და ანგარიშების საფუძველზე „გაანალიზა სამეურნეო დანაშაულობა 582 მსხვილ საწარმოში 1975-დან 1976 წლამდე. აქედან 477 მსხვილი სამრეწველო (ფარმაცევტული, ნავთობგადამამუშავებელი და საავტომობილო საწარმოებ ი– გ.თ.) და სამომსახურეო სფეროს საწარმოები იყო. ამ ფირმების უმეტესობა – აღნიშნავს შემდგომში ავტორი, – არიან მონოპოლისტები განსაზღვრული სახის საქონლის წარმოების საქმეში. ისინი ადგენენ ფასებს კონკურენციის არარსებობისას... სამართალდარღვევათა უმეტესობას სჩადიან ყველაზე მსხვილი ფირმები“ აღნიშნული კრიზისული სიტუაციის ბოლო წლების გაშუქებისას ვ. ლუნეევი მიუთითებს: „სამხედრო

551 Э.Шур (1977), Наше преступное общество., М., «Прогресс», с. 45

შეკვეთის მიღებისათვის აშშ-ის მსხვილი კორპორაციების მიერ გადახდილი ქრთამის შემთხვევების მხილების შედეგად 1977 წელს მიიღება საზღვარგარეთის კორუმპირებული პრაქტიკის კანონი, სანქცია – ჯარიმა 2 მილიონი დოლარი კორპორაციისათვის და 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ფიზიკური პირისათვის. ეს ქმედება განსაკუთრებულ გავრცელებას პოვებს, – აღნიშნულია შემდგომში, თვითმფრინავებით, გემებით, იარაღით, ნავთობპროდუქტებით, საერთაშორისო ვაჭრობაში, აგრეთვე სამხედრო და სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტის დადებისას, სადაც არ არის სტანდარტული ფასები, მაგრამ დიდი ხანია არსებობს კომისიური ტაქსა სხვადასხვა დონის თანამდებობის პირებისათვის".[552]

მოცემული კანონზომიერება საყოველთაო ხასიათისაა. მას გვერდი არ აუვლია ბევრი განვითარებული ქვეყნისათვის, მათ შორის იაპონიისათვისაც. იაპონელი მეცნიერის კ. უედას მონაცემებით 1966 წლიდან 1980 წლამდე „თეთრ საყელოიანთა" „წილი" დამნაშავეთა შორის... გაიზარდა 1,5-ჯერ. თუმცა ამავენაირად 1,4-ჯერ გაიზარდა „თეთრსაყელოიანთა" წილი მოსახლეობაში მთლიანად".[553] ამავდროულად აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის გაძლიერება მოდის 90-იანი წლების შუა წლებზე, როცა იაპონიაში შეიმჩნევა ეკონომიკური დაცემა. ს. აკკერმანის შეფასებით, „1995 წელს შედგა უპრეცენდენტო პროცესი, რომელზეც ცხრა კომპანიას წაუყენეს ბრალდება ელექტროენერგიის სფეროში შეკვეთის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის შეთქმულების გამო. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა იაპონიის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მუხლის მიხედვით და ყველა ცხრა კომპანია ცვნეს დამნაშავედ და დაჯარიმდნენ. ამავდროულად ისწრაფოდა რა თავიდან აეცდინათ ფარული გარიგების დადება, მთავრობამ შემოიტანა ღია კონკურსის სისტემა საზოგადოებრივი სამუშაოების სახელმწიფო შეკვეთის მიღებაზე. ამის შედეგად ფასიანი შემოთავაზება მსხვილი კომპანიების მხრიდან მშენებლობის სამინისტროს საანგარიშსწორებო ფასებზე 20%-ით დაბლა დაეცა, თუმცა ნაწილობრივ ამ ფასდაკლების ახსნა შეიძლებოდა სახელმწიფოში არსებული კრიზისით და არა საქმიანი შეთანხმების კლებით... ".[554]

552 В. В. Лунеев (1977), Преступность XX века, М., «Норма», с. 272

553 К. Уэда (1989), Преступность и криминология в современной Японии, М., «Прогресс» , с. 86

554 С.Аккерман (2003), Коррупция и государство, М., «Логос», с.70

როგორც ვხედავთ, კომპანიების ე.წ. დანაშაული არაა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რადგან ამ როლს თავის თავზე იღებს კაპიტალის დაგროვების კანონი. რამდენადაც ეს როლი იზრდება, იმდენად მყლავნდება კომპანიების დანაშაულზე ვირტუალური წარმოდგენა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლზე. საბაზრო ურთიერთობები არა მარტო მალავენ ამ ჭეშმარიტებას, არამედ აფეტიშირებენ სახელმწიფოთა თვალთახედვას.

აღნიშნული კანონზომიერება ტიპიურია როგორც განვითარებულ ქვეყნებისათვის ასევე განვითარებად ქვეყნებისათვის. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც, არსებობენ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პირობებში. ამიტომ კაპიტალის გადანაწილებისათვის იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება არის ძალადობითი მეთოდების მეშვეობით მოგების მიღების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. საილუსტრაციოდ საინტერესოა რუსეთის გამოცდილების ამსახველი მასალა.

როგორც ცნობილია, იძულებითი გაკოტრება, მესაკუთრეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრა და ა.შ. – ტიპიურია ამ ისტორიული პერიოდისათვის. სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა წარმოადგენს ფირმების შთანთქმის და შერწყმის წინაპირობას. თავის დროზე აშშ-ი ანალოგიური კორპორაციული ერა ვითარდებოდა 70–80 წლებში. ამ გზას მიმართეს რუსეთის ისეთმა კომპანიებმა როგორც «Нафта–Москва», «Альфа–Эко», МИКГ «Сигма», «Росбилдинг» და ა.შ. კორპორაციული ომების შედეგად იძულებით მართვა შეიცვალეს ისეთმა მსხვილ კომპანიებმა, როგორც «Ингосстрах», «Главмосстрой», «Западно–Сибирский металлургический комбинат», «Мегафон» და ა.შ.

როგორც აღნიშნავენ, მარტო კორპორაციული შთანთქმის შედეგად მოსკოვში იყო მითვისებული 5 მილიარდი დოლარის საწარმოო ქონება. ძირითადად ხელყოფის ობიექტად გამოდიოდნენ მაღაზიები, საშუალო წარმოებები, ქალაქის ტრანსპორტი, სამშენებლო კომპლექსები, საკვლევი ინსტიტუტების შენობა–ნაგებობები. მარტო მოსკოვში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იყო დაბყრობილი 5 ათას წარმოებაზე მეტი. განსაკუთრებით დაუცველი იყო საშუალო და მცირე ბიზნესის აქციონერული საზოგადოებები.[555]

555 А. Рогачев (2006), С волками жить – по–волчьи быть (риск–менеджер

რუსეთში ეს პროცესი დღესაც გრძელდება. როგორც აღნიშნავენ, 90-იან წლებში რუსეთში ჩამოყალიბდა სახელმწიფო-ნომენკლატურული კაპიტალიზმი, რომელმაც დაამკვიდრა სახელისუფლებო სტრუქტურებისაგან ეკონომიკის დამოკიდებულების ახალი ვარიანტი. ეკონომიკურ სუბიექტთა კონკურენცია ძირითადად ადმინისტრაციული მეთოდებით რეგულირდება გარკვეული კლანების ინტერესების სასარგებლოდ.[556] ამ პროცესის განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2002 წელს იყო დაფიქსირებული იძულებითი შთანთქმის 29 შემთხვევა, 2003 წ.– 157 შემთხვევა, ხოლო 2004 წელს – 190 შემთხვევა. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ამ კორპორაციულ ომში წარმოადგენს ქმედით ხერხს ისეთ საშუალებებთან ერთად როგორიცაა სასამართლოების, პროკურატურის, ძალოვანი სტრუქტურების გამოყენება. მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ ისეთი ბიზნეს–ჯგუფები (Альфа»–, «Сибал»-ი, МДМ და სხვა), რომლებმაც თავის დროზე ინვესტირება მოახდინეს ადმინისტრაციულ-ძალოვან რესურსში. რუსეთის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მონაცემებით 2001 წელს იყო განხილული 47762 გაკოტრების საქმე. 79% შემთხვევაში სახელმწიფო გამოდიოდა ინიციატორად, როდესაც მოთხოვნა ძირითადად ეხებოდა არარსებულ ფირმებს ან გადასახადების არგადამხდელებს. ხოლო დანარჩენ შემთხვევაში გაკოტრების ინიციატორებად გამოდიოდნენ არასახელმწიფო კომერციული კრედიტორები. ამასთან ერთად, გაანგარიშების მიხედვით 4700 შემთხვევიდან 1400 იყო შეკვეთილი გაკოტრება, რაც მეტყველებს საკუთრების ძალით გადანაწილებაზე.[557]

დღეისათვის საკუთრების გადანაწილების პროცესი რუსეთში შენელდა და ამიტომ ამ ქვეყნის კანონმდებელმა უარი განაცხადა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის შემოღებაზე. საქართველოში საკუთრების გადანაწილება არ დასრულებულა და ამიტომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის შემოღება ასრულებს ქმედით „დემოკრატიულ" როლს.

корпорации «Хоффманн ля Рош» (Швейцария), „Управление компанией» № 7, 19.07, p.183: http://www.it2b.ru/.

556 Е.Минченко, Методы оценки, прогнозирования и минимизации политических рисков хозяйствующих субъектов, p.126: http://www.it2b.ru/

557 В. Волков (2003), Причины и логика корпоративных конфликтов, Журнал „Top– anager", №29, p.119.

6.6. კორუფციის არსის დადგენის საკითხისათვის[558]

6.6.1. კორუფციის ცნებისადმი მიდგომა

6.6.1.1. საკითხის დასმა

მეცნიერებაში კორუფცია არათნმიმდებრულად განიხილება. უფრო მეტიც, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მეცნიერები და ექსპერტები მას უკავშირებენ იმ ფაქტორებს, რომლებშიც ვლინდება კაპიტალის დაგროვების კანონი, თუმცა არ გაითვალისწინება თვით ეს კანონი. ამიტომ კორუფციის, როგორც მოგების ნაწილის, განხილვის პრობლემა არასოდეს მდგარა მეცნიერებაში. წინამდებარე ნაშრომში გაკეთებულია ასეთი მცდელობა და მეცნიერთა ფართო წრისათვის შემოთავაზებულია პოზიტიური კვლევის სტრუქტურა, რაც მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვისაც, რომელმაც სერიოზულად უნდა მოკიდოს ხელი ამ პრობლემის გადაწყვეტას. ამის დრო კი უკვე ნამდვილად დადგა, რადგანაც ინგლისურ–ამერიკული მოდელი ჩვენს ცნობიერებაში ნერგავს კორუფციასთან ე. წ. ბრძოლის ბუნდოვან და გაურკვეველ რეკომენდაციებს, რომლებიც სინამდვილეში სიღატაკისა და ბიუროკრატის დიქტატის ჭაობში ჩაფლობისაკენ გვიბიძგებენ. აი რატომ უნდა შეასრულოს მეცნიერებამ მნიშვნელოვანი იდეოლოგიური როლი, გახსნას ფარდა და აჩვენოს საზღვარგარეთულ რჩევათა სრული ილუზიორულობა.

კაპიტალისტური სისტემის არსებობის პირობებში მექრთამეობა, რომელიც თან ახლდა ან გარკვეული ფუნქციის შესრულებას, ან თანამდებობრივ ულებამოსილებათა გადაჭარბებასა და ბოროტად გამოყენებას, ან სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობას და სხვა მსგავს ქმედებას, ამ ქმედებასთან ერთობლიობაში აღინიშნება კრებითი ტერმინით "„კორუფცია". სახელწოდებისაგან დამოუკიდებლად, სახელმწიფო მომსახურების უკანონოდ შეძენის საშუალებანი, როგორც ცნობილია, კაპიტალისტურ სისტემამდე დიდი ხნით ადრე წარმოიშვა და, წარმოადგენს რა მის წარმოებულ ფორმას, დღემდე განაგრძობს არსებობას.

კორუფციის კაპიტალისტური სისტემისადმი დაქვემდებარება ურთულესი პროცესია, რომელსაც ამ მოვლენის მთელი ისტორიის განმავლობაში ანალოგი არ გააჩნია. კაპიტალზე მოგების საშუალო

---

558 აღნიშნული თემა განიხილება ნაშრომში: გ. თოდრია. (2007), კორუგციის ცნებისადმი მიდგომა: შესავალი ნარკვევი, კომერსანტი, თბ., თეუსუ, № 3 გვ. 117–123

ნორმის წარმოქმნა არა მარტო ხისტად კარნახობს კორუფციას „ქცევას", არამედ სრულიად ჩქმალავს მის განსაკუთრებულ კავშირს მოგების დაგროვების კანონებთან, „კაპიტალისტური ეკონომიკის პირველად ძრავთან, ანუ გენერატორთან".[559]

საბაზრო ურთიერთობათა ჭრელ მოზაიკაში კორუფციის კავშირს კაპიტალის დაგროვებასთან კონკურენცია წარმოაჩენს როგორც შემთხვევითობათა კონგლომერატს და არა როგორც კანონზომიერ ურთიერთობებს. კონტრაბანდული საქონლის გადაზიდვის მიზნით მებაჟეების, ანდა ტენდერში გასამარჯვებლად ძვირადღირებული ობიექტების დაბალ ფასებში შესაძენად სამინისტროს მოხელეთა მოსყიდვისა და სხვა სახის ფაქტებში მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს კომპანიის მიერ ბაზრიდან მიღებულ მოგებასთან კორუფციის კავშირი. კორუფციის კავშირი კაპიტალის დაგროვებასთან შეიძლება ფრიად გაფერმკთალებულად და არადამაჯერებლად გამოიყურებოდეს იმ კომპანიებისათვის, რომლებსაც წარმატების შემთხვევაში გარკვეული დროით შეუძლიათ არ მიმართონ კორუმპირებულ საშუალებებს.

დარგთა შორის კონკურენცია კიდევ უფრო აფეტიშებს კორუფციის რეალობას, რის შედეგადაც საზოგადოება, როგორც მსხვერპლი, ყურადღების მიღმა რჩება. მონოპოლური ფასების წარმოქმნა სხვა მონოპოლიებზე, საშუალო და წვრილ ფირმებზე ზემოქმედების მიზნით, ტრანსნაციონალურ ან კარტელურ გაერთიანებათა ჩამოყალიბება და მათ მიერ სუსტად განვითარებული ქვეყნების ბაზრების დაპყრობა და ა.შ., კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესები კიდევ უფრო აძნელებენ კორუფციის გამოვლენას, რადგანაც საშუალო და წვრილი ფირმების, ანტიმონოპოლური სექტორის, დაბოლოს, თვით მონოპოლიების ყურადღების ცენტრი გადატანილია თვით კომპანიების, უფრო ზუსტად კი, კაპიტალთა კონფლიქტზე.

დაბოლოს, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, ჯგუფის, მათი შემოსავლების წყაროთა მომცველი კორუმპირებული მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდება, როგორც თანასწორუფლებიანებს, ერთ თაროზე ათავსებს სხვადასხვა წყაროს, კაპიტალის ჩათვლით. ამის შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კორუფცია არ არის დაკავშირებული კაპიტალისტურ სისტემასთან კაპიტალის დაგროვების რაღაც კავშირით, არამედ ადგილი აქვს კორუფციის ათასგზის განმეორებად ცალკეულ ფაქტებს. მხოლოდ ეს „შემთხვევითი კავშირი"

559 К. Р. Макконнелл, С. Л. Брю (2007), Экономикс, М., ИНФРА–М, т. 2, с. 215

არის ერთადერთი დასაყრდენი კორუფციის წარმოშობის და მისი „არსებობის“ დასამტკიცებლად.

ლიტერატურაში არსებული შეხედულებები კორუფციაზე მეთოდოლოგიურად არასრულყოფილია და თეორიულად უნაყოფო. მასში არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ – კორუფციის ახსნა კაპიტალის დაგროვების კანონებიდან გამომდინარე. რეალურ სინამდვილეში კორუფცია გართულებულია მთელი რიგი ფაქტორებით, რაც არ უნდა იქცეს წინაღობად კაპიტალისტურ სისტემაში კორუფციის გაგების საერთო წინაპირობათა ჩამოყალიბების გზაზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სახელმწიფო მომსახურების ყიდვის, როგორც მთლიანად კაპიტალისაგან ნაწარმოები ფორმის, არსის ანალიზი. მხედველობაში გვაქვს კაპიტალის ნაწილი, რომელიც გამოეყოფა მოგებას სახელმწიფო მომსახურების შესყიდვის მიზნით. ამასთან, ეს ნაწილი გამოკვლეულია იმ ზომით, რაც აუცილებელია კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის ანალიზისათვის.

საკმაოდ გავრცელებულია ამერიკელი ეკონომისტების ჰ. ბეკერისა და გ. სტიგლერის თეორია. ამ თეორიის თანახმად არსებობს ფასების ბაზარი. თუ ხელფასი არ პასუხობს მომსახურების ფასს, მაშინ მოხელე ქრთამების აღებით თავად ადგენს ამ ფასს. აქედან გამომდინარეობს მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც მიმართული უნდა იყოს კორუფციასთან ბრძოლისაკენ: საპენსიო სისტემის გაუმჯობესება, საგადასახადო მოსაკრებლების სრულყოფა და ა.შ.[560] მაგრამ ეს თეორია არ ითვალისწინებს იმას, რომ როგორადაც კორუმპირებული მოთხოვნის ცვალებადობა განსაზღვრავს მომსახურეობათა ფასს, ამგვარადვე მომსახურეობათა ფასის ცვალებადობაც შეიძლება განსაზღვრავდეს კორუმპირებული მოთხოვნის ცვალებადობას. ამიტომ ღიად რჩება საკითხი: მაშ რა არეგულირებს მომსახურეობათა კორუმპირებულ ფასს? პრობლემის გადაწყვეტის ფორმულის ძიება საქონლის ბრუნვის სფეროში დიდი შეცდომაა, რამეთუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფასი რეგულირდება ღირებულების კანონით, რომელიც ვლინდება ბრუნვის სფეროში, ფასებში. კორუფციის საზომს შეფარულად ადგენს კაპიტალის დაგროვების კანონი, სწორედ აქ არის დამარხული „ძაღლის თავი“. ამ ფუნდამენტური დებულების იგნორირებას დღემდე მიჰყავს მეცნიერები კორუფციის საზომის ძიების პრობლემასთან, რომელიც ჯერ-ჯერობით

560 G. Becker, J.Stigler (1974), Law Enforcement, alfeasance, and Compensationof Enforcers, Journal of Legal Studies, Vol. 3(1), pp. 1–18.

გადაწყვეტილი არ არის.[561]

წინამდებარე შრომაში ჩვენ ვცდილობთ სხვაგვარად მივუდგეთ კორუფციის საკითხს: როგორ განსაზღვრავს კაპიტალის განვითარება კორუფციის ცვალებადობას, როგორ დგინდება კორუფციის საზომი?

მოგების კორუმპირებული, ასევე, მთელი მისი დანარჩენი ნაწილი სხვადასხვა კუთხიდან ხასიათდება. მოსამსახურე იღებს მოგების ნაწილს საკუთარი შემოსავლის სახით იმის გამო, რომ მას უფლება აქვს, შეასრულოს სახელმწიფო ფუნქცია, ხოლო მეწარმე ითვისებს თავის შემოსავალს იმის გამო, რომ იგი კორუმპირებული ხარჯების წყალობით იღებს მოგებას. ყველა შემთხვევაში მოსამსახურის კორუმპირებული შემოსავალი გამოიყოფა შემოსავლის რაღაც ნაწილად. აი რატომ არის აუცილებელი ქრთამის კვლევა წარმოების კაპიტალისტური წესის ბაზაზე მისი (ქრთამის) მოძრაობის ფორმების თავისებურებებიდან და ქრთამის მიცემის არსიდან გამომდინარე.

6.6.1.2. კორუფციის წარმოშობა

კვლევის საგანი. ანალიზის მოცემულ სტადიაზე ივარაუდება, რომ მოსამსახურის კორუმპირებული შემოსავლის წყაროს წარმოადგენს კაპიტალის ნაწილი, რომელიც გამოიყენება მოგების მისაღებად მოსყიდვის გზით. საწყისი სახით, მოგების „კორუმპირებული" და „არაკორუმპირებული" ნაწილები ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება. მაგრამ, რადგანაც სახელმწიფო მოსამსახურის მოსასყიდად გადანახული მოგების ნაწილი გვევლინება მოხელის „შემოსავლის" განსაკუთრებულ სახედ. იგი იძენს, ასევე, განსაკუთრებულ ფორმას. სწორედ ამით განსხვავდება იგი სხვა კატეგორიის შემოსავლისაგან.

კორუმპირებული შემოსავალი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვევლინება კაპიტალის მოძრაობის შედეგად. აქედან ნათელია, რომ თეორიული თვალსაზრისით კორუმპირებული შემოსავალი შეიძლება გავაცნობიეროთ ქრთამის მიცემის ფორმის სახით მოგების გამოყოფის ანალიზის საფუძველზე. ამიტომ კორუმპირებული შემოსავლისადმი მიდგომისას, მეთოდოლოგიურად უნდა ამოვიდეთ ქრთამის გადაცემის აქტიდან. აი რატომ არის საჭირო კორუმპირებული

561 E. Dimant (2013), The Nature of Corruption: An Interdisciplinary Perspective, Economics Discussion Papers, N 59

შემოსავლის ისეთი თვისებრივი ასპექტების კვლევა, როგორებიცაა: 1) ქრთამის გადაცემის ფორმა; 2) მისი გადაცემის არსი; 3) ქრთამის „ფსონი".[562]

კვლევის თანამიმდევრობა.

მოგების კორუმპირებული ნაწილისათვის, რომელმაც მოხელის შემოსავლის ფორმა მიიღო, ამოსავალი პუნქტია ქრთამის მიცემა, ხოლო საბოლოო კი – შემოსავლის გაზრდა. ამ პროცესში შემოსავლის კორუმპირებული ნაწილის მოძრაობა განსაკუთრებულ თვისებრივ მახასიათებლებს იძენს. ამიტომ კვლევა უნდა იწყებოდეს კორუმპირებული მასის ან მომსახურების მოძრაობის თავისებურებების ანალიზით.

წინასწარ განვიხილოთ იმ კაპიტალის მოძრაობა, რომელიც წარმოქმნის ქრთამს. ფაქტის იმ გაგებიდან, რომ მოხელის კორუმპირებული შემოსავალი არის მოგების მომცემი კაპიტალისაგან წარმოებული ფორმა, გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: მოგება რომ არ ყოფილიყო, არც მოხელის შემოსავალი იქნებოდა. ცხადია, რომ ქრთამის მომტანი კაპიტალის მოძრაობა არის ქრთამის გადაცემის ფორმა, ე.ი. მოგების ნაწილის გამოყოფა ქრთამის მისაცემად არის სწორედ იმ კაპიტალის მოძრაობა, რომელმაც უნდა იყიდოს სახელმწიფო მომსახურება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი წარმოშობით, მოგების კორუმპირებული ნაწილი მოგების სხვა ნაწილებისაგან არაფრით განსხვავდება. მაგრამ მათ შორის მაინც არსებობს განსხვავება. კორუმპირებული მოხელისათვის მოგების ეს ნაწილი იძენს შემოსავლის, ხოლო მეწარმისათვის – დანახარჯის ფორმას. აძლევს რა ქრთამს, მეწარმე ნაკლებად ინტერესდება იმით, თუ როგორ დახარჯავს მოხელე ამ თანხას. ასეთივე გულგრილობას ამჟღავნებს მოხელე მოგების შემდგომი მოძრაობის მიმართაც. ამასთანავე, თუ მოგების კორუმპირებული ნაწილი მოხელის ჯიბეში ილექება, დანარჩენი ნაწილი აგრძელებს მოძრაობას კაპიტალის დაგროვების გზაზე. სწორედ ეს განსხვავება გამოარჩევს კორუფციის წარმომქმნელი კაპიტალის მოძრაობას. მოგების ეს ნაწილი მოხელის შემოსავლის ფორმის სახით უშუალოდ რეგულირდება კორუმპირებული მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობით, ხოლო როგორც მოგების დანარჩენი ნაწილი, მოგების საშუალო ნორმის კანონებს

562 „ფსონის" ოდენობის განხილვას ჩვენ დაუბრუნდებით იმ დროს, როდესაც ქრთამის რაოდენობრივი დახასიათების საკითხი დაისმება.

ემორჩილება. სწორედ კორუმპირებული შემოსავლის ფორმით კაპიტალის მოძრაობა აკუმულირდება ისეთ მოვლენაში, რომელიც თითქოს კაპიტალის მთელი სამყაროს მოძრაობისაგან, კაპიტალისტური სისტემისაგან დამოუკიდებლად კარგავს კაპიტალის ბუნებას.

ქრთამის გადაცემის არსი.

ქრთამის მატერიალური განსახიერება შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვა, მოხელის თანამდებობაზე დაწინაურებიდან დაწყებული და ძვირფასი საჩუქრით დამთავრებული. მაგრამ თითოეულ ასეთ ნივთიერ მატარებელს, საბოლოო ანგარიშში, ფულადი გამოსახულება უნდა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, ნაჩუქარი ბრილიანტების ელვარებას არ ძალუძს დაფაროს მათი პროზაული წარმომავლობა. ამრიგად, ნებისმიერ შემთხვევაში ქრთამის სახით გადასაცემენ ფულს. იურისტისათვის ამ ფაქტის კონსტატაცია საკმარისია, რადგან დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა შესრულებულია, კრიმინოლოგისათვის კი შეიძლება სულაც არ იყოს დამაკმაყოფილებელი, რადგან არ არის პასუხი კითხვაზე: რა გადაეცემა მოხელეს ფულის სახით?

დაუშვათ, რომ 1200000 დოლარის ოდენობის კერძო კაპიტალი მოგების 15–პროცენტიანი საშუალო ნორმით წელიწადში 180000 დოლარს შეადგენს, ხოლო 800000 დოლარის ოდენობის კაპიტალი – 120000 დოლარს. სწორედ კერძო კაპიტალის დარჩენილი საერთო ღირებულებიდან მეწარმე გამოიანგარიშებს გადასახადებს პროცენტებზე, სესხებზე, ქრთამებზე, აგრეთვე, რაღაც მოგებას.[563] ცხადია, რომ წინადადების ღირებულება კორუმპირებული გარიგების საფუძველზე პირველ შემთხვევაში უფროა შესაძლებელი, ვიდრე მეორეში, რადგან მოგების საშუალო ნორმა ამცირებს ფირმის შემოსავალს.[564]

ამრიგად, კომპანიის შემოსავალი, რომელიც სხვადასხვა მიზნის შესაბამისად, ასევე, სრულიად სხვადასხვა ნაწილად იყოფა, კორუმპირებული ნაწილის ჩათვლით, მთლიანობაში უნდა წარმოადგენდეს მოგების საშუალო ნორმის წილს. გადასცემს რა ფულს მოხელეს, ქრთამის მიმცემი აძლევს მას კაპიტალის ნაწილს, რომელიც შეესაბამება მოგების საშუალო ნორმის მოთხოვნებს, აძლევს იმ რაოდენობით, რომ ბაზარზე იგი არ გაიჭყლიტოს მოგების საშუალო ნორმის (კონკურენციის) კანონების ქვეშ. ცხადია, რომ ქრთამის არსი არის

563 გაანგარიშება განხორციელდა წიგნიდან: Э.Долан, Д.Линдсей (1992), Рынок: микроэкономическая модель, С.–П., с. 394

564 . С.Аккерман. Коррупция и государство. М., «Логос», 2003,с. 88

სწორედ მოგების საშუალო ნორმა. ხატოვნად რომ ვთქვათ, ქრთამის ფორმით იფარება კაპიტალი, რომ კვლავ აღდგეს კაპიტალად.

ქრთამი, როგორც მოხელის შემოსავალი.

ქრთამი წარმოადგენს მოგების ნაწილს, რომელიც გვევლინება მოხელის შემოსავლის სახით და ზედაპირზე თითქოს მოგებისაგან დამოუკიდებლად არსებობს სამომხმარებლო მოთხოვნის ფორმით. მაგრამ ქრთამის არსის მახასიათებლის თვალსაზრისით, მოქმედებს სხვა კანონზომიერება: კორუმპირებული შემოსავალი წარმოადგენს საშუალო მოგების ნაწილს (წილს), რომელსაც წარმოქმნის კონკურენცია. მაშასადამე, კორუმპირებული შემოსავალი, საბოლოო ანგარიშში, მთლიანად ემორჩილება საშუალო მოგების კანონებს და არა მოხელის სურვილებს (ან პირადი მიზნებისათვის, ან ანტიკორუფციულ პროგრამაში და ა.შ.), როგორც ეს იურისტებს მიაჩნიათ.[565]

6.6.1.3. ქრთამის გამოყოფა მოგებისაგან. ქრთამის განაკვეთი

კვლევის საგანი.

ახლა განვიხილოთ ორი არსებითი საკითხი: 1) როგორ გამოეყოფა კორუმპირებული შემოსავალი მოგებას და 2) როგორ ხდება „ფსონის" ოდენობის რეგულირება.

კვლევის თანამიმდევრობა.

უპირველესად, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კორუმპირებული შემოსავლის მერყეობის ზღვარს, ე.ი. იმ თანხის ზღვარს, რომელიც ქრთამად იქცევა, წარმოადგენს მოგების საშუალო ნორმა. აქედან გამომდინარეობს უმნიშვნელოვანესი დასკვნა იმ ტენდენციის შესახებ, რომელსაც არ ითვალისწინებს კრიმინოლოგთა უმრავლესობა ქრთამის ოდენობის ეპიზოდურ ილუსტრაციებში. სახელდობრ, დასკვნა იმის შესახებ, რომ, თუ საშუალო ნორმა მცირდება, ასევე, მცირდება კორუმპირებული შემოსავალიც. სწორედ ამ მიმართულებით უნდა გადაწყდეს შემდეგი პრობლემური საკითხი: როგორ და რით არის განპირობებული მოხელის შემოსავლის სიდიდის მერყეობა დასახელებულ ზღვრს შიგნით? შევნიშნავთ, რომ კაპიტალისტურ სისტემაში კორუფციის ზრდის შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ლოკალურ ჭრილში. იგი არასოდეს გამოირჩევა უზომო

565 გ.თოდრია (2007), ანტიკორუფციულ პროგრამებში კორუფციული მიწოდების არსის საკითხვისათვის, თეუსუს ჯურნალი, „კომერსანტი", № 1(2), გვ. 113–122

ზრდით, რადგან ეკონომიკის განვითარების კვალობაზე მოქმედებს მოგების საშუალო ნორმის ვარდნის და, მაშასადამე, კორუფციის ზრდის შემაკავებელი ფაქტორები.

მოგების დაყოფა კორუმპირებულ და სხვა ნაწილებად.

კორუფცია არ წარმოადგენს კაპიტალისტური სისტემის პროდუქტს, მაგრამ მის იმანენტურ ფორმად იქცევა მაშინ, როცა მოგება იწყებს გამოყოფას ქრთამისათვის. აქედან გამომდინარეობს ორი მნიშვნელოვანი დასკვნა: 1) კორუმპირებული შემოსავალი ჩნდება მოგების საშუალო ნორმის მეშვეობით და, საბოლოო ანგარიშში, ემორჩილება მას; მოგების საშუალო ნორმის ვარდნისას, მცირდება კორუმპირებული შემოსავლის ოდენობაც; 2) კორუმპირებული შემოსავალი წარმოადგენს მოგების საშუალო ნორმის მხოლოდ ნაწილს. მაშასადამე, მთელის (მოგების საშუალო ნორმის) განმსაზღვრელი ფაქტორები ჯერ კიდევ არ განსაზღვრავენ უშუალოდ მის ნაწილს (კორუმპირებული შემოსავლის ოდენობას). ამიტომ ეს ოდენობა შეიძლება სულ სხვადასხვა იყოს, მაგრამ ვერ გადააჭარბებს მოგების იმ წილს, რომელიც მეწარმემ მიიღო კონკურენციის შედეგად.

„ფსონის" ოდენობა ყველა კონკრეტულ მომენტში განისაზღვრება კორუმპირებული მოთხოვნისა და მიწოდების შემთხვევითი შეფარდებით. რაოდენობრივი თვალსაზრისით „ფსონის" ოდენობა განუსაზღვრელი სიდიდეა. მაგრამ ყველა კონკრეტულ მომენტში და შემთხვევაში იგი წარმოადგენს ზუსტად ფიქსირებულ სიდიდეს. „ფსონის" ოდენობა დგინდება არათვითნებურად, თუმცა, – წინასწარ. სწორედ ეს თავისებურება ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს კორუმპირებული შემოსავალი არანაირად არ არის დაკავშირებული კაპიტალის დაგროვების კანონებთან და თითქოს ზემოდან დაჰყურებდეს კორუმპირებული გარიგების მონაწილეებს. ასეთი წარმოსახვის ბურუსშია გახვეული მსოფლიოს რიგი ქვეყნების სხვადასხვა ანტიკორუფციული პროგრამა, სადაც კორუფციასთან ბრძოლა დაკავშირებულია ან სახელმწიფო პერსონალის წმენდასთან, ან იმ ფაქტორებთან, რომლებიც მოჩანს კაპიტალის დაგროვების პროცესების გარეთ.

6.6.1.4. ქრთამი და მოგება

კვლევის საგანი.

წარმოადგენს რა მოგების რაოდენობრივად ორ ნაწილს, კორუმპირებული შემოსავალი და სამეწარმეო ხარჯები ზედაპირზე ერთმა-

ნეთისათვის უცხო ფორმების სახით წარმოგვიდგებიან, თითქოს მათ შორის არაფერი იყოს საერთო. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენს წინაშეა ორი გარდასახული ფორმა. ამრიგად, მეცნიერების წინაშე დგას ამოცანა: წარმოაჩინოს მათი ერთიანი არსი, საერთო წარმომავლობა.

კვლევის თანამიმდევრობა.

მოგებისაგან ქრთამისათვის განკუთვნილი ნაწილის რაოდენობრივი გამოყოფის შედეგად წარმოიშობა ფორმები ახალი თვისებრივი მახასიათებლებით. თუ მოგება იძენს გარდასახულ ფორმებს მოხელის კორუმპირებული შემოსავლისა და ქრთამისათვის განკუთვნილი ხარჯების ნაწილის სახით, მაშინ წინასწარმა მეცნიერულმა ძიებამ უნდა დაახასიათოს ხსენებული ფორმების საწყისი მომენტი.

კორუფციის წარმოქმნის საწყისი მომენტი.

მოგება, რომელიც მიიღება ავანსირებული კაპიტალიდან საშუალო ნორმის მიხედვით, ბიზნესმენების სურვილის, მოხერხებულობის, წესიერების, განთავსებული კაპიტალის თავისებურებებისა და სხვა ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად, ნაწილდება ბაზრის ეკონომიკური სისტემის მკაცრი ობიექტური კანონების მიხედვით. არც ერთი მეწარმე არ არის დაზღვეული ქრთამის მიცემისაგან, თუ მას გაკოტრების საშინელება ან კაპიტალური მოგების მკვეთრი შემცირება ემუქრება. შემთხვევითი როდია, რომ კაპიტალთა დაპირისპირების გამოაშკარავებისას, ქრთამი ყოველთვის გვევლინება კორპორაციულ დანაშაულთა მომენტად. მაშასადამე, კორუფციის წარმოქმნის ამოსავალ მომენტს წარმოადგენს კაპიტალის დაგროვება, საბაზრო დაპირისპირება. გაითვალისწინება თუ არა თანხა „შავი დღისათვის“, გადადინდება თუ არა იგი მოხელის ჯიბეში ან მიიღებს მისი შემოსავლის ფორმას – ყველაფერი ეს დამოკიდებულია „მის უდიდებულესობა“ მოგების საშუალო ნორმის კანონზე, რადგან ძირითადი მასალა, რომლითაც იგება ქრთამი, არის კაპიტალი (მოგება).

ამასთანავე, ეს კანონზომიერება ზედაპირზე სხვაგვარადაა წარმოდგენილი. აძლევს რა ქრთამს, მეწარმე განსაზღვრავს გარკვეულ „ფსონს“, რომელიც წარმოიქმნა მისი მინაწილეობის გარეშე და თითქოს არსებობდა მის სამეწარმეო საქმიანობამდე. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდება კონკრეტული მოხელეც, რომელსაც არ ძალუძს, ახსნას „ფსონის“ წარმომავლობა, რადგან იგი მხოლოდ ჭანჭიკია ხელისუფლების იერარქიაში. ყველა შემთხვევაში განაკვეთის ოდენობა ამ პროცესის ყველა მონაწილისათვის არის გარედან

მოცემული სიდიდე. ამრიგად, მოგება აღიქმება კორუმპირებული „ფსონის" ცვალებად ფორმაში, რომელსაც არაფერი აკავშირებს კაპიტალის დაგროვებასთან.

ანალოგიურ ცვალებადობას განიცდის წარმოების ხარჯები ქრთამის სახით. ქრთამისათვის ავანსირებული კაპიტალის რაღაც ნაწილი ყოველთვის ითვლება ქრთამის მიღების პირობად. მაგრამ მოგების ამ ნაწილის ანალოგიურად მეწარმე ითვალისწინებს საბაზრო ურთიერთობათა ყველა ფაქტორსაც, რაც ტიპურია მიმოქცევის პროცესისათვის, სადაც ხდება კაპიტალის რეალიზაცია. ამრიგად, მის ცნობიერებაში ყალიბდება ეკლექტიკური წარმოდგენა ქრთამზე როგორც ავანსირებული კაპიტალის ნაწილზე, რომელმაც მრავალ ფაქტორთან ერთობლიბაში უნდა უზრუნველყოს მოგების მიღება. ასეთი წარმოსახვით, გამოიდევნება კაპიტალის დაგროვება როგორც ერთიანი პროცესი და მის ნაცვლად კავშირთა ქაოსის სახე მკვიდრდება. მეორე მხრივ, მოგების საშუალო ნორმა არწმუნებს მას იმაში, რომ მოგება რეგულირდება მისთვის იდუმალი ბაზრის ძალით და ამრიგად, იგი არ არის დამოკიდებული ავანსირებული კაპიტალის ოდენობაზე, მოხელის ჯიბეში ჩადებული ფულის ჩათვლით. ამ დონეზე არა მარტო გამოიდევნება ეკლექტიკური წარმოდგენა, არამედ უფრო მეტიც – მთლიანად უარყოფილია ქრთამის კავშირი კაპიტალის დაგროვებასთან. ამრიგად, კორუფცია მოკლებულია ახსნის მყარ საფუძველს.

სხვადასხვა გარემოების გამო მეწარმეს არ შეუძლია, მთლიანად მიითვისოს მოგება. მისი ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია გადასახადების, პროცენტების გადასახდელებისა და სხვა დანიშნულებისათვის, შეიცავს აგრეთვე, კორუმპირებულ ნაწილს, რომელიც მეწარმემ უნდა გადადოს ბაზარზე უკანონო სარგებლის მისაღებად. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, მოგების დანაწევრება შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ორი შემადგენლის: მოგების კორუმპირებული და დანარჩენი ნაწილების ერთობლიობა. მოხელისათვის მიღებული „შემოსავალი" არის გასამრჯელო იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გაუწია მეწარმეს კონკურსის, პრივატიზაციისა და სხვ. ჩატარებისას, მეწარმისათვის კი გაცემული კორუმპირებული თანხა არის დანახარჯი, რომელიც მან გაიღო ბაზარზე წარმატების მისაღწევად.

6.6.2. კორუფციის თავისებურებანი კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვებისას.[566]

კორუფციული დანაშაულობა ცხადყობს, რომ კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების დროს მისთვის დამახასიათებელია კორუფციული „მომსახურება“, რაც საზოგადოებას თავს ეხვევა კორუფციული „მიწოდების“ სახით. მაგრამ ეს ფორმა პასიურად არ იქმნება. იგი უკუქმედებას ახდენს არაეკონომიკურ იძულებაზე, აფეტიშებს მის გამოვლენას. ასეთ გაფეტიშებულ მოვლენებს მიეკუთვნება:

- კორუფციის სტრუქტურა, რომელიც წარმოიშობა კორუფციული მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთკავშირით;

  ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო მომსახურების „ყიდვა-გაყიდვასთან“;

  კორუფციული მიწოდებისა და მოთხოვნის ღირებულების გამოხატულება;

  სახელმწიფო ორგანოების კორუფციისადმი დამოკიდებულება.[567]

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაფეტიშებულ ფაქტორთა შორის გამოიყოფა კორუფციის სტრუქტურა. მრავალი ე.წ. ანტიკორუფციული პროგრამა სწორედ ამ ფეტიშის ზეგავლენით იქმნება. ასე, მაგალითად, რუსეთის ფირმების მხრიდან ამერიკელი თანამდებობის პირების მოსყიდვის შემთხვევების (კორუფციული მოთხოვნილების) ზრდის მიზეზად თვით ამ ფირმების საქმიანობას აცხადებენ.[568] თუ ასეთი მოთხოვნა მოსახლეობიდან მომდინარეობს, მაშინ მიზეზს მათი სამართლებრივი იმუნიტეტის დაცემაში ხედავენ და ა.შ. ანალოგიურად მსჯელობენ კორუფციული მიწოდების მიზეზების ახსნის შემთხვევაშიც. გამოძალვის შემთხვევათა მატების მიზეზს კი სახელმწიფო მოხელეთა ქმედებაში ეძებენ (მათი ექსკლუზიური უფლებების არსებობა, შეღავათიანი კრედიტების გაცემა და ა.შ.). ამგვარად, კორუფციის სტრუქტურის ანალიზისას მხოლოდ იმ ზედაპირულ მომენტებს წარმოაჩენენ, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული

---

566 აღნიშნული თემა ასახულია ნაშრომში: გ.თოდრია (2007), კორუფციის თავისებურებანი კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების პერიოდში, კომერსანტი, თბ., თეუსუ, № 1, გვ. 102–123

567 აღნიშნული კანონზომიერა უნივერსალურ ხასიათს ატარებს, ამიტომ საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნების ფაქტებსაც დავეყრნობით.

568 საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება (2015), საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბ.

სახელმწიფო მომსახურების „ყიდვის" ან „გაყიდვის" მოთხოვნილებასთან. საკითხისადმი ასეთი მიდგომისას მთელი ანტიკორუფციული ბრძოლა გაურკვეველ ხასიათს ატარებს, რადგანაც მუდმივად იცვლება ლოკალური მიზეზების ცვალებადების გამო.

კორუფციული მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთკავშირის მერყეობას მრავალი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი განაპირობებს. ერთ შემთხვევაში კორუფციული მოთხოვნა აჭარბებს კორუფციულ მიწოდებას (მაგალითად, ენერგეტიკული დარგის ხელში ჩაგდების მცდელობისას), ხოლო სხვა შემთხვევაში კორუფციული მიწოდება – მოთხოვნას (მაგალითად, სამართალდამცავ ორგანოებში). ნათელია, რომ ურთიერთკავშირის პირველი ტიპის მიზეზი ვერ გამოდგება მეორე ტიპის ურთიერთკავშირის ასახსნელად. მხოლოდ მიწოდების ან მოთხოვნის დომინირების ფაქტების ცალმხრივი დანახვით არასდროს მოიძებნება ის სოციალური კანონი, რომელიც არეგულირებს კორუფციული მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობას. ამგვარად, ცხადია, რომ ანტიკორუფციული პროგრამის აგება ამ მასალაზე დაყრდნობით მისი მიზანდასახულობის უსუსურობას ნიშნავს.[569]

გამაფეტიშებელ ფაქტორთა შემდეგ ჯგუფს მიეკუთვნება ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო მომსახურების „ყიდვა-გაყიდვასთან".

სახელმწიფო მომსახურება, ხდება რა „ყიდვა-გაყიდვის" საგანი, გარკვეული აზრით, „საქონლად" იქცევა. შესაბამისად, აქვს ღირებულებითი გამოვლენა. ამიტომ დადგენილი „ფსონის" ნორმა ეკონომისტებისა და კრიმინოლოგების მიერ კორუფციის შესაფასებლად გამოიყენება, რაც ერთობ საეჭვოა მეცნიერული თვალსაზრისით. მაგალითად, „ფსონის" გაზრდა 80 ათასი დოლარიდან 120 ათას დოლარამდე არაფერს გვეუბნება, თუ არ არის ცნობილი, რას ასახავს ეს ფასი. უფრო მეტიც, წარმოიშობა სერიოზული სირთულე კორუფციული მომსახურების ფასისა და მის გავრცელებას შორის კავშირის დადგენისას. განსაზღვრული კორუფციული მოთხოვნილება შეიძლება აისახოს სახელმწიფო მომსახურების სრულიად სხვადასხვა „გაყიდვის" აქტში, მაგრამ ერთი და იგივე გასაყიდ ფასში („ფსონში"). ამასთანავე, ეს ფასი („ფსონი") შეიძლება იცვლებოდეს

569 A. Vannucci (2017), Challenges in the study of corruption: approaches and policy implications, CAPA, Vol. 13,№ 1: https://seer.imed.edu.br/index.php/revistadedireito/article/view/1809/1121

სახელმწიფო მომსახურების „გაყიდვის“ აქტების რაოდენობისაგან დამოუკიდებლად.

ამრიგად, „ყიდვა-გაყიდვის“ აქტების გარკვეულ რაოდენობასა და მათ კორუფციულ ფასს („ფსონის“) შორის არ არსებობს არავითარი ლოგიკური კავშირი. უფრო მეტიც, თუ მათ შორის არსებობს რამე კავშირი, იგი მხოლოდ განსაკუთრებულ ფაქტორებს ემყარება, რომლებსაც ვერ ხედავს ვერც ქრთამის მიმცემი და ვერც მისი ამღები. ქრთამის მიმღებს შეუძლია მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატირება, რომ „თითოეულ ჩინოვნიკს აქვს თავისი „ფასი“, ხოლო ქრთამის ამღებს – მხოლოდ იმის მტკიცება, რომ მას არ ახსოვს რამდენჯერ აიღო ქრთამი, რადგანაც იგი მრავალჯერ აიღო“.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ფაქტორის კვალი შეიძლება უცბად აღმოვაჩინოთ, თუ დავაკვირდებით იმ უდავო ფაქტს, რომ რამდენადაც ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ხდება საწარმო, იმდენად იზრდება მოგების კორუფციული ნაწილი. ეს კანონზომიერება ვლინდება იმით, რომ მომპოვებელ დარგებში, რომლებიც ყველაზე მომგებიანია კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პერიოდში, იზრდება კორუმპირებული მოთხოვნა. როგორც კრიმინოლოგები აღნიშნავენ, მოგების დაახლოებით 50 პროცენტი მეწარმეებს გადადებული აქვთ ქრთამისათვის.[570] მოქმედ საწარმოებში ყოველწლიურად დაახლოებით 60 მლრ დოლარით იზრდება მოგების კორუმპირებული ნაწილი.[571]

ამგვარად, იქ სადაც წარმოიქმნება ეკონომიკური განვითარების პირველი მანიშნებელი, ფეხზე დგება ეკონომიკური იძულება და ავტომატურად იზრდება კორუმპირებული მოთხოვნა. პირიქით, ეკონომიკური იძულების (საბაზრო ეკონომიკის) შეკვეცა სივრცეს აძლევს კაპიტალის დაგროვების არაეკონომიკურ მეთოდებს და ამის შედეგად – კორუმპირებული მიწოდების ზრდას. ასეთ სიტუაციაში საქართველოში ქრთამის ამღებთა შორის ჭარბობენ სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების მოხელეები და ა.შ.[572]

---

570 М.Н. Зотов (2001), Роль органов предварительного следствия в борьбе с коррупцией, Сб.: Коррупция: политические, экономические, организационные и правовые проблемы, М., «Юрист», с. 41

571 ზ. ჭეიშვილი (2001), ჩრდილოვანი ეკონომიკის თავისებურებები გარდამავალი პერიოდის საქართველოს ეკონომიკაში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, № 54

572 ნ. ივანოვა (2003), კორუმპირებული დანაშაულობა, კრიმინოლოგია და სამართალდამცავი ორგანოები, აშშ & საქართველო, თბ, გვ. 285

აქედან გამომდინარეობს, რომ განსაკუთრებული ფაქტორი, რომელიც აკავშირებს სახელმწიფო მომსახურების „ყიდვა-გაყიდვის“ აქტების მრავალფეროვნებას და მის ღირებულებით გამოვლენას, არის კაპიტალის დაგროვება, ჩვენ შემთხვევაში კი – არაეკონომიკური იძულების ზრდა (ან შემცირება), როგორც ე.წ. კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება.

როგორც აღვნიშნეთ, კორუმპირებული მიწოდების ან მოთხოვნის ღირებულების ფორმა გვევლინება იმ ფაქტორის სახით, რომელიც ხელს უწყობს კორუფციის გაფეტიშებულ წარმოჩენას. ეს საკითხი ჩვენს მიერ განხილული იყო მხოლოდ სახელმწიფო მომსახურების „ყიდვა-გაყიდვისა“ და მისი გავრცელების კუთხით, ე.ი. კორუფციული მომსახურება გაანალიზებული იყო მხოლოდ „მოვლენის“ და არა „არსის“ დონეზე. ამჯერად კვლავ შევჩერდებით მისი ღირებულებით ფორმის განხილვაზე, მაგრამ სხვა კუთხით, კერძოდ, ვიმსჯელებთ მასზე, როგორც არაეკონომიკური იძულების იმანენტურ ელემენტზე.

მრავალი ქვეყნის კრიმინოლოგთა გამოკვლევებით ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კორუფციული მოთხოვნის ზრდის შესაბამისად, იზრდება მომსახურების ფასი, ხოლო ასეთი მოთხოვნილების შემცირება ან მისი არქონა, შესაბამისად, იწვევს კორუფციული მომსახურების შემცირებას. მიუხედავად ამ ტენდენციების ლოკალური ხასიათის სიცხადისა, მაინც ვერ ხედავენ კორუფციული მომსახურების ფასების რეალურ სიდიდეს და მის არსს ურთიერთგამომრიცხავად ხსნიან. უმრავლესობისათვის გაუგებარია კორუმპირებული მომსახურების ფასების ბუნება, თუმცა, მათ მიერ მოყვანილი ფაქტები გარკვეულ პასუხებსაც შეიცავს. თუ დავუშვებთ, რომ ქვეყანაში მეწარმეები „y“ მოგების მისაღებად ქრთამისათვის განკუთვნილი ფულის საშუალოდ „x“ მასას ხარჯავენ, მაშინ, შესაბამისად, უნდა დავუფიქრდეთ კორუფციული ფასის ასეთ უჩინარ გაშუალედებას. სამწუხაროდ, ხდება ამ არსებითი ფაქტის მხოლოდ კონსტატირება და არა ახსნა.[573] მკვლევარები ვერ ხედავენ, რომ არაეკონომიკური ზომები კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების სტადიაზე არამარტო ხელს უწყობს კორუფციის ზრდას მომსახურების თავზე მოხვევის სახით, არამედ ამავდროულად განაპირობებს ასეთი მომსახურების საშუალო ფასის დაცემას. ამ მიმართულებით მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

573 В.В. Лунеев (1997), Преступность XX века, М., «Норма», с. 76

ახალი, დამოუკიდებელი კაპიტალის წარმოქმნა წარმოების მეტად ვიწრო დარგებში;

ნვრილი კაპიტალის მისწრაფება შეინარჩუნოს თავისი არსებობა სხვადასხვა კორუფციული ავანტურის მეშვეობით და ამით დაეყრდნოს არაეკონომიკური იძულების არსებობას;

კაპიტალის განუვითარებლობა, რის შედეგად არ იზრდება საწარმოს დანახარჯები და ქრთამისათვის განკუთვნილი თანხის ნაწილი;

მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობა.

მართალია, კაპიტალის არაეკონომიკური დაგროვების მექანიზმმა შეიძლება დროებით გაზარდოს კორუფციული მოთხოვნა, მაგრამ ეკონომიკური განვითარების შეჩერება არსებითად ამცირებს მოსახლეობის გადახდისუნარიანობას და განაპირობებს კორუფციული ფასის დაცემას. ეს ტენდენცია შეიმჩნევა წარმოების შეკვეცის ტიპურ სქემაში: შეძენილი პროდუქციის სიძვირე, დამზადებული პროდუქციის დაბალი ფასი, წარმოების დანახარჯების ზრდა (რაც სპეციალურად არ საბუთდება), კრედიტორთან წინასწარ შეთანხმებით ვალის ხელოვნურად გაზრდა და ყოველივე ამის შედეგად – სასამართლოს მექანიზმის გამოყენებით (საპრივატიზაციო სიაში საწარმოს ქონების აღრიცხვის გარეშე) საწარმოს კრედიტორისათვის გადაცემა. ასეთია 1000-ზე მეტი საწარმოს ბედი, მათ შორის, ისეთი მსხვილი ობიექტისა, როგორიცაა ს.ს. „აზოტი“ და ა.შ.

უდავოა, რომ ე.წ. კრედიტორთან წინასწარი შეთანხმება, სხვადასხვა კლანური დაჯგუფის ბრძოლა საწარმოს ხელში ჩასაგდებად ადიდებს ბნელი საქმიანობის კორუფციულ „ფსონს“, მაგრამ მხოლოდ დროებითი ეპიზოდია, რადგან საწარმოს ჯართის სახით გაყიდვა – ფაქტობრივად გარკვეული მოგების მიღება – ემყარება ეკონომიკის განვითარების შეჩერების, საბოლოო ჯამში კი – კორუფციული მინოდების შენარჩუნებას.

არაეკონომიკური იძულების მეთოდების ბატონობის პერიოდში კორუფციული მოთხოვნის კორუფციულ მინოდებაზე ჭარბობა შემთხვევითობაა. ამას თვალნათლივ ადასტურებს მრავალი ფირმის ისტორია, მათ შორის, „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა“. როგორც გაზეთი „ახალი ვერსია“ აღნიშნავს, ეკონომიკური წარმატების გარდა, ამ ბანკისათვის უცხო არ იყო თანამდებობის პირებისა და მათი ახლობლების პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. როგორც წესი, „ფსონი“ არ იყო 300 ათას დოლარ-

ზე ნაკლები. მაგრამ ამანაც ვერ უშველა ბანკს. მისი წარმატებული განვითარების შესაჩერებლად და ამ ბანკის მომსახურებაში მყოფი საწარმოების ხელში ჩასაგდებად კლანებმა შეიმუშავეს ბანკის გაკოტრების სასამართლო და სხვა სახის ღონისძიებები, რის შედეგად ყველაფერი „თავის ადგილზე" დადგა.[574]

დაბოლოს, განვიხილოთ ისეთი გაფეტიშებელი ფაქტორი, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულება კორუფციისადმი. ემპირიულად ეს დამოკიდებულება სხვადასხვანაირია. მათ მიეკუთვნება: კორუფციის ფაქტების დამალვა, სახელმწიფო მოხელეების მონაწილეობა ამ მოვლენის ლატენტურობის ზრდაში, მათი ემოციურობა და გაღიზიანება როგორც საზოგადოებისაგან „დაზარალებული" პირებისა და ა.შ. ამ მოვლენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ობივატელურ (მათ შორის, პოლიციურ) აზროვნებას, რომელიც სახელმწიფო მომსახურების „ყიდვა-გაყიდვას" „კორუფციის" მეტად ბუნდოვანი ცნების სახით წარმოაჩენს. ასეთი არაერთაზროვანი განსაზღვრება მცირეოდენი მეცნიერული ანალიზის დროსაც კი ვერ უძლებს კრიტიკას, რადგანაც არ განმარტავს, რა იგულისხმება კორუფციის ცნებაში – კორუფციული წინადადება, თუ კორუფციული მოთხოვნილება.

არადა, ზუსტი პასუხი ამ მიმართულებით აუცილებელია, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული კორუმპირებული მიწოდების სახით კორუფციის „კვლავ-წარმოების" ტენდენციის შესახებ საკითხის გარკვევა. ამ ტენდენციის არცოდნა კორუფციის მრავალი მკვლევარის მოუმზადებლობის შედეგია. ისინი ამ მოვლენას განიხილავენ მხოლოდ ემპირიულად, ე.ი. იფარგლებიან იმ ფაქტით, რომ ცალკეულ სფეროებში (ეკონომიკის დარგებშიც) კორუფციული მოთხოვნის ზრდას მოსდევს „ფსონების" ამაღლება (კორუფციული ფასის ზრდა) და ამ სენსაციურ „აღმოჩენას" მიიჩნევენ მეცნიერების ბოლო სიტყვად, რომელიც თავისთავად არაფერზე მეტყველებს. სამწუხაროდ, ვერ ხედავენ, რომ მთლიანობაში არაეკონომიკური იძულება ამცირებს კორუფციული მომსახურების საშუალო ფასს. დაწეული ფასი, თავის მხრივ, სტიმულს აძლევს კორუფციის ზრდას არაეკონომიკური გამდიდრების გზების ძიების, ანუ კორუფციული მიწოდების ზრდის სახით. ამგვარად, კორუფციული ფასის

574 ნ. მიქიაშვილი. (2001), კიდევ ერთხელ პრეზიდენტის ასულის, „ფეროსა" და კლანების მიერ დაკარგული ინვესტირების შესახებ,"ახალი ვერსია", № 18, გვ.18

დაწევის გასაშუალებული ტენდენციის მეშვეობით არაეკონომიკური იძულების „კლავწარმოება" ვითარდება, რადგან ქვეყნის ძარცვას უფრო მეტი შემოსავალი „მოაქვს", ვიდრე ქვეყნის გამდიდრებას.

ანტიკორუფციული ბრძოლა გარკვეულ პირობებში ხელს უწყობს კორუფციის განვითარებას. აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემაა და ამიტომ ცალკე უნდა განვიხილოთ.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკურ პროგრამებს ძირითადად სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ. როგორც წესი, ისინი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს შორის მკაცრი ფუნქციური კავშირი არსებობს.[575]

აღნიშნული პროგრამები კერძო ფირმებს სთავაზობენ სელექციური წახალისების ისეთ ზომებს, როგორიცაა, მაგალითად: საგადასახადო შეღავათები, კრედიტები, სუბსიდიები და ა.შ. მაგრამ ბაზრის სტიქია მუდმივად ანგრევს ამ დამოკიდებულებებს. ამიტომ ეს პროგრამები თვითონვე შეიცავენ მნიშვნელოვანი დაეჭვების ელემენტს, რადგან აქ ყველაზე თვალნათლივ ვლინდება სახელმწიფო პროგრამების დამოკიდებულება კერძო სექტორზე შემდეგი მიზეზების გამო:

ა) მეწარმეთა დიდი უმრავლესობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო რეგულირების რეკომენდაციებს და საკუთარი პროგნოზებით მოქმედებას ამჯობინებს;

ბ) პროგრამის ქმედუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იგი მეწარმეთა გეგმებს. კერძო მეწარმე პროგრამის რეკომენდაციებს ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი შედეგი სხვა მიმართულებით მოქმედებასთან შედარებით მას დიდ პრობლემებს არ უქადის.

განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული პროგრამების წარმატება დამოკიდებულია მონოპოლიებზე, რადგანაც ეკონომიკის მართვის სადავეები მათ ხელშია, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – კლანების ან ნეოკოლონიური პოლიტიკის გამტარებელი ბიუროკრატიის ხელში. მხედველობაშია ე.წ. ჩებოლიზმი (chaebol), რაც კორეულად ნიშნავს ეკონომიკის მართვას უმდიდრესი ოჯახის, მის მიერ დანიშნული ხელისუფლების მიერ. ჩებოლიზმი განსაკუთრებით ვითარდება

575 S.Cameron (1988). The Economics of Crime Deterrence: A Survey of Theory and Evidence, KYKLOS, Vol. 41, asc. 2, p. 301 – 323

იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებას.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნებისმიერი პროგრამა საქართველოში „წარმატებული" იქნება, თუ იგი განმტკიცდება ისეთი საგადასახადო შეღავათებით, გრანტებით, კრედიტებითა და წახალისების სხვა ფორმებით, რომლებიც გაზრდის კლანების კონკურენტუნარიანობას და აქედან გამომდინარე, ხელს შეუწყობს მათი შემოსავლის შეუფერხებელ ზრდას. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყანაში საკუთრების მითვისების საშუალებად ჯერჯერობით არაეკონომიკური იძულება ითვლება. ამ პირობებში საერთო სურათს ვერ შეცვლის ანტიკორუფციული ბრძოლა კორუმპირებული პირების საკუთრების ჩამორთმევის სახით, რადგან ეკონომიკა არ ვითარდება. შესაბამისად, ძალაში რჩება კორუფციული მიწოდების დომინირება.

ბიუროკრატის თვალთახედვით, ანტიკორუფციული ბრძოლა აისახება ხილვადობის ისეთი კატეგორიებით, რომლებიც თვით კორუფციის მიერაა შექმნილი. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ზოგიერთ საპრობლემო საკითხზე ბიუროკრატის შეხედულებების გამოაშკარავება.

ყურადსაღები პრობლემაა, აგრეთვე, კორუფცია და გადასახადები. კორუფციის გამო სახელმწიფოს გადასახადების მინიმუმის მობილიზებაც კი არ შეუძლია. ამგვარად, კორუფციის გავრცელებასა და გადასახადების შემცირებას შორის პროგრამები ისეთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს უშვებენ, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. რეალურად მიზეზი სხვა სფეროშია საძიებელი.

საგადასახადო კანონმდებლობა კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების პერიოდში საკუთრების ძალადობის გზით ჩამორთმევის ერთ-ერთ დრაკონულ მეთოდს წარმოადგენს. მეწარმის გამუდმებული შემოწმებები და შანტაჟი მისი მოგების ლომის წილის ჩამორთმევით, იმ მოგებისა, რომელიც არ კმარა კაპიტალის დაგროვებისათვის, მას სახელმწიფო მომსახურების „ყიდვისაკენ" უბიძგებს. ამგვარად, ნაცვლად ობივატელის თვალით დანახული კავშირისა (კორუფცია – გადასახადების შემცირება), რეალურად არსებობს შემდეგი კავშირი: საკუთრების (მოგების) ძალადობის გზით ჩამორთმევა – მეწარმეობის შეზღუდვა–კორუფცია. ამ კავშირის პროგრამებით მიჩქმალვით კაპიტალის დაგროვებისათვის სახელმ-

წიფოს გამოყენების ყველა სიბილწე განზრახ იმალება.

ვცადოთ, პროგრამების ზემოთმოტანილი სქემის მათემატიკურად გამოსახვა. პირდაპირი შემოსავალი გამოიქვითება მეწარმისა და მის მიერ დაქირავებული მუშაკების შემოსავლისაგან. პირველი მაჩვენებელი ფაქტობრივად შეიძლება 0-ს გავუტოლოთ, რადგანაც, ეკონომისტთა გამოთვლებით, 76000 რეგისტრირებული სუბიექტის 80 პროცენტი გაჩერებულია და არ მუშაობს.[576] მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს საარსებო მინიმუმის ქვემოთ. ნათელია, რომ ეს სიდიდეც უახლოვდება 0-ს.[577] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლის ძირითადი ფორმები ფაქტობრივად არ არსებობს.

სხვადასხვა სახის ხარჯების დასაფარავად თავდაპირველი დაგროვების მიზნით გამოიყენება სახელმწიფო სესხები. მხოლოდ 1998 წელს სხვადასხვა ქვეყნიდან, ფონდიდან ან ბანკიდან 1 მილიარდ აშშ-ის დოლარზე მეტი კრედიტი იქნა მიღებული.[578] მათი დაფარვის მოთხოვნა სახელმწიფოს აიძულებს, გადასახადების გაზრდის „გზა" ეძებოს. მიმდინარე ხარჯები მას ავტომატურად ახალი სესხების აღებისაკენ უბიძგებს და ა.შ. მოვიყვანთ ვალის ზრდის ზოგიერთი მაჩვენებელს (მილიონ ლარებში): 1997 წ. – 824,8; 1998 წ. – 944,6; 1999 წ. – 1320,1.[579]

ამგვარად, გადასახდების გაზრდის მოთხოვნა გამოწვეულია არა კორუფციასთან ბრძოლის სურვილით, და ბუნებრივია, არა თვით კორუფციით, არამედ საკუთრების არაეკონომიკური ჩამორთმევის პოლიტიკით, საზღვარგარეთის ქვეყნების მსხვილი მონოპოლიების მიერ ქვეყნის დაკაბალებით. ანტიკორუფციული სამსახურის ავტორებს თავიანთი სიბეცე ღალატობთ: ყველა ჩვენი უბედურების, მათ შორის, კორუფციის სათავედ, სახელმწიფო ძალადობის ნაცვლად, ისინი ხედავენ სისუსტეს სახელმწიფო აპარატისა, რომელსაც არ შეუძლია გადასახადების აკრეფა.[580]

---

576 მ. მელია (2001), რა გვჭირს? ანუ ფიქრი ამაზე, როგორ ვცხოვრობდით გასულ წელს და რა გველის 2001-ში, „ეკონომიკა", № 2(39), გვ. 10

577 გ. მიქაუტაძე (2001), შებრკილი ბიზნესი და გზახსნილი კონტრაბანდის გაუხმაურებელი ფაქტები, 7 აგვ. – 4 სექტ.

578 ნ.ტერაშვილი (1998), ეკონომოკური უშიშროების და სოციალური უშიშროების ინდიკატორები. „ეკონომიკა", № 5, გვ. 34

579 საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2000 წლის ინდიკატური გეგმა (2000)„ თბ., გვ.192

580 ს. სიჭინავა (2002), როგორ გადავიყვანოთ ეკონომიკა არალეგალურ სფეროში? საგადასახადო კოდექსის ახალი ვერსია, „ეკონომიკა", № 5–6, გვ. 14 – 15

არანაკლებ აქტუალურია პრობლემა: ბიუჯეტი და კორუფცია. ნათელია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოს ცხოვრებაში მთავარი როლი მიეკუთვნება ბიუჯეტს, რათა სახელმწიფოს ჰქონდეს უფლება, ხარჯები მიზნობრივად გაანაწილოს, კონკურენციის წინააღმდეგობები გააწონასწოროს. აქ თავს იჩენს მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შემცირების ტენდენცია, რადგანაც ბიუჯეტის ფორმირების გარკვეული წყაროა მოსახლეობის გადასახადები. მეორე მხრივ, მოგების გადასახადი ისევ და ისევ კერძო სექტორის ხარჯზე იზრდება, განსაკუთრებით მონოპოლიებში მსხვილი შეკვეთების ანაზღაურებისას, პირდაპირი სუბსიდირებისას, სახელმწიფო სესხის პროცენტების გადახდისას და ა.შ. მთლიანობაში სახელმწიფო დანახარჯების ფორმირების ღონისძიებებს არ ძალუძთ საერთო გადახდისუნარიანობის ამაღლება.

გასათვალისწინებებლია, რომ ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ძირითად საშუალებას ფასები წარმოადგენს, მათ შორის, მონოპოლიური ფასებიც, რომლებიც საბოლოოდ აქარწყლებენ ბიუჯეტის მარეგულირებელ როლს, რადგანაც საზოგადოების მიმართ (გადახდისუნარიანი მოთხოვნის მიმართ) შედარებით დამოუკიდებლობას და სახელმწიფოზე ზემოქმედების შეუზღუდავ ძალაუფლებას ინარჩუნებენ. ამგვარად, კორუმპირებული მომსახურების ფასების რყევა მიუწვდომელია საბიუჯეტო მანიპულაციებისათვის.

დაბოლოს, მოკლედ შევეხოთ პრობლემას: საბანკო მომსახურება და კორუფცია. ზოგიერთი ქვეყნის, კერძოდ, იაპონიის სავალალო პრევენტული გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ამ ქვეყანაში შემოღებული იყო მოსახლეობისათვის სესხის მაღალი საპროცენტო განაკვეთით გაცემის მექანიზმი. ბანკები იმედოვნებდნენ, რომ ამით ისინი შესძლებდნენ უმუშევრობისა და მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შემცირებას, კორუფციის შეჩერებას და ა.შ. მაგრამ ამ ღონისძიებებმა კრედიტორთა თვითმკვლელობების რიცხვის ზრდა და ფულის წართმევის მიზნით სხვადასხვა ბანკზე ყაჩაღური თავდასხმები გამოიწვია.[581] ფაქტობრივად ასეთი მიდგომა ასახავდა ძველ ნეოკეინსიალურ თეორიას, რომლის მიხედვითაც დანაზოგის დაგროვებისაკენ მისწრაფება მოთხოვნის შეზღუდვას იწვევს. ამის შედეგად, როგორც ამ თეორიის მიმდევრები იმედოვნებდნენ, მოგების ნორმა დაბალი უნდა ყოფილიყო, რაც ასუსტებს მეწარმე-

581 К. Уэда (1989), Преступность и криминология в совеменной Японии, М., «Прогресс», с. 120

თა სტიმულს წარმოების განვითარებისათვის. აქედან აკეთებდნენ დასკვნას, რომ საჭიროა პირობების შექმნა იმისათვის, რათა მოსახლეობამ აიღოს პროცენტიანი სესხი და იგი სხვადასხვა საჭიროებისათვის გამოიყენოს.

ამ ფაქტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ვალების კაბალა აუარესებს ოჯახების მდგომარეობას, ზოგიერთს კი დანაშაულისაკენ უბიძგებს (კრახის ასაცილებლად ბანკის მოხელეებისათვის ქრთამის მიცემის ჩათვლით). მაგრამ გაურკვეველია, კერძოდ, რომელი მიზეზებით უარესდება იმ პირთა მდგომარეობა, ვინც იძულებულია, დანაშაული ჩაიდინოს: ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გაუარესებით, თუ საკრედიტო პოლიტიკით?

მოსახლეობის მოთხოვნა სესხის აღებაზე წარმოიშობა მიზეზების რთული კომპლექსის მეშვეობით, სადაც ცხოვრების პირობების გაუარესება შენიღბულ როლს თამაშობს. უღარიბესი ფენების დაკრედიტება ვერ ცვლის მათ მდგომარეობას, რადგანაც მატერიალური პირობების გაუარესების მიზეზი სხვა სიბრტყეში ძევს. კაპიტალის დაგროვება მხოლოდ მომუშავეთა გარკვეული რაოდენობის გამოყენებით ხორციელდება, მაშინ როდესაც მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი განზე რჩება. შესაბამისად, უღარიბესი ფენისათვის საბანკო დახმარების გაწევა მათი საკუთრების უკანასკნელი ნარჩენების ბოლომდე გამოწურვის გზას წარმოადგენს.

6.6.3. ანტიკორუფციულ პროგრამებში კორუფციული მიწოდების არსის საკითხისათვის.[582]

კაპიტალის ძალადობით დაგროვების სტადიაზე ტიპური მოვლენაა კორუფციული მომსახურების თავსმოხვევის ზრდა. ქრთამის აღების რეგისტრირებული ფაქტების რაოდენობა ყოველთვის აღემატება ქრთამის მიცემის ფიქსირებული ფაქტების რაოდენობას, რაც მოწმობს „გამოძალვის" გარემოებების არსებობაზე.

კორუფციული მომსახურების მუდმივად თავსმოხვევა დაკავშირებულია კორუმპირებული ფასის დაწევის ტენდენციასთან, მაგრამ მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის სწორად აღქმა იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: კორუმპირებული მომსახურების ფასი იმიტომ არ მცირდება, რომ იზრდება თავსმოხვეუ-

582 აღნიშნული თემა ასახულია ნაშრომში: გ. თოდრია (2007), ანტიკორუფციულ პროგრამებში კორუფციული მიწოდების არსის საკითხისათვის, კომერსანტი, თბ. თეუსუ, № 1 (2), გვ. 113–123

ლი მომსახურება (ანუ კორუმპირებული აქტების რიცხვი), არამედ იმიტომ, რომ იზრდება არაეკონომიკური იძულება – მოსახლეობისათვის საკუთრების ძალით ჩამორთმევა, რაც სინამდვილეში დაბლა წევს „მომსახურების" ფასს კორუმპირებული მიწოდების ზრდის მეშვეობით. ამ კანონზომიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კორუფციის „კვლავწარმოების" პროცესის არსის გასაგებად კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისას.

არაეკონომიკური იძულების მექანიზმის შენარჩუნების რეალური საშუალებაა სათანადო კანონმდებლობის არსებობა. ასე, მაგალითად, XX საუკუნის 90-იან წლებში კანონით დამკვიდრდა ისეთი მართვის ტიპი, რომელმაც ავტორიტარული ხასიათი მიიღო. ასეთ ვითარებაში:

- დემოკრატული პოლიტიკური ურთიერთობები ფორმალურია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს;
  საპარლამენტო ოპოზიცია ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომლებიც მას ნორმალურად ფუნქციონირების საშუალებას არ აძლევს;
  საჯარო ძალაუფლება ხშირად მიმართავს ჩახშობისა და ადმინისტრირების საშუალებებს;
  თვითმმართველობის არჩევნები ხორციელდება ხელისუფლების კონტროლის ქვეშ;
  უფლებები კონსტიტუციურად მხოლოდ ქაღალდზეა დაცული, ხოლო ხელისუფლების დაყოფა ფორმალურია; რეალურად ყველა ფუნქცია კონცენტრირებულია აღმასრულებელი ორგანოების ხელში, რომლებიც ახორციელებენ ავტორიტარულ პოლიტიკურ რეჟიმს, ანუ არაეკონომიკური იძულების პოლიტიკას.
  ასეთ ვითარებაში „დაწერილი" სამართალი (როგორც ერთ-ერთი შესაძლო, როგოც აღნიშნავს გ. ნანეიშვილი) ნიღბავს ავტორიტატულ რეჟიმს, რომელიც პირდაპირ არაეკონომიკურ იძულებაზე, ეროვნული სიმდიდრის დაგროვების შეჩერებაზეა მიმართული. ამ პროცესებს მოწმობს კორუფცია კორუფციული წინადადების სახით. ამიტომ საფუძველს მოკლებულია 90-იანი წლების „ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის" მტკიცება იმის შესახებ, თითქოს სახელმწიფო მართვის სისტემის მოუწესრიგებლობა იყოს კორუფციის მთავარი წყარო. სინამდვილეში სახელმწიფო მართვის ე.წ. მოუწესრიგებლობა არის არაეკონომიკური იძულების ადეკვატური ასახვა.

მომდევნო წლებში (დაწყებული 2000 წლიდან) შეცვლილია კანონის ფორმა და არა მისი სოციალური დანიშნულება. კანონმდებლობა კვლავ ხელს უწყობს არაეკონომიკური იძულების მეთოდების ბატონობას. მაგალითად, დაქირავებულთა „არმიის" მომზადების მიზნით შრომის სამართალმა უარყო შრომის სტაჟი და უნიფიცირებული საპენსიო მიდგომა შემოიღო: მომავალი კაპიტალისათვის სულ ერთია ქურდი ან პროფესორი, მთავარია, რომ მათი სახით მომზადდეს იაფი სამუშაო და ადვილად მართვადი ძალა. ამავე კოდექსმა ხელი გაუხსნა დამქირავებლის თვითნებობას, რომელიც სუსტი ეკონომიკის პერიოდში თვითნებობისაკენ უფროა მიმართული, ვიდრე გონივრულ მართვისაკენ და ა.შ. სისხლის სამართლის კოდექსმა შეზღუდა მოსამართლეები სანქციების გამოყენების „ახალი" პოლიტიკით და გზა გადაუკეტა ინდივიდუალიზაციის პრინციპს. ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, დამნაშავეში ადამიანის დანახვას გადაეკეტა გზა, რადგან არაეკონომიკურ იძულებას არ სჭირდება ჰუმანურობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს შემოღებით ხელი გაუხნა ბრალდების მანიპულირების „ეფექტურ" გამოყენებას. იძულების პოლიტიკას ბრალდება უფრო სჭირდება, ვიდრე საზოგადოება, თუნდაც, დაზარალებულის სახით; საპროცესო შეთანხმების დროს მას არაფერს არ ეკითხებიან. მოკლედ, კანონმდებლობის ეს ტენდენცია ჯერ-ჯერობით დამახასიათებელია საქართველოსათვის, სადაც საწარმოები არ არიან ისე განვითარებული, რომ ქვეყანაში დამკვიდრდეს მოგების საშუალო ნორმის კანონი – საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ეკონომიკური კანონი.

ამრიგად, კორუფციული მიწოდება უნდა შენარჩუნდეს, რადგან შენარჩუნებულია მისი არსი – არაეკონომიკური ძალადობა.[583] შესაბამისად, როგორც შემდეგი ანალიზი ააშკარავებს, კორუმპირებულ პირებთან ბრძოლა ვერ შეცვლის ობიექტურად არსებული კორუფციის საფუძველს. მოვლენის შეცვლა არსის შეცვლის გარეშე ილუზიაა.

სხვაგვარად ფუძნდება კორუფციის ფორმა თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც ეკონომიკური იძულების მეშვეობით დიდი ხანია, კორუფცია მოქმედებს. ვინაიდან კორუფციის

583 И.Гварамидзе, К Клёц, И. Синицина (1999), Грузия в поворотном пункте: экономические события 1998 и начала 1999 года, Исследования и анализ, Варшава, № 164

მიზეზებს ხელისუფლების ნაკლოვანებებში ეძებენ, ჩვენ უშუალოდ განვიხილავთ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოსა და კორუფციის დამოკიდებულებას. აღნიშნულ პირობებში სახელმწიფო ორგვარად ფუნქციონირებს: ა) როგორც მეწარმე სუბიექტი და ბ) როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია.

სახელმწიფო როგორც მეწარმე სუბიექტი სვამს დარგობრივი დისბალანსის გადაჭრის ამოცანას, ხოლო როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია მოსახლეობის გადახდისუნარობას საგადასახადო სისტემის, დაკრედიტებისა და სხვა მეთოდების მეშვეობით არეგულირებს. ეს ფუნქციები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და თავის დაღს ასვამენ კორუფციის გამოვლინებას.

სახელმწიფოს პირველი ფუნქციის განხილვისას მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი კაპიტალტევადი დარგები, განსაკუთრებით ისეთები, როგორიცაა სათბობის, ენერგეტიკის და ტრანსპორტის, კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივი პერიოდის გამო აიძულებენ სახელმწიფოს, გახდეს მათი მესაკუთრე. შედეგად მონოპოლიები თითქოს თავისუფლდებიან ხანგრძლივ და წინასწარ ცნობილ დაბალრენტაბელურ ობიექტებში კაპიტალის დაბანდებისაგან. ამავე დროს, სახელმწიფოს მხრიდან ფარულ სუბსიდირებისას საქონელი მონოპოლიებს წარმოების დანახარჯებთან მიახლოებულ ფასებში მიეყიდება. მთლიანობაში სახელმწიფო, როგორც მეურნეობრიობის სუბიექტი, არ მოიცავს წარმოების გადამწყვეტ დარგებს, რომლებიც მონოპოლიებს ეკუთვნით.

ფაქტობრივად სახელმწიფო ხელს უწყობს მონოპოლური მოგების ნორმის ამაღლებას იმით, რომ რამდენიმე ხნით მათ საბაზრო კონიუნქტურისაგან ათავისუფლებს.

შესაბამისად, მაღალი მონოპოლიური ნორმის შენარჩუნების მიზნით, გზა ეხსნება სხვადასხვა უკანონო ქმედების (ნედლეულისა და მუშახელის ჩამოშორება, მასალების ტრანსპორტირების შეზღუდვა, კონკურენტების გასაკოტრებლად ფასების გეგმაზომიერი დაწევა და სხვ.) განხორციელებას. სახელმწიფოს მხრიდან ასეთ კორუფციულ მომსახურებაზე მოთხოვნილება კი არის.

მოთხოვნა სახელმწიფო მომსახურებაზე იზრდება სხვა მიმართულებითაც. მონოპოლიური დაგროვება ცალკეულ დარგებში ქაოტურობასა და შიშს იწვევს. განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებში ხდება სიტუაცია პრობლემური. დამატებითი მოგების მიღებისა და თავისი თავის გადარჩენის მიზნით, ისინი სხვადასხვა

ავანტურულ ხერხს (პასუხისმგებელი პირების მოსყიდვის ჩათვლით) მიმართავენ.

როგორც ჩანს, მარტო მოგების კანონი განაპირობებს კორუფციის ფორმის (ამ შემთხვევაში – კორუფციული მოთხოვნის) დომინირებას. ამიტომ ს. აკერმანის მტკიცება, თითქოს კორუფციულ მოთხოვნაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობის ზრდა, მცდარია და ეწინააღმდეგება ეკონომიკური იძულების ბუნებას. ასეთი მტკიცებისას უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს არა ნებისმიერ გადანაწილებას, არამედ შემოსავლების საწყის განაწილებას სამეწარმეო მოგებისა და დაქირავებულის ხელფასის სახით, ე.ი. მოგების განაწილებას. ამას მოწმობს გადანაწილების სხვადასხვა საშუალებების კანონზომიერებები:

1. საგადასახადო სისტემა, როგორც წესი, ცვლის მოთხოვნილების სტრუქტურას და არა მოთხოვნის მოცულობას და თავისი არსით ინარჩუნებს მონოპოლიური ფასების დონეს, შესაბამისად, კორუმპირებული მომსახურების მაღალ ფასს. სახელდობრ:

ა) სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსება მოსახლეობის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ხარჯზე იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ნაწილი გარდაიქმნება სახელმწიფო მოთხოვნად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სახით მოთხოვნის მხოლოდ სტრუქტურა იცვლება, რაც ირიბად იმაზე მიგვანიშნებს, თუ ვინ არის კორუფციული მომსახურების ჭეშმარიტი მყიდველი (მონოპოლია და არა მოსახლეობა);

ბ) წარმოების მიმდინარე დანახარჯები არ იბეგრება, რაც ასტიმულირებს დაჩქარებული ამორტიზაციის განხორციელებას, აქედან გამომდინარე, ფარულად დაგროვებული თანხის ზრდას, რომლის ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას თანამდებობის პირების მოსასყიდად. აქედან ჩანს, რომ სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით ხდება კორუფციის შენარჩუნება;

გ) მონოპოლიური მოგება ინვესტიციებზე საგადასახადო წახალისებების შედეგადაც იზრდება, რაც, აგრეთვე, თანამდებობის პირთა მოსყიდვისას მოქმედებს, რადგანაც დიდი თანხა, რომელიც ფაქტობრივად არ წარმოქმნის მონოპოლიის დანახარჯებს, დაბეგვრისაგან თავისუფლდება;

დ) გადასახადებით არ იბეგრება გადარიცხვები საპენსიო, სადაზღვევო ფონდებში, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების,

აგერთვე, სხვა ფონდები;

2) უმნიშვნელოა სახელმწიფო შესყიდვები სახელმწიფო საწარმოების შემოსავლების ხარჯზე, რაც გავლენას არ ახდენს გადახდისუნარიანი მოთხოვნის სიდიდეზე;

3) ერთობ არამყარია სამომხმარებლო კრედიტი, რადგანაც დაკავშირებულია მომავალ შემოსავლებთან, რომლებიც კონკურენციის კანონების მეოხებით არ არიან სტაბილური;

4) მოსახლეობის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადი სოციალური საჭიროებისათვის დაფინანსების წყაროა, რაც მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის შემცირების გზით მიიღება. მაგრამ, რადგანაც მოსახლეობიდან ამოღებული თანხები პენსიებისა და დახმარებების თანხას არ აღემატება, სოციალურ საჭიროებებზე სახელმწიფოს ხარჯებს არ შეუძლია გაზარდოს სამომხმარებლო მოთხოვნის საერთო მოცულობა.

ამგვარად, განვითარებულ ქვეყნებში კორუფციაზე გაზრდილ მოთხოვნილებას ქმნის მხოლოდ განვითარებული კაპიტალი. გადანაწილებას აქ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების პირობებისაგან განსხვავებით კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა სხვა კანონზომიერებაც. თვით ზედაპირული დაკვირვებითაც ნათელია, რომ გაიზარდა კორუფციული მომსახურების „ყიდვის" მოთხოვნა, რის შედეგადაც გადიდდა ამ მომსახურების ფასები. ეჩვენებათ, რომ კორუფციული მომსახურების ფასი გაიზარდა მომსახურების „ყიდვის" მოთხოვნის ზრდის შედეგად, მაგრამ კორუფციული მომსახურების „ყიდვის" მოთხოვნის ზრდა აქ შენიღბულ როლს თამაშობს. კორუფციული მომსახურების ფასი იზრდება არა იმიტომ, რომ იზრდება მასზე მოთხოვნა, არამედ იმიტომ, რომ იზრდება ეკონომიკური იძულება, რადგანაც ადგილი აქვს კაპიტალის როგორც საკუთრების მუდმივ განახლებას (გაცოცხლებას). ამიტომ ეკონომიკური განვითარების ამ დონეზე კორუფციული მომსახურების მოთხოვნის წილი მთლიანად კაპიტალზეა (ძირითადად მონოპოლიურზე) დამოკიდებული. ეს კანონი ჩვენს პირობებშიც მოქმედებს, რამდენადაც უსუსურია განაწილების რეფორმის პროგრამა, რომელიც მოხელეს ხელფასს უმატებს იმისათვის, რომ მან ქრთამი არ აიღოს. მოგების დაგროვების კანონის უგულვებელყოფა კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების სტადიაზე მათემატიკური სიზუსტით იწვევს კორუფციის ზრდას, მიუხედავად იმისა,

რომ მოხელეებს ხელფასი ემატებათ. ობივატელის უვიცობით არის განსაზღვრული ე.წ. ნორმა ხელფასის მომატების შესახებ, რადგან გადანაწილების გარდა, ის კაპიტალის დაგროვების კანონზომიერებას – ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, ერის სიმდიდრის დაგროვების უსუსურ შესაძლებლობას ვერ ხედავს. საზოგადოების სისუსტე არაეკონომიკური იძულების (ძლიერი პოლიციური სახელმწიფოს) შესაძლებლობას და, აქედან გამომდინარე, – კორუფციული მიწოდების დომინირებას ყოველთვის ინარჩუნებს.

კორუფციული „მომსახურების“ ღირებულებასა და კორუმპირებული პირების რაოდენობის კავშირის პრობლემა სპეციალურ განხილვას საჭიროებს.

როგორც ცნობილია, კორუფციასთან ბრძოლის ყველაზე ქმედით ზომად ითვლება ე.წ. საკადრო შემადგენლობის გაჯანსაღება, რასაც ემხრობა როგორც საზოგადოებრივი აზრი, ასევე, სახელმწიფო აპარატი. ასეთი „მსოფლგაგების“ ნაკლზე მეტყველებს პრობლემა, რომელიც შეუმჩნეველია სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რადგან ისინი მოვლენებს გარეგნულად ხედავენ.

საზოგადოებაში მიმდინარე პოლემიკა შეიძლება დაყვანილ იქნას შემდეგ დებულებამდე: თუ კორუმპირებული პირების რაოდენობის შემცირება რომელიმე უწყებაში გააჯანსაღებს ვითარებას, მაშინ ამ პროცედურამ გავლენა მოხელის კორუმპირებული შემოსავლის შესაბამის შემცირებაზეც უნდა იქონიოს. სინამდვილეში ხდება პირიქით: უწყებაში ახლად მიღებულ პირებს ხვდებათ გარკვეული „ფსონები“, რომლებიც მათ ზურგს უკანაა დაწესებული. უფრო მეტიც, მათი ზრდა არ არის დამოკიდებული კონკრეტული მოხელეების სურვილზე. შესაბამისად, მეცნიერებამ უნდა გადაჭრას პრობლემა: არის თუ არა კავშირი კორუმპირებული მომსახურების ღირებულებასა და კორუმპირებული პირების რაოდენობის ცვლადობას შორის? ამ კავშირს აქვს აუცილებელი თუ შემთხვევითი ხასიათი?

კაპიტალისტურ ეპოქამდე დაქუცმაცებული წვრილი სასაქონლო მეურნეობა ერთიანი სახელმწიფო ორგანოების სისტემის არსებობასა და შესაბამისად, ამ ორგანოების ურთიერთკავშირს არ ასტიმულირებდა. კორუმპირებული კავშირები მათი შესრულების მომენტში ამა თუ იმ უწყებაში, ჩვეულებრივ ქრებოდა. სახელმწიფო მომსახურების „გაყიდვა“ საყოველთაო ფორმად იქცევა მხოლოდ კაპიტალიზმის შემთხვევაში. ეკონომიკურად მას ხელს უწყ-

ობს შრომის დანაწილება, მეწარმეობის ცალკეული „კუნძულების“ გაერთიანება ერთ საერთო მეურნეობაში. შესაბამისად, ხდება სახელმწიფო ხელისუფლების კონსოლიდაცია, თუმცა, იგი დანაწევრებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, მაგრამ ეს დაყოფა გულისხმობს ურთიერთკონტროლს და, შესაბამისად, მათ ერთიანობას. სამსახურის დაწყებისთანავე მოხელეები ხდებიან ერთიანი სახელმწიფო ორგანიზმის წევრები, იმის მიუხედავად რომელ განყოფილებაში, დეპარტამენტში ან სამინისტროში მუშაობენ. ეს „ძმური“ ერთობა ვლინდება მომსახურების „გაყიდვის“ დროსაც, რადგანაც „შემოსავლის“ მითვისება ცალკეული კორუმპირებული პირის მიერ ხორციელდება იმ პირობებში, როდესაც არსებობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ერთიანი კავშირი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემთხვევით გარემოებებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთიანი კორუმპირებული ძალა – კაპიტალისტური ეპოქის სიახლეა და ზემოთ დასმული პრობლემის გადასაწყვეტად, უნდა გავარკვიოთ ამ ძალას და კორუმპირებული მომსახურების ღირებულებას შორის კავშირის ბუნება.[584]

საკითხის გადასაჭრელად გავარკვიოთ, როგორ მოქმედებს მოხელეთა საშუალო „ფსონზე“ (C) k-ის (საერთო კორუფციული ფულადი მასის), y-ის (მოხელეთა საერთო ხელფასის) და h-ის (კორუმპირებულ მოხელეთა რაოდენობის) ცვლილება. მოხელეთა საშუალო „ფსონი“-ს განტოლობა ერთობლიობაში შემდეგნაირად გამოიყურება: $C = (k : y)\ (y : h)$, სადაც $c = k : y$ da $v = y : h$, ე.ი. $C = cv$. მოცემულ განტოლებაში c არის მოხელის ხელფასთან თანაფარდობაში კორუფციის პროცენტული მაჩვენებელი, ხოლო v – მოხელეთა საშუალო ანაზღაურება.

---

584 კორუფციის საკვლევი ცენტრის თანამშრომელს, ნ. ონიანს მოჰყავს ასეთი მაგალითი: პოლიციის სამმართველოში ყოველთვიურად ყველა განყოფილებიდან მოედინება 180 ათას ლარზე მეტი, აქედან 90 ათასი ლარი რჩება ორ პირს, რომლებიც ხელისუფლების პირამიდის სათავეში იმყოფებიან (იხ.ნ. ონიანი (2001), საქართველოს ადგილი მსოფლიო კორუფციის რუკაზე, ჟურნ. „ეკონომიკა“ , №2, გვ. 29–30). თუ არ ჩავთვლით მიახლოებით თანხას, ერთი რამ ნათელია, რომ კორუმპირებული ფასი პირთა რაოდენობასთან გარკვეულ კავშირში იმყოფება, თუმცა, „ფსონის“ სიდიდე პირთა რაოდენობისაგან დამოუკიდებელად იჩენს თავს.

I ვარიანტი: y არ იცვლება, ხოლო k იცვლება:

ა) C = (200k : 100y) (100y : 20h) = 10
ბ) C = (150k : 100y) (100y : 15h) = 10

თუ პირველ შემთხვევაში „c" მაღალია და იგი 200-ის ტოლია, მაშინ მოხელეთა საშუალო „ფსონის" შენარჩუნების მცდელობა 20-მდე ზრდის კორუმპირებული პირების რაოდენობას. თუ „c" მცირდება 150-დე, მაშინ მოხელეთა საშუალო „ფსონის" შენარჩუნების ტენდენციის მიზნით ამ მოხელეთა რაოდენობა 15-მდე მცირდება.

II ვარიანტი: k არ იცვლება, იცვლება y:

y შემცირების ტენდენცია
C = (100k : 50y) (50y : 10h) = 10
C = (100k : 30y) (30y : 10h) = 10
C = (100k : 20y) (20y : 10h) = 10

y ზრდის ტენდენცია
C = (100k : 20y) (20y : 10h) = 10
C = (100k : 30y) (30y : 10h) = 10
C = (100k : 50y) (50y : 10h) = 10

როგორც მოყვანილი განტოლებიდან ჩანს, y-ის (ხელფასის) ცვალებადობა ზეგავლენას არ ახდენს მოხელეთა საშუალო „ფსონის" სიდიდეზე, რადგან არ იცვლება k.

მოხელეთა საშუალო „ფსონის" შესანარჩუნებლად კორუმპირებულ მოხელეთა რაოდენობაზე ზეგავლენას მხოლოდ საერთო კორუფციული მასის (k) ცვალებადობა ახდენს. y-ის ცვალებადობა კი მოხელეთა საშუალო „ფსონის" სიდიდეზე ზეგავლენას არ ახდენს. ეს იმას ნიშნავს, რომ კორუმპირებულ მოხელეთა ანაზღაურებასა და ამ მოხელეთა რაოდენობას შორის არ არსებობს არავითარი ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირი. როგორც კანონზომიერების პირველი ვარიანტი გვიჩვენებს, ასეთი აუცილებელი კავშირი არსებობს მხოლოდ კორუფციულ მასასა და კორუმპირებულ პირთა რაოდენობას შორის, სადაც პირველი ფაქტორი წამყვან როლს ასრულებს.

ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, აკეთებენ საპირისპირო დასკვნას – თითქოს კორუმპირებული კადრები განაპირობებენ კორუფციას, აქედან კი გზა ეხსნება პოლიციურ-რეპრესიულ ღონისძიებებს, რაც მოჩვენებითია, რადგანაც მოხელეთა საშუალო „ფსონზე" ვერ მოახდენენ გავლენას. ფსიქოლოგიური თეორია არ ითვალისწინებს, რომ კორუმპირებულ კადრებზე მოთხოვნას განაპირობებს კაპიტალი (თუნდაც თავდაპირველი დაგროვების სტადიაზე) კორუფციული მასის ფორმით. მოკლედ რომ ვთქვათ, არაეკონომიკური მეთოდებით საკუთრების ხელში ჩაგდება განაპირობებს მოხელეთა საშუალო „ფსონს" და კორუფციული თანხის სიდიდეს. ვ. პაპავა სწორად აღნიშნავს: „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა"... გაუმართლებელია. კორუფციას აქვს მისი გამომწვევი ეკონომიკური წინამძღვრები, რომელთა წინააღმდეგ, ანუ ეკონომიკასთან ბრძოლა უბრალოდ უაზროა... ბრძოლა... მხოლოდ კორუფციის გამოვლენის ფორმათა წინააღმდეგაა შესაძლებელი და ეს მოკლევადიან პერიოდში კიდევაც იძლევა თვალსაჩინო ეფექტს... მაგრამ სინამდვილეში შინაარსობრივად არაფერი შეიცვლება: შეიცვლებიან კორუფციის „მოქმედი პირები", მაგრამ კორუფციის გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები ხელშეუხებელი დარჩება".[585]

ზემოაღნიშნული დასკვნა პირდაპირ მიმართულია კორუფციის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ, რომელიც გაბატონებული იყო საბჭოთა პერიოდში, ე.ი. კაპიტალის აზიური ტიპის დაგროვების სტადიაზე და არსებობას განაგრძობს მომდევნო კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების პერიოდში. ამ მცდარ კონცეფციას მთელი სიმძიმის ცენტრი გადააქვს კონკრეტულ ბიუროკრატზე. ბიუროკრატის გადახდისუნარიანობის დონის ამაღლების მცდელობა, მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ა.შ. ითვლება იმ არსებით პირობად, რომელსაც თითქოს შეუძლია ჩინოვნიკის კორუფციული სურვილების შეცვლა ე.წ. სამართლებრივ სახელმწიფოში. ამიტომ მოვალენი ვართ, გამოვავლინოთ, რომელი ძალა დგას ამ იდეოლოგიური მოჩვენებითობის უკან და რა „სარგებლობას" მოელის ამ ფსიქოლოგიური თეორიიდან კორუმპირებული ბიუროკრატი.

ჩვენი აზრით, მოხელეთა საშუალო „ფსონის" სიდიდე განისაზღვრება არაეკონომიკური იძულების კანონზომიერებით, რაც, თავის

585 ვლ. პაპავა (2003), საქართველოში კორუფციის შეზღუდვის ეკონომიკური მანიფესტი – „ანტიკორუფციული მოძრაობა", თბ.

მხრივ, განაპირობებს კორუმპირებულ მიწოდებას ან მოთხოვნას. არაეკონომიკური იძულების როლი ამ პროცესში ჩვენ სპეციალურად არ განგვიხილავს, იგი მხოლოდ იგულისხმებოდა. ჩვეულებრივ, ეს როლი უფრო დაწვრილებით კორუფციის მიერ გამოწვეული ფეტიშის ანალიზის დროს უნდა შეისწავლებოდეს. დაუბრუნდეთ ხელფასის საკითხს (y-ის როლს).

ხელფასი, როგორც კაპიტალიზმის ისტორია ადასტურებს, ყოველთვის ეცემა კაპიტალის მოთხოვნილებათა შესაბამის დონემდე. ხოლო, რადგანაც კორუფცია წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების საშუალებას, მისი (ხელფასის) რყევა არანაირად არ აისახება კორუფციის მასაზე. ამ შემთხვევაში ხელფასის (y) შემცირება მოხელეთა საშუალო „ფსონის“ ერთი და იგივე მაჩვენებელს გვაძლევს:

C = (100k : 70y) (70y : 10h) = 10
C = (100k : 60y) (60y : 10h) = 10
C = (100k : 50y) (50y : 10h) = 10
C = (100k : 40y) (50y : 40h) = 10

პირიქით, მოხელეთა საშუალო „ფსონის“ სიდიდეში აირეკლება მხოლოდ საერთო კორუფციული მასის ცვლილება, რადგანაც ის საერთო ფულადი მასის (ხელფასი + კორუფციული „ანაზღაურება“) ნაწილი იმ ზომით არის, რა ზომითაც გვევლინება თვით კორუფცია კაპიტალის არაეკონომიკური დაგროვების საშუალებად. ბიუროკრატის „გაუმაძღარი“ ჯიბე ივსება არა მისი სურვილის გამო, როგორც ეს ზოგიერთებს ეჩვენებათ, არამედ საკუთრების ხელში ჩაგდების პროპორციულად.

იმის მტკიცებით, რომ კორუფცია კაპიტალის დაგროვების არაეკონომიკური საშუალებაა, ჩვენ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს ისტორიულ მიდგომას. საბჭოთა კავშირის დაშლის საწყის საფეხურზე მოთხოვნა სახელმწიფო მომსახურებაზე იზრდებოდა, რადგანაც დიდი იყო „კანონიერი“ დირექტივების საფარქვეშ სხვადასხვა ობიექტის უფასოდ ხელში ჩაგდების მოთხოვნა. ამ პერიოდში დროებით იზრდებოდა კორუფციული მასა და, შესაბამისად, საშუალო მომსახურების ფასი: C = (150k : 100y) (100y : 10h) = 15. მოკლედ რომ ვთქვათ, კორუფციული ფულადი მასის ზრდა ლოგიკურად აისახება მოხელეთა საშუალო „ფსონის“ სიდიდეზე.

შემდგომში თითქმის უფასოდ ხელში ჩაგდებული ობიექტები

არამარტო ვერ ვითარდება, არამედ იწყება მათი შეკვეცა. ამ პერიოდში წყდება კორუფციული მოთხოვნის დროებითი ზრდა და სურათი საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლება – იზრდება კორუფციული მიწოდება. სხვადასხვა შემოწმების გზით, მოსალოდნელი კონტროლის, გამოძიების, შიშის ჩანერგვით და ა.შ. მატულობს კორუფციული მომსახურების მიწოდებათა რიცხვი, რაც ამცირებს კორუფციულ მასას და, შესაბამისად, კორუფციის საშუალო „ფსონს". შესაბამისად, მცირდება საშუალო „ფსონი": C = (15k : 100y) (100y : 10h) = 5.

ამგვარად, მოხელეთა საშუალო „ფსონის" ცვლილება დამოკიდებულია მხოლოდ კორუფციული მასის ცვლილებაზე, რაც ბიუროკრატიული აპარატის გადახდისუნარიანობის რყევასთან მიმართებაში დამოუკიდებელ ცვლადად გვევლინება. აქედან შეიძლება დავასკვნათ: კორუფციის ნამდვილ მიზეზს ვერაფრით ვერ აღმოვაჩენთ სახელმწიფოს ლაბირინთებში, მით უმეტეს, ბიუროკრატის სურვილებში.

კორუფციის, როგორც კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების ფორმის, მოკლე მიმოხილვა საშუალებას იძლევა, დავინახოთ ის პერსპექტივა, რომელიც ისტორიულად მოელის მრავალ კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყანას. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია კორუფციის განადგურება, შეიძლება მხოლოდ შანსების გათანაბრება, ე.ი. ადგილობრივი სტაბილური წარმოების ჩამოყალიბება, რომელიც გარკვეულად დაუპირისპირდება კაპიტალს ე.წ. თავდაპირველი დაგროვების ბარბაროსულ მეთოდებს, ქვეყნის ძარცვას. ცხადია, რომ მომავალში კორუფცია ისევე ისაზრდოებს და იარსებებს, მაგრამ ისაზრდოებს არა ქვეყნის დანგრევით, არამედ სიმდიდრის დაგროვებით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებულ საზოგადოებას არ ძალუძს, თავიდან აიცილოს კორუფცია, მაგრამ იგი მიისწრაფვის შეცვალოს მშიერი გამომძალველი – მდიდარი მყიდველით (ძირითადად მონოპოლიზებული სექტორით). ასეთია იმ საზოგადოების რეალობა, რომელიც იკვებება საბაზრო ეკონომიკით.

6.6.4. „სასჯელის“, როგორც ანტიკორუფციული ზომის ირაციონალობა. [586]

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასჯელი, როგორც იძულების ზომა, იძენს თვითუარყოფის ხასიათს. კაპიტალის დაგროვების კანონთა ზეწოლის გამო მისი არსებობა გარკვეულ პირობებში მნიშვნელობას მოკლებულია. განსაკუთრებით ეს სახეცვალებადობა ეხება ე.წ. კორუფციულ დანაშაულს, რომელიც შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი არ გახდეს და ამ გაგებით სასჯელი მოგვავლინოს ირაციონალურ კატეგორიად. სასჯელის ეს მდგომარეობა განპირობებულია ორი მიმართულებით: პირველი, კაპიტალის დაგროვების კანონები სასჯელის დასაბუთებაში თავის ჭეშმარიტ როლს მალავენ; მეორე, აღნიშნული ეკონომიკური კანონები წყვეტენ თავის არსისაგან იმ სამართლებრივ ფორმას, რომელშიც პოულობენ გამოხატვას, და ამით სამართალურთიერთობას (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველად კორუფციული დანაშაულობის გამოცხადებას) ანიჭებენ რაღაც დამოუკიდებელ ძალას. ამის შედეგად მყარდება იურიდიული ილუზია, რომ მოვლენას „არსებითად“ მიეკუთვნება მარტო ის დახასიათება, რომელიც მნიშვნელოვანია სამართალურთიერთობაში. მარტო ამ ვირტუალური თვალსაზრისის შესაბამისად აიგება „ანტიკორუფციული“ სასჯელის გაგება და მისი მნიშვნელობა.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ კორუფციული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი უნდა ემყარებოდეს ამ დანაშაულს, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, და ამავდროულად არ უნდა ემყარებოდეს, როგორც კაპიტალის დაგროვების ფორმა. კაპიტალის დაგროვების პროცესები და თვით სამართალურთიერთობა, როგორც მათი გამოვლენის ფორმა, წარმოგვიდგენენ ძალზე საოცარ წინააღმდეგობას: ისინი განსაზღვრავენ დანაშაულთა სპექტრს და პასუხისმგებლობის დასაბუთებაში მათი როლის არარსებობას.

რადგანაც კორუფციული დანაშაული განისაზღვრება ნორმატიულად აღწერილი მოვლენის სახით და იძენს იმ თვისებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სწორედ სამართალურთიერთობის თვალსაზრისით, ამიტომ სასჯელის, როგორც ანტიკორუფციული ზომის, გაგებისათვის ჩვენ წინასწარ უნდა გავარკვიოთ უშუალოდ ამ სამარ-

586 აღნიშნული თემა განხილულია ნაშრომში: გ.თოდრია (2006), „მაცნე“ თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, №1 გვ., 194-210.

თალურთიერთობის თავისებურება. აღნიშნული თემის გამოკვლევა უნდა დავიწყოთ „ქრთამის აღების“ ანალიზიდან. ეს ანალიტიკური სვლა განპირობებულია იმით, რომ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში პასუხისმგებლობა კორუფციისათვის განისაზღვრება იმ ნორმათა სახით, რომელთა განაწილებისას სამართალურთიერთობაში ათვლის წერტილად უპირველეს ყოვლისა გამოდის „ქრთამის აღების“ შესახებ ნორმა.

წინასწარ გვინდა შევეხოთ საკითხს, რომელიც წამოიჭრება წინამდებარე ნაშრომის დასახელებასთან დაკავშირებით: რატომ გამოიყენება ტერმინი „კორუფცია“ როდესაც ანალიზი უკეთდება „ქრთამს“?

კორუფცია, როგორც აღნიშნავენ კრიმინოლოგები, არ დაიყვანება პრიმიტიულ მექრთამებამდე, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი ვაჭრობისა და დემოკრატიის პირობებში. ლობიზმი, ფავორიტიზმი, პროტექციონიზმი, შესატანები პოლიტიკური მიზნებისათვის, კორპორაციებისა და კერძო ფირმების საპატიო პრეზიდენტთა თანამდებობებზე პოლიტიკურ ლიდერთა და სახელმწიფო ჩინოვნიკების გადასვლა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომერციული სტრუქტურების ინვესტირება, აქციონერულ საზოგადოებაში სახელმწიფო ქონების გადაცემა, დანაშაულებრივი დაჯგუფებების კავშირების გამოყენება და ა.შ. წარმოადგენენ კორუფციის მიჩქმალულ ფორმებს.

ერთი შეხედვით მოვლენა ამგვარად ჩანს, თუმცა მოჩვენებითია. სხვა სიტყვებით, იურისტთა ეს ილუზია წარმოიშობა იმიტომ, რომ ისინი ხედავენ მოვლენას იმ სახით რა სახითაც ის არსებობს ცხოვრების ზედაპირზე. სინამდვილეში სხვადასხვა მიჩქმალული ფორმები, რომლებშიც ხორციელდება სახელმწიფო მომსახურების მოსყიდვა, მისტიფიცირებენ იმ ფაქტს, რომ მათ შორის მექრთამეობა არის განსაკუთრებული და ერთდროულად უზოგადესი. უფრო მეტი, სხვადასხვა მოვლენების ჩამონათვალი, რომელიც „კორუფციის“ კრებითი ტერმინის სახით არის აღწერილი, უმეტეს შემთხვევაში გადანაწილებასა და სახელისუფლებო ურთიერთობების სფეროებს ასახავს. ამრიგად, „კორუფციის“ მნიშვნელობა, რომელიც არსებობს სხვადასხვა მოვლენების პოლიციურ-ობივატელური ნარევის სახით, კრიტიკული გააზრების გარეშე ჩატენილია საკანონმდებლო მატერიაში.

მსოფლიოს იმ მრავალ ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია კოდიფი-

კაციის ხანგრძლივი ისტორია, არც კი უფიქრთებიან იმ ფაქტს, რომ მექრთამეობა არც თუ ისე პრიმიტიულია, როგორც ეს ჩანს პირველი დანახვით. სწორედ მისგან აღმოცენდება იმ მოვლენათა მრავალფეროვნება, რომლებიც ვლინდებიან განსხვავებულ და ზოგჯერ წინააღმდეგობრივ სამოსშიც კი, და საბოლოოდ დაიყვანებიან მასთანვე. ამიტომ, რადგან მექრთამეობა გამოდის კორუფციის უჯრედად ის ჩანს როგორც „პრიმიტიული", ე.ი. როგორც განსაკუთრებული ე.წ. კორუფციულ დანაშაულთა შორის. ამავე დროს, იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველივე ეს ნაირსხეობა გავიგოთ, აუცილებელია უპირველესს ყოვლისა ჩავწვდეთ იმ საიდუმლობას, რომელიც ჩაფლულია ქრთამის მიცემაში როგორც მოგებისაგან გამოყოფილ ნაწილში. სწორედ ეს ისტორიული, და არა ნორმატიული (ინდუქციური) მიდგომა, არის ერთადერთი სწორი კაპიტალისტურ სისტემაში კორუფციის გაგებისათვის. ბუნებრივია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სასჯელის პრობლემა უნდა იყოს განხილული სწორედ ამ კუთხით.

„ქრთამის აღებისათვის" დაწესებული სასჯელის შესახებ იურისტების წარმოდგენათა მეტამორფოზზე ზეგავლენას ახდენს ორი ფაქტორი: ა) „ქრთამის აღების" კვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძველი, ე. ი. აღნიშნული აქტის გამოხატვის საკანონმდებლო ფორმა და ბ) საბაზრო ეკონომიკური კანონები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში განაპირობებენ ქრთამის აღების თავისებურებას, ფაქტიური საფუძვლის სახით.

„ქრთამის მიღებისათვის" სასჯელის ზომის განსაზღვრისას გამოძიებას და სასამართლოს აინტერესებს მხოლოდ ერთი — კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის პირობითი შკალა. ზოგიერთ ქვეყნებში ეს შკალა შეიძლება იყოს წარმოდგენილი ჯარიმით, რომელიც სამჯერ აღემატება მიღებული ქრთამის ოდენობას. სხვა ქვეყნებში კი დგინდება მინიმალური ზღვარი, რომლის ზევით ქრთამის გადაცილება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ყველა შემთხვევაში „ქრთამის მიღებისათვის" პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ იქნება კანონით დაწესებული ისეთი მოთხოვნა, რომელიც ეხება პირობით დაწესებულ ქრთამის ოდენობას. მაგალითად, ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით ქრთამის მიმღები ჯარიმდება თანხით, რომელიც სამჯერ აღემატება მატერიალური ღირებულების ექვივალენტს ან ქრთამს, ან თავსდება ციხეში ვადით

15 წლამდე.[587]

რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით (მუხ. 290) დაშვებულია ჯარიმა 700-დან – 1000-მდე მინიმალური ხელფასის ოდენობის ფარგლებში ან 7 თვიდან 1 წლამდე მიღებული ხელფასისა და სხვა შემოსავლების ოდენობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. 338) დიდი ოდენობის ქრთამად ითვლება ფულის, ფასიანი ქაღალდების, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლობის სახით თანხა ათი ათასი ლარის ზევით, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამად – თანხა ოცდაათი ათასი ლარის ზევით.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (მუხ. 419) მექრთამეს შეიძლება ემუქრებოდეს ჯარიმა, რომელიც სამჯერ აღემატება აღებულ თანხას და სასჯელის სხვა ზომები. [588]

გფრ-ს სისხლის სამართლის კოდექსიც ითვალისწინებს ჯარიმას. ამასთან ერთად ამ კოდექსის მიხედვით ჯარიმის გათვლის პროცედურა თავისებურია: სასამართლო განსაზღვრავს დღიურ საშუალო განაკვეთს პირის შემოსავლის, მისი ქონების და არსებობის სხვა წყაროების გათვალისწინებით.[589]

იურიდიული დოგმატიკა არ სცილდება აღნიშნული თვალთახედვის საზღვრებს, თუმცა მისი შეზღუდულობა უცბად ვლინდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ქრთამის ოდენობა ყოველთვის არის იმ უცნობი თანხის ნაწილი, რომელიც ხელსაყრელ პირობებში მზადაა გადაინაცვლოს ჩინოვნიკის ჯიბეში. ამიტომ სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმის სახით დადგენილი ქრთამის

---

587 მსოფლიოს ქვეყნების ანტიკორუფციული კანონმდებლობის მიმოხილვა იხ.: . Koehler (2014), The oreign Corrupt Practices Act in a New Era, Edward Elgar Pub; P. Biriukov (2015), Criminal liability of legal persons in EU–countries, Voronezh VSU Publishing House.

588 ესპანეთის ანტიკორუფციული კანონმდებლობის მიმოხილვა იხ.: Álvarez (2012), Anti–corruption in Spain: Compliance Confusion, International inancial Law Review.

589 გერმანიის ანტიკორუფციული კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა იხ.: A. Oehmichen (2012), Overview on anti–corruption rules and regulations in GER ANY, ACE; გერმანული კანონმდებლობის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკავშირებულია ინდივიდის ბრალთან (Schuldprinzip). ამიტომ იურიდიული პირის ბრალი არ არსებობს. Ordungswidrigkeitengesetz (OWiG) § 30 თანახმად კორპორაციის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია პირის ბრალეულობა (Rasche (2017), Corporate Criminal Liability in Germany – An Idea Whose Time Has Come. BOS, Nov. 6).

ზომა არასოდეს არ შეიძლება იყოს რეალური.

მაგრამ არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი დახასიათებაც მისტიფიცირებს „ქრთამის აღებას“. „ქრთამის აღების“ იურიდიულ კატეგორიაში მიჩქმალულია თვით ამ აქტის საფუძველი, რადგან ყოველ მოცემულ მომენტში კორუმპირებული ჩინოვნიკის შემოსავლის წყაროდ გამოდიან სხვადასხვა სახის წყაროები. ყოველი სისხლის სამართლის საქმე არწმუნებს იურისტს მასში, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკის შემოსავალი შეიძლება წარმოიშვას იმ თანხებიდან, რომლებიც მას მიეცემა სხვადასხვა საბაბით და წყაროდან. ამასთან ერთად კორუმპირებული შემოსავლის წყაროდ ერთნაირად შეიძლება გამოდიოდეს როგორც მონოპოლიური მოგების ის ნაწილი, რომელიც გადადებულია ქრთამისათვის, ასევე მოსახლეობის სხვადასხვა ფენების და ჯგუფების შემოსავალთა ნაწილი. სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა გულგრილია ამ წყაროების თავისებურებების მიმართ, რადგან კანონისადმი ისინი განიხილებიან როგორც თანასწორუფლებიანი. ასეთი გზით მტკიცდება ფეტიშირებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ კორუფციას თითქოსდა არ აქვს ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში და არ ემორჩილება იმანენტურ კანონზომიერებას, არამედ ხორციელდება ისტორიის გარეშე არსებულ განზომილებაში. აქედან თავის მხრივ კეთდება მცდარი დასკვნა: თუ კანონისადმი ყველა წყარო „თანასწორუფლებიანია“, მაშინ მათ შორის არა აქვს ადგილი ისეთ სპეციფიკურ მოვლენას (კაპიტალის დაგროვებას), რომელიც განსაკუთრებით ტიპიურია თანამედროვე საზოგადოებისათვის.

ამრიგად, აქ არ ჩანს ის, რომ ცალკეული კორუმპირებული აქტები წარმოადგენენ ერთიანი საზოგადოებრივი პროცესის რგოლებს. საზოგადოებრივი ხასიათი სამართალურთიერთობაში არ ჩანს, რადგანაც კანონმდებლისათვის კორუფცია მოცემულია როგორც დაცალკევებული აქტების ჭრელი მოზაიკა.

მაგრამ „ქრთამის აღების“ ფეტიშიზაცია ამით არ ამოიწურება. თითქოს სამართალურთიერთობაში საშიშროების მიხედვით „ქრთამის მიცემა“ და არა „ქრთამის აღება“ უნდა იყოს ამოსავალი. ხომ „ქრთამის აღება“ არის იმ გარკვეული თანხის გადანაწილების გარკვეული აქტი, რომელიც ჯერ უნდა დაგროვდეს, სანამ ის დაიწყებს გაყოფას. მიუხედავად ამისა იურიდიული პრაქტიკა იძულებულია კორუფციის რეალური სამყარო ყირამალა დააყენოს, რადგანაც საშიშროების მიხედვით „ქრთამის აღების“ ნორმატიული კონ-

სტრუქცია წინ უსწრებს „ქრთამის მიცემის“ კონსტრუქციას. ამგვარ საკანონმდებლო კონსტრუქტს შეიძლება მოეძებნოს ისტორიული ახსნა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იურისტების მიერ აგებული ვირტუალური სამყარო თავისი ფესვებით მოდის ხალხთა სახელმწიფოებრიობის იმ მრავალსაუკუნოვან პერიოდში, როდესაც ბატონობდნენ გამდიდრების არასაბაზრო მეთოდები და შესაბამისად კორუმპირებული წინადადება ჭარბობდა კორუმპირებულ მოთხოვნას, როდესაც საზოგადოება სახელისუფლებო დადგენილებების გარეშე განიხილებოდა როგორც ქაოსის სამეფო, რომელიც საფუძველ იყო მოკლებული. თავის მხრივ, მოხელეთა მიერ საიმპერატორო მოთხოვნათა დარღვევა განიხილებოდა როგორც იმპერატორის გარეშე თავისი სურვილის განხორციელება. ცხადია, რომ „ქრთამის აღება“ იმ დროს ყოველთვის განიხილებოდა როგორც იმ მთლიანის დაშლის ნიშანი, რომელსაც იმპერატორი თავის მოხელეებთან წარმოშობდა. მაგრამ მსოფლიოს მრავალი ქვეყნების მიერ „ქრთამის აღების“ და „ქრთამის მიცემის“ შესაბამისობის ეს მოდელი შენარჩუნებულია დღესაც.

აღნიშნული თემის გააზრებისას ჩვენს წინაშე წარმოიშობა შემდეგი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობა: როგორ უდრტვინველად ეგუება თანამედროვე საზოგადოება აღნიშნულ ისტორიულ რუდიმენტს და იმის მაგივრად, რომ პრიორიტეტი მისცეს „ქრთამის მიცემას“ როგორც აქტს, რომელიც შეადგენს ჩინოვნიკის კორუმპირებულ შემოსავალს, უფრო პრიორიტეტულს ხდის „ქრთამის აღებას“, სადაც ადგილი აქვს გარკვეული თანხის გადანაწილებას. უფრო მეტიც, ჩანს მარტო „ქრთამის აღების“ კავშირი სხვადასხვა როგორც თანასწორუფლებიან წყაროებთან, მათ შორის თანამედროვე საზოგადოების მამოძრავებელ საბაზრო კანონებთან, კაპიტალის დაგროვებასთან. ცდილობენ რა გადალახონ ეს ალოგიზმი, ზოგიერთ ქვეყნებში ქრთამის მიცემისათვის პასუხისმგებლობას რეგლამენტირებენ არა ცალკე აღებული ნორმის სახით, არამედ განსაზღვრავენ მას სხვადასხვა დანაშაულთა სპეციალურ შემადგენლობებში. ასე, მაგალითად, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 423-ე მუხლში აღნიშნულია: „ის, ვინც ძღვენით, საჩუქრებით, ბოძებით ან დაპირებით მოისყიდის ან ეცდება თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოხელის მოსყიდვას, ისჯება ციხეში მოთავსებით ან ჯარიმით იმ ოდენობით და იმ ფარგლებში, რომელიც დაწესებულია სათანადო მუხლებში“. მარტო ასეთი ემპირიული ფორმის

სახით მოსინჯულია „ქრთამის აღებასთან“ შედარებით „ქრთამის მიცემის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამით იგრძნობა მიხვედრა, რომ კორუფციის საიდუმლოება ძევს „ქრთამის მიცემის“ აქტში.

კაპიტალისტურ სისტემაში კორუფციასთან სასჯელის თანაზომადობის განხილვისას ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ მის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მიზნად ისახავს მოგების დაგროვებას. მაშასადამე, ქრთამის მიმცემთა შორის უნდა იყოს გამოყოფილი მარტო აღნიშნული ისტორიული მიზნის მატარებელი სუბიექტი. შესაბამისად, ჩვენს მსჯელობაში ამოსავალ დებულებად უნდა იყოს დაშვება, რომ მთელი საზოგადოების მაშტაბით გარკვეული ფულის მასის გარდასახვა ჩინოვნიკის კორუმპირებულ შემოსავალში შესაძლებელია, თუ მისი მეორე ნაწილი ხდება ვიღაცის მოგების ნაწილად. სწორედ ამ კუთხით უნდა იყოს განხილული სასჯელის და კორუფიის თანაზომადობის პრობლემა. ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია ზოგიერთი მეცნიერის ხედვა, რომ „ქრთამის მიცემისათვის“ განკუთვნილი სასჯელი უნდა იყოს დაკავშირებული მათ მატერიალურ სარგებლიანობასთან (მაგალითად, მოგების მიღებასთან) და არა კონკრეტული ქრთამის სიდიდესთან. მაგრამ მოსინჯავენ რა სასჯელის მერყეობაზე მოგების დაგროვების ზემოქედების კანონზომიერებას, ისინი, სამწუხაროდ, ვერ სცილდებიან ფაქტის ემპირიულ კონსტატაციას. ამის შედეგად ისინი უბრუნდებიან ბნელი ფეოდალური წარსულის შეხედულებებს: ვინაიდან კორუმპირებული პირის გამოვლენისა და დასჯის შანსები ცოტაა, ამიტომ მსჯავრდებულები მკაცრად უნდა დაისაჯონ და სასჯელი არსებითად უნდა აღემატებოდეს მათ მიერ მიღებულ სარგებელს.[590]

იმასთან დაკავშირებით, რომ კორუფციის მრავალ მკვლევარს ყურადღების გარეშე რჩება თანამედროვე საზოგადოების სპეციფიკა, შესაბამისად აღმოუჩენელი რჩება საზოგადოების სიღრმეში არსებული მოვლენებიც. კერძოდ, ის მოვლენა, რომ ჩინოვნიკის კორუმპირებულ შემოსავალში ერთნაირად შეიძლება წარმოიშვას როგორც იმ მოგების ნაწილი, რომელიც გადადებულია ქრთამის მიცემისათვის, ასევე მოგების ის სხვა ნაწილიც, რომელიც მიღებულია კორუმპირებული გარიგებიდან, მაგრამ მის გარეშე გაიზარდა საბაზრო ფასების მერყეობის შედეგად. ამიტომ, კვლავ „ქრთამის მიღებისა“ და „ქრთამის მიცემის“, როგორც ერთიანი საზოგადოებრივი პრო-

590 С.Аккерман (2003), Коррупция и государство, М., «Логос», с. 71

ცესის რგოლებს შორის, არსებითი კავშირი იშლება და მოხელის კორუმპირებული შემოსავალი კვლავ მიუწვდომელია. სასჯელი ხომ ინიშნება ინდივიდუალიზაციის პრინციპის მიხედვით და მისი დანიშვნისას აუცილებელია კონკრეტული შემთხვევა. ბუნებრივია, რომ მკვლევარ კრიმინოლოგთა მიერ ასევე „ინდივიდუალურადაა" წარმოდგენილი „ქრთამის აღებისა" და „ქრთავის მიცემის" კავშირი.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უარს ამბობს კორუფციასთან სასჯელის თანაზომიერების დადგენის თავსატეხზე და კმაყოფილდება მარტო თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის დანიშვნით. ასე, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლი ქრთამის მიცემისათვის ითვალისწინებს საკატორღო ციხეში 5 წლამდე მოთავსებას ან თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ერთი თვით. ანალოგიურად მოქმედებს იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 318–320 მუხლები ადგენენ მარტო თავისუფლების აღკვეთის ზომებს.[591]

ამრიგად არა მარტო „ქრთამის მიღების" გამოხატვის იურიდიული ფორმა, არამედ მისი საბაზრო ეკონომიკური დეტერმინაციაც ფარავს აღნიშნული აქტის ჭეშმარიტ ბუნებას.

არანაკლებ რთულ მეტამორფოზებს განიცდის „ქრთამის მიცემისათვის" სასჯელი. ეროვნული კანონმდებლობის განსხვავების მიუხედავად, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკოსთა შორის ზოგადად მიღებულია, რომ ქრთამის მიცემისათვის განკუთვნილი სასჯელი უნდა იყოს დაკავშირებული მათ მატერიალურ სარგებლობასთან (მაგალითად, მოგების მიღებასთან) და არა კონკრეტული ქრთამის სიდიდესთან. ამასთან სასჯელი უნდა ეფარდებოდეს სამეწარმეო მოგებას, რომელიც მიღებულია ინდივიდუალური კაპიტალის კორუმპირებული ფუნქციონირების შედეგად, ე.ი. იმ კაპიტალის შედეგად, რომელიც თავისი განვითარების გარკვეული საჭიროებისათვის, მიუხედავად იურიდიული სიცხადისა, ცოცხლდება მარტო ქრთამის მიცემის პირობებში.

ასე მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით „თუ სასამართლო ფელონიის ჩადენისათვის ნიშნავს ჯარიმას, მაშინ მან უნდა დაადგინოს სარგებლის ზომები, რომელიც მიიღო ბრალდებულმა ხელყოფის ჩადენის შედეგად". იმავე

591 იტალიის ანტიკორუფციული კანონმდებლობის მიმოხილვა იხ.: erloni (2018), Corruption and Public Administration: The Italian Case in a Comparative Perspective (1st Edition),

კოდექსში მითითებულია, რომ „სარგებელი“ ანუ „სიკეთე“ ნიშნავს ნებისმიერ მოგებას.[592] ყველა შემთხვევაში ანალოგიურ კანონმდებლობებს მხედველობაში აქვთ ნებისმიერი შემოსავალი უკანონო საქმიანობიდან ამა თუ იმ დანახარჯის გათვალისწინების გარეშე. მიუხედავად იურიდიული სიცხადისა „ქრთამის მიცემის“ არსიც არც ისეთი უბრალოა, როგორც ეს ჩანს ერთი შეხედვით.

მეწარმის მიერ ინდივიდუალური შემოსავალი, მიუხედავად იმისა თუ როგორ არის მიღებული, მოიცავს: ა) მიმდინარე მომენტში ფირმის საკუთარი კაპიტალის საერთო ღირებულებას; ბ) საბაზრო ფასს ან, თანამედროვე ეკონომისტების ტერმინოლოგიით – ეკონომიკურ სისტემაში გაბატონებულ მოგების საშუალო ნორმას.[593]

ილუსტრაციისათვის მივმართოთ მარტივ მათემატიკურ გაანგარიშებას. მაგალითად, თუ კაპიტალის ღირებულება შეადგენს 100 დოლარს, ხოლო მოგების საშუალო ნორმა კი – 20%, მაშინ შემოსავალი იქნება 120 დოლარი. ამგვარად, შემოსავალი შეიცავს არა მარტო ინდივიდუალური კაპიტალის, არამედ მთელი ეკონომიკური სისტემის კაპიტალის ძალისხმევას. ამასთან, ინდივიდუალური შემოსავალი შეიძლება არც იყოს სამეწარმეო საქმიანობის ათვლის საბოლოო წერტილი, ანუ ინდივიდუალური კაპიტალის ბოლო სიტყვა. თუ ის უდრის 110 დოლარს, მაშინ ფირმას ჯერ კიდევ აქვს 10 დოლარის ოდენობის ზემოგების მიღების შესაძლებლობა, ვინაიდან მოგების საშუალო ნორმა 120 დოლარის ოდენობით ხელს უწყობს მოგების ზრდას. მაგრამ, თუ ინდივიდუალური შემოსავალი უდრის 130 დოლარს, მაშინ იგივე მოგების საშუალო ნორმა ფირმას უარეს მდგომარეობაში აყენებს, ვინაიდან მიღებული ინდივიდუალური შემოსავალი 10 ფულადი ერთეულით აღემატება 120 დოლარით შეზღუდული ეკონომიკური სისტემის საერთო მოთხოვნას. ამგვარად, ქვეყნის მთელ კაპიტალს ინდივიდუალური კაპიტალის სიდიდეში შემოაქვს კორექტივები და ფირმას უტოვებს შემოსავლების იმ ნაწილს, რომელიც ბაზრის კანონებით მას საზოგადოებრივი კაპიტალისაგან ეკუთვნის. 110 დოლარიან ინდივიდუალურ შემოსავალში მისმა კორუმპირებულმა ნაწილმა შეიძლება შეადგინოს 2%, 4% ან 5%. ეს ნაწილი შეიძლება მერყეობდეს მხოლოდ მოგების დანარჩენ ნაწილთან შეფარდებაში. მაგრამ ამავდროულად შენარჩუნდება

592 New York State Penal Law (2018), Independently published

593 Э. Долан, Д. Линдсей (1922), Рынок: микроэкономическая модель, СПб., с. 394

საერთო პირობა – ხდება წინასწარი შეფარდება ინდივიდუალური შემოსავლის მთელი ეკონომიკური სისტემის კაპიტალთან და შემდეგში ის აისახება შემოსავლის კორუმპირებული ნაწილის შემოსავლის დანარჩენ ნაწილთან თანაფარდობაში.

თუ ინდივიდუალური შემოსავლის და მისი კორუმპირებული ნაწილის რეალიზაციის პირობა არის მთელი ეკონომიკური სისტემის კაპიტალი, მაშინ შესაბამისად გამოდის რომ შემოსავლის კორუმპირებული ნაწილისა და სასჯელის შეფარდების პირობად წინასწარ უნდა იყოს უკანასკნელისა და მთელი სისტემის კაპიტალის შეფარდება. მაშინ როგორ პასუხობს კონკრეტულ კორუმპირებულ შემოსავალისათვის განსაზღვრული ზომა სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმებს, იქამდე ვიდრე ეს ინდივიდუალური კაპიტალი დღის სინათლეზე გამოჩნდება.

სასამართლო კულუარებში არავინ არც კი ამჩნევს იმ უბრალო ფაქტს, რომ 10 დოლარი, რომელიც დაემატა 110 დოლარის ოდენობის ინდივიდუალურ შემოსავალს, არ არის კორუფციის ნაყოფი, არამედ არის მრავალი კაპიტალის ერთმანეთზე ზემოქმედების შედეგი, ეკონომიკური სისტემის ერთობლივი კაპიტალის შედეგი. 10 დოლარის ოდენობის სხვაობა შემჩნეულიც კი არ არის და სასამართლოს მიერ მარჯვედ მიეწერება ინდივიდუალურ შემოსავალს, რომელიც თითქოსდა მთლიანობაში წარმოიშვა კორუფციული გარიგების გამო. თავისი წარმოშობით ერთანეთისაგან განსხვავებული შემოსავლის სხვადასხვა ნაწილების ეს ნიველირება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი თავისებურებაა. ის არა თუ შლის ზღვარს კორუფციასა და მის სისხლისსამართლებრივ დევნას შორის, არამედ ილუზორულს ქმნის მათ შორის დაპირისპირებას.[594]

რა მხრიდანაც არ უნდა გავაანალიზოთ კორუმპირებული გარიგებისაგან მიღებული შემოსავალი, ძნელი გასაგებია გამოდის თუ არა კორუფციის სიმძიმე სასჯელის შეფარდების კრიტერიუმად. დაკვირვებება ამ შემოსავალზე გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მას შეუძლია ნაწილობრივ წარმოიშვას კორუმპირებული გა-

---

594 იურისტებისათვის, აღნიშნავს ჰეგელი, სირთულეს წარმოადგენს ის, რომ დანაშაულს და მის მოხსნას (სასჯელს) წარმოიდგენდნენ როგორს თავისი ბუნებით განსხვავებულ მოვლენებს და ამრიგად არ აღიარებენ მათ იგივეობას (Гегель (1990), Философия права, М., «Мысль», с. 414). როგორც ჩანს, კაპიტალის დაგროვების პროცესები ამართლებენ დიდი ფილოსოფოსის ამ შორსჭვრეტას.

რიგებისაგან. აქ თითქოსდა ნათელია სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმი, მაგრამ კაპიტალზე მოგების საშუალო ნორმა უარყოფს ამ კანონზომიერებას და მას მთლიანად ბუნდოვნად ხდის, ვინაიდან სასჯელის მერყეობა რომელიმე კორუმპირებული ფაქტის გარეშეც თურმე შესაძლებელია. მაშასადამე, ანტიკორუფციული სასჯელის ბუნების კვლევა ვერ დასრულდება, თუ გარკვეული არ არის მოგების საშუალო ნორმის თვით სისხლისსამართლის დევნაზე ზემოქმედების საკითხი.

ჩვეულებრივ ეკონომიკის გაცოცხლების და აღმავლობის პერიოდში სასამართლო განაჩენის გამოტანა „თეთრ საყელოიანი“ მაღალი თანამდებობის დამნაშავეების მიმართ, როგორც წერს ე. შური, იშვიათი მოვლენაა. საბაზრო ურთიერთობების განვითარების პერიოდში ფემიდის მძვინვარება ატარებს ეპიზოდურ ხასიათს. მაგრამ კორუფციის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განსაკუთრებით ძლიერდება ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, ე.ი., როდესაც ადგილი აქვს მოგების საშუალო მოგების დაწევას.

კრიზისის გაღვივება მათემატიკური სიზუსტით მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის გაძლიერება უკავშირდება შემოსავლის საშუალო ნორმის დაწევას და არა კორუფციის დონის ცვალებადობას. კორუფციის ზრდასთან ერთად, როგორც გვიჩვენებს ამერიკის 70-იანი წლების მოვლენები, შეიძლება ძლიერდებოდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. თუმცა შესაძლოა, რომ ანტიკორუფციული ღონისძიებები იზრდებოდნენ კორუფციის კლების ფონზე ანდა ინარჩუნებდნენ „სიმშვიდეს“ კორუფციის მკვეთრი ზრდის პერიოდში, როგორც ეს მოხდა იაპონიაში.

სისხლისსამართლებრივი დევნისა და კორუფციის თანაფარდობის შეუსაბამებლობა ეკონომიკური კრიზისის დროს, და რაც უფრო მნიშვნელოვანია – ანტიკორუფციული პოლიტიკის გაძლიერება, რომელიც კრიზისის პერიოდში პირდაპირ კავშირში არაა კორუმპირებულობის დონესთან, საგონებელში აგდებს მეცნიერებს. თანამედროვე საზოგადოების მამოძრავებელი ეკონომიკური ძალის უგულველყოფის შედეგად ზოგიერთი მკვლევარი მიექანება ეკლექტიკური დასკვნისაკენ.

ერთის მხრივ, როგორც ს. აკერმანი წერს – „მრავალი ეკონომიკური კრიზისი პირდაპირ არ არის დაკავშირებული კორუმპირებულობის დონესთან“. თუმცაღა, როგორც ის აღნიშნავს, „იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო საგადასახადო სისტემა და მეწარმეობა

მთლიანად დაავადებულია კორუფციით, ეკონომიკური კრიზისი შეიძლება აღმოჩნდეს კატალიზატორად, როგორც ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარებაში, ისე მიკროეკონომიკურ გარდაქმნაში".[595] ამ ალოგიკური ლოგიკის მიხედვით ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ კრიზისი (მოგების საშუალო ნორმის საერთო დაცემა) განაპირობებს სისხლისსამართლებრივი დევნის გაძლიერებას მაშინ, როდესაც სახელმწიფო დაავადებულია კორუფციით, რომ კორუფციის არარსებობის დროს მოგების საშუალო ნორმის დაცემა არ გამოიწვევდა სისხლისსამართლებრივი დევნის გაძლიერებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა პრაქტიკული ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს კორუფციის წინააღმდეგ, ისე რომ არ ეხებოდეს კაპიტალის დაგროვების პრობლემატიკას. დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა გაძლიერდეს კორუფციის ზრდასთან დაკავშირებით, მცდარია ფუძეში. სინამდვილეში კრიზისი ავლენს საწინააღმდეგო სურათს – ამ პოლიტიკის გაზრდა არაა კავშირში კორუფციასთან. ეკლექტიზმისათვის მიუწვდომელია, რომ ზარალი, რომელსაც აყენებს კორუფცია, არ აინტერესებს სახელმწიფოს, არსებობს სხვა სახის საშიშროება, რომელიც ჩვეულებრივ „მშვიდობიან" დროს დამალულია, ხოლო კრიზისის დროს თავს იჩენს.

კორუფციის ახსნისას ეკლექტიზმი ადრე თუ გვიან კმაყოფილდება ფსიქოლოგიური ახსნით და გამოკვლევა მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომლის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ ობივატელს თეორიული ანალიზის გარეშეც. ამის მაგალითია ჯ. შელის რედაქციით აშშ-ში გამოშვებული კრიმინოლოგიის კურსში კორუფციის ე.წ. მექანიზმის ფსიქოლოგიური აღწერა, რომლის ტექსტი სპეციალურად ვრცლად მოგვყავს.

ეკონომიკური ციკლის მსვლელობისას ფლუქტუაციები, – როგორც აღინიშნება სახელმძღვანელოში, – თეორიულად ხშირად დაკავშირებულია თეთრსაყელოიან დანაშაულთან ძირითადად დამნაშავეებზე მათი ზეგავლენის მიზეზით. კონიუქტურის დაცემა სტიმულირებს დანაშაულობის ზრდას, რადგან იწვევს შემოსავლების შემცირებას და სულ უფრო მეტ პირთა და ორგანიზაციათა რიცხვს აახლოვებს გაკოტრებისთან, სასარწარკვეთილობასა და დანაშაულთან.... დროებითი და კულტურული განსხვავებები ასევე მოქმედებენ დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილ პირებზე... კონკურენციის კულტურის შედარებით დომინირებას, რომელიც წაახალისებს

595 С.Аккерман (2003), Коррупция и государство, М.,«Логос», с. 279

„წარმატებას უპირველესს ყოვლისა“, ასევე შეაქვს თავისი წვლილი დანაშაულთა მოტივაციაში და გამართლებაში“. ამრიგად, ყველა ჩამოთვლილი მიზეზი განხილულია ერთ მწკრივში, კორუფციის გენეზისი კი არ ჩანს. ამიტომ ავტორები, ერთი მხრივ, იძულებული არიან აღიარონ, რომ „ასეთ პირთა და ორგანიზაციათა ცვალებადობის მიზეზი იყო უფრო ვარაუდის ვიდრე მეცნიერული კვლევის საგანი“. მეორე მხრივ, ისინი უდავო ფაქტის წინაშე დგანან, როდესაც ამტკიცებენ, რომ „ყოველისმომცველი დაურწმუნებლობა შესაძლოა იქცეს როგორც ღარიბებში, ასევე მდიდრებში დანაშაულის ჩადენის ძლიერ მოტივად ამ პირობებში ბევრი ემხრობა იმ აზრს, რომ ნებისმიერი შესაძლებლობის გაშვება უვიცობაა, იქნება ის კანონიერი, თუ უკანონო“.[596]

„კონკურენციის კულტურის ფარგლებში, – როგორც აღნიშნულია იმავე სახელმძღვანელოში დ. კრესზე მითითებით, – მაღალ პრივილიგირებულ დამნაშავეთა და მათზე ნაკლებად პრივილეგირებულ თანამოძმეთა მოტივაცია განსხვავდება. ეს უკანასკნელნი იდენენ დანაშაულს ფინანსური კრახის თავიდან აცილების მიზნით, უშუალო ფინანსური მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, ნარკოტიკებთან და აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ პრობლემებთან, ან ისეთი ცხოვრებისათვის გაწევისათვის, რომელსაც ჩვეულებრივ მათ არ შეუძლიათ მიმართონ. კრიზისი, როდესაც მათ ესმით მიახლოვებული აუდიტორებისა და სასამართლო აღმასრულებლის ნაბიჯები, ხშირად მათ უბიძგებს დანაშაულის ჩადენისაკენ, – აღინიშნება აგრეთვე კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში დ. ვეისბურდის და ე. ვარინგის აზრზე დაყრდნობით. ფულის საჭიროება აიძულებს მათ ჩაიდინონ დანაშაული, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემის მოკლევადიან გადაწყვეტას, მაგრამ ხშირად დაკავშირებულია რისკთან. ეს დამნაშავენი მუდმივად არიან დაძაბულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, რომელიც გავს ქუჩის ქურდის მდგომარეობას. თვალის ახელვის მომენტში მათ ესმით, რომ, როგორც არ უნდა სცადონ, ისინი ვერავის დასდებენ ბრალს და ვერ დააკისრებენ პასუხმგებლობას თავისი მოქმედების გამო, როდესაც მათ მოსთხოვენ პასუხს. მაგრამ მათი პირადი პრობლემები და ჩქარი ფულის მიღების აუცილებლობა ფარავენ შიშს პატიმრობის წინაშე. ჩვეულებრივ ნაკლებად პრივილიგირებული დამნაშავენი მოქმედებენ მარტო ან პატარა ჯგუფებით, დანაშაულის ჩადენისას კი ზოგჯერ გამოიყენებენ

596 Криминология (2003), под ред. Дж. Шелли. «ПИТЕР», с. 367

კავშირს კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან".[597]

ამრიგად, საბოლოო ჯამში, ყველაფერი დაიყვანება ყბადაღებული დამნაშავის პიროვნებისადმი. თუმცა ბუნდოვნად ხვდებიან, რომ საიდუმლო ძალა არსებობს სადღაცას პიროვნების გარეშე, ეკონომიკის ჯურღმულში. მ. კლინარდის, პ. იაგერდის, ჰ. ბარნეტის და სხვა კრიმინოლოგთა მონაცემებზე დაყრდნობით ციტირებული კრიმინოლოგიის კურსში აღინიშნება: „თეთრსაყელოიანთა დანაშაულთა საერთო რიცხვი მერყეობს დროში, ასევე დარგის მიხედვით. 1975 და 1976 წლებში 477 მეწარმე ფირმის მიმართ 25 ფედერალური ორგანოს მიერ იძულებითი ზომების გამოყენებამ აჩვენა, რომ დარღვევათა ყველაზე დიდი რიცხვი ფიქსირდება ნავთობგადამამუშავებელი, ფარმაცევტული და საავტომობილო დარგებში, ნაკლები კი – ტანსაცმლის და სასმელების წარმოებაში, შვედეთის წარმოების სხვადასხვა დარგებში ჩატარებული ანალიზის თანახმად, მარეგულირებელ ორგანოებში შემოსული საჩივრების დიდი ოდენობა დაკავშირებულია საწარმოო სექტორთან, ხოლო მნიშვნელოვნად ნაკლები – არასამეწარმეო სექტორთან."[598]

კრიზისის სამოსში გამოდის სხვადასხვა სიდიდის კაპიტალთა მოგების საშუალო ნორმის დაწევა. სწორედ კრიზისის დროს საზოგადოებრივი წარმოების მსხვილი ქვედანაყოფების დარგთაშორისო დისპროპორცია პიკს აღწევს. ამ პერიოდში პროდუქციის ნაწილის რეალიზაციის შეუძლებლობის შედეგად ჩადებული კაპიტალი იწყებს მთლიან ან ნაწილობრივ გაუფასურებას. სწორედ ეს პროცესი არის მოგების ნორმის საყოველთაო დაცემა, რომელიც გამონაკლისის გარეშე ეხება ყველა მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს. მოგების საშუალო ნორმის დაცემის შედეგად კაპიტალის ხარჯვითი ნაწილი სხვადასხვანაირად იზრდება კაპიტალის სიდიდისაგან დამოკიდებულებით. შესაბამისად სხვადასხვანაირია მეწარმეთა რეაქცია კრიზისულ მოვლენებზე. თუ კაპიტალის თუნდაც ნაწილის შესანარჩუნებლად და წარმოების ხარჯების შესამცირებლად უმსხვილეს კომპანიებს ნაწილობრივ შეუძლიათ კაპიტალის გაუფასურების შეჩერება, თუნდაც ზემოგების კლების ხარჯზე, მაშინ საშუალო და წვრილი კაპიტალი მიდის ნებისმიერ მაქინაციაზე დამატებითი მოგების მინიმუმის მისაღებად, რომელიც მცირეოდენ უნდა აღემატებოდეს საშუალო დონეს. ფალსიფიცირებული საქონ-

597 იქვე. ჩგვ. 367.

598 Криминология (2003), под ред. Дж. Шелли, «ПИТЕР», с.364

ლის გაყიდვა, საპატენტო და საავტორო უფლებების დარღვევა, არაკანონიერი გარიგებები, გადასახადიდან თავის არიდება, ფასების აწევა და კორუფციულად გამყარებული სხვა მსგავსი მოვლენები ხდება განსაკუთრებულად გავრცელებული ქვეყნის მთელ კაპიტალს შორის. რადგან კომპანიათა მთელი ძალისხმევა მიმართულია დაგროვილი კაპიტალის თუნდაც ნაწილის შენარჩუნებაზე დანაკლისის კატასტროფის ერთმანეთის კისერზე გადანაწილების გზით, მოგების ნორმის დაცემა ამწვავებს ურთიერთობებს თვით ბიზნესის სამყაროში.

სახელმწიფო ღონისძიებათა რეგულირების გაძლირება, მათ შორის სისხლისსამართლებრივი დევნის, ატარებს ერთი მიმართულების ხასიათს. ეს უკანასკნელი ფაქტიურად გაედინება სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების კალაპოტში, რომელიც მიმართულია კაპიტალის გამოყენების მნიშვნელოვანი სფეროს რღვევის, შრომის ნაყოფიერების საყოველთაო შემცირების, ეკონომიკის არამონოპოლიური სექტორის განადგურების და ა. შ. წინააღმდეგ. ამიტომ სასჯელის თანაზომადობა კორუფციის ფაქტთან ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პოლიტიკის გარეშე არის ირაციონალური კატეგორია. მაგრამ კრიმინალისტების გაკვირვების მიუხედავად, სასჯელის მიზანდასახულობა განპირობებულია იმით, თუ როგორ დაექვემდებარება სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მოგების საშუალო ნორმის ეკონომიკურ კანონებს და მხოლოდ ამ მიმართებით პირობითად შეიძლება ლაპარაკი სასჯელზე როგორც რეალურ ანტიკორუფციულ ძალაზე. არანაირი სასამართლო რეფორმა და იგავი პატიოსნების შესახებ ვერ გვეხმარება, ვინაიდან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მოქმედებენ კაპიტალის დაგროვების ობიექტური კანონები, რომლებიც ერთდროულად არეგულირებენ სასჯელს და არჩევენ პირებს, რომლებიც ექვემდებარებიან სასჯელს. ამაში ადვილად გვარწმუნებს ასევე მეწარმეთა მიერ თვით სასჯელის საწინააღმდეგო შეფასებები, რომელთა შესახებ მოგვიანებით იქნება მოყვანილი სატერლენდის მოსაზრება. სწორედ კაპიტალის თვალსაზრისით სისხლისსამართლის კანონი გამოდის საწარმოო ხარჯების მომატების ფაქტორად ჯარიმის, კონფისკაციის და ა. შ. სახით და ამ გაგებით შეიძლება იყოს უფრო გამოსადეგი ერთისათვის და ნაკლებად გამოსადეგი მეორისათვის. ასე მაგალითად, საშუალო და წვრილი კაპიტალის, წარმოების არამონოპოლიური სექტორის აზრით, სასჯელის ზომის გამკაცრება შეიძლება

იყოს ყველაზე სასარგებლო რეაქცია კორუფციაზე იმიტომ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ნაკლებად ეხება მათ, ხოლო უფრო მეტად მონოპოლიებს, რომლებიც ფლობენ დიდ შესაძლებლობებს მონოპოლიური ფასების შენარჩუნებისა და კანონის დარღვევისათვის. ამიტომ, კრიმინოლოგთა დაკვირვების მიხედვით, არამონოპოლიური სექტორი იმედოვნებს, რომ ზემოგების შემცირებისათვის ხელშეწყობისას სასჯელი ამცირებს მონოპოლიების ზემოქმედების შესაძლებლობას საშუალო და წვრილ კაპიტალზე და თვით ანტიმონოპოლიურ სექტორზე მთლიანობაში. როგორც მიუთითებს სატერლენდი, – „კანონი დგება ეჭვქვეშ უპირატესად იმათ მიერ, ვინც იცავს კოლექტიურ ეკონომიკურ სისტემას (მონოპოლიების მიერ – გ. თ.), მაშინ როცა მისი მხარდაჭერა გამომდინარეობს უმთავრესად ემოციონალური იდეოლოგიის სფეროდან, რომელიც იცავს თავისუფალ მეწარმეობას და რომელსაც იაზიარებენ ფერმერები, ქირით მომუშავე პირები, წვრილი ბიზნესმენები და თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები...“.[599]

ეკონომიკის საერთო პროცესები ხელმიუწვდომელია კონკრეტული ბიზნესმენისათვის, ისინი მიედინება მის ზურგს უკან. კონკრეტული ბიზნესმენისათვის, როგორც კაპიტალის დაგროვების გლობალური პროცესის მონაწილისათვის, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება მოიაზრებოდეს როგორც კაპიტალის ცალმხრივი დაგროვების წინააღმდეგ მიმართული არასაბაზრო ხასიათის ზომა, როგორც საბაზრო თამაშში უსამართლობის გარკვეული შეკავების ძალადობითი მეთოდი. მაგრამ, მისთვის ეკონომიკის საერთო პროცესები ხელმიუწვდომელია. შესაბამისად მიუწვდომელია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მნიშვნელობა საერთო კაპიტალის დაგროვებაში. კონკრეტული ფირმა ასახავს სასჯელის ეფექტურობას, როგორც კაპიტალის ცალმხრივი დაგროვების წინააღმდეგ მიმართულ არასაბაზრო ხასიათის ზომას, როგორც საბაზრო თამაშში უსამართლობის გარკვეული შეკავების ძალადობითი მეთოდს. მაგრამ ვერ ხედავს სასჯელის პოლიტიკის მნიშვნელობას საშუალო და წვრილი კაპიტალის ზარალის მთლიანად გადანაწილების საიდუმლეობას – საერთო კაპიტალის მოგებას.

ეკონომიკურ სიტუაციაში კრიზისის სტადიის დროს სისხლისსამართლებრივი ღონისძიებებისა და ეკონომიკის სახელმწიფოე-

599 Э. Сатерленд (1966), Являются ли преступления людей в белых воротничках преступлениями?– Социология преступности, М., «Прогресс», с. 129–133

ბრივი რეგულირების ზომების გაძლიერების დამთხვევა მიუთითებს იმაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა აგრძელებს საერთო კაპიტალის – ქვეყნის მთელი ეკონომიკური სისტემის კაპიტალების გაუფასურების შეკავებას. თუმცა სასჯელის გაძლიერების ეფექტი საკმაოდ საეჭვოა, მიუხედავად ამისა სისხლისსამართლებრივი დევნის გამკაცრება კრიზისის ან დეპრესიის პერიოდში მიუთითებს იმაზე, რომ ის დაკავშირებულია არა ზარალთან, რაც გამოწვეულია კონკრეტული კორუმპირებული აქტით, არამედ კაპიტალის გაუფასურებასთან, რომელიც მისთვის წარმოადგენს რეალურ ზარალს. ეჭვგარეშეა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ძლიერდება იმ მიზეზით, რომელიც კორუმპირებული მოთხოვნის ზრდის ან მისი შემცირების გარეშეა, და ამგვარად იმ საფუძვლით, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს სასჯელის დანიშვნის დასაბუთებასთან. კრიზისი, როგორც დაკვირვების პუნქტი ავლენს კანონზომიერებას, რომელიც შედარებითი სიმშვიდის დღეებში არ ჩანს. სინამდვილეში სისხლისსამართლებრივი დევნის გაძლიერება განპირობებულია არა კორუფციის ზრდით, არამედ საბაზრო ეკონომიკის კანონებით. როგორი პარადოქსალურიც არ უნდა იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება – სასჯელის გამოყენება ხორციელდება კორუფციასთან მიმართებით, მაგრამ მისი გათვალისწინების გარეშე.

ეხლა მივმართოთ საერთო ილუსტრაციას. როგორც ცნობილია, 1937–1939 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მძვინვარებდა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც შემდგომში შეიცვალა დეპრესიით. წარმოება ჯერ კიდევ იმყოფებოდა უკიდურესად დაბალ დონეზე, თუმცა არ მცირდებოდა. ფასები არ ეცემოდა და მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო. საქონლის მარაგი არ იზრდებოდა და სესხის პროცენტი დაბალ დონეზე იდგა. „სწორედ ბიზნესმენებისათვის დაბალი საზოგადოებრივი სტატუსის ამ პერიოდში (მოგების საშუალო ნორმის დაცემა აქ აღწერილია ფსიქოლოგიურ ტერმინებში – გ. თ.), – წერს სატერლენდი, – იყო განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ენერგიული ძალისხმევა, მიმართული ცხოვრებაში ძველი კანონმდებლობის გატარებისა და ახალი კანონების მიღებისაკენ, რომლებიც არეგულირებდნენ მათ საქმიანობას. არაერთხელ გაიზარდა ამ მიზნებისათვის ასიგნირება და შესაბამის თანამდებობებზე შერჩეულ იქნენ პირები, რომელთაც ძალუძთ კანონის ენერგიული შესრულების უზრუნველყოფა. 70 კორპორაციის მიმართ გამოტანილი 547 გადაწყვეტილებიდან ამ პირთა საქმიანობის დროს, რომელიც

40 წელი გრძელდებოდა, 63% დადგენილი იყო 1935 – 1943, ე. ი. ბიზნესმენთა დაბალი საზოადოებრივი სტატუსის პირობებში".[600]

მართალია, მეორე მსოფლიო ომმა დაარღვია აშშ-ს ეკონომიკის ციკლის ჩვეულებრივი დინება, რამდენადაც ამ პერიოდში გაიზარდა სამრეწველო მშენებლობა და ახალი დანადგარების შესყიდვა, განსაკუთრებით კი სამხედრო საჭიროებისათვის. საბიუჯეტო ხარჯები აჭარბებდა შემოსავლებს, რომლებიც ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფიციტს. ამ ფონზე სახელმწიფო იძულება განიცდიდა ასევე გარკვეულ ცვლილებას: სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა განსაკუთრებულ კორიანტელს არ მოელოდნენ, მაგრამ მკაცრდებოდა შემმოწმებელი ინსპექციები და სახელმწიფო კონტროლის სხვაგვარი ფორმები. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო ზეწოლა არ სუსტდებოდა. აღწერდა რა ამ პერიოდს გ. შნაიდერი აღნიშნავს, რომ 1942 წლიდან 1945 წლამდე ფასებზე ზედამხედველობის ფედერალურმა სამმართველომ შავი ბაზრის გამოკვლევის საფუძველზე გაამკაცრა კონტროლი. „მეორე მსოფლიო ომი, – წერს ის, – იყო თავის მხრივ ეკონომიკურიც, რადგან მის საწარმოებლად მობილიზებული იყო მთელი სამრეწველო სისტემა. ომის შედეგი ბევრად დამოკიდებული იყო მატერიალურ-ტექნიკურ უპირატესობაზე და ეკონომიკურ სტაბილურობაზე. გამოცემული იყო სპეციალური ნორმატიული აქტები, რომლებიც ადგენდნენ ფასებს საქონელზე და მათი განაწილების ნორმებს, რადგან არ დაეშვათ მისი განიავება და უზრუნველყოთ ინფლაციასთან ბრძოლა. ომის წინა პერიოდთან შედარებით ამერიკაში,... – მითითებულია შემდგომში, – გაიზარდა შავ ბაზართან დაკავშირებით დელიქტების რაოდენობა... 1944 წელს გამოკვლეულ საწარმოთა დაახლოებით 57% არღვევდა დადგენილებებს მრეწველობისა და სხვა ნორმატივების შესახებ; საერთო ჯამში დაფიქსირებული იყო 1710000 დარღვევა. მომხმარებელმა და გადამხდელმა განიცადეს ფინანსური ზარალი, რომელიც ბევრჯერ აღემატებოდა ტრადიციული დანაშაულის შედეგად მიღებულ დანაკარგს... დამრღვევთა 25%-ზე ნაკლები... იყო დაჯარიმებული".[601]

1960–1961 წლებში ამერიკაში გაღვივდა მეოთხე ეკონომიკური კრიზისი. შეიმჩნეოდა მასიური გაკოტრება, რადგან ძირითადი ეკონომიკური დარტყმა მოდიოდა სუსტ საწარმოებზე, რომელთა მოგე-

600 Э. Сатерленд (1966), Являются ли преступления людей в белых воротничках преступлениями?– Социология преступности, М., «Прогресс», с.129–133
601 Г. Шнайдер (1994), Криминология, М., «Прогресс», с. 45

ბა იყო საშუალო ნორმის დაბლა. მსხვილი კომპანიები ამცირებდნენ დანახარჯს, ფაქტიურად კი – ზემოგებას, მაგრამ არ იძირებოდნენ. 1951–1960 წლებთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალო წლიური დეფიციტის ოდენობა ამერიკაში გაიზარდა 6 მილიარდი დოლარით. ზუსტად ამ პერიოდში, წერს ე. შური – „თეთრსაყელოიანთა დანაშაულობაზე ოფიციალური რეაქცია რამდენადმე გამკაცრდა. ფასების არალეგალური დადგენისათვის, ყალბი სარეკლამო განცხადების გამოყენებისათვის და მიღებული მოგების განაწილებისათვის... 29 კორპორაციისა და ელექტრო-ტექნიკური წარმოების 45 უმაღლესი ჩინოვნიკის მიმართ 1961 წელს ფედერალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სასამართლო დევნა იყო უმსხვილესი სისხლისსამართლის საქმე შერმანის ანტიტრესტული კანონის ისტორიაში, აგრეთვე იყო უმნიშვნელოვანესი ეტაპი სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებაში ისეთ დანაშაულში მონაწილეობისათვის, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც თეთრსაყელოიანთა დანაშაული. კორპორაციებისათვის დაწესებული იქნა ჯარიმა 1 924 500 დოლარის ოდენობით...“.[602]

1973–1975 წლებში ამერიკაში კვლავ იჩენს თავს ეკონომიკური კრიზისი. 1975–1980 წლეებში სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალო წლიური დეფიციტი 50,8 მლრდ. დოლარამდე ავარდა. კლაინერდსა და იიგერზე მითითებით გ. შნაიდერი წერს, რომ ფასებზე ზედამხედველობის ფედერალურმა სამმართველომ ვაშინგტონში ეკონომიკურ საქმიანობის მაკონტროლებელ აშშ-ის ფედერალურ უწყებათა აქტების და ანგარიშების საფუძველზე „გაანალიზა სამეურნეო დანაშაულობა 582 მსხვილ საწარმოში 1975-დან 1976 წლამდე. აქედან 477 მსხვილი სამრეწველო (ფარმაცევტული, ნავთობგადამამუშავებელი და საავტომობილო საწარმოები – გ.თ.) და სამომსახურეო სფეროს საწარმოები იყო. ამ ფირმების უმეტესობა – აღნიშნავს შემდგომში ავტორი, – არიან მონოპოლისტები განსაზღვრული სახის საქონლის წარმოების საქმეში. ისინი ადგენენ ფასებს კონკურენციის არარსებობისას... სამართალდარღვევათა უმეტესობას სჩადიან ყველაზე მსხვილი ფირმები“ აღნიშნული კრიზისული სიტუაციის ბოლო წლების გაშუქებისას ე. ლუნევი მიუთითებს: „სამხედრო შეკვეთის მიღებისათვის აშშ-ის მსხვილი კორპორაციების მიერ გადახდილი ქრთამის შემთხვევების მხილების შედეგად 1977 წელს მიღებულ იქნა კანონი საზღვარგარეთის კორუმპირებული პრაქტი-

602 Э.Шур (1977), Наше преступное общество, М., «Прогресс»,с.45

კის შესახებ, სანქცია – ჯარიმა 2 მილიონი დოლარი კორპორაციისათვის და 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ფიზიკური პირისათვის. ეს ქმედება განსაკუთრებულ გავრცელებას პოვებს, – აღნიშნულია შემდგომში, თვითმფრინავებით, გემებით, იარაღით, ნავთობპროდუქტებით, საერთაშორისო ვაჭრობაში, აგრეთვე სამხედრო და სამოქალაქო მშენებლობის კონტრაქტის დადებისას, სადაც არ არის სტანდარტული ფასები, მაგრამ დიდი ხანია არსებობს კომისიური ტაქსა სხვადასხვა დონის თანამდებობის პირებისათვის".[603]

მოცემული კანონზომიერება ატარებს საყოველთაო ხასიათს. მას გვერდი არ აუვლია განვითარებული ქვეყნებისათვის, მათ შორის არც იაპონიისთვის. იაპონელი მეცნიერის კ. უედას მონაცემებით 1966 წლიდან 1980 წლამდე „თეთრ საყელოიანთა" „წილი" დამნაშავეთა შორის... გაიზარდა 1,5-ჯერ. თუმცა ამავენაირად 1,4-ჯერ გაიზარდა „თეთრსაყელოიანთა" წილი მოსახლეობაში მთლიანად".[604] ამავდროულად აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის გაძლიერება მოდის 90-იანი წლების შუა წლებზე, როცა იაპონიაში შეიმჩნევა ეკონომიკური დაცემა. ს. აკკერმანის შეფასებით, „1995 წელს შედგა უპრეცენდენტო პროცესი, რომელზეც ცხრა კომპანიას წაუყენეს ბრალდება ელექტროენერგიის სფეროში შეკვეთის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის შეთქმულების გამო. სისხლის სამართლის საქმე აღძრულ იქნა იაპონიის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მუხლის მიხედვით და ყველა ცხრა კომპანია ცნობილ იქნა დამნაშავედ და დაჯარიმდა. ამავდროულად ისწრაფოდა რა თავიდან აეცდინათ ფარული გარიგების დადება, მთავრობამ შემოიტანა ღია კონკურსის სისტემა საზოგადოებრივი სამუშაოების სახელმწიფო შეკვეთის მიღებაზე. ამის შედეგად ფასიანი შემოთავაზება მსხვილი კომპანიების მხრიდან მშენებლობის სამინისტროს საანგარიშსწორებო ფასებზე 20%-ით დაბლა დაეცა, თუმცა ნაწილობრივ ამ ფასდაკლების ახსნა შეიძლებოდა სახელმწიფოში არსებული კრიზისით და არა საქმიანი შეთანხმების კლებით".[605]

დასკვნის სახით უნდა ავღნიშნოთ, რომ ე.წ. კორუფციული დანაშაული არაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რადგან ამ როლს თავის თავზე იღებს კაპიტალის

603 В. В. Лунеев (1977), Преступность XX века, М., «Норма», с. 272

604 К. Уэда (1989), Преступность и криминология в современной Японии, М., «Прогресс» , с. 86

605 С.Аккерман (2003), Коррупция и государство, М., «Логос», с.70

დაგროვების კანონი. რამდენადაც ეს როლი იზრდება, იმდენად მჟღავნდება კორუფციულ დანაშაულზე ვირტუალური წარმოდგენა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე. საბაზრო ურთიერთობები არა მარტო მალავენ ამ ჭეშმარიტებას, არამედ ფეტიშირებენ სახელმწიფოთა თვალთახედვას. კაპიტალის დაგროვების პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ კორუფციასთან ბრძოლის მთელი მისწრაფება იზღუდება იმ საზღვრამდე, რომლის იქით არ შეიძლება ანტიკორუფციული სასჯელის გამოყენება.

პროფესორ გიორგი თოდრიას ნაშრომთა ბიბლიოგრაფია

№	ნაშრომთა დასახელება	გამომცემლობის, ჟურნალის, გაზეთის დასახელება	გამოცემის წელი	გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5
		1980		
1	Понятие преступности	ჟურნალი «მაცნე», ეკონომიკისა და სამართლის სერია,	1980, N4	77-89
		1987		
2	Характер изменений преступности несовершеннолетних в гор. Тбилиси	Сб. Института государства и права СССР: СССР - США: криминологические и уголовно-правовые проблемы борьбы с городской преступностью, М., ИГПАН	1987	37-42
3	К критике «диалектики криминогенной ситуации»	ჟურნალი «მაცნე», ეკონომიკისა და სამართლის სერია,	1987 № 4	93-101
		1988		
4	Развитие основных понятий советской криминологии	Сб.: Актуальные проблемы советского права, Тб., «Мецниереба»,	1988	275-355
		1989		
5	Проблемы перестройки криминологического мышления	ჟურნალი «მაცნე», ეკონომიკისა და სამართლის სერია, გამომც-ბა „მეცნიერება“	1989 N1	102-111
		1991		
6	Нужна криминологическая концепция	газ. «Вечерний Тбилиси»	1991 14 июня	

		1992		
7	სახელმწიფო როგორც გაუცხოების მომენტი და დანაშაულობა	ჟურნალი „სამართალი", გამომც-ბა «სამშობლო"	1992 N5	21-26
		1997		
8	კანონშეძოქმედებითი პროცესების განვითარების საკითხისათვის	პარლამენტის მრჩეველთა საბჭოს უწყებანი	1997 N1	40-46
9	სამართლის ფილოსოფია როგორც პრობლემა	პარლამენტის მრჩეველთა საბჭოს უწყებანი	1997 N2	24-27
10	დანაშაულობის ორგანიზებული ფორმირების ზოგიერთი საკითხი	პარლამენტის მრჩეველთა საბჭოს უწყებანი	1997 N3	11-14
		1998		
11	საგადასახადო კანონმდებლობა: ანალიზი და კომენტარი, თქვენი კომენტარი	ჟურნალი „ფინანსები"	1998 N5	9-10
		1999		
12	საქართველოზე ნარკობიზნესის ზეგავლენის შედეგიანობის პრობლებისათვის	კრ: ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი გამომცემლობა	1999	
13	ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობა - საზოგადოების განვითარების აუცილებლობაა! მ.ბაბალუასთან თანაავტორობით	ჟურნალი „სამართალი"	1999 N1	11-14

		2002		
14	დანაშაულობა ახალი ალთქმის მიხედვით: „სამი ჯვრის მოძღვრება"	ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, ჟურნალი „ალმანახი"	2002 N14	45-52
		2003		
15	კრიმინოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში	კრებ. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა, კრებ. გამოც. აშშ საელჩოს მიერ	2003	172-201
		2004		
16	Rezeptionsprobleme bei der Gestaltung der kriminologischen Programme zur Verbrechensbe-kämpfung	Strafrecht und Kriminalitat und Kriminalitat Entwicklungen in Mittel – und Osteuropa.	2004, Band 1	99-104
		2005		
17	Так называемая коррупционная преступность и проблема смысла наказания: юридическая иллюзия и реальность	Криминология: вчера, сегодня, завтра. Труды Санкт-Петербургского криминологического клуба: Юбилейный выпуск, посвященный 55-летию д.ю.н., профессора С.Ф. Милюкова, С.-Пб., Изд-во "Русь"	2005 № 2(9)	249-264
		2006		
18	„სასჯელის", როგორც ანტიკორუფციული ზომის ირაციონალობა	ჟურნალი „მაცნე", თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი	2006 N1	194-210
19	კორუფციის თავისებურებანი კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების პერიოდში	ჟურნალი „კომერსანტი", თეუსუ,	2006, N1	102-113

		2007		
20	ანტიკორუფციულ პროგრამებში კორუფციული მიწოდების არსის საკითხისათვის	ჟურნალი „კომერსანტი“, თეუსუ,	2007, N 1(2)	113-123
21	ანტიკორუფციული პროგრამები - კორუფციული მიწოდების არსი	კრიმინოლოგი	2007 N1	76-6
22	მიდგომა კორუფციის ცნებისადმი: შესავალი ნარკვევი	ჟურნალი ჟურნალი „კომერსანტი“, თეუსუ	2007 N3	117-123
23	მცდარი შეხედულება ბუნებრითი სამართლის ადრეულ თეორიებზე	კრ: სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე კრიმინოლიგიის პრობლემები თბ., გამ. “მერიდიანი“	2007	239-257
24	იურიდიული პირის პასუხისმგებლობა: მცდარი გზა სამართალში და ჭეშმარიტება	საიუბილეო კრებული მიძღვნილი გ.თავართქილაძის 60 წლისადმი, თბ., თეუსუ, გამ. „უნივერსალი“	2007	235- 261
		2008		
25	არასრულწლოვანთა დანაშაულობისადმი მართლსაჯულებისა და სასჯელაღსრულების სისტემის დამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი	ჟურნალი „კრიმინოლოგი“	2008 N1(2)	118-124
26	სამართლებრივი ნიჰილიზმი თანამედროვე კრიმინოლოგიაში	თეუსუს სამეცნიერო შრომების კრებული,	2008	273-288

27	კრიმინოლოგია როგორც მეცნიერება: დანაშაულობა; კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდიკა; ძალადობითი დანაშაულობა	კრიმინოლიგიის სახელმძღვანელო, თბ. გამომცემლობა	2008	1-72 145-164
		2009		
28	სანქციების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (გ. კინტირაიასთან თანაავტორობით)	თეუსუს სამეცნიერო შრომების კრებული	2009	331-341
29	რეცეფციის პრობლემა კრიმინოლოგიაში	სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“	2009 N2(6)	26-34
		2010		
30	კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენათა ევოლუციის ძირითადი ეტაპები (2010), თბ., მერიდიანი, გვ. 327-370	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი 1. თბ., გამ. “მერიდიანი“	2010	327-370
		2012		
31	ისტორიზმის პრობლემა კრიმინილოგიურ აზროვნებაში	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი 2, თბ., გამ. “მერიდიანი“	2012	292-322
32	ცალკეული სახელმწიფოების ქვეყნების წინასასამართლო გამოძიების ზოგიერთი დახასიათება (მ. მამნიაშვილთან თანაავტორობით)	საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), სახელმძღვანელო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტი	2012	270-284

33	ორიოდე სიტყვით ახალი პროექტის შესახებ – "კრიტიკული კრიმინოლოგია: პერსპექტივები და პრობლემები" (წინასიტყვაობა), რ. აკერსის ნაშრომის "კრიტიკული კრიმინოლოგია" (თარგმნილი თ.თოდრიას მიერ)	სამართალი., გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი.	2012 N1	301-311
34	სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა რადიკალური კრიმინოლოგიის თვალსაზრისით	საიუბილეო კრებული მიძღვნილი პროფ. რ.შენგელიას 70 წლისამდი, თბ. „სამართალი"	2012	567-577
35	თანამედროვე სამართლის სისტემის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებანი (მ.მამნიაშვილთან თანაავტორობით)	საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, „საუნჯე"	2012	403-442
		2013		
36	პოლიციის მმართველობის ევოლუციის თავისებურებანი: საზღვარგარეთის გამოცდილების სტრატეგია და ტაქტიკა (მ. მოსულიშვილთან და ა.მოსულიშვილთან თანაავტორობით)	გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე,	2013 N2	17-31

2014				
37	დანაშაულის ნეგაციის თეორია: ფიქრები კრიმინოლოგიაში „მივიწყებული ყოფიერების“ პრობლემის დაძლევის გზებზე	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი 3, თბ., გამ. “მერიდიანი“	2014	290-312
2016				
38	სისხლის სამართლის პოლიტიკის ტენდენციები საქართველოში (2004-2006 წწ)	საიუბილეო სამეცნიერო კრებული მიძღვნილი ო.გამყრელიძის 80 წლისთავისადმი გამომც. „მერიდიანი“	2016	475-506
39	საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის ზოგიერთი ლოგიკური პრობლემა	ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, ევროპის უნივერსიტეტი	2016	34-44
2017				
40	Некоторые логические проблемы системы уголовного права Грузии	Вестник Костромского государственного технологического университета. Государство и право: вопросы теории и практики (Серия «Юридические науки»)	2017	89-94
41	საქართველოს სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი (ჯ.გახოკიძესთან, ზ. მელქაძესთან და ი.გაბისონიასთან თანაავტორობით)	თბილისი, გამომც-ბა „იურისტების სამყარო“	2018	გვერ-ები

2019				
42	სამყაროს ტრანსცენდენტური გააზრების პირველი მცდელობები და მათი როლი დანაშაულობის გაგებაში (2019), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, „მერიდიანი“ , გვ. 346-447	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი 4, თბ., გამ. “მერიდიანი“	2019	346-447